

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო კ ო დ ე ქ ს ი ს
კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

წიგნი მეოთხე

ვალდებულებითი სამართალი
კერძო ნაწილი

ტ ო მ ი ი

მუხლები 755-1008

გამომცემლობა «სამართალი»
თბილისი 2001

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის
კომენტარი ხუთ წიგნად

წიგნი მეოთხე

სარედაქციო კოლეგია: ლადო ჭანტურია (მთავარი რედაქტორი)
ბასარიონ ზონიძე (პასუხისმგებელი მდივანი)
თედო ნინიძე
რომან შენგელია
ჯონი ხეცურიანი

სამოქალაქო კოდექსის კომენტარის მეოთხე წიგნი მოამზადეს:

მუხლები:

- | | |
|---------------------------------|----------------------------------|
| 477-523 (დოც. მ. კახაძემ), | 744-754 (დოც. თ. ნინიძემ), |
| 524-530 (პროფ. რ. შენგელიამ), | 755-762 (დოც. მ. კახაძემ), |
| 531-575 (პროფ. შ. ჩიკვაშვილმა), | 763-798 (დოც. დ. სუბიტაშვილმა), |
| 576-580 (დოც. მ. კახაძემ), | 799-858 (დოც. მ. ცისკაძემ), |
| 581-606 (დოც. თ. ჩიტოშვილმა), | 859-929 (პროფ. რ. შენგელიამ), |
| 607-614 (პროფ. ვ. ხეცურიანმა), | 930-940 (დოც. თ. ჩიტოშვილმა), |
| 615-628 (პროფ. რ. შენგელიამ), | 941-950 (დოც. ზ. ძლიერიშვილმა), |
| 629-656 (დოც. ზ. ძლიერიშვილმა), | 951-952 (პროფ. რ. შენგელიამ), |
| 657-667 (დოც. მ. ცისკაძემ), | 953-968 (პროფ. ვ. ხეცურიანმა), |
| 668-708 (დოც. ტ. ზამბახიძემ), | 969-975 (დოც. თ. ნინიძემ), |
| 709-723 (დოც. მ. ცისკაძემ), | 976-991 (პროფ. რ. შენგელიამ), |
| 724-729 (პროფ. ვ. ხეცურიანმა), | 992-1008 (პროფ. შ. ჩიკვაშვილმა). |
| 730-743 (დოც. ტ. ზამბახიძემ), | |

შ ი ნ ა ა რ ს ი

თავი მეჩვიდმეტი

ჯილდოს საჯაროდ დაპირება. კონკურსი

მუხლი 755. ცნება	17
მუხლი 756. ჯილდოს საჯაროდ დაპირების გაუქმება	18
მუხლი 757. მოქმედების შესრულება რამდენიმე პირის მიერ	19
მუხლი 758. პრიზის დაწესება	20
მუხლი 759. საკონკურსო პირობებში ცვლილების შეტანის დაუშვებლობა	22
მუხლი 760. კონკურსში გამარჯვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება	23
მუხლი 761. რამდენიმე პირის გამარჯვება კონკურსში	24
მუხლი 762. კონკურსზე წარდგენილი ნამუშევრების დაბრუნების წესი	25

თავი მეთვრამეტი

მიზარება

მუხლი 763. ცნება	26
მუხლი 764. მიზარების საზღაური	30
მუხლი 765. შემნახველის მოვალეობა უსასყიდლო მიზარებისას	33
მუხლი 766. მესამე პირისათვის ნივთის გადაცემის დაუშვებლობა	36
მუხლი 767. მიზარებული ნივთით სარგებლობის დაუშვებლობა	37
მუხლი 768. ნივთის შენახვის წესის შეცვლა	39
მუხლი 769. ნივთის თვისებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება	40

**ამონაკრები კანონიდან «საშიში ქიმიური
ნივთიერებების შესახებ»**

მუხლი 2. ტერმინების განმარტება	41
მუხლი 32. საშიში ქიმიური ნივთიერების შენახვაზე ნებართვის გაცემის წესი	43
მუხლი 33. საშიში ქიმიური ნივთიერების შესანახი ნაგებობები	44
მუხლი 34. საშიში ქიმიური ნივთიერების შენახვის წესი	45
მუხლი 35. საშიში ქიმიური ნივთიერების შესანახი ნაგებობის შემოღობვა და მისი გამაფრთხილებელი ნიშნებით აღჭურვა	45
მუხლი 770. მიბარებული ნივთის დაბრუნების ვადა	47
მუხლი 771. მიბარებული ნივთის უკან წაღების მოვალეობა	49
მუხლი 772. მიბარებული ნივთის დაბრუნების ადგილი	51
მუხლი 773. მიბარებული ნივთის ნაყოფის გადაცემის ვალდებულება	53
მუხლი 774. შემნახველის პასუხისმგებლობა განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის	55
მუხლი 775. საზღაურის გადახდის მოვალეობა	58
მუხლი 776. მიბარებული ნივთის დაკავების უფლება	59
მუხლი 777. გვაროვნული ნივთის მიბარების თავისებურებანი	61
მუხლი 778. სასტუმროში მიბარების თავისებურებანი	62
მუხლი 779. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დაუძლეველი ძალის გამო	65

თავი მეცხრამეტი

მიბარება სასაქონლო საწყობში

მუხლი 780. ცნება	67
მუხლი 781. შენახვის ვალდებულებათა კეთილსინდისიერად შესრულების მოვალეობა	69
მუხლი 782. საქონლის რაოდენობის შემოწმება შემნახველის მიერ	70
მუხლი 783. მიბარებული საქონლის დათვალიერების უფლება ...	72
მუხლი 784. შეტყობინების ვალდებულება	73

მუხლი 785.	ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.....	74
მუხლი 786.	გვაროვნული ნივთების შენახვის თავისებურებანი....	75
მუხლი 787.	მიბარებული საქონლის გაყიდვა.....	78
მუხლი 788.	სასაწყობო მოწმობა.....	80
მუხლი 789.	სასაწყობო მოწმობის რეკვიზიტები.....	84
მუხლი 790.	ვარანტი.....	92
მუხლი 791.	საორდერო სასაწყობო მოწმობა.....	94
მუხლი 792.	პასუხისმგებლობა ინდოსირებული სასაწყობო მოწმობისათვის.....	96
მუხლი 793.	ინდოსამენტის სისწორის პრეზუმფცია.....	98
მუხლი 794.	სასაწყობო მოწმობის დაკარგვა.....	100
მუხლი 795.	მიბარებული საქონლის დაგირავება.....	101
მუხლი 796.	გირაენობის უფლების გადასვლა სასაწყობო მოწმობის ახალ მფლობელზე.....	102
მუხლი 797.	მიბარებული საქონლის უკან წაღების მოთხოვნის დაუშვებლობა.....	104
მუხლი 798.	დამატებითი ვადის დანიშვნა საქონლის მიღებისას	105

დ ა ზ ლ ვ ე ვ ა

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 799.	ცნება.....	106
მუხლი 800.	დაზღვევის ხელშეკრულების დადების ვალდებულება.....	113
მუხლი 801.	სავალდებულო დაზღვევა.....	114
მუხლი 802.	სადაზღვევო მოწმობა (პოლისი).....	119
მუხლი 803.	სადაზღვევო მოწმობის სახეები.....	121
მუხლი 804.	სადაზღვევო მოწმობის დაკარგვის შედეგები.....	122
მუხლი 805.	დაზღვევის აგენტის უფლებები.....	123
მუხლი 806.	დაზღვევის დაწყების დრო.....	125
მუხლი 807.	სადაზღვევო შესატანის გადიდების შედეგები.....	126
მუხლი 808.	ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.....	127
მუხლი 809.	არასწორი მონაცემების შეტყობინების შედეგები.....	128

მუხლი 810.	დაზღვევის ხელშეკრულების მოშლა ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო	129
მუხლი 811.	ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო ხელშეკრულების მოშლის ვადა	130
მუხლი 812.	ხელშეკრულების მოშლა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად	131
მუხლი 813.	საფრთხის გაზრდის შესახებ ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულება	131
მუხლი 814.	სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შეტყობინების ვალდებულება	132

II. სადაზღვევო შესატანი

მუხლი 815.	სადაზღვევო შესატანის გადახდის ვალდებულება ...	135
მუხლი 816.	პირველი სადაზღვევო შესატანი	136
მუხლი 817.	სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდა	137
მუხლი 818.	ხელშეკრულების მოშლა სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდის გამო	139
მუხლი 819.	სადაზღვევო შესატანის გადახდის შეწყვეტა	139

III. ზიანის დაზღვევა

ა. ხელშეკრულების შინაარსი

მუხლი 820.	ზიანის ფულადი ანაზღაურების ვალდებულება	140
მუხლი 821.	ზიანის ანაზღაურების ფარგლები	141
მუხლი 822.	სადაზღვევო შედარება	142
მუხლი 823.	ქონების დაზღვევის თავისებურებანი	143
მუხლი 824.	მიუღებელი სარგებლის დაზღვევა	144
მუხლი 826.	სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა	145
მუხლი 827.	შემცირებული ან არასრული დაზღვევა. ორმაგი დაზღვევა	146
მუხლი 828.	ორმაგი დაზღვევის ბათილობა	148
მუხლი 829.	დამზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას	149
მუხლი 830.	მზღვეველის მითითების შესრულების მოვალეობა	150
მუხლი 831.	ომით ან სხვა დაუძლეველი ძალით გამოწვეული ზიანის დაზღვევა	151

მუხლი 832.	ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან	152
მუხლი 833.	დაზღვეული ქონების გასხვისების შედეგები	154
მუხლი 834.	შეტყობინების ვალდებულება დაზღვეული ქონების გასხვისებისას	155
მუხლი 835.	დაზღვევის შეწყვეტა ქონების გასხვისებისას	156
ბ. დაზღვევა სხვა პირის სასარგებლოდ		
მუხლი 836.	დაზღვევის ხელშეკრულების დადება სხვა პირის სასარგებლოდ	158
მუხლი 837.	სხვა პირის უფლებები დაზღვევის ხელშეკრულებაში	159
მუხლი 838.	დამზღვევის უფლებები	160
გ. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა		
მუხლი 839.	ცნება	161
მუხლი 840.	ზიანის უშუალოდ ანაზღაურების მოთხოვნა	163
მუხლი 841.	სასამართლო და არასასამართლო ხარჯები	163
მუხლი 842.	მზღვეველის განთავისუფლება პასუხისმგებლობისაგან	164
მუხლი 843.	პასუხისმგებლობა სავალდებულო დაზღვევისას	165
IV. სიცოცხლის დაზღვევა		
მუხლი 844.	ცნება	167
მუხლი 845.	ხელშეკრულების დადებაზე უარის დაუშვებლობა	169
მუხლი 846.	ხელშეკრულების მოშლა სადაზღვევო შესატანების პერიოდულად გადახდისას	169
მუხლი 847.	ანაზღაურების უფლების გადაცემა მესამე პირისათვის	169
მუხლი 848.	არასათანადო მესამე პირი	170
მუხლი 849.	მზღვეველის გათავისუფლება ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან	171
მუხლი 850.	ანაზღაურებისაგან განთავისუფლება თვითმკვლელობისას	172

მუხლი 851. დაზღვევის ხელშეკრულების შეცვლა	173
მუხლი 852. დაქვითვები ხელშეკრულების შეწყვეტისას	174
მუხლი 853. იძულებითი აღსრულების შედეგები	174
V. უბედური შემთხვევის დაზღვევა	
მუხლი 854. ცნება	176
მუხლი 855. ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შედეგები	177
მუხლი 856. უბედური შემთხვევის განზრახ გამოწვევის შედეგები	178
მუხლი 857. უბედური შემთხვევის შესახებ შეტყობინების ვალდებულება	178
მუხლი 858. რეგრესის უფლების დაუშვებლობა	179

თავი ოცდამეერთე

საბანკო მომსახურება

I. ანგარიშსწორება

მუხლი 859. ცნება	180
მუხლი 860. ანგარიშის ამონაწერების მიცემის ვალდებულება	184
მუხლი 861. ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა	185
მუხლი 862. ანგარიშის მფლობელის დავალების გაუქმების შედეგები	187
მუხლი 863. საიდუმლოების დაცვის ვალდებულება	189
მუხლი 864. საბანკო ანგარიშსწორების ხელშეკრულების შეწყვეტა	191
მუხლი 865. გადახდა ჩეკის საფუძველზე	192
მუხლი 866. ჩეკის ინკასირება	193

II. საბანკო კრედიტი

მუხლი 867. ცნება	194
მუხლი 868. საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთები	195
მუხლი 869. კანონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთი	198
მუხლი 870. დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენება	199
მუხლი 871. ხელშეკრულების შეწყვეტა	200

მუხლი 872.	ზიანის ანაზღაურება კრედიტის ვადამდე დაბრუნებისათვის	202
მუხლი 873.	საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტა კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნებისას	203
III. ანაბარი		
მუხლი 874.	ცნება. საკრედიტო დაწესებულების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა	204
მუხლი 875.	შემნახველი წიგნაკი	208
IV. დოკუმენტური (სასაქონლო) აკრედიტივი.		
დოკუმენტალური ინკასო		
მუხლი 876.	ცნება	209
მუხლი 877.	საინკასო დავალება	212
მუხლი 878.	საერთაშორისო მიმოქცევის ჩვეულებები	214
V. საბანკო გარანტია		
მუხლი 879.	ცნება	215
მუხლი 880.	საზღაური საბანკო გარანტიისათვის	217
მუხლი 881.	გარანტის ვალდებულების დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისაგან	217
მუხლი 882.	საბანკო გარანტიის გამოთხოვის დაუშვებლობა	219
მუხლი 883.	ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის სხვა პირისათვის გადაცემის დაუშვებლობა	219
მუხლი 884.	საბანკო გარანტიის შესვლა ძალაში	220
მუხლი 885.	მოთხოვნის წარდგენის ფორმა	221
მუხლი 886.	გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისას	222
მუხლი 887.	გარანტის უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე	223
მუხლი 888.	გარანტის ვალდებულების ფარგლები	225
მუხლი 889.	გარანტის ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლები	226
მუხლი 890.	რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება	227

თავი ოცდაპეორი

თავდებობა

მუხლი 891. ცნება	228
მუხლი 892. თავდებობის ფორმა	229
მუხლი 893. თავდების ვალდებულების საფუძველი	230
მუხლი 894. თავდების უარი კრედიტორის დაკმაყოფილებაზე	231
მუხლი 895. თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობა	232
მუხლი 896. რამდენიმე თავდების პასუხისმგებლობა ერთი და იმავე ვალდებულებისათვის	233
მუხლი 897. პასუხისმგებლობა წინამორბედ თავდებთა მიერ ნაკისრი ვალდებულებებისათვის.	233
მუხლი 898. თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები	234
მუხლი 899. თავდების უფლება შესაგებელზე	237
მუხლი 900. თავდების უარი კრედიტორის დაკმაყოფილებაზე	238
მუხლი 901. თავდების პასუხისმგებლობის შემცირება	238
მუხლი 902. ძირითადი მოვალის მიერ გადახდის ვადის გადაცილების შედეგები	239
მუხლი 903. ხელშეკრულების შეწყვეტა უვადო თავდებობის დროს	241
მუხლი 904. თავდებობის ვალდებულებისაგან განთავისუფლების საფუძველები	242
მუხლი 905. თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შედეგები	243

თავი ოცდაპესავე

კონტოკორენტი

მუხლი 906. შინაარსი	245
მუხლი 907. კონტოკორენტის გაუქმება	246
მუხლი 908. პროცენტები განხორციელებული გადახდებისათვის	247
მუხლი 909. კონტოკორენტში შეტანილი მოთხოვნის პიროვნული ან სანივთო უზრუნველყოფა	248

თავი ოცდამესამე

**ფასიანი ქალაქების ბრუნვიდან
წარმოშობილი ვალდებულებანი**

**I. საწარმდგენლო ფასიანი ქალაქებიდან
წარმოშობილი ვალდებულებანი**

მუხლი 911. ცნება 250

მუხლი 912. ემიტენტის შესაგებლები 255

მუხლი 913. უფლებათა გადასვლის წესი 256

მუხლი 914. ემიტენტის უფლებები 257

მუხლი 915. ემიტენტის მოვალეობა 259

მუხლი 916. საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის
გადაფორმება 260

მუხლი 917. მიმოქცევისათვის უვარგისი ფასიანი ქალაქის
გამოცვლა 261

მუხლი 918. ფასიანი ქალაქის გამოცხადება
ძალდაკარგულად 262

მუხლი 919. ახალი საწარმდგენლო დოკუმენტის გაცემა 263

მუხლი 920. მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა 264

მუხლი 921. მცირე ღირებულების სავალო
დოკუმენტის გაცემა 265

**II. საორდერო ფასიანი ქალაქებიდან
წარმოშობილი ვალდებულებანი**

მუხლი 922. ცნება 266

მუხლი 923. უფლებათა გადაცემა. ინდოსამენტის სახეები 266

მუხლი 924. ინდოსირებით შექნილი დოკუმენტის
გამოყენების წესი 268

მუხლი 925. გადახდა თანმიმდევრული ინდოსამენტების
არსებობისას 269

მუხლი 926. წერილობითი გარანტირებული მოთხოვნები 270

მუხლი 927. მოთხოვნათა ხანდაზმლობის ვადა 271

III. პირადი ფასიანი ქაღალდები

მუხლი 928. ცნება	272
მუხლი 929. მითითება დაპირებულ გადახდაზე	274

თავი ოცდამეხუთე

ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)

მუხლი 930. ცნება	275
მუხლი 931. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ფორმა	279
მუხლი 932. შესატანის შეტანის ვალდებულება	282
მუხლი 933. მესამე პირისათვის წილის გადაცემის დაუშვებლობა	284
მუხლი 934. საქმეების ერთობლივად გაძღოლის ვალდებულება	286
მუხლი 935. შემოსავლების განაწილების წესი	291
მუხლი 936. მონაწილეთა ურთიერთმოთხოვნების გადაცემის დაუშვებლობა მესამე პირისათვის	292
მუხლი 937. მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა	293
მუხლი 938. უარი ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე	299
მუხლი 939. ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლები	303
მუხლი 940. ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის წესი	308

თავი ოცდამეექვსე

სამისღლეში რჩენა

მუხლი 941. ცნება	310
მუხლი 942. ხელშეკრულების ფორმა	315
მუხლი 943. სარჩოს ოდენობა	316
მუხლი 944. სარჩოს გადახდის ვადები	317
მუხლი 945. გადაცემული ქონების განსხვავების დაუშვებლობა	318
მუხლი 946. შედავება სარჩოს გადახდის გამო	319
მუხლი 947. ნატურალური სარჩოს გადახდა	322

მუხლი 948. გადაცემული ქონების შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი	322
მუხლი 949. უარი სამისდღეშო რჩენის ხელშეკრულებაზე.....	324
მუხლი 950. მარჩენალის გარდაცვალების შედეგები	325

თავი ოცდაექვსი

თამაშობა. სანაკლემო

მუხლი 951. ცნება	327
მუხლი 952. ლატარია	330

კარი მეორე

კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

თავი პირველი

საზიარო უფლებები

მუხლი 953. ცნება	331
მუხლი 954. წილთა თანაბრობა	332
მუხლი 955. უფლება ნაყოფზე	332
მუხლი 956. საზიარო საგნის მართვა	333
მუხლი 957. გადაწყვეტილების მიღება საზიარო საგნის მართვისას	333
მუხლი 958. საზიარო საგნის მართვის წესის გადასვლა უფლებამონაცვლეზე	334
მუხლი 959. საზიარო საგნის განკარგვის წესი	335
მუხლი 960. საზიარო საგნის მოვლის ხარჯები	335
მუხლი 961. საზიარო უფლების გაუქმება	335
მუხლი 962. შეთანხმება გაუქმების შესახებ	336
მუხლი 963. საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას	337
მუხლი 964. საზიარო უფლების გაუქმება საგნის გაყიდვით	338
მუხლი 965. მოწილეების სოლიდარული პასუხისმგებლობა	339
მუხლი 966. თანამოწილეთა მიმართ არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება	339

მუხლის 967. მოწილეთა პასუხისმგებლობა საზიარო უფლების გაუქმებისას	340
მუხლი 968. საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის ხანდაზმულობა	340

თავი მეორე

დავალების გარეშე სხვისი საქმიანობის შესრულება

მუხლი 969. დავალების გარეშე სხვისი საქმიანობის შესრულება კეთილსინდისიერად	341
მუხლი 970. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა	343
მუხლი 971. მეპატრონისათვის შეტყობინების ვალდებულება	346
მუხლი 972. შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა	347
მუხლი 973. გაწეული ხარჯების ანაზღაურების უფლება	348
მუხლი 974. გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის დაუშვებლობა	349
მუხლი 975. საკუთარი საქმის შესრულების ვარაუდი	351

თავი მესამე

უსაფუძვლო გამდიდრება

მუხლი 976. ვითომ-კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძველები	352
მუხლი 977. გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის დაუშვებლობა	357
მუხლი 978. იძულების ან მუქარის საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნა	358
მუხლი 979. უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები	359
მუხლი 980. ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების წესი	362
მუხლი 981. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება	363
მუხლი 982. სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები	366

მუხლი 983.	შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ	367
მუხლი 984.	პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება	368
მუხლი 985.	მოგების მოთხოვნის უფლება	369
მუხლი 986.	შეცდომით სხვისი ვალდებულების გასტუმრება	370
მუხლი 987.	შეცდომით ხარჯების გაწევა სხვა პირის ქონებაზე	371
მუხლი 988.	ვითომ-კრედიტორის მითითებით შესრულების შედეგები	372
მუხლი 989.	მესამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული	374
მუხლი 990.	არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ განკარგვის შედეგები	375
მუხლი 991.	სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგები	376

პარი მესამე

დელიქტური ვალდებულებანი

თავი პირველი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 993.	ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების შედეგები	391
მუხლი 994.	არასრულწლოვანის პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის	392
მუხლი 995.	სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება	397
მუხლი 996.	ღრობითი სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანის ანაზღაურება	398
მუხლი 997.	სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება	400
მუხლი 998.	სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის	403

მუხლი 999.	სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამღვარი ზიანის ანაზღაურება	405
მუხლი 1000.	პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომატებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის	410
მუხლი 1001.	ხანძრის ჩაქრობის დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება	413
მუხლი 1002.	ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან წინასწარ განთავისუფლების დაუშვებლობა	414
მუხლი 1003.	ცხოველების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება	414
მუხლი 1004.	შენობის ჩამოქცევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება	416
მუხლი 1005.	სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის	417
მუხლი 1006.	ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალებისას	425
მუხლი 1007.	სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება	427
მუხლი 1008.	ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა	429

ჯილდოს საჯაროდ დაპირება. კონკურსი

მუხლი 755. ცნება

ის, ვინც საჯარო დაპირებით აწესებს ჯილდოს გარკვეული მოქმედების შესრულებისათვის, კერძოდ, ამა თუ იმ შედეგის მიღწევისათვის, ვალდებულია გადაუხადოს ჯილდო იმ პირს, რომელმაც მოქმედება შეასრულა. პირს ჯილდოს მიღების უფლება აქვს მაშინაც, როცა იგი არ მოქმედებდა ჯილდოს საჯაროდ დაპირების გამო.

ჯილდოს საჯაროდ დაპირება წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას — საჯარო მოწვევას, ხელშეკრულების დასადებად მიცემულ წინადადებას, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი: ჯილდოს საჯაროდ დაპირების მიზანს წარმოადგენს საზოგადოებისათვის ან კონკრეტული პირისათვის საჭირობოროტო საკითხის ან რაიმე სასარგებლო ამოცანის გადაწყვეტა.

იმისათვის, რათა ჯილდოს საჯაროდ დაპირებას ჰქონდეს სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების ძალა და წარმოშვას შესაბამისი ვალდებულება, საჭიროა, რომ განცხადება ჯილდოს საჯაროდ დაპირების შესახებ შეიცავდეს ქონებრივი ხასიათის ჯილდოს დაპირების პირობას. ჯილდო, როგორც წესი, გამოიხატება ფულადი ფორმით, განსაზღვრული თანხის ოდენობით, ანდა კონკრეტული ნივთის სახით. რაც შეეხება წახალისების სხვა საშუალებებს, კერძოდ, მედლის, საპატიო სიგელის, დიპლომის მინიჭების დაპირებას, ქონებრივი ხასიათის ჯილდოს გარეშე არ ჩაითვლება ჯილდოს საჯაროდ დაპირებად.

ჯილდოს საჯაროდ დაპირების შესახებ ცნობების გავრცელება უნდა მოხდეს როგორც პრესის, ასევე რადიოს, ტელევიზიის და სხვა დაშვებული საშუალებებით.

ჯილდოს საჯაროდ დაპირებას ხშირად მიმართავენ ტელევიზიის „მოდრავი სტრიქონის“ საშუალებით, ცხოველის ან ნივთის დაკარგვის დროს ან სხვა რაიმე კანონით დაშვებული მოქმედების შესრულებისათვის, ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ჯილდოს სახეს არ აკონკრეტებენ, მაგრამ აღნიშნავენ, რომ „მპოვნელი დასაჩუქრდება“. ნებისმიერ შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გადაამოწმოს განცხადების სისწორე და შეუთანხმდეს ჯილდოს საჯაროდ დამპირებელს ჯილდოს ოდენობის თაობაზე.

ჯილდოს საჯაროდ დაპირების შემთხვევაში სასურველი შედეგი შეიძლება მიღწეულ იქნეს ერთჯერადად, ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, ამასთან ასეთი პირობის შემსრულებელი შეიძლება ამ სახის გარიგების უნებლიე მონაწილეც გახდეს. მაგალითად, პირი, რომელიც ასრულებდა ჯილდოს საჯაროდ დაპირების პირობით გათვალისწინებულ მოქმედებას, მოიპოვებს უფლებას ჯილდოზე, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა მან ასეთი დაპირების არსებობის შესახებ, როცა ის ამ მოქმედებას ასრულებდა. სწორედ ეს პირობაა ნაგულისხმები 755-ე მუხლის ბოლო ნაწილში, სადაც მითითებულია, რომ „პირს ჯილდოს მიღების უფლება აქვს მაშინაც, როცა იგი არ მოქმედებდა ჯილდოს საჯაროდ დაპირების გამო“.

მუხლი 756. ჯილდოს საჯაროდ დაპირების გაუქმება

1. ჯილდოს საჯაროდ დაპირება შეიძლება გაუქმდეს გამოცხადებული მოქმედების შესრულებამდე. ჯილდოს საჯაროდ დაპირების გაუქმება ნამდვილია იმ შემთხვევაში, თუ იგი ცნობილი გახდება იმავე საშუალებით, რითაც ჯილდოს საჯაროდ დაპირება, ან სპეციალური შეტყობინების მეშვეობით.

2. ჯილდოს საჯაროდ დაპირება შეიძლება შეიცავდეს მითითებას მის გაუქმებაზე უარის შესახებ; საეჭვოობისას ივარაუდება, რომ დაპირება გაუქმებულია, თუ მოქმედება არ განხორციელებულა დათქმულ ვადამდე.

ჯილდოს საჯაროდ დაპირება შეიძლება გაუქმდეს გამოცხადებული მოქმედების შესრულებამდე, მაგრამ ასეთმა გაუქმებამ არ უნდა შელახოს პოტენციური შემსრულებლის უფლებები. გაუქმება არ დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ ეს ჩანს განცხადების შინაარსიდან ანდა განცხადება შეიცავს მითითებას მის გაუქმებაზე უარის შესახებ, ხოლო, თუ მოქმედება არ შესრულებულა დათქმულ ვადამდე, ივარაუდება, რომ ჯილდოს საჯაროდ დაპირება გაუქმებულია. ჯილდოს საჯაროდ დაპირების გაუქმება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, როცა გაუქმების მომენტი სათვით საჯაროდ დაპირებით გათვალისწინებული მოქმედება შეასრულა ერთმა ან რამოდენიმე პირმა, რომლებმაც ჯილდოს საჯაროდ გამომცხადებელს შეატყობინეს განცხადებით გათვალისწინებული მოქმედების შესრულების სურვილი, შეუდგნენ კიდევაც ამ მოქმედების შესრულებას და გასწიეს სათანადო ხარჯები.

ჯილდოს საჯაროდ დაპირების გაუქმება ნამდვილად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი ცნობილი გახდება იმავე საშუალებით, კერძოდ, პრესის, რადიოს, ტელევიზიის და სხვა დაშვებული საშუალებებით, რითაც ჯილდოს საჯაროდ დაპირება გამოცხადდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ჯილდოს საჯაროდ დაპირებას გამოეხმაურა ერთი ან რამოდენიმე პირი და ამის შესახებ ოფიციალური მონაცემები არსებობს, მაშინ ჯილდოს საჯაროდ დაპირებული ვალდებულია მისი გაუქმების შესახებ გაუგზავნოს მათ სპეციალური შეტყობინება.

მუხლი 757. მოქმედების შესრულება რამდენიმე პირის მიერ

1. თუ მოქმედება, რომლისთვისაც დაწესებულია ჯილდო, შეასრულა რამდენიმე პირმა, მაშინ დაჯილდოვდება ის, ვინც პირველმა შეასრულა ეს მოქმედება.

2. თუ მოქმედება ერთდროულად შეასრულა რამდენიმე პირმა,

მაშინ თითოეული შემსრულებელი დაჯილდოვდება თანაბარწილად. თუ ჯილდო თავისი თვისებების გამო არ შეიძლება გაიყოს, ან საჯარო დაპირების შინაარსის მიხედვით მხოლოდ ერთმა უნდა მიიღოს იგი, მაშინ ჯილდოს გადაცემის საკითხი გადაწყდება წილისყრით.

როგორც 757-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, იმ შემთხვევაში, თუ მოქმედება, რისთვისაც დაწესებულია ჯილდო, შეასრულა რამდენიმე პირმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მაშინ დაჯილდოვდება ის, ვინც პირველად შეასრულა ეს მოქმედება. სამაგალითოდ შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი შემთხვევა: დაზარალებულის ახლობლებმა ტელევიზიის საშუალებით გააკეთეს განცხადება იმის თაობაზე, რომ ამა და ამ ადგილას მოქალაქეს დაეჯახა ავტომანქანა, რის შედეგადაც პირი გარდაიცვალა. თვითმხილველებს თხოვენ აცნობონ მანქანის მარკა, სერია და ნომერი, რისთვისაც პირდებიან ჯილდოს. შესაძლოა აღნიშნულ განცხადებას გამოეხმაუროს რამდენიმე პირი, მაგრამ მათგან დაჯილდოვდება ის, ვინც პირველად შეასრულა მოქმედება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოქმედება შეასრულა რამდენიმე პირმა, მაშინ ჯილდო გაიყოფა თანაბარწილად. თუკი ჯილდოდ დასახელებულია გაუყოფადი ნივთი ანდა საჯარო დაპირების შინაარსის მიხედვით — მხოლოდ ერთმა უნდა მიიღოს იგი, მაშინ ჯილდოს გადაცემის საკითხი გადაწყდება წილისყრით.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის 757-ე მუხლი გამოიყენება კონკურსში რამდენიმე პირის გამარჯვების შემთხვევაშიც.

მუხლი 758. პრიზის დაწესება

1. პირი, რომელიც საჯარო განცხადებით განსაზღვრული სამუშაოს საუკეთესო შესრულებისათვის აწესებს პრიზს, ვალდებულია გადასცეს იგი სამუშაოს საუკეთესო შემსრულებელს.

2. კონკურსის გამოცხადებას აქვს ძალა მაშინ, თუ იგი ითვალისწინებს განსაზღვრულ ვადას სამუშაოს შესასრულებლად.

კონკურსი ჯილდოს საჯაროდ დაპირებიდან აღმოცენებული სამართლებრივი ინსტიტუტია. ჯილდოს საჯაროდ დაპირება კონკურსის მიმართ გვარეობითი ცნებაა. საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობა აღმოცენდება თვით კონკურსის გამოცხადების ფაქტით როგორც წესი, კონკურსს მიმართავენ არსებული ვარიანტებიდან ოპტიმალური ვარიანტის მიღების მიზნით. იგი უფრო ხშირად გამოიყენება საუკეთესო შემოქმედებითი ხასიათის მქონე ნაწარმოების გამოსავლენად.

კონკურსის გამოცხადების შესახებ ცნობების გავრცელება წარმოებს საჯარო განცხადებით პრესის, რადიოს, ტელევიზიის და სხვა დაშვებული საშუალებებით. ამდენად, კონკურსის გამოცხადება, როგორც ცალმხრივი გარიგება, მიმართულია არა რომელიმე წინასწარ განსაზღვრული პირისადმი, არამედ პირთა განუსაზღვრელი წრისადმი (აქ იგულისხმება ღია კონკურსები), რაც საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

კონკურსის გამოცხადების უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ასევე სახელმწიფოსაც, ხოლო კონკურსში მონაწილე პირებად (მაძიებლად) შეიძლება გამოვიდნენ როგორც ცალკეული ფიზიკური პირები, ასევე ფიზიკური პირების გაერთიანებები (ავტორთა კოლექტივები და ა.შ.) და იურიდიული პირები.

იმისათვის, რათა გამოცხადებულ კონკურსს ჰქონდეს სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების ძალა და წარმოშვას შესაბამისი ვალდებულება, საჭიროა, რომ განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ შეიცავდეს ქონებრივი ხასიათის ჯილდოს (პრიზის) დაპირების პირობას. ხოლო რაც შეეხება წახალისების სხვა საშუალებებს, კერძოდ: მედლის, საპატიო სიგელის, დიპლომის მინიჭების დაპირებას, თუ იგი თან არ ერთვის ქონებრივი ხასიათის ჯილდოს, არ ხვდება მოცემული ინსტიტუტის სფეროში და არ წარმოშობს სამოქალაქო სამართლებრივ ვალდებულებას. საკონკურსო განცხადება ზუსტად უნდა განსაზღვრავდეს კონკურსის თემას,

შინაარსს და ამოცანას, კონკურსზე ნამუშევართა წარდგენის ადგილს და სამუშაოს შესასრულებლად განსაზღვრულ ვადას. საკონკურსო მასალა ჩაითვლება კონკურსის პირობებით დადგენილ ვადაში ჩაბარებულად, თუ იგი ჩაბარებულია დათქმულ ადგილზე გასაგზავნად, ანდა ჩაბარებულია პირადად არა უგვიანეს კონკურსის პირობებით დადგენილი ვადისა. კონკურსის პირობებში მითითებული ვადის დარღვევას მოჰყვება კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველ პირთა აცილება.

მუხლი 759. საკონკურსო პირობებში ცვლილების შეტანის დაუშვებლობა

დაუშვებელია საკონკურსო პირობებში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც ზიანს მოუტანს კონკურსის მონაწილეებს.

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან ირკვევა, რომ კანონი უშვებს კონკურსის პირობების შეცვლის შესაძლებლობას და არა გამოცხადებული კონკურსის გაუქმების შესაძლებლობას. კონკურსის არსიდან გამომდინარე, კონკურსის გამომცხადებელი პირის ვალდებულება აღმოცენდება ცალმხრივი ნების გამომჟღავნების საფუძველზე, ე.ი. წინადადება კონკურსის გამომცხადების შესახებ, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი უკვე კონკურსის გამომცხადების მომენტიდანვე ბოჭავს კონკურსის გამომცხადებელს, სახელდობრ, კონკურსის გამომცხადებელ პირს არა აქვს უფლება გააუქმოს იგი.

კანონმდებელი არ უშვებს საკონკურსო პირობებში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომელიც ზიანს მოუტანს კონკურსის მონაწილეებს. უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი კონკურსის პირობებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია კონკურსზე ნამუშევართა წარსადგენად დადგენილი ვადის პირველ ნახევარში, მანამდე სანამ კონკურსის მონაწილეები (მაძიებლები) შეუდგებიან კონკურსის პირობებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას და გასწ-

ევენ ამისათვის საჭირო ხარჯებს. კონკურსის პირობებში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც ზიანს მოუტანს კონკურსის მონაწილეებს, წარმოშობს კონკურსის გამომცხადებლის ვალდებულებას აუნაზღაუროს ზიანის შეფარდებითი ოდენობა კონკურსის იმ მონაწილეებს, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ შეასრულეს კონკურსის პირობებით გათვალისწინებული სამუშაო.

კონკურსის პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ უნდა ეცნობოს კონკურსის მონაწილეებს იმავე წესით, რა წესითაც გამოცხადდა კონკურსი ან სპეციალური შეტყობინების მეშვეობით.

მუხლი 760. კონკურსში გამარჯვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, უპასუხებს თუ არა კონკურსის პირობებს დათქმულ ვადაში წარმოდგენილი სამუშაო, ან რამდენიდან რომელია უკეთესი, იღებს კონკურსის გამომცხადების შესახებ განცხადებაში მითითებული პირი, ხოლო თუ ასეთი რამ არ არის აღნიშნული, — კონკურსის გამომცხადებელი.

კონკურსზე ნამუშევართა წარდგენის თავისებურება განპირობებულია კონკურსის ხასიათით, იგი შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, კერძოდ, მიღებული შედეგი შეიძლება ჩაბარდეს გარკვეული მატერიალური ფორმით (ეს იქნება ხელნაწერი, ნახატი, მაკეტი, პროექტი და ა.შ.), ანდა ფორმა შეიძლება გამოიხატოს კონკურსის მონაწილის ზეპირ შესრულებაში უშუალოდ კონკურსის დროს, ყიურის წინაშე, მაგრამ აუცილებელია, რომ დაცული იქნეს კონკურსის პროგრამითა და პირობებით გათვალისწინებული წესები, რაც წარმოშობს კონკურსის მომწყობის ვალდებულებას შეაფასოს წარმოდგენილი ნამუშევრები. ამ მიზნით კონკურსის გამომცხადებელი ქმნის სპეციალურ კომისიას (ყიურის), რომლის საშუალებითაც კონკურსის მომწყობი ახორციელებს თავის უფლებას, კონკურსზე წარმოდგენილ ნამუშევართაგან აირჩიოს საუკეთესო. როცა კონკურსს

აცხადებს ფიზიკური პირი (მაგალითად, მეცნიერების ან ხელოვნების ცნობილი მოღვაწის ქერიმა მონდომა მეუღლის საფლავზე ძეგლის დადგმა და ამ მიზნით გამოაცხადა კონკურსი), უფლება აქვს თვითონ შეაფასოს წარმოდგენილი ნამუშევრები, ამ შემთხვევაში არ არის გამორიცხული ნამუშევართა არაობიექტური შეფასება, მაგრამ კონკურსის გამომცხადებელი პირის მიერ, ისევე როგორც ჟიურის მიერ შემაფასებელი გადაწყვეტილების გამოტანა, კონკურსის წესითა და პირობებით გათვალისწინებული პუნქტების დარღვევის შემთხვევის გარდა სასამართლო გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კონკურსში გამარჯვებულ პირს (მაძიებელს) ჟიურის მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან ეძლევა პრიზის მიღების უფლება, ხოლო კონკურსის მომწყობს ეკისრება ვალდებულება შეასრულოს დაპირებული მოქმედება გადასცეს პრიზი (ჯილდო).

პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ე.წ. წამახალისებელი პრიზის გაცემის შემთხვევები. უმეტეს შემთხვევებში წამახალისებელი პრიზის გაცემას ითვალისწინებენ თვით კონკურსის პირობები. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის პირობებში წამახალისებელი პრიზი არ არის გათვალისწინებული, ხოლო ჟიურიმ წარმოდგენილ ნამუშევართა არასათანადო შესრულების გამო არ გასცა ყველა დადგენილი პრიზი, მას აქვს უფლება კონკურსის მომწყობთან შეთანხმებით გამოიტანოს გადაწყვეტილება წამახალისებელი პრიზების გაცემის შესახებ.

მუხლი 761. რამდენიმე პირის გამარჯვება კონკურსში

თუ სამუშაო, რომლისთვისაც დაწესებულია პრიზი, რამდენიმე პირმა შეასრულა, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება ჯილდოს საჯაროდ დაპირებისათვის გათვალისწინებული შესაბამისი წესები.

როგორც 761-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, თუკი რამდენიმე პირმა გაიმარჯვა კონკურსში, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება 757-ე მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი წესები.

კონკურსის არსიდან გამომდინარე, კონკურსის გამომცხადებელს უფლება აქვს დააწესოს პირველი, მეორე და მესამე ხარისხის პრიზები (ჯილდო), ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ორი პირის ნამუშევარი წარდგენილ იქნა პირველ ან შემდგომ პრემიაზე, პრიზი გაიყოფა თანაბარწილად (757-ე მუხლის მეორე პუნქტი). პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა პირველი და მეორე ხარისხის პრიზების თანხებს აერთებენ და გასცემენ თანაბარი ოდენობით ორ ავტორზე. ხშირად კონკურსში მონაწილეობას იღებენ როგორც ცალკეული პირები, ასევე ავტორთა კოლექტივები, კერძოდ, არქიტექტურული კონკურსების დროს. ამ შემთხვევაში, თუ ავტორთა კოლექტივის წევრებს შორის სხვა სახის შეთანხმება არ არსებობს, პრიზი ავტორთა შორის განაწილდება თანაბარწილად.

პრაქტიკაში ცნობილია პრიზების განაწილების სხვა წესებიც, ასე მაგალითად, თუ ორი თანაავტორია, პრიზი ნაწილდება თანაბრად, თუ სამი თანაავტორია და აქედან ერთ-ერთი ხელმძღვანელია, მაშინ პრიზი იყოფა ორად, ნახევარი ნაწილდება ორ ავტორს შორის, მეორე ნახევარი კი ეძლევა ხელმძღვანელს.

მუხლი 762. კონკურსზე წარდგენილი ნამუშევრების დაბრუნების წესი

კონკურსის გამომცხადებელი ვალდებულია დაუბრუნოს მის მონაწილეებს კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევრები, თუ საკონკურსო განცხადებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

კონკურსში მონაწილე იმ პირებისათვის, რომელთა ნამუშევრებიც არ იქნენ ცნობილნი პრიზის (ჯილდოს) ღირსად, უფლებები და ვალდებულებები წყდება ნამუშევართა უკან დაბრუნების მომენტიდან. ღია კონკურსის დროს ნამუშევრები უკან არ დაბრუნდება ორ შემთხვევაში – თუ კონკურსის პირობებში ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული და თუ კონკურსის თავისებურებიდან გამომდინარე ნამუშევართა უკან დაბრუნება შეუძლებელია, მაგალითად,

მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის დროს. აღნიშნული მოქმედებით კონკურსის მომწყობი ახორციელებს თავის საბოლოო ვალდებულებას, რის შემდეგაც წყდება საკონკურსო სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება დახურულ კონკურსზე წარდგენილ ნამუშევრებს (სამეცნიერო ნაშრომები, პროექტები და ა.შ.), ისინი მაძიებელს უკან არ უბრუნდება. ეს განპირობებულია იმით, რომ დახურული კონკურსის დროს ხდება კონკურსში მონაწილე პირთა შრომის ანაზღაურება (ასეთ კონკურსებს ატარებენ იურიდიული პირები), ხოლო კონკურსის მომწყობი პირს აქვს აღნიშნული ნამუშევრით სარგებლობის უფლება. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ კონკურსში მონაწილე პირი (მაძიებელი) კონკურსის მომწყობს უთმობს თავისი შრომის შედეგზე საკუთრების უფლებას, მაგრამ თვითონ ინარჩუნებს საავტორო უფლებას. კონკურსის მომწყობი ნამუშევრის გამოყენების შემთხვევაში ვალდებულია მიუთითოს ნამუშევრის ავტორზე.

თავი მეთორამეტი

მიმბარება

მუხლი 763. ცნება

მიმბარების ხელშეკრულებით შემნახველი კისრულობს, შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი.

1. მიმბარების ხელშეკრულებით ერთი მხარე (შემნახველი) კისრულობს, შეინახოს მეორე მხარის, მიმბარებლის, მიერ მისთვის მიმბარებული ნივთი და დაუბრუნოს იგი დაუზიანებლად და უკლებლად. ხელშეკრულების საგანი ნივთის შენახვისათვის მომსახურების გაწევაა, რაც შემნახველის მიერ ამ ნივთზე კონტროლის დაწესებასა (დაცვასა) და მის მოვლა-პატრონობაში გამოიხატება.

2. შენახვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეებია მიმბარებე-

ლი და შემნახველი. როგორც მიმბარებელი, ისე შემნახველი შეიძლება იყოს იურიდიული პირიც და ფიზიკური პირიც. მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა ამ მხრივ ძირეული გარდატეხა მოახდინა. საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსით იურიდიული პირი შემნახველის როლში მხოლოდ მაშინ გამოდიოდა, როცა ნივთის შენახვა მის ძირითად ან დამატებით საქმიანობას წარმოადგენდა და ეს მისი წესდებით იყო გათვალისწინებული. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, ამავე კოდექსის თანახმად, უფლება პქონდათ, უსასყიდლოდ მიეღოთ შესანახად მათთვის მიბარებული ნივთი. ცალკეულ შემთხვევაში ხელშეკრულება შეიძლება სასყიდლიანიც ყოფილიყო, მაგრამ მას სისტემატური ხასიათი არ უნდა პქონოდა და ნივთის სასყიდლიანი შენახვა ფიზიკურ პირს პროფესიად არ უნდა გაეხადა. მოქმედი სამოქალაქო კოდექსი კი სრულიად თავისუფალია ასეთი შეზღუდვებისაგან.

შემნახველი საწარმოები შეიძლება არსებობდნენ შემნახველი საკნების, სასაქონლო საწყობების, საეაჭრო-სასაქონლო საწყობების, ელევატორების, მაცივრების, პორტებში და რკინიგზისპირა მისაღებ-გამანაწილებელი საწყობებისა და სხვა მსგავსი საწარმოების სახით, რომელთა შექმნის, ფუნქციონირებისა და ლიკვიდაციის წესი განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და მეწარმეთა შესახებ კანონებით.

ქონების შესანახად გადაცემას უპირველესად მისი მესაკუთრე განახორციელებს, მაგრამ არ იქნება სწორი, რომ ასეთი უფლება მხოლოდ მესაკუთრისათვის მიგვეცა. მიმბარებლის უფლებამოსილება მესაკუთრის თანაბრად უნდა ეკუთვნოდეს არამესაკუთრესაც, რომელიც ამ ქონების მფლობელია.

3. ობიექტის შესახებ იხილეთ კოდექსის 777-ე მუხლის კომენტარები.

4. ტრადიციულად შენახვა განიხილება როგორც რეალური ხელშეკრულება. როცა რომის სამართალი შენახვას განიხილავდა როგორც რეალურს და მხოლოდ რეალურ ხელშეკრულებას, მას

თავისი გამართლება ჰქონდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ნივთის შესანახად გადაცემას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, არ არსებობდა პროფესიონალი შემნახველი, ხოლო პირი, რომელსაც ნივთის დროებით შენახვის აუცილებლობის საჭიროება წარმოეშობოდა, მას მისსავე ახლობელს მიბარებდა. მათი დამოკიდებულება ურთიერთნდობაზე იყო დამყარებული და, ბუნებრივია, შემნახველს ნივთის შესანახად მიღებამდე ვერ დაეკისრებოდა მოვალეობა, რომ მომავალში მიეღო ნივთი შესანახად. ეს წესია დღესაც დაკანონებული მრავალ ქვეყანაში — გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა.

თანამედროვე საზოგადოებაში ახალი სახის საქონელბრუნვამ დღის წესრიგში დააყენა სპეციალური სასაქონლო საწყობების მოწყობის აუცილებლობა. იმისათვის, რომ საქონლის მესაკუთრე გარანტირებული იყოს სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დროული დაბინავებით, ის, როგორც წესი, წინასწარ უთანხმდება და დებს ხელშეკრულებებს შემნახველთან, რომელიც თავის მხრივ ვალდებულებას კისრულობს, რომ საქონელი მომავალში დათქმულ დროს მიიღოს შესანახად. ეს ვალდებულება კი სხვა არაფერია, თუ არა ხელშეკრულების კონსენსუალური სახე.

5. სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის მეთვრამეტე თავში, სადაც განხილულია მიბარება-შენახვის ხელშეკრულება, არაფერია ნათქვამი ამ ხელშეკრულების ფორმაზე. კოდექსში არაფერია ასევე ნათქვამი ხელშეკრულების სავალდებულო ფორმაზე და მის დანიშნულებაზე, როცა ეს მოძრავ ნივთს ეხება. ამიტომ სასამართლომ დავის დროს სამართლის ზოგადი პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს. კოდექსის 18-ე მუხლის თანახმად, რაკი კანონით არ არის დადგენილი შენახვის ხელშეკრულების ფორმა, უპირატესად ის მხარეებმა უნდა განსაზღვრონ. მხარეებმა შეიძლება გამოიყენონ ხელშეკრულების როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმა.

არცთუ იშვითად ნივთის მიბარება და შენახვა ხდება ე.წ. კონკლუდენტური მოქმედებით, როცა თვით მოქმედებაში გამოიხატება კონტრაქტის ნება, იყოს ხელშეკრულების მონაწილე. კონკლუ-

დენტური მოქმედებით შენახვის ხელშეკრულების დადებას აქვს ადგილი, როცა მიმბარებელი ავტომატურ შემნახველ საკანში მოათავსებს ნივთს.

შენახვის ხელშეკრულების ფაქტის ლეგიტიმაცია გამოიხატება წარმოება-დაწესებულებაში მოწყობილ გარდერობებში ხანმოკლე დროით ტანსაცმლის შენახვისას, როცა ამ ხელშეკრულების დასადასტურებლად შემნახველი სანომრე ნიშანს გასცემს. სანომრე ნიშანი დადასტურებაა ასევე, რომ ხელშეკრულება დაიდო კონკრეტულ შემნახველთან, ხოლო მიმბარებლად ჩაითვლება სანომრე ნიშნის მფლობელი. ამიტომ შემნახველს არ ევალება, შეამოწმოს სანომრე ნიშნის მფლობელის უფლება მისაღებ ნივთზე. როცა ნივთის შესანახად მიბარება აუცილებლობით არის გამოწვეული, (ხანძრის, წყალდიდობის, მიწისძვრის, ზვავისა და მისთ.), მიმბარებელს არა აქვს შესაძლებლობა, ამოირჩიოს შემნახველი და დადოს წერილობითი ფორმის ხელშეკრულება (აუცილებლობით გამოწვეული შენახვის შესახებ იხ. 778-ე მუხლის კომენტარი).

შენახვის ზეპირი ფორმის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ასევე, როცა მიბარებული ნივთი უმნიშვნელო ღირებულებისაა და შენახვისათვის სასყიდელი არ არის გათვალისწინებული.

6. მიბარება-შენახვის ურთიერთობის არსის სრული ახსნისათვის საჭიროა იგი გავმიჯნოთ დაცვის ხელშეკრულებისაგან, რადგან მათ შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ ხშირად ერთ და იმავე ურთიერთობად აღიქმება. როგორც ერთი, ისე მეორე ურთიერთობისათვის დამახასიათებელია მომსახურება და სწორედ მომსახურების გარეგნული ერთფეროვნება აქცევს მათ მომიჯნავე ურთიერთობად.

შემნახველის მოვალეობა, შეინახოს მიბარებული ნივთი, ორი სახის მომსახურებისაგან შესდგება. მომსახურების ერთი სახე მდგომარეობს იმაში, რომ შემნახველს ევალება შექმნას შესანახი ობიექტის შენახვისათვის ნორმალური პირობები – ჩაატაროს ტექნოლოგიური პროცესები, საცავში შეინარჩუნოს საჭირო ტემპერატურა და სხვა. მომსახურების მეორე სახე კი გულისხმობს, რომ შესანახ

ობიექტზე შემნახველმა კონტროლი უნდა დააწესოს, რათა გარეშე ძალის მიერ არ მოხდეს მისი დატაცება და გარეგნული დაზიანება.

თუ მიბარება-შენახვის ხელშეკრულებით შემნახველი ვალდებულია, დასახელებული ორივე სახის მომსახურება შეასრულოს, დაცვის ხელშეკრულებით მცველი (დარაჯი) ობიექტზე მხოლოდ კონტროლს დააწესებს, რათა არ მოხდეს დატაცება და გარეგნული დაზიანება. მეორე განმასხვავებელი თავისებურება ამ ორ ურთიერთობას შორის ის არის, რომ შენახვის ობიექტი ჩვეულებრივ მოძრავი ნივთია და შესანახად გადაცემასთან ერთად, ის შემნახველის მფლობელობაში გადადის მაშინ, როდესაც დაცვის ობიექტი უძრავი ნივთია და ობიექტის დაცვით მისი მფლობელი არ იცვლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო წესისაგან განსხვავებით, როგორც გამონაკლისი, შენახვის ხელშეკრულების ობიექტი შეიძლება უძრავი ნივთიც იყოს. ეს ის შემთხვევაა, როცა დავის ობიექტზე სეკვესტრი არის დაწესებული. ბოლო დროს სპეციალურ ლიტერატურაში დაცვის ობიექტის თავისებურებასაც აღნიშნავენ და მიიჩნევენ, რომ დაცვის ობიექტი შეიძლება ფიზიკური პირიც იყოს. კერძოდ, როცა ბადრაგი პატიმრის დაცვას ახორციელებს.

მუხლი 764. მიბარების საზღაური

1. მიბარება უსასყიდლოა, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ შემნახველი ახორციელებს შენახვას სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად ჩაითვლება.

2. თუ საზღაურის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ ტარიფების არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო ტარიფების არარსებობისას – ჩვეულებრივი საზღაური.

1. სამოქალაქო კოდექსის 764-ე მუხლის თანახმად მიბარება-შენახვის ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც უსასყიდლო, ისე

სასყიდლიანი. როგორც წესი, უსასყიდლო მიზნების ხელშეკრულება დაიდება როცა ფიზიკურ პირს – მიმბარებელს – უმნიშვნელო ღირებულების ნივთის დროებით მიბარების საჭიროება წარმოემობა და მას თავისსავე ახლობელს მიბარებს. უსასყიდლოა ასევე ხელშეკრულება წარმოება-დაწესებულებაში მოწყობილ გარდერობებში ზედა ტანსაცმლის შენახვასთან დაკავშირებით და მისთანები.

2. მხარეთა შეთანხმებით ნებისმიერი შენახვის ხელშეკრულება შეიძლება იყოს სასყიდლიანი. ნივთის შენახვისათვის საზღაურის გადახდევინების შესახებ, ე.ი. იმის შესახებ, ხელშეკრულება სასყიდლიანია თუ უსასყიდლო, მიმბარებელი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული. როცა შემნახველის საქმიანობის შინაარსისა და მიზნებიდან გამომდინარე ხელშეკრულების სასყიდლიანობა ეჭვს არ იწვევს, ანუ, როცა საქონლის შენახვა შემნახველის კომერციული საქმიანობაა, სპეციალური შეთანხმების გარეშეც ივარაუდება, რომ ხელშეკრულება დადებულია საზღაურის გადახდევინების ვალდებულებით. როცა საზღაურის ოდენობა მხარეებს არც ტარიფით და არც ხელშეკრულებით არა აქვთ გათვალისწინებული, მისი ოდენობა საბაზრო ფასით განისაზღვრება.

შენახვის ხელშეკრულების ფასი შეიძლება მხარეთა შეთანხმებით ან მტკიცედ ფიქსირებული ნიხრით (ტარიფით) იყოს განსაზღვრული. როცა შენახვის ფასი მხარეთა შეთანხმებითაა გათვალისწინებული, ის ხშირად ცვლილებას განიცდის. ისევე, როგორც საერთოდ საქონლის საბაზრო ღირებულების ცვალებადობა, შენახვის ხელშეკრულების საზღაურის ცვალებადობაც ძირითადად გამოწვეულია მიწოდება-მოთხოვნილების ფაქტობრივი თანაფარდობით. შენახვის ფასის გაზრდის შესახებ მიმბარებელს წინასწარ უნდა ეცნობოს და საჭირო შემთხვევაში ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის მიეცეს გონივრული ვადა.

3. ნაკლებად ცვალებადია შენახვის ხელშეკრულების ფასი, როცა ის მტკიცედ ფიქსირებული ნიხრით არის დადგენილი. ნიხრი სხვადასხვა ნიშნით ხასიათდება და განპირობებულია დროის ფაქ-

ტორით, შესანახი ნივთის მოცულობითა და ღირებულებით, მომსახურების ხასიათითა და სხვა თვისებებით. მაგალითად, ბარგის შემნახველ საკნებში შენახვის ფასი შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს იქნება ნივთი იქ შენახული. ავტომატურ შემნახველ საკნებში (კამერებში), სადაც გარკვეული ტევადობის ბარგის შენახვაა შესაძლებელი, მიმბარებელი წინასწარ გადაიხდის დადგენილ ნიხრს და ყოველგვარი ვადის შეზღუდვის გარეშე იქნება ნივთი შენახული. ე.ი. ამჯერად შენახვის ფასი ავტომატური საკნის (კამერის) ტევადობაზეა დამოკიდებული.

4. შენახვის ხელშეკრულების საზღაური უნდა განვასხვაოთ შენახვის ხარჯებისაგან. თუ შენახვის საზღაურში უპირატესად შემნახველის მომსახურება იგულისხმება, შენახვის ხარჯები შემნახველის მიერ ნივთის შენახვასთან დაკავშირებული დამატებით გაწეული მატერიალური დანახარჯებია. ეს ხარჯები შეიძლება იყოს: 1. ჩვეულებრივი ანუ ნივთის შენახვით გამოწვეული აუცილებელი ხარჯები. მაგალითად, ხორცის დიდი პარტიებით შენახვა აუცილებლად მოითხოვს მის მაცივარში მოთავსებას. ამიტომ სამაცივრო სისტემის გამართულ მდგომარეობაში ყოფნისა და მისი მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები აუცილებელ ხარჯებს უნდა მიეკუთვნოს. 2. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ე.ი. ხარჯები, რომელიც აღემატება ჩვეულებრივ ხარჯებს და რის გათვალისწინებაც მხარეებს არ შეუძლიათ ხელშეკრულების დადების დროს. გაუთვალისწინებელი ხარჯებია მაგალითად: წყალდიდობის დროს ნივთის გადასარჩენად შემნახველის მიერ გაწეული ხარჯები. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევისას ხარჯები მიმბარებლის მიერ უნდა იყოს ანაზღაურებული.

5. სასყიდლიანი ხელშეკრულების დადების დროისათვის მხარეებისათვის წინასწარაა ცნობილი ნივთის შენახვაზე გასაწევი აუცილებელი ხარჯები. ამიტომ, როგორც წესი, შენახვის საზღაურში აუცილებელი ხარჯებიც იგულისხმება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

უსასყიდლო შენახვის ხელშეკრულებისათვის, მართალია, მიმ-

ბარებელს შენახვის საზღაური (ფასი) არ გადახდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის აუცილებელი ხარჯების გადასახადისაგანაც გათავისუფლდება. აუცილებელი ხარჯების ოდენობასა და გადახდის წესზე მხარეები უნდა შეთანხმდნენ. მაგალითად, შეიძლება მეზობელმა მეზობელს ძროხა მიაბაროს უსასყიდლოდ და მის მოვლაში საზღაური არ გადაიხადოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ძროხის კვებაზე გაწეული ხარჯებიც არ გადაიხადოს.

6. ნივთის შენახვასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი ხარჯები საერთოდ და მისი ოდენობა ამ ხარჯების ბუნების გამო მხარეებისათვის უცნობია თვით ამ ხარჯების გამომწვევ გარემოებათა დადგომამდე და სამუშაოს ჩატარებამდე. ამიტომ მხარეების მიერ ის წინასწარ ვერ იქნება გათვალისწინებული, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მიმბარებლის ვალდებულებას, აანაზღაუროს გაუთვალისწინებელი ხარჯები, თუ მიმბარებელმა ამ ხარჯების გაღებაზე თანხმობა მისცა შემნახველს ან, თუ იგი მოიწონებს შემნახველის მიერ გაწეულ სამუშაოს.

თავის მხრივ შემნახველი ვალდებულია, აცნობოს მიმბარებელს გაუთვალისწინებელი ხარჯების გაღების შესახებ. პასუხის დროულად მიუღებლობის შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს, რომ მიმბარებელი თანახმაა ამ ხარჯების გაღებაზე და ბოლოს, როცა შემნახველი მიმბარებლის ნებართვის გარეშე მოქმედებდა, მაგრამ ამ ხარჯების გაღება აუცილებლობით იყო გამოწვეული და იგი მოქმედებდა მეურნის კეთილსინდისიერებით, შემნახველს მის მიერ გაწეული გაუთვალისწინებელი ხარჯები უნდა აუნაზღაურდეს, მაგრამ მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მოსალოდნელი ზარალის მოცულობას.

მუხლი 765. შემნახველის მოვალეობა უსასყიდლო მიმბარებლისას

თუ მიმბარება უსასყიდლოა, მაშინ შემნახველი ვალდებულია ისეთივე კეთილსინდისიერებით შეინახოს ნივთი, როგორითაც საკუთარ ნივთს შეინახავდა.

1. ნივთის შესანახად მიღებისთანავე შემნახველს ეკისრება მისი შენახვის ვალდებულება. თავის მხრივ „შენახვა“ ორგვარი გაგებით ხასიათდება: 1. შენახვა, როგორც ნივთის დაცვა, რაც გულისხმობს, რომ შემნახველმა წინასწარ უნდა შექმნას იმის პირობები, რომ მიბარებული ნივთი არ დაიკარგოს, არ მოხდეს მისი გაქურდვა და დატაცება რაიმე გზით, უზრუნველყოფილი იყოს მისი დაცვა იმდაგვარად, რომ არ მოხდეს მისი დაზიანება და ხარისხის შემცირება მესამე პირის მიერ არამართლზომიერი მოქმედებით; 2. შენახვა, როგორც ნივთის შენახვისათვის ნორმალური პირობების შექმნა. აქედან გამომდინარე შემნახველსაც ევალება ნივთის შენახვის როგორც ერთი, ისე მეორე პირობის შესრულება.

2. შემნახველი ვალდებულია, კეთილსინდისიერად განახორციელოს ნივთის შენახვასთან დაკავშირებული ვალდებულებები. მან ყველა აუცილებელი საშუალება უნდა იხმაროს ნივთის შენახვის ნორმალური პირობების შესაქმნელად. იმისათვის რომ არ დაზიანდეს და არ გაუარესდეს ნივთის ხარისხი, უნდა ჩაატაროს პროფილაქტიკური ღონისძიებები. პროფესიონალი შემნახველი, რომელიც, მაგალითად, მარცვლეულის შენახვას ახდენს, ვალდებულია, საწყობი მოაწყოს და მარცვლეული შეინახოს თანამედროვე ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, ღვინის მარნებში უნდა დაიცვან ტექნოლოგიური პროცესები, მაცივრებმა – აუცილებელი ტემპერატურა და ა.შ.

შემნახველი ვალდებულია, მიმბარებელს წინასწარ გააცნოს ნივთის შენახვის პირობები, შენახვის პროცესში კი საშუალება მისცეს, დაათვალიეროს და შეამოწმოს შენახვის პირობები, აიღოს სინჯი. ნივთის შენახვის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად შემნახველი ვალდებულია, საჭირო შემთხვევაში, შეცვალოს შენახვის პირობები (შენახვის წესის შეცვლასთან დაკავშირებით იხ. 768-ე მუხლის კომენტარები).

3. ამრიგად, შემნახველმა შესანახი ნივთისადმი კარგი მეურნისათვის დამახასიათებელი მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს. ასეთი

პრინციპი აღიარებულია მრავალი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსებით; ამასთან, მკვეთრად უნდა განვასხვაოთ სასყიდლიანი შენახვის დროს შემნახველის ვალდებულება უსასყიდლო შენახვის დროს შემნახველის ვალდებულებისაგან. თუ სასყიდლიანი შენახვის დროს შემნახველი ვალდებულია ყველა საშუალება იხმაროს ნივთის ნორმალური შენახვისათვის და ე.ი. იყოს კარგი მეურნე, უსასყიდლო შენახვის დროს შემნახველს ეკისრება იმგვარადვე იზრუნოს მისთვის შესაძლებელ მიზარებულ ნივთზე, როგორც საკუთარზე. ამიტომ ნივთის შენახვისათვის მას სპეციალური პირობების (წესის) შექმნა არ ევალება, თუ საკუთარის მიმართ არ იყენებს ნივთის შენახვის სპეციალურ პირობებს. ამასთან უნდა ვივარაუდოთ, რომ შემნახველი მისი საკუთარი ნივთის მოვლა-პატრონობისათვის მინიმალურ მზრუნველობას მაინც იჩენს. ამიტომ შემნახველი მიზარებული ნივთის სრული მოუვლელობისათვის პასუხს აგებს მიზარებლის წინაშე იმის მიუხედავად, რომ მისი საკუთარი ნივთის მიმართაც ასეთ გულგრილობას იჩენს.

4. შემნახველის ერთ-ერთ მოვალეობად უნდა იყოს მიჩნეული ხელშეკრულების საიდუმლოების დაცვა. არცთუ იშვიათად მიმზარებელი დაინტერესებულია, არ განხმარდეს მის მიერ ნივთის შესანახად გადაცემა. სრული გარანტიისათვის კი შეიძლება შეფუთული ან დალუქული სახითაც ჩააბაროს იგი შემნახველს. შემნახველი კი უნდა მოქმედებდეს მიზარებლის ინტერესების დასაცავად და იცავდეს მესამე პირის მიმართებაში ხელშეკრულების საიდუმლოებას. უფრო მეტიც, თვით შემნახველსაც არ უნდა ჰქონდეს უფლება, გახსნას შეფუთულ ან დალუქულ მდგომარეობაში მიზარებული ნივთი. ამავე პრინციპიდან გამომდინარე იგი მოვალეა, მიზარებელს აცნობოს ნივთზე ყადაღის დადების შესახებ და მესამე პირის ყოველგვარი პრეტენზიები. ამასთან, სხვა პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით შემნახველს უნდა დაეკისროს ვალდებულება, მიზარებლის მიმართ სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სარჩელის აღძვრის შემდეგ საგამოძიებო და სასამართლო

ორგანოებს მათი მიმართვის საფუძველზე აცნობოს ნივთის შენახვის ხელშეკრულების შესახებ.

5. შემნახველი მიბარებულ ნივთს ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს და იგი ამ ნივთის ტიტულოვანი მფლობელია. ამიტომ, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნივთი მისი მფლობელობიდან არამართლზომიერი გზით გამოვიდა, იგი უფლებამოსილია და ვალდებულიცაა, დაიცვას მისივე მფლობელობა და მოითხოვოს უკანონო მფლობელიდან ნივთის გამოთხოვა (სამოქ. კოდექსის 161-ე მუხლი).

მუხლი 766. მესამე პირისათვის ნივთის გადაცემის დაუშვებლობა

1. შემნახველს არა აქვს უფლება ნივთი შესანახად გადასცეს მესამე პირს მიმბრებლის თანხმობის გარეშე.

2. თუ მესამე პირისათვის შესანახად გადაცემა თანხმობით მოხდა, მაშინ შემნახველი პასუხს აგებს მხოლოდ იმ ბრალისათვის, რომელიც მას მიუძღვის მესამე პირის ან შენახვის ადგილის არჩევაში.

1. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შემნახველი ვალდებულია პირადად შეინახოს მისთვის მიბარებული ნივთი. მიმბარებელი ჩვეულებრივ დაინტერესებულია ნივთი შეინახოს შემნახველთან, რომელსაც მისი შენახვის უკეთესი პირობები აქვს, აქვს ამ საქმიანობის დიდი გამოცდილება, გამოირჩევა სამუშაოს შესრულების კეთილსინდისიერებით და სხვა დადებით თვისებებით. ზოგჯერ კი მიმბარებლის არჩევანი ნივთის რეკლამისათვის არის გამიზნული და ამიტომ შემნახველს არა აქვს უფლება, მიმბარებლის ნებართვის გარეშე მიბარებული ნივთის შენახვა მესამე პირს გადაანდოს.

2. გამონაკლის შემთხვევაში, მიმბარებლის ინტერესებიდან გამომდინარე, შემნახველი უფლებამოსილია მიბარებული ნივთის შენახვა მესამე პირს გადაანდოს, თუ ეს სხვადასხვა გარემოებათა

იძულებითაა გამოწვეული და შემნახველი მოკლებულია შესაძლებლობას, მიმბარებლისაგან მიიღოს ნებართვა. ასეთ გარემოებად, როგორც წესი, დაუძლეველი ძალა უნდა ვიგულისხმოთ. მესამე პირისათვის ნივთის შესანახად გადანდობის შესახებ შემნახველმა მიმბარებელს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს.

მიმბარებლის ნებართვის გარეშე მესამე პირისათვის ნივთის შესანახად გადაცემის შემთხვევაში პირვანდელ შემნახველსა და მიმბარებელს შორის არსებული ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და პირვანდელი შემნახველი ისევეა პასუხისმგებელი მესამე პირის ქმედებისათვის, როგორც საკუთარი მოქმედებისათვის.

3. თუ ნივთის მესამე პირისათვის შესანახად გადაცემა მიმბარებლის თანხმობით მოხდა ან შემდგომ იქნა იგი მოწონებული, მაშინ პირვანდელი შემნახველი პასუხს აგებს მხოლოდ იმ ბრალისათვის, რაც მას მიუძღვის მესამე პირის ან შენახვის ადგილის არჩევაში. ეს კი გულისხმობს, რომ თუ მიმბარებული ნივთის დაკარგვა, დანაკლისი ან დაზიანება მესამე პირის (ახალი შემნახველის) ბრალეული მოქმედებით ან ადგილმდებარეობით არის გამოწვეული, მიმბარებლის წინაშე პასუხს აგებს პირვანდელი შემნახველი.

მუხლი 767. მიმბარებელი ნივთით სარგებლობის დაუშვებლობა

შემნახველს არა აქვს უფლება ისარგებლოს მისთვის მიმბარებული ნივთით მიმბარებლის თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ნივთის შენახვისათვის მისით სარგებლობა აუცილებელია.

1. საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 430-ე მუხლში იმპერატიულად იყო განცხადებული, რომ მიმბარებლის ნებართვის გარეშე შემნახველს არ ჰქონდა უფლება, ესარგებლა მისთვის შესანახად გადაცემული ნივთით. ეს პრინციპი ხშირად ხდებოდა მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა დავის საგანი. ამ დავას წერტილი დაუსვა ახალმა ქართულმა სამო-

ქალაქო კოდექსმა, რომლის 767-ე მუხლი შემნახველს ანიჭებს უფლებას, მიმბარებლის ნებართვის გარეშე ისარგებლოს ნივთით, რომლის შენახვისათვის მისით სარგებლობა აუცილებელია.

2. კომენტირებულ მუხლში მითითებას ნივთით სარგებლობის აუცილებლობის შესახებ ორგვარი გაგება ახასიათებს – როცა ნივთით სარგებლობა მის განადგურებას ან მისი თვისებებისა და ღირებულების შემცირებას არ იწვევს და როცა ნივთის ხარისხისა და თვისებების შესანარჩუნებლად მისით სარგებლობა აუცილებელია. ჯერ კიდევ გ. შერშენევიჩი, გამოჩენილი რუსი ცივილისტი აღნიშნავდა, რომ „ამ ვალდებულების დარღვევა (მხედველობაშია შემნახველის ვალდებულება მიმბარებლის ნების გარეშე არ ისარგებლოს მიმბარებელი ნივთით) არ გამოიწვევს არავითარ შედეგს, თუ მიმბარებელი ვერ შეძლებს დამტკიცებას, რომ შეილახა მისი უფლებები, როცა მაგალითად, შემნახველმა წაიკითხა შესანახად მიმბარებული წიგნი“ და ბუნებრივად იბადება პასუხი, რომ მიმბარებელი წიგნის წაკითხვის უფლების აკრძალვა არავითარი აუცილებლობით არ არის გამოწვეული. მეორე შემთხვევაში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ის შემთხვევაა, როცა მიმბარებელი ნივთის ხარისხისა და თვისებების შენარჩუნებისათვის მისით სარგებლობა აუცილებელია. შეიძლება იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ასეთი ნივთები. მაგალითად, ავტომანქანის დამუხტული აკუმულატორული ბატარეა ვადაძღე გამოვა მწყობრიდან, თუკი შესაბამისად არ ვისარგებლეთ მისით.

ამრიგად, საერთო წესის მიხედვით შემნახველს არა აქვს უფლება მიმბარებლის ნებართვის გარეშე ისარგებლოს მისთვის მიმბარებული ნივთით, მაგრამ აქვე უნდა დავუშვათ გამოწკლისი, როცა ნივთით სარგებლობა არ გამოიწვევს მის განადგურებას ან მისი თვისებებისა და ღირებულების შემცირებას.

3. შემნახველის მიერ მიმბარებლის თანხმობით მიმბარებული ნივთით სარგებლობა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება იყოს სასყიდლიანიც და უსასყიდლოც. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას

ნივით სარგებლობა უსასყიდლოა, თუ მიბარების ხელშეკრულება უსასყიდლოა, და ნივით სარგებლობა სასყიდლიანი იქნება, თუ ძირითადი მიბარების ხელშეკრულება სასყიდლიანია.

მუხლი 768. ნივთის შენახვის წესის შეცვლა

შემნახველს უფლება აქვს აუცილებლობის შემთხვევაში შეცვალოს ნივთის შენახვის წესი. ამის თაობაზე მან უნდა აცნობოს მიმბარებელს. შემნახველმა ასევე უნდა აცნობოს მიმბარებელს მიბარებულ ნივთზე მესამე პირთა მოთხოვნების შესახებ.

1. შემნახველის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას ნივთის შენახვის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა შეადგენს, რაც გულისხმობს: ნივთი სად და რომელ საწყობში ინახება, როგორ არის აღჭურვილი, აკმაყოფილებს თუ არა კონკრეტული ნივთის შენახვისათვის საჭირო ტექნოლოგიურ პირობებს, როგორ არის ორგანიზებული დაცვა და ა.შ. როგორც წესი, მხარეები ნივთის შენახვის პირობებზე წინასწარ უნდა იყვნენ შეთანხმებულები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მიმბარებელი თანახმაა შენახვის იმ პირობებზე, რა პირობებიც არის შემნახველ საწყობში (საკანში), სადაც მან ნივთი მიიბარა.

2. იმის გასარკვევად, ნივთის შენახვის პირობების შეცვლისას არის თუ არა საჭირო მიმბარებლის თანხმობა, ორ გარემოებაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: 1) როცა ნივთის შენახვის პირობების შეცვლა თვით ამ პირობების შეცვლითაა გამოწვეული, მაგალითად, შემნახველ საკანში შეიცვალა ტემპერატურა, მაგრამ ნივთს ხარისხის გაუარესების რეალური საფრთხე არ ემუქრება. ასეთ შემთხვევაში შემნახველი ვალდებულია აცნობოს მიმბარებელს პირობების შეცვლის თაობაზე და დაელოდოს მის ნებართვას და 2) როცა შენახვის პირობების შეცვლა აუცილებლობითაა გამოწვეული და ნივთის დაკარგვას, დაზიანებას და ხარისხის გაუარესებას რეალური საფრთხე ემუქრება. ამ შემთხვევაში კი შემნახველი

უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეცვალოს ნივთის შენახვის პირობები და ამის შესახებ ერთდროულად აცნობოს მიმბარებელს.

3. როცა ნივთის შენახვის დროს მისი გაფუჭების ან ხარისხის გაუარესების რეალური საფრთხე წარმოიშობა, ან თუ ნივთმა უკვე დაიწყო გაფუჭება და შენახვის პირობების შეცვლა შეუძლებელია, ან უშედეგოა, ხოლო მიმბარებლის მხრივ კონკრეტული ზომების მიღება არ არის მისალოდნელი, შემნახველი ვალდებულია მოაწყოს ვაჭრობა. თუ ნივთის გაფუჭებაში შემნახველს ბრალი არ მიუძღვის, უფლებამოსილია მოითხოვოს ვაჭრობის მოწყობაში გაწეული ზარჯების ანაზღაურება.

4. შემნახველი ვალდებულია, მიმბარებელს აცნობოს მიმბარებულ ნივთზე სხვა პირთა მოთხოვნების შესახებ. ეს დებულება შემნახველის საერთო ვალდებულებებიდან გამომდინარეობს, რომ მოქმედებდეს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ინტერესებიდან გამომდინარე და იცავდეს მას სხვა პირის ყოველგვარი ხელყოფისაგან.

მუხლი 769. ნივთის თვისებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

მიმბარებელმა უნდა აუნაზღაუროს შემნახველს შესანახად მიმბარებული ნივთის თვისებების გამო მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მან ამ ნივთის საფრთხის შემცველი თვისებების შესახებ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა.

1. თანამედროვე პირობებში ნივთი შესანახად გადაეცემა შემნახველს, რომლისთვისაც ნივთის შენახვა ძირითად ან დამატებით საქმიანობას შეადგენს. ამიტომ ნივთი სპეციალურ საცავებში შეინახება სხვა ნივთებთან ერთად, ხოლო გვაროვნული ნივთი სხვა ერთგვაროვან ნივთთან შეიძლება შერეულიც იყოს. აქედან გამომდინარე, ყველა მიმბარებელი კეთილსინდისიერად უნდა ზრუნავდეს, რომ მისმა ნივთმა სხვას ზიანი არ მიაყენოს. შესაბამისად, მიმბარებლის უპირველეს ვალდებულებად უნდა ჩაითვალოს, რომ მის მიერ შესანახად გადაცემული ნივთი იყოს ჯანმრთელი და თვისობრივად

უვნებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმბარებელი ვალდებულია, ამის შესახებ შემნახველს აცნობოს.

2. ნიეთი, რომელმაც მისი თვისებების გამო მის გარშემო მყოფთ (ცოცხალ არსებას ან ნიეთს) ზიანი შეიძლება მიაყენოს, მრავალგვარია; უპირველესად კი მას საშიში ქიმიური ნიეთიერებები განეკუთვნება. საშიში ქიმიური ნიეთიერებების ჩამონათვალსა და მის შენახვის წესს განსაზღვრავს კანონი საშიში ქიმიური ნიეთიერებების შესახებ.

ამონაკრები კანონიდან „საშიში ქიმიური ნიეთიერებების შესახებ“

მუხლი 2. ტერმინების განმარტება

გ) საშიში ქიმიური ნიეთიერებები – ნიეთიერებები და პრეპარატები, რომლებიც მკვნი ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე და მიეკუთვნებიან ტოქსიკურობისა და საშიშროების შემდეგ კლასებს:

გ.ა.) ფეთქებადი ნიეთიერებები და პრეპარატები მყარ, თხევად, პას-ტისმაგვარ ან ლაბისებრ მდგომარეობაში, რომლებიც იწვევენ ეგზოთერმულ რეაქციას ატმოსფერული ჟანგბადის გარეშე და სწრაფად გამოყოფენ გაზებს, დეტონირებენ, ადვილად ააღდებიან ან ფეთქებიან ნაწილობრივ დახშულ პირობებში გახურებით;

გ.ბ.) დამჟანგავი ნიეთიერებები და პრეპარატები, რომლებიც იწვევენ ძლიერ ეგზოთერმულ რეაქციას სხვა ააღებად ნიეთიერებებთან შეხებისას;

გ.გ.) უკიდურესად ააღებადი ნიეთიერებები და პრეპარატები, რომლებსაც აქვთ დაბალი ააღების და დულილის წერტილები, ააღებიან ჰაერთან შეხებისას ოთახის ტემპერატურასა და ნორმალურ ატმოსფერულ წნევაზე;

გ.დ.) ადვილად ააღებადი ნიეთიერებები და პრეპარატები;

გ.დ.ა.) ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ცხელდებიან და ააღლებიან ჰაერთან შეხებისას ოთახის ტემპერატურაზე, ენერჯის სხვა წყაროების არარსებობისას;

გ.დ.ბ.) მყარი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ააღლებიან სითბოს წყაროსთან ხანმოკლე შეხებისას და განაგრძობენ წვას ამ წყაროს მოცილების შემდეგაც;

გ.დ.გ.) თხევადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებსაც აქვთ დაბალი აალების წერტილი;

გ.დ.დ.) ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც წყალთან ან ნესტიან ჰაერთან შეხებისას გამოყოფენ ადვილადაალებად აირებს საშიში ოდენობით;

გ.ე.) ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ცოცხალ ქსოვილთან შეხებისას აზიანებენ მას;

გ.ვ.) ტოქსიკური ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მცირე ოდენობით მოხვედრისას იწვევენ სიკვდილს, მწვავე ან ქორნიკულ მოწამელას;

გ.ზ.) გამაღიზიანებელი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ფიზიკურ გაღიზიანებასა და ანთებით პროცესს;

გ.თ.) ალერგიული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ზემოქმედებლობას /ალერგიულ რეაქციას/;

გ.ი.) კანცეროგენული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ სიმსივნური დაავადების განვითარებას;

გ.კ.) მუტაგენური ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ გენეტიკური სისტემის მოშლას;

გ.ლ.) ტერატოგენური ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ ნაყოფის განვითარების პროცესის დარღვევასა და სიმახინჯეს;

გ.მ.) გონალოტროპული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ სასქესო ჯირკვლების ფუნქციის მოშლას;

გ.ნ.) ემბრიოტროპული ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ჩანასახის განვითარების მოშლას;

მუხლი 32. საშიში ქიმიური ნივთიერების შენახვაზე ნებართვის გაცემის წესი

1. საშიში ქიმიური ნივთიერების შენახვა დასაშვებია ტიპური პროექტით აშენებულ ან მოწყობილ საწყობებში, საცავეებში ან სხვა სპეციალურ ნაგებობებში, რომლებიც არ არის განლაგებული ქალაქებსა და მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების, საზოგადოებრივი, სამკურნალო-პროფილაქტიკური და ბავშვთა დაწესებულებების მიმდებარე ტერიტორიაზე, წყალდაცვით ზონში, საკურორტო, აგრეთვე სტიქიის (მიწისძვრა, წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ღვარცოფი, მეწყერი, ზეავი) საშიშროების ზონებში.

2. საშიში ქიმიური ნივთიერების შენახვა-დასაწყობება დასაშვებია მხოლოდ სასაწყობო მეურნეობის სანიტარიულ-ტექნიკური პასპორტის არსებობისას. ამ პასპორტს გასცემს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვისა და საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ნებართვის საფუძველზე.

3. პასპორტი გაიცემა 3 წლის ვადით ამ ვადის გასვლის შემდეგ შესაბამისი ორგანოები ნებართვის გასაგრძელებლად კვლავ ატარებენ საწყობის სრულ შემოწმებას.

4. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც გასცემენ ნებართვას საშიში ქიმიური ნივთიერების შენახვაზე, ვალდებული არიან

აღნიშნულის შესახებ შეატყობინონ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

მუხლი 33. საშიში ქიმიური ნივთიერების შესანახი ნაბეზობები

1. საწყობში, საცავში ან სხვა სპეციალურ ნაგებობაში დასაშვებია მხოლოდ იმ საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და მათი პროდუქტების შენახვა, რომლებმაც გაიარეს სახელმწიფო ექსპერტიზა (ეკოლოგიური, ტექნიკური და სხვ.) და მიიღეს დადებითი დასკვნა.

2. ნაგებობა, სადაც საშიში ქიმიური ნივთიერებები ინახება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვენტილაციით, განათებით, პირველადი სამედიცინო დახმარების ავთოაქით, სპეცტანსაცმელით, გამაუვნებელი სხნარებით, შესაბამისი ტემპერატურით, გამაფრთხილებელი ნიშნებითა და პირობებით, რომლებიც საშიშ ქიმიურ ნივთიერებას შეუნარჩუნებს სამომხმარებლო თვისებებს.

3. დებულებას „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესანახი სასაწყობო მეურნეობის შესახებ“ შეიმუშავებენ და ერთობლივი ბრძანებით ამტკიცებენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია.

4. საშიში ქიმიური ნივთიერებების შესანახი საწყობის ტიპურ პროექტს დებულების საფუძველზე შეიმუშავენ და ამტკიცებს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო.

5. საშიში ქიმიური ნივთიერებების სასაწყობო მეურნეობას უნდა ჰქონდეს სანიტარიული დაცვის ზონა.

6. საშიში ქიმიური ნივთიერებების სასაწყობო მეურნეობა მიუწვდომელი უნდა იყოს უცხო პირებისათვის.

7. სასაწყობო მეურნეობაში საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და მათი პროდუქტების მარაგი უნდა ინახებოდეს მინიმალური ოდენობით.

8. საშიში ქიმიური ნივთიერებების შესანახი საწყობის ტიპურ პროექტ-

თან შესაბამისობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო.

მუხლი 34. საშიში ქიმიური ნივთიერების შენახვის წესი

1. საშიში ქიმიური ნივთიერება უნდა ინახებოდეს იმ წესით, რომელიც უზრუნველყოფს ნივთიერების სამომხმარებლო თვისებების შენარჩუნებას და გამორიცხავს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მავნე ზემოქმედებას და ავარიებს.

2. საშიში ქიმიური ნივთიერებების შენახვის წესი განისაზღვრება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულებით „გარემოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმებისა და მათი ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესის შესახებ“ და ინსტრუქციით „საშიში ქიმიური ნივთიერებების შენახვა-დასაწყობების შესახებ“, რომელსაც შეიმუშავენ და ამტკიცებს საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია.

3. პირები, რომლებიც ინახავენ საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, პასუხს აგებენ მათი შენახვის უსაფრთხოებაზე.

4. საშიში ქიმიური ნივთიერებების შენახვის უსაფრთხოებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია.

მუხლი 35. საშიში ქიმიური ნივთიერების შესანახი ნაგებობის ნაგებობის შემოღობვა და მისი გამაფრთხილებელი ნიშნებით აღჭურვა

1. საშიში ქიმიური ნივთიერებების შესანახი ნაგებობის დაცვის უზრუნველსაყოფად, უცხო პირთა ტერიტორიაზე დაუშვებლობისა და ამ ნივთიერებების ზემოქმედებისაგან მათი დაცვის მიზნით საწყობის ტერიტორია უნდა შემოიღობოს და აღიჭურვოს გამაფრთხილებელი ნიშნებით.

2. საშიში ქიმიური ნივთიერებების შესანახი ნაგებობის შემოღობვი-

სა და მისი გამაფრთხილებელი ნიშნებით აღჭურვის კონტროლს ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

3. თუ საშიში თვისებების მქონე ნივთი მიმბარებელმა ისე ჩააბარა, რომ ნივთის ამ თვისებების შესახებ შემნახველს არ შეატყობინა, შემნახველი უფლებამოსილია, გააუვნებელყოს ან გაანადგუროს ეს ნივთი, რისთვისაც მიმბარებლის წინაშე ის პასუხს არ აგებს. თავის მხრივ მიმბარებელი პასუხისმგებელია შემნახველსა და მესამე პირს აუნაზღაუროს ნივთის ფარული თვისებებით გამოწვეული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მან ამ ნივთის შემცველი საშიში თვისებების შესახებ არ იცოდა და არც შეეძლო რომ სცოდნოდა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მიმბარებლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება მართლოდენ იმის გამო, რომ მან არ იცოდა მისი ნივთის ფარული თვისებების შესახებ, არ არის სწორი. თუ ამ პრინციპს გავიზიარებთ, ნივთის ფარული თვისებების შესახებ მით უფრო არ ეცოდინება შემნახველს და გამოდის, რომ მესამე პირებისათვის (სხვა მიმბარებლებისათვის) და შემნახველისათვის მიყენებული ზიანი ვერ ანაზღაურდება. სამოქალაქო კანონმდებლობა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ერთ ფუძემდებლურ დებულებას იცნობს – დაუძლეველ ძალას. ნივთის საშიში (ან ფარული) თვისებებით გამოწვეული ზიანი კი არის არა დაუძლეველი ძალა, არამედ მომეტებული საფრთხის წყარო და პასუხისმგებლობაც მომეტებულად უნდა ეკისრებოდეს მიმბარებელს.

4. როცა საშიში თვისებების მქონე ნივთი შესანახად ჩაბარებულია შემნახველის შეტყობინებითა და თანხმობით, ნივთის შენახვის ყველა წესი და პირობა დაცულია, მაგრამ მაინც საშიშია გარშემომყოფთათვის და გარემოსათვის, შემნახველი ვალდებულია, შეატყობინოს მიმბარებელს, რათა ამ უკანასკნელმა ჩაიბაროს ნივთი. უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში კი შემნახველი არ უნდა დაელოდოს მიმბარებლის მიერ ნივთის წაღებას და იგი უნდა გააუვნებელყოს ან გაანადგუროს. სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის თანახმად, შემნახველმა მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს და ეს პოზიცია მით უფრო გამართლებულია,

რომ ამ ნივთის შენახვაზე შემნახველმა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იკისრა. თუმცა არსებობს განსხვავებული პოზიციაც. მაგალითად, რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ნივთის განადგურებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისაგან შემნახველი განთავისუფლებულია, რაც ეწინააღმდეგება ამავე კოდექსის 1067-ე მუხლს.

მუხლი 770. მიბარებული ნივთის დაბრუნების ვადა

მიმბარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესანახად მიბარებული ნივთის დაბრუნება, – იმ შემთხვევაშიც, თუ შენახვის ვადა განსაზღვრული იყო.

1. მიბარება-შენახვის ხელშეკრულების ვადებს თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მათი მეშვეობით ხორციელდება ნორმალური საქონელბრუნვის უზრუნველყოფა, მოსახლეობის სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგება-განაწილების მოწესრიგება, ხელშეკრულების მონაწილე მხარეების უფლებების დროული დაცვა.

მხარეთა მიერ შენახვის ხელშეკრულების ვადა შეიძლება იყოს განსაზღვრულიც და განუსაზღვრელიც. განუსაზღვრელ ვადას უთანაბრდება შეთანხმება, როცა ნივთის დაბრუნების ვადა მიმბარებლის მოთხოვნის მომენტიდან განსაზღვრული. როცა ნივთის შენახვის ვადა მხარეთა მიერ არ არის განსაზღვრული, ივარაუდება, რომ მიბარების ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადითაა დადებული.

შენახვის ხელშეკრულების ვადა განსაზღვრულია, როცა მხარეთა შეთანხმებით (ხელშეკრულებით) გარკვეულია, თუ როდის დაიწყება ნივთის შენახვა და რამდენი ხნით ან რა დრომდე გასტანს იგი. მაგალითად, შესაძლოა სასტუმროებში, სანატორიუმებში და მსგავსი დაწესებულებების შემნახველ საკნებში ნივთის შენახვის (დაბრუნების) ვადა არ განისაზღვროს, მაგრამ ამის მიუხედავად იგი განსაზღვრულ ვადიან ხელშეკრულებას მიეკუთვნება, რადგან

იგულისხმება, რომ ასეთი ხელშეკრულება დადებულია მიმბარებლის სასტუმროში ყოფნის ვადით. განუსაზღვრელია შენახვის ხელშეკრულების ვადა, როდესაც არ არსებობს მხარეთა შეთანხმება, თუ რამდენ ხანს ან რა დრომდე უნდა იყოს ნივთი შენახული შემნახველის მიერ, ან როცა ნივთის დაბრუნების ვადა მიმბარებლის მოთხოვნის მომენტითაა განსაზღვრული.

2. სამოქალაქო კოდექსის 770-ე მუხლის თანახმად, იმის მიუხედავად, ნივთის შენახვის ვადა განსაზღვრულია თუ არა, მიმბარებელს ყოველთვის შეუძლია, მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა და ნივთის დაბრუნება. თავის მხრივ, შემნახველი ვალდებულია მიმბარებლის პირველი მოთხოვნისთანავე დააბრუნოს ნივთი იმის მიუხედავად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა გავიდა თუ არა. მაგრამ ეს ორი მომენტი მაინც უნდა გაემიჯნოთ ერთმანეთისაგან. როდესაც ნივთის შენახვის ვადა არ არის განსაზღვრული, იგულისხმება, რომ შენახვის ვადა მიმბარებლის მოთხოვნის მომენტითაა განსაზღვრული და ამიტომ მას ყოველთვის აქვს უფლება, მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა და ნივთის დაბრუნება, რისთვისაც მას რაიმე პასუხისმგებლობა არ დაეკისრება; მეორე შემთხვევაშიც, როდესაც მიმბარებლის ხელშეკრულების ვადა განსაზღვრულია, მიმბარებელს ყოველთვის აქვს უფლება ვადადამდე შეწყვიტოს იგი, მაგრამ ნივთის შენახვის საზღაური უნდა გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთელი პერიოდისათვის.

3. მიმბარებლის უფლება, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ნივთის დაბრუნება, ეკუთვნის როგორც თვით მიმბარებელს, ასევე მესამე პირს, რომელიც მიმბარებული ნივთის დაბრუნების უფლებამოსილებითაა აღჭურვილი მიმბარებლის მიერ. მიმბარებლის მოთხოვნა, დაიბრუნოს შესანახად მიმბარებული ნივთი, როგორც წესი, გულისხმობს დაიბრუნოს მიმბარებული ნივთი მთელი მოცულობით, თუკი ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ნივთის ნაწილ-ნაწილ პერიოდულად დაბრუნება.

4. როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულებისას, მიმბარებლის მოთხოვნა დაიბრუნოს შესანახად მიბარებული ნივთი, ავალებს შემნახველს, პირველი მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ დააბრუნოს ნივთი, თუ არ არსებობს ამ ნივთის დაკავების მოთხოვნის საფუძველი (მიბარებული ნივთის დაკავების უფლების შესახებ იხ. 776-ე მუხ. კომენტარები).

მუხლი 771. მიბარებული ნივთის უკან წაღების მოვალეობა

1. შემნახველს შეუძლია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მიმბარებელს შესანახად მიბარებული ნივთის უკან წაღება, თუ შენახვის ვადა განსაზღვრული არ იყო.

2. შემნახველს შეუძლია ეს უფლება განახორციელოს მხოლოდ ისე, რომ მიმბარებელს სხვა გზით შეეძლოს ნივთის შენახვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი მიბარებული ნივთის უკან დაბრუნებისათვის.

1. სამოქალაქო კოდექსის 771-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, როდესაც შენახვის ხელშეკრულების ვადა განსაზღვრული არ არის, შემნახველს შეუძლია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მიმბარებელს შესანახად მიბარებული ნივთის უკან წაღება. ამავე კოდექსის 770-ე მუხლის თანახმად, როდესაც შენახვის ხელშეკრულების ვადა განსაზღვრული არ არის, მიმბარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესანახად მიბარებული ნივთის დაბრუნება. ერთი შეხედვით გამოდის, რომ მხარეებს განუსაზღვრელი ვადით დადებული შენახვის ხელშეკრულების შეწყვეტის ერთნაირი უფლებები გააჩნიათ, მაგრამ ეს ასე არ არის. მიმბარებლის უფლება, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ნივთის დაბრუნება, გულისხმობს შემნახველის ვალდებულებას, დაუყოვნებლივ დააბრუნოს ნივთი, რასაც ვერ ვიტყვით 771-ე მუხლზე. განუსაზღვრელი ვადით დადებული

ბული ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება რომ შემნახველს ყოველთვის აქვს, დავას არ იწვევს, ოღონდ ამისათვის ხელშეკრულების შეწყვეტამდე მიმბარებელს საკმარისი დრო უნდა მიეცეს, რომ ამ უკანასკნელმა ნივთი დაიბრუნოს და სხვა გზით შეძლოს მისი შენახვა. ამასთან, შემნახველმა დროის ეს მონაკვეთი თვითნებურად კი არ უნდა განსაზღვროს, არამედ უნდა გაითვალისწინოს კონკრეტულ პირობებში მიმბარებლის მიერ ნივთის დაბრუნების რეალური შესაძლებლობები.

2. სამოქალაქო კოდექსის 771-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადება უშვებს ისეთ გამონაკლისსაც, როცა შემნახველს უფლება აქვს, განუსაზღვრელი ვადით დადებული შენახვის ხელშეკრულება შეწყვიტოს მიმბარებლისათვის ვადის მიცემის გარეშე. ე.ი. როცა მიმბარებელმა შემნახველის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ უნდა ჩაიბაროს შენახული ნივთი, მაგრამ, ამისათვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძველი. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი საფუძველი შეიძლება, სხვადასხვა იყოს. მაგალითად, სტიქიური უბედურების შედეგად ნივთის დაკარგვისა თუ დაზიანების რეალური საფრთხე შეიქმნა ან საშიში თვისებების მქონე ნივთის საკანში (საწყობში) შენახვა დაუშვებელი გახდა. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გათვალისწინებული იყოს შემნახველის ინიციატივით განსაზღვრული ვადით დადებული შენახვის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტაც, თუკი საამისოდ არსებობს „მნიშვნელოვანი საფუძველი“.

3. მიმბარებლის მხრივ მიბარებული ნივთის უკან დაბრუნების კლასიკურ მოვალეობას წარმოადგენს, როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთის შენახვის ვადა ამოიწურება. ამჯერად, მიმბარებელი ვალდებულია, ყოველგვარი დამატებითი საფუძვლის გარეშე ჩაიბაროს შენახული ნივთი.

4. როდესაც მიმბარებელს სამოქალაქო კოდექსის 770-ე, 771-ე მუხლების საფუძველზე ნივთის უკან დაბრუნების მოვალეობა წარმოეშობა, ე.ი. მას შეეძლება, რაც ამოიწურება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ნივთის შენახვის ვადა ან განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულებისას შემნახველის მიერ მიმბარებლისათვის დანიშნული ვადა, მიმბარებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაიბრუნოს ნივთი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გამოირკვა, რომ მიმბარებელი შეგნებულად არიდებს თავს ნივთის უკან წაღებას, შემნახველი წერილობით გააფრთხილებს მიმბარებელს ნივთის გაყიდვის შესახებ, რის შემდეგაც შემნახველს შეუძლია მოახდინოს მისი გაყიდვა, თუკი ხელშეკრულებაში სპეციალურად სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა გადაეცემა მიმბარებელს ყველა იმ ხარჯების გამოკლებით, რაც შემნახველს ეკუთვნის.

5. შენახული ნივთის უკან დაბრუნებისას გარკვეული მოვალეობები წარმოეშობა შემნახველსაც, რაც იმაში გამოხატება, რომ იგი ვალდებულია, დააბრუნოს იგივე ნივთი, რომელიც შესანახად მიიღო შენახვის დროისათვის არსებული მდგომარეობით ცვეთისა და დანაკლისის ნორმალური პირობების გათვალისწინებით. როცა შენახვის ობიექტი გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთია, მაგალითად, ხორბალი და იგი გაუპიროვნებლად შეინახება, ე.ი. სხვა იმავე გვარისა და ხარისხის საჭონელთანაა ერთად შერეული, შემნახველი მიმბარებელს დაუბრუნებს იმავე გვარის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთს (გვაროვნული ნივთის შენახვის თავისებურებაზე იხ. 777-ე მუხლის კომენტარი).

მუხლი 772. მიმბარებელი ნივთის დაბრუნების აღბილი

ნივთის დაბრუნება უნდა მოხდეს ხელშეკრულებაში მითითებულ ადგილას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიღწეულია შეთანხმება სხვა ადგილზე დაბრუნების თაობაზე. ტრანსპორტირების ხარჯები ეკისრება მიმბარებელს.

1. ვალდებულების შესრულების ადგილის გარკვევას დიდი

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს რიგი საკითხების გადასაწყვეტად. კერძოდ ისეთის, როგორცაა ვალდებულების შესრულების ადგილას ნივთის გადაზიდვისა და გადატვირთვის ხარჯები და სხვა. საერთო წესის მიხედვით ვალდებულების შესრულების ადგილს სამი გარემოება განსაზღვრავს: 1. ვალდებულების შესრულების ადგილი კანონითაა დადგენილი; 2. მხარეები შეთანხმდნენ და 3. ვალდებულების შესრულების ადგილს ამ ურთიერთობის არსი განსაზღვრავს. მიბარების ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, ნივთის დაბრუნების ადგილად მიჩნეული უნდა იყოს ნივთის შენახვის ადგილი – ის საწყობი, ბარგის შესანახი საკანი, გარდერობი და მისთანა, სადაც ნივთი იქნა ჩაბარებული, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენლად მიუღებელი და შეუძლებელი იქნებოდა, ვალდებულება მიმბარებლის საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული პირის ადგილსამყოფელის) მიხედვით შესრულებულიყო. 772-ე მუხლის პირველ წინადადებაში „ნივთის დაბრუნება უნდა მოხდეს ხელშეკრულებაში მითითებულ ადგილას“, ნაგულისხმევია ის საწყობი თუ შემნახველი საკანი, სადაც ნივთი იქნა ჩაბარებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ხელშეკრულების არსებობის პერიოდში შემნახველმა ნივთს ადგილსამყოფელი შეუცვალა, ნივთის დაბრუნების მომენტიდან იმის პირვანდელ ადგილსამყოფელს უნდა დაუბრუნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ამისთვის საჭირო ტრანსპორტირების ხარჯები უნდა გადაიხადოს.

2. იმის მიუხედავად, რომ შენახული ნივთის დაბრუნების ადგილს, როგორც წესი, თვით მიმბარების ხელშეკრულების არსი განსაზღვრავს და რომ ეს ის ადგილია, სადაც ნივთი ინახება, არ გამორიცხავს მხარეების სხვაგვარი შეთანხმების შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში ნივთის ტრანსპორტირების ხარჯებს მიმბარებელი გადაიხდის, თუ იმავე შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

*მუხლი 773. მიმბარებელი ნივთის ნაყოფის გადაცემის
ვალდებულება*

1. შემნახველი მოვალეა გადასცეს მიმბარებელს ის ნაყოფი, რომელიც მიიღო მიმბარების განმავლობაში.

2. მიმბარებელი მოვალეა აუნაზღაუროს შემნახველს ნივთის შენახვისათვის განკუთვნილი აუცილებელი ხარჯები.

1. ნივთის მიმბარებისა და შენახვის ურთიერთობის პროცესში შეიძლება მოხდეს, რომ მიმბარებულმა ნივთმა მოგვცეს შემოსავალი. სპეციალურ ლიტერატურაში და პრაქტიკაში შემოსავალსა და მის სახეებს ხშირად არასწორად განმარტავენ. შემოსავალი ფართო ცნებაა და იგი გაგებული უნდა იყოს როგორც ხეხილის ნაყოფი, პირუტყვის ნამატი და ნაყოფი, უფლების შემოსავალი და თავისთავად შემოსავალი ვიწრო გაგებით.

ნაყოფი და ნამატი ნივთის ორგანული განვითარების შედეგია. იგი გამოეყოფა ნივთს ამ უკანასკნელის არსებითი ცვლილების გარეშე და გამოყოფისთანავე სამართალურთიერთობის დამოუკიდებელ ობიექტად გვევლინება. ასეთებია ხეხილის ნაყოფი, პირუტყვის რძე, მატყლი, ნამატი, ფრინველის კვერცხი და ა.შ. თავისთავად შემოსავალი, ვიწრო გაგებით, ვალდებულებითი ურთიერთობის შედეგია — ბინის ქირა, მიწის რენტა და სხვა. უფლების შემოსავალია დივიდენდი, პროცენტი და ა.შ. იურიდიული მეცნიერება ნაყოფსა და ნამატს ბუნებრივ შემოსავალს (ზოგჯერ ნამატს) უწოდებს, თავისთავად შემოსავალს, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოიშობა და უფლების შემოსავალს კი — კანონისმიერ შემოსავალს.¹

2. შემოსავლის ზემოაღნიშნული სახეებიდან შენახვის ხელშეკ-

¹ Л. Эшнекшерус, Курс Германского гражданского права, том 1, полутом 2, Москва 1950., С. 43. Жюллио де ла Морандьер. Гражданское право Франции. Москва. 1960. С. 37-38

რულებისათვის საინტერესოა მხოლოდ პირუტყვისა და ფრინველის მიერ მოცემული ნამატი და ნაყოფი, რადგან საგანი, რომელიც სხვა სახის შემოსავალს იძლევა, არ შეიძლება მიბარება-შენახვის ობიექტი იყოს.

გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული საკითხი, როცა მიბარება-შენახვის ობიექტად პირუტყვი (ან ფრინველი) გვევლინება. ეს ურთიერთობა დიდად ემსგავსება ნარდობის და შრომის ხელშეკრულებას. მაგალითად, როდესაც პირი მეზობელს ან ახლობელს პირუტყვს მიბარებს შესანახად, შემნახველს ისეთივე უფლებამოვალეობა ეკისრება, როგორც სოფლის მენახირეს, რომელიც ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს მომსახურებას. ორივე შემთხვევაში შემნახველს და მენახირესაც ეკისრება ვალდებულება, კონტროლი დააწესოს პირუტყვზე, გამოკვებოს, დააბინაოს და ა.შ. ამიტომ ამ ორი ურთიერთობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის ერთადერთი კრიტერიუმი თვით მხარეთა ნებაში უნდა ვეძიოთ.

3. ზოგადი წესის თანახმად, ნივთის ყოველგვარი შემოსავალი ნივთის მესაკუთრეს ეკუთვნის, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს პრინციპი სრულიად შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 773-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის მიხედვითაც შემნახველი ვალდებულია მიმბარებელს გადასცეს ის ნაყოფი, რომელიც მიბარების განმავლობაში მიიღო. ამასთან, შემნახველს უნდა აუნაზღაურდეს ამ ნივთის (შემოსავლის) შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები. (შენახვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ იხილეთ სამოქალაქო კოდექსის 764-ე და 775-ე მუხლების კომენტარები).

*მუხლი 774. შემნახველის პასუხისმგებლობა განზრახვის
ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის*

თუ მიბარებული ნივთის წასაღებად განსაზღვრულია ვადა, ამ ვადის დადგომის შემდეგ შემნახველი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

1. ნივთის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანებისათვის შემნახველის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი ამოდიოდა, ერთის მხრივ, იურიდიული პირის, როგორც პროფესიონალი შემნახველისა და, მეორე მხრივ, ფიზიკური პირის (მოქალაქის) მიერ ნივთის შენახვის განსხვავებული პირობებიდან. დასახელებული კოდექსის 430-ე მუხლის თანახმად, თუ შემნახველი მოქალაქე იყო, მას ევალებოდა, ისე ეზრუნა შესანახ ნივთზე, როგორც საკუთარზე. აქედან გამომდინარე, იგი ნივთის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანებისათვის ფაქტობრივად პასუხს აგებდა მხოლოდ განზრახვი ბრალისათვის. რაც შეეხებოდა იურიდიულ პირს, პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდა მხოლოდ დაუძლეველი ძალის მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის. ე.ი. ის პასუხს აგებდა როგორც განზრახვი, ისე გაუფრთხილებელი ბრალისათვის. მოქმედი სამოქალაქო კოდექსის დიდ დადებით თვისებად უნდა ჩაითვალოს, რომ ხელშეკრულების მონაწილე მხარეების უფლებამოსილებისა და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის სუბიექტურ დიფერენციაციას ბოლო მოეღო. კოდექსის 765-ე მუხლის თანახმად, იმის მიუხედავად, შემნახველი იურიდიული თუ ფიზიკური პირი იქნება, თუ შენახვა უსასყიდლოა, შემნახველი ვალდებულია ისე შეინახოს ნივთი, როგორც საკუთარი.

2. სხვა დანიშნულებასთან ერთად ხელშეკრულების სასყიდლიან და უსასყიდლოდ დაყოფას მნიშვნელობა აქვს მხარეებისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების მოცულობის განსაზღვრისათვის. შემნახველი, რომელიც ხელშეკრულებით რაიმე მატერიალურ ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს არ იღებს, მას

არ შეიძლება მომეტებული პასუხისმგებლობა დაეკისროს და მოეთხოვოს ნიეთის შენახვისათვის სპეციალური პირობების შექმნა. ასეთი მოვალეობა დაეკისრება შემნახველს, რომელიც ნიეთის შენახვისათვის გასამრჯელოს ღებულობს. ასეთი მომეტებული პასუხისმგებლობა უნდა გავრცელდეს პროფესიონალ შემნახველზეც უპირველესად იმის გამო, რომ მასთან დადებული ხელშეკრულება ყოველთვის სასყიდლიანია. მაგრამ არ უნდა გამოვიციხოთ ცალკეული შემთხვევები, როცა იგი უსასყიდლოდ შეინახავს მიმბარებლის ნიეთს. მაგრამ ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი მას, როგორც პროფესიონალ შემნახველს, მომეტებული პასუხისმგებლობისაგან არ გაანთავისუფლებს. სამოქალაქო კოდექსები, რომლებიც დასაშვებად მიიჩნევენ სასყიდლიან მიბარება-შენახვას, სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ — მომეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებენ შემნახველს, რომელიც ნიეთის შენახვისათვის გასამრჯელოს ღებულობს, ხოლო შედარებით ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრება შემნახველს, რომელიც ნიეთს უსასყიდლოდ შეინახავს. (იხ. გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 690-ე მუხლი, იაპონიის სამოქალაქო კოდექსის მე-400 და 659-ე მუხლები, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 901-ე და 902-ე მუხლები).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა შემნახველმა — ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა, პროფესიონალმა თუ არაპროფესიონალმა, რომელიც ნიეთის შესახვისათვის გასამრჯელოს იღებს, პასუხი უნდა აგოს განზრახი და გაუფრთხილებელი ბრალისათვის. უსასყიდლო ხელშეკრულების დროს კი შემნახველმა პასუხი უნდა აგოს განზრახი და უხეში გაუფრთხილებლობისათვის. მართალია, მეორე შემთხვევაში მიმბარებლის უფლებები სრულად გარანტირებული ვერ იქნება, მაგრამ როგორც გაიუსი ამბობდა, დაუდევარი მეგობრისათვის ნიეთის შესანახად მიბარებისათვის მიმბარებელმა თავის თავს უნდა დააბრალოს.¹

¹ И.Новицкий, Римское частное право. Москва 1948. С.179.

3. სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის შემნახველმა პასუხი უნდა აგოს ნივთის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანებისათვის. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ისეთი საფუძველი, რიგორიცაა დაუძლეველი ძალა. მართალია, კოდექსი შემნახველის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ამ საფუძველს საგანგებოდ არ ასახელებს (ამ მხრივ სპეციალურად სასტუმროებს გამოყოფს), მაგრამ დაუძლეველი ძალა, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საერთო პრინციპი, შემნახველზეც უნდა გავრცელდეს. ამრიგად, თუ დადასტურდება, რომ ნივთის დაკარგვა, დანაკლისი ან დაზიანება დაუძლეველი ძალის შედეგად იყო გამოწვეული, ე.ი. ვალდებულებების ჯეროვანი შეუსრულებლობა განსაკუთრებულ და იმ პირობებში აუცდენელი მოვლენით იყო განპირობებული, შემნახველი პასუხისმგებლობისაგან უნდა განთავისუფლდეს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ დაუძლეველ ძალად არ შეიძლება მიჩნეულ იყოს შემნახველის განცხადება, ფულადი სახსრების უქონლობა და მისთანები.

4. განსხვავებული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს შემნახველს, როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ ან განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების დროს შემნახველის მოთხოვნიდან ვითარების და მიხედვით პრაქტიკულად შესაძლებელ ვადაში მიმბარებელი ნივთს არ დაიბრუნებს, ამის შემდეგ ნივთის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანებისათვის შემნახველმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის. ხოლო, თუ შემნახველს ნივთის დაკავების უფლება არ ჰქონდა და ამის მიუხედავად უსაფუძვლოდ გააჭიანურა ნივთის დაბრუნება, მას შეიძლება ბრალის გარეშეც დაეკისროს პასუხისმგებლობა.

5. მხარეები მათი უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე, პას-

უხს აგებენ იმ ზიანის ანაზღაურებისათვის, რაც გამოწვეული იქნება მათი ინიციატივით განსაზღვრული ვადით დადებული შენახვის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით. (ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების შესახებ იხ. 770-ე და 771-ე მუხლების კომენტარები).

6. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზოგადი დებულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის მოცულობა მთელი ზიანის ანაზღაურების პრინციპით განისაზღვრება, რაც ნიშნავს, რომ მოვალემ კრედიტორს უნდა აუნაზღაუროს როგორც ფაქტობრივი, ისე მიუღებელი შემოსავალი (ზარალი).

იხევე, როგორც ბრალეულობის ხარისხის განსაზღვრის დროს, პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია საკითხი შენახვის ხელშეკრულების სასყიდლიანობის შესახებ. თუ საერთო წესის მიხედვით შემნახველი პასუხს აგებს ნივთის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანებით მიყენებული ზიანის მთელი მოცულობით, უსასყიდლო შენახვის ხელშეკრულების დროს შემნახველის პასუხისმგებლობა შეზღუდულია: ნივთის დაკარგვისა და დანაკლისისათვის პასუხს აგებს დაკარგული და დანაკლისი ნივთის ღირებულების ოდენობით; ნივთის დაზიანებისათვის კი იმ თანხის რაოდენობით, რომლითაც შემცირდა დაზიანებული ნივთის ღირებულება; ხოლო, როცა დაზიანების შედეგად ნივთის ხარისხი იმდენად შემცირდება, რომ მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელი გახდება, მიმბარებელს შეუძლია, სამაგიერო ნივთის მიღება ან მისი ფულადი კომპენსაცია მოითხოვოს.

მუხლი 775. საზღაურის გადახდის მოვალეობა

თუ მიბარება სასყიდლიანია, მაშინ მიმბარებელი მოვალეა ხელშეკრულების შეწყვეტისას შემნახველს გადაუხადოს დათქმული საზღაური.

1. ნივთის მიბარებისა და შენახვის ურთიერთობაში მიმბარებ-

ლის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას შენახვისათვის გასამრჯელო-სა და ხარჯების გადახდა წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ როდის გადახდება მიმბარებელს ნივთის შენახვისათვის გასამრჯელო – ხელშეკრულების დადებისთანავე, პერიოდულად თუ ხელშეკრულების შეწყვეტისას. კოდექსის 775-ე მუხლის თანახმად, მიმბარებელმა ნივთის შენახვისათვის გასამრჯელო შემნახველს უნდა გადაუხადოს ხელშეკრულების შეწყვეტისას, მაგრამ ეს ისე არ უნდა იყოს გაგებული, რომ თითქოს მხარეებს სხვაგვარი შეთანხმების უფლება არ ჰქონდეთ. მიმბარებელი შემნახველს ნივთის შენახვის გასამრჯელოს გადაუხდის ხელშეკრულების შეწყვეტისას, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მიმბარებელი შენახვის გასამრჯელოს პერიოდულად გადაიხდის. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია სათანადო პერიოდის გასვლის შემდეგ გადაიხადოს ამ პერიოდის შესაბამისი ოდენობის გასამრჯელო. ცალკეულ შემთხვევებში კი მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ გასამრჯელოს წინასწარ გადახდაზე. ე.ი. ხელშეკრულების დადების პერიოდში. სწორედ ასეთი წესია პრაქტიკაში უპირატესად დამკვიდრებული, როცა შენახვა ბარგის შემნახველ საკნებში ხდება.

2. თუ ამ კოდექსის 770-ე და 771-ე მუხლებით გათვალისწინებულ გარემოებათა დადგომისას მიმბარებელი შემნახველისაგან ნივთს არ დაიბრუნებს, მაშინ ნივთის უკან დაბრუნების მოვალეობის წარმოშობის მომენტიდან ნივთის დაბრუნებამდე პერიოდისათვის მიმბარებელი საზღაურს გადაიხდის საერთო წესის მიხედვით.

მუხლი 776. მიმბარებელი ნივთის დაზარალების უფლება

კუთვნილი საზღაურის მიღებამდე და შენახვისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებამდე შემნახველს შეუძლია უარი თქვას მიმბარებული ნივთის დაბრუნებაზე.

1. ორმხრივი ვალდებულების ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე პირს (კრედიტორს), რომელიც მართლზომიერად ფლობს სხვის კუთვნილ ქონებას, უფლება აქვს დააკავოს მისი გადაცემა მოვალის მიერ ამ ქონებასთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულებამდე. კრედიტორი უფლებამოსილია ასევე მის მიერ მოვალისათვის გაგზავნილი ქონება გზაში შეაჩეროს, თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მოვალე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ვალდებულებას, ან თუ მოვალე გადახდისუნარო გახდება. შესაბამისად, მიბარების ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად შემნახველი ვალდებულია მიმბარებელს დროულად დაუბრუნოს ნივთი, მაგრამ, თუ შემნახველისათვის ცნობილი გახდება, რომ მიმბარებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და არ იხდის ნივთის შენახვისათვის სათანადო გასამრჯელოს და სხვა ხარჯებს ან, თუ მიმბარებელი გადახდისუნარო გახდა, შემნახველი უფლებამოსილია, დააკავოს ან გზაში შეაჩეროს მიმბარებლისათვის გაგზავნილი ნივთი. შემნახველს ნივთის დაკავების უფლება გააჩნია მაშინაც, როცა მიმბარებელმა შესანახი ნივთი მის დაბრუნებამდე გაასხვისა.

როდესაც შესანახი ნივთის ღირებულება აღემატება მიმბარებლის მიერ შემნახველისათვის გადასაცემ თანხას, შემნახველი უფლებამოსილია, დააკავოს მიმბარებული ნივთი სრული მოცემულობით, თუ იგი განუყოფელი ნივთია. შემნახველს შეუძლია ასევე, რომ მიმბარებული ნივთის ნაცკლად მისი შემოსავალი დააკავოს.

2. ნივთის შეჩერება-დაკავების უფლება ქონებრივი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა და გამოიხატება შემნახველის (კრედიტორის) მიერ მიმბარებლის (მოვალის) ქონების დაკავება-შეჩერებაში იმ მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, რომელთა შესრულების ვადა უკვე დადგა. ამიტომ დაკავებული (შეჩერებული) ნივთის მიმართ მხარეები გამოიყენებენ გირავნობის შესაბამის ნორმებს იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც კოდექსის ამ თავითაა დადგენილი.

3. მიმბარებლის მიერ ნივთის დაკავება-შეჩერების უფლება შეწყდება, თუ:

ა) მიმბარებელმა შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა ან ვალდებულების უზრუნველსაყოფად სხვა ქონება გადასცა შემნახველს და ამ უკანასკნელმა მიიღო იგი;

ბ) შემნახველმა თვითონ თქვა უარი ნივთის დაკავებაზე;

გ) შემნახველმა დაარღვია ნივთის შენახვისა და გირაუნობის წესები;

მუხლი 777. გვაროვნული ნივთის მიმბარების თავისებურებანი

თუ მიმბარებელია გვაროვნული ნივთი ისე, რომ საკუთრება შემნახველზე უნდა გადავიდეს, ხოლო შემნახველი ვალდებულია დააბრუნოს იმავე გვარის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი, მაშინ გამოიყენება სესხის ხელშეკრულების შესაბამისი ნორმები.

1. ისტორიულად ნივთის მიმბარებისა და შენახვის ხელშეკრულების ერთ-ერთი თავისებურება ის იყო, რომ ამ ურთიერთობის ობიექტად მხოლოდ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი მონაწილეობდა. საზოგადოების კანონზომიერი განვითარების პრინციპიდან გამომდინარე, ადრეულ პერიოდში შენახვის ხელშეკრულების მართლაც ასეთ სახესთან უნდა გვეკონოდა საქმე. რადგან საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების დიდი ნაწილი ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთები უნდა ყოფილიყო და სამოქალაქო ბრუნვაშიც ასეთი ნივთები მონაწილეობდა, ამან თავისი ასახვა ჰპოვა ჯერ რომის სამართალში, შემდგომ სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებშიც.

რომის სამართლიდან მოყოლებული, იმის მიხედვით, შესაძლებელია მიმბარებელი ნივთი ინდივიდუალური თუ გვაროვნული ნიშნითაა განსაზღვრული, შენახვის ხელშეკრულებას ჰყოფენ რეგულარულ და ირეგულარულ (ნორმალურ და არანორმალურ) ხელშეკრულებად.

ბად. შენახვის ნორმალურ ხელშეკრულებად მიჩნეულია ისეთი ხელშეკრულება, როცა შესანახი ობიექტი ინდივიდუალური ნიშნით არის განსაზღვრული. რომის სამართალში მას რეგულარული ანუ იგივე ნორმალური შენახვა ეწოდებოდა, რადგან უპირატესად შესანახად სწორედ ასეთი ნივთი გამოიყენებოდა, ხოლო როდესაც შესანახი ობიექტი გვაროვნული ნიშნით იყო განსაზღვრული — არარეგულარული, არანორმალური ეწოდებოდა. ამასთან, როცა ასეთი ნივთი შექმნახველს სპეციალური საცავით (ყუთი, ზარდახშა, კილობანი და ა.შ.) გადაეცემოდა, ამით მისი ინდივიდუალიზაცია ხდებოდა და ჩვეულებრივ ხელშეკრულების რეგულარულ სახესთან გვექნებოდა საქმე.

2. თანამედროვე საზოგადოებაში, როდესაც გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის შენახვამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი და რეგულარული და ნორმალური ხასიათი მიიღო, ამ ნიშნით ხელშეკრულების სახეებად დაყოფა არ იქნება გამართლებული. ამის მიუხედავად, მრავალი საზღვარგარეთული ავტორი გვაროვნული ნივთის შესანახად გადაცემას სესხის ხელშეკრულებად მიიჩნევს, სასაქონლო საწყობში დიდი რაოდენობით სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვას კი საერთოდ შენახვად არ მიიჩნევს და არც მრავალი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები ითვალისწინებენ ამას. ამ მხრივ სრულიად განსხვავებული და სწორი პოზიცია დაიკავა საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსმა.

მუხლი 778. სასტუმროში მიბარების თავისებურებანი

სასტუმრო, სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი პასუხს აგებენ იმ ზიანისათვის, რომელიც მიაღგა სტუმარს იმ ქონების დაკარგვით, განადგურებით ან დაზიანებით, რომელიც მას თან ჰქონდა. ეს წესი არ გამოიყენება ფულისა და ძვირფასეულობის მიმართ, თუ ისინი საგანგებოდ არ ყოფილა ჩაბარებული.

1. სასტუმროებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ ნივთების დაცვისათვის, რაც ამ სასტუმროში მცხოვრებ პირებს აქვთ მათთვის მიჩენილ სადგომში.

ა) სამოქალაქო კოდექსის 778-ე მუხლის თანახმად, სასტუმრო და მსგავსი დაწესებულებები პასუხს აგებენ იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა სტუმარს მათთვის მიჩენილ სადგომში არსებული ნივთის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანებისათვის. ეს წესი არ გამოიყენება ფულისა და ძვირფასეულობის მიმართ, თუ ისინი საგანგებოდ არ იყო მიბარებული. როგორც ვხედავთ, კანონში არ არის მითითებული იმ წესზე და საშუალებაზე, რომლითაც უნდა დამტკიცდეს, სასტუმროში სტუმარს ნამდვილად ჰქონდა თუ არა სადავო ნივთი შეტანილი. ეს კი საშუალებას იძლევა, დავის შემთხვევაში ამ ფაქტის დასადგენად სასამართლომ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულება გამოიყენოს. უფრო მარტივად გადაწყდება საკითხი, როცა ზიანის ანაზღაურება ნივთის დაზიანებით არის გამოწვეული, რადგან ფაქტი ნივთის სასტუმროში შეტანის შესახებ დავას არ იწვევს. აღსანიშნავია, რომ მრავალი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების (1896 წლის რედაქციით) 701-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 925-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე პუნქტის თანახმად მობინადრის მიერ სასტუმროში ნივთი მიტანილად ითვლება, თუ იგი მობინადრემ სასტუმროს საამისოდ პასუხისმგებელ პირს მიანდო ან ეს ნივთი სპეციალურად განკუთვნილ ადგილას, ან თავისსავე სადგომში შეინახა.

ბ) სამოქალაქო კოდექსის 778-ე მუხლი განსხვავებულ წესს ადგენს იმ ზიანის ანაზღაურებისათვის, რაც გამოწვეული იქნება ფულისა და ძვირფასეულობის დაკარგვისათვის. კერძოდ, სასტუმრო მისი სტუმრის კუთვნილი ფულის, ფასიანი ქაღალდისა და ძვირფასეულობის დაკარგვისათვის პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, თუ ფული, ფასიანი ქაღალდები და ძვირფასეულობა მობინადრემ სასტუმროს ადმინისტრაციას ან შემნახველ საკანს მიაბარა შეს-

ანახად, თუკი ასეთი არსებობს სასტუმროში, ან სასტუმროში არსებულ ინდივიდუალურ სეიფში შეინახა და სხვა. ზოლო, თუ ფული, ფასიანი ქაღალდები და სხვა ძვირფასეულობა სასტუმროს მობინადრემ მისთვის მიჩენილი სადგომიდან დაკარგა, სასტუმრო პასუხს არ აგებს. ამასთან, არ იქნება სწორი, თუ სტუმრისათვის მიჩენილი სადგომიდან მცირე ოდენობის ფულისა და ფასიანი ქაღალდების დაკარგვის შემთხვევაში სასტუმრო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება. მრავალი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სასტუმროს მობინადრემ მისთვის მიჩენილ სადგომში უნდა შეინახოს გარკვეული ოდენობის ფული და ფასიანი ქაღალდები. მაგალითად, გერმანიაში ეს თანხა შეადგენს 1000 მარკას, საფრანგეთში კი 20000 ფრანკს. რამდენადაც ასეთ ზღვრულ ოდენობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს, სასამართლო პრაქტიკით უნდა განისაზღვროს ფულისა და ფასიანი ქაღალდების ის ზღვრული ოდენობა, რომლის დაკარგვისათვის სასტუმრომ პასუხი უნდა აგოს, თუნდაც ის სასტუმროს მდგმურის მიერ საგანგებოდ არ ყოფილიყოს ჩაბარებული.

განცხადება იმის შესახებ, რომ სასტუმრო ამა თუ იმ ნივთის შენახვის პასუხისმგებლობას თავიდან იხსნის, არ შეიძლება მხედველობაში იყოს მიღებული და პასუხი უნდა აგოს დადგენილი წესის მიხედვით. ეს წესი არ გამოიყენება იმ ნივთების მიმართ, რომელთა სასტუმროში შეტანა აკრძალულია. ასეთი შეიძლება იყოს მაგალითად შინაური ცხოველი, კატა, ძაღლი და სხვა.

სასტუმროში ნივთის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანების აღმოჩენისთანავე მობინადრე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ სასტუმროს ადმინისტრაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტუმრო ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობისაგან უნდა გათავისუფლდეს.

გ) ცალკე მსჯელობის საკითხია იმის გარკვევა, სასტუმროში ნივთის შენახვა სასყიდლიანია თუ უსასყიდლო. სასტუმროში მცხოვრები პირი მის კუთვნილ ბარგს (ნივთს) ჩვეულებრივ მისთვის

გამოყოფილ სადგომში შეინახავს და მისთვის ცალკე გასამრჯელოს არ გადაიხდის, ამიტომ ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ასეთი შენახვა უსასყიდლო ხასიათისაა. ფაქტობრივად კი მობინადრე სხვა მომსახურებასთან ერთად ნივთის შენახვისთვისაც იხდის გარკვეულ გასამრჯელოს, თუმცა ეს არსად არ აისახება, რადგან მას ძირითადი ხელშეკრულება შთანთქავს. ამიტომ მობინადრის მიერ სასტუმროში ნივთის შენახვა განხილულ უნდა იყოს როგორც სასყიდლიანი შენახვა და სასტუმროში ნივთის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანებისათვის იგი პასუხს აგებს იმავე მოცულობით, როგორც სასყიდლიანი ხელშეკრულების დროს. ცალკეულ შემთხვევებში როცა სასტუმროს ადმინისტრაციას მოწყობილი აქვს შემნახველი საკანი ან მობინადრე უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სეიფით, ნივთის ასეთი შენახვისათვის შეიძლება დამოუკიდებელი გასამრჯელოს გადახდაც იყოს დაწესებული.

დ) კოდექსის 778-ე მუხლით გათვალისწინებული წესი გამოიყენება სასტუმროების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მიმართ, მაგრამ ეს ჩამონათვალი არ შეიძლება ამომწურავი იყოს. დადგენილი წესი უნდა იყოს გამოყენებაში ასევე პანსიონატების, აბანოების, თეატრის მიმართ, რამდენადაც თეატრის მსახიობები მათთვის მიჩენილ ოთახში შეინახავენ პირად ნივთებს და სხვა მსგავსი დაწესებულებების მიმართ.

მუხლი 779. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დაუძლეველი ძალის გამო

პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით, სტუმრის ან მისი თანხმლები პირის მიერ, ანდა თვით ნივთის თვისებებით.

1. კოდექსის 779-ე მუხლი ნივთის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანებისათვის სასტუმროს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფ-

ლების სამ საფუძველს ასახელებს. აქედან პირველი განეკუთვნება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ისეთ ზოგად პრინციპს, როგორცაა დაუძლეველი ძალა (იხილეთ 774-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

2. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მეორე საფუძველი სპეციალურია და დამახასიათებელია მხოლოდ სასტუმროებისა და მსგავსი დაწესებულებებისათვის, რაც იმაში გამოიხატება, რომ სასტუმროს პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ნივთის დაკარგვა, დანაკლისი ან დაზიანება სტუმრის ან მისი თანმხლები პირის მიერაა მიყენებული. ეს კი ნიშნავს, რომ სასტუმრო სტუმრის კუთვნილი ნივთის დაკარგვის, დანაკლისის ან დაზიანებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოწვეულია სასტუმროს მომსახურე პერსონალის ან სასტუმროში შემოსული უცხო პირების მიერ, ხოლო თუ სასტუმროს მდგმურის ან როგორც მას კანონმდებელი უწოდებს, სტუმრის კუთვნილ ნივთს ზიანი თვით მდგმურმა (სტუმარმა) ან მასთან მცხოვრებმა პირმა, ან მისმა თანმხლებმა პირმა მიაყენა, სასტუმროს პასუხისმგებლობა გამორიცხულია.

3. სასტუმრო პასუხს არ აგებს ასევე სტუმრის კუთვნილი იმ ნივთის დაზიანების ან დანაკლისისათვის, რაც თვით ამ ნივთის ბუნებრივი თვისებებით არის გამოწვეული. ამასთან, ეს შემთხვევა უნდა გავმიჯნოთ კოდექსის 769-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისაგან. თუ 769-ე მუხლს მიბარებული ნივთის თვისებების გამო შემნახველისათვის ზიანის მიყენება აქვს მხედველობაში, კოდექსის 779-ე მუხლს მხედველობაში აქვს ისეთი შემთხვევა, როცა მიბარებული ნივთი თავისივე თვისებების გამო განიცდის დანაკლისს, მაგალითად აორთქლების შედეგად ან ეცემა მისი ზარისხი, რის მაგალითადაც შეიძლება მალფუჟებადი ნივთები მოვიყვანოთ.

მიზარება სასაქონლო საწყობში

მუხლი 780. ცნება

სასაქონლო საწყობში მიზარების ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება მიზარების ხელშეკრულების შესაბამისი ნორმები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1. სასაქონლო საწყობში შენახვის ხელშეკრულებით საწყობი (შემნახველი) კისრულობს ვალდებულებას მიმზარებლის მიერ მისთვის გადაცემული საქონელი შეინახოს სასყიდლით და დააბრუნოს იგი უკლებლივ და დაუზიანებლად. სასაწყობო შენახვა საერთოდ შენახვის ხელშეკრულების ნაირსახეობაა და მის მიმართ გამოიყენება მიზარების ხელშეკრულების შესაბამისი ნორმები იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც კოდექსის ამ თავით სასაწყობო შენახვისათვისაა დამახასიათებელი.

სასაწყობო შენახვისა და საერთოდ შენახვას შორის არსებულ დიდ მსგავსებასთან ერთად მათ შორის ისეთი თავისებურებანიც შეიმჩნება, რისთვისაც მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით სასაწყობო შენახვა ცალკე დამოუკიდებელ ურთიერთობად წარმოჩინდება.

ადრეულ წლებში საბჭოთა იურისტები, მაგალითად ე. ფლეი-შიცი, სასაქონლო საწყობში საქონლის შენახვას კაპიტალისტური წყობისათვის დამახასიათებელ უარყოფით ურთიერთობად მიიჩნევდა. წერდა, რომ სასაწყობო შენახვა მიწათმფლობელს საშუალებას აძლევს სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის საწყობში შეინახოს მოსავალი ხელსაყრელი პირობების დადგომამდე. ასეთივე საშუალება ეძლევათ ვაჭრებს, რომლებიც დიდი პარტიებით შესყიდული საქონლის ბაზარზე გატანას აყოვნებენ ფასების აწვეის მიზნით იციან რა, რომ მათი საქონელი საიმედოდ იქნება შენახული საწყობში.

2. სასაწყობო შენახვის ერთ-ერთ უპირველეს თავისებურებად

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხელშეკრულების ობიექტი გვაროვნული ნივთია, მაშინ როდესაც შემნახველ საკნებში, გარდერობებში და ა.შ. საერთოდ შენახვის ხელშეკრულების ობიექტი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. 777-ე მუხლის კომენტარი). მართალია, შემნახველ საკნებშიც შეინახება გვაროვნული ნივთი, მაგრამ მისი სიმცირის გამო ის ხელჩანთით, ტომრით და უპირატესად ხელბარგის სახითაა ინდივიდუალიზირებული ამ საკანში შენახული სხვა ნივთებისაგან, მაშინ როდესაც სასაწყობო შენახვა ერთგვაროვანი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონლის დიდი პარტიების შენახვას გულისხმობს. გამოთქმულია აზრი, რომ სასაქონლო საწყობში ინდივიდუალური ნივთის შენახვა არ არის გამორიცხული, რასაც არ შეიძლება დავეთანხმოთ. თუ ინდივიდუალური ნივთი — ხელჩანთა, ყუთი და ა.შ. საწყობის თანამშრომელმა ჩაიბარა შესანახად, ეს სასაწყობო შენახვად ვერ იქნება მიჩნეული. მასზე არც სასაწყობო მოწმობა გაიცემა და ამასთან, შემნახველი იქნება არა საწყობი, არამედ ფიზიკური პირი — საწყობის ის თანამშრომელი, რომელმაც ეს ნივთი მიიღო შესანახად.

3. როგორც თვით დასახელება მიგვანიშნებს, შემნახველი სუბიექტი ყოველთვის სასაქონლო საწყობია, რომელიც რეგისტრირებულია სათანადო წესით და ეწევა საქონლის შენახვის სამეწარმეო საქმიანობას. ამიტომაც მიიჩნევა, რომ სასაწყობო შენახვის ხელშეკრულება ყოველთვის სასყიდლიანია, მაშინ როდესაც საერთოდ შენახვის ხელშეკრულება როგორც წესი, უსასყიდლოა, გამონაკლის შემთხვევაში კი შეიძლება სასყიდლიანიც იყოს. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ უსასყიდლო შენახვას უშვებს. ეს კი იმის დადასტურებაა, რომ სასაქონლო საწყობში საქონლის შენახვის ხელშეკრულებას საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი შენახვის ხელშეკრულებად არ მიიჩნევს. ასევე შეიძლება ითქვას ხელშეკრულების რეალურ და კონსენსუალურ ხასიათზე. თუ საერთოდ შენახვის ხელშეკრულება, როგორც წესი,

რეალური და რეგულარულია, ხოლო გამონაკლისის წესით შეიძლება კონსენსუალურიც იყოს, სასაქონლო შენახვა კი, როგორც წესი, კონსენსუალური და ირეგულარულია, გამონაკლისის წესით კი შეიძლება რეალურიც იყოს. სასაწყობო შენახვის თავისებურებაზე მიუთითებს ამჯერად გერმანიის სამოქალაქო სჯულდების ნმმ-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც მიბარება-შენახვის ხელშეკრულება მხოლოდ რეალური შეიძლება იყოს და ე.ი. ამით უარყოფს სასაწყობო შენახვას, როგორც შენახვის ურთიერთობას.

სასაქონლო საწყობში შენახვის ხელშეკრულების სხვა თავისებურებებიდან აღსანიშნავია მხარეთა უფლება-მოვალეობები, რაც საქონლის შენახვის წესის თავისებურებაში გამოიხატება, ასევე ამ ურთიერთობის დოკუმენტალური გაფორმება, რაც შესაბამისი მუხლების კომენტარებშია გადმოცემული.

4. როდესაც საუბარია სასაქონლო საწყობზე, ივარაუდება, რომ ამ თავის მარეგულირებელი საქონლის შენახვის წესები ერთიანად ვრცელდება სასაქონლო საწყობებზე, ელევატორებზე, მაცივრებზე, პორტებში და რკინიგზისპირა მისაღებ-გამანაწილებელ საწყობებზე და სხვა სპეციალური დანიშნულების სასაქონლო საწყობებზე.

მუხლი 781. შენახვის ვალდებულებათა კეთილსინდისიერად შესრულების მოვალეობა

სასაწყობო შენახველმა საქონლის მიბარების ვალდებულებები უნდა შეასრულოს კეთილსინდისიერი მეურნის გულისხმიერებით.

1. სასაქონლო საწყობში საქონლის შენახვის ხელშეკრულების მხარეებს გააჩნიათ რიგი თავისებური უფლება-მოვალეობები. ეს უფლება-მოვალეობები უპირველესად გამოიხატება საქონლის მიღების, შენახვის პირობებსა და წესში და საქონლის უკან დაბრუნებაში. საქონლის შესანახად მიღების წესის შესახებ იხილეთ კოდექსის 788-789-ე მუხლების კომენტარები, ხოლო საქონლის უკან დაბრუნების შესახებ 797-ე მუხლის კომენტარები.

2. სასაქონლო საწყობს (შემნახველს) საწყობში საქონლის მიღებისთანავე ევალება საქონლის შენახვის ვალდებულება. რამდენადაც სასაქონლო საწყობში საქონლის შენახვის ხელშეკრულება სასყიდლიანია, შემნახველს მომეტებული პასუხისმგებლობა ევალება იმ შემნახველთან შედარებით, რომელიც სხვისი ქონების შენახვას უსასყიდლოდ ახორციელებს. საწყობი ვალდებულია კეთილსინდისიერად განახორციელოს საქონლის შენახვასთან დაკავშირებული ვალდებულებები. მან ყველა აუცილებელი ზომა უნდა იხმაროს საქონლის შენახვის ნორმალური პირობების შესაქმნელად. იმისათვის, რომ არ დაზიანდეს და არ გაუარესდეს საქონლის ხარისხი, მან უნდა ჩაატაროს პროფილაქტიკური ღონისძიებები იმის მიუხედავად, სასაქონლო საწყობში საქონლის შენახვის ხელშეკრულება ითვალისწინებს თუ არა საქონლის დაცვისა და შენახვის კონკრეტულ პირობებს და სასაქონლო საწყობი, როგორც პროფესიონალი შემნახველი, თუ ის მაგალითად, მარცვლეულის შენახვას აწარმოებს, ვალდებულია საწყობი მოაწყოს და მარცვლეული შეინახოს თანამედროვე ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, ღვინის მარნებში დაიცვან ტექნოლოგიური პროცესები, მაცივრებში ამა თუ იმ პროდუქტის შენახვისათვის აუცილებელი ტემპერატურა შეინარჩუნონ და ა.შ. (იხილეთ ასევე კოდექსის 765-ე მუხლის კომენტარები). საჭირო შემთხვევაში, როდესაც საქონელს დაზიანება ან სხვაგვარი საშიშროება ემუქრება, მისი ნორმალური შენახვის უზრუნველსაყოფად სასაქონლო საწყობი ვალდებულია შეცვალოს შენახვის პირობები ან საქონელი სხვა საწყობში გადაიტანოს.

მუხლი 782. საქონლის რაოდენობის შემოწმება შემნახველის მიერ

1. შემნახველი არ არის ვალდებული საქონლის მიღებისას შეამოწმოს მისი რაოდენობა, ზომა, წონა, სახეობა, ხარისხი ან სხვა თვისებები, თუ ამ თავის წესებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

2. თუ საქონელი, რომელიც შესანახად გადაეცა შემნახველს,

გადაცემისას დაზიანებული ან დაუკომპლექტებელი აღმოჩნდება, რაც გარეგნული დათვალიერებითაც შესამჩნევია, მაშინ შემნახველი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის თაობაზე მიმბარებელს; თუ იგი არ შეასრულებს ამ მოვალეობას, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

1. 782-ე მუხლის პირველი ნაწილის შესახებ იხილეთ კოდექსის 789-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის კომენტარები.

2. 782-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქონელი, რომელიც შესანახად გადაეცა შემნახველს, გადაცემისას დაზიანებული ან დაუკომპლექტებელი აღმოჩნდება, რაც გარეგნული დათვალიერებითაც შესამჩნევია, მაშინ შემნახველი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის თაობაზე მიმბარებელს, თუ იგი არ შეასრულებს ამ მოვალეობას, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

დასახელებული ნორმისა და კოდექსის 789-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად საქონლის შესანახად მიღების დროს საწყობი ვალდებულია შეამოწმოს საქონლის ხარისხი და კომპლექტურობა. თუ საქონელი არ არის დაკომპლექტებული და/ან უხარისხოა და, რის შემჩნევა გარეგნული დათვალიერებითაც შესაძლებელია, შემნახველი ამის შესახებ განუცხადებს მიმბარებელს და ყველა ამ მონაცემს შეიტანს სასაწყობო მოწმობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი საქონლის ეს ნაკლი თავის დროზე არ იქნება გაცხადებული მიმბარებლისათვის და არ იქნება შეტანილი სასაწყობო მოწმობაში, დავის წარმოშობისას მტკიცების ტვირთი იმის შესახებ, რომ საწყობში მიბარებული საქონელი იმჟამითვე უხარისხო და/ან დაუკომპლექტებელი იყო, შემნახველს ეკისრება, ხოლო თუ შემნახველმა ვერ შეძლო ამის დამტკიცება, იგი ვალდებულია, მიმბარებელს დაუბრუნოს ხარისხიანი და დაკომპლექტებული საქონელი.

მუხლი 783. მიბარებულ საქონლის დათვალიერების უფლება

შემნახველი მოვალეა სამუშაო დროის განმავლობაში ნება დართოს მიმბარებელს დაათვალიეროს მიბარებული საქონელი, აილოს ნიმუშები ან განახორციელოს აუცილებელი მოქმედებანი.

1. სასაქონლო საწყობში საქონლის მიმბარებელი საწყობში მისი საქონლის შენახვაზე კონტროლის დაწესების მიზნით განსაკუთრებული უფლებამოსილებითაა აღჭურვილი. კერძოდ, იგი უფლებამოსილია შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის დაცვისა და შენახვის პირობები, რისთვისაც შეუძლია დაათვალიეროს მიბარებული საქონელი, აილოს ნიმუშები და სხვა. ამასთან მიმბარებელმა ეს უფლება ბოროტად არ უნდა გამოიყენოს და საქონლის ხშირი და სინჯების უსაფუძვლო აღებით საწყობს მუშაობის რიტმში ხელი არ შეუშალოს, არ მოითხოვოს ღამის საათებში, როცა საწყობი განსაკუთრებული დაცვის პირობებზეა გადასული, საქონლის დათვალიერება და სხვა.

2. საქონლის მიღება-ჩაბარების საერთო წესის მიხედვით სასაწყობო შენახვის ხელშეკრულების შეწყვეტისა და მიმბარებლისათვის საქონლის უკან დაბრუნების დროს ორივე მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს საქონლის დათვალიერება და შემოწმება მისი ოდენობისა და ხარისხის განსაზღვრის მიზნით. საწყობს ასეთი მოთხოვნა, როგორც წესი, მაშინ წარმოეშობა, როცა გაუპიროვნებელ ანუ შერეულ შენახვასთან გვაქვს საქმე, საქონლის ასეთ შემოწმებასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებს გადაიხდის ის მხარე, რომელმაც მოითხოვა შემოწმება.

საქონლის უკან დაბრუნების დროს მისი დათვალიერება და შემოწმება, როგორც წესი, ორივე მხარის მიერ ერთობლივად უნდა განხორციელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ასეთი დათვალიერება და შემოწმება მიმბარებელმა დამოუკიდებლად აწარმოა და აღმოაჩინა დანაკლისი ან დაზიანება, იგი ვალდებულია საქონლის საწყობ-

ბიდან გატანამდე დაუყოვნებლივ აცნობოს შემნახველს, ხოლო ისეთი დაზიანებისა და დანაკლისის შესახებ, რაც ჩვეულებრივი დათვალიერებით არ გამოვლინდება — ასეთის გამოვლენისთანავე. თუ მიმბარებელმა საქონლის დანაკლისისა და დაზიანების შესახებ შემნახველს დროულად არ შეატყობინა, ეს უკანასკნელი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ ყოველთვის არც მარტოოდენ შეტყობინება შეიძლება გახდეს ზიანის ანაზღაურების საფუძველი. შემნახველი უფლებამოსილია წარმოადგინოს საქონლის დანაკლისისა და დაზიანების საწინააღმდეგო მტკიცებულებები.

3. როდესაც საქონელმა დანაკლისი და დაზიანება განიცადა მას შემდეგ, რაც მიმბარებელმა თავის დროზე არ დაიბრუნა საქონელი, შემნახველის პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს კოდექსის 774-ე მუხლის კომენტარის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 784. შეტყობინების ვალდებულება

შემნახველი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიმბარებელს, თუ იგი შესაძლევს მიბარებულ საქონელს გადაიტანს სხვა საწყობში, ან თუ აღმოაჩენს, რომ საქონლის თვისებები შეიცვალა ანდა არსებობს მისი შეცვლის საშიშროება. მან ეს უნდა შეატყობინოს სასაწყობო მოწმობის მისთვის ცნობილ ბოლო მფლობელს. ამ მოვალეობის შეუსრულებლობისას იგი ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

1. სასაქონლო საწყობის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას საქონლის ნორმალური შენახვის პირობების უზრუნველყოფა შეადგენს. თუ შემნახველი აღმოაჩენს, რომ მიბარებული საქონლის დანაკლისი და/ან დაზიანება აღემატება ამ საქონლისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ დანაკლისს ან დაზიანებას, მან ამის შესახებ უნდა შეადგინოს აქტი და დაუყოვნებლივ აცნობოს მიმბარებელს. ხოლო როდესაც შემნახველი აღმოაჩენს, რომ საქონლის შენახვის ნორმალური პირობების შესანარჩუნებლად დანაკლისისა და დაზიანებ-

ის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა პირობების შეცვლა ან სხვა საწყობში გადატანა, დამოუკიდებლად შეუძლია შეცვალოს შენახვის პირობები ან საქონელი სხვა საწყობში გადაიტანოს. ამასთან, მან ამის შესახებ მიმბარებელს უნდა აცნობოს.

2. როცა საქონლის შენახვის პირობების შეცვლა და სხვა საწყობში გადატანა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისაგან არსებითად განსხვავებულ პირობებს ითვალისწინებს, რამაც შეიძლება საქონლის დანაკლისი და დაზიანება გამოიწვიოს, შემნახველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სასაწყობო მოწმობის მფლობელს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

მუხლი 785. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

შემნახველი პასუხისმგებელია შესანახად გადაცემული საქონლის დაკარგვით ან/და დაზიანებით მიყენებული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამის თავიდან აცილება კეთილსინდისიერ შემნახველსაც არ შეეძლო.

1. სასაქონლო საწყობს, როგორც პროფესიონალ შემნახველს, განსაკუთრებული ვალდებულება ეკისრება. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ სასაწყობო შენახვა სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. განსაკუთრებული მოვალეობა საქონლის შენახვის თავისებურებაში და მომეტებულ პასუხისმგებლობაში გამოიხატება. საქონლის შენახვის თავისებურება ნიშნავს, რომ საწყობში შესანახად მიბარებულ ყველა საქონელს მისთვის აუცილებელი შენახვის ინდივიდუალური პირობები უნდა შეექმნას. ამ ვალდებულების დარღვევის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის კი სასაქონლო საწყობმა პასუხი უნდა აგოს როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი (უბრალო და უხეში გაუფრთხილებლობისათვის) ბრალისათვის, თუ მიყენებული ზიანი არ არის გამოწვეული დაუძლეველი ძალით, რომლის თავიდან აცილებას კეთილსინდისიერი შემნახველიც ვერ შესძლებდა,

(შემნახველის პასუხისმგებლობის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ კოდექსის 774-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 786. გვაროვნული ნივთების შენახვის თავისებურებანი

1. გვაროვნული ნივთების შენახვისას შემნახველს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება შეურიოს ისინი იმავე სახისა და თვისების სხვა ნივთებს, თუ ამაზე არსებობს მიმბარებლის ნებართვა.

2. ამ შერევის შედეგად წარმოშობილ საქონელზე მიმბარებლებს აქვთ საერთო საკუთრების უფლება, თითოეული მიმბარებლის წილი განისაზღვრება მის მიერ ჩაბარებული საქონლის ოდენობის შესაბამისად.

3. შემნახველი მოვალეა თითოეულ მიმბარებელს დაუბრუნოს მიბარებული საქონელი მისი კუთვნილი წილის შესაბამისად, დანარჩენი მიმბარებლების თანხმობის გარეშე.

1. უკანასკნელ დრომდე გაბატონებული აზრის მიხედვით სასაქონლო საწყობში საქონლის შენახვა საერთოდ შენახვის ურთიერთობად არ აღიქმებოდა და ამის გამო ეს ურთიერთობა არა სამოქალაქო კოდექსებით, არამედ დამოუკიდებელი ნორმატიული აქტებით წესრიგდებოდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ შენახვის ხელშეკრულების ერთდერთ ობიექტად მხოლოდ ინდივიდუალურ ნივთს მიიჩნევდნენ, გვაროვნული ნივთის „შენახვას“ კი – სესხად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მხრივ სწორი პოზიცია დაიკავა საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსმა (იხ. 777-ე მუხლის კომენტარი), რომლის მიხედვითაც შენახვისა და სესხის ხელშეკრულების განმასხვავებელ ნიშნად მიჩნეულია არა თავისთავად ხელშეკრულების ობიექტი, არამედ მხარეთა შეთანხმების შინაარსი. მართალია, გვაროვნული ნივთის შენახვის ხელშეკრულებისათვის ფორმალურად სესხის ხელშეკრულების ნიშნებიცაა დამახ-

ასიათბელი, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ გვაროვნული ნივთი გაუპიროვნებელი შენახვის შესაძლებლობას იძლევა, შენახვის ხელშეკრულებას სესხის ხელშეკრულებად ვერ გადააქცევს. სესხის ხელშეკრულების შესაბამისი ნორმები უნდა იყოს გამოყენებული მაშინ, როცა მხარეები შეთანხმდებიან, რომ ერთი მხარე მეორეს საკუთრების უფლებით გადასცემს გვაროვნულ ნივთს და ეს უკანასკნელი დაუბრუნებს იმავე გვარის, ხარისხისა და რაოდენობის სხვა ნივთს.

2. სასაქონლო საწყობში საქონლის შენახვის ობიექტი გვაროვნული ნივთია. ამიტომ, გვაროვნული ნივთის სამართლებრივი თვისებიდან გამომდინარე, სასაქონლო საწყობში ასეთი საქონელი, როგორც წესი, სხვა ერთგვაროვან საქონელთან ერთად გაუპიროვნებლად შეინახება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მისი შენახვა ყოველთვის გაუპიროვნებელი წესით ხდება. სასაქონლო საწყობში საქონელი შეინახება ნორმალური, შერეული (გაუპიროვნებელი) და მოჩვენებითი წესით.

ა) საქონლის ნორმალური წესით შენახვის ხელშეკრულებით შემნახველი კისრულობს ვალდებულებას, რომ მისთვის მიბარებულ გვაროვნულ საქონელს საწყობში სხვა, იმავე გვარის საქონლისაგან განცალკევებულად შეინახავს და მიმბარებელს უშუალოდ მის მიერ ჩაბარებულ საქონელს დაუბრუნებს. რამდენადაც, როგორც წესი, სასაქონლო საწყობში ერთგვაროვანი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო (მათ შორის, კვების პროდუქტები) საქონლის დიდი პარტიები შეინახება გაუპიროვნებლად. ნორმალური წესით საქონლის შენახვისათვის საჭიროა მხარეთა სპეციალური შეთანხმება. ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ სასაქონლო საწყობში ნორმალური წესით საქონლის შენახვით გვაროვნული ნივთის ინდივიდუალიზაცია ხდება, მაგრამ ეს სულაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ასეთი შენახვა ნორმალურ ანუ რეგულარულ შენახვად მივიჩნიოთ. მის მიმართ გამოყენებული უნდა იყოს კოდექსის 780-798-ე მუხლებით დადგენილი წესები.

ბ) საქონლის შენახვის შერეული წესი გულისხმობს, რომ საწყობში მიბარებული საქონელი შეინახება სხვა ერთგვაროვან და იმავე ხარისხის საქონელთან ერთად — გაუპიროვნებლად და მიმბარებელს დაუბრუნდება არა უშუალოდ მის მიერ ჩაბარებული საქონელი, არამედ იმავე ხარისხისა და რაოდენობის სხვა საქონელი.

სამოქალაქო კოდექსის 788-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული დებულება, რომ შერევის შედეგად წარმოშობილ საქონელზე მიმბარებლებს აქვთ საერთო საკუთრების უფლება, პირობითი ხასიათისაა და არ შეიძლება გაზიარებული იყოს ავტორების — გ. ჩესკისის, ვ. იაკოვლევას, ა. დოზორცევისა და სხვათა მტკიცება, რომ გვაროვნული ნივთის გაუპიროვნებელ შენახვას მიმბარებლების წილადი საკუთრება მოჰყვება.³ წილადი საკუთრების წარმოშობის, სარგებლობის, განკარგვისა და შეწყვეტის საერთო საფუძვლებს არაფერი აქვთ საერთო სასაქონლო საწყობში საქონლის გაუპიროვნებელ შენახვასთან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიმბარებელი ისე შეიტანს საწყობში საქონელს, იქვე ისე დააგირავებს და გაასხვისებს და ბოლოს ისე გამოიტანს საწყობიდან მას, რომ ე. წ. საერთო წილად მესაკუთრეებს არაფერს ჰკითხავს, რაც ჩვეულებრივი საერთო წილადი მესაკუთრისათვის შეუძლებელი გახდებოდა. სასაქონლო საწყობში საქონლის გაუპიროვნებელ შენახვას საერთო წილადი საკუთრების პირობითი ხასიათი რომ აქვს, იმითაც მტკიცდება, რომ მიმბარებლებზე ეს საკუთრება აღირიცხება არა წილადობრივად, არამედ სასაწყობო მოწმობის რეკვიზიტებში ასახვას ჰპოვებს საქონლის ოდენობა, ზომა და წონა.

მაგრამ ზემოაღნიშნულის გამო ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საქონლის გაუპიროვნებელ შენახვას საერთო არაფერი აქვს წილად საკუთრებასთან. თუ მიმბარებლების გაუპიროვნებლად შენახულმა საქონელმა განიცადა დანაკლისი ან დაზიანდა, ამით მიყენებული ზიანის ოდენობა წილადობრივად უნდა გადანაწილდეს მიმბარე-

³ В. Яковлева. Советское гражданское право, часть 2, 1982. С. 279. Г. Ческии, Советское гражданское право, ч. 2, 1987 г. С. 361

ბლებზე, რაც გაანგარიშებული უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, თუ თითოეულის მიერ მიბარებული საქონლის ოდენობა რა წილს შეადგენს საქონლის საერთო ოდენობაში. მაგალითად, სამი მიმბარებელიდან ერთს საწყობში მიბარებული აქვს 1 ტონა მარცვლეული, მეორეს – 2, ხოლო მესამეს – 3 ტონა, რაც შერეული წესით არის შენახული. შესაბამისად პირველი მიმბარებლის წილი განისაზღვრება $1/6$ -ით, მეორის – $2/6$ -ით და მესამის – $3/6$ -ით. თუ საქონლის დანაკლისი ან ზარალი 500 კგ-ით განისაზღვრა, პირველი მიმბარებელი ზიანს განიცდის 500 კგ-ის $1/6$ -ის ოდენობით, მეორე – $2/6$ -ის, ხოლო მესამე – 500კგ-ის $3/6$ -ის ოდენობით. ასეთივე პრინციპით გადანაწილდება მათი პასუხისმგებლობის მოცულობა, თუ გაუპიროვნებლად შენახულმა საქონელმა მისი თვისებების გამო ზიანი მიაყენა შემნახველს.

გ) სასაქონლო საწყობის მიზნობრივი დანიშნულება, როგორც წესი, საქონლის შენახვაა, მაგრამ ამ ურთიერთობებში არც ისეთი შემთხვევაა გამორიცხული, როცა საწყობი საქონლის შენახვასთან ერთად ამ საქონლით ვაჭრობასაც ეწევა. ასეთ საწყობებში საქონლის შენახვა უპირატესად მოჩვენებით ხასიათს ატარებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ შემნახველი უფლებამოსილია, შესანახად მიბარებული საქონელი საერთოდ არ შეიტანოს საწყობში და ბრუნვაში მოაქციოს. ამასთან, ვალდებულია, ამ ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით საწყობში იქონიოს იმავე გვარისა და ხარისხის შესაბამისი ოდენობის საქონლის მარაგი. ასეთ საწყობებს ხშირად სავაჭრო სასაქონლო საწყობს ან მოჩვენებით სასაქონლო შენახვას უწოდებენ.

მუხლი 787. მიმბარებელი საქონლის გაყიდვა

თუ შესანახად მიბარებული საქონელი ფუჭდება ან იმდენად იცვლება, რომ იგი შეიძლება გაუფასურდეს, და შემნახველს ღრო აღარ რჩება ამის თაობაზე შეატყობინოს ან არ შეუძლია შეატყობ-

ინოს უფლებამოსილ პირს, მაშინ ის უფლებამოსილია საქონელი გაყიდოს.

1. სამოქალაქო კოდექსის 787-ე მუხლი ითვალისწინებს სასაქონლო საწყობის მიერ მისთვის მიბარებული საქონლის გაყიდვას. აქ კანონმდებელს უპირველესად მხედველობაში აქვს ისეთი შემთხვევა, როცა საქონელი ფუჭდება და შემნახველს საქონლის გადარჩენის ან მისი ხარისხის შენარჩუნების შესაძლებლობა არა აქვს. ბუნებრივია, ამ დროს დგება საკითხი საქონლის გაუფასურების შესახებ, რამაც მიმბარებელს შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს. ზიანის თავიდან აცილება და საერთოდ მიმბარებლის ინტერესების დაცვა კი შემნახველის უპირველესი მოვალეობაა. ამიტომაცაა ასეთი საქონლის დაუყოვნებლივ გაყიდვა შემნახველის გადაუდებელ საქმედ მიჩნეული, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს შემნახველი თვითნებურად, მიმბარებლის ნების გარეშე, მოქმედებდეს. მართალია, შემნახველი უპირველესად საქონლის გაყიდვით უნდა იყოს დაინტერესებული, მაგრამ ამასთან მან შეძლებისდაგვარად დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მიმბარებელს მისი განზრახვის შესახებ. აღსანიშნავია ასევე, რომ საწყობში მიბარებული საქონლის აუცილებლობით გამოწვეულ გადაუდებელ გაყიდვას არც თუ ხშირად შეეხვებით, რადგან მსგავსი შემთხვევა უნდა გავრცელდეს მხოლოდ მალფუჭებადი საქონლის მიმართ, რათა შემნახველს უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა არ ჰქონდეს. ასეთი საქონლის (კიტრი, პამიდორი და სხვა) სასაქონლო საწყობში შენახვა კი იშვიათი გამონაკლისი იქნება. რაც შეეხება სხვა საქონლის გაყიდვას, რომლის სწრაფი გაფუჭების საშიშროება არ არსებობს, შემნახველი უფლებამოსილია მხოლოდ მიმბარებლის ნებართვის მიღების შემდეგ.

2. სხვა შემთხვევა, როცა შემნახველმა შეიძლება გაყიდოს მიბარებული საქონელი, უფრო ცნობილი და გავრცელებულია სამოქალაქო კოდექსებით. ეს გარემოება უკავშირდება მიმბარებლის მიერ

ვალდებულების შეუსრულებლობას, კერძოდ, მას შემდეგ, რაც ამოწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შენახვის ვადა ან განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულებისას შემნახველის მიერ მიმბარებლისათვის დანიშნული ვადა, მიმბარებელი ვალდებულია, დაიბრუნოს საქონელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გამოირკვა, რომ მიმბარებელი შეგნებულად არიდებს თავს საქონლის უკან წაღებას, შემნახველი უფლებამოსილია, მიმბარებელს აცნობოს თავისი განზრახვა საქონლის გაყიდვის შესახებ და გაყიდოს იგი.

3. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში შემნახველი საქონლის რეალიზაციით მიღებულ თანხას გადასცემს მიმბარებელს იმ თანხის გამოკლებით, რაც შემნახველს ეკუთვნის, მათ შორის, საქონლის რეალიზაციისათვის გახარჯული თანხები.

მუხლი 788. სასაწყობო მოწმობა

საქონლის მიღებისას შემნახველი ვალდებულია მიმბარებელს გადასცეს სასაწყობო მოწმობა.

1. სასაქონლო საწყობთან დადებული შენახვის ხელშეკრულების ერთ-ერთ საინტერესო და რთულ საკითხად მიჩნეულია ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტი, რომელიც შემნახველი საწყობის მიერ გაიცემა. ამ საკითხისადმი ჩვენი განსაკუთრებული დაინტერესება იმიტაც აიხსნება, რომ თავად სასაქონლო საწყობებში საქონლის შენახვა ჩვენთვის ახალი ურთიერთობაა. მთელი რიგი ქვეყნების სასაწყობო შენახვის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მათ მიერ არჩეული სასაწყობო შენახვის წესი საქონელბრუნვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მხედველობაში გვაქვს სასაქონლო საწყობის მიერ გაცემული დოკუმენტის საშუალებით საწყობში შენახული საქონლის გასხვისება და/ან დაგირავება საწყობიდან საქონლის გატანის გარეშე.

2. საწყობის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც ხდება საქონლის გასხვისება და/ან დაგირავება მისი გადაადგილების გარეშე, ბრუნვაუნარიან ფასიან ქაღალდს წარმოადგენს. ცნობილია სასაქონლო საწყობის მიერ გაცემული დოკუმენტების ორი სისტემა: 1) საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის დოქტრინით შემუშავებული „ორდოკუმენტიანი „ანუ“ ორმაგი დოკუმენტის „სისტემა და 2) სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მიერ შემუშავებული“ ერთი დოკუმენტის „ანუ უბრალო სასაწყობო მოწმობის სისტემა.

საფრანგეთის ორდოკუმენტიანი სისტემის მიხედვით საწყობი, რომელიც შესანახად მიიღებს საქონელს, ამის დასადასტურებლად გაცემს საორდერო დოკუმენტს (ამის შესახებ იხ. კოდექსის 791-ე მუხლის კომენტარები), რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: 1. სასაწყობო მოწმობისაგან და 2. საგირავნო მოწმობისაგან – ვარანტისაგან. სასაწყობო მოწმობა არის ერთადერთი დოკუმენტი, რომლითაც მტკიცდება მიმბარებლის მიერ საქონლის საწყობში შენახვის ფაქტი და მხოლოდ მის მფლობელს შეუძლია საქონლის უკან წაღება. მიმბარებელს საორდერო სასაწყობო მოწმობაზე შეუძლია გააკეთოს სახელობითი ან საბლანკო ინდოსამენტი და სასაწყობო მოწმობა გადასცეს მესამე პირს, რაც იმის დადასტურებაა, რომ მიმბარებელმა საწყობში შენახული საქონელი საკუთრების უფლებით გადასცა სასაწყობო მოწმობის ახალ მფლობელს. ამრიგად, სასაწყობო მოწმობის საშუალებით მის მფლობელს შესაძლებლობა ეძლევა, გაასხვისოს საწყობში შენახული მიმბარებული საქონელი სასაწყობო მოწმობის მესამე პირზე გადაცემით ისე, რომ საქონელი საწყობიდან არ იქნეს გატანილი.

დოკუმენტის მეორე ნაწილს გირავნობის მოწმობა – ვარანტი წარმოადგენს. ამ მოწმობაზეც ასევე სპეციალური წარწერის (ინდოსამენტის) შესრულებით და მესამე პირზე (კრედიტორზე) გადაცემით მის მფლობელს საშუალება ეძლევა საწყობში შესანახად ჩაბარებული საქონელი დააგირავოს სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად ისე, რომ საქონელი საწყობიდან არ იყოს გატანილი (ვარანტი).

3. სასაქონლო საწყობის ორდოკუმენტიანი სისტემა შესაძლებლობას იძლევა, მისმა მფლობელმა სასაწყობო მოწმობაზე შეასრულოს ინდოსამენტი და გაასხვისოს საწყობში შენახული საქონელი მას შემდეგაც, რაც იგი დაგირავებული იქნება ვარანტის საშუალებით. პირი, რომელიც ინდოსამენტით მიიღებს სასაწყობო მოწმობას ვარანტთან ერთად, საწყობში შენახული ყოველგვარი დატვირთვისაგან თავისუფალი საქონლის მესაკუთრე გახდება, ხოლო როდესაც სასაწყობო მოწმობა ვარანტის გარეშე გადაეცემა მესამე პირს, ეს იმის მაუწყებელია, რომ საწყობში შენახული გასასხვისებელი საქონელი დაგირავებულია გარკვეული ვალდებულების უზრუნველსაყოფად და ამ ვალდებულების შესრულებამდე სასაწყობო მოწმობის ახალ მფლობელს უფლება არა აქვს, საწყობიდან გამოიტანოს საქონელი.

საფრანგეთის ორდოკუმენტიანი სისტემის მიხედვით სასაწყობო მოწმობა და ვარანტი ერთნაირი შინაარსის შემცველი დოკუმენტებია. ერთმანეთისაგან ისინი განსხვავდებიან დასახელებით – „სასაწყობო მოწმობა“ და „გირავნობის მოწმობა“ (ვარანტი) და დანიშნულებით. სასაწყობო მოწმობისა და გირავნობის მოწმობის ფორმის შესახებ (იხ. კოდექსის 789-ე მუხლის კომენტარი).

4. სასაქონლო საწყობში საქონლის შენახვის ორდოკუმენტიანმა სისტემამ ბევრი ქვეყნის ყურადღება მიიპყრო, მაგრამ ბევრმაც – ინგლისმა, ამერიკამ, გერმანიამ ერთდოკუმენტიანი სისტემის შემოღება ამჯობინა, რომლის დროსაც საწყობი მხოლოდ სახელობით ან საწარმდგენლო სასაწყობო მოწმობას გასცემს. საწარმდგენლო სასაწყობო მოწმობა ფასიანი საბრუნავი ქალაქია, რომლის საშუალებითაც საწყობში შენახული საქონლის მესამე პირზე გადაცემისათვის საკმარისია საწარმდგენლო სასაწყობო მოწმობის მესამე პირისათვის გადაცემა ინდოსამენტის გარეშე. ერთდოკუმენტიანი სასაწყობო მოწმობით მიბარებული საქონლის დაგირავება კი თვით ამ მოწმობის კრედიტორისათვის გადაცემით ხორციელდება, რის შედეგადაც საწყობში შენახული საქონლის

დაგირავების შემთხვევაში გამორიცხულია მისი გასხვისება მანამ, სანამ არ შესრულდება ის ვალდებულება, რის უზრუნველსაყოფადაც არის დაგირავებული საწყობში შენახული საქონელი.

ერთდოკუმენტიანი სისტემის მომხრენი მის უპირატესობას ორდოკუმენტიან სისტემასთან შედარებით სწორედ ზემოაღნიშნულ გარემოებაში ხედავენ, რომ აქ გამორიცხულია დაგირავებული საქონლის გასხვისება და მისი შემძენი გარანტირებულია, რომ მის მიერ შეძენილი საქონელი თავისუფალია ყოველგვარი დამატებითი დავითვისაგან, თუმცა არანაკლები გარანტია არსებობს ორდოკუმენტიანი სისტემის დროსაც, რამდენადაც ვარანტზე შესრულებული ინდოსამენტი რეგისტრირებული უნდა იყოს სასაქონლო საწყობში და დაინტერესებულ პირს ყოველთვის შეუძლია მისი გაცნობა. ამასთან, საფრანგეთის ორდოკუმენტიანი სისტემა საქონელბრუნვის ფართო შესაძლებლობას იძლევა.

5. ორდოკუმენტიანი და ერთდოკუმენტიანი სასაწყობო მოწმობების უპირატესობისათვის ბრძოლას ბოლო მოუღო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ახალმა სამოქალაქო კოდექსებმა. მათ ორივე სისტემის სინთეზი გამოიყენეს. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 912-ე მუხლი დასაშვებად თვლის როგორც ორდოკუმენტიან, ისე ერთდოკუმენტიან სასაწყობო მოწმობას და ასევე სასაწყობო ქვითარს.

რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, ის ასეთ ჩამონათვალს არ აკეთებს. ზოგადი დებულებებიდან გამომდინარე კი, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის არც ერთ სისტემას არ უარყოფს. კოდექსის 794-ე მუხლიდან ირკვევა, რომ საწყობი გასცემს სასაწყობო და საგირავნო მოწმობებს, რაც ორდოკუმენტიანი სისტემის აღიარებაა, მაგრამ ის არ არის ერთადერთი. ამავე კოდექსის 791-ე მუხლით საწყობი გასცემს არა მხოლოდ საორდერო სასაწყობო მოწმობას და, თუ ეს ასეა, ირღვევა ორდოკუმენტიანი სისტემის პრინციპი, რომელიც მხოლოდ საორდერო სასაწყობო მოწმობას იცნობს და უნდა ვაღიაროთ, რომ საწყობი, რუსეთის

ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, გასცემს ერთდოკუმენტთან საწარმდგენლო და სახელობით სასაწყობო მოწმობასაც.

მუხლი 789. სასაწყობო მოწმობის რეკვიზიტები

1. სასაწყობო მოწმობაში უნდა აღინიშნოს:

ა. სასაწყობო მოწმობის გაცემის თარიღი და რეგისტრაციის ნომერი;

ბ. მხარეთა ვინაობა და მისამართი;

გ. შენახვის ადგილი;

დ. საქონლის შენახვის წესი;

ე. შესანახი საქონლის აღწერა (ოდენობა, ზომა ან წონა) და ხარისხი; საქონლის შეფუთვისას – შეფუთვის აღწერა;

ვ. შენახვის საზღაურისა და სხვა აუცილებელი ხარჯების ოდენობა;

ზ. თუ შესანახი საქონელი დაზღვეულ უნდა იქნეს, მაშინ – სადაზღვევო თანხა;

თ. ხელშეკრულების მოქმედების ვადა;

ი. შემნახველის ხელმოწერა, დამოწმებული შესაბამისი ბეჭდით.

2. თუ ამ მუხლში დასახელებული პირობები სრულად არ არის ასახული სასაწყობო მოწმობაში, ეს მხარებს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. მხარეებს უფლება აქვთ სასაწყობო მოწმობაში შეიტანონ სხვა პირობებიც.

1. სამოქალაქო კოდექსი სასაწყობო მოწმობებს შორის ყველაზე სრულყოფილად ორდოკუმენტთან სისტემას განიხილავს და სამართლიანად ანიჭებს მას უპირატესობას. საქონლის შენახვის ორდოკუმენტიანი სისტემა მოიცავს თვით სასაწყობო მოწმობასა და გირავენობის მოწმობას. ორდოკუმენტიანი სასაწყობო მოწმობის დანიშნულება საწყობში მიბარებული საქონლის გასხვისება და

დაგირავენება. ორივე საორდერო ფასიანი საბრუნავი დოკუმენტია და ერთნაირი შინაარსის შეტყვევლი დოკუმენტებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე მათგანში ასახვა უნდა ჰქონდეს სამოქალაქო კოდექსის 789-ე მუხლით გათვალისწინებულმა რეკვიზიტებმა. ისინი განსხვავდებიან მხოლოდ დასახელებით – „სასაწყობო მოწმობა“ და „გირავნობის“ მოწმობა და დანიშნულებით.

2. თუ ორდოკუმენტიანი სასაწყობო მოწმობა საორდერო დოკუმენტია, ერთდოკუმენტიანი სასაწყობო მოწმობა შეიძლება იყოს საწარმდგენლო და სახელობითი.

ერთდოკუმენტიანი საწარმდგენლო სასაწყობო მოწმობა ფასიანი საბრუნავი ქაღალდია, რომლითაც მტკიცდება საქონლის საწყობში მიბარების ფაქტი და მხოლოდ მის მფლობელს შეუძლია საქონლის უკან წაღება. მოწმობის საწარმდგენლო თვისება მას ბრუნვაუნარიანობის დიდ შესაძლებლობას ანიჭებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მიბარებული საქონლის გასხვისება ამ მოწმობის მესამე პირისათვის მარტივ გადაცემაში გამოიხატება ინდოსამენტის გარეშე. ერთდოკუმენტიანი საწარმდგენლო სასაწყობო მოწმობა, ისევე როგორც ორდოკუმენტიანი, საჭიროა შეიცავდეს სამოქალაქო კოდექსის 789-ე მუხლით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს. ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს ამ სასაწყობო მოწმობის საწარმდგენლო თვისება და მასში არ მიეთითება სასაწყობო მოწმობის (საქონლის) მფლობელი – საქონლის მიმღები პირის ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი (იურიდიული პირის შემთხვევაში – ადგილსამყოფელი).

3. ერთდოკუმენტიანი სახელობითი სასაწყობო მოწმობა ანუ როგორც მას რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი უწოდებს, სასაწყობო ქვითარი, საქონლის საწყობში მიბარების ფაქტის დადასტურებაა და მისი უკან დაბრუნების ერთადერთი საშუალებაა. სახელობითი სასაწყობო (სასაქონლო) ქვითარი უნდა შეიცავდეს სამოქალაქო კოდექსის 789-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა რეკვიზიტს, მაგრამ საორდერო და საწარმდგენლო სასაწყობო

მოწმობებისაგან განსხვავებით საწყობში მიბარებული საქონლის დაგირავება და გასხვისება ამ მოწმობის გადაცემით დაუშვებელია. ამიტომ, ამ წესით საწყობში საქონელი შეინახება შედარებით ხანმოკლე პერიოდით და, როცა მიმბარებელს საქონლის დაგირავებისა და გასხვისების მიზანი არა აქვს და, თუ მაინც წარმოიშვა საქონლის გასხვისების სურვილი, მისი გასხვისება დასაშვებია მხოლოდ საერთო სამოქალაქო სამართლებრივი გზით – უფლების დათმობის ანუ ცესიის საშუალებით.

4. სასაქონლო საწყობი სასაწყობო მოწმობაში შეიტანს მისი გაცემის თარიღს და რეგისტრაციაში გაატარებს საწყობში შემოღებულ სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში. მოწმობას სარეგისტრაციო ჟურნალში გაატარებს იმავე დღეს და იმავე თარიღით, როდესაც მას მოეწერება ხელი.

პრაქტიკულად, როგორც წესი, სასაწყობო მოწმობას ხელი მოეწერება და გაიცემა საწყობში საქონლის შემოტანასთან ერთად. არცთუ იშვიათად მხარეთა შორის იდება კონსენსუალური ხელშეკრულება. მაგალითად, იმისათვის, რომ ფერმერი გარანტირებული იყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის თავისდროული შენახვა-დაბინავებით, ის წინასწარ შეუთანხმდება საწყობს და დადებენ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც შემნახველი საწყობი იკისრებს ვალდებულებას, მხარეთა შეთანხმებით დათქმულ დროს მიიღოს საქონელი შესანახად. ასეთ შემთხვევაში სასაწყობო მოწმობა გაიცემა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან დიდი ხნის შემდეგ – საწყობში საქონლის შეტანის დროს, რაც ჩვეულებრივ კონსენსუალური ხელშეკრულებისთვისაა დამახასიათებელი.

5.1. სასაქონლო საწყობში საქონლის შენახვის ხელშეკრულების მხარეებია მიმბარებელი და შემნახველი როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. საწყობი საქონლის შენახვით სამეწარმეო საქმიანობას ეწევა და ამიტომ, მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, სათანადო წესით არის რეგისტრირებული. ისევე, როგორც

ყველა სხვა გარიგებებში, სასაწყობო შენახვის მონაწილე მხარეებიც კონკრეტული პირები არიან, რომელთა ინდივიდუალიზაცია, ვინაობა სახელით განისაზღვრება. სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის სახელი მის სახელსა და გვარს მოიცავს. რაც შეეხება იურიდიულ პირს, მისი სახელი „სახელწოდებით“ არის ცნობილი. იურიდიული პირის სახელწოდებად გამოყენებული უნდა იყოს საწესდებო სახელწოდება, ე.ი. ის, რაც წესდებაშია გამოყენებული.

5.2. ფიზიკური პირის ინდივიდუალიზაციის მეორე, მეტად მნიშვნელოვანი ნიშანი მისი საცხოვრებელი ადგილია. პირის სახელი (სახელი და გვარი) ყოველთვის არ იძლევა კონკრეტული პირის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას, რადგან არც თუ იშვიათად გვხვდება ერთი და იგივე სახელის მატარებელი რამდენიმე პირი. ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს სწორედ საცხოვრებელი ადგილი ასრულებს. დღეისათვის სადავო არ არის და საყოველთაოდაა აღიარებული მთელი რიგი ქვეყნების – საფრანგეთის, გერმანიის, პორტუგალიის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსების მიერ, რომ პირის საცხოვრებელ ადგილად მიჩნეული უნდა იყოს პირის უპირატესი, უმთავრესი, საცხოვრებელი ადგილი, ე.ი. ადგილი, სადაც მას უფრო ხანგრძლივი პერიოდით უხდება ცხოვრება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლში ჩამოყალიბებულია პირის საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია. მასში ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება: 1. რომ პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი „ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს“ და 2. რომ ფიზიკურ პირს შეიძლება რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი ჰქონდეს.

5.3. საწარმდგენლო სასაწყობო მოწმობაში კოდექსის 789-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეკვიზიტები შეიტანება ამავე მოწმობის თავისებურებებიდან გამომდინარე.

6. კოდექსის 789-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს სასაწყობო მოწმობაში საქონლის შენახვის „ადგილის“ მითითებას.

საერთოდ ვალდებულებით სამართალში ადგილის ცნებად მიჩნეულია ვალდებულების შესრულების ადგილი და ყურადღება გამახვილებულია, როგორც კანონში, ისე ლიტერატურაში იმაზე, თუ სად მოხდეს ნივთის გადაცემა. (სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლი). განსხვავებული მდგომარეობაა შენახვის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც ძირითადი ვალდებულება და მისი შესრულება დაკავშირებულია არა ნივთის გადაცემასთან, როგორც ეს დამახასიათებელია, მაგალითად, ნასყიდობის დროს, არამედ ნივთის შენახვაში. ამიტომაცაა, რომ შენახვის ხელშეკრულებისათვის მთავარია, თუ სად და რომელ საწყობში იქნება მოთავსებული შესანახად მიბარებული საქონელი. რაც შეეხება საქონლის შესანახად გადაცემასა და მის უკან დაბრუნებას, ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოხდება საწყობის ადგილსამყოფელის მიხედვით. ხშირად სასაწყობო შენახვის ხელშეკრულების დადებისა და სასაწყობო მოწმობის გაცემის ადგილი შეესაბამება საწყობის ადგილმდებარეობას, თუმცა არ არის გამორიცხული საწინააღმდეგოც, როცა შენახველი იურიდიული პირის მმართველობის ორგანო და საწყობი სხვადასხვა მისამართზეა განლაგებული.

7. მხარეებისათვის და განსაკუთრებულად მიმბარებლისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა წესით იქნება შენახული საწყობში მიბარებული საქონელი. სასაწყობო შენახვის თავისებურებიდან გამომდინარე, როგორც წესი, საქონელი სხვა გვაროვნულ საქონელთან ერთად შეინახება საწყობში, მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია. სასაქონლო საწყობში საქონელი შეინახება უკვე ტრადიციულად ქცეული სამი წესით. ესენია – ნორმალური, შერეული და მოჩვენებითი (იხ. კოდექსის 786-ე მუხ. კომენტარი). ამიტომ სასაწყობო მოწმობაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, თუ შენახვის რომელი წესი იყოს გამოყენებული. გარდა აღნიშნულისა, შენახვის ამ მთავარი წესის განსაზღვრასთან ერთად, მხარეები უნდა შეთანხმდნენ საქონლის შენახვის პირობებზეც – ტემპერატურის, ტექნოლოგიისა და სხვა სახის მომსახურებაზე.

8. სასაქონლო საწყობში საქონლის შესანახად მიღების დროს მხარეებმა ერთობლივად უნდა დაადგინონ შესანახი საქონლის ოდენობა — მოცულობა, წონა, ზომა; უნდა განისაზღვროს საქონლის ხარისხი; თუ საქონელი შეფუთულ მდგომარეობაშია, მოხდება შეფუთვის აღწერა. დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით საქონლის აწონვისა და ხარისხის განსაზღვრისათვის საჭირო ხარჯებს საწყობი გაიღებს. კოდექსის 789-ე მუხლში მითითებული რეკვიზიტების სასაქონლო მოწმობაში მითითება სავალდებულოა საქონლის შერეული და მოჩვენებითი შენახვის დროს. რაც შეეხება საქონლის ნორმალური წესით შენახვისას, დასახელებული რეკვიზიტების სასაწყობო მოწმობაში შეტანის აუცილებლობა არ არსებობს, განსაკუთრებით კი, როცა შენახვის ობიექტი სამრეწველო საქონელია. თუმცა მხარეებს შეუძლიათ, ამ რეკვიზიტების სასაწყობო მოწმობაში შეტანა დაადგინონ ნორმალური წესით საქონლის შენახვის დროსაც.

9. საქონლის შენახვის საზღაური და მოსალოდნელი ხარჯები სასაწყობო შენახვის ურთიერთობის ის ელემენტებია, რომლებმაც აუცილებლად უნდა ჰპოვონ ასახვა სასაწყობო მოწმობაში. სასაქონლო საწყობში საქონლის შენახვა სასყიდლიანი ხელშეკრულებაა და მისი ოდენობის განსაზღვრა წინასწარ უნდა მოხდეს და, შესაბამისად, ასახვაც უნდა ჰპოვოს სასაწყობო მოწმობაში. (საქონლის შენახვის ხელშეკრულების საზღაურისა და ხარჯების შესახებ იხ. კოდექსის 764-ე მუხლის კომენტარები).

10. როცა მხარეთა შორის მიღწეული იქნება შეთანხმება, რომ შემნახველმა დააზღვიოს მიბარებული საქონელი, ამან ასახვა უნდა ჰპოვოს სასაწყობო მოწმობაში. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დამზღვევი უფლებამოსილია, დააზღვიოს მესამე პირის ქონება. შესაბამისად, სასაწყობო შენახვის დროს სათანადო ხელშეკრულების არსებობისას შემნახველი, როგორც დამზღვევი, ვალდებულია დააზღვიოს მიბარებლის საქონელი, რომელიც დაზღვეულის როლში გამოდის. დაზღვეულის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება დამზღვევს არ ათავისუფლებს

ამ ხელშეკრულებით გამოწვეული ვალდებულებების შესრულების-
აგან. დაზღვევის ხელშეკრულებით გამოწვეულ ხარჯებსაც მზღვევ-
ელს დამზღვევი გადაუხდის და დაზღვეულისაგან ამ ხარჯების
რეგრესით ამოღებასაც ვერ მოითხოვს, თუ დაზღვევა სავალდებუ-
ლოა, მაგრამ რამდენადაც საწყობში მიბარებული საქონლის დაზღვევა
ნებაყოფლობით დაზღვევას განეკუთვნება, შემნახველი უფლებამო-
სილია, მიმბარებელს რეგრესის წესით მოსთხოვოს საქონლის
დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. თავის მხრივ
მიმბარებელი, როგორც დაზღვეული, უფლებამოსილია შემნახველს
მოსთხოვოს ჩატარებული სამუშაოს ანგარიში და დაზღვევის დამა-
დასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

11. შენახვის ხელშეკრულების მოქმედების ვადა, იმის მიხედ-
ვით, ხელშეკრულება რეალურია თუ კონსენსუალური, მოიცავს ორ
მომენტს. რეალური ხელშეკრულების დადების დროს თვით
ხელშეკრულების დადება, სასაწყობო მოწმობის გაცემა და საქონ-
ლის საწყობში შეტანის მომენტი ერთმანეთს ემთხვევა. კონსენსუ-
ალური ხელშეკრულების დროს კი ხელშეკრულების მოქმედების
ვადა უფრო ხანგრძლივია და აღემატება საწყობში საქონლის შენ-
ახვის ვადას. ჩვეულებრივ კონსენსუალური ხელშეკრულება დაიდ-
ება უფრო ადრე, ხოლო სასაწყობო მოწმობა გაიცემა და საქონე-
ლი საწყობში შეინახება უფრო მოგვიანებით.

ამ ვადების გამიჯვნას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან
კონსენსუალური ხელშეკრულების დროს, მართალია, უფლება-მოვ-
ალეობა მისი დადების მომენტიდან წარმოიშობა, რაც გულისხ-
მობს, რომ შემნახველი ვალდებულია მხარეთა მიერ დათქმულ
დროს მიიღოს საქონელი შესანახად, მაგრამ ამასთან საქონლის
შენახვის საზღაურის გაანგარიშება და სხვა უფლება-მოვალეობანი
საქონლის შენახვის მომენტიდან წარმოიშობა, რისთვისაც სას-
აწყობო მოწმობაში ეს ვადები გარკვევით უნდა იყოს გამიჯნული.

საწყობში საქონლის შენახვის ვადა შეიძლება იყოს განსაზღვრუ-
ლიც და განუსაზღვრელიც. მართალია, მიმბარებელს ორივე

შემთხვევაში აქვს უფლება, ყოველთვის მოითხოვოს საქონლის უკან დაბრუნება, მაგრამ ეს ორი მომენტი მაინც უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან. როდესაც საქონლის შენახვის ვადა განსაზღვრული არ არის, იგულისხმება, რომ შენახვის ვადა მიმბარებლის მოთხოვნის მომენტიდან განსაზღვრული, ამიტომ მას ყოველგვარი დამატებითი პირობის გარეშე აქვს უფლება, მოითხოვოს ასეთი ხელშეკრულების შეწყვეტა, ხოლო ვადიანი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის მოთხოვნას თან სდევს იმ ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა, რაც ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას შეუძლია გამოიწვიოს. მაგალითად, საწყობის მოცდენა (იხ. კოდექსის 770-ე და 797-ე მუხლების კომენტარები).

12. ჩვეულებრივი წერილობითი ხელშეკრულებისაგან განსხვავებით სასაწყობო მოწმობა ფასიანი საბრუნავი ღირებულებითაა, რომელსაც სასაქონლო საწყობი გასცემს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

13. სამოქალაქო კოდექსის 789-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასაწყობო მოწმობა ამავე მუხლით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს სრულად არ მოიცავს, ეს მხარეებს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს. ამასთან, მხარეებს შეუძლიათ საქონლის შენახვის დამატებითი პირობებიც გაითვალისწინონ.

სასაწყობო მოწმობა, როგორც ფასიანი საბრუნავი ღირებულებითი, ექვემდებარება მკაცრად განსაზღვრულ ფორმას და, თუ არ იქნა დაცული ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი, ის კარგავს ფასიანი საბრუნავი ღირებულების დანიშნულებას, თუმცა მხარეებს არ ათავისუფლებს შენახვის ურთიერთობიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობისაგან. თვით სასაწყობო მოწმობა კი ჩვეულებრივ შენახვის ხელშეკრულებად გადაიქცევა. მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო შეიძლება საბრუნავი სასაწყობო მოწმობის გვერდით მხარეებმა ჩვეულებრივი ტრადიციული სამოქალაქო ხელშეკრულებაც დადონ. ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი, როცა მხარეთა შორის კონსენსუალური ხელშეკრულება დაიდება, ასევე,

როდესაც მხარეებს სასაწყობო მოწმობისათვის კანონით განსაზღვრული პირობები არ აკმაყოფილებთ და სურთ დამატებითი პირობების შემოღება, ისინი სასაწყობო მოწმობისაგან დამოუკიდებლად დადებენ ჩვეულებრივ ხელშეკრულებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საორდერო ან/და საწარმდგენლო სასაწყობო მოწმობები ფასიანი საბრუნავი დოკუმენტებია და მათში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია, რადგან ისინი დაკარგავენ ფასიანი საბრუნავი დოკუმენტის დანიშნულებას, მაშინ როდესაც ერთდოკუმენტიანი სახელობითი სასაწყობო მოწმობა, მისი დასათურების მიუხედავად, ჩვეულებრივ ტრადიციული სამოქალაქო ხელშეკრულებაა, ამიტომ მხარეებს სრული უფლება აქვთ ასეთ მოწმობებში შეიტანონ ის პირობებიც, რაც არ არის გათვალისწინებული კოდექსის 789-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მუხლი 790. ვარანტი

სასაწყობო მოწმობის მფლობელს საგირავნო მოწმობის საშუალებით შეუძლია საწყობში შესანახად მიბარებული საქონელი დააგირავოს სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად ისე, რომ საქონელი საწყობიდან არ იყოს გატანილი (ვარანტი).

1. ვარანტი ორდოკუმენტიანი საორდერო სასაწყობო მოწმობის შემადგენელი ნაწილია. იგი შედგება თვით სასაწყობო მოწმობის და ვარანტისაგან. სასაწყობო მოწმობა და ვარანტი ერთი და იგივე შინაარსის შემცველი დოკუმენტებია. ისინი განსხვავდებიან დასახელებით – „სასაწყობო მოწმობა“ და „გირავნობის მოწმობა“ (ვარანტი) და დანიშნულებით. ვარანტი საგირავნო მოწმობაა, რომლის მესამე პირზე გადაცემით მიმბარებელს საშუალება ეძლევა, საწყობში მიბარებული საქონელი დააგირავოს სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად ისე, რომ საქონელი საწყობიდან არ იყოს გატანილი. საგირავნო მოწმობის მესამე პირზე გადაცემა ინდოსამენტის საშუალებით განხორციელდება,

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით საგირავნო მოწმობაზე შესრულებული ინდოსამენტი რეგისტრირებული უნდა იყოს სასაქონლო საწყობში ინდოსამენტის შესრულების დროის მითითებით. სარეგისტრაციო ჟურნალში უნდა აღინიშნოს ასევე ვალდებულების მოცულობაც და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მისი შინაარსის გაცნობა.

2. ორდოკუმენტიანი სასაწყობო მოწმობა საშუალებას იძლევა მიმბარებელმა სასაწყობო მოწმობის მესამე პირზე გადაცემით საწყობში მიბარებული საქონელი გაასხვისოს მაშინაც, როცა იგი დაგირავებულია ვარანტის საშუალებით სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად. თუმცა ვარანტით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულებამდე საწყობიდან საქონელს ვერ გამოიტანს. ამიტომ სასაწყობო მოწმობის ახალ მფლობელს უფლება აქვს, გამოისყიდოს დაგირავებული ქონება, რისთვისაც ვარანტით უზრუნველყოფილი ვალდებულების თანხას სასაქონლო საწყობში შეიტანს. თავის მხრივ სასაქონლო საწყობი გასცემს სასაწყობო ქვითარს, თანხას კი ვარანტის მფლობელს გადასცემს. თუ დაგირავებული ქონების დროული გამოსყიდვა არ მოხდა, ვარანტის მფლობელი უფლებამოსილია, გაყიდოს ვარანტში მითითებული საქონელი იმ წესით, რაც გირავნობის საერთო წესითაა გათვალისწინებული.

სასაქონლო საწყობიდან საქონლის მიღებისათვის საჭიროა შემნახველს (საწყობს) სასაწყობო მოწმობასთან ერთად წარუდგინონ ვარანტი ან სასაწყობო ქვითარი დაგირავებული საქონლის გამოსყიდვის შესახებ.

3. სასაქონლო საწყობში მიბარებული საქონლის დაგირავება შესაძლებელია ასევე ერთდოკუმენტიანი საწარმდგენლო სასაწყობო მოწმობის საშუალებითაც, რისთვისაც საწარმდგენლო სასაწყობო მოწმობის მფლობელი მასზე გააკეთებს სათანადო წარწერას და ამ მოწმობას გადასცემს კრედიტორს. სასაქონლო საწყობი მოახდენს ამ ფაქტის რეგისტრაციას. საქონლის დამგირავებელს გამოუწერს საწარმდგენლო სასაწყობო მოწმობის ასლს, რაც ორდოკუმენ-

ტიანი სასაწყობო მოწმობისაგან განსხვავებით, მის მფლობელს არ აძლევს შესაძლებლობას დაგირავებული საქონლით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულებამდე, გაასხვისოს საწყობში მიბარებული საქონელი.

4. რაც შეეხება ერთდოკუმენტიან სახელობით სასაწყობო მოწმობას, რომელსაც ჩვეულებრივ სამოქალაქო ხელშეკრულების დატვირთვა გააჩნია, ის არ არის საბრუნავი დოკუმენტი და არც მისი დაგირავება შეიძლება. ხელშეკრულების ასეთ პირობებში საქონლის დაგირავება დასაშვებია საერთო წესით.

5. ევროპის ქვეყნებმა ვარანტის სხვადასხვა სახის გამოცდილება დააგროვა – ვარანტი სასტუმროების შესახებ, სამრეწველო ვარანტი, ნავთობპროდუქტების ვარანტი და სხვა, მაგრამ განსაკუთრებული თავისებურებით საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო ვარანტი გამოირჩეოდა, რაც ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის აღმავლობას. სასოფლო-სამეურნეო ვარანტი სოფლის მეურნეობის მესაკუთრეს შესაძლებლობას აძლევდა, მიმდინარე წლის მოსავლის ანგარიშში მიეღო კრედიტი აუღებელი მოსავლის დაუყოვნებლივ გაყიდვის გარეშე. ძირითადი თავისებურება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ აუღებელი მოსავლის საწყობში შენახვის შეუძლებლობის გამო, იგი კვლავ სოფლის მეურნეობის მესაკუთრის მფლობელობაში რჩებოდა.

მუხლი 791. საორდერო სასაწყობო მოწმობა

თუ შემნახველი გასცემს საორდერო სასაწყობო მოწმობას, მაშინ ეს მოწმობა შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ინდოსამენტის მეშვეობით.

1. სასაწყობო მოწმობები ფასიანი დოკუმენტებია. მათზე ვრცელდება ყველა ის წესი, რაც ჩვეულებრივ ფასიანი ქაღალდებისათვისაა დამახასიათებელი იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც კოდექსის ამ თავითაა დადგენილი. ამის გათვალისწინებით ფასიანი სას-

აწყობო მოწმობა არის დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც მტკიცდება სასაქონლო საწყობში საქონლის მიბარების ფაქტი და რომლის წარდგენის გარეშეც შეუძლებელია იმ უფლების განხორციელება, რაც მასშია გამოხატული. ამრიგად, ფასიანი სასაწყობო მოწმობა არის არა მხოლოდ უფლების განმსაზღვრელი, არამედ ამ უფლების განხორციელების ერთადერთი საშუალება.

ისევე როგორც საერთოდ ფასიან ქაღალდებს განასხეავენ ფასიანი სასაწყობო მოწმობის საწარმდგენლო, საორდერო და სახელობით სასაწყობო მოწმობებს. შემდგომში იგულისხმება, რომ ორდოკუმენტიანი სასაწყობო მოწმობის გაცემისას სასაწყობო მოწმობისათვის დამახასიათებელი ყველა წესი ერთნაირად გავრცელდება საგირავნო მოწმობაზეც — ვარანტზეც.

2. საორდერო სასაწყობო მოწმობა არის დოკუმენტი, რომელიც გამოიწერება პირადად პირველ შემძენზე ანუ მიმბარებელზე მითითებით -განკარგულებით. საორდერო მოწმობის პირველი მფლობელი საწყობში შენახული საქონლის გასხვისების მიზნით საორდერო სასაწყობო მოწმობას მესამე პირს გადასცემს ინდოსამენტის საშუალებით. ინდოსამენტი არის ფასიან საორდერო დოკუმენტზე შესრულებული სპეციალური საგადაცემო წარწერა. საორდერო დოკუმენტზე ინდოსამენტის შემსრულებელ პირს ინდოსანტი ეწოდება. განასხეავენ ორი სახის ინდოსამენტს: სახელობითს და საბლანკოს (ბლანკეტურს). სახელობითი ინდოსამენტი მოიცავს საორდერო სასაწყობო მოწმობაზე იმ პირის ვინაობის — სახელისა და გვარის წარწერას, ვის სასარგებლოდაც სრულდება ინდოსამენტი, ხოლო საბლანკო ინდოსამენტის დროს ინდოსანტი არ აკონკრეტებს და არ მიუთითებს ვის სასარგებლოდ აკეთებს იგი ინდოსამენტს და ასრულებს მხოლოდ ხელმოწერას. პირი, რომელსაც გადაეცემა სახელობითი ინდოსამენტით შესრულებული სასაწყობო მოწმობა, უფლება აქვს შემდგომში ის მესამე პირს გადასცეს სახელობითი ან საბლანკო ინდოსამენტით.

საბლანკო ინდოსამენტით შესრულებული სასაწყობო მოწმობა

მესამე პირს გადაეცემა ამ დოკუმენტის უბრალო გადაცემით. თავის მხრივ დოკუმენტის ახალ მფლობელს უფლება აქვს მესამე პირს გადასცეს სახელობითი ინდოსამენტის, საბლანკო ინდოსამენტისა და უბრალო გადაცემის საშუალებით. როდესაც საქონლის გასხვისების მიზნით ინდოსირებული სასაწყობო მოწმობა მესამე პირს ვარანტ-თან ერთად გადაეცემა, ამ უკანასკნელზე ინდოსამენტის შესრულების საჭიროება აღარ არსებობს, ხოლო, როდესაც თვით ვარანტი უნდა გადაეცეს კრედიტორს სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად, მასზე ინდოსამენტი შესრულდება საერთო წესის მიხედვით, ამასთან, საწყობში მისი რეგისტრაციის დროს უნდა აღინიშნოს ვალდებულების შესრულების დროისა და ვალდებულების მოცულობის შესახებ დამატებითი მონაცემები.

3. საწარმდგენლო სასაწყობო მოწმობა არის ფასიანი საბრუნავი დოკუმენტი, რომელშიც ამ დოკუმენტით აღიარებული უფლების მქონე პირი არ არის მითითებული ან აღნიშნულია, რომ ასეთ პირად მიჩნეულია ამ დოკუმენტის წარმომდგენი. საწარმდგენლო სასაწყობო მოწმობაზე, ისევე როგორც სხვა საწარმდგენლო ფასიან ქაღალდზე, ინდოსამენტი არ სრულდება და ის უბრალოდ გადაეცემა მესამე პირს. რაც შეეხება სახელობით სასაწყობო მოწმობას, ის საერთოდ არ წარმოადგენს საბრუნავ საშუალებას და საწყობში ამ წესით შენახული საქონლის გასხვისებისათვის საჭიროა ჩვეულებრივ ტრადიციული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადება ან უფლების დათმობა.

მუხლი 792. პასუხისმგებლობა ინდოსირებული სასაწყობო მოწმობისათვის

1. თუ სასაწყობო მოწმობა გაცემულია ინდოსამენტის მეშვეობით, მაშინ შემნახველი პასუხს აგებს ამ მოწმობის მფლობელის წინაშე მასში მითითებული პირობების სისწორისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოწმობაში აშკარად არის მითითებული, რომ ეს

მონაცემები ეფუძნება მიმბარებლის ან მესამე პირის ინფორმაციას.

2. თუ შემნახველმა იცოდა, რომ მონაცემები არასწორია, მაშინ იგი პასუხს აგებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან გააკეთა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული მითითება.

3. შერეული შენახვისას შემნახველს არა აქვს უფლება გააკეთოს პირველ ნაწილში აღნიშნული მითითება.

1. იმისათვის, რომ სასაწყობო მოწმობას, როგორც ფასიან საბრუნავ დოკუმენტს, საქონლის მიმოქცევის უნივერსალური მნიშვნელობა მიენიჭოს, საყოველთაოდ სარწმუნო თვისება უნდა ახასიათებდეს, რაც გულისმობს, რომ სასაწყობო მოწმობის მფლობელი უფლებამოსილია, მოითხოვოს სასაწყობო მოწმობაში აღნიშნული ყველა პირობის შესრულება. შემნახველს არა აქვს უფლება ყველა წესის დაცვით შესრულებული სასაწყობო მოწმობა სადავოდ გახადოს იმ საფუძველით, რომ მის მფლობელსა და მას შორის ვალდებულების წარმოშობის საფუძველი არ არსებობს ან ამ ურთიერთობის ბათილობის საფუძველით. შემნახველ სასაქონლო საწყობს უფლება აქვს სადავოდ გახადოს სასაწყობო მოწმობა მხოლოდ მისი ფორმალური ნაკლის გამო. ასეთია, მაგალითად, ყალბი სასაწყობო მოწმობა ან მასში აღმოჩენილი გადაკეთებები. ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში შემნახველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ თავის მხრივ მოწმობის მფლობელს უფლება აქვს, ინდოსანტს, რომელმაც მას გადასცა მოწმობა, მოსთხოვოს ვალდებულების ჯეროვნად შესრულება. ვფიქრობთ, საყოველთაოდ სარწმუნოობის პრინციპის სასაწყობო მოწმობაზე გავრცელება სამართლიანია, რაც მისაღმი დადებითი დამოკიდებულებისა და ბრუნვაუნარიანობის ამაღლების დიდ შესაძლებლობას იძლევა.

2. სასაწყობო მოწმობაში არასწორი მონაცემები შეიძლება თვით შემნახველი საწყობის მიერ იყოს შეტანილი, მაგრამ ამისათვის ის ყოველთვის არ აგებს პასუხს. როცა სასაწყობო მოწმობაში შეტანილი პირობები არ შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ ასეთი

ჩანაწერი გამოწვეულია მიმბარებლის არაკეთილსინდისიერი მოქმედებით, რაც არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა შემნახველს, ამისათვის ეს უკანასკნელი პასუხს არ აგებს. მაგალითად, მიმბარებელმა საწყობში შეიტანა მეტალის ავტონაწილები. სასაწყობო მოწმობაში მეტალის შემადგენლობის შესახებ მონაცემები არასწორად იყო შეტანილი მიმბარებლის მითითებით. მეტალის შემადგენლობის განსაზღვრისათვის სათანადო ლაბორატორია კი საწყობს არ გააჩნია. შესაბამისად, შემნახველმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სასაწყობო მოწმობაში არასწორი მონაცემების შესახებ. ამდენად, ის ასეთი ჩანაწერისათვის პასუხსაც არ აგებს. ამასთან, კოდექსის 792-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოითხოვს, რომ, თუ შემნახველმა იცოდა, არ უნდა დაუშვას სასაწყობო მოწმობაში არასწორი მონაცემების შეტანა, თუნდაც მას მიმბარებელი მოითხოვდეს.

3. სასაქონლო საწყობში შერეული წესით საქონლის შენახვის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ შერეული წესით ერთგვაროვანი საქონელი შეინახება ერთად და მათი ინდივიდუალიზაცია არ ხდება. ამიტომ ასეთი შენახვისას საქონლის ინდივიდუალური თვისებების ცალკე აღნიშვნა არ ხდება.

მუხლი 793. ინდოსამენტის სისწორის პრეზუმფცია

1. შემნახველი, რომელმაც გასცა საორდერო სასაწყობო მოწმობა, ვალდებულია შესანახად მიბარებული საქონელი დაბრუნებისას გადასცეს მხოლოდ სასაწყობო მოწმობის კანონიერ მფლობელს.

2. თუ გაცემულია საგირავნო სასაწყობო მოწმობა, მაშინ შემნახველმა უნდა მოითხოვოს მისი დაბრუნება.

3. შემნახველი არ არის ვალდებული შეამოწმოს ინდოსამენტის სისწორე. გადაცემა დასტურდება სასაწყობო მოწმობაზე სათანადო წარწერით.

1. სამოქალაქო კოდექსის 793-ე მუხლით სასაქონლო საწყობ-ში შენახული საქონელი დაუბრუნდება სასაწყობო მოწმობის კანონიერ მფლობელს. ფასიანი საბრუნავე დოკუმენტის კანონიერი მფლობელის მნიშვნელობა უნდა განვასხვავოთ ჩვეულებრივ სანიეთო სამართლით მოწესრიგებული მფლობელობითი ურთიერთობისაგან. სანიეთო სამართლის მიხედვით მფლობელობითი უფლებამონაცვლეობა სამოქალაქო-სამართლებრივ საფუძველზეა დამოკიდებული და შესაბამისად კანონიერ მფლობელობას საფუძველად უნდა ედოს მფლობელობის იურიდიული ტიტული – ნასყიდობა, ქირავნობა, შენახვა და სხვა. რაც შეეხება სასაწყობო მოწმობის, ისევე როგორც სხვა საორდერო ფასიანი ქაღალდის, მესამე პირზე გადაცემას, საჭიროა დავიცვათ ის წესი, რაც საწარმდგენლო და საორდერო დოკუმენტებისთვისაა დადგენილი. მათი საორდერო სასაწყობო მოწმობის მესამე პირზე გადაცემისათვის საჭიროა მისმა მფლობელმა მათზე ინდოსამენტი შეასრულოს. საორდერო სასაწყობო მოწმობის მესამე პირზე გადაცემისათვის სხვა რაიმე სამართლებრივი საფუძველი – ტიტული საჭირო არ არის. ინდოსირებული სასაწყობო მოწმობის მფლობელი კანონიერ მფლობელად ჩაითვლება, თუ იგი დაამტკიცებს თავის უფლებას ინდოსამენტთა უწყვეტი რიგით, ე.ი. რომ ინდოსამენტთა რიგის მიხედვით, მოწმობის ბოლო მფლობელია.

2. საორდერო სასაწყობო მოწმობის არსებობა გულისხმობს სასაწყობო შენახვის ორდოკუმენტიან სისტემას, როცა სასაწყობო მოწმობასთან ერთად საგირავნო მოწმობაც უნდა გაიცეს, რაც სასაწყობო მოწმობის მფლობელს უფლებას აძლევს საგირავნო მოწმობის საშუალებით დააგირავოს საწყობში შენახული საქონელი სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად. ამასთან, ორდოკუმენტიანი სასაწყობო მოწმობა იმის საშუალებასაც იძლევა, რომ გაასხვისოს დაგირავებული საქონელი, მაგრამ ვარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულებამდე, საწყობიდან საქონელს ვერ გამოიტანს. საწყობიდან საქონლის მისაღებად საჭიროა, რომ შემ-

ნახველს სასაწყობო მოწმობასთან ერთად წარუდგინონ ვარანტიც ან საქონლის გამოსყიდვის ქვითარი (იხ. კოდექსის 790-ე მუხლის კომენტარი). წინააღმდეგ შემთხვევაში საწყობი პასუხს აგებს საგირავნო მოწმობის მფლობელის წინაშე იმ თანხის ოდენობით, რა ღირებულების ვალდებულებაც იყო დაგირავებული ვარანტით.

სასაწყობო მოწმობისა და საგირავნო მოწმობის (ვარანტის) მფლობელს შეუძლია საწყობიდან საქონელი ნაწილ-ნაწილ გაიტანოს. ასეთ შემთხვევაში შემნახველი ვალდებულია წინა სასაწყობო მოწმობის ნაცვლად ახალი სასაწყობო მოწმობა გასცეს.

3. შემნახველი საწყობი საქონლის გადაცემისას ერთდროულად მოითხოვს სასაწყობო მოწმობისა და საგირავნო მოწმობის უკან დაბრუნებას. ამასთან, თუ სასაწყობო მოწმობის მფლობელს მოწმობა ინდოსამენტითა აქვს მიღებული, შემნახველს არ ევალება, შეამოწმოს ინდოსამენტის სამართლებრივი საფუძველი და მისი კანონიერება, არამედ იგი შეამოწმებს ინდოსამენტის უწყვეტი რიგითობის დაცვით სასაწყობო მოწმობის მფლობელის უფლებას.

მუხლი 794. სასაწყობო მოწმობის დაკარგვა

1. სასაწყობო ან საგირავნო მოწმობის დაკარგვისას ან მოსპობისას მის კანონიერ მფლობელს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს დაკარგული დოკუმენტის ბათილად ცნობა და მის ნაცვლად ახალი მოწმობის გაცემა. სასამართლო განცხადებას განიხილავს განსაკუთრებული წარმოების წესით.

2. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შემნახველი ხელახლა გასცემს სასაწყობო ან საგირავნო მოწმობას.

1. საწარმდგენლო ან ინდოსირებული სასაწყობო მოწმობისა და ვარანტის ფაქტობრივი მფლობელი შეიძლება ყოველთვის არ იყოს კანონიერი მფლობელი. სასაწყობო მოწმობის კანონიერმა მფლობელმა საწარმდგენლო ან საორდერო სასაწყობო მოწმობა

თუ დაკარგა, მისი მპოვნელი კანონიერ მფლობელად ვერ ჩაითვლება. დაკარგულ სასაწყობო მოწმობაზე უფლების აღდგენის მიზნით კი მის კანონიერ მფლობელს უფლება აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე თავით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს დაკარგული დოკუმენტის ბათილად ცნობა და მასზე უფლების აღდგენა. ასეთივე უფლება გააჩნია დოკუმენტის კანონიერ მფლობელს მაშინაც, თუ დოკუმენტი განადგურდა ან ხმარების შედეგად იმდენად განიცადა ცვეთა, რომ მისი გამოყენება ფაქტობრივად შეუძლებელია.

2. პირი, რომელმაც დაკარგა სასაწყობო მოწმობა, განცხადებას შეიტანს სასამართლოში სასაქონლო საწყობის ადგილმდებარეობის მიხედვით. სასამართლო საქმეს განიხილავს უდავო წარმოების წესით. ის განცხადების მიღებისთანავე გამოიტანს განჩინებას სასაქონლო საწყობის მიმართ ამ საბუთით საქონლის გაცემის აკრძალვისა და ადგილობრივ პრესაში პუბლიკაციის შესახებ. თუ პუბლიკაციიდან სამი თვის ვადაში საბუთის ფაქტობრივი მფლობელი არ შეიტანს სასამართლოში მოთხოვნას სადავო დოკუმენტზე უფლების აღიარების შესახებ, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას დაკარგული სასაწყობო მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ.

3. სასამართლოს გადაწყვეტილება დაკარგული (განადგურებული) საწარმდგენლო ან საორდერო სასაწყობო მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ მის კანონიერ მფლობელს უფლებას აძლევს საწყობიდან მიიღოს საქონელი ან ახალი სასაწყობო მოწმობა, ხოლო გირავნობის მოწმობის ბათილად ცნობის შემთხვევაში გაიცემა ახალი საგირავნო მოწმობა.

მუხლი 795. მიბარებული საქონლის დაბრუნება

1. სასაქონლო საწყობში შესანახად ჩაბარებული საქონლის დასაგირავებლად მესაკუთრემ საგირავნო მოწმობაზე უნდა გააკეთოს სპეციალური წარწერა (ინდოსამენტი) და ისე გადასცეს დაინტერესებულ პირს.

2. ინდოსამენტი უნდა ითვალისწინებდეს მიმბარებლის, კრედიტორის ვინაობასა და ვალდებულების მოცულობას.

3. კრედიტორისათვის საგირავნო მოწმობის გადაცემის თაობაზე ეცნობება შემნახველს, რომელიც გააკეთებს სათანადო აღნიშვნას.

1. საგირავნო მოწმობა ორდოკუმენტიანი სისტემის შემადგენელი ნაწილია. იგი გაიცემა ძირითად სასაწყობო მოწმობასთან ერთად. ვარანტი და სასაწყობო მოწმობა ერთნაირი შინაარსის შემცველი დოკუმენტებია და მათში ასახვა უნდა ჰქონდეს კოდექსის 789-ე მუხლით გათვალისწინებულმა რეკვიზიტებმა. საგირავნო მოწმობის საშუალებით მის მფლობელს უფლება აქვს დააგირავოს საწყობში მიბარებული საქონელი, რისთვისაც საგირავნო მოწმობაზე-ვარანტზე უნდა შეასრულოს სპეციალური წარწერა – (ინდოსამენტი) და ისე გადასცეს კრედიტორს.

2. საგირავნო მოწმობაზე ინდოსამენტი უნდა შესრულდეს ყველა იმ წესის დაცვით, რაც გათვალისწინებულია საერთოდ ფასიანი საბრუნავი დოკუმენტებისათვის და, მათ შორის, სასაწყობო მოწმობისათვის (იხ. კოდექსის 791-ე მუხლის კომენტარები). ე.ი. უნდა შესრულდეს სახელობითი ან საბლანკო ინდოსამენტი. გარდა აღნიშნულისა, საგირავნო მოწმობაში დამატებით უნდა აღინიშნოს იმ ვალდებულების მოცულობა, რის უზრუნველსაყოფადაცაა გაცემული ვარანტი. საგირავნო მოწმობაზე შესრულებული ინდოსამენტი რეგისტრირებული უნდა იყოს სასაქონლო საწყობში ინდოსამენტის შესრულების დროს, ვალდებულების მოცულობის მითითებით და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მისი შინაარსის გაცნობა.

მუხლი 796. ბირაჟნობის უფლების გადასვლა სასაწყობო მოწმობის ახალ მფლობელზე

1. შემნახველს შენახვის ხარჯების გამო წარმოეშობა საქონლის

გირავნობის უფლება მანამდე, სანამ იგი მის მფლობელობაშია.

2. თუ სასაწყობო მოწმობა ინდოსამენტის მეშვეობით არის გაცემული, მაშინ გირავნობის უფლება არსებობს სასაწყობო მოწმობის ახალი მფლობელის მიმართ.

1. სამოქალაქო კოდექსის 796-ე მუხლით შემოღებული გირავნობის უფლება ტრადიციული გირავნობის უფლებისაგან განსხვავებული ურთიერთობაა. ამასთან, ნორმის პირველი ნაწილის ჰიპოთეზა სრულიად ემთხვევა ნივთის დაკავების ძირითად შინაარსს. ამიტომ საჭირო იქნება შევვხვით როგორც დაკავების, ისე გირავნობით ურთიერთობებს.

შენახველის უფლება, დააკავოს და არ დაუბრუნოს მიმბარებელს ნივთი შენახვის საზღაურისა და სხვა ხარჯების ანაზღაურებამდე, მრავალი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსებითაა დადგენილი. ასეთივე წესია დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 776-ე მუხლით. რაც შეეხება კოდექსის 796-ე მუხლს, იგი რთული შინაარსისაა და მოიცავს როგორც დაკავების, ისე გირავნობის წესს.

დაკავებასა და გირავნობის ძირითადი განმასხვავებელი ის არის, რომ ტრადიციული გირავნობის მიხედვით, გირავნობის უფლება წარმოიშობა მხარეთა შეთანხმებით სხვა ძირითადი ვალდებულების წარმოშობის დროს, დაკავების უფლება კი წარმოიშობა კანონის ძალით მას შემდეგ, როცა მოვალე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას. რაც შეეხება ამ ორი ურთიერთობის მსგავსებას, უპირველესად იმაში გამოიხატება, რომ დაკავებაც და გირავნობაც, ორივე ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებებია. ნივთის დაკავების შემთხვევაში იგი კრედიტორთან დარჩება მოვალის მიერ ვალდებულების ჯეროვან შესრულებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალდებულების უზრუნველსაყოფად კრედიტორს აქვს დაკავებული ნივთით მოთხოვნის დაკმაყოფილების უპირატესი უფლება იმავე წესით, რაც დაგირავებული ქონებისთვისაა დადგენილი იმის მიუხ-

ედავად, რომ მხარეთა შორის გირავენობის ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული. კოდექსის 796-ე მუხლი სწორედ ის შემთხვევაა, როცა დაკავებისა და გირავენობის დიდი მსგავსების გამო დაკავება გირავენობაში გადაიზრდება (დაკავების შესახებ იხ. კოდექსის 776-ე მუხლის კომენტარი).

2. 796-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შემნახველი უფლებამოსილია მიმბარებლის მიერ მასთან შენახული საქონელი დააკავოს და გამოიყენოს გირავენობისათვის დადგენილი წესი იმ პირის მიმართაც, რომელმაც საქონელზე უფლება მოიპოვა მისი საწყობში შენახვის შემდეგ საწარმდგენლო ან საორდერო სასაწყობო მოწმობის ინდოსამენტის საშუალებით.

მუხლი 797. მიმბარებელი საქონლის უკან წაღების მოთხოვნის დაუშვებლობა

შემნახველს არ შეუძლია მოსთხოვოს მიმბარებელს მიბარებული საქონლის უკანვე წაღება შეთანხმებული ვადის გასვლამდე, ხოლო, თუ ასეთი ვადა არ არის დადგენილი, მაშინ — ჩაბარებიდან სამი თვის გასვლამდე.

სამოქალაქო კოდექსის 797-ე მუხლის პირველი წინადადება სრულად შეესაბამება ამავე კოდექსის 771-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული ვადით დადებული შენახვის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის უფლება შემნახველს არა აქვს. რაც შეეხება შემნახველის მიერ განუსაზღვრელი ვადით დადებული სასაწყობო შენახვის ხელშეკრულების შეწყვეტას, აქ კანონმდებელი საქონლის ტრანსპორტირების სირთულეებიდან გამომდინარე შემნახველს ავალდებულებს განუსაზღვრელი ვადით დადებული სასაწყობო შენახვა არ შეწყვიტოს ხელშეკრულების დადებიდან სამი თვის გასვლამდე, მაგრამ ვფიქრობთ, არ შეიძლება გამოვრიცხოთ 771-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი საფუძვლების წარმოშობის საშიშროება საწყობში

საქონლის შენახვის დროსაც. ამიტომ საწყობს (შემნახველს) უფლება უნდა ჰქონდეს ამ საფუძვლების არსებობისას მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, თუნდაც სამი თვე არ იყოს გასული (იხ. 771-ე მუხლის კომენტარები).

მუხლი 798. დამატებითი ვადის დანიშვნა საქონლის მიღებისას

1. თუ შენახვის ვადის გასვლის შემდეგ სასაწყობო მოწმობის მფლობელი თავს არიდებს საწყობიდან საქონლის წაღებას, შემნახველმა უნდა დაუნიშნოს მას საქონლის წაღების დამატებითი ორკვირიანი ვადა; თუკი მოწმობის მფლობელი ამ ვადაშიც არ წაიდებს საქონელს, შემნახველს უფლება აქვს გაყიდოს იგი.

2. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა შემნახველისათვის კუთვნილი ხარჯების გამოკლებით გადაეცემა სასაწყობო მოწმობის მფლობელს.

კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარე – კრედიტორი ვალდებულია ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარეს – მოვალეს, დაუნიშნოს ვალდებულების შესრულების დამატებითი ვადა. კოდექსის 798-ე მუხლის თანახმად, მას შემდეგ, რაც ამოიწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შენახვის ვადა, ან განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულებისას შემნახველის მიერ მიმბარებლისათვის დანიშნული ვადა (797-ე მუხ), შემნახველი მიმბარებელს დაუნიშნავს დამატებით ორკვირიან ვადას და, თუ ამ ვადაშიც არ დააბრუნა მიმბარებელმა საქონელი, საწყობი უფლებამოსილია გაყიდოს იგი, ხოლო საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა შემნახველისათვის კუთვნილი საზღაურისა და სხვა ხარჯების გამოკლებით, გადაეცემა სასაწყობო მოწმობის მფლობელს.

დ ა ზ ლ ვ ე მ ა

1. ზოგადი დებულებანი

მუსლი 799. ცნება

1. დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება.

2. დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია).

დაზღვევის ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებაა; პირი ამ სახის ხელშეკრულებას სადაზღვევო კომპანიასთან აფორმებს ბუნების დამანგრეველი ძალების ან სხვა მანე ფაქტორებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად.

კონტინენტური ევროპის სამართალი დაზღვევის ხელშეკრულებას განიხილავს როგორც სამოქალაქო სამართლის, კერძოდ, ვალდებულებითი სამართლის ნაწილს. მაგრამ მთელი რიგი ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებში არ არის გათვალისწინებული სპეციალური ნორმები დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ. ნებაყოფლობით დაზღვევის შესახებ ცალკე, სპეციალური კანონი მოქმედებს საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, იაპონიის სავაჭრო კოდექსში მოცემულია დაზღვევის ხელშეკრულების თავი; იტალიის სამოქალაქო კოდექსში კი სპეციალური თავი აქვს დათმობილი დაზღვევის ხელშეკრულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დაზღვევის ხელშეკრულება მოცემულია მესამე წიგნში, ვალდებულებითი სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში, 799-858-ე მუხლები აწესრიგებს ნებაყოფლობით დაზღვევას.

დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი, რეალური ხელშეკრულებაა. ამ ხელშეკრულების მხარეებია ერთის მხრივ, დამზღვევი და მეორეს მხრივ, მზღვეველი.

დამზღვევი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც აზღვევს ქონებას, სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; ხოლო მზღვეველი არის იურიდიული პირი, რომელიც ჩამოყალიბებულია განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით და გააჩნია სპეციალური ნებართვა (ლიცენზია) სადაზღვევო საქმიანობისათვის.

დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე მხარეები უნდა შეთანხმდნენ დაზღვევის ინტერესისა და საგნის შესახებ; ზუსტად უნდა განსაზღვრონ სადაზღვევო რისკი, სადაზღვევო თანხა, სადაზღვევო საზღაურის გამოანგარიშების წესი, ასევე სადაზღვევო შესატანის (პრემიის) გადახდის წესი და პირობები. ამ პირობებზე შეთანხმების გარეშე დაზღვევის ხელშეკრულება არ დაიდება.

სადაზღვევო ურთიერთობის ობიექტია პირის ქონება, სიცოცხლე ან ჯანმრთელობა. დაზღვევის ობიექტს განიხილავენ როგორც დაზღვევის ინტერესს, რომლის განსაზღვრაც აუცილებელია დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად.

დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. სადაზღვევო შემთხვევა უკვე დამდგარი ვითარებაა, რომლის დადგომის ალბათობას ითვალისწინებს დაზღვევის ხელშეკრულება.

სადაზღვევო შემთხვევა წარმოადგენს სადაზღვევო რისკის რეალიზაციის შედეგს. სადაზღვევო რისკი კი ის საფრთხეა, რომლისგანაც დაზღვეულია დამზღვევის ქონება ან პიროვნება. დაზღვევის რისკი კონკრეტულად უნდა იქნეს მითითებული დაზღვევის ხელშეკრულებაში. ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის რისკს წარმოადგენს ხანძარი, აფეთქება და მეხის დაცემა. დაზღვევის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას წარმოადგენს როგორც

დაზღვევის ინტერესის ზუსტი განსაზღვრა, ისე დაზღვევის რისკის კონკრეტული მითითება. დაზღვევის რისკი ე.ი. ბუნების დამანგრეველი ძალების მავნე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები განხორციელდება თუ არა – წინასწარ არ არის ცნობილი; იგი წარმოადგენს სამომავლო და უცნობ მოვლენას; ასეთი მოვლენის დადგომა იწვევს სადაზღვევო შემთხვევას. დაზღვევის ხელშეკრულება რისკის ასეთი ბუნების გამო ერთი შეხედვით შეიძლება განვიხილოთ როგორც პირობითი გარიგება.

სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, „პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა ამ მოვლენის დადგომისთანავე“. კარგად თუ გავიაზრებთ დაზღვევის ხელშეკრულების შინაარსს, მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობა და განხორციელება არ არის დამოკიდებული დაზღვევის რისკის დადგომაზე. მაგალითად, დამზღვევის მოვალეობის შესრულება დროულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია არ არის დამოკიდებული რაიმე პირობის დადგომაზე. დაზღვევა შეიძლება ისე შეწყდეს ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, რომ სადაზღვევო შემთხვევა არც დადგეს. ამდენად, მხარეთა შორის დაზღვევის ვალდებულებითი ურთიერთობა წარმოიშობა და ხორციელდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარეშე. სწორედ ამიტომ, რომ დაზღვევის ხელშეკრულება არ წარმოადგენს პირობით გარიგებას.

დაზღვევის რისკის რეალიზაცია (სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარდუვალობა) დაზღვევის ხელშეკრულების ნამდვილობის პირობას არ წარმოადგენს, უფრო მეტიც, დაზღვევა არ უზრუნველყოფს იმ ზარალის ანაზღაურებას, რომლის დადგომაც უეჭველი და გარდუვალია.

მაკალითი:

ჭიათურაში მცხოვრები ვაშაძის საცხოვრებელი სადგომის საძირკველი და კედლები სერიოზულად დაზიანდა 1991 წლის მიწისძვრის შედეგად, მას გამაგრებითი სამუშაოები არ ჩაუტარებია. 1998 წელს ვაშაძემ მიმართა სადაზღვევო კომპანიას საცხოვრებელი სადგომის მიწისძვრისაგან დაზღვევის თაობაზე. სადაზღვევო კომპანიამ უარი განუცხადა ხელშეკრულების დადებაზე, ვინაიდან იმ მომენტისათვის ვაშაძის საცხოვრებელი სადგომი დანგრევის პირას იყო მისული.

მართალია, დაზღვევის რისკის რეალიზაცია არ წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების ნამდვილობის პირობას, მაგრამ ასეთი რისკის განსაზღვრა დაზღვევის ხელშეკრულების აუცილებელი პირობაა. სწორედ ამის გამო საფრანგეთში დაზღვევის ხელშეკრულებას სარისკო ხელშეკრულებას უწოდებენ.

დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა გადაუხადოს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ სადაზღვევო საზღაური, რომელიც გამოიანგარიშება სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

სადაზღვევო თანხა წარმოადგენს ფულად თანხას, რომლის ფარგლებშიც დაზღვეულია ქონება, სიცოცხლე ან ჯანმრთელობა. მისი დადგენა ხდება მხარეთა შეთანხმებით, დაზღვეული ქონების ღირებულების გათვალისწინებით.

მაკალითი:

კენჭაძის საცხოვრებელი სადგომის ღირებულებაა 200.000 ლარი. მან ამ ქონების დაზღვევა გადაწყვიტა 300.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში, მაგრამ მზღვეველმა უარი განუცხადა ამ თანხის ფარგლებში ხელშეკრულების გაფორმებაზე; მართალია, კენჭაძეს შეუძლია თავისი საცხოვრებელი სადგომი დააზღვიოს ნებისმიერი თანხის ფარგლებში, მაგრამ სადაზღვევო თანხა არ უნდა აღემატებოდეს საცხოვრებელი სადგომის სადაზღვევო

შეფასებას (ღირებულებას), ე.ი. 200.000 ლარს.

სადაზღვევო შეფასება (ღირებულება) ფულადი ფორმით გამოხატული დაზღვევის ობიექტის შეფასებაა, რომელიც განისაზღვრება ქონების საბალანსო ღირებულებით.

თუ ქონების დაზღვევისას სადაზღვევო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს დაზღვეული ობიექტის სადაზღვევო შეფასებას, პირადი დაზღვევის დროს კი სადაზღვევო თანხის ფარგლები არ არის შეზღუდული, იგი განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი მოვალეა გადაუხადოს დამზღვევს სადაზღვევო საზღაური სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

სადაზღვევო საზღაური ის თანხაა, რომელსაც მზღვეველი უხდის დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის გამო მიყენებული ზიანის გათვალისწინებით სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

მაგალითი:

აბაშიძემ თავისი მსუბუქი ავტომანქანა, რომლის სადაზღვევო შეფასებაც 2.500 ლარი, დააზღვია 1500 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, ავტომანქანის დაზიანებით მან განიცადა 700 ლარის ზარალი, სადაზღვევო კომპანიამ გადაუხადა სადაზღვევო საზღაური 420 ლარი, მიყენებული ზარალის 700 ლარის გათვალისწინებით. ამდენად, სადაზღვევო საზღაური შეიძლება არ დაემთხვეს სადაზღვევო თანხას და ქონების სადაზღვევო შეფასებას.

ცნობილია სადაზღვევო საზღაურის გამოანგარიშების ორი სისტემა:

„პირველი რისკის“ სისტემა და „პროპორციული სისტემა“. თუ სადაზღვევო საზღაური უნდა გაიცეს, „პირველი რისკის“ სისტემის მიხედვით, ამ დროს მხარეები თანხმდებიან სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურე-

ბაზე სადაზღვევო თანხის ფარგლებში. თუ ზიანი მეტია სადაზღვევო თანხაზე, გადაჭარბებული ზიანი არ ანაზღაურდება.

მაგალითი:

შპს „ვარძიას“ შენობა დაზღვეულია 80.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში. სადაზღვევო შემთხვევის – ხანძრის შედეგად განადგურდა შენობის ნაწილი და ზიანმა შეადგინა 100.000 ლარი, „პირველი რისკის სისტემის“ მიხედვით სადაზღვევო საზღაური გაიცემა 80.000 ლარის ოდენობით, ხოლო 20.000 ლარის ზიანი აუნაზღაურებელი დარჩება. ამდენად, „პირველი რისკის სისტემის“ მიხედვით, სადაზღვევო საზღაურის განსაზღვრისას მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ სადაზღვევო თანხისა და მიყენებული ზიანის ოდენობა.

თუ მხარეები შეთანხმდნენ „პროპორციული სისტემის“ მიხედვით სადაზღვევო საზღაურის გაცემაზე, ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს სადაზღვევო შეფასება, სადაზღვევო თანხა და ზარალის ოდენობა.

მაგალითი:

კეშელავას მსუბუქი ავტომანქანის სადაზღვევო შეფასებაა 2.000 ლარი, იგი დაზღვეულია 1.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში, სადაზღვევო შემთხვევით მიყენებულია 500 ლარის ზიანი, სადაზღვევო საზღაური გაიცემა 250 ლარის ოდენობით; რადგან ამ დროს სადაზღვევო საზღაური ისეთ მიმართებაშია მიყენებულ ზიანთან, როგორც სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შეფასებასთან. „პროპორციული სისტემის“ დროს სადაზღვევო საზღაური გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\frac{\text{მიყენებული ზარალი X სადაზღვევო თანხა}}{\text{სადაზღვევო შეფასება}} = \text{სადაზღვევო საზღაური}$$

თუ ამ ფორმულაში ჩავსვამთ ზემოაღნიშნული მაგალითის მონაცემებს, მივიღებთ შემდეგს:

$$\frac{500 \times 1000}{2000} = 250$$

სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებაში აღნიშნულია, რომ „მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება“. მყარად დადგენილ სადაზღვევო თანხაზე შეთანხმება იმას ნიშნავს, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო კომპანიამ კლიენტს სადაზღვევო საზღაური უნდა გადაუხადოს არა მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, არამედ შეთანხმებული სადაზღვევო თანხის ოდენობით. ამდენად, ასეთი პირობით დაზღვევისას ზიანის ოდენობა გავლენას არ ახდენს გასაცემ სადაზღვევო საზღაურზე.

მაგალითი:

კეშელავა და შპს სადაზღვევო კომპანია „მამული“ შეთანხმდნენ ავტომანქანა „მერსედესის“ მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით – 50.000 ლარით დაზღვევაზე. კეშელავამ სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად განიცადა 25.000 ლარის ზიანი. სადაზღვევო კომპანიამ მას აუნაზღაურა სადაზღვევო საზღაური არა 25.000 ლარი, არამედ მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხა – 50.000 ლარი.

კანონით გათვალისწინებულია, რომ მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ სადაზღვევო თანხის გადახდის ნაცვლად სხვა შეპირებული მოქმედების შესრულებაზე. ჯანმრთელობის დაზღვევისას სადაზღვევო კომპანიას შეიძლება უშუალოდ დაეკისროს დამზღვევის მკურნალობის და გამოჯანმრთელების უზრუნველყოფა, ან ქონების დაზღვევისას დაზიანებული ქონების აღდგენა და პირვან-

დელ მდგომარეობაში მოყვანა. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევა განსაკუთრებით ფართოდაა გაერცვლებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის დროს. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქონების დაზღვევის შემთხვევაშიც, მაგრამ დაზღვევის ხელშეკრულებაში აუცილებელია მხარეთა შეთანხმება ზემოაღნიშნული პირობის თაობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია)“.

სადაზღვევო შესატანი და სადაზღვევო პრემია ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოიყენება და წარმოადგენს ფულად თანხას, რომელსაც უხდის დამზღვევი მზღვეველს. სადაზღვევო შესატანის (პრემიის) ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და იგი ფულადი ფორმითაა გამოხატული. სადაზღვევო პრემიის განსაზღვრისას მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ სადაზღვევო თანხის ოდენობა, ასევე სადაზღვევო საზღაურის გამონაგარიშების სისტემა.

მუხლი 800. დაზღვევის ხელშეკრულების დადებას ვალდებულება

პირი, რომელიც საჯაროდ სთავაზობს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას, ვალდებულია დადოს ეს ხელშეკრულება, თუკი უარის თქმისათვის არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი.

დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად საჭიროა მზღვეველის მხრიდან ოფერტის გაკეთება, ხოლო დამზღვევის მხრიდან კი — თანხმობის (აქცეპტის) განცხადება. თუ სადაზღვევო კომპანია ოფერტზე მოწვევას ანუ წინადადებას დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად აკეთებს პირთა განუსაზღვრელი წრისადმი რეკლამების და სხვა საშუალებებით, მას არ აქვს უფლება კლიენტს დაუსაბუთებელი უარი უთხრას ხელშეკრულების გაფორმებაზე. სადაზღვევო კომპანია ვალდებულია ყველა კლიენტთან გააფორმოს

დაზღვევის ხელშეკრულება. მზღვეველი ასეთი ვალდებულებისაგან შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის ან დაზღვევის ობიექტის მიმართ გააჩნია ისეთი სარწმუნო ინფორმაცია, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევა.

მაგალითი:

სადაზღვევო კომპანია „კერას“ მიმართა კვერნაძემ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადების თაობაზე. კვერნაძემ სადაზღვევო კომპანიის შეკითხვაზე უპასუხა, რომ დაავადებულია ავთვისებიანი სიმსივნით. სადაზღვევო კომპანიამ უარი უთხრა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე კვერნაძეს, ვინაიდან მისი ავადმყოფობის დიაგნოზი წარმოადგენს ასეთი სახის ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის მნიშვნელოვან საფუძველს.

მუხლი 801. სავალდებულო დაზღვევა

კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სავალდებულო დაზღვევა, რომლის მიმართაც გამოიყენება ამ თავის წესები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას სავალდებულო დაზღვევის შესახებ. გადაზღვევასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

განასხვავებენ დაზღვევის სავალდებულო და ნებაყოფლობით ფორმებს. სავალდებულო დაზღვევას არეგულირებს საჯარო სამართალი და წარმოიშობა კანონის საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს ნებაყოფლობით (კერძო) სადაზღვევო ურთიერთობას. ამ ნორმის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 799-858-ე მუხლები შეიძლება გამოყენებული იქნეს, ასევე, სავალდებულო დაზღვევის მოსაწესრიგებლადაც.

სავალდებულო დაზღვევის შემოღებისათვის საჭიროა სპეციალური კანონის მიღება და კანონში აღნიშნული ყველა პირი, რომელ-

იც შეიძლება იყოს დამზღვევი, მოვალეა გააფორმოს კანონით გათვალისწინებული სავალდებულო დაზღვევა; ამ დროს მხედველობაში არ მიიღება დამზღვევის ნება ხელშეკრულების დადების თაობაზე. იგი ყველა შემთხვევაში ვალდებულია გააფორმოს სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის ძირითადი პირობებიც განსაზღვრულია კანონით სავალდებულო დაზღვევის შესახებ. სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულებას ვერ განვიხილავთ როგორც სამოქალაქო ხელშეკრულებას, ვინაიდან სავალდებულო დაზღვევა უგულებელყოფს დამზღვევის ნებას ასეთ ურთიერთობაში მონაწილეობაზე. ამდენად, სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულება საჯარო სამართლებრივი ხასიათისაა. კანონი სავალდებულო დაზღვევის შესახებ პირდაპირ განსაზღვრავს დაზღვევის რისკის სახეებს, სადაზღვევო თანხის მინიმალურ ოდენობას; მხარეებს არა აქვთ უფლება გადაუხვიონ კანონის ამ მითითებას დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისას. სავალდებულო დაზღვევის დროს მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ნებაყოფლობით დაზღვევის პირობებზეც, თუ ამის თაობაზე პირდაპირ აკრძალვას არ ითვალისწინებს კანონი სავალდებულო დაზღვევის შესახებ.

ბოლო წლებში საქართველოში შემოღებული იქნა ორი სახის სავალდებულო დაზღვევა: 1997 წლის ივნისში მიღებული იქნა კანონი „ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“¹, ხოლო 1999 წლის თებერვალში კანონი „სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ“².

ამრიგად, სავალდებულო დაზღვევის აუცილებელი პირობაა ერთი მხრივ, კანონის საფუძველზე დამზღვევისათვის კონკრეტული სახის სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების მოვალეობის დაკისრება და, მეორე მხრივ, ასეთი ფორმის დაზღვევის

¹ პარლამენტის უწყებანი, 1997 წლის 31 ივლისი, №33, გვ 15-18.

² საკანონმდებლო მაცნე, 1999 წლის 3 თებერვალი, № 3(10), მუხლი 15.

განხორციელების უზრუნველსაყოფად საჯარო სამართლის ნორმების (კანონის) მიღება. სავალდებულო დაზღვევისათვის აუცილებელია ამ ორი პირობის ერთდროული არსებობა.

სამოქალაქო კოდექსის ზოგიერთი მუხლი ითვალისწინებს პირის მოვალეობას გააფორმოს დაზღვევის ხელშეკრულება, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 245-ე მუხლის მე-5 ნაწილში მითითებულია, რომ „უზუფრუქტუარი ვალდებულია უზუფრუქტის არსებობის მანძილზე შესაბამისად დააზღვიოს ნივთი“. ხოლო სამოქალაქო კოდექსის 691-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, „თუ გამგზავნი გზავნის საფრთხეშემცველ ტვირთს, მაშინ იგი ვალდებულია გადამზიდველს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია და გააფრთხილოს ამ ტვირთის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი – დააზღვიოს ეს ტვირთი“. იმავე კოდექსის 734-ე მუხლის სახელწოდებაა „ტვირთის დაზღვევის მოვალეობა“. ამ მუხლის თანახმად, „ექსპედიტორს ეკისრება ტვირთის დაზღვევა მხოლოდ მაშინ, როცა ამის თაობაზე მიიღებს შემკვეთისაგან მითითებას. განსაკუთრებული მითითების არარსებობისას ექსპედიტორი მოვალეა დააზღვიოს ტვირთი მხოლოდ ჩვეულებრივი პირობებით“. ზემოაღნიშნული მუხლების საფუძველზე დამზღვევისათვის დაზღვევის ხელშეკრულების დადების მოვალეობის დაკისრება ამ ნორმების საჯარო-სამართლებრივ ხასიათზე როდი მიუთითებს; ვინაიდან უზუფრუქტუარისათვის, გადამზიდველისათვის, ექსპედიტორისათვის დაზღვევის გაფორმების ვალდებულება სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათისაა, ამ ვალდებულების რეალიზაციის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულება კერძო სამართლებრივი ხასიათისაა.

დამზღვევს უფლება აქვს ერთი და იგივე ინტერესი (ობიექტი) დააზღვიოს როგორც სავალდებულო დაზღვევით, ისე ნებაყოფლობითი ფორმითაც.

მაგალითი:

შპს „აგარამ“ თავისი შენობა-ნაგებობები დააზღვია სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევით. ამასთან, დამატებით გააფორმა თავისი უძრავი ქონების თაობაზე ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებაც.

სავალდებულო დაზღვევის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის მიუხედავად, მზღვეველი შეიძლება იყოს კერძო სამართლის იურიდიული პირი, მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის სადაზღვევო კომპანია, ან სააქციო საზოგადოება, რომელსაც გააჩნია სახელმწიფო ნებართვა – ლიცენზია სავალდებულო სადაზღვევო საქმიანობისათვის.

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „შ“ პუნქტში მოცემულია გადაზღვევის ცნება: გადაზღვევა – ოპერაცია ორ სადაზღვევო კომპანიას შორის, რომლის დროსაც დაზღვევის (გადაზღვევის) ხელშეკრულებით ერთ-ერთი მხარე თავის თავზე იღებს რისკის ნაწილს სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ.

გადაზღვევის არსი იმაშია, რომ მზღვეველი გადასცემს სხვა სადაზღვევო კომპანიას დამზღვევის წინაშე თავისი ვალდებულების ნაწილს (მზღვეველის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით) გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე. გადაზღვევის ურთიერთობის მონაწილენი არიან მზღვეველი, რომელიც გამოდის გადაზღვევის როლში და გადამზღვეველი, რომელიც იღებს გადაზღვევის რისკის ნაწილს გადასაზღვევად. ძირითადად გადაზღვევას იყენებს ისეთი სადაზღვევო კომპანია, რომელმაც თავისი ფინანსური მდგომარეობის გამო ყოველთვის შეიძლება ვერ უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად დამზღვევისათვის სადაზღვევო საზღაურის გაცემა. ასეთ პირობებში მზღვეველი გადააზღვევს იმ სახის რისკებს, რომელთა ანაზღაურება ადამატება მის ფინანსურ საქმიანობას; მაგრამ შემდგომში გადამზღვეველის მეშვეობით გარანტირებულია მათი ანაზღაურება.

გადაზღვევის ხელშეკრულებით განისაზღვრება მზღვეველის და

გადამზღვეველის უფლება-მოვალეობები, რომლებიც შეესაბამებიან მზღვეველსა და დამზღვევს შორის გაფორმებულ დაზღვევის ხელშეკრულებას. გადაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილ უნდა იქნეს დაზღვევის ხელშეკრულებით შეთანხმებული პრემიის რამდენი პროცენტი უნდა გადაუხადოს მზღვეველმა გადამზღვეველს, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გასაცემი სადაზღვევო საზღაურიდან რამდენი პროცენტი უნდა გადაიხადოს მზღვეველმა და რამდენი გადამზღვეველმა. გადაზღვევის ხელშეკრულებას თან უნდა ერთვოდეს დაზღვევის ხელშეკრულების ასლი.

მაგალითი:

ვეფხვაძემ დააზღვია თავისი მსუბუქი ავტომანქანა 2 000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში. სადაზღვევო კომპანია „კერამ“ იკისრა ვალდებულება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გადაუხადოს დამზღვევს სადაზღვევო საზღაური 2 000 ლარის ფარგლებში, ხოლო დამზღვევი კი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ყოველწლიურად 100 ლარი. სადაზღვევო კომპანია „კერას“ გადაზღვევის ხელშეკრულება აქვს დადებული გერმანულ სადაზღვევო კომპანიასთან და გადაზღვევის ხელშეკრულებით იგი მოვალეა ყოველი შემოსული პრემიის 80% გადაურიცხოს გერმანულ სადაზღვევო კომპანიას, პრემიის დარჩენილი 20%-ს კომპანია თვითონ იტოვებს. ვეფხვაძის ავტომანქანის გატაცების გამო დადგა სადაზღვევო შემთხვევა. მისთვის შეპირებული სადაზღვევო საზღაურის – 2000 ლარიდან 80%-ი, ე. ი. 1600 ლარი გადაიხადა გერმანულმა სადაზღვევო კომპანიამ – გადამზღვეველმა, ხოლო 20% – 400 ლარი ქართულმა სადაზღვევო კომპანია „კერამ“.

გადაზღვევის მიუხედავად, დამზღვევის წინაშე სრული სადაზღვევო საზღაურის გაცემის ვალდებულებას კისრულობს მზღვეველი ე. ი. გადამზღვევი, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების მხარე. გადაზღვევის ინსტიტუტის დამკვიდრება მეტად მნიშვნელოვანია საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიებისათვის; რადგან

მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ იმ ოდენობის სახსრები, რათა დამოუკიდებლად უზრუნველყონ კლიენტების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება სადაზღვევო შემთხვევისათვის. გადაზღვევის მეშვეობით სადაზღვევო კომპანია უფრო მეტ ხელშეკრულებებს აფორმებს, იმავდროულად იგი აზღვევს თავის სამეწარმეო რისკსაც.

მუსლი 802. სადაზღვევო მოწმობა (პოლისი)

1. მზღვევლი მოვალეა ჩააბაროს დამზღვევს ხელმოწერილი საბუთი დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ (სადაზღვევო მოწმობა (პოლისი)).

2. სადაზღვევო მოწმობა უნდა შეიცავდეს:

ა) ხელშეკრულების მხარეების ვინაობასა და მათ ადგილსამყოფელს (საცხოვრებელ ადგილს ან იურიდიულ მისამართს);

ბ) დაზღვევის საგნის და დაზღვეული პირის დასახელებას;

გ) სადაზღვევო რისკის განსაზღვრას;

დ) დაზღვევის დასაწყისსა და ხანგრძლივობას;

ე) სადაზღვევო თანხის ოდენობას;

ვ) სადაზღვევო შესატანის მოცულობას, მისი გადახდის ადგილსა და ვადას.

3. თუ დაზღვევის საგანს წარმოადგენს პირის სიცოცხლე, მაშინ დამატებით აუცილებელია მონაცემები მოგების განაწილების და ამ მოგების განაწილების პირობების შესახებ.

დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მზღვეველმა უნდა გადასცეს დამზღვევს ხელმოწერილი საბუთი — სადაზღვევო მოწმობა (დაზღვევის პოლისი). დაზღვევის პოლისებს გასცემდნენ ჯერ კიდევ XIV საუკუნეში გენუაში, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების დამადასტურებელ დოკუმენტს.

მზღვეველი, როგორც წესი, აფორმებს ერთ დოკუმენტს, რომელ-

იც წარმოადგენს როგორც დაზღვევის ხელშეკრულებას, ისე დაზღვევის პოლისს. ამგვარი პრაქტიკა არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 802-ე მუხლის მოთხოვნებს. მაგრამ სადაზღვევო მოწმობა უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ ყველა პირობას.

ამ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სიცოცხლის დაზღვევას ეხება სამოქალაქო კოდექსის 844-853-ე მუხლები, რომლებსაც ცოტა მოგვიანებით განვიხილავ, მაგრამ 802-ე მუხლის მე-3 ნაწილში კანონმდებელს ძირითადად მხედველობაში აქვს დაგროვებითი ხასიათის სიცოცხლის დაზღვევა. დაგროვებითი ხასიათი შეიძლება ჰქონდეს ხანგრძლივი დროით დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებას.

დაგროვებითი დაზღვევის დროს მზღვეველი მოვალეა გასცეს სადაზღვევო საზღაური პერიოდულად ან დაზღვევის ხელშეკრულების ვადის გასვლისას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მიუხედავად. ამიტომ მზღვეველმა ყოველწლიურად თავისი მოგების დაანგარიშებისას უნდა გაითვალისწინოს დამზღვევის სახელზე გასანაწილებელი ის წილი, რომელიც მხარეთა მიერ შეთანხმებულ პროცენტს წარმოადგენს და დაიანგარიშება სადაზღვევო თანხიდან.

მაგალითი:

იოსავამ 20 წლით დააზღვია თავისი სიცოცხლე 100 000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში. მხარეები შეთანხმდნენ, ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი სამი წლის შემდეგ იოსავას დაერიცხება ყოველწლიურად სადაზღვევო თანხის – 100 000 ლარის 3%, რაც შეადგენს 3 000 ლარს. ამიტომ მზღვეველის ყოველწლიური მოგების დაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს აღნიშნული 3 000 ლარი და ეს თანხა დაგროვდება იოსავას სახელზე.

მუხლი 803. სადაზღვევო მოწმობის სახეები

თუ სადაზღვევო მოწმობა გაცემულია წარმომდგენზე სახელობითი ან საორდერო მოწმობის სახით, მზღვეველს შეუძლია ამ მოწმობის მფლობელს წაუყენოს ყველა ის მოთხოვნა, რომლებიც მას თავდაპირველი დამზღვევის მიმართ აქვს. ეს წესი არ გამოიყენება, თუ სადაზღვევო მოწმობის მფლობელი აცნობებს მზღვეველს დაზღვევასთან დაკავშირებული უფლების მისთვის გადაცემის თაობაზე და ეს უკანასკნელი დაუყონებლივ არ განაცხადებს თავისი მოთხოვნების შესახებ.

დაზღვევის ხელშეკრულება ყოველთვის უნდა გაფორმდეს წერილობით. სადაზღვევო მოწმობის წარდგენა აუცილებელია სადაზღვევო საზღაურის მისაცემად. სადაზღვევო მოწმობა შეიძლება იყოს სახელობითი, საორდერო ან ~~საწარმდგენლო~~. სახელობით პოლისში მითითებულია კონკრეტული დამზღვევი, მისი ვინაობა, ადგილსამყოფელი ან საცხოვრებელი ადგილი, ხოლო საწარმდგენლო ან საორდერო სადაზღვევო მოწმობებში კონკრეტული დამზღვევი არ არის აღნიშნული, რის გამოც ამ თავისებურებიდან გამომდინარე, არ შეიძლება იმავდროულად სადაზღვევო ხელშეკრულებასაც წარმოადგენდეს ასეთი სახის მოწმობები. ჯერ უნდა გაფორმდეს დაზღვევის ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანიასა და კონკრეტულ დამზღვევს შორის, სადაც აღინიშნება დამზღვევისა და სადაზღვევო მოწმობის ნებისმიერი წარმომდგენის თანაბარი უფლება-მოვალეობების შესახებ და ამის საფუძველზე გაიცემა შესაბამისი სახის სადაზღვევო პოლისი.

სადაზღვევო მოწმობის სახის მიუხედავად მზღვეველს შეუძლია ამ მოწმობის მფლობელს წარუდგინოს ყველა ის მოთხოვნა, რომლებიც მას გააჩნია თავდაპირველი დამზღვევის მიმართ ე. ი. ყველა ის ვალდებულება, რომელიც დაეკისრა დაზღვევის ხელშეკრულებით თავდაპირველ დამზღვევს, უნდა შეასრულოს სადაზღვევო მოწმობის წარმომდგენმა პირმა. სამოქალაქო კოდექ-

სის 803-ე მუხლის მეორე წინადადება იქვე მიუთითებს გამონაკლისს ამ წესიდან. ამდენად, თუ მზღვეველისათვის ცნობილია, რომ შეიცვალა დამზღვევი და დაუყოვნებლივ არ მოითხოვს სადაზღვევო მოწმობის მფლობელისაგან დაზღვევის ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას, შემდგომში სადაზღვევო კომპანიას ამის უფლება აღარ აქვს.

მაგალითი:

გომელაურმა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება გააფორმა სადაზღვევო კომპანია „მამულთან“. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სადაზღვევო მოწმობა გაცემული იქნება საწარმდგენლო სახით. გომელაურმა შემდგომში სადაზღვევო მოწმობა გადასცა გოგოჭურს, ამ უკანასკნელმა კი დაუყოვნებლივ განაცხადა სადაზღვევო კომპანიაში ამის თაობაზე, მაგრამ მზღვეველს მისთვის ერთი წლის განმავლობაში არავითარი მოთხოვნა არ წაუყენებია. ერთი წლის შემდეგ სადაზღვევო კომპანიამ მოსთხოვა გოგოჭურს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც თავის დროზე დაეკისრა გომელაურს. გოგოჭურმა ეს ვალდებულებები არ შეასრულა, ვინაიდან სადაზღვევო კომპანიამ ერთი წლის განმავლობაში მას არავითარი მოთხოვნა არ წაუყენა.

მუხლი 804. სადაზღვევო მოწმობის დაკარგვის შედეგები

1. თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მზღვეველმა მხოლოდ სადაზღვევო მოწმობის წარდგენის შემდეგ უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა, მაგრამ მოწმობა დაიკარგა ან განადგურდა, მაშინ დამზღვევეს შეუძლია მოითხოვოს შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო მოწმობა განსაკუთრებული წარმოების წესით ძალადაკარგულად გამოცხადდა.

2. სადაზღვევო მოწმობის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევა-

ში, დამზღვევს შეუძლია მზღვეველს მოსთხოვოს ასლი. ასლის გაცემის ხარჯებს გაიღებს დამზღვევი.

მაგალითი:

ვარძელაშვილმა თავისი ვენახის მოსავალი დააზღვია სეტყვისაგან 5.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში. აგვისტოს დასაწყისში მოსულმა სეტყვამ გაუნადგურა ვენახის მოსავალი. ვარძელაშვილმა მიმართა სადაზღვევო კომპანიას სადაზღვევო საზღაურის მისაღებად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას დაკარგული ჰქონდა დაზღვევის პოლისი. სადაზღვევო კომპანიამ შეახსენა დამზღვევს ხელშეკრულების ის პუნქტი, რომ მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მხოლოდ დაზღვევის პოლისის წარდგენის შემდეგ გასცემს სადაზღვევო საზღაურს. ამიტომ ვარძელაშვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს დაკარგული სადაზღვევო მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. სასამართლომ უდავო სამართალწარმოების წესით გამოიტანა გადაწყვეტილება სადაზღვევო მოწმობის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე. ამის შემდეგ, სადაზღვევო კომპანიაში ვარძელაშვილმა წარადგინა სასამართლო გადაწყვეტილების ასლი და მიიღო სადაზღვევო საზღაური.

მზღვეველი სადაზღვევო მოწმობის ასლს გასცემს მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამზღვევი წარუდგენს სასამართლო გადაწყვეტილებას დაკარგული სადაზღვევო მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. ასეთი ასლის გაცემის ხარჯების გადახდა ეკისრება დამზღვევს.

მუხლი 805. დაზღვევის აგენტის უფლებები

1. თუ დაზღვევის აგენტი (წარმომადგენელი) უფლებამოსილია დადოს დაზღვევის ხელშეკრულება, მას ასევე შეუძლია შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, გააგრძელოს მისი მოქმედების ვადა ან მოშალოს იგი.

2. დაზღვევის აგენტს, რომელიც ასრულებს შუამავლის ფუნქციას დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას, უფლება აქვს დადოს ასეთი ხელშეკრულება.

სადაზღვევო კომპანია ხშირად თავის კლიენტთან დაზღვევის ხელშეკრულებას აფორმებს დაზღვევის აგენტის მეშვეობით. დაზღვევის აგენტი ასრულებს შუამავლის ფუნქციას დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას სადაზღვევო კომპანიასა და დამზღვევს შორის. მართალია, იგი მონაწილეობს მზღვეველის მხარეზე, მაგრამ არ წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიის ფილიალს. მზღვეველსა და აგენტს შორის ცალკე, დამოუკიდებელი სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობს. შუამავლის ფუნქციის შესრულების მიუხედავად, აგენტი არ მოქმედებს შუამავლობის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვინაიდან მაკლერის-აგან განსხვავებით მას გააჩნია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. აგენტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს კომპანიის დავალებით და გარიგებებს დებს კომპანიის სასარგებლოდ. მათ შორის დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობს და აგენტი წარმოადგენს მზღვეველის რწმუნებულს.

დაზღვევის აგენტის საქმიანობა სასყიდლიანია, მას ეძლევა გასამრჯელო კომპანიის მიერ.

მაგალითი:

სადაზღვევო კომპანია „თბილისმა“ დაზღვევის ხელშეკრულებების დადების დავალების ხელშეკრულება გააფორმა ვაშაკიძესთან, როგორც დაზღვევის აგენტთან. ამ ხელშეკრულებით ვაშაკიძეს უფლება აქვს დადოს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე შეცვალოს მისი პირობები, გააგრძელოს მოქმედების ვადა და მოშალოს იგი.

ვაშაკიძემ სიცოცხლის დაზღვევა გააფორმა ინაურთან 3 წლის ვადით, შემდგომ დამზღვევის მოთხოვნით გააგრძელა ამ ხელშეკ-

რულების ვადა 10 წლამდე ისე, რომ ამის შესახებ სადაზღვევო კომპანიას არ შეუთანხმდა.

მუხლი 806. დაზღვევის დაწყების დრო

1. დაზღვევა იწყება ხელშეკრულების დადების დღის ოცდაოთხ საათზე და მთავრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის ოცდაოთხ საათზე.

2. თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია ხუთ წელზე მეტი ვადით, მაშინ თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ამის თაობაზე გაფრთხილებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

დაზღვევის ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა დაზღვევის დაწყების მომენტის ზუსტი განსაზღვრა. ამ მომენტთან არის დაკავშირებული სადაზღვევო კომპანიის მოვალეობის წარმოშობა კლიენტის წინაშე – სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გასცეს სადაზღვევო საზღაური.

მაგალითად, თუ დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმდა 17 ივლისს, მზღვეველის მოვალეობა წარმოიშობა 17 ივლისს ოცდაოთხი საათიდან. თუ დაზღვევის ხელშეკრულება ძალაშია 31 დეკემბრამდე, მაშინ დაზღვევა დამთავრდება 31 დეკემბრის ოცდაოთხ საათზე.

იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი იმის შესახებ, რომ დაზღვევის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა, ვინაიდან იგი ძალაშია არა დადებისთანავე (მხარეთა შეთანხმებისთანავე), არამედ მხოლოდ სადაზღვევო პრემიის შეტანის შემდეგ.

სამოქალაქო კოდექსის 806-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის წესი, კერძოდ, თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია 5 წელზე მეტი ვადით, მაშინ თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ამის თაობაზე გაფრთხილებიდან 3 თვის გასვლის შემდეგ.

მაგალითი:

კვაჭაძემ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება გააფორმა 10 წლის ვადით. ხელშეკრულების დადებიდან მეოთხე წელს დამზღვევმა გადაწყვეტა ამ ხელშეკრულების მოშლა, რის შესახებაც განუცხადა სადაზღვევო კომპანიას. მზღვეველმა განუმარტა, რომ მათ შორის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეწყდება 3 თვის შემდეგ.

მუხლი 807. სადაზღვევო შესატანის გადიდება შედეგები

თუ მზღვეველმა გაადიდა სადაზღვევო შესატანი, მაშინ დამზღვევს შეუძლია ხელშეკრულების მოშლის ერთთვიანი ვადის დაცვით შეწყვიტოს ხელშეკრულება. სადაზღვევო შესატანის უმნიშვნელო გაზრდა ასეთ უფლებას არ წარმოშობს.

დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს სადაზღვევო შესატანის გადიდება მზღვეველის მიერ.

მაგალითი:

კვაჭაძემ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება გააფორმა 5 წლის ვადით. მას დაეკისრა 6 თვეში ერთხელ 100 ლარის სადაზღვევო პრემიის გადახდა. ამ ხელშეკრულების დადებიდან მეორე წელს მზღვეველმა გაზარდა შესატანი 160 ლარამდე. კვაჭაძე არ დაეთანხმა სადაზღვევო პრემიის გაზრდას 60 ლარით, მან ერთი თვით ადრე გააფრთხილა კომპანია ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და ამ ვადის გასვლის შემდეგ მზარეებს შორის შეწყდა ხელშეკრულება.

თუ სადაზღვევო კომპანია სადაზღვევო პრემიას გაზრდის უმნიშვნელოდ, მაშინ დამზღვევს არა აქვს უფლება 807-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვოს ვადამდე დაზღვევის ხელშეკრულების მოშლა.

მუხლი მთხ. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

1. დამზღვევმა ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს უნდა შეატყობინოს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისათვის. არსებითია ის გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მზღვეველის გააწვევტილებაზე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით.

2. არსებითად ჩაითვლება, ასევე, გარემოება, რომლის შესახებაც მზღვეველი წერილობით შეეკითხება დამზღვევს გარკვევით და არაორაზროვნად.

3. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილის წესების საწინააღმდეგოდ მზღვეველს არ ეცნობა არსებითი გარემოებების შესახებ, მაშინ მას შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. იგივე მნიშვნელობა აქვს, თუ არსებით გარემოებათა შეტყობინებას დამზღვევმა განზრახ აარიდა თავი.

4. დაუშვებელია დაზღვევის შეწყვეტა, თუ მზღვეველმა იცოდა დაფარულ გარემოებათა შესახებ, ან დამზღვევს არ მიუძღვის ბრალი მათ შეუტყობინებლობაში.

სამოქალაქო კოდექსით დამზღვევს ეკისრება მთელი რიგი მოვალეობები როგორც დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას, ისე მთელ სადაზღვევო პერიოდშიც.

დაზღვევა ეფუძნება მხარეთა ურთიერთნდობას და კეთილსინდისიერებას. სწორედ ამიტომაც, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით, დამზღვევი ვალდებულია ნებაყოფლობით შეატყობინოს მზღვეველს ყველა ის არსებითი გარემოება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულების პირობებზე. ხშირად დამზღვევის მიერ მიწოდებული ინფორმაცია განსაზღვრავს დაზღვევის ხელშეკრულების ძირითად პირობებს და ასეთი ხელშეკრულების დადების ბედსაც.

მაგალითი:

კეჟერაძე დაავადებულია აეთვისებიანი სიმსივნით. მან დააზღვია თავისი სიცოცხლე, მაგრამ სადაზღვევო კომპანიას დაუმალა თავისი ავადმყოფობა, რადგან იცოდა ამ დიაგნოზის გამო უარს ეტყოდა ხელშეკრულების დადებაზე. კეჟერაძესთან სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სადაზღვევო კომპანიამ შეიტყო დამზღვევის ავადმყოფობა, რის გამოც დაუყოვნებლივ შეწყვიტა ხელშეკრულება და კეჟერაძეს უარი უთხრა გადახდილი სადაზღვევო პრემიის უკან დაბრუნებაზე.

მუხლი 809. არასწორი მონაცემების შეტყობინების შედეგები

1. მზღვეველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მაშინაც, თუ არსებითი გარემოებების შესახებ შეტყობინება არასწორ მონაცემებს შეიცავს.

2. ხელშეკრულებაზე უარის თქმა დაუშვებელია, თუ მონაცემების უზუსტობა მზღვეველისათვის ცნობილი იყო, ან/თუ დამზღვევს ბრალი არ მიუძღვის არასწორ მონაცემთა მიწოდებაში. ამ მონაცემების შეტყობინებიდან ერთი თვის განმავლობაში მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება.

დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია ასევე, დამზღვევის მიერ სადაზღვევო კომპანიისათვის არსებითი გარემოებების შესახებ არასწორი მონაცემების მიწოდება.

მაგალითი:

75 წლის მალიძემ თავისი სიცოცხლე დააზღვია სადაზღვევო კომპანია „მამულში“ და 75 წლის ნაცვლად მიუთითა 60 წლის ასაკი. ხელშეკრულების დადების შემდეგ მზღვეველმა შეიტყო მალიძის ნამდვილი ასაკი, რის გამოც მოშალა მასთან ხელშეკრულება. ვინაიდან სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებისათვის დამზღვე-

ვის ასაკი არსებით გარემოებას წარმოადგენს და ამ ასაკის არასწორი მითითება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია.

ზოგჯერ დამზღვევის შესახებ არასწორი მონაცემების მიწოდებაში ბრალი არ მიუძღვის დამზღვევს ან აღნიშნულის თაობაზე წინასწარ იცის მზღვეველმა. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს 809-ე მუხლის მეორე ნაწილი.

მაგალითი:

75 წლის მალიძემ თავისი ასაკი სწორად უთხრა დაზღვევის აგენტს, მაგრამ ამ უკანასკნელმა დაუშვა შეცდომა და დაზღვევის პოლისში ჩაწერა მალიძის ასაკი – 65 წელი. სადაზღვევო კომპანიამ შეამჩნია აღნიშნული მონაცემის უსწორობა, მაგრამ გაირკვა, რომ დამზღვევს ბრალი არ მიუძღოდა და მალიძესთან სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება არ მოიშალა.

მუხლი 810. დაზღვევის ხელშეკრულების მოშლა ინფორმაციის შეუსტყობინებლობის გამო

თუ დამზღვევს საფრთხის გარემოებების შესახებ წერილობით კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი, მაშინ მზღვეველს უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება იმ გარემოებათა შეუტყობინებლობის გამო, რომელთა თაობაზედაც თუმცა კითხვა არ დასმულა, მაგრამ დამზღვევი განზრახ ღუძღა.

სადაზღვევო კომპანიებს კონკრეტული სახის დაზღვევისათვის შემუშავებული აქვთ წერილობითი კითხვარი საფრთხის გარემოებების შესახებ, ამ კითხვარზე ზუსტი პასუხის გაცემა დამზღვევის მოვალეობაა. ხშირად ასეთი კითხვარები ზოგადი ხასიათისაა. თუ შენობის დაზღვევისათვის შედგენილი კითხვარი მხოლოდ შენობის სადაზღვევო შეფასებას შეეხება და სხვა გარემოებების შესახებ არ დასმულა კითხვა, დამზღვევი მაინც მოვალეა მისთვის ცნობილი გარემოებები შეატყობინოს სადაზღვევო კომპანიას, ხოლო, თუ

დამზღვევემა იცის შენობის ავარიულობის შესახებ და განზრახ ღუმს, მაშინ ამის თაობაზე შეკითხვის არარსებობის მიუხედავად მზღვეველს უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება.

მუხლი 811. ინფორმაციის შეუტყობინებლობის გაერო ხელშეკრულების მოშლის ვადა

1. ამ თავით გათვალისწინებული ცნობების შეუტყობინებლობიდან ერთი თვის განმავლობაში მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება. ეს ვადა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მზღვეველმა გაიგო შეტყობინების მოვალეობის დარღვევის თაობაზე.

2. დამზღვევეს უნდა ეცნობოს ხელშეკრულების მოშლის შესახებ.

თუ ამ ერთი თვის განმავლობაში მოხდება სადაზღვევო შემთხვევა, მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო საზღაურის გადახდის ვალდებულებისაგან. ამ მუხლით გათვალისწინებულია ხანდაზმულობის სპეციალური ვადა ინფორმაციის შეუტყობინებლობისათვის.

მაგალითი:

კეკებაშვილმა დააზღვია დაავადებული მსხვილფეხა პირუტყვი, მაგრამ სადაზღვევო კომპანიას დაუმალა აღნიშნული. ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე დღეს მზღვეველმა შეიტყო კეკებაშვილის საქონლის ავადმყოფობა, მაგრამ, მხოლოდ მესამე თვეს განუცხადა დამზღვევეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. კეკებაშვილმა უარი განუცხადა დაზღვევის შეწყვეტაზე აღნიშნული საფუძველით, რადგან მზღვეველის მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

მუხლი 812. ხელშეკრულების მოშლა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად

თუ მზღვეველი მოშლის დაზღვევის ხელშეკრულებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ, იგი არ თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუკი იმ გარემოებას, რომლის შესახებაც დარღვეული იქნა შეტყობინების მოვალეობა, გავლენა არ მოუხდენია სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე და მზღვეველის მოვალეობის შესრულებაზე.

მაგალითი:

სეთურიძემ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაში თავისი ასაკი არასწორად მიუთითა. იგი გარდაიცვალა ავტოკატასტროფაში. დამზღვევის გარდაცვალების შემდეგ სადაზღვევო კომპანიამ შეიტყო მისი ასაკი და უარი განაცხადა სადაზღვევო საზღაურის გაცემაზე. მზღვეველის ასეთი უარი მოცემულ შემთხვევაში ეწინააღმდეგება 812-ე მუხლის მოთხოვნას.

მუხლი 813. საფრთხის გაზრდის შესახებ ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულება

1. დამზღვევი მოვალეა დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს საფრთხის გაზრდის შესახებ, რომელიც ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოცენდა, თუ ეს არსებით გავლენას მოახდენდა ხელშეკრულების დადებაზე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება მოშლის ერთ-თვიანი ვადის დაცვით ან მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის შესაბამისი გაზრდა. თუ დამზღვევმა განზრახ გამოიწვია საფრთხის გაზრდა, მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ვადის დაცვის გარეშე.

დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიძლება გამოვლინდეს ახალი გარემოება, რომელიც არსებითად გაზრდის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის საფრთხეს. დამზღვევი მოვალეა დაუყონებლივ შეატყობინოს მზღვეველს ასეთი საფრთხის გაზრდის შესახებ, რომელიც ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოცენდა. სამოქალაქო კოდექსის 813-ე მუხლის პირველი ნაწილი დამზღვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში ავალდებულებს დაუყონებლივ აცნობოს სადაზღვევო კომპანიას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის საფრთხის გაზრდის თაობაზე, თუ ეს არსებით გავლენას მოახდენდა დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყურადღებაშისაქცევია, შემდგომში გაზრდილი საფრთხე თავიდანვე რომ ყოფილიყო, სადაზღვევო კომპანია დაზღვევის ხელშეკრულებას მაინც გააფორმებდა თუ არა.

მაგალითი:

შველიძემ დააზღვია შენობა, რომელსაც უმნიშვნელო ბზარები ჰქონდა და სადაზღვევო კომპანიამ ასეთ პირობებში გააფორმა ხელშეკრულება შენობის მესაკუთრესთან. შემდგომში ბზარები თანდათან გაიზარდა და შესაბამისად ამ შენობის დანგრევის საფრთხეც გაიზარდა; ამის შესახებ უნდა ეცნობოს მზღვეველს, ვინაიდან თავიდანვე დიდი ბზარები რომ ყოფილიყო, გარიგება არ დაიდებოდა ან სულ სხვა პირობებით დაიდებოდა.

მუხლი 814. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შეტყობინების ვალდებულება

1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე დამზღვევი მოვალეა აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს.

2. მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოსთხოვოს დამზღვევს ყოველგვარი ცნობა, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის ან მოვალეობის მოცულობის დასადგენად.

3. მზღვეველს არ შეუძლია დაეყრდნოს შეთანხმებას, რომლითაც იგი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან, თუ დამზღვევი არ შეასრულებს შეტყობინების მოვალეობას, მაგრამ ამით მზღვეველის ინტერესები არსებითად არ დაირღვევა.

4. მზღვეველმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და საზღაურის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე დამზღვევს კანონმდებელი იმიტომ აკისრებს შეტყობინების ვალდებულებას, რომ შეიძლება სადაზღვევო შემთხვევა დადგეს, მაგრამ დამზღვევმა იგი დადგომისთანავე ვერ შეიტყოს.

მაკალითი:

ჯორჯჯაძემ დააზღვია თავისი აგარაკი ბაკურიანში. ზამთარში დიდთოვლობამ ჩაანგრია აგარაკის სახურავი და სახლი დაინგრა. აგარაკის მესაკუთრემ ჯორჯჯაძემ შეიტყო სადაზღვევო შემთხვევის — სახლის სახურავის ჩანგრევის შესახებ მხოლოდ გაზაფხულზე, როცა ჩავიდა ბაკურიანში. მან აგარაკის დაზიანების გაგებისთანავე დაუყოვნებლივ აცნობა სადაზღვევო კომპანიას.

მართალია, კანონმდებელი შეტყობინების კონკრეტულ ვადებს არ განსაზღვრავს, მაგრამ როცა დამზღვევი გაიგებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომას, მზღვეველს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის თაობაზე.

თუ დამზღვევი დროულად არ შეატყობინებს სადაზღვევო კომპანიას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ, შეტყობინების დაგვიანების გამო მზღვეველს შეუძლია უარი განაცხადოს სადაზღვევო საზღაურის გაცემაზე, რადგან სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხშირად შეუძლებელია სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ზუსტი განსაზღვრა, ასეთი შემთხვევის გამომწვევი გარემოებების დადგენა და ა.შ.

მზღვეველის განთავისუფლება სადაზღვევო საზღაურის გაცემის-
აგან შეიძლება დადგენილ იქნეს დაზღვევის ხელშეკრულებით. მა-
გრამ, თუ დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინებ-
ის ვალდებულების დარღვევით მზღვეველის ინტერესები არსებით-
ად არ დაირღვევა, მაშინ, ზემოაღნიშნული შეთანხმების მიუხედა-
ვად, მზღვეველი მაინც მოვალეა გასცეს სადაზღვევო საზღაური.
ამის შესახებ სპეციალურად არის აღნიშნული სამოქალაქო კოდექ-
სის 814-ე მუხლის მეხამე ნაწილში.

მაგალითი:

ჯორჯაძემ ბაკურიანში თავისი აგარაკის სახურავის დაზიანება
შეიტყო გაზაფხულზე, მაგრამ სადაზღვევო კომპანიას შეატყობინა
სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შემოდგომაზე. შემოდგომისათვის
მზღვეველს გაუჭირდა ჯორჯაძისათვის დიდთოვლობის შედეგად
მიყენებული ზარალის ზუსტი დადგენა, ვინაიდან ზამთარში დაზიანებ-
ული სახურავი გაზაფხულის წვიმებმა უფრო დააზიანა და გააფუჭა;
ამიტომ მზღვეველმა უარი განუცხადა ჯორჯაძეს სადაზღვევო
საზღაურის გაცემაზე იმ საფუძველით, რომ დროულად არ შეატყო-
ბინა სადაზღვევო შემთხვევის შესახებ.

II. სადაზღვევო შესატანი

მუხლი 815. სადაზღვევო შესატანის გადახდის კალკულაცია

1. დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი მხოლოდ დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის მიღების შემდეგ.

2. თუ დაზღვევის ინტერესი დაიკარგა, მაშინ მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას. მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდაც.

ზემოაღნიშნული ნორმა დამზღვევს აკისრებს სადაზღვევო პრემიის გადახდის მოვალეობას ზოგადად, მაგრამ როგორ უნდა გადაიხადოს მან ეს შესატანი – ერთდროულად, ყოველთვიურად, კვარტალურად თუ წლიურად, ამზე უშუალოდ მხარეები უნდა შეთანხმდნენ დაზღვევის ხელშეკრულების დადების დროს. სადაზღვევო პრემიის ოდენობა ძირითადად განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და დამოკიდებულია დაზღვევის ობიექტის სადაზღვევო შეფასებაზე. როგორც წესი, სადაზღვევო პრემიას დამზღვევი იხდის ფულადი ფორმით, მაგრამ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ასევე ნატურით ე. ი. არაფულადი ფორმით სადაზღვევო შესატანის გადახდაზე.

აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი არეგულირებს ისეთ შემთხვევებსაც, როცა დამზღვევს დაეკარგება დაზღვევის ინტერესი და ამის გამო შეიძლება შეწყდეს დაზღვევის ხელშეკრულება, მაგრამ მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას. მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდაც.

მაგალითი:

ჩალაქემ თავისი ავტომანქანა დააზღვია ქურდობის შემთხვე-

ვისაგან. დაზღვევის ხელშეკრულებით იგი მოვალე იყო ყოველ ექვს თვეში ერთხელ გადაეხადა სადაზღვევო პრემია 50 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. ჩალაძემ გაყიდა თავისი მსუბუქი ავტომანქანა ხელშეკრულების დადებიდან მერვე თვეს, მან სადაზღვევო კომპანიას უნდა გადაუხადოს სადაზღვევო პრემია მეშვიდე-მერვე თვისათვის, ვინაიდან ამ პერიოდში მზღვეველი ვალდებული იყო სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას აენახლაურებიანა სადაზღვევო სახლაური.

მუხლი 816. პირველი სადაზღვევო შესატანი

პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.

მართალია, დაზღვევის ხელშეკრულების დადება წარმოადგენს დაზღვევის დაწყების ანუ მზღვეველის მოვალეობის წარმოშობის საფუძველს, მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ სადაზღვევო კომპანიის მოვალეობა თავისი კლიენტის წინაშე ყოველთვის დაზღვევის ხელშეკრულების დადებისთანავე არ წარმოიშობა, ვინაიდან, თუ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დამზღვევმა დროულად არ გადაიხადა სადაზღვევო შესატანი, მარტო ხელშეკრულების დადება არ არის საკმარისი მზღვეველის მოვალეობის წარმოშობისათვის. სამოქალაქო კოდექსის 816-ე მუხლის შინაარსით ირკვევა, რომ დაზღვევის დაწყება დაკავშირებულია არა მარტო დაზღვევის ხელშეკრულების დადებასთან, არამედ სადაზღვევო პრემიის გადახდასთანაც. სადაზღვევო სფეროში დამკვიდრებულია, რომ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება და სადაზღვევო პრემიის პირველი შეტანა ხდება ერთდროულად. სადაზღვევო შესატანის ფორმა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე. იგი შეიძლება შეტანილ იქნეს ფულადი ფორმით, ასევე გაიცეს ჩეკი, თამასუქი, საკასო ხელწერილი და ა.შ. სადაზღვევო პრემიის გადახდაზე. მის

გადახდამდე მზღვეველს შეუძლია შეიკავოს თავი პოლისის გაცემაზე. სადაზღვევო პოლისის გაცემა (თუ მასში საწინააღმდეგო არ არის მითითებული) იმის მტკიცებულებაა, რომ გადახდილია სადაზღვევო პრემია, ამით კი დასტურდება არა მარტო დაზღვევის ხელშეკრულების დადება, არამედ მისი ძალაში შესვლა. ის გარემოება, რომ მზღვეველის მოვალეობა წარმოიშობა არა მხარეთა შეთანხმების, არამედ პრემიის გადახდის მომენტიდან, დაზღვევის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს.

იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი იმის შესახებ, რომ დაზღვევის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა, ვინაიდან იგი ძალაშია არა დადებისთანავე (მხარეთა შეთანხმებისთანავე), არამედ მხოლოდ სადაზღვევო შესატანის (პრემიის) შეტანის შემდეგ.

მაგალითი:

გონაშვილმა ხორბლის მოსავლის დაზღვევის ხელშეკრულება გააფორმა 25 აპრილს. ხელშეკრულებაში ჩაწერა, რომ იგი ძალაშია 1 მაისიდან და დამზღვევი მოვალეა პირველი სადაზღვევო შესატანი გადაიხადოს 1 მაისამდე. გონაშვილმა არ შეასრულა ეს ვალდებულება. 4 მაისს ხანძარი გაუჩნდა ხორბლის ნათესებს და განადგურდა. სადაზღვევო კომპანიამ უარი განუცხადა მას სადაზღვევო საზღაურის გაცემაზე სამოქალაქო კოდექსის 816-ე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 817. სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდა

1. თუ სადაზღვევო შესატანი დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება.

2. თუ ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა და ამ დროისათვის დამზღვევის მიერ გადაცილებულია შესატანის ან პროცენტების გადახდის ვადა, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან.

დამზღვევმა სადაზღვევო შესატანი უნდა გადაიხადოს იმ ვადებში, რაც დადგენილია დაზღვევის ხელშეკრულებით, მაგრამ მან, თუ გადააცილა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადა და ღრუილად არ შეიტანა იგი, მზღვეველს უფლება აქვს წერილობით განუსაზღვროს ორკვირიანი ვადა და გააფრთხილოს დამზღვევი იმ შედეგებზე, რომელიც მოჰყვება ვადის გასვლას. ამ ვადის გასვლის შემდეგ მზღვეველს უფლება აქვს გამოიყენოს სხვადასხვა სახის ღონისძიებები დამზღვევის მიმართ; ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება შეიძლება იყოს დამზღვევისათვის გადასახდელი პრემიის პროცენტების დაკისრება.

მაგალითი:

წაქაძემ დააზღვია თავისი ორსართულიანი სახლი, სამ თვეში ერთხელ უნდა გადაეხადა სადაზღვევო შესატანი 200 ლარის ოდენობით, ექვსი თვის განმავლობაში არ გადაიხადა სადაზღვევო შესატანი, სადაზღვევო კომპანიამ 19 ივლისს წერილობით გააფრთხილა იგი იმის შესახებ, რომ ორი კვირის განმავლობაში უნდა გადაეხადა სადაზღვევო პრემია, წაქაძემ არ შეიტანა სადაზღვევო საზღაური დათქმულ ვადაში, 25 აგვისტოს მის სახლს გაუჩნდა ხანძარი და დაიწვა; დამზღვევმა დაუყოვნებლივ მიმართა სადაზღვევო კომპანიას, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი უთხრა სადაზღვევო საზღაურის გაცემაზე. წაქაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე სადაზღვევო კომპანია „მამულის“ მიმართ სადაზღვევო საზღაურის გაცემის მოვალეობის შესრულების მოთხოვნით. სასამართლომ არ დააკმაყოფილა წაქაძის სარჩელი და უარი უთხრა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე.

*მუსლი 818. ხელშეკრულების მოშლა სადაზღვევო
შესატანის არაღროულად გადახდის გამო*

თუ დამზღვევა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო პრემია, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მოშალოს იგი.

ამ მუხლით მოწესრიგებულია დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის წესი იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი დაარღვევს სადაზღვევო შესატანის (პრემიის) გადახდის ვალდებულებას. ამ დროს მზღვეველს უფლება აქვს მოშალოს დაზღვევის ხელშეკრულება, მაგრამ მან უნდა დაიცვას ხელშეკრულების მოშლის შესახებ დამზღვევის გაფრთხილების ერთთვიანი ვადა.

მუსლი 819. სადაზღვევო შესატანის გადახდის შეწყვეტა

დამზღვევს შეუძლია შეწყვიტოს სადაზღვევო შესატანის გადახდა, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ გაირკვა, რომ მზღვეველის ეკონომიური მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ არსებობს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობათა შეუსრულებლობის რეალური საფრთხე.

მაგალითი:

გერმანიის მოქალაქე ჰოფმანმა საქართველოში თავისი ინვესტიცია დააზღვია სადაზღვევო კომპანია „მამულში“, რომელსაც ყველაზე ღიდი საწესდებო კაპიტალი გააჩნია სხვა კომპანიებთან შედარებით. ორი წლის შემდეგ ჰოფმანმა შეიტყო, რომ მზღვეველის საწესდებო კაპიტალი მნიშვნელოვნად შემცირდა, სადაზღვევო კომპანიას გაკოტრების აშკარა საფრთხე დაემუქრა, ამიტომ დამზღვევმა მორიგ სადაზღვევო გადახდაზე უარი განაცხადა.

III. ზიანის დაზღვევა

ა. ხელშეკრულების შინაარსი

მუხლი 820. ზიანის ფულადი ანაზღაურების ვალდებულება

ზიანის დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი უნდა ანაზღაუროს ფულით.

დაზღვევას განასხვავებენ არა მარტო ფორმების, არამედ სახეების მიხედვითაც. დაზღვევის ობიექტების მიხედვით განასხვავებენ ქონებრივ და პირად დაზღვევას. თუ დაზღვევის ობიექტია ნებისმიერი ქონება, მაშინ უნდა გაფორმდეს ქონების დაზღვევის ხელშეკრულება, ხოლო დაზღვევის (დაზღვეული პირის) სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევისას ფორმდება პირადი დაზღვევის ხელშეკრულება. ქონებრივი და პირადი დაზღვევა შეიძლება განხორციელდეს როგორც ნებაყოფლობითი, ისე სავალდებულო ფორმით. ქონების დაზღვევას მოიცავს ზიანის დაზღვევა, ვინაიდან ქონებრივი ინტერესის დარღვევით ზიანი ადგება მესაკუთრეს ან მფლობელს, რომლის ანაზღაურებასაც უზრუნველყოფს დაზღვევის მოცემული სახე.

ზიანის დაზღვევის ხელშეკრულებაში დამზღვევი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, ხოლო დაზღვევის ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი სახის ქონება (შენობა, ნაგებობა, სატრანსპორტო საშუალება, სასოფლო-სამეურნეო კულტურები, საბანკო ანაბარი, ინვენტაცია), სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ა. შ. ამრიგად, ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურება კანონის იმპერატიული მოთხოვნაა და დაუშვებელია სადაზღვევო კომპანიამ მიყენებული ზიანი ანაზღაუროს ნატურით.

მაგალითი:

ჩლაიძემ დააზღვია საცხოვრებელი სადგომი ხანძრისაგან. დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე წელს ჩლაიძის საცხოვრებელ სადგომს გაუჩნდა ხანძარი და დაიწვა. მან მზღვეველს

შესთავაზა აღედგინათ მისთვის დამწვარი ნაგებობა სადაზღვევო საზღაურის ფულადი ფორმით გადახდის სანაცვლოდ. სადაზღვევო კომპანიამ უარი უთხრა ამ მოთხოვნაზე, ვინაიდან, დაზღვევის ხელშეკრულებით, მხარეები შეთანხმდნენ ფულადი ფორმით სადაზღვევო საზღაურის გაცემაზე.

მუხლი 821. ზიანის ანაზღაურების ფარგლები

მზღვეველი ზიანს აანაზღაურებს მხოლოდ სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა შენობა-ნაგებობები დაზღვეულია კონკრეტული სადაზღვევო თანხის ფარგლებში, სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი კი აღემატება ამ თანხას.

მაგალითი:

ჩლაიძემ საცხოვრებელი სადგომი დააზღვია 100.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში. ხანძრის შედეგად მან განიცადა 120.000 ლარის ზიანი. სადაზღვევო კომპანიამ აუნაზღაურა არა 120.000 ლარი, არამედ სადაზღვევო საზღაური გაცემული იქნა 100.000 ლარის სადაზღვევო თანხიდან, „პროპორციული სისტემის“ მიხედვით.

ზოგჯერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი გაცილებით ნაკლები ღირებულებისაა, ვიდრე დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი სადაზღვევო თანხა. ამ დროს მზღვეველი არ არის ვალდებული გადაუხადოს დამზღვევეს წარმოშობილ ზიანზე მეტი თანხა.

მაგალითი:

კვერნაძემ თავისი მსუბუქი ავტომანქანა დააზღვია 4.000 ლარის ფარგლებში. ავტოავარიის შედეგად მსუბუქი ავტომანქანა დაზიანდა და მესაკუთრემ განიცადა 2.500 ლარის ზარალი. მზღვეველმა სადაზღვევო საზღაური გასცა 2.500 ლარის გათვალისწინებით.

მუხლი 822. სადაზღვევო შედარება

1. თუ აღმოჩნდა, რომ სადაზღვევო თანხა მნიშვნელოვნად აღემატება დაზღვეული ინტერესის ღირებულებას (სადაზღვევო ღირებულებას), მაშინ როგორც დამზღვევეს, ისე მზღვეველს გადაჭარბებული დაზღვევის თავიდან აცილების მიზნით შეუძლიათ მოითხოვონ სადაზღვევო თანხის შემცირება სადაზღვევო შესატანის დაუყონებლივ შესაბამისი შემცირებით.

2. თუ დამზღვევი მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების განზრახვით დებს ხელშეკრულებას დაზღვევის გაზრდის გზით, მაშინ ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება. ხელშეკრულების ბათილობამდე მზღვეველისათვის გადახდილი შენატანები მას რჩება, თუ მისთვის ხელშეკრულების დადების მომენტისთვის ცნობილი არ იყო ბათილობის შესახებ.

ქონების დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შეიძლება შემცირდეს დაზღვეული ქონების სადაზღვევო ღირებულება, რის გამოც სადაზღვევო თანხა მეტი აღმოჩნდება ქონების სადაზღვევო ღირებულებაზე, რაც გამოიწვევს გადაჭარბებულ დაზღვევას. სწორედ გადაჭარბებული დაზღვევის თავიდან აცილებას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 822-ე მუხლის პირველი ნაწილი.

მაკალითი:

კობახიძემ 1995 წელს შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა „მერსედესი“, რომელიც გამოშვებული იყო 1993 წელს. ამ ავტომანქანის სადაზღვევო ღირებულება განისაზღვრა 50.000 ლარის ფარგლებში. კობახიძემ 1995 წელსვე დააზღვია თავისი ავტომანქანა 50.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში. 1999 წლის იანვარში მზღვეველმა მოითხოვა კობახიძის „მერსედესის“ ღირებულების შეფასება და იმ პერიოდისათვის დაზღვევის ობიექტის ღირებულება განისაზღვრა 28.000 ლარის ფარგლებში. სადაზღვევო კომპანიამ 822-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შესთავაზა

კობახიძეს სადაზღვევო თანხის შემცირება 28.000 ლარამდე და შესაბამისად, სადაზღვევო პრემიის შემცირებაც.

ზოგჯერ დამზღვევი ქონებას აზღვევს არა დაცვის მიზნით, არამედ იმ მიზნით, რომ დაზღვევის შედეგად სარგებელი ნახოს. დამზღვევი განზრახ, არასწორად მიუთითებს დაზღვეული ქონების ღირებულებას უფრო მეტი ოდენობით, ვიდრე მისი რეალური ღირებულებაა მოცემული შემთხვევისათვის.

მაგალითი:

კულეურიძემ ხანძრისაგან დააზღვია საკუთარი მინი-ქარხანა, მან მოისყიდა აუდიტი და მინი-ქარხნის რეალური ღირებულების 21.000 ლარის ნაცვლად აუდიტმა დაზღვევის ობიექტი შეაფასა 55.000 ლარად. კულეურიძემ თავისი ქარხანა დააზღვია 55.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში ე.ი. გაზრდილი ოდენობით. ამ თანხის შესაბამისად მზღვეველმა განუსაზღვრა სადაზღვევო პრემია კვარტალში 50 ლარი. დაზღვევის გაფორმებიდან მეორე წელს მზღვეველმა თავის აუდიტს შეაფასებინა კულეურიძის მინი-ქარხანა და გაირკვა, რომ იგი გაცილებით მეტ თანხაში იყო დაზღვეული. ვინაიდან დაზღვევის ხელშეკრულების დადების მომენტიდან დასაზღვევმა განზრახ გაზარდა ქონების ღირებულება, ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე სადაზღვევო კომპანიამ მოითხოვა კულეურიძესთან დაზღვევის ხელშეკრულების ბათილობა, ხოლო დამზღვევის მიერ ერთი წლის განმავლობაში გადახდილი სადაზღვევო შესატანი – 200 ლარი დარჩა მზღვეველს.

მუხლი 823. ქონების დაზღვევის თავისებურებანი

სადაზღვევო თანხად ჩაითვლება ქონების ღირებულება, თუ დაზღვეულია ქონება და საქმის გარემოებებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აღნიშნული მუხლი გვთავაზობს ქონების დაზღვევისას სა-

დაზღვევო თანხის განსაზღვრის წესს. ეს ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა და ზიანის დაზღვევის შემთხვევაში მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ისეთ სადაზღვევო თანხაზე, რომელიც გაცილებით ნაკლებია დაზღვეული ქონების ღირებულებაზე.

მუხლი 824. მიუღებელი სარგებლის დაზღვევა

დაზღვევა ვრცელდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეულ მიუღებელ სარგებელზედაც, თუ ეს გათვალისწინებულია შეთანხმებით.

ზიანის დაზღვევის დროს მზღვეველმა უნდა აანაზღაუროს არა მარტო მიყენებული ზიანი დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, არამედ ის მიუღებელი შემოსავალიც, რომელიც ვერ მიიღო დამზღვევემა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გამო. როგორც ვხედავთ, მიუღებელი სარგებლის ანაზღაურების მოვალეობა სადაზღვევო კომპანიას შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების დროს მხარეები შეთანხმდებიან აღნიშნულის თაობაზე.

მაგალითი:

ვაჭირიშვილმა დააზღვია თავისი ვენახი სეტყვისაგან. დაზღვევის ხელშეკრულებაში მხარეები შეთანხმდნენ, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გამო მიუღებელი ყურძნის მოსავლის ანაზღაურების მოვალეობა ეკისრებოდა მზღვეველს.

მუხლი 825. ნივთთა ერთობლიობის დაზღვევა

თუ დაზღვეულია ნივთების ერთობლიობა, მაშინ დაზღვევა ვრცელდება მასში შემავალ ყველა ნივთზე.

ქონების დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს არა მარტო ერთი კონკრეტული ნივთი, არამედ რამდენიმე ნივთი ერთობლივად;

მაგალითი:

ეკალაძემ დააზღვია თავისი მოძრავი საოჯახო ქონება, რომელშიც შედიოდა ავეჯი, ჭურჭელი, ჭაღები და მხატვრული ტილოები. ქონება დაზღვეული იქნა 200.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში. ეკალაძის ბინა გაიქურდა და მოპარეს მხოლოდ ნახატები. სადაზღვევო კომპანიამ გასცა სადაზღვევო საზღაური მხატვრული ტილოების დაკარგვით მიყენებული ზიანის შესაბამისად.

მუხლი 826. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა

მზღვეველი არ არის ვალდებული გადაუხადოს დამზღვევს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან ადვანსით აღემატება სადაზღვევო ღირებულებას.

ამ ნორმიდან აშკარად ჩანს, რომ ზიანის დაზღვევის დროს მოქმედებს ძირითადი პრინციპი – სადაზღვევო საზღაური გაცემული უნდა იქნეს მიყენებული ზიანის შესაბამისად. ეს პრინციპი ძალაშია მაშინაც, თუ ქონება დაზღვეულია უფრო მეტი სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ვიდრე მისი სადაზღვევო ღირებულებაა.

მაგალითი:

ქირიამ დააზღვია თავისი ავტომანქანა. ავტოავარიის შედეგად ქირიას მანქანა დაიბზრა და 1.200 ლარის ზიანი განიცადა. ქირიას ავტომანქანა დაზღვეული იყო 2.500 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში, მაგრამ სადაზღვევო შემთხვევის – ავტოავარიის მომენტიდან ავტომანქანის სადაზღვევო ღირებულება იყო 1.800 ლარი; ამის მიუხედავად, მზღვეველი არ არის ვალდებული გასცეს სადაზღვევო საზღაური მიყენებული ზიანის – 1.200 ლარზე მეტი ოდენობით.

*მუხლი 827. შემცირებული ან არასრული დაზღვევა.
ორმაგი დაზღვევა*

1. თუ სადაზღვევო თანხა ნაკლებია სადაზღვევო ღირებულებაზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან (შემცირებული ან არასრული დაზღვევა), მაშინ მზღვეველი აანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების შეფარდების შესაბამისად.

2. პირი, რომელმაც ერთი და იგივე ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან დააზღვია, მოვალეა ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს თითოეულ მზღვეველს. შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს ყველა მზღვეველის ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა.

3. თუ მოცემული ინტერესი ერთი და იმავე რისკისაგან რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული და სადაზღვევო თანხები ჯამში სადაზღვევო ღირებულებას აჭარბებენ, ან თუ სხვა მიზეზების გამო საზღაურთა ჯამში, რომელიც თითოეული მზღვეველის მიერ სხვა ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში გადახდილი იქნებოდა, აჭარბებს მთელ ზიანს (ორმაგი დაზღვევა), მაშინ მზღვეველები მოვალენი არიან დამზღვევის წინაშე – როგორც სოლიდარული მოვალეები – იმ თანხების ფარგლებში, რაც მათ დამზღვევთან დადებული ხელშეკრულებით აქვთ გაფორმებული, მაგრამ დამზღვევს არა აქვს უფლება მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

ამ დროს სადაზღვევო საზღაური გამოიანგარიშება პროპორციული სისტემის მიხედვით.

მაგალითი:

არლიამ ხანძრისაგან დააზღვია აგარაკი, რომლის სადაზღვევო ღირებულება 4.000 ლარია; სადაზღვევო თანხა განისაზღვრა 2.800 ლარის ოდენობით. მხარეები შეთანხმდნენ „პროპორციული სისტემის“

მიხედვით სადაზღვევო საზღაურის გაცემაზე. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არასრულ დაზღვევასთან. ხანძრის შედეგად დაიწვა არდიას აგარაკი და მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 2.000 ლარი. არდიასათვის მისაცემი სადაზღვევო საზღაური „პროპორციული სისტემის“ მიხედვით გამოანგარიშებული უნდა იქნეს შემდეგნაირად: ვინაიდან სადაზღვევო თანხა 2.800 ლარი წარმოადგენდა აგარაკის სადაზღვევო შეფასების – 4.000 ლარის 70%-ს, ამიტომ სადაზღვევო საზღაური გაცემული უნდა იქნეს მიყენებული ზიანის – 2.000 ლარის 70%-ი, რაც შეადგენს 1.400 ლარს.

დამზღვევს უფლება აქვს თავისი ქონება ერთდროულად დააზღვიოს რამდენიმე სადაზღვევო კომპანიაში, მაგრამ ამ დროს 827-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნაა, რომ „დამზღვევს უფლება აქვს თავისი ქონება დააზღვიოს როგორც ნებაყოფლობით, ისე სავალდებულო დაზღვევის ფორმითაც, თუ კანონი ითვალისწინებს მოცემული სახისათვის სავალდებულო დაზღვევას.

მაგალითი:

ელიაურმა თავისი აგარაკი ხანძრისაგან დააზღვია სააქციო საზოგადოება „ალავერდში“ 30.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ცოტა მოგვიანებით მან იგივე აგარაკი იმავე რისკისაგან დააზღვია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სადაზღვევო კომპანია „კერაში“, აქ დამზღვევმა აღნიშნა, რომ აგარაკი ხანძრისაგან უკვე დაზღვეული აქვს „ალავერდში“ 30.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში. ელიაურმა იმავდროულად შეატყობინა სადაზღვევო კომპანია „ალავერდს“, რომ აგარაკი დააზღვია სხვა მზღვეველთან „კერა“-სთან 10.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

827-ე მუხლით დამზღვევს იმიტომ ეკისრება თითოეული მზღვეველისათვის შეტყობინების ვალდებულება, რომ ასეთ შემთხვევაში არ მოხდეს გადაჭარბებული დაზღვევა.

ორ ან რამდენიმე მზღვეველთან ერთი და იმავე რისკის დაზღვე-

ვისას თუ დადგა სადაზღვევო შემთხვევა, დამზღვევის წინაშე სადაზღვევო საზღაურის გაცემის მოვალეობა მზღვეველებს ეკისრებათ სოლიდარულად ე.ი. გასაცემი სადაზღვევო საზღაური მათ თანაბრად უნდა გადაუხადონ დამზღვევს, მაგრამ თითოეული მზღვეველისათვის დაკისრებული სადაზღვევო საზღაური არ უნდა აღემატებოდეს იმ სადაზღვევო თანხას, რაც გათვალისწინებულია მასთან გაფორმებული კონკრეტული დაზღვევის ხელშეკრულებით.

მაგალითი:

ელიაურის აგარაკის სადაზღვევო ღირებულებაა 35.000 ლარი. მან ეს აგარაკი დააზღვია სადაზღვევო კომპანია „ალავერდში“ 30.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ხოლო კომპანია „კერაში“ დაზღვეული იქნა 15.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში. ჯამში სადაზღვევო თანხა შეადგენს 45.000 ლარს, რაც 10.000 ლარით აჭარბებს სადაზღვევო ღირებულებას. გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანდა ელიაურის აგარაკი და მიყენებული ზიანი განისაზღვრა 15.000 ლარის ოდენობით. თითოეულმა სადაზღვევო კომპანიამ სადაზღვევო საზღაური თანაბრად უნდა გასცეს, რომელიც ჯამში რეალურ ზიანზე 15.000 ლარზე მეტი არ უნდა იყოს და ამასთან თითოეული მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაური არ უნდა აღემატებოდეს იმ სადაზღვევო თანხას, რომლის ფარგლებშიც დაზღვეულია ელიაურის აგარაკი, კერძოდ, „ალავერდის“ მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაური არ უნდა აღემატებოდეს 30.000 ლარს, ხოლო „კერას“ მიერ გაცემული საზღაური კი 15.000 ლარს.

მუხლი 828. ორმაგი დაზღვევის ბათილობა

თუ დამზღვევმა გააფორმა ორმაგი დაზღვევა მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზნით, მაშინ თითოეული ხელშეკრულება, რომელიც ამ მიზნით არის დადებული, ჩაითვლება ბათილად.

მაგალითი:

ელიაურმა, თავისი აგარაკი როცა დააზღვია კომპანია „ალავერდში“, მას არ ჰქონია მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზანი; ხოლო კომპანია „კერაში“ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისას 15.000 ლარი სადაზღვევო თანხის ფარგლებში, აშკარად გამიზნული ჰქონდა ასეთი შემოსავლის მიღება. 828-ე მუხლის თანახმად, ბათილად უნდა იქნეს ელიაურის და სადაზღვევო კომპანია „კერა“-ს შორის გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულება, სადაზღვევო კომპანია „ალავერდთან“ დადებული დაზღვევის ხელშეკრულება კი დარჩება ძალაში.

მუსლი 829. დაზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

სამოქალაქო კოდექსით აკრძალულია დაზღვევის გამოყენება არა მარტო მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მისაღებად, ასევე, არ ანაზღაურდება დამზღვევის ბრალით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევა.

მაგალითი:

ჩოფიკაშვილმა დააზღვია თავისი სამოქალაქო ჰასუნისძეებლობა მსუბუქი ავტომანქანის ექსპლოატაციის შედეგად მიყენებული ზიანისაგან. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ჩოფიკაშვილი დაეჯახა ოდიშვილს, რომელმაც მიიღო ფეხის მოტეხილობა. ოდიშვილის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაზე სადაზღვევო კომპანიამ განაცხადა უარი, რადგან დამზღვევი ნასვამ მდგომარეობაში მართავდა ავტომობილს.

მუსლი მზო. მზღვეველის მითითების შესრულების პროკალოება

1. დამზღვევი მოვალეა დამზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას შემძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს ან შეამციროს ზიანი და ამასთან დაკავშირებით შეასრულოს მზღვეველის მითითებები.

2. მზღვეველი მოვალეა აანაზღაუროს ის ხარჯები, რომლებიც მისი მითითებით იქნა გაღებული.

დაზღვევის ხელშეკრულებით აუცილებლად უნდა დაეკისროს დამზღვევს ზემოხსენებული მოვალეობა, რადგან მას არა აქვს უფლება გულგრილად უყუროს თავისი ქონების დაწვას, ნგრევას და სხვა სადაზღვევო შემთხვევის დადგომას იმ იმედით, რომ ქონება დაზღვეული აქვს და სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებულ ზიანს მზღვეველი მაინც აუნაზღაურებს.

ზოგჯერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თავიდან აცილები-სათვის დამზღვევის მიერ გაწეული ხარჯები უშედეგოა; პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მზღვეველის მიერ ანაზღაურებული ასეთი ხარჯები და გაცემული სადაზღვევო საზღაური ჯამში გაცილებით მეტია სადაზღვევო თანხაზე, მაგრამ, ზემოაღნიშნული შემთხვევების მიუხედავად, მზღვეველმა მაინც უნდა აანაზღაუროს ყველა ის ხარჯი, რომელიც მისი მითითებით იქნა გაღებული.

მაგალითი:

ღუღუშაურმა დააზღვია თავისი 200 სული ცხვარი. ცხერის ფარაში გაჩნდა ეპიდემია და 50 ცხვარი დაიღუპა. ამის შესახებ დამზღვევმა დაუყოვნებლივ აცნობა სადაზღვევო კომპანიას, ამ უკანასკნელმა დაავალა ღუღუშაურს ცხვარი აეცრა ეპიდემიის საწინააღმდეგო ვაქცინით და ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს აუნაზღაურებდა. დამზღვევმა შეასრულა ეს მითითება, აცრებთან დაკავშირებით გაიღო 400 ლარი, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო და

მთელი ცხვრის ფარა ამოწყდა. სადაზღვევო კომპანიამ გასცა როგორც სადაზღვევო საზღაური, ისე აცრებისათვის დაზარალებული 400 ლარი.

მუხლი 831. ომით ან სხვა დაუძლეველი ძალით გამოწვეული ზიანის დაზღვევა

მზღვეველი ომით და სხვა დაუძლეველი ძალით გამოწვეული ზიანისათვის მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, თუ ეს გათვალისწინებულია სპეციალური შეთანხმებით.

როგორც უკვე აღვნიშნე, დაზღვევის ხელშეკრულებაში ყოველთვის კონკრეტულად და გარკვევით უნდა იქნეს მითითებული სადაზღვევო შემთხვევა. დაუძლეველი ძალა წარმოადგენს საგანგებო მოვლენას ან შემთხვევას, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან აცილება შეუძლებელია.

დაუძლეველ ძალას სახელშეკრულებო სამართალში უწოდებენ „ფორსმაჟორს“, რომელიც ფრანგული წარმოშობის სიტყვაა. ცნობილია, რომ სამოქალაქო სამართალი ათავისუფლებს პირს დაუძლეველი ძალის ვითარებაში მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან. დაუძლეველი ძალა შეიძლება იყოს ისეთი სტიქიური უბედურება, როგორცაა მიწისძვრა, წყალდიდობა, ეპიდემია და ა.შ. დაუძლეველი ძალა შეიძლება იყოს საზოგადოებრივი მოვლენაც, მაგალითად, საომარი მოქმედება. ვინაიდან დაუძლეველი ძალის პირობებში მიყენებული ზიანისათვის როგორც წესი, შეუძლებელია კონკრეტულ პირს ქონებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს, ამ დროს დაზღვევა წარმოადგენს ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას, რომელმაც შეიძლება უზრუნველყოს მიწისძვრის, ეპიდემიის ან სამხედრო მოქმედების შედეგად დაზარალებული პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მაგრამ ამისათვის დაცული უნდა იქნეს კანონის მოთხოვნა, რომ დაზღვევის ხელშეკრულებით კონკრეტული სახის დაუძლეველი ძალის დადგომისას მზღვეველს ეკისრება სადაზღვევო საზღაურის გაცემის მოვალეობა.

მაგალითი:

სოხუმში მცხოვრებმა ელიავამ თავისი საცხოვრებელი სადგომი დააზღვია 1992 წელს მიწისძვრისაგან ხუთი წლის ვადით. 1994 წლის სექტემბერში საომარი მოქმედებების შედეგად დაინგრა მისი საცხოვრებელი სადგომი. დამზღვევმა ამის თაობაზე შეატყობინა სადაზღვევო კომპანიას და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მზღვეველმა უარი განუცხადა სადაზღვევო საზღაურის გაცემაზე, ვინაიდან ელიავას საომარი მოქმედებისაგან არ ჰქონდა თავისი ქონება დაზღვეული, ხოლო დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სადაზღვევო შემთხვევას – მიწისძვრას კი არ გამოუწვევია მისი საცხოვრებელი სადგომის დანგრევა.

იმ შემთხვევაში, როცა პირს არა აქვს დაზღვეული თავისი ქონება, სიცოცხლე ან ჯანმრთელობა და სხვა პირის არამართლზომიერი ქმედებით მიადგა ზიანი, სამოქალაქო კოდექსის 992–1016-ე მუხლების საფუძველზე შეუძლია სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს ზიანის მიმყენებლისაგან მისი ანაზღაურება, მაგრამ, თუ პირის ქონებრივი ინტერესი დაზღვეულია, სადაზღვევო შემთხვევით მიყენებულ ზიანს უნაზღაურებს სადაზღვევო კომპანია და არა ზიანის მიმყენებელი მესამე პირი; ამ დროს მზღვეველზე გადადის დამზღვევის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მესამე პირის მიმართ.

მუხლი 832. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან

1. თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს. თუ დამზღვევი უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორ-

ციულებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით.

2. თუ დამზღვევის უფლება ზიანის ანაზღაურების თაობაზე ეხება მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს, მაშინ უფლების გადასვლა გამორიცხვულია, როცა ოჯახის წევრმა ზიანი განზრახ გამოიწვია.

832-ე მუხლი პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნის უფლების ასეთი გადასვლა ცნობილია „სუროგატის“ პრინციპის სახით.

მაგალითი:

კორძაძემ თავისი მსუბუქი ავტომანქანა „მერსედესი“ დააზღვია ავტოსაგზაო შემთხვევისაგან სადაზღვევო კომპანია „ალავერდში“. მუსურიძე გადაჭარბებული სიჩქარით მიდიოდა და ავტომანქანა „ნივა“ დააჯახა კორძაძის „მერსედესს“, რომელიც მნიშვნელოვნად დაზიანდა და დამზღვევმა განიცადა 15.000 ლარის ზიანი. აღნიშნულის თაობაზე კორძაძემ დაუყოვნებლივ განაცხადა სადაზღვევო კომპანიაში. სადაზღვევო კომპანიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მუსურიძის მიმართ და მოითხოვა კორძაძისათვის მიყენებული 15.000 ლარის ზიანის ანაზღაურება. მზღვეველმა ამისათვის გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 375 ლარი. კორძაძემ სადაზღვევო კომპანიას განუცხადა, რომ კატეგორიული წინააღმდეგია მუსურიძისაგან მიიღოს 15.000 ლარი, ვინაიდან დამზღვევი და მუსურიძე თანამშრომლები არიან, რადგან კორძაძემ უარი განაცხადა მუსურიძისათვის 15.000 ლარის დაკისრების მოთხოვნის განხორციელებაზე. სადაზღვევო კომპანია „ალავერდმა“ კორძაძისათვის მისაცემ სადაზღვევო საზღაურს გამოაკლო 375 ლარი, რომელიც გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის სახით სარჩელის აღძვრისათვის.

832-ე მუხლის მეორე ნაწილით მოწესრიგებულია ისეთი შემთხვევაც, როცა დამზღვევს ზიანი მიაყენა ოჯახის წევრმა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნო, რომ დამზღვევის მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში არ გადაეცემა მზღვეველს, თუ ოჯახის წევრმა ზიანი განზრახ კი არ გამოიწვია, არამედ გაუფრთხილებლობით. ამიტომ ამ ნორმის ბოლო წინადადება შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: „ — როცა

ოჯახის წევრმა ზიანი განზრახ არ გამოიწვია“ ამრიგად, თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგა დამზღვევის ოჯახის წევრის არაბრალეული ქმედებით, მზღვეველმა სადაზღვევო საზღაური აუცილებლად უნდა მისცეს დამზღვევს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სადაზღვევო კომპანიას არა აქვს უფლება ამ დროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წაუყენოს დამზღვევის ოჯახის წევრს.

მაგალითი:

რეზო შალიკიანმა დააზღვია თავისი ავტომანქანა. ოჯახში მცხოვრები მისი ძმა შალვა შალიკიანი ნასვამ მდგომარეობაში მართავდა კუთვნილ ავტომანქანას, დაეჯახა დამზღვევის ავტომანქანას და დააზიანა. სადაზღვევო კომპანიამ სადაზღვევო საზღაური გადაუხადა რეზო შალიკიანს, მაგრამ შალვა შალიკიანის მიმართ არ აღძრა სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მუსლი მკვ. დაზღვეული ქონების გასხვივების შედეგები

თუ დაზღვეული ქონება გასხვივდა, მაშინ დამზღვევის უფლებები და მოვალეობები გადადის შემძენზე.

ამდენად, დაზღვეული ქონების განკარგვა ავტომატურად არ იწვევს დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტას, პირიქით, ქონების აღრინდელი მესაკუთრის ადგილს ხელშეკრულებაში იკავებს შემძენი და ის აგრძელებს სადაზღვევო ურთიერთობას.

მაგალითი:

ელიაურს თავისი აგარაკი დაზღვეული აქვს 10 წლის ვადით. დაზღვევის მეშვიდე წელს მან აგარაკი მიყიდა ოჩიაურს, რომლისთვისაც ცნობილი იყო აგარაკის დაზღვევის თაობაზე. დარჩენილი სამი წლის განმავლობაში ოჩიაურზე გადავიდა დამზღვევის ყველა უფლება-მოვალეობა.

მუხლი 834. შეტყობინების ვალდებულება დაზღვეული ქონების გასხვისებისას

მზღვეველს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაზღვეული ქონების გასხვისების შესახებ. თუ შემძენმა ან გამსხვისებელმა აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ არ შეატყობინა მზღვეველს, მაშინ იგი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუკი სადაზღვევო შემთხვევა დადგა ორი კვირის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა მზღვეველს შეტყობინება მიღებული უნდა ჰქონოდა.

ვინაიდან დაზღვეული ქონების გასხვისებისას ხელშეკრულებაში დამზღვევის მხარეზე ახალი პირი შემოდის და 833-ე მუხლი უშვებს უფლებამონაცვლებას ახალი შემძენის მიმართ, ამისათვის საჭიროა მზღვეველის თანხმობა ახალ დამზღვევთან სადაზღვევო ურთიერთობის გაგრძელებისათვის. 834-ე მუხლში არ არის აღნიშნული კონკრეტული ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა ეცნობოს სადაზღვევო კომპანიას დაზღვეული ქონების გასხვისების შესახებ, მითითებულია მხოლოდ, რომ ასეთი შეტყობინება დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს, მაგრამ იმავე მუხლის ბოლო წინადადებით უკვე განსაზღვრულია კონკრეტული ორი კვირა, რომლის შემდეგაც მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან. ამ ვადის ათვლა კი იწყება იმ მომენტიდან, როცა მზღვეველს დაზღვეული ქონების განკარგვის თაობაზე შეტყობინება მიღებული უნდა ჰქონოდა.

მაგალითი:

ეგაძემ დააზღვია ავტომანქანა „ნივა“ ხუთი წლით. დაზღვევის ხელშეკრულებაში მხარეებმა მიუთითეს, რომ ავტომანქანის გასხვისების შემთხვევაში ეგაძემ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მეორე დღესვე უნდა აცნობოს მზღვეველს.

მუხლი 835. დაზღვევის შეწყვეტა ქონების გასხვისებისას

1. მზღვეველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოშლის ერთ-თვიანი ვადის დაცვით შეწყვიტოს სადაზღვევო ურთიერთობა შემძენთან. ხელშეკრულების მოშლის უფლება ძალას კარგავს, თუ მზღვეველმა არ ისარგებლა ამით ერთი თვის მანძილზე იმ მომენტიდან, როცა მან შეიტყო ქონების გასხვისების შესახებ.

2. შემძენს უფლება აქვს მოშალოს დაზღვევის ხელშეკრულება; მოშლა შეუძლია მას მხოლოდ დაუყოვნებლივ ან დაზღვევის მიმდინარე პერიოდის დამთავრებისათვის. მოშლის უფლება ქარწყლდება, თუ შემძენი შეძენიდან ერთი თვის ვადაში არ ისარგებლებს ამ უფლებით, ხოლო, თუ შემძენისათვის ცნობილი არ იყო დაზღვევის შესახებ, მაშინ მოშლის უფლება ძალაშია ერთი თვის გასვლამდე იმ მომენტიდან, როცა შემძენმა შეიტყო სადაზღვევო ურთიერთობის შესახებ.

3. თუ დაზღვევის ხელშეკრულება მოიშალა ამ წესების საფუძველზე, მაშინ გამსხვისებელი მოვალეა მზღვეველს გადაუხადოს სადაზღვევო შესატანი, მაგრამ არა იმაზე მეტი, რაც დაზღვევის პერიოდში უნდა გადაეხადა, ხელშეკრულების მოშლის მომენტის ჩათვლით. ამ შემთხვევაში შემძენი პასუხს არ აგებს სადაზღვევო შესატანის გადახდაზე.

დაზღვეული ქონების გასხვისებამ შეიძლება გამოიწვიოს ამ ხელშეკრულების შეწყვეტაც, თუ მზღვეველი ან შემძენი უარს იტყვიან დაზღვევაზე.

მაგალითი:

ეგაძემ დაზღვეული ავტომანქანა 27 იანვარს მიყიდა რთველაძეს, დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, მან ამის თაობაზე სადაზღვევო კომპანიას აცნობა 28 იანვარს. მზღვეველმა მხოლოდ 15 აპრილს განუცხადა რთველაძეს დაზღვევის შეწყვეტის შესახებ იმ საფუძველით, რომ მას არ სურდა ახალ დამზღვევთან ურთიერთო-

ბის გაგრძელება. ვინაიდან გასული იყო გასხვისების შეტყობინებიდან ერთ თვეზე მეტი დრო, სადაზღვევო კომპანიას ზემოაღნიშნული საფუძვლით არ ჰქონდა დაზღვევის შეწყვეტის უფლება.

სადაზღვევო ურთიერთობის გაგრძელებაზე უარის თქმის უფლება გააჩნია, ასევე, ქონების შემძენსაც.

აღნიშნული ნორმა შემძენს უფლებას აძლევს ქონების შეძენისთანავე უარი განაცხადოს სადაზღვევო ურთიერთობაში მონაწილეობაზე, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისთანავე უარი უთხრას გამყიდველს ნაყიდი ნივთის დაზღვევის გაგრძელებაზე.

მაგალითი:

ბაზლაძემ დაზღვეული აგარაკი იყიდა ზულიაშვილისაგან 30 ივნისს. ბაზლაძემ 15 ივლისს შეატყობინა სადაზღვევო კომპანიას, რომ არ სურს აგარაკის დაზღვევა, მაგრამ დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა მოითხოვა 31 დეკემბერს. რადგან დაზღვევის მიმდინარე პერიოდი მთავრდება 31 დეკემბერს ე.ი. ახალი წლიდან უარი განაცხადა აგარაკის დაზღვევის ხელშეკრულებაზე.

835-ე მუხლის მეორე ნაწილი არეგულირებს ისეთ შემთხვევებსაც, როცა შემძენმა ქონების შეძენისას არ იცოდა დაზღვევის შესახებ და მხოლოდ შემდეგ გახდა მისთვის ცნობილი, მაგალითად, როცა სადაზღვევო კომპანიამ მოითხოვა სადაზღვევო პრემიის გადახდა, მაშინ შეიტყო ქონების ახალმა მესაკუთრემ შეძენილი ქონების დაზღვევის თაობაზე; თუ მას არ სურს ქონების დაზღვევა, ამ დროს შემძენს უფლება აქვს უარი თქვას დაზღვევაზე მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა გაიგო დაზღვევის შესახებ.

მაგალითი:

გრიგალაშვილმა აგარაკი შეიძინა გოგოლაძისაგან 15 მაისს. მყიდველმა არ იცოდა, დაზღვეული იყო თუ არა აგარაკი. გრიგალაშვილს 1 სექტემბერს მიაკითხა დაზღვევის აგენტმა და მოითხ-

ოვა დაზღვევის პრემიის გადახდა, სწორედ ამ დღეს შეიტყო მან დაზღვევის შესახებ, მზღვეველს მან უარი განუცხადა დაზღვევის გაგრძელებაზე.

სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს, ასევე, დაზღვეული ქონების გასხვისების გამო ხელშეკრულების მოშლის შედეგებსაც.

მაგალითი:

ვაშაყმაძეს დაზღვეული ჰქონდა მსუბუქი ავტომანქანა „მერსედესი“, რომელიც მიყიდა შანიძეს 17 სექტემბერს. ვაშაყმაძეს სადაზღვევო პრემია უნდა გადაეხადა 30 ოქტომბრისათვის 180 ლარის ოდენობით. შანიძემ მზღვეველს აცნობა მანქანის გასხვისების შესახებ 30 სექტემბერს, მზღვეველმა უარი განაცხადა ხელშეკრულების შემდგომ გაგრძელებაზე შემქნთან და ხელშეკრულების მოშლის ერთთვიანი ვადის დაცვით დაზღვევა შეწყდა 30 ოქტომბერს. ხელშეკრულების შეწყვეტამდე მზღვეველმა მოითხოვა, ვაშაყმაძეს გადაეხადა შეპირებული სადაზღვევო პრემია 180 ლარი, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განუცხადა. ამის გამო სადაზღვევო კომპანიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ვაშაყმაძის მიმართ სადაზღვევო შესატანის 180 ლარის გადახდის მოთხოვნით. სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 835-ე მუხლის მესამე ნაწილი და ვაშაყმაძეს დააკისრა მზღვეველის სასარგებლოდ 180 ლარი.

ბ. დაზღვევა სხვა პირის სასარგებლოდ

მუხლი 836. დაზღვევის ხელშეკრულების დადება სხვა პირის სასარგებლოდ

დამზღვევს შეუძლია მზღვეველთან დადოს დაზღვევის ხელშეკრულება თავისი სახელით სხვა პირის სასარგებლოდ. ამ პირის დასახელება სავალდებულო არ არის.

დაზღვევის ხელშეკრულება დამზღვევემა შეიძლება გააფორმოს სადაზღვევო კომპანიასთან თავისი სახელით, მაგრამ იმ პირობით, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად სადაზღვევო საზღაურს მის ნაცვლად მიიღებს სხვა პირი. ასეთი დაზღვევა წარმოადგენს სხვა პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას. სხვა პირის სასარგებლოდ დაზღვევის ხელშეკრულებას აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსის 836–838-ე მუხლები. ამდენად, დაზღვევის ხელშეკრულებაში უნდა განვასხვაოთ დამზღვევი და სხვა პირი, რომელსაც დაზღვეულს უწოდებენ. დაზღვეული არ არის დაზღვევის ხელშეკრულების დამოუკიდებელი მხარე. სხვა პირის სასარგებლოდ დაზღვევის გაფორმება ხდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის, მაგრამ დამზღვევის მხარეზე მონაწილეობს დაზღვეული. ისევე როგორც დამზღვევი, დაზღვეულიც (სარგებლის მიმღები, ბენეფიციარი) შეიძლება იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერი მონაწილე. დაზღვეულის (სხვა პირის) სამართლებრივ მდგომარეობას აწესრიგებს არა მარტო სამოქალაქო კოდექსის 836–838-ე მუხლები, არამედ ვალდებულების ზოგადი ნაწილის 349–351-ე მუხლებიც, რომლებიც ეხება მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას. სადაზღვევო ურთიერთობაში დაზღვეული მონაწილეობს მხოლოდ და მხოლოდ დამზღვევის ნებით და ინიციატივით. დამზღვევის მიერ ხელშეკრულებით დათქმული ყველა უფლება სხვა პირის სასარგებლოდ გადაეცემა დაზღვეულს.

მუხლი 837. სხვა პირის უფლებები დაზღვევის ხელშეკრულებაში

1. სხვა პირის სასარგებლოდ დაზღვევისას ის უფლებები, რომლებიც წარმოიშობა ამ ხელშეკრულებიდან, ეკუთვნის ამ პირს. სადაზღვევო მოწმობის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ დამზღვევს.
2. დაზღვეულ პირს შეუძლია ისარგებლოს თავისი უფლებე-

ბით დამზღვევთან შეთანხმების გარეშე და თავისი უფლებების განხორციელება მოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით მხოლოდ მაშინ, თუ სადაზღვევო მოწმობა მის ხელთაა.

დაზღვეულს დაზღვევის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების უშუალოდ გამოყენება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი მას გადასცემს სადაზღვევო მოწმობას.

მუხლი 838. დამზღვევის უფლებები

1. დამზღვევს საკუთარი სახელით შეუძლია ისარგებლოს იმ უფლებებით, რომლებიც დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად ეკუთვნის დაზღვეულ პირს.

2. თუ გაცემულია სადაზღვევო მოწმობა, მაშინ დამზღვევს შეუძლია მიიღოს საზღაური დაზღვეული პირის თანხმობის გარეშე ან გადასცეს უფლება დაზღვეულ პირს მხოლოდ მაშინ, თუ დამზღვევი ფლობს სადაზღვევო მოწმობას.

3. მზღვეველი მხოლოდ მაშინ არის ვალდებული გადაუხადოს დამზღვევს დაზღვეულის სასარგებლოდ, თუ დამზღვევი დაამტკიცებს, რომ დაზღვეული პირი ეთანხმებოდა დაზღვევის ხელშეკრულებას.

დამზღვევმა შეიძლება დაზღვევის ხელშეკრულება დადოს სხვა პირის სასარგებლოდ, მაგრამ ეს მას არ ართმევს უფლებას საკუთარი სახელით (თვითონ) ისარგებლოს იმ უფლებებით, რომელიც მიანიჭა დაზღვეულს დაზღვევის ხელშეკრულებით.

სხვა პირის სასარგებლოდ დადებულ დაზღვევაში დამზღვევის და დაზღვეული პირის უფლებების განხორციელება ძირითადად დამოკიდებულია სადაზღვევო მოწმობის ფლობაზე. თუ სადაზღვევო მოწმობას ფლობს დაზღვეული პირი, როგორც უკვე აღვნიშნე, მას დამოუკიდებლად შეუძლია ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლე-

ბებით. ამდენად, სხვა პირის სასარგებლოდ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება არ არის საკმარისი დაზღვეულის უფლებების რეალიზაციისათვის, ამის რეალურ საფუძველს მხოლოდ დაზღვევის მოწმობის გადაცემა წარმოადგენს.

სამოქალაქო კოდექსი სხვა პირის სასარგებლოდ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისას ასეთი პირის თანხმობას საჭიროდ არ მიიჩნევს. პირიქით, 836-ე მუხლი მიუთითებს, რომ ხელშეკრულებაში ამ პირის დასახელება სავალდებულო არ არის, მაგრამ სადაზღვევო საზღაურის გაცემისას კი აუცილებელია დაზღვეული პირის ნება და თანხმობა. ამდენად, ამ დროს მტკიცების ტვირთი აკისრია დამზღვევეს, რომელმაც უნდა ამტკიცოს, რომ მესამე პირი არ იყო წინააღმდეგი მის სასარგებლოდ გაფორმებულიყო დაზღვევა.

გ. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

მუხლი 839. ცნება

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით, მზღვეველი მოვალეა გაათავისუფლოს დამზღვევეი იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო.

ზიანის დაზღვევის ხელშეკრულების ობიექტი შეიძლება იყოს არა მარტო დამზღვევეის ქონება, არამედ დამზღვევეის სამოქალაქო პასუხისმგებლობაც. სადაზღვევო შემთხვევა შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო გარეშე ობიექტურმა, ბუნებრივმა ძალებმა, არამედ დამზღვევეის არამართლზომიერმა ბრალეულმა მოქმედებამაც, რისთვისაც მას დაეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა. თუ ზიანის მიმყენებელ პირს დაზღვეული აქვს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, დაზარალებულს (მესამე პირს) მიყენებული ზიანი უნდა აუნაზღაუროს არა ამ პირმა, არამედ იმ სადაზღვევო კომპა-

ნიათ, სადაც დამზღვევმა დააზღვია თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

დაზღვევის მოცემული სახის მიზანია, ერთის მხრივ, გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირისათვის (დაზარალებულისათვის) ზიანის მიყენების გამო, მეორეს მხრივ, უზრუნველყოს თვით მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც დაზარალებულის ქონების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის საიმედო გარანტიას წარმოადგენს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა უნდა განვასხვაოთ სხვა პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულებისაგან.

მართალია, ორივე სახის დაზღვევა მესამე პირისათვის (სხვა პირისათვის) სადაზღვევო საზღაურის გაცემას ითვალისწინებს, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს სარგებლის მიმღებს წარმოადგენს ისეთი მესამე პირი, რომელსაც ზიანი მიაყენა დამზღვევმა ე.ი. აქ სადაზღვევო საზღაური ეძლევა მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულ პირს.

განასხვავებენ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შემდეგ სახეებს: ავტომობილტრანსპორტის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას; ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას, ადვოკატის, ექიმის, არქიტექტორის და სხვა პროფესიის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას, მომეტებული საფრთხის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევასა და ა.შ. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეების ამომწურავად ჩამოთვლა შეუძლებელია, ვინაიდან მოცემული დაზღვევის ყოველი კონკრეტული სახეობა დაკავშირებულია დამზღვევის მოქმედებით გამოწვეული დელიქტის სახეობაზე. ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 839-843-ე მუხლები აწესრიგებენ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ყველა სახეობისათვის დამახასიათებელ ძირითად დებულებებს. თუ დაზარალებულმა იცის, რომ ზიანის მიმყენებელს დაზღვეული აქვს სამოქალაქო პასუხისმგე-

ბლობა, მას უფლება აქვს უშუალოდ სადაზღვევო კომპანიას წარუდგინოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

მუხლი 840. ზიანის უშუალოდ ანაზღაურების მოთხოვნა

მზღვეველი თავისი ვალდებულებების ფარგლებში მოვალეა უშუალოდ აანაზღაუროს ზიანი, თუ პირი, რომელსაც ზიანი მიადგა, მას წარუდგენს მოთხოვნას.

მაგალითი:

ვაჩნაძემ, როგორც ავტომანქანის მესაკუთრემ, დააზღვია თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა სადაზღვევო კომპანია „თბილისში“. დამზღვევეი ავტომანქანის ექსპლუატაციის დროს დაეჯახა კვესელავას ავტომანქანას და მიაყენა ზიანი. კვესელავამ შეიტყო, რომ ვაჩნაძეს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაზღვეული ჰქონია სადაზღვევო კომპანია „თბილისში“. მან პირდაპირ მიაკითხა სადაზღვევო კომპანიას და მოითხოვა ვაჩნაძის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 841. სასამართლო და არასასამართლო ხარჯები

დაზღვევა მოიცავს სასამართლო და არასასამართლო ხარჯებსაც, რომლებიც მესამე პირის მოთხოვნისაგან დასაცავად იქნა გაწეული, თუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებელია ასეთი ხარჯების გაწევა.

როცა დაზარალებული პირი სარჩელით მიმართავს სასამართლოს ზიანის მიმყენებლის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და ზიანის მიმყენებელს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაზღვეული აქვს, პროცესის ხარჯებსაც დამზღვევი ანაზღაურებს.

მაგალითი:

კვესელავამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ვაჩნაძის მიმართ ავტოსაგზაო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. მან გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 60 ლარი, აიყვანა ადვოკატი პროცესზე თავისი ინტერესების დასაცავად და გადაუხადა 130 ლარი, სასამართლომ დააკისრა ვაჩნაძეს კვესელავას სასარგებლოდ 2.000 ლარის გადახდა, ასევე, გადახდილი სახელმწიფო ბაჟისა და ადვოკატის ხარჯების გადახდა. ეს თანხები ანაზღაურებული იქნა სადაზღვევო კომპანიის მიერ.

**მუხლი 842. მზღვეველის განთავისუფლება
პასუხისმგებლობისაგან**

მზღვეველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დამზღვევმა შეგნებულად გამოიწვია იმ გარემოების წარმოშობა, რისთვისაც მას ეკისრება პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე.

მაგალითი:

ოთიურიძემ კუთვნილი ავტომანქანა დააზღვია ავტოსაგზაო შემთხვევისაგან. მისმა მეგობარმა პავლიაშვილმა კი დააზღვია თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, როგორც სატრანსპორტო საშუალების მფლობელმა 3.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში. პავლიაშვილმა და ოთიურიძემ მოილაპარაკეს, რომ პავლიაშვილი მსუბუქი შეჯახებით დააზიანებდა ოთიურიძის ავტომანქანას, რომელსაც უკვე ჰქონდა სერიოზული დაზიანებები; ოთიურიძე აღნიშნულის თაობაზე განაცხადებდა სადაზღვევო კომპანიაში და მიღებულ სადაზღვევო საზღაურს (თანხას) გაუყოფდა მას, პავლიაშვილი კი იმ თანხით თვითონ შეაკეთებდა მანქანას. მათ განაცხადებდნენ, რომ ოთიურიძის ავტომანქანის დაზიანებები არ შეიძლებოდა გამოეწვია პავლიაშვილის ავტომანქანის მსუბუქ შეჯახებას, აღნიშნული დაზიანებები უფრო დიდი ხნის იყო; შემდეგ გაირკვა,

რომ ოთიურიძე და პავლიაშვილი ახლო მეგობრები იყვნენ და სადაზღვევო კომპანიამ ჩათვალა, რომ დამზღვევმა სადაზღვევო შემთხვევა შეგნებულად გამოიწვია, რის გამოც უარი გამოუცხადა პავლიაშვილს სადაზღვევო საზღაურის მიცემაზე.

მუხლი 843. პასუხისმგებლობა სავალდებულო დაზღვევისას

1. თუ მზღვეველი მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფალია დამზღვევის წინაშე მოვალეობისაგან, მისი პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე ძალაშია სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. თუ მზღვეველი აკმაყოფილებს მესამე პირის მოთხოვნას, მაშინ მესამე პირის მოთხოვნა დამზღვევის მიმართ გადადის მზღვეველზე.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა შეიძლება განხორციელდეს როგორც ნებაყოფლობით, ისე სავალდებულო ფორმითაც. მართალია, სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს ნებაყოფლობით დაზღვევას, მაგრამ ზოგიერთი მუხლი უშუალოდ ეხება სავალდებულო დაზღვევასაც, მზღვეველი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამზღვევის წინაშე თავისი მოვალეობის შესრულებისაგან იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევმა ზიანი განზრახ მიაყენა, მაგალითად, ავტოტრანსპორტს მართავდა ალკოჰოლური, ტოქსიკური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში. მაგრამ, თუ დამზღვევის სამოქალაქო პასუხისმგებლობა სავალდებულო ფორმით არის დაზღვეული, მაშინ დაზარალებულ პირს მიყენებული ზიანი სადაზღვევო თანხის ფარგლებში უნდა აუნაზღაუროს სადაზღვევო კომპანიამ. მაგალითად, საქართველოს კანონის „ავტომობილოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ მე-17 მუხლის თანახმად, „მზღვეველს, რომელმაც დაზარალებულს აუნაზღაურა ზიანი,

უფლება აქვს მფლობელს რეგრესის წესით წაუყენოს მოთხოვნა მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში: ა) ზიანის განზრახ მიყენებისას; ბ) ავტომოტოტრანსპორტის ალკოჰოლური, ტოქსიკური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვისას; გ) მართვის უფლების გარეშე ავტომოტოტრანსპორტის მართვისას“.

მოთხოვნა რეგრესის წესით წარედგინებათ, აგრეთვე, პირებს, რომლებიც არაკანონიერად ფლობდნენ ავტომოტოტრანსპორტს, აგრეთვე, ტექნიკურ დათვალიერებაზე პასუხისმგებელ ორგანოს, თუ დადასტურდა ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების წესების დარღვევით გატარების ფაქტი. ამდენად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დროს ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილია დაზარალებული მესამე პირის დარღვეული უფლებების დაცვა, სადაზღვევო კომპანია მოვალეა ასეთ პირს აუნაზღაუროს ზიანი და შემდგომ კი რეგრესული სარჩელით შეუძლია მოითხოვოს დამზღვევისაგან გადახდილი თანხების დაბრუნება.

მაგალითი:

ცხაკაიამ, როგორც ავტომანქანის მფლობელმა, დააზღვია სამოქალაქო პასუხისმგებლობა სავალდებულო ფორმით. იგი ავტომანქანას ნასვამ მდგომარეობაში მართავდა, დიდი სიჩქარით მიდიოდა და დაეჯახა მოქალაქე მორბედაძეს, რომელსაც მიაყენა სხეულის დაზიანება. მორბედაძეს მკურნალობის ხარჯები აუნაზღაურა სადაზღვევო კომპანიამ; შემდეგ მზღვეველმა რეგრესული სარჩელით მიმართა სასამართლოს ცხაკაიას მიმართ და მოითხოვა მორბედაძეზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. სასამართლომ სწორად გამოიყენა „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ სავალდებულო დაზღვევის“ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი და დააკმაყოფილა მზღვეველის სარჩელი.

IV. სიცოცხლის დაზღვევა

მუხლი 844. ცნება

1. სიცოცხლის დაზღვევა შეიძლება ეხებოდეს დამზღვევს ან სხვა პირს.

2. თუ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია სხვა პირის სასარგებლოდ, მაშინ საჭიროა ამ პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა.

პირადი დაზღვევის სახეებია: ჯანმრთელობის დაზღვევა; სიცოცხლის დაზღვევა; უბედური შემთხვევის დაზღვევა.

პირადი დაზღვევა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 844-858-ე მუხლებით; „სამედიცინო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით (1997 წლის 18 მარტი), ასევე საქართველოს კანონით „პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ (1999 წლის 24 ივნისი).

ქონების დაზღვევისაგან განსხვავებით, პირადი დაზღვევის დროს დამზღვევს გააჩნია სპეციფიური, პირადი ინტერესი, კერძოდ, მიიღოს სადაზღვევო საზღაური ავადმყოფობის დროს, გარკვეული ასაკის მიღწევისას ან უბედური შემთხვევის დადგომისას, ან კიდევ დამზღვევის გარდაცვალების შემთხვევაში დაზღვეულმა პირმა მიიღოს სადაზღვევო საზღაური. სადაზღვევო ინტერესები მჭიდროდ არის დაკავშირებული დამზღვევის პიროვნებასთან, ამიტომ უწოდებენ მას პირად დაზღვევას. პირადი დაზღვევის დროს სადაზღვევო შემთხვევა ყოველთვის არ იწვევს დამზღვევისათვის რაიმე ზიანის მიყენებას, პირიქით, ასეთი შემთხვევის დადგომა თვით დამზღვევის ინტერესშია (მაგალითად, დაზღვევა გარკვეული ასაკის მიღწევისათვის, ქორწინების შემთხვევისათვის დაზღვევა).

პირადი დაზღვევის დროს სადაზღვევო საზღაური შეიძლება გაიცეს ნაწილ-ნაწილ, დროის გარკვეულ პერიოდში, რითაც უზრუნველყოფილია დამზღვევი. ამიტომაც, რომ პირადი დაზღვევის დროს

გაცემულ სადაზღვევო საზღაურს იმავდროულად უწოდებენ სა-
დაზღვევო უზრუნველყოფასაც.

მხოლოდ პირად დაზღვევას შეიძლება ჰქონდეს დაგროვებითი ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ დაზღვევის მეშვეობით უზრუნ-
ველყოფილი იქნება არა მარტო მიყენებული ზიანის ანაზღაურება,
არამედ დამზღვევისათვის მის მიერ დაზღვევის პერიოდში შეტანი-
ლი (გადახდილი) სადაზღვევო პრემიის გარკვეული პროცენტის
უკან დაბრუნება; ამდენად, პირადი დაზღვევის დროს დამზღვევი
გარკვეულ შემოსავალს იღებს მის მიერ გადახდილი სადაზღვევო
პრემიიდან. ამიტომაც, რომ პირადი დაზღვევის ხელშეკრულებებს
ყოფენ ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ სარისკო
ხელშეკრულებებს, ხოლო მეორე ჯგუფს კი დაგროვებითი ხასია-
თის ხელშეკრულებებს. სარისკო დაზღვევის ხელშეკრულებით სა-
დაზღვევო საზღაური გაიცემა მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევის
შედეგად; მაგალითად, სარისკო პირად დაზღვევას მიეკუთვნება
უბედური შემთხვევის დაზღვევა. თუ უბედური შემთხვევის დაზღვევის
ხელშეკრულებით დათქმული სიკვდილი, სხეულის დაზიანება ან
დამზღვევის ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა დადგება, მზღვევე-
ლი მოვალეა გასცეს სადაზღვევო საზღაური; ხოლო, თუ უბედური
შემთხვევა საერთოდ არ დადგა დაზღვევის პერიოდში, მაშინ მზღვევე-
ლი არ არის ვალდებული გასცეს სადაზღვევო საზღაური.

როგორც აღვნიშნე, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით
დამზღვევმა შეიძლება დააზღვიოს როგორც საკუთარი სიცოცხლე,
ისე სხვა პირის სიცოცხლაც.

მაგალითი:

შველიძემ დააზღვია თავისი მეგობრის ირემაძის სიცოცხლე,
მაგრამ სადაზღვევო კომპანიას არ მოუთხოვია ირემაძის წერილო-
ბითი თანხმობა მისი სიცოცხლის დაზღვევის თაობაზე. სამოქალაქო
კოდექსის 844-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე ირემაძის
სასარგებლოდ გაფორმებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება
ბათილია.

მუხლი 845. ხელშეკრულების დადებაზე უარის დაუშვებლობა

თუ დამზღვევი ხელშეკრულების დადებისას დაარღვევს თავის მოვალეობას ცნობების შეტყობინების თაობაზე, მზღვეველს არ შეუძლია ხელშეკრულებაზე უარი განაცხადოს, თუკი ხელშეკრულების დადების შემდეგ ხუთი წელი გავიდა. ხელშეკრულებაზე უარი დასაშვებია, თუ შეტყობინების მოვალეობა განზრახ არ შესრულდა.

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება როგორც წესი, ფორმდება ხანგრძლივი პერიოდისათვის. ეს ნორმა უზრუნველყოფს დაზღვევის ხელშეკრულების სტაბილურობას და მზღვეველს აღარ აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა, თუ ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ გასულია ხუთი წელი.

მუხლი 846. ხელშეკრულების მოშლა სადაზღვევო შესატანების პერიოდულად გადახდისას

თუ სადაზღვევო შესატანები პერიოდულად არის გადახდილი, მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო ურთიერთობა მოშალოს ნებისმიერ დროს, ოღონდ მიმდინარე სადაზღვევო პერიოდის დასრულებისათვის.

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის საფუძველი შეიძლება იყოს სადაზღვევო შესატანების დროულად გადაუხდელობა, როცა დამზღვევი სისტემატიურად არ იხდის პრემიას.

მუხლი 847. ანაზღაურების უფლების გადაცემა მესამე პირისათვის

1. დამზღვევს შეუძლია დაგროვებითი ხასიათის სიცოცხლის დაზღვევისას სარგებლის მიღების უფლება გადასცეს მესამე პირს, ასევე შეუძლია მესამე პირი შეცვალოს სხვა პირით, თუ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. მესამე პირს, რომელსაც აქვს სარგებლის მიღების უფლება, მისი განხორციელება შეუძლია მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად, თუ დამზღვევს სხვა მითითება არ გაუცია.

დაგროვებითი ხასიათის პირადი დაზღვევის დროს მზღვეველ ყოველთვის მოვალეა გასცეს საზღაური.

საყურადღებოა ისიც, რომ პირადი დაზღვევის ხელშეკრულებაში, რომელსაც დაგროვებითი ხასიათი აქვს, ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული სარისკო ელემენტი (სადაზღვევო შემთხვევა), წინააღმდეგ შემთხვევაში მას ვერ მივიჩნევთ დაზღვევის ხელშეკრულებად.

მაგალითი:

შველიძემ გააფორმა დაგროვებითი ხასიათის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება 10 წლის ვადით, 500.000 ლარის სადაზღვევო თანხის ფარგლებში. ამ ხელშეკრულებით სადაზღვევო შემთხვევად განსაზღვრულია შველიძის გარდაცვალება. დამზღვევს სადაზღვევო პრემია უნდა გადაეხადა სამ თვეში ერთხელ 150 ლარი. ათი წლის შემდეგ შველიძემ მიიღო სადაზღვევო კომპანიისაგან 500.000 ლარი, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება შველიძის მიერ ათი წლის განმავლობაში შეტანილი სადაზღვევო შესატანის საერთო ოდენობას; შველიძემ მზღვეველს სულ გადაუხადა 10 წლის განმავლობაში 6.000 ლარი სადაზღვევო შესატანის სახით.

თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგება პირადი დაგროვებითი ხასიათის დაზღვევის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, მზღვეველი ასევე მოვალეა გასცეს სადაზღვევო საზღაური შეთანხმებული სადაზღვევო თანხის ოდენობით.

მუხლი 848. არასათანადო მესამე პირი

1. თუ დაგროვებითი დაზღვევის შემთხვევაში მესამე პირის უფლებას არ შეესაბამება მზღვეველის მოვალეობა, მაშინ ეს უფლება რჩება დამზღვევს.

2. თუ დაგროვებითი დაზღვევის შემთხვევაში მესამე პირი არ იყენებს თავის უფლებას სარგებლის მიღებაზე, მაშინ სარგებლის მიღების უფლება რჩება დამზღვევს.

სიცოცხლის დაზღვევას შეიძლება ჰქონდეს დაგროვებითი ხასიათი და იგი დადებული იქნეს სხვა პირის სასარგებლოდ; მაგრამ ამ ხელშეკრულებით მესამე პირს (სხვა პირს) არ აქვს უფლება მოითხოვოს მზღვეველისაგან დამზღვევის მიერ შეტანილი სადაზღვევო პრემია. ამ დროს მზღვეველი მოვალეა მესამე პირს მისცეს სადაზღვევო საზღაური მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას; ამიტომ დაგროვებითი ხასიათის დაზღვევასთან მიმართებაში კანონმდებელი ამ მესამე პირს განიხილავს როგორც არასათანადო მესამე პირს.

მუხლი 849. მზღვეველის გათავისუფლება ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან

1. თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია სხვა პირის სიკვდილის შემთხვევისათვის, მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან იმ შემთხვევაში, როცა დამზღვევმა უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვია ასეთი პირის სიკვდილი.

2. თუ სიცოცხლის დაზღვევისას მესამე პირს აქვს სარგებლის მიღების უფლება, ეს უფლება არ იქნება აღიარებული, თუ მან უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვია იმ პირის სიკვდილი, რომლის სიცოცხლესაც დაზღვეული იყო.

ამ მუხლის საფუძველზე, დამზღვევმა შეიძლება გააფორმოს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება სხვა პირის სიკვდილის შემთხვევისათვის. მაგრამ, ამ ნორმის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო საზღაურის გაცემამდე უნდა გაირკვეს, სადაზღვევო შემთხვევა თვით დამზღვევის განზრახვი ქმედებით ხომ არ არის გამოწვეული.

**მუხლი 850. ანაზღაურებისაგან განთავისუფლება
თვითთავსადაც**

1. სიცოცხლის დაზღვევისას მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან, თუ პირი, რომლის სიცოცხლაც დაზღვეული იყო, თავს მოიკლავს.

2. დამზღვევის მემკვიდრეს უფლება აქვს მოითხოვოს გადახდილი სადაზღვევო შესატანის დაბრუნება.

მაგალითი:

ვაშაკიძემ თავისი სიცოცხლე დააზღვია 200.000 ლარის სადაზღვევო თანხით 5 წლის ვადით. 5 წლის შემდეგ, თუ ვაშაკიძე ცოცხალი იქნებოდა, იგი მიიღებდა 200.000 ლარს. მზღვეველთან შეთანხმებით ვაშაკიძე ყოველთვიურად იხდიდა სადაზღვევო პრემიას 100 ლარის ოდენობით. სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე წლის ბოლოს ვაშაკიძემ თავი მოიკლა. მისმა შეიღმა მიმართა სადაზღვევო კომპანიას და მოითხოვა სადაზღვევო საზღაურის – 200.000 ლარის მიღება. სადაზღვევო კომპანიამ უარი განუცხადა სადაზღვევო საზღაურის გაცემაზე. ვაშაკიძის შეიღმა სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა ან სადაზღვევო საზღაურის გაცემა, ან კიდევ მამის მიერ ორი წლის განმავლობაში გადახდილი სადაზღვევო შესატანის დაბრუნება. სასამართლომ ვაშაკიძის მემკვიდრეს სწორად უთხრა უარი 850-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სადაზღვევო საზღაურის – 200.000 ლარის მიცემაზე, ხოლო იმავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაკმაყოფილდა ვაშაკიძის მემკვიდრის მოთხოვნა შეტანილი სადაზღვევო პრემიის უკან დაბრუნებაზე და მზღვეველს დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 24 თვის განმავლობაში გადახდილი დაზღვევის პრემიის – 2.400 ლარის გადახდა.

მუსლი 851. დაზღვევის ხელშეკრულების შეცვლა

1. დამზღვევს შეუძლია მიმდინარე დაზღვევის პერიოდის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს დაზღვევის ხელშეკრულების შეცვლა სადაზღვევო შესატანებისაგან თავისუფალი ხელშეკრულებით.

2. თუ დამზღვევეი ითხოვს ასეთ შეცვლას, მაშინ ამ მომენტიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ან სარგებლის თანხის ადგილს იკავებს ისეთი თანხა, რომელიც შეესაბამება მზღვეველის მოვალეობას დაზღვეული პირის ასაკის გათვალისწინებით, თუ დაგროვებული პრემიების რეზერვი განიხილება, როგორც ერთჯერადი შესატანი.

მხარეები შეიძლება თავდაპირველად შეთანხმდნენ დაგროვებითი ხასიათის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაზე, მაგრამ ამ ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში მოისურვონ ხელშეკრულების შეცვლა სარისკო დაზღვევის ხელშეკრულებით. დაგროვებითი ხასიათის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების შეცვლა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებად შეუძლია მოითხოვოს დამზღვევმა.

მაგალითი:

75 წლის ალანამ გააფორმა მზღვეველთან თავისი სიცოცხლის დაგროვებითი ხასიათის დაზღვევის ხელშეკრულება 5 წლის ვადით. მას ყოველთვიურად უნდა შეეტანა სადაზღვევო პრემია 50 ლარი; ხოლო 5 წლის შემდეგ მზღვეველი მოვალე იყო მისთვის მიეცა სადაზღვევო თანხა 50.000 ლარი. დაზღვევის გაფორმებიდან მეორე წელს ალანამ გადაწყვიტა დაგროვებითი დაზღვევის შეცვლა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით, რომლის თანახმადაც, მისი გარდაცვალების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია გასცემდა სადაზღვევო საზღაურს 20.000 ლარს; ალანიას მიერ ერთი წლის განმავლობაში გადახდილი სადაზღვევო პრემია 600 ლარი სადაზღვევო

კომპანიამ უკან კი არ დაუბრუნა, არამედ სამოქალაქო კოდექსის 851-ე მუხლის მეორე ნაწილის თანხმად, ჩაუთვალა ერთჯერად სადაზღვეო შესატანად და დაზღვევის შემდგომი პერიოდისათვის ალანიას დაეკისრა კვარტალში 50 ლარის გადახდა.

დაგროვებითი სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მიერ, ამ დროს დამზღვევეს შეტანილი სადაზღვეო შესატანი უნდა დაუბრუნოს მზღვეველმა.

მუხლი 852. დაქვითვები ხელშეკრულების შეწყვეტისას

თუ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეწყდება უარის თქმის, მოშლის ან გასაჩივრების გამო, მაშინ მზღვეველი მოვალეა დააბრუნოს შესატანის ის ოდენობა, რომელიც მან მიიღო ამ ხელშეკრულებით. მზღვეველს შეუძლია გააკეთოს შესაბამისი დაქვითვებიც.

სამოქალაქო კოდექსის 852-ე მუხლი ერთის მხრივ, ავალდებულებს მზღვეველს დაუბრუნოს დამზღვევეს შესატანის ის ოდენობა, რომელიც მან მიიღო სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით, თუ ეს ხელშეკრულება შეწყდება უარის თქმის, მოშლის ან გასაჩივრების გამო; ხოლო მეორეს მხრივ კი, მზღვეველს აძლევს უფლებას შესაბამისი დაქვითვებიც გააკეთოს დამზღვევის მიერ შეტანილი სადაზღვეო პრემიიდან და გარკვეული პროცენტიც დაიტოვოს მთელი გადახდილი სადაზღვეო შესატანიდან.

მუხლი 853. იძულებითი აღსრულების შედეგები

1. თუ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება ხდება სადაზღვეო მოთხოვნის თაობაზე, ან სამართალწარმოება ხორციელდება დამზღვევის გაკოტრებასთან დაკავშირებით, მაშინ პირი, რომელიც კონკრეტულად დასახელებულია, როგორც სარგებლის მიმღები, უფლებამოსილია დაიკავოს დამზღვევის ადგილი დაზღვევის ხელშეკ-

რულებაში. თუკი სარგებლის მიღების უფლების მქონე პირი მონაწილეობს ხელშეკრულებაში, მან უნდა დააკმაყოფილოს კრედიტორის ყველა მოთხოვნა ან უზრუნველყოს გაკოტრების მასა იმ თანხის ფარგლებში, რომელიც შეიძლება მიეღო დამზღვევს მზღვეველისაგან დაზღვევის ხელშეკრულების მოშლისას.

2. თუ სარგებლის მიღების უფლების მქონე პირი არ არის დანტერესებული სარგებლის მიღებით, ან არ არის სახელობით მითითებული, მაშინ ასეთ უფლებას იძენენ დამზღვევის მეუღლე და შვილები.

თუ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმებულია სხვა პირის სასარგებლოდ და ეს პირი კონკრეტულად დასახელებულია, მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სადაზღვევო მოთხოვნის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების სტადიაზე; ასევე, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დამზღვევის გაკოტრებასთან დაკავშირებით აღძრულ სამართალწარმოებაში.

853-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებაში განსაზღვრულია სარგებლის მიმღების მოქმედების ფარგლები, კერძოდ, იგი მოვალეა დააკმაყოფილოს დამზღვევის კრედიტორის ყველა მოთხოვნა იმ ოდენობით, რაც მას ან დამზღვევს უნდა მიეღო მზღვეველისაგან დაზღვევის ხელშეკრულების მოშლისას. თუ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის შედეგად მზღვეველი მოვალეა დაუბრუნოს დამზღვევს ან სარგებლის მიმღებს შეტანილი სადაზღვევო პრემიის 80%-ი, მაშინ ზემოაღნიშნულ მუხლში მითითებული პირობების არსებობისას სარგებლის მიმღებმა უნდა დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა გადახდილი სადაზღვევო შესატანის 80%-ის ფარგლებში.

მაგრამ, თუ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებულია სარგებლის უფლების მქონე პირი, მაგრამ იგი უარს აცხადებს სარგებლის მიღებაზე, მაშინ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მაგალითად, დამზღვევის გარდაცვალების შემთხვევა-

ში სარგებლის მიღების უფლება აქვთ დამზღვევის მეუღლეს ან შვილებს. მათ უფლება აქვთ მოითხოვონ სარგებელი იმ შემთხვევაშიც, თუ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია სხვა პირის სასარგებლოდ, მაგრამ ეს პირი კონკრეტულად არ არის მითითებული ხელშეკრულებაში და დამზღვევი ისე გარდაიცვალა, რომ კონკრეტული პირის დასახელება ვერ მოასწრო.

V. უბედური შემთხვევის დაზღვევა

მუხლი 854. ცნება

1. უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც დამზღვევის, ისე სხვა პირის უბედური შემთხვევისათვის.

2. თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია არა დაზღვეული პირის მიერ, მაგრამ მის სასარგებლოდ, მაშინ მასზე ვრცელდება წესები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ.

უბედური შემთხვევის დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს პირის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, ამ დროს სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს დამზღვევისათვის ტრამვის მიყენება, შემთხვევითი მოწამვლა, მოტეხილობა და სხვა, რაც ხელშეკრულებაში კონკრეტულად არის მითითებული.

მაგალითი:

ავსაჯანიშვილი სამთო-სათხილამურო სპორტის ოსტატია და მან თავისი ჯანმრთელობა დააზღვია უბედური შემთხვევისაგან, კერძოდ, სხვადასხვა სახის ტრამვებისაგან შეჯიბრში მონაწილეობის მიღების დროს. 2000 წლის თებერვალში გუდაურში ჩატარებულ შეჯიბრში მონაწილეობის მიღებისას ავსაჯანიშვილმა ფეხი მოიტეხა, მისი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება უზრუნველყო სადაზღვევო კომპანიამ.

უბედური შემთხვევის დაზღვევა შეიძლება გაფორმდეს როგორც დამზღვევის, ისე დაზღვეული პირის სასარგებლოდ.

მაგალითი:

ცეცხლადემ უბედური შემთხვევისაგან დააზღვია თავისი მეგობრის ჩაჩანიძის ჯანმრთელობა, რომელიც ჭიათურის მაღაროში მუშაობს. ჩაჩანიძემ მაღაროში განზრახ გამოიწვია სადაზღვევო შემთხვევა, ჩამოანგრია მაღაროს კედლის თხელი ფენა და მზრის მოტეხილობა მიიღო. მან მიმართა სადაზღვევო კომპანიას და მოითხოვა სადაზღვევო საზღაური, კომპანიამ მოითხოვა მაღაროს ადმინისტრაციის მიერ შედგენილი სპეციალური აქტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ მაღაროს კედლის ჩამონგრევა გამოწვეული არ იყო ჩაჩანიძის განზრახვი მოქმედებით. ასეთი აქტი არ იქნა წარდგენილი, ამის გამო მზღვეველმა უარი განუცხადა ჩაჩანიძეს სადაზღვევო საზღაურის გაცემაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 856-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

თუ უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია დაზღვეული პირის სასარგებლოდ, მაშინ მასზე ვრცელდება წესები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 844-ე მუხლის მეორე ნაწილის, 847-849-853-ე მუხლები.

მუხლი 855. ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შედეგები

თუ მზღვეველის მოვალეობა დამოკიდებულია ჯანმრთელობისათვის ზიანის (ენების) განზრახ მიყენებაზე, მაშინ განზრახვის არარსებობა ივარაუდება მანამდე, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო.

თუ უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მზღვეველის გათავისუფლება სადაზღვევო საზღაურის გაცემის მოვალეობისაგან იმ შემთხვევაში, როცა დამზღვევის ან სხვა პირის ჯანმრთელობას ზიანი განზრახ მიადგება, მაშინ,

სანამ სადაზღვევო კომპანია არ დაამტკიცებს ასეთ განზრახვას, იქამდე ივარაუდება, რომ ჯანმრთელობის დაზიანება განზრახ არ ყოფილა გამოწვეული (855-ე მუხლი).

მუხლი 856. უბედური შემთხვევის განზრახ გამოწვევის შედეგები

1. მზღვეველი თავისი მოვალეობის შესრულებისაგან თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირის დაზღვევისას სარგებლის მიძღვები უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვევს უბედურ შემთხვევას.

2. თუ სხვა პირს აქვს სარგებლის მიღების უფლება, მას ეს უფლება ჩამოერთმევა მაშინ, თუ იგი უბედურ შემთხვევას გამოიწვევს განზრახ უკანონო მოქმედებით.

სამოქალაქო კოდექსის 856-ე მუხლით გათვალისწინებულია უბედური შემთხვევის განზრახ გამოწვევის შედეგები. კერძოდ, მზღვეველი თავისი მოვალეობის შესრულებისაგან თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირის დაზღვევისას სარგებლის მიძღვები უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვევს უბედურ შემთხვევას.

იმავე მუხლის მეორე ნაწილში კი აღნიშნულია, რომ თუ სხვა პირს აქვს სარგებლის მიღების უფლება, მას ეს უფლება ჩამოერთმევა მაშინ, თუ იგი უბედურ შემთხვევას გამოიწვევს განზრახ უკანონო მოქმედებით.

მუხლი 857. უბედური შემთხვევის შესახებ შეტყობინების ვალდებულება

თუ მოვალეობები უნდა შესრულდეს სარგებლის მიძღვები პირის სასარგებლოდ, მაშინ ეს პირი მოვალეა განაცხადოს უბედური შემთხვევის თაობაზე. ეს წესი ვრცელდება ცნობების შეტყობინებისა და საბუთების გადაცემის მოვალეობებზედაც.

თუ უბედური შემთხვევის დაზღვევა გაფორმებულია სხვა პირის სასარგებლოდ, მაშინ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სარგებლის მიმღები მოვალეა შეატყობინოს სადაზღვევო კომპანიას უბედური შემთხვევის გამომწვევი და დამადასტურებელი ცნობები და საბუთები.

მუხლი 858. რეგრესის უფლების დაუშვებლობა

დამზღვევს არა აქვს რეგრესის უფლება იმ პირის მიმართ, რომელიც პასუხს აგებს ზიანისათვის.

უბედური შემთხვევა შეიძლება გამოწვეული იქნეს ფიზიკური ან იურიდიული პირის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით, რისთვისაც მას შეიძლება დაეკისროს დელიქტური პასუხისმგებლობა. მაგრამ, თუ დაზარალებული დაზღვეულია უბედური შემთხვევისაგან და იგი სადაზღვევო კომპანიისაგან მიიღებს სადაზღვევო საზღაურს ან აღნიშნული მიეცემა სარგებლის მიმღებს, მაშინ დამზღვევს არა აქვს უფლება რეგრესული სარჩელი წარუდგინოს ზიანის მიმყენებელს და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამდენად, დამზღვევს უბედური შემთხვევით მიყენებული ზიანის ორმაგი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ აქვს.

თავი ოცდამეერთე

საბანკო მომსახურება

I. ანგარიშსწორება

მუხლი 859. ცნება

1. ანგარიშსწორების ხელშეკრულებით საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია თავისი კლიენტის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან აწარმოოს გადახდები ანგარიშზე არსებული თანხების ფარგლებში და შემოსული თანხები ჩარიცხოს ანგარიშში.

2. შესაძლებელია ანგარიშის მფლობელის მითითების საფუძველზე იგივე ოპერაციები განხორციელდეს ნაღდი ფულით.

3. მხარეთა შეთანხმებით ანგარიშის მფლობელს შეიძლება დაეკისროს მომსახურების ხარჯების გადახდა.

საანგარიშსწორებო ურთიერთობები წარმოიშობა ანაზღაურებითი ხასიათის სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებების განხორციელების პროცესში. ქონების გადაცემა, საშუაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა კრედიტორსა და მოვალეს შორის ანგარიშსწორებას გულისხმობს. როგორც კრედიტორის, ისე მოვალის როლში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. თუ მოვალე ფულად ანგარიშსწორებას კრედიტორთან ანხორციელებს ამ უკანასკნელისათვის ნაღდი ფულის გადაცემით ან კავშირგაბმულობის დაწესებულებათა მეშვეობით, მაშინ იგი რეგულირდება კონკრეტული ვალდებულების ფარგლებში, მაგალითად, ნასყიდობის ან ქირავნობის ხელშეკრულებით. მაგრამ უმრავლეს შემთხვევებში, ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდოდ – საკრედიტო დაწესებულებათა მეშვეობით. უნაღდო ანგარიშსწორებას დიდი მნიშვნელობა აქვს დროებით თავისუფალი სახსრების აკუმულაციისა და საერთო-საზოგადოებრივი მიზნების განხორციელებაში მისი გამოყენების, აგრეთვე ფულად მიმოქცევაზე

კონტროლის განხორციელებისა და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის საქმეში. ამიტომ უნაღლო ანგარისწორების პროცესში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება შედარებით დეტალურად ხდება. საბანკო კანონმდებლობა, რომელშიც სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან ერთად, სპეციალური კანონები და კანონქვემდებარე აქტებიც შედის, საანგარიშსწორებო ურთიერთობათა ყველა სფეროს მოიცავს.

უნაღლო ანგარისწორება წარმოებს ბანკის მეშვეობით. იურიდიულ და ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ ბანკში გახსნან საანგარიშსწორებო ანგარიში და მასზე შეიტანონ დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები. ანგარიშის მფლობელებს შეუძლიათ ამ სახსრებიდან მოახდინონ გადახდები სხვადასხვა დანიშნულებით. ანგარიშსწორების ასეთი წესი გავრცელებულია საბაზრო მეურნეობის უმეტეს ქვეყნებში.

საანგარიშსწორებო ანგარიშის გასახსნელად საჭიროა დაიდოს სპეციალური ხელშეკრულება ბანკსა და ანგარიშის გახსნის მსურველს ანუ კლიენტს შორის. ხელშეკრულების საფუძველზე ბანკი ინახავს თავისი კონტრაგენტის სახსრებს, ჩარიცხავს ანგარიშზე შემოსულ თანხებს, ასრულებს ანგარიშის მფლობელთა განკარგულებებს ანგარიშიდან თანხების გადარიცხვის და გაცემის, აგრეთვე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა საბანკო ოპერაციების ჩატარების შესახებ. კლიენტს შეუძლია რამდენიმე ანგარიში გახსნას ერთ ან რამდენიმე ბანკში. მათგან ძირითადი მაინც საანგარიშსწორებო ანგარიშია. თუმცა ზოგიერთ სხვა ანგარიშსაც (მიმდინარე ანგარიში, სავალუტო ანგარიში, საბიუჯეტო ანგარიში და სხვ.) კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდეს. ბანკებმა, რომლებსაც გააჩნიათ სავალუტო ოპერაციების წარმოების ლიცენზია, შესაძლებელია ანგარიში გახსნან უცხოურ ვალუტაში. საბანკო ოპერაციების ობიექტი ყველა შემთხვევაში არის უნაღლო ფულადი სახსრები. ნაღდი ფული ამ დროს ფიზიკურად არ ჩანს. ბანკის უფლებაც – თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს

კლიენტის ანგარიშზე არსებული სახსრები, გამორიცხავს ბანკში შეტანილი ფულის იგივე კუპიურების დაბრუნების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, საანგარიშსწორებო ანგარიშის ხელშეკრულებაში, ისევე როგორც სხვა საბანკო გარიგებებში, ობიექტად მიიჩნევა მოთხოვნის უფლება და არა ნივთი, თუნდაც გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში, სანივთო უფლებების რეალიზაცია გამორიცხულია. ანგარიშის მფლობელი სინამდვილეში ანგარიშზე არსებული სახსრების მესაკუთრე კი არ არის, არამედ მოთხოვნის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირია, რომლის ქონების შემადგენლობაში შედის ესა თუ ის კონკრეტული მოთხოვნის უფლებაც. ბანკის სახელშეკრულებო მოვალეობას წარმოადგენს კლიენტისათვის თავის ანგარიშზე არსებული სახსრების შეუფერხებელი განკარგვის შესაძლებლობის შექმნა. ბანკს უფლება არა აქვს გააკონტროლოს კლიენტის მიერ ანგარიშზე არსებული სახსრების გამოყენების მიმართულება ან რაიმე შეზღუდვა დააწესოს ამ მხრივ. ერთადერთი შემთხვევა, როცა ბანკს უფლება აქვს არ შეასრულოს კლიენტის მითითება სახსრების განკარგვის თაობაზე დაკავშირებულია ანგარიშის დაყადაღებასთან.

კლიენტის სახსრების გამოყენებისათვის ბანკი ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის პროცენტი. თუ იგი განსაზღვრული არ არის, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს მოთხოვნამდე ანაბრებისათვის დადგენილი პროცენტი. აქედან გამომდინარე, საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება მიჩნეულ უნდა იქნეს ანაზღაურებითი ხასიათის გარიგებად, თუ აუნაზღაურებლობაზე სპეციალურად არაა გამაზვილებული ყურადღება. რაც შეეხება კლიენტის მხრივ საზღაურის გადახდას საბანკო მომსახურების განხორციელებისათვის, იგი ვალდებულებად ჩაითვლება მაშინ, თუ ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული ხელშეკრულებაში. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ აუნაზღაურებელ საბანკო მომსახურებაზე. ხელშეკრულებითვე განისაზღვრება მხარეთა პასუხისმგებლობის საფუძვლები ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობისთვის. სა-

ბანკო ანგარიშის ხელშეკრულება კონსენსუალური ხასიათისაა, რადგან ანგარიში იხსნება მიუხედავად იმისა, კლიენტი ანგარიშის გახსნის მომენტში შეიტანს ფულად სახსრებს თუ მისი გახსნის შემდეგ. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის მომენტიდან. ფულის შეტანა ანგარიშზე შეიძლება მოხდეს მხარეთა მიერ განსაზღვრულ ვადაში. ხელშეკრულების კონსენსუალურობა განაპირობებს მის ორმხრივ ხასიათს. ბანკსა და მის კლიენტს ერთ დროულად უფლებებიც გააჩნიათ და მოვალეობებიც.

უნაღლო ანგარიშსწორების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ფორმები: საგადამხდელი დავალება, აკრედიტივი, საინკასო დავალება და საჩეკო ანგარიშსწორება. ანგარიშსწორების ამა თუ იმ ფორმის გამოყენება ხდება მხარეთა შეთანხმებით. მხარეებად გამოდიან კრედიტორი ანუ ანგარიშის მფლობელი და მისი კონტრაგენტი ძირითად ხელშეკრულებაში – მოვალე ანუ ფულის გადამხდელი.

შესაძლებელია იურიდიულ პირებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ბანკის გვერდის ავლით ჩატარდეს ურთიერთდავალიანებათა ჩათვლები. ასეთ შემთხვევაში, ბანკს წარედგინება დავალება ან ჩეკი ჩათვლებით დაუფარავ თანხაზე, რომელიც ჩაირიცხება კრედიტორი პირის საანგარიშსწორებო ანგარიშში. იგულისხმება, რომ მოვალის ანგარიშიდან უნდა მოხდეს სალდოდ გამოყვანილი სახსრების ჩამოწერა. მართალია, ურთიერთვალდებულება, ჩათვლის პირველი ეტაპი, ნაღდი ფულის გადაცემით ხორციელდება, მაგრამ ბოლოს კი სახეზე მაინც უნაღლო ანგარიშსწორებაა. სამოქალაქო კანონმდებლობით შესაძლებელია მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდეს ნაღდი ფულით. ამისათვის აუცილებელია ანგარიშის მფლობელის მითითება ბანკისადმი. ბუნებრივია, ბანკს უნდა გააჩნდეს ნაღდი ფულის ის ოდენობა, რაც ამა თუ იმ ოპერაციის ჩატარებას სჭირდება. პრაქტიკა მოწმობს, რომ ასეთი წესი მისაღებია შედარებით მცირე თანხების ფარგლებში. ამიტომ ნაღდი ანგარიშსწორება იშვიათად ხდება.

მუხლი 860. ანგარიშის ამონაწერების მიცემის ვალდებულება

1. საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია როგორც ნაღდი, ისე უნაღლო ანგარიშსწორებათა შესახებ აწარმოოს საბუღალტრო წიგნი.

2. საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიაწოდოს ანგარიშის მფლობელს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ (ანგარიშის ამონაწერები); ხოლო ანგარიშის მფლობელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობისა და კრედიტ-დებეტის საბუღალტრო ჩანაწერების შესახებ.

ბანკი თავის საქმიანობას ანხორციელებს მკაცრად განსაზღვრული წესების დაცვით, რაც ფულად ურთიერთობათა შინაარსითაა განპირობებული. ფულადი სახსრების შემოსულობა, ანგარიშზე ჩარიცხული ფულადი სახსრების მოძრაობა, ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერა და სხვა ოპერაციები საბუღალტრო საქმისწარმოებაში დამკვიდრებული წესების შესაბამისად უნდა განხორციელდეს. ამისათვის აუცილებელია საბუღალტრო წიგნის წარმოება, რამაც ზუსტად უნდა დააფიქსიროს საბანკო ანგარიშის სახსრების ყოველგვარი მოძრაობა. არა აქვს მნიშვნელობა ანგარიშსწორება ნაღდი ფულით ხორციელდება თუ უნაღლოდ. ბუნებრივია, უნაღლო ანგარიშსწორება სხვადასხვა სახის საბანკო ოპერაციების მთელ კომპლექსთანაა დაკავშირებული და საბუღალტრო წიგნშიც უფრო მეტი მონაცემებია შესატანი, ვიდრე ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას. საბუღალტრო წიგნის წარმოება საბანკო ოპერაციების სწორად განხორციელების შემოწმების საშუალებასაც წარმოადგენს. საბუღალტრო წიგნი კლიენტისათვის ან სხვა დაინტერესებული პირებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროა.

საბანკო ანგარიშის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანგარიშ-

ის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის უფლებისა და მიცემის ვალდებულების შინაარსი. ანგარიშის მფლობელი უფლებამოსილია ანგარიშის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ბანკს ინფორმაცია თავისი ანგარიშის მდგომარეობისა და საბუღალტრო წიგნის ჩანაწერები ფულადი სახსრების შემოსულობისა და ხარჯების ოდენობის შესახებ, ანგარიშზე ბანკის მიერ დარიცხული პროცენტებისა და ბანკის მომსახურებისათვის ანგარიშის მფლობელის მიერ გადასახდელი სახსრების ოდენობისა, აგრეთვე გადახდის მიმდინარეობის მდგომარეობის შესახებ. ბანკი, თავის მხრივ, ვალდებულია კლიენტის მოთხოვნის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიაწოდოს მას ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ. ანგარიშის მფლობელის მიერ ინფორმაციის მოთხოვნა და მისთვის ბანკის მიერ ანგარიშის შესაბამისი ამონაწერების გაცნობა წერილობითი ფორმით უნდა მოხდეს.

მუხლი 861. ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა

საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა აწარმოოს მისი მფლობელის ნებართვის ან მითითების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია მიყენებული ზიანი და არასწორად გადარიცხული თანხა კვლავ შეიტანოს ანგარიშის მფლობელის აქტივში.

საანგარიშსწორებო სამართლებრივ ურთიერთობათა ძირითად პრინციპს წარმოადგენს ანგარიშზე რიცხული სახსრების ხელშეუხებლობა. ყველა ოპერაცია, რომელიც ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვას ან ანგარიშიდან ჩამოწერას ეხება, უნდა მოხდეს ანგარიშის მფლობელის მითითებით ან ნებართვით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა. ასეთი ოპერაცია ანგარიშის მფლობელის ქონების განკარგვას ნიშნავს და ამ უკანასკნელის ნების უგულებელყოფა კანონსაწინააღმდეგოდ უნდა

ჩაითვალოს. ამიტომ, რომ სამოქალაქო კოდექსი სპეციალურად ამაზვილებს ყურადღებას საკრედიტო დაწესებულების ვალდებულებასზე – ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა მოხდეს მისი მფლობელის ნების საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში ნებართვის გარეშე შეიძლება ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონით პირდაპირ მითითებულ შემთხვევაში (საგადასახადო კანონმდებლობა) ან საკრედიტო დაწესებულებასა და ანგარიშის მფლობელს შორის დადებული სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე. კლიენტმა შეიძლება ბანკს მითითება მისცეს იმის შესახებ, რომ მისი ანგარიშიდან სახსრები ჩამოწეროს მესამე პირთა მოთხოვნის საფუძველზეც. ამ შემთხვევაში იგულისხმება ის პირები, რომელთა წინაშეც ანგარიშის მფლობელი მოვალის როლში გამოდის. ყველა შემთხვევაში ჩამოწერა უნდა მოხდეს კლიენტის, ან მისი წარმომადგენლის ნების დამადასტურებელი დოკუმენტისა და ხელმოწერის საფუძველზე. ანგარიშზე არსებული სახსრების განკარგვის უფლებამოსილების დადასტურება შესაძლებელია აგრეთვე გადახდის ელექტრონული საშუალებებით, პლასტიკური ბარათებითა და სხვ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ანგარიშიდან მესამე პირების მიერ სახსრების ჩამოწერის შესაძლებლობა კლიენტის დავალების საფუძველზე. ანგარიშის მფლობელსა და მესამე პირებს შორის დადებული ხელშეკრულებით, რომლითაც ეს უკანასკნელნი კრედიტორად გამოდიან ამა თუ იმ ვალდებულებაში, გათვალისწინებული უნდა იყოს მოვალის ანგარიშიდან კუთვნილი თანხების ჩამოწერის შესაძლებლობა ანგარიშის მფლობელის ნებართვის გარეშე. მაგრამ ამისათვის აუცილებელია კლიენტმა ბანკს წინასწარ აცნობოს მესამე პირისათვის ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერის შესაძლებლობის მიცემის შესახებ. ამასთან, უნდა აცნობოს კონკრეტული კრედიტორის ვინაობის და ჩამოწერის საფუძველის შესახებ. თუ აღნიშნული პირობებიდან რომელიმე არ შესრულდა, მაშინ ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს ანგარიშის მფლობელის ნებართვა.

ანგარიშის მფლობელის ნებართვას სახსრების ჩამოწერის თაობაზე ის დანიშნულებაც აქვს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ცალკეული შეცდომები. მაგალითად, კლიენტის კრედიტორისაგან არასწორადაა წარმოდგენილი ჩამოსაწერი თანხების ოდენობა ან წარმოდგენილი მოთხოვნა უკვე განაღებულია და სხვ. ანგარიშის მფლობელის ნებართვა აქტიური მოქმედებით უნდა იქნეს გამოხატული. შესაძლებელია აგრეთვე პასიური აქცეპტიც, როცა განსაზღვრული დროის განმავლობაში კლიენტი პასუხს არ სცემს ბანკის შეტყობინებაზე ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერის მოთხოვნის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ კლიენტი თანახმაა ანგარიშიდან ჩამოწეროს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი თანხები.

ბანკის მიერ საანგარიშსწორებო ანგარიშიდან მისი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ ფულადი სახსრების ჩამოწერა შეიძლება საფუძვლად დაედოს ამ უკანასკნელის ქონებრივი ინტერესების შელახვას. ამიტომ სამოქალაქო კოდექსით დადგენილია ბანკის ვალდებულება ასეთ შემთხვევაში კლიენტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ამასთან ერთად, ბანკი ვალდებულია არასწორად ჩამოწერილი და სხვის ანგარიშზე არასწორად გადარიცხული თანხა კვლავ შეიტანოს ანგარიშის მფლობელის აქტივში. ბანკის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება მაშინაც დადგეს, როცა საბანკო ოპერაცია დაგვიანებით ხორციელდება. ბანკის პასუხისმგებლობის შემთხვევაში კლიენტთან დადებულ ხელშეკრულებაში უნდა იქნეს გათვალისწინებული.

მუხლი 862. ანგარიშის მფლობელის დავალების გაუქმების შედეგები

1. ანგარიშის მფლობელს უფლება აქვს გააუქმოს საკრედიტო დაწესებულებისათვის მიცემული დავალება, ვიდრე გადარიცხვარეალურად არ მომხდარა. სხვა შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულება მოვალეა შესრულებაზე უარის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს სათანადო პირებს.

2. დავალების დროულად გაუქმების შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულება მოვალეა კვლავ აღადგინოს თანხა მფლობელის ანგარიშზე.

ანგარიშის მფლობელის ნება რადგან გადამწყვეტია ანგარიშთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების წარმოების პროცესში, იგულისხმება, რომ უკვე გამოხატული ნების შეცვლა შესაძლებელია. განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი გამოხატვა დაკავშირებულია არა კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე ანგარიშიდან თანხის ჩამოწერაზე პასიურ თანხმობასთან, არამედ ანგარიშის მფლობელის ინიციატივით თავისი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის თაობაზე დავალების მიცემასთან. ამიტომ, ვიდრე ანგარიშიდან თანხის ჩამოწერა და სხვისათვის მისი გადარიცხვა (უმეტესად სხვაქალაქური ანგარიშსწორების დროს) რეალურად არ მომხდარა, ანგარიშის მფლობელი უფლებამოსილია გააუქმოს საკრედიტო დაწესებულებისათვის მიცემული დავალება. რეალური გადარიცხვა ნიშნავს ანგარიშის მფლობელის კრედიტორის ანგარიშზე ჩარიცხვის ოპერაციის დამთავრებას. დავალების გაუქმება საფუძველად უნდა დაედოს ბანკის მიერ საანგარიშსწორებო ოპერაციის დაწყებაზე უარის თქმას ან დაწყებული ოპერაციის შეწყვეტას.

იმ შემთხვევაში, როცა საკრედიტო დაწესებულებისათვის ადრე მიცემული დავალების შესრულება ფაქტობრივად განხორციელდა და გადარიცხვის ოპერაცია უკვე ჩატარდა, ბუნებრივია, დავალების გაუქმება არარეალურია. ამიტომ საკრედიტო დაწესებულებამ, ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შესრულებაზე უარის შესახებ. ასეთი შეტყობინებით ფაქტობრივად მესამე პირები საქმის კურსში შედიან იმის შესახებ, რომ მოსალოდნელი ფულადი ვალდებულება ანგარიშის მფლობელის მიერ არ შესრულდება, რასაც შემდეგ დამატებითი ოპერაციები უნდა მოყვეს ანგარიშის მფლობელის ანგარიშზე ფულადი სახსრების დასაბრუნებლად. ამიტომ დავალების გაუქმება მაშინ ხორ-

ციელდება ოპერატულად და ზედმეტი გარჯის გარეშე, როცა ამის შესახებ დროულად ეცნობება საკრედიტო დაწესებულებას. დავალების დროულად გაუქმება საანგარიშსწორებო ანგარიშის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას ნიშნავს და საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია ანგარიშზე კვლავ აღადგინოს ის თანხა, რომელიც დავალების მიცემამდე არსებობდა.

პუნქტი 863. საიდუმლოების დაცვის ვალდებულება

1. საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია დაიცვას ანგარიშთან დაკავშირებული და სხვა ისეთი ფაქტების საიდუმლოება, რომლებიც ცნობილი გახდა მისთვის ანგარიშის მფლობელთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც კანონითაა გათვალისწინებული, ან თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას, რომლითაც არ ილახება ანგარიშის მფლობელის ინტერესები.

2. საკრედიტო დაწესებულების ეს მოვალეობა ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

საკრედიტო დაწესებულების მიერ საიდუმლოების დაცვის ვალდებულების ზოგადი საფუძვლები მოცემულია საბანკო კანონმდებლობაში. კომერციული ბანკების შესახებ კანონით დადგენილია, რომ არავის აქვს უფლება დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენოს პირადი სარგებლობისათვის. ცნობები იურიდიული და ფიზიკური პირების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ შეიძლება მიეცეთ ანგარიშის მფლობელებს, მათ ზემდგომებსა და წარმომადგენლებს, სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს მათ წარმოებაში არსებულ საქმეებზე და საგადასახადო სამსახურებს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს, აგრეთვე საგადასახადო სამსახურებს ეკრ-

ძალეზათ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა ორგანოებისათვის, მასობრივი ინფორმაციის ორგანოების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის გამოყენება საჯარო გამოსვლებში. ანგარიშის მფლობელის გარდაცვალების შემთხვევაში შესაბამისი ცნობები შეიძლება მიეცეს მემკვიდრეებს ან სანოტარო ორგანოებს, უცხოურ საკონსულო დაწესებულებებს. მხედველობაშია მისაღები ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების თავისუფლება. ასეთ პირობებში ლოგიკურად შეიძლება დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახის ცნობებისა და ფაქტების საიდუმლოების დაცვა აუცილებელი. ამოსავალ პირობად უნდა ჩაითვალოს ანგარიშის მფლობელის ინტერესების დაცვა. შესაძლებელია საკრედიტო დაწესებულებამ გასცეს ანგარიშთან დაკავშირებული ისეთი ცნობები ან ანგარიშის მფლობელის საქმიანი ურთიერთობიდან გამომდინარე ისეთი ფაქტების საიდუმლოება, რომლებიც ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას წარმოადგენენ, თუ ასეთი ინფორმაციის გაცემა კანონითაცაა გათვალისწინებული და ანგარიშის მფლობელის ინტერესებსაც არ ლახავს. სხვა შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულება ვალდებულების დამრღვევად ჩაითვლება და მასვე დაეკისრება იმ ზიანის ანაზღაურება, რაც ანგარიშის მფლობელს მიადგა მისი არამართლზომიერი მოქმედებით.

საბანკო საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ძირითადად კომერციულ ბანკებზე ვრცელდება, რადგან ანგარიშების აბსოლუტური უმრავლესობა ამ ბანკებშია თავმოყრილი. ამასთან, მსგავსი ვალდებულება ვრცელდება საქართველოს ეროვნულ ბანკზე და აუდიტორულ ორგანიზაციებზე, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე უწევენ მომსახურებას ანგარიშის მფლობელ პირებს. საკრედიტო დაწესებულებებს, აუდიტორული ორგანიზაციების მსგავსად, საიდუმლოების დაცვის ვალდებულება უნარჩუნდებათ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 864. საბანკო ანგარიშსწორების ხელშეკრულების შეწყვეტა

1. საბანკო ანგარიშსწორების ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ორივე მხარის მიერ ნებისმიერ დროს.

2. საკრედიტო დაწესებულებას შეუძლია მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ ანგარიშის მფლობელმა სხვაგვარად შეძლოს საანგარიშსწორებო მომსახურების მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი.

როგორც ყოველი ხელშეკრულება, ისე საბანკო ანგარიშსწორების ხელშეკრულება, ორი მხარის შეთანხმებაა და მათზეა დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს იმოქმედებს იგი და როდის უნდა შეწყდეს. თუ მხარეები ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებენ. მათ ერთნაირი უფლებები აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება ნებისმიერ დროს. ერთი მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობა მეორე მხარეს აძლევს უფლებას თავისი ინიციატივით შეწყვიტოს ხელშეკრულება. ჩვეულებრივ, ანგარიშის მფლობელი გამოდის ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორად მაშინაც კი, როცა საკრედიტო დაწესებულება უნაკლოდ ასრულებს თავის მოვალეობებს. რაც შეეხება საკრედიტო დაწესებულებას, იგი უფლებამოსილია თავისი ინტერესი დაუკავშიროს ხელშეკრულებას იმ შემთხვევაში, როცა ანგარიშზე იმ თანხაზე უფრო ნაკლებია, რაც მხარეთა შორის მინიმალურადაა მიჩნეული და მას არ ემატება განსაზღვრული დროის განმავლობაში, მიუხედავად საკრედიტო დაწესებულების შეხსენებისა, აგრეთვე მაშინ, თუ დიდი ხნის (მხარეთა მიერ განსაზღვრულ) მანძილზე საერთოდ არ წარმოებს ჩარიცხვა-გადარიცხვის ოპერაციები. მსგავს შემთხვევებში ბანკს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუმცა მან ხელი უნდა შეუ-

წყოს იმას, რომ ანგარიშის მფლობელმა სხვაგვარად მიიღოს საანგარიშსწორებო მომსახურება. ამ შემთხვევაში იგულისხმება ანგარიშის მფლობელის შესაძლებლობა შეუთანხმდეს ბანკს ანგარიშის შენარჩუნების თაობაზე გარკვეული დროით ან სათანადო ცვლილებების შეტანაზე ანგარიშის გახსნის დროს დადებულ ხელშეკრულებაში. ასეთი შესაძლებლობა ანგარიშის მფლობელს აქვს მაშინ, თუ საკრედიტო დაწესებულებას მნიშვნელოვანი საფუძველი გააჩნია ხელშეკრულების შესაწყვეტად.

იურიდიული პირის რეორგანიზაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს ანგარიშის გადაფორმება უფლებამონაცვლე პირზე. გადაფორმებისათვის თითქმის იგივე საბუთებია საჭირო, რაც ანგარიშის გახსნისას. იურიდიული პირის ლიკვიდაცია ლოგიკურად იწვევს საანგარიშსწორებო ანგარიშის ხელშეკრულების შეწყვეტას. ინდივიდუალური მეწარმის სახელზე გახსნილი ანგარიში მისი გარდაცვალების შემთხვევაში უნდა გაფორმდეს მის უფლებამონაცვლე მემკვიდრეზე.

მუხლი 865. ბაღახლა ჩეკის საფუძველზე

სათანადო შეთანხმებისას საკრედიტო დაწესებულება მოვალეა აქტივის ფარგლებში აანაზღაუროს ანგარიშის მფლობელის მიერ ხელმოწერილი ჩეკი ჩეკის შესახებ კანონის შესაბამისად. ამ დროს გამოიყენება უნაღდო ანგარიშსწორების ხელშეკრულების წესები.

ჩეკი წარმოადგენს ფასიან ქალაღს, რომელიც გამოიყენება როგორც გადახდის საშუალება. იგი მზადდება ერთიანი ნიმუშის მიხედვით და არის მკაცრი აღრიცხვის ბლანკი. ჩეკების დამზადებისათვის აუცილებელია ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი ნებართვა. ჩეკებით ანგარიშსწორების დროს ჩეკის გამცემი, საბანკო დაწესებულებას აძლევს წერილობით დავალებას ჩეკში აღნიშნული თანხის განაღდების შესახებ. ჩეკის გამოწერა შეიძლება მხოლოდ იმ საბანკო დაწესებულებაზე, რომელშიც ინახება ჩეკის გამცემის სახსრები, რაც მას უფლებას აძლევს საერთო

წესით განკარგოს ეს სახსრები ჩეკის საშუალებით. ჩეკის გამცემი პასუხისმგებელია ჩეკის განაღდებისათვის. ჩეკებს გამოიყენებენ როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები ჩეკის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით. ჩეკი მიმოქცევაშია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. შესაძლებელია ჩეკში მითითებული თანხა განაღდებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, როცა ჩეკის გამცემის ანგარიშზე არ არის საკმარისი თანხები. ამას გარანტირებული განაღდება ჰქვია და იგი გაითვალისწინება ბანკსა და ანგარიშის მფლობელს შორის დადებული ავერდრაფტის ხელშეკრულებით.

მუსლი 866. ჩეკის ინკასირება

საკრედიტო დაწესებულება დამატებითი შეთანხმების გარეშეც საანგარიშსწორებო ხელშეკრულებით მოვალეა ანგარიშის მფლობელის წინაშე მოახდინოს ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი ჩეკების ინკასირება საკრედიტო დაწესებულებაში მათი დროულად წარდგენით, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში – მიიღოს უზრუნველყოფის საჭირო ზომები.

ჩეკის ინკასირება ნიშნავს ანგარიშის მფლობელის მიერ თავის საკრედიტო დაწესებულებებისადმი მიცემულ დავალებას, რათა მან უზრუნველყოს თავისი კლიენტის გაუნაღდებელი ჩეკების მიხედვით სხვა პირებისაგან ამ სახსრების მიღება. ემიტენტ ბანკს შეუძლია ამ ოპერაციაში ჩართოს სხვა საკრედიტო დაწესებულება, რომელშიც გადამხდელს აქვს გახსნილი ანგარიში. ფაქტობრივად ანგარიშსწორება საინკასო დავალების საფუძველზე გულისხმობს კრედიტორს. ემიტენტი ბანკის მეშვეობით მოვალის მომსახურე ბანკის გამოყენებით მოვალის მიერ გამოწერილი ჩეკების განაღდებას. საინკასო დავალების შესრულება საკრედიტო დაწესებულებას ევალება იმ შემთხვევაშიც, როცა მასა და ანგარიშის მფლობელს შორის ამის თაობაზე ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი.

იგი ვალდებულია კლიენტის მიერ წარმოდგენილი ჩეკები დროულად გადასცეს გასანაღლებლად იმ საკრედიტო დაწესებულებას, რომელშიც მოვალის ანგარიშია გახსნილი. იმ შემთხვევაში, როცა მოვალე უარს ამბობს ჩეკის განაღდებაზე ემიტენტი ბანკი ვალდებულია მიიღოს გადახდის უზრუნველყოფის კანონით გათვალისწინებული ზომები.

II. საბანკო კრედიტი

მუხლი 867. ცნება

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით.

საბანკო კრედიტი სასესხო ურთიერთობის სპეციფიკურ გამოვლინებას წარმოადგენს. მას, ჩვეულებრივი სესხისაგან განსხვავებით, განსაზღვრული თავისებურებები ახასიათებს: საკრედიტო ურთიერთობაში ერთ-ერთ აუცილებელ მხარედ ყოველთვის გამოდის ბანკი ან ისეთი დაწესებულება, რომელსაც გააჩნია ანაბრების მიღებისა და ფულადი სახსრების სესხად გაცემის ლიცენზია, მეორე მხარე კი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები; სესხად გაიცემა მხოლოდ ფულადი სახსრები და ისიც, უმრავლეს შემთხვევაში, უნაღდო წესით; მსესხებელმა ფულადი სახსრები უნდა გამოიყენოს საკრედიტო დაწესებულებასთან წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებაში მითითებული მიზნებისათვის; მიღებული კრედიტი უნდა დაბრუნდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში; კრედიტის გამოყენებისათვის მსესხებელმა უნდა გადაიხადოს სასყიდელი; კრედიტის გაცემა ხდება მისი დაბრუნების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებით.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომელიც მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე იდება, შეიძლება ატარებდეს როგორც რეალურ ისე კონსენსუალურ ხასიათს. როცა ხელშეკრულების დადებას თან ახლავს კრედიტის გადარიცხვა ან გაცემა, იგი რეალურია. შესაძლებელია საკრედიტო დაწესებულებამ ხელშეკრულებით იკისროს კრედიტის გაცემა მომავალში. ასეთ შემთხვევაში იგი მოვალეა და არა უფლებამოსილი მსესხებელს სესხად მისცეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სახსრები. ასეთი ხელშეკრულება კონსენსუალურია. საბანკო კრედიტი მრავალი სახისაა. ყველა მათგანი კომერციული კრედიტისაგან განსხვავებით, რომელიც სასაქონლო ფორმითაა გამოხატული, ფულად ურთიერთობებს გულისხმობს და ამიტომ გამოიყენება მის მიმართ სესხის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ძირითადი დებულებები.

მუხლი 868. საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთები

1. მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისათვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი.
2. თუ შეთანხმებით გათვალისწინებული ცვალებადი საპროცენტო განაკვეთისა და მისი სიდიდის განსაზღვრა შეეძლო კრედიტის გამცემს, იგი ვალდებულია ეს განსაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე; იგი ასევე მოვალეა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გაზრდას ან შემცირებას შეუსაბამოს თავისი საპროცენტო განაკვეთი.
3. პროცენტის ცვალებადობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის სადისკონტო განაკვეთს ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს.
4. საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას უნდა განისაზღვროს საპროცენტო განაკვეთის ზრდისა და შემცირების ზღვარი და ცვლილებათა მინიმალური შუალედი.

5. კრედიტის გამცემი მოვალეა მისაღები ფორმით შეატყობინოს მსესხებელს კრედიტისათვის საპროცენტო განაკვეთის შესახებ.

6. თუ წლიური საპროცენტო განაკვეთი არ არის მითითებული, მაშინ გამოიყენება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წლიური პროცენტი. თუკი ხარჯების დაკისრება არ იყო გათვალისწინებული წლიური პროცენტის გამოთვლისას, მაშინ ეს ხარჯები არ ანაზღაურდება.

ვინაიდან საბანკო კრედიტი სასყიდლიან ხასიათს ატარებს, ბუნებრივია, რომ მსესხებელმა კრედიტისათვის უნდა გადაიხადოს პროცენტი, რომლის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ან კანონით. განსახილველი მუხლი ითვალისწინებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს პროცენტის განსაზღვრის დროს. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების დადგენაზე. მყარი განაკვეთი შედარებით მარტივად გამოხატავს კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობას კრედიტის საფასურის თაობაზე. მისი ოდენობა უცვლელი რჩება ფულის სიმყარის დონის მიუხედავად. ამიტომ შესაძლებელია ასეთი განაკვეთი ზოგჯერ არც ისე მისაღები იყოს, როგორც საკრედიტო დაწესებულებისათვის, ისე მსესხებლისათვის.

მხარეებისათვის უფრო მისაღებს წარმოადგენს ცვალებად საპროცენტო განაკვეთზე შეთანხმება. ასეთი განაკვეთისას საბაზრო მეურნეობის კონიუნქტურის შესაბამისად შეიძლება პროცენტის გაზრდა ან შემცირება. საკრედიტო ხელშეკრულებით პროცენტის განაკვეთის განსაზღვრის ინიციატივა, ჩვეულებრივ, კრედიტორს ეკუთვნის. შეთანხმება ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. შესაძლებელია აგრეთვე კრედიტორს მიეცეს მთლიანად ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის სიდიდის განსაზღვრის უფლება. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია სამართლიანობის პრინციპებს გაუწიოს ანგარიში. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაში უნდა

გამოვლინდეს, რომ თავისი დადგენილი საპროცენტო განაკვეთი შეუსაბამოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდას ან შემცირებას. სავალდებულო არაა, ამ შემთხვევაში, პროცენტის მაქსიმუმი აუცილებლად ემთხვეოდეს საპროცენტო განაკვეთებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი არ უნდა ატარებდეს მსესხებლისათვის კაბალურ ხასიათსა და კრედიტის გამცემისათვის არ უნდა ქმნიდეს განსაკუთრებულ პრივილეგირებულ მდგომარეობას. რაც შეეხება პროცენტის ცვალებადობას, იგი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული ბანკის სადისკონტო განაკვეთს ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს. ასეთი განაკვეთები საორიენტაციოდ გამოიყენება აგრეთვე ჩვეულებრივი სესხის დროსაც. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში შედარებით დეტალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ცვალებად საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, უნდა განისაზღვროს საპროცენტო განაკვეთის ზრდისა და შემცირების ზღვარი, აგრეთვე ცვლილებათა მინიმალური შუალედი. საკრედიტო დაწესებულება, როგორც ხელშეკრულების შედარებით აქტიური მხარე, ვალდებულია მსესხებელს შეატყობინოს კრედიტის გამოყენებისათვის დადგენილი შეცვლილი საპროცენტო განაკვეთის შესახებ.

კრედიტისათვის სარგებლის ოდენობა განისაზღვრება საკრედიტო თანხის ამა თუ იმ ოდენობის პროცენტის სახით მისი მთელი წლის მანძილზე გამოყენებისათვის. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დადგინდეს ყოველთვიური სარგებლის ოდენობაც. თუ ხელშეკრულებაში წლიური საპროცენტო განაკვეთი არ არის მითითებული, მაშინ კრედიტით სარგებლის ოდენობა უნდა განისაზღვროს კანონით გათვალისწინებული წლიური პროცენტის მიხედვით. წლიური პროცენტის გამოთვლა, ჩვეულებრივ, ყოველგვარი ხარჯების გაღების გარეშე ხდება.

მუსლი 869. კანონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთი

1. თუ მსესხებელი აყოვნებს გადახდას, რაც მას ევალეზობდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე, დავალიანების თანხას უნდა დაერიცხოს ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის შესაბამისი პერიოდისათვის ფიქსირებული საპროცენტო (ან სადისკონტო) განაკვეთის 3%-ის ოდენობით გადიდებული თანხა.

2. თუ კრედიტის გამცემმა სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების გამო შეწყვიტა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, მაშინ წარმოიშობა კანონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის მოთხოვნის უფლება. ეს წესები არ ვრცელდება კრედიტის გამცემის ან მსესხებლის უფლებაზე, ცალკეულ შემთხვევაში ამტკიცონ მეტი ან ნაკლები ზიანის არსებობა.

საპროცენტო განაკვეთის კანონით დადგენისას მხედველობაშია მისაღები ის, რომ თავისი შინაარსით იგი იმ მყარი საპროცენტო განაკვეთის მსგავსია, რომელიც მხარეთა შეთანხმებით დგინდება. ამიტომ სამოქალაქო კოდექსმა ამ შემთხვევისათვის გაითვალისწინა საკრედიტო დაწესებულების ინტერესების ნაწილობრივ კომპენსაციური დაცვა. ეს იმაში გამოიხატება, რომ, თუ მსესხებელი აყოვნებს კრედიტად მიღებული სახსრების დაბრუნებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ვადაგადაცილებულ თანხას უნდა დაერიცხოს გაზრდილი პროცენტი და იგი უნდა განისაზღვროს შესაბამისი პერიოდისათვის ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ განსაზღვრული საპროცენტო ან სადისკონტო განაკვეთის სამი პროცენტის ოდენობით.

კანონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის მოთხოვნის უფლება საკრედიტო დაწესებულებას ყოველგვარი პირობის გარეშე წარმოეშობა მაშინ, თუ მან საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შეწყვიტა იმის გამო, რომ მსესხებელმა სესხის დაბრუნების ვადას გადააცილა. ბუნებრივია, დავალიანების თანხასთან ერთად, მას უნდა გადასცეს საპროცენტო განაკვეთიც. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშ-

ვნელობა მხარეთა ბრალს ან ხელშეკრულების შეწყვეტით მათთვის ზიანის მიყენების ფაქტს. აქ საქმე მხოლოდ სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნებას ეხება. ზიანის ანაზღაურების საკითხი ცალკე უნდა იქნეს განხილული.

მუხლი 870. დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენება

1. თუ კრედიტის გაცემისას შეთანხმებულია სანიუთო ან პიროვნული უზრუნველყოფა, მაშინ კრედიტის გამცემს სესხის არასრულად დაფარვისას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენება.

2. კრედიტის გამცემა მოვალეა კრედიტის ამლების მოთხოვნით დააბრუნოს უზრუნველყოფა, რომელიც აღემატება დაფარვის შეთანხმებულ ფარგლებს.

სამოქალაქო სამართალი ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის მრავალ საშუალებას ითვალისწინებს. ისინი შეიძლება იყოს როგორც სანიუთო, ისე პიროვნული ხასიათისა. ჩვეულებრივად, გამოიყენება ერთ-ერთი მათგანი. მაგრამ, თუ იგი საბოლოოდ ვერ უზრუნველყოფს ვალდებულების შესრულებას, მაშინ შეიძლება კრედიტორმა მოითხოვოს დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენების შესაძლებლობა. კრედიტის გაცემისას თუ გათვალისწინებულ იქნა სანიუთო (გირაენობა, იპოთეკა, პირგასამტეხლო, ბე) ან პიროვნული (მოვალის გარანტია, თავდებობა, საბანკო გარანტია) უზრუნველყოფის საშუალებებიდან რომელიმე, მაგალითად, თავდებობა, სასესხო თანხის არასრულად დაბრუნებისას საკრედიტო დაწესებულებას შეუძლია მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა, როგორც მოვალის მხრიდან ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება. კრედიტორისათვის ასეთი უფლების მინიჭება გაცემული კრედიტის სრულად დაბრუნების რეალურ გარანტიას წარმოადგენს. კრედიტორის აღნიშნული უფლებით არის განპირობებული მისი ვალდებულება — მოვალის

მოთხოვნით დააბრუნოს უზრუნველყოფის ის ნაწილი, რომელიც დაფარვის შეთანხმებულ ფარგლებს აღემატება. დაუბრუნებლობის შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულებას უნდა დაეკისროს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა – ქონების უსაფუძველო დაზოგვისათვის.

მუხლი 871. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. თუ კრედიტისათვის შეთანხმებულია მყარი საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული პერიოდისათვის, მაშინ კრედიტის ამღებს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ხელშეკრულება, თუკი საპროცენტო ვალდებულება მთავრდება დაბრუნებისათვის განსაზღვრულ ვადამდე და საპროცენტო განაკვეთის შესახებ რაიმე ახალი შეთანხმება არ არის დადებული. შეწყვეტის ვადა შეადგენს ერთ თვეს.

2. თუ კრედიტის ამღები მომხმარებელია და კრედიტი არ არის უზრუნველყოფილი იპოთეკით, მაშინ შეწყვეტის უფლება წარმოიშობა კრედიტის აღებიდან ექვსი თვის შემდეგ. შეწყვეტის ვადა კი შეადგენს სამ თვეს.

3. ათი წლის გასვლის შემდეგ შეწყვეტის უფლება არსებობს ნებისმიერ შემთხვევაში. შეწყვეტის ვადა შეადგენს ექვს თვეს.

4. მოვალეს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით აღებული სესხი შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით.

საბანკო კრედიტის შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული და ნორმალური საფუძველია მისი შესრულება ორივე მხარის მიერ. ასეთ შემთხვევაში მათ უკვე ერთმანეთთან არავითარი უფლებები და მოვალეობები არ აკავშირებთ. იგულისხმება, რომ ხელშეკრულების მხარეებმა მიაღწიეს იმ მიზანს, რაც მათ დასახული ჰქონდათ. მაგრამ შესაძლებელია ხელშეკრულების შეწყვეტა მაშინაც, როცა მიზანი საბოლოოდ მიღწეული არ არის და კრედიტორი ან მოვალე დაზარა-

ლებულიც კი დარჩეს, რაც შემდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველიც ხდება. უმეტესად ეს მაშინაა შესაძლებელი, როცა ხელშეკრულებას ერთ-ერთი მხარე უსაფუძვლოდ წყვეტს.

შესაძლებელია მხარეთა მიერ ხელშეკრულების საფუძველიანი შეწყვეტა. საბანკო კრედიტის ხელშეკრულების შეწყვეტისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე ხდება სარგებლის განსაზღვრა. თუ მყარი საპროცენტო განაკვეთი გათვალისწინებულია განსაზღვრული პერიოდისათვის, რომელიც შეიძლება არც დაემთხვეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მაშინ მსესხებელს შეუძლია საკრედიტო ხელშეკრულება შეწყვიტოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საპროცენტო ვალდებულება უფრო ადრე მთავრდება, ვიდრე სასესხო თანხის დაბრუნების ვადა დადგენილი და მხარეებს შორის საპროცენტო განაკვეთის თაობაზე რაიმე ახალი შეთანხმება არ არის დადებული. იგულისხმება, რომ ამ დროს მსესხებელმა თავისი ძირითადი ვალდებულება შეასრულა. საკრედიტო დაწესებულებაც რაიმე დამატებით შემოსავალს არ ელის. სასესხო სახსრების დაბრუნება და ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა მოხდეს საპროცენტო ვალდებულების შესრულებიდან ერთ თვეში.

საბანკო კრედიტის გაცემა კრედიტორისათვის განსაზღვრული შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, თუნდაც მინიმალურს, უნდა ქმნიდეს საპროცენტო სარგებლის სახით. სწორედ ამიტომ ადგენს კანონი კრედიტის ამღები უშუალო მომხმარებლის ვალდებულებას, რომ ექვს თვეზე ადრე არ მოითხოვოს იმ ხელშეკრულების შეწყვეტა, რომლის შესრულება უზრუნველყოფილი არ არის იპოთეკით. მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოიშობა ასეთი უფლება და იგი შეიძლება განხორციელდეს სამი თვის ვადაში. ხელშეკრულების დადებიდან ათი წლის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არსებობს ნებისმიერ შემთხვევაში. რაიმე პირობის დათქმა საჭირო არ არის. ამ დროს შეწყვეტის ვადა ექვსი თვეა. ზემოაღნიშნული შემთხვევები მყარი საპროცენტო განაკვეთებით

კრედიტორის ინტერესების დაცვის უზრუნველყოფასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება ცვალებად საპროცენტო განაკვეთს, იგი მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს იმისათვის, რომ მოვალემ ნებისმიერ დროს შეწყვიტოს საბანკო სესხის ხელშეკრულება შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით. ასეთ შემთხვევაში მოვალის ქონებრივი ინტერესია წინა პლანზე წამოწეული. თუ საპროცენტო განაკვეთის მკვეთრი ცვალებადობა მას არასასურველ მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს, შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას მიმართოს.

მუხლი 872. ზიანის ანაზღაურება კრედიტის ვალდებულაბრუნებისათვის

თუ კრედიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ანაზღაურებითი ხასიათიდან გამომდინარეობს ღებულება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების მოქმედების იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც გათვალისწინებულია განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის გადახდა, კრედიტის ამღებმა უარი არ განაცხადოს საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტაზე, რადგან ეს გამოიწვევს კრედიტის გამცემის ქონებრივი ინტერესების შელახვას, თუნდაც იმიტომ, რომ იგი პროცენტის სახით ვერ მიიღებს იმ შემოსავალს, რასაც ელოდა. სწორედ ამიტომაც სამოქალაქო კოდექსით დადგენილი საკრედიტო დაწესებულების უფლება მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. საბანკო-საკრედიტო ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტა

კრედიტის მიმღებისათვის ქმნის დარჩენილი პერიოდის შესაბამისი საპროცენტო საზღაურის დაზოგვის შესაძლებლობას. ეს გარემოება, უპირველესად უნდა იქნეს გათვალისწინებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისას. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კრედიტორს შეეძლო კრედიტად გაცემული და ადრე დაბრუნებული ვალუტა სხვაგვარად გამოეყენებინა და მისგან გაცილებით უფრო მეტი სარგებელი მიეღო, ვიდრე მაშინ, როცა სესხად გასცა იგი, მით უმეტეს, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებელი სრულად არ მიუღია. კრედიტის გამცემისათვის მიყენებული ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს ის სარგებელიც, რომელიც კრედიტის გამცემმა ვერ მიიღო იმის გამო, რომ კრედიტის მიმღებმა კონსენსუალური ხელშეკრულების არსებობისას განზრახ არ დაუშვა კრედიტის მიღება, რამაც ფაქტობრივად განაპირობა კრედიტორის სასესხო ვალუტის მოცდენა და ამით განსაზღვრული ოდენობის ზიანის წარმოშობა. წინა მუხლისაგან განსხვავებით, განსახილველ მუხლში მოცემულია საბანკო კრედიტის ვადაზე ადრე უსაფუძვლოდ შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები.

მუხლი 873. საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტა კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნებისას

კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა.

განსახილველი მუხლი ეხება საბანკო-საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტას კრედიტის არა მიმღების, არამედ გამცემის მიერ. ეს შესაძლებელია კანონიერი საფუძვლის არსებობისას. ასეთ საფუძვლად კი მიჩნეულია კრედიტის ამღების მხრივ კრედიტის ნაწილის,

სულ ცოტა, ორი ვადით გადახდის გადაცილება მაშინ, როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნება განსაზღვრულ ვალებში. ეს იმას ნიშნავს, რომ კრედიტის ამღები, მაგალითად, წლის პირველი კვარტლის ბოლოს გადასახდელ თანხებს არ იხდის მესამე კვარტალშიც, და ამით ფერხდება მეორე კვარტალში შესაბამისი წილის გადახდაც. ასეთი მდგომარეობა საკმაო საფუძველია იმისათვის, რომ კრედიტის გამცემმა დამატებითი ორკვირიანი ვადა მისცეს მსესხებელს. ამ ვადის გასვლის შემდეგ საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს საკრედიტო სახსრების იძულებით დაბრუნება. სასესხო სახსრებთან ერთად გადახდილ უნდა იქნეს განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთზე კანონით დადგენილი ოდენობით გადიდებული თანხაც.

III. ანაბარი

მუხლი 874. ცნება. საკრედიტო დაწესებულების ხელშეკრულებაში პასუხისმგებლობა

1. ფულადი თანხის შეტანით (ანაბარი) საკრედიტო დაწესებულება მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებასა და ვალდებულია ვადის დადგომისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს მიღებული თანხა.
2. თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ფულადი თანხა შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს უკან გამოთხოვილი.
3. ანაბრებს შესაბამისად უნდა დაერიცხოს პროცენტები.
4. ანაბრის მიმღები და საკრედიტო დაწესებულების დირექტორები (მენეჯერები) ვალდებულნი არიან შეანაბრეს მიაწოდონ ინფორმაცია ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ.
5. ის პირი, რომელიც ბრალეულად გასცემს არასწორ ინფორ-

მაციას ან უარს ამბობს საჭირო მონაცემების მიწოდებაზე, ვალდებულება შეანაბრებს აუნაზღაუროს არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან ინფორმაციის გაუცემლობით წარმოშობილი ზიანი.

6. ასევე აგებენ პასუხს სოლიდარულად ბანკის დირექტორები (მენეჯერები), რომლებიც სარეკლამო ბროშურების მეშვეობით ან სხვაგვარად საჯაროდ ავრცელებენ არასწორ მონაცემებს ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ.

ანაბრის ხელშეკრულებით საკრედიტო დაწესებულება კისრულობს ვალდებულებას ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან შესანახად მიიღოს ფულადი სახსრები და გადაიხადოს განსაზღვრული პროცენტი. ანაბრის მფლობელი კი უფლებამოსილია მოითხოვოს ანაბრის ან მისი ნაწილის დაბრუნება მხარეთა მიერ განსაზღვრულ დროში ან, თუ იგი განუსაზღვრელია – ნებისმიერ დროს.

ფულადი ანაბრის ხელშეკრულება არის რეალური და დადებულად ითვლება საკრედიტო დაწესებულებაში ფულის შეტანის მომენტიდან. იგი ცალმხრივია, რადგან შეანაბრებს მხოლოდ უფლებები გააჩნია და ბანკს კი – ვალდებულებები. ხელშეკრულება ანაზღაურებითაა – არ შეიძლება ანაბრისათვის ბანკი განსაზღვრულ პროცენტს არ იხდიდეს.

აღრინდელი კანონმდებლობით საბანკო გარიგებებთან დაკავშირებული ურთიერთობები სპეციალურად რეგულირდებოდა. ამჟამად სამოქალაქო კოდექსი შედარებით დეტალურად აწესრიგებს მსგავს ურთიერთობებს. ამ პროცესში გამოიკვეთა საბანკო გარიგებათა ორი სახის – საბანკო ანგარიშისა და საანაბრო ხელშეკრულებათა მსგავსება. ორივე შემთხვევაში შესაბამის ანგარიშებზე ირიცხება ბანკის კლიენტის ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენების შესაძლებლობა გააჩნია ბანკს და რისთვისაც იგი ვალდებულია გარკვეული საზღაური გადაიხადოს. ორივე შემთხვევაში ბანკის კონტრაქტს წარმოეშობა შეტანილი თანხის შესაბამისი მოთხოვნის უფლება. ფულადი სახსრები ბანკის საკუთრებაში გადადის

და იგი ვალდებულია დააბრუნოს იმავე ვალუტის იმდენივე ოდენობა და არა იგივე კუპიურები. აქედან გამომდინარე, ტერმინი „შენახვა“ სრულად ვერც გამოხატავს რეალურ ურთიერთობას. ანაბარზე რიცხული სახსრები კი არ ინახება ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, როგორც ეს სხვა ფასიანი ქაღალდების, ძვირფასი მეტალების ან სხვა ძვირფასეულობათა შესანახად მიბარებისას ხდება, არამედ გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისათვის. ამიტომ საკრედიტო დაწესებულებაში ფულის შეტანა ანუ დეპოზიტზე ჩარიცხვა (ტერმინი „დეპოზიტი“ რომის სამართლიდან მოყოლებული ყოველთვის შენახვას გულისხმობდა) პირობითად ნიშნავს შენახვას. სწორედ ამიტომაა, რომ ეს ტერმინი განსახილველ მუხლში არ გვხვდება, თუმცა სრულად არც ანაბრის ხელშეკრულების შინაარსია გადმოცემული.

მიუხედავად ანაბრისა და საბანკო ანგარიშის ხელშეკრულებების მსგავსებისა, მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაც არსებობს. კერძოდ, საკრედიტო დაწესებულება მეანაბრეზე გაცემს სპეციალურ ფასიან ქაღალდს (წიგნაკი ან სერტიფიკატი), რომელიც მოთხოვნის უფლებას ადასტურებს, მაგრამ იგი არ შეიძლება მეანაბრის სხვა პირებთან უნაღდო ანგარიშსწორებას დაედოს საფუძვლად. იურიდიულ პირებს, საერთოდ, არ გააჩნიათ უფლება დეპოზიტზე შეტანილი სახსრები ანგარიშსწორებისათვის გამოიყენონ. ფიზიკურ პირებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ანგარიშსწორება აწარმოონ საანაბრო თანხებიდან, თუ ანაბარი შეტანილია მიმდინარე ანგარიშზე და საკრედიტო დაწესებულებას აძლევს დავალებას საანგარიშსწორებო მომსახურების გაწევის შესახებ. იგულისხმება, რომ ასეთი მომსახურება სასყიდლიანია. სხვა შემთხვევაში ფიზიკურ პირთა მიერ შეტანილი სახსრები ირიცხება საანაბრო ანგარიშზე და მათ მიმართ საბანკო ოპერაციები არ ტარდება.

საბანკო ანაბრის ხელშეკრულება აუცილებლად წერილობით უნდა დაიდოს. ამასთან, მისი კონკრეტული გამოხატვის ფორმა შეიძლება იყოს საშემნახველო წიგნაკი ან სადეპოზიტო სერტი-

ფიკატი. ისინი ფასიანი ქაღალდებია და შესაძლებელია სხვადასხვა სახისა იყოს (საწარმდგენლო, სახელობითი, პირობითი და სხვ.) შემნახველი წიგნაკი, ჩვეულებრივ, ეძლევათ ფიზიკურ პირებს, ხოლო სადეპოზიტო სერტიფიკატი კი – იურიდიულ პირებს.

საბანკო ანაბრის ხელშეკრულების შინაარსში ძირითადად საკრედიტო დაწესებულების ვალდებულებებზეა ყურადღება გამახვილებული. ბანკი ვალდებულია ანაბარზე გადაიხადოს განსაზღვრული პროცენტი. უმეტესად ბანკმა და მეანაბრემ შეთანხმების საფუძველზე უნდა გადაწყვიტონ პროცენტის ოდენობის საკითხი. თუ მხარეები ვერ თანხმდებიან ან ხელშეკრულებაში საერთოდ არ ითვალისწინებენ პროცენტის ოდენობას, მაშინ გამოიყენება საბანკოსადისკონტო პროცენტი. არ შეიძლება მხარეებმა უარი თქვან ანაბრის ანაზღაურებით ხასიათზე. მეანაბრე უფლებამოსილია მოითხოვოს როგორც ანაბრის, ისე მასზე დარიცხული პროცენტების დროული დაბრუნება. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანს წარმოადგენს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ვალდებულება მეანაბრეს მიაწოდონ სწორი ინფორმაცია ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ. ლიკვიდურობა არის ბანკის უნარი დროულად შეასრულოს აღებული ვალდებულება. ბონიტეტი კი მოკლევადიანი სავალო ვალდებულების აღების შესაძლებლობაა. ინფორმაციაში უნდა ჩანდეს ის საშუალებები, რომელთა საფუძველზე ბანკს სრულად გააჩნია უნარი აუცილებლად შეასრულოს აღებული ვალდებულებები. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება საწესდებო კაპიტალის, მიღებული გარანტიებისა და გირაოს გამოყენების შესაძლებლობა ანაბრების დაბრუნების უზრუნველსაყოფად ან ლიკვიდურობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და შესაბამის სტრუქტურებში განთავსების უფლება. ასეთი ინფორმაცია ხშირად საფუძველად ედება ხელშეკრულების დადებას, მითუმეტეს, რომ მეანაბრე თავისუფალია საკრედიტო დაწესებულების არჩევაში. ვინც მეტ გარანტიას მისცემს და დაარწმუნებს იმაში, რომ ანაბრის თანხა და პროცენტი

დაუბრკოლებლად იქნება დაბრუნებული, მეანაბრეც მასთან დადებს ხელშეკრულებას. ამიტომ აწესებს განსახილველი მუხლი იმ პირთა ქონებრივ პასუხისმგებლობას, რომლებმაც შეგნებულად არასწორი ინფორმაცია გასცეს ან უარი თქვეს საერთოდ ინფორმაციის გაცემაზე. მათ უნდა აანაზღაურონ ის ზიანი, რომელიც ასეთი არამართლზომიერი ქმედებით მიიღო მეანაბრემ. ასეთი პირები შეიძლება იყვნენ არამართო ისინი, ვინც უშუალოდ იღებენ ანაბრებს, არამედ საკრედიტო დაწესებულების ის დირექტორები, როგორც მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები, რომლებიც სარეკლამო ბროშურების მეშვეობით ან სხვაგვარად საჯაროდ ავრცელებენ არასწორ მონაცემებს ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ. ამით ისინი არასწორ სურათს ქმნიან და საბოლოოდ ხელს უწყობენ ან უშლიან მეანაბრეთა მოზიდვას ან განთესვას. დირექტორთა საქმიანობაში თუ გამოვლინდა ასეთი შემთხვევები, მაშინ მათ დაეკისრებათ სოლიდარული ქონებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 875. შემნახველი წიგნაკი

საკრედიტო დაწესებულება შემნახველი წიგნაკის გაცემისას უფლებამოსილია შეავსოს იგი როგორც სახელობით, ასევე წარმომდგენზე. თუ წარმომდგენი არ არის უფლებამოსილი, საკრედიტო დაწესებულება პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება მხოლოდ მაშინ, როცა წიგნაკის შევსებისას იგი არ მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

შემნახველი წიგნაკის გაცემას საკრედიტო დაწესებულება მეანაბრის სურვილის გათვალისწინებით აწარმოებს. იგი უფლებამოსილია წიგნაკი შეავსოს როგორც რომელიმე კონკრეტულ პირზე ე.ი. გასცეს სახელობითი წიგნაკი ან ასეთი პირი არ იყოს მითითებული და წიგნაკს ჰქონდეს საწარმდგენლო ხასიათი ე.ი. წიგნაკში მითითებულ საანაბრო თანხაზე მოთხოვნის უფლება წარმოეშობა

იმას, ვინც წიგნაკს წარადგენს საკრედიტო დაწესებულებაში. თუ საკრედიტო დაწესებულებამ წიგნაკი წარმომდგენზე გასცა ისეთ პირზე, რომელიც არ არის უფლებამოსილი და გაატარა კიდევ თავის სააღრიცხვო დოკუმენტებში, საერთო წესის მიხედვით იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ თუ მან განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით საწარმდგენლო წიგნაკი არაუფლებამოსილ პირზე (მაგალითად, ქმედუნარო ან სრულიად უცხო პირი) შეავსო, რამაც გამოიწვია საანაბრო თანხის არამართლზომიერად შემცირება ან სრულად გატანა, მენაბრისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაეკისრება საკრედიტო დაწესებულებას.

IV. დოკუმენტური (სასაქონლო) აკრედიტივი.

დოკუმენტალური ინკასო

მუსლი 876. ცნება

1. აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რეპიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა ან გაანადლოს რეპიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი, მოაზღინოს აქცეპტი, ანდა დაავალოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები.

2. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.

აკრედიტივი არის ბანკის მიერ კლიენტის ანუ აკრედიტივის დავალების მიმცემის განკარგულებით მისი კონტრაქტის სასარგებლოდ, ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ფულადი ვალდებულება, რომლის მიხედვითაც აკრედიტივის გამხსნელ ბანკს ანუ რეპიტენტს შეუძლია თავისი კლიენტის კრედიტორს გადაუხა-

დოს ფულადი თანხა, ან შეასრულოს სხვა სახის ფულადი ხასიათის ვალდებულება. კლიენტი კი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს შეთანხმებული საზღაური. „აკრედიტივი“ გერმანული წარმოშობისაა და ნიშნავს უფლებამოსილებას განსაზღვრული მოქმედების განსახორციელებლად. აკრედიტივით ანგარიშსწორების არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამყიდველი იღებს გადახდის მყარ გარანტიას, ხოლო მყიდველი ამის შედეგად იძენს საკუთრების უფლებას გავრცელებულ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. აკრედიტივი ამ დროს ატარებს არა მარტო ანგარიშსწორების ფორმის სახეს, არამედ საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალების ფუნქციასაც.

აკრედიტივთან დაკავშირებულ ურთიერთობებში მონაწილეობენ: გადამხდელი (აკრედიტივის დავალების მიმცემი), გადამხდელის ბანკი (ბანკი-ემიტენტი), მიმღების ბანკი (შემსრულებელი ბანკი) და თანხის მიმღები (გამყიდველი ანუ ბენეფიციარი). ანგარიშსწორება შემდეგი სტადიებისაგან შედგება: 1. გადამხდელის მიერ ბანკი-ემიტენტისათვის დავალების მიცემა აკრედიტივით ანგარიშსწორებაზე; 2. ბანკი-ემიტენტის მიერ აკრედიტივით ანგარიშსწორებაზე უფლებამოსილების მინიჭება შემსრულებელი ბანკისათვის; 3. გამყიდველის მიერ აკრედიტივის საბუთების წარდგენა; 4. შემსრულებელი ბანკის მიერ თანხის გადახდა წარდგენილი აკრედიტივის საბუთების სანაცვლოდ. შესაძლებელია ბანკი-ემიტენტი და შემსრულებელი ბანკი ერთი და იგივე დაწესებულება იყოს. ასეთ შემთხვევაში საანგარიშსწორებო ოპერაცია უფრო მარტივ სახეს ღებულობს. აკრედიტივი ანგარიშსწორების გავრცელებული ფორმაა და იგი ბანკსა და მის კლიენტს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება. ხაზგასმულია აკრედიტივის დოკუმენტალური ხასიათი, რაც იმას გულისხმობს, რომ გადახდა წარმოებს აკრედიტივში მითითებული დოკუმენტების წარდგენისა და სხვა პირობების შესრულების შემდეგ. აკრედიტივი გარიგების ნაირსახეობაა, რომელიც გამიჯნულია ნასყიდობის, მიწოდების ან სხვა ხელშეკრულებისაგან და დაინტერესებული მხ-

არეები მხოლოდ დოკუმენტების საფუძველზე ახდენენ ანგარიშსწორებას. აკრედიტივის გამხსნელ ბანკს მისი კლიენტის ბრძანებით ევალუა არა მარტო ფულადი თანხა გადაუხადოს, არამედ თუ საჭიროა, გაანაღდოს რემიტენტისაგან გადმოპირებული ტრატა თამასუქი ან მოახდინოს თამასუქის განაღდებისათვის აუცილებელი აქცეპტის გაცემა. აკრედიტივის საფუძველზე შესაძლებელია აკრედიტივის გამხსნელ ბანკს დაევალოს ამ ოპერაციის სხვა ბანკისათვის გადაკისრება. ამ შემთხვევაში შემსრულებელი ბანკი, ისე როგორც ემიტენტი-ბანკი, მხოლოდ მაშინ შეასრულებს სააკრედიტივო ოპერაციას, თუ სახსრების მიმღების მიერ წარდგენილი დოკუმენტები პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს. აკრედიტივი იხსნება განსაზღვრული დროით. იგი უნდა გაიხსნას მხოლოდ ერთ პირთან ანგარიშსწორებისათვის. აკრედიტივი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. კერძოდ, დეპონირებული, გარანტირებული, გამოთხოვადი და გამოუთხოვადი აკრედიტივები. დეპონირებულია ისეთი აკრედიტივები, რომელთა განხნისას ემიტენტი-ბანკი დროებით გადარიცხავს გადამხდელის საკუთარ სახსრებს ან მისთვის გაცემულ კრედიტს შემსრულებელი ბანკის განკარგულებაში. გარანტირებული აკრედიტივი შეიძლება გაიხსნას შემსრულებელ და არა ემიტენტ-ბანკში. ამ დროს მას ეძლევა უფლება აკრედიტივის მთელი თანხით სახსრები ჩამოწეროს ემიტენტი-ბანკის ანგარიშიდან. გარანტირებული აკრედიტივი ძირითადად გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როცა ემიტენტ-ბანკს და შემსრულებელ ბანკს შორის არსებობს საკორესპოდენტო ურთიერთობა.

თითოეულ აკრედიტივში გარკვევით უნდა აღინიშნოს, შეიძლება თუ არა მისი გამოთხოვა. თუ ასეთი მინიშნება არ არის, აკრედიტივის გამოთხოვა აკრძალულია. გამოთხოვადი აკრედიტივი შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს ემიტენტი-ბანკის მიერ სახსრების მიმღებ პირთან შეთანხმების გარეშე. ემიტენტი-ბანკის კლიენტს უფლება აქვს თავის კრედიტორს აკრედიტივის პირობების შეცვლის შესახებ განკარგულებები მისცეს მხოლოდ ემიტენტი-ბანკის მეშვეობით, რომელმაც ყოველივე უნდა შეატყობინოს შემსრულებელ

ბანკს, ამ უკანასკნელმა კი – კრედიტორ პირს. შემსრულებელი ბანკი ვალდებულია გაანადღოს აკრედიტივში მითითებული დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა და სხვა პირობები, თუ მას რაიმე შეტყობინება აკრედიტივის შეცვლის ან გაუქმების შესახებ არ მიუღია. გამოუთხოვადი აკრედიტივი არ შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს კრედიტორის თანხმობის გარეშე. ასეთი აკრედიტივი მყარი გარანტიაა გადახდის ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. ეს სიმყარე იმაში გამოიხატება, რომ ემიტენტი-ბანკის წინადადებით შემსრულებელი ბანკი წინასწარ ადასტურებს აკრედიტივის გამოუთხოვად ხასიათს. დადასტურებული გამოუთხოვადი აკრედიტივის გადაუხდელობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც ემიტენტ, ისე შემსრულებელ ბანკს მაშინ, როცა დაუდასტურებელი აკრედიტივის შეუსრულებლობაზე პასუხს მხოლოდ ემიტენტი-ბანკი აგებს.

აკრედიტივის მოქმედების კონკრეტული ვადა და ანგარიშსწორების წესი განისაზღვრება კრედიტორსა და მოვალეს შორის დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 877. საინკასო დავალება

საინკასო დავალებით საინკასო ოპერაციაზე უფლებამოსილი საკრედიტო დაწესებულება (ბანკი) კისრულობს ვალდებულებას, კლიენტის (მარწმუნებლის) დავალებით გასცეს საგაჭრო ფასიანი ქაღალდები აქცეპტირების და/ან, აუცილებლობის შემთხვევაში, – გადამხდელის მიერ გადახდის სანაცვლოდ.

აკრედიტივისაგან განსხვავებით საანგარიშსწორებო ოპერაცია საინკასო დავალებისას იწყება კრედიტორის ინიციატივით. ოპერაციაში მონაწილეობას ღებულობენ: მარწმუნებელი ანუ კრედიტორი, რომელიც ავალებს ბანკს საინკასო ოპერაციების განხორციელებას; ბანკი-ემიტენტი, რომელმაც თავისი კლიენტის დავალებით იკისრა ინკასირება; სხვა ბანკი, რომელიც მონაწილეობას ღებუ-

ლობს საინკასო ოპერაციის შესრულებაში ძირითადად საინკასო დავალების გადამხდელისათვის წარდგენით; გადამხდელი ანუ მოვალე, რომელსაც უნდა წარედგინოს საინკასო დავალბა.

საინკასო დავალების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ემიტენტი-ბანკი თავისი კლიენტის ანუ მარწმუნებლის დავალებითა და მისივე ხარჯით ახორციელებს ოპერაციებს კლიენტის მოვალისაგან ანუ გადამხდელისაგან გადახდაზე აქცეპტის მიღების ან გადასახდელი თანხის გადამხდელის ანგარიშიდან უდავოდ ჩამოწერის მიზნით. შესაძლებელია აგრეთვე ემიტენტმა-ბანკმა გასცეს კომერციული დოკუმენტი აქცეპტის ან გადახდის სანაცვლოდ. სამოქალაქო კოდექსი სწორედ ამ ფორმაზე ამახვილებს ყურადღებას.

საინკასო ოპერაციების საფუძველს წარმოადგენს კონკრეტული დოკუმენტები, რომლებშიც გამოხატულია გადამხდელისადმი წასაყენებელი მოთხოვნების დასაბუთება. მათ მიეკუთვნება როგორც საფინანსო (ჩეკი, თამასუქი, საგადამხდლო ხელწერილი და სხვ.), ისე კომერციული (ანგარიშები, ვარატები, სავაჭრო ფასიანი ქაღალდები და სხვ.) დოკუმენტები. კოდექსი ითვალისწინებს ემიტენტი-ბანკის მიერ სავაჭრო ფასიანი ქაღალდების გაცემას – აქცეპტირების ან გადახდის სანაცვლოდ.

საინკასო დავალების შესრულება იმაში მდგომარეობს, რომ გადამხდელის მომსახურე ანუ შემსრულებელი ბანკი ვალდებულია გადამხდელს წარუდგინოს რემიტენტი ბანკისაგან მიღებული საგადამხდლო დოკუმენტები. თუ ისინი პასუხობენ საბანკო წესებით დადგენილ მოთხოვნებს, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მათი განაღდება. შემსრულებელმა ბანკმა უნდა ჩამოწეროს გადამხდელის ანგარიშიდან დავალებაში მითითებული თანხები და გადარიცხოს ემიტენტი-ბანკის განკარგულებაში. ეს უკანასკნელი კი გადამხდელისაგან მიღებულ თანხებს ჩარიცხავს თავისი კლიენტის – მარწმუნებლის ანგარიშზე. ასევე ხდება გადამხდელისაგან გადახდის აქცეპტის მიღება. ემიტენტი ბანკი აქცეპტის მიღების შესახებ ატყობინებს თავის კლიენტს.

საინკასო დავალებით ანგარიშსწორების დროს ბანკი-ემიტენტი პასუხს აგებს თავისი კლიენტის წინაშე დავალების შეუსრულებლობისათვის, იმ ზიანისათვის, რაც მოუვიდა ამის გამო კლიენტს. რაც შეეხება შემსრულებელ ბანკს, იგი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, თუ საინკასო დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო მისი ბრალით.

მუხლი 878. საერთაშორისო მიმოქცევის ჩვეულებები

თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საერთაშორისო მიმოქცევაში დოკუმენტალური აკრედიტივის ან დოკუმენტალური ინკასოს დამკვიდრებული ჩვეულებების მიხედვით.

საანგარიშსწორებო ხელშეკრულებაში, რომელიც ბანკსა და მის კლიენტურას შორის იდება, ზოგადადაა გადმოცემული მხარეთა უფლება-მოვალეობანი. მათი შინაარსი ვრცელდება ანგარიშსწორების ცალკეული ფორმების მიმართაც. შესაძლებელია სააკრედიტივო ან საინკასო ანგარიშსწორებისას მხარეებმა გაითვალისწინონ კონკრეტული უფლება-მოვალეობებიც, აგრეთვე ანგარიშსწორების კონკრეტული წესები. მხარეთა სურვილის მიუხედავად, მათი უფლება-მოვალეობები სრულყოფილად ვერ აისახება ხელშეკრულებაში ან ყველა დეტალზე შეთანხმება მხარეთა შორის შეიძლება არც მოხდეს. ასეთ შემთხვევაში მათი შევსება ხდება იმ საერთაშორისო ჩვეულების მიხედვით, რაც გამომუშავებული და აპრობირებულია საერთაშორისო სააკრედიტივო და საინკასო ანგარიშსწორების სფეროში. საერთაშორისო სავაჭრო პალატამ მოახდინა იმ ჩვეულებით-სამართლებრივი ნორმების სისტემატიზაცია, რომლებიც ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმას ეხება. ამ ორგანიზაციის ვენის 1933 წლის კონგრესზე მოწონებულ იქნა დოკუმენტალური აკრედიტივის წესები და ჩვეულებები. მას შემდეგ ისინი მრავალჯერ გადაისინჯა და გამოიცა ახალი რედაქციებით. ამ პროცესში გაერთიანებული

ერების ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურებიც დებულობდნენ მონაწილეობას, რაც მრავალი ქვეყნის საბანკო და კომერციული პრაქტიკის გათვალისწინების შესაძლებლობას ქმნიდა. თანამედროვე პირობებში აღნიშნულ წესებსა და ჩვეულებებს უნივერსალური ხასიათი აქვს და გამოიყენება უმრავლეს ქვეყნებში.

არსებითად იგივე დებულებები გამოიყენება საინკასო ოპერაციების მიმართაც, რადგან ანგარიშსწორების ეს ფორმა შედარებით ნაკლებადაა დამუშავებული ეროვნული კანონმდებლობით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ სფეროში საერთაშორისო პრაქტიკით და ლოქტრინით დამკვიდრებულ ჩვეულებებს, როგორც საინკასო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელოვან ბაზას. პირველად ლოკუმენტალური ინკასოს უნიფიცირებული წესები და ჩვეულებები სისტემატიზებული სახით მიღებულ იქნა საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ 1966 წელს. პერიოდულად ხდება მათი გადასინჯვა და ცვლილება-დამატებების შეზღვევ ახალი რედაქციით გამოქვეყნება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლი მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის საერთაშორისო ჩვეულებით-სამართლებრივი ნორმების ფართოდ გამოყენებისათვის და საერთაშორისო სამართლებრივი კულტურის მიღწევათა საქართველოში დანერგვისათვის.

V. საბანკო გარანტია

მუხლი 879. ცნება

საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

საბანკო გარანტია წარმოადგენს ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას. იგი თვითონაა ვალდებულება, რომელიც კანონით განსაზღვრულ პირებს შორის წარმოიშობა. მისი მიზანია ძირითადი ვალდებულების შესრულება.

საბანკო გარანტიის ვალდებულების მონაწილენი არიან გარანტი და პრინციპალი. გარანტად შეიძლება გამოვიდნენ ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია. კანონის მიხედვით, სხვა პირს გარანტის როლში გამოსვლის უფლება არა აქვს. პრინციპალია ის პირი, რომელიც ძირითად ვალდებულებაში მოვალედ გამოდის და თავისი ვალდებულების შესრულების პროცესში გარანტად დადგომას თხოვს საკრედიტო დაწესებულებას ან სადაზღვევო ორგანიზაციას. გარანტის სამსახური კი იმაში გამოიხატება, რომ პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას მის კრედიტორს ანუ ბენეფიციარს გადაუხადოს პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისი ფულადი თანხა. გარანტი პრინციპალის წერილობითი თხოვნის საფუძველზე წერილობითვე კისრულობს გადახდის ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე. გადახდა უნდა მოხდეს ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. საბანკო გარანტიის ვალდებულება გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული ცალმხრივი ხელშეკრულების დადების საფუძველზე წარმოიშობა. გარანტი კისრულობს ვალდებულებას აუცილებლობის შემთხვევაში შეასრულოს პრინციპალის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე, ხოლო პრინციპალი ამისათვის მას უხდის განსაზღვრულ საზღაურს. ვალდებულების ძირითად სუბიექტად არ გამოდის ბენეფიციარი. კანონი არ ითხოვს ამ უკანასკნელის მიერ გარანტიის მიღებას. საბანკო გარანტიის ხელშეკრულება დადებულად ითვლება გარანტსა და პრინციპალს შორის შეთანხმების მიღწევის ანუ საბანკო გარანტიის გაცემის მომენტიდან. აქედან გამომდინარე, საბანკო გარანტიის ხელშეკრულება რეალურია.

მუხლი 880. საზღაური საბანკო გარანტიისათვის

1. საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას.

2. საბანკო გარანტიის მიცემისათვის პრინციპალი უხდის გარანტს შეთანხმებულ საზღაურს.

საბანკო გარანტიის ხელშეკრულება ანაზღაურებითი ხასიათისაა. კანონის დებულება ანაზღაურების სავალდებულობის თაობაზე განპირობებულია საკრედიტო დაწესებულების მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციით — უზრუნველყოს ბენეფიციარის წინაშე პრინციპალის მიერ ნაკისრი მოვალეობის სათანადო შესრულება. მაგალითად, თუ პრინციპალს ბენეფიციარისაგან ნასესხები აქვს ათასი ლარი, გადახდის ვადის დადგომისას პრინციპალს არ აღმოაჩნდება ვალის გასასტუმრებელი თანხები, მაშინ მის ნაცვლად ბენეფიციარს სასესხო თანხას სრულყოფილად გადაუხდის საკრედიტო დაწესებულება. ამ უკანასკნელმა შეიძლება სასესხო თანხის ის ნაწილი გადაიხადოს, რაც პრინციპალს აკლია ვალის დასაბრუნებლად. საბოლოოდ, გარანტი ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობას იცილებს თავიდან. ამით მან პრინციპალი ქონებრივ პასუხისმგებლობას ააცილა. სწორედ ამიტომაც აუცილებელი ასეთი სამსახურის გაწვევისათვის პრინციპალმა გადაიხადოს სათანადო საზღაური. საზღაურის ოდენობა განისაზღვრება მხარეების მიერ საგარანტიო ვალდებულების ღირებულების გათვალისწინებით.

მუხლი 881. გარანტის ვალდებულების დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისაგან

საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფად არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე.

საბანკო გარანტიაში კონკრეტულად მიეთითება გარანტის უფლება-მოვალეობები როგორც პრინციპალის, ისე ბენეფიციარის მიმართ. მართალია, საბანკო გარანტიის ძირითადი სუბიექტები გარანტი და პრინციპულია, მაგრამ განსაზღვრული ურთიერთობები ყალიბდება აგრეთვე გარანტსა და ბენეფიციარს შორის. გარანტს მკვეთრად გამოყოფილი მოვალეობები აკისრია ბენეფიციარის წინაშე. მათ განსაზღვრული ავტონომიურობა ახასიათებთ. გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობისას გარანტის ვალდებულება არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც გაიცა იგი. ძირითადი ვალდებულება შეიძლება შეწყდეს, გაბათილდეს ან შეიცვალოს სხვადასხვა მიზეზის გამო. ასეთ შემთხვევებში ურთიერთობა გარანტსა და ბენეფიციარს შორის კვლავაც შენარჩუნებული იქნება. ბენეფიციარს ყოველთვის შეუძლია გარანტს მოსთხოვოს თავისი მოვალეობის შესრულება, თუ, რა თქმა უნდა, სახეზე არ არის ბენეფიციარის მხრიდან გარანტიის არსებითი პირობის დარღვევა. გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე თავის ავტონომიურობას მაშინაც კი ინარჩუნებს, როცა საბანკო გარანტიაში კონკრეტულადაა მითითებული გარანტიით უზრუნველსაყოფი ძირითადი ვალდებულების შესახებ.

ზემოაღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მსგავსი ურთიერთობა არსებობს გარანტსა და პრინციპალს შორის. ბუნებრივია, რადგან საბანკო გარანტია პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს, მათ შორის ურთიერთობა ძირითადი ვალდებულებითაა განპირობებული. თუ ძირითადი ვალდებულება შესრულდა გარანტის ან პრინციპალის მიერ, გარანტია წყდება და იხსნება ამასთან დაკავშირებული პრინციპალის ვალდებულება გარანტის წინაშე. საგარანტიო ურთიერთობებში მხოლოდ გარანტისა და ბენეფიციარის ურთიერთობებია სპეციფიკური და ერთგვარი დამოუკიდებელი ხასიათისა.

მუსლი 882. საბანკო გარანტიის გამოთხოვის დაუშვებლობა

საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტის მიერ, თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მართალია, საბანკო გარანტია საბანკო დაწესებულებასა და ბენეფიციარს შორის შეთანხმების საფუძველზე გაიცემა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გარანტს უფლება ქონდეს ნებისმიერ შემთხვევაში უარი თქვას ნაკისრ ვალდებულებაზე და ბენეფიციარს არ გადაუხადოს პრინციპალის მხრივ გადასახდელი თანხა. აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივ, არ არსებობს საბანკო გარანტიის გამოთხოვის შესაძლებლობა. გარანტის ასეთი შეზღუდვა ამ ინსტიტუტის სიმყარისათვის ზრუნვის მაჩვენებელია. გარანტი რადგან ნებაყოფლობით ერთდება ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის ურთიერთობაში, მან ბოლომდე უნდა ზიდოს ნაკისრი ვალდებულება. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება გარანტის ვალდებულების შეწყვეტის კანონით გათვალისწინებული საფუძველები. გამონაკლის შემთხვევაში, როცა გარანტი და პრინციპალი ამის თაობაზე სპეციალურად შეთანხმდებიან, შესაძლებელია საბანკო გარანტიის უკან გამოთხოვა. გარანტს შეუძლია პრინციპალთან დადებულ ხელშეკრულებაში კონკრეტულად მიუთითოს იმ საფუძველებზე, რაც მას უფლებას მისცემს პრინციპალის წინაშე დააყენოს საკითხი ნაკისრ ვალდებულებაზე უარის თქმის შესახებ.

მუსლი 883. ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის სხვა პირისათვის გადაცემის დაუშვებლობა

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლება გარანტის მიმართ არ შეიძლება გადაეცეს

სხვა პირს, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საბანკო გარანტიის სპეციფიკურობითაა განპირობებული ბენეფიციარის მიმართ დაწესებული შეზღუდვა. როცა გარანტიის მიმართ მოთხოვნის უფლება უჩნდება ბენეფიციარს, იგი ამ დროს, ჩვეულებრივ, კრედიტორის სტატუსს იძენს. მას შეუძლია გარანტს მოსთხოვოს იმ ვალდებულების შესრულება, რაც არ შეასრულა პრინციპალმა. მაგრამ, ჩვეულებრივი კრედიტორებისაგან განსხვავებით, კრედიტორ-ბენეფიციარი არ არის უფლებამოსილი მოთხოვნის უფლება სხვა პირს დაუთმოს. იგულისხმება, რომ გარანტი შეიძლება თანახმა არ იყოს სხვა პირისათვის პრინციპალის ვალდებულების შესრულებაზე და, გარდა ამისა, საბანკო გარანტია კონკრეტულ პირებს შორის არსებული ძირითადი ვალდებულების შესრულებას ემსახურება. აქედან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ გარანტიის მიმართ მოთხოვნის სხვა პირისათვის გადაცემა იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ საბანკო გარანტიით ასეთი რამ შესაძლებლადაა მიჩნეული.

მუხლი 884. საბანკო გარანტიის შესვლა ძალაში

საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საბანკო გარანტიისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მისი მოქმედება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. გარანტიის მოქმედების ვადა აღნიშნული უნდა იყოს გარანტსა და პრინციპალს შორის შეთანხმებაში. მასზე მიეთითება თვით საბანკო გარანტიაშიც. მაგალითად, შესაძლებელია გარანტია გაიცეს ერთი, ორი ან სამი წლით. გარანტიაში შეიძლება მითითებულ იქნეს რომელიმე წლის კონკრეტული თარიღი, რომლის დადგომამდეც მოქმედებს გარანტია. გარანტიის მოქმედების დაწყების ვადა, ჩვეულებრივ, არ შეიძლება მისი გაცემის დღეს არ ემთხვეოდეს. ამი-

ტომ მიუთითებს კანონი, რომ საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან. არა აქვს მნიშვნელობა იმას, გარანტი და პრინციპალი ამის თაობაზე შეთანხმდებიან თუ არა. სხვა საკითხია, როცა ისინი სპეციალური შეთანხმებით ითვალისწინებენ საბანკო გარანტიის მოქმედების დაწყების სხვა ვადას. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმა არ მოქმედებს და საბანკო გარანტია ძალაში შევა მასში მითითებული დროიდან.

მუსლი 885. მოთხოვნის წარდგინის ფორმა

1. საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია.

2. ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა.

გარანტის ძირითადი მოვალეობაა პრინციპალის ნაცვლად ბენეფიციარს გადაუხადოს განსაზღვრული თანხა. ამის საფუძველი კი პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობაა. იმისათვის, რომ გარანტის მიერ ნაკისრი ვალდებულების რეალიზაცია დაიწყოს, საჭიროა ბენეფიციარმა მას წერილობითი ფორმით წარუდგინოს ფულადი თანხის გადახდის მოთხოვნა. მოთხოვნას უნდა დაერთოს ის დოკუმენტები, რომლებიც გარანტიაშია მითითებული. ასეთი დოკუმენტები ადასტურებენ ძირითადი ვალდებულების არსებობას და გარანტის მიერ ბენეფიციარის წინაშე აღებული ვალდებულების შინაარსს. ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში ან მის დანართში უნდა მიეთითოს მოთხოვნის მთავარი საფუძველი — პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქ-

ტი, აგრეთვე ის, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ თავისი მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება იმ ძირითად ვალდებულებაში, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც გაიცა საბანკო გარანტია. ბენეფიციარის მოთხოვნა წარმოადგენს გარანტიის ვალდებულების წარმოშობის დამადასტურებელ ძირითად იურიდიულ დოკუმენტს, ამიტომ კანონი ზუსტად განსაზღვრავს მისი წარდგენის ვალსადაც. კანონის პოზიცია ამ მხრივ ცალსახაა – ბენეფიციარმა ფულადი თანხის გადახდის მოთხოვნა გარანტს უნდა წარუდგინოს იმ ვადის ფარგლებში, რა ვადითაც გაიცა საბანკო გარანტია. საგარანტიო ვადის დამთავრების შემდეგ მოთხოვნის წაყენებას სამართლებრივი მნიშვნელობა არ ექნება.

მუხლი 886. გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისას

1. ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ პრინციპალს და გადასცეს მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტიურთ.

2. გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით უნდა განიხილოს გონივრულ ვადაში და გამოიჩინოს გონივრული მზრუნველობა იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს.

ბენეფიციარის მოთხოვნა არ არის უდავო დოკუმენტი. შესაძლებელია მასში ზოგიერთი მომენტი დასაზუსტებელი იყოს ან სულაც არ შეესაბამებოდეს რეალობას. ამიტომ გარანტი მიიღებს რა ბენეფიციარის მოთხოვნას, უნდა შეუდგეს მის ანალიზს. ჯერ ერთი, მოთხოვნა ყველა თანდართული დოკუმენტით, ასლის სახით, გადასცეს პრინციპალს, რომელმაც უნდა დაადასტუროს ან უარყოს თავისი მოვალეობების შესრულება ძირითად ვალდებულებაში და გარანტი საქმის კურსში შეიყვანოს საგარანტიო ვალდებულებ-

ის შინაარსთან დაკავშირებით. მეორეც, გარანტმა თვითონ უნდა განიხილოს ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი მასალები გარანტიის პირობებს. გარანტმა განხილვა უნდა მოახდინოს გონივრულ ვადაში და გონივრული მზრუნველობით. გონივრულობაზე მითითება ამ შემთხვევაში იმითაა განპირობებული, რომ გამოირიცხოს გარანტის მხრივ მისი მოვალედ აღიარების ვადის ხელოვნური გადაწევა და, აქედან გამომდინარე, ფულადი ვალდებულების შესრულების გადაცილება. გარანტის მხრივ ბენეფიციარის მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების განხილვის პროცესში არაგონივრულობის გამოვლენის ცდის საკითხი უნდა განიხილოს სასამართლომ.

მუხლი 887. გარანტის უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე

1. გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ. გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ.

2. თუ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისათვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძველებით ან ბათილია, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას.

ბენეფიციარის მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების

განხილვის შემდეგ გარანტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, გადაიხადოს საბანკო გარანტიით ნაკისრი თანხა თუ არა. გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს თავის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ შემთხვევაში, თუ: 1. წარდგენილი მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს (მაგალითად, ითხოვს გაცილებით მეტ თანხას, ვიდრე საბანკო გარანტიაშია აღნიშნული), და 2. მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარანტს წარედგინა მას შემდეგ, რაც საგარანტიო ვადა უკვე გავიდა. ამ შემთხვევებში სახეზეა ბენეფიციარის მხრივ კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობა. ამის გამო გარანტი თავისუფლდება ფულადი თანხის გადახდის მოვალეობისაგან. მას ისლა ევალება მხოლოდ, რომ ბენეფიციარს დაუყოვნებლივ აცნობოს მისი მოთხოვნის უარყოფის შესახებ.

ბენეფიციარის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე თუ გარანტისათვის ცნობილი გახდა, რომ ძირითადი ვალდებულება, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც გაცემული იყო საბანკო გარანტია, უკვე შესრულებულია, ან ასეთი ვალდებულება კანონით გათვალისწინებული რაიმე საფუძველით შეწყდა ან კიდევ გაბათილდა, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარსა და პრინციპალს. ასეთი შეტყობინების შემდეგ შეიძლება ბენეფიციარმა უარი თქვას თავის მოთხოვნაზე. მაგრამ, თუ ბენეფიციარის მოთხოვნა განმეორდა, მაშინ გარანტმა იგი უნდა დააკმაყოფილოს. ამ დროს გარანტის მიერ გაკეთებულ შეტყობინებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად ბენეფიციარის წინაშე მანამდე, ვიდრე იგი ბენეფიციარისაგან არ მიიღებს განმეორებით მოთხოვნას და მისი განხილვის გონივრული ვადა არ გავა. ამგვარად, გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის და პრინციპალისათვის შეტყობინების გაგზავნა თავისთავად საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულებისაგან განთავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენს. მან ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა მაინც უნდა დააკმაყოფილოს. ასეთ ვითარებაში

შესაძლებელია ძირითადი ვალდებულება ორმაგად შესრულდეს – ჯერ ერთი პრინციპალის და მეორეც, გარანტის მიერ. ამიტომ უნდა მოხდეს ზედმეტი შესრულების დაბრუნება. თუ გარანტმა განმეორებითი მოთხოვნის შემდეგ ძირითადი ვალდებულების მოვალესთან ერთად შეასრულა ბენეფიციარის მოთხოვნა, მაშინ გარანტს შეუძლია ორივე შესრულების უკან დაბრუნება მოითხოვოს. ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა ზედმეტი ტვირთი არ უნდა იყოს არც გარანტისათვის და არც პრინციპალისათვის.

მუსლი 888. გარანტის ვალდებულების შარბლები

საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია.

საბანკო გარანტიის გაცემის დროს კონკრეტულად განისაზღვრება ის თანხა, რომლის ფარგლებშიც კისრულობს გარანტი გადახდის ვალდებულებას. ეს თანხა შეიძლება სრულად არც შეესაბამებოდეს პრინციპალის მიერ ნაკისრი ძირითადი ვალდებულების ღირებულებას. ამიტომ, საბანკო გარანტია წარმოადგენს არა მთელი ძირითადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ მხოლოდ იმ ნაწილისას, რომლის შესაბამისიცაა გარანტის მიერ შეპირებული თანხა. მაგალითად, თუ ძირითადი ვალდებულება ორი ათასი ლარია, ხოლო გარანტმა ბენეფიციარის წინაშე ათასი ლარის გადახდა იკისრა, მას არავითარ შემთხვევაში არ დაეკისრება ათას ლარზე მეტის გადახდა. შესაძლებელია გარანტი მთელი ძირითადი ვალდებულებით გათვალისწინებული თანხის გადახდას კისრულობდეს, მაშინ, ბუნებრივია, ბენეფიციარმა მას ძირითადი ვალდებულების მთელი თანხის გადახდა უნდა მოთხოვოს.

*მუხლი 889. გარანტიის ვალდებულების შეწყვეტის
საფუძვლები*

1. გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წყდება:
 - ა. ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;
 - ბ. გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა;
 - გ. ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმისა და მათი გარანტიისათვის დაბრუნებისას.
2. გარანტმა, რომლისთვისაც ცნობილი გახდა გარანტიის შეწყვეტის შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის თაობაზე პრინციპალს.

კანონი არა მარტო იმ შემთხვევებს განსაზღვრავს, როცა გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, არამედ იმასაც, თუ რა შემთხვევებში წყდება ბენეფიციარის მიმართ უკვე წარმოშობილი ვალდებულება. ესენია: ბენეფიციარისათვის საგარანტიო თანხის გადახდა, საგარანტიო ვადის გასვლა და ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე უარის თქმა გარანტის სასარგებლოდ. უკანასკნელ შემთხვევაში საგარანტიო ვალდებულება წყდება ბენეფიციარის ნების გამოვლინების საფუძველზე. გარანტის თანხმობა არ არის საჭირო. ამიტომ ბენეფიციარმა თავისი ნება საგარანტიო ვალდებულების შეწყვეტის შესახებ წერილობით უნდა გამოხატოს. სხვა შემთხვევებში გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ არ წყდება. საგარანტიო ვალდებულების შეწყვეტის საფუძველს არ წარმოადგენს თუნდაც ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა, რადგან მას დამოუკიდებელი ხასიათი გააჩნია.

გარანტიის შეწყვეტის საფუძველების წარმოშობისას გარანტმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პრინციპალს. შეტყობინების შემდეგ გარანტსა და პრინციპალს შორის არსებული შეთანხმების გადასინჯვა უნდა მოხდეს.

მუსლი გვი. რეპრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

1. გარანტიის უფლება, მოითხოვოს პრინციპალისაგან რეგრესის წესით იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით, განისაზღვრება პრინციპალთან გარანტიის იმ შეთანხმებით, რომლის შესასრულებლადაც გაიცა გარანტია.

2. გარანტს არა აქვს უფლება მოსთხოვოს პრინციპალს იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ გარანტიის ვალდებულების დარღვევის გამო, თუ პრინციპალთან გარანტიის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ბენეფიციარის მიმართ გარანტიის მიერ თავისი ვალდებულების შესრულების შემდეგ ამ უკანასკნელს წარმოეშობა უფლება პრინციპალისაგან რეგრესის წესით მოითხოვოს იმ თანხების გადახდა, რაც ბენეფიციარმა გარანტისაგან უკვე მიიღო. ასეთი მოთხოვნის საფუძველია გარანტსა და პრინციპალს შორის მიღწეული შეთანხმება, საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე. თუ შეთანხმება რეგრესული მოთხოვნის შესახებ არ არსებობს, მაშინ პრინციპალი თავისუფლდება ასეთი ვალდებულების შესრულებისაგან. ამგვარად, პრინციპალის ვალდებულება – რეგრესის წესით გარანტს გადაუხადოს ამ უკანასკნელის მიერ ბენეფიციარისათვის უკვე გადახდილი თანხა, წარმოიშობა არა კანონის, არამედ გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულებით.

კანონი მხოლოდ იმას განსაზღვრავს, რომ გარანტს უფლება არა აქვს მოსთხოვოს პრინციპალს იმ სახსრების გადახდა, რომელიც ბენეფიციარს არამართლზომიერად აუნაზღაურდა. კერძოდ, ბენეფიციარს თუ თანხები გადაეცა გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ან მის მიმართ გარანტიის ვალდებულების დარღვევის გამო, ბუნებრივია, ასეთი თანხების რეგრესული წესით გარანტისათვის ანაზღაურებასთან პრინციპალს შემხებლობა არ უნდა ჰქონდეს. ამ

წესიდან შეიძლება გამონაკლისი გაკეთდეს მხოლოდ მაშინ, თუ ასეთი შესაძლებლობის შესახებ პირდაპირაა აღნიშნული გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულებაში.

თავი ოცდამეორე

თავდებობა

მუხლი 891. ცნება

1. თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად.

2. თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სამომავლო და პირობითი ვალდებულებებისათვის.

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის პიროვნულ საშუალებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თავდებობას. იგი ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებით. თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი სუბიექტებია თავდები და კრედიტორი. თავდები ის პირია, რომელიც სხვა პირის კრედიტორის წინაშე კისრულობს პასუხისმგებლობას მოვალესთან ერთად შეასრულოს ის ვალდებულება, რომლის მოთხოვნის უფლებაც კრედიტორს გააჩნია. მაგალითად, თუ ერთმა პირმა ფული ასესხა მეორეს, მესამე პირს შეუძლია პირველის წინაშე მეორესთან ერთად იკისროს პასუხისმგებლობა სესხის დროული და რეალური დაბრუნებისათვის. თუ მოვალე სესხს ვერ დააბრუნებს, მისი გადახდის ვალდებულება კრედიტორის წინაშე დაეკისრება მესამე პირს – თავდებს.

თავდებსა და მოვალეს შორის სამართლებრივი კავშირი ისეთი გამოკვეთილი არ არის, როგორც თავდებსა და კრედიტორს შორისაა. თუმცა თავდებობასთან დაკავშირებული ურთიერთობა მოვალის გარეშე სრულყოფილად ვერ წარმოიდგინება.

მოტივს, თუ რისთვის უდგება თავდებად პირი მოვალეს, მნიშვნელობა არა აქვს.

თავდებობის ხელშეკრულება ცალმხრივია. კრედიტორს მოთხოვნის უფლება წარმოეშობა თავდების მიმართაც. ამიტომ თავდებობის ხელშეკრულებაში თავდები შეიძლება მოვალის როლშიც გამოვიდეს. მას ძირითად მოვალეობასთან ერთად ეკისრება პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელის მიერ ნაკისრის ვალდებულებისათვის. თავდებობის ხელშეკრულება კონსენსუალურია.

თავდებობის ხელშეკრულებით, ჩვეულებრივ, ხდება უკვე რეალურად არსებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა. კანონი არ განსაზღვრავს მისი გამოყენების სფეროს. აქედან გამომდინარე, თავდებობით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ნებისმიერი ვალდებულება. უფრო მეტიც, თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინაც, როცა ვალდებულება, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაცაა ნავარაუდები იგი, ჯერ კიდევ არ წარმოშობილა. ე.ი. თავდებობა გამოიყენება სამომავლო ვალდებულებებშიც, მაგალითად, თავდები იკისრებს სესხის გადახდის ვალდებულებას თუ მის ნათესავს, ვინმე ფულს ასესხებს. იგივე შეიძლება ითქვას პირობით ვალდებულებებზეც. განსაკუთრებით კი – გადადების პირობით წარმოშობილ ვალდებულებებზე.

მუსლი 892. თავდებობის ფორმა

1. თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება.

2. თუ ვინმე თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში განაცხადებს თავდებობის შესახებ, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი.

თავდებობა აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა იქნეს გამოხატული. ამისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი თანახმაა იკისროს პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე და იმ პირის ვალდებულებისათვის, რომელიც კრედიტორთან მოვალედ გამოდის. გარდა ამისა, თავდებობის დოკუმენტში ანუ ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს ის კონკრეტული მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც კისრულობს გარანტი პასუხისმგებლობას. წერილობითი ფორმის დაუცველობა იწვევს თავდებობის თაობაზე მიღწეული ყველა ფორმის ბათილობას და, შესაბამისად, თავდების ვალდებულებათა გაუქმებას. თუ კანონით დადგენილი ფორმის დარღვევით დადებული თავდებობის ხელშეკრულება შესრულდა, მაშინ მხარეთა მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ორმხრივი რესტიტუცია.

აღნიშნული წესიდან კანონი იცნობს მხოლოდ ერთ გამონაკლისს. ეს მაშინაა შესაძლებელი, თუ ვინმე პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში განაცხადებს თავდებობის შესახებ. მაგალითად, სახლის მშენებლობის პროცესში კალატოზი თავდებად უდგება თავის მეგობარ დურგალს შემკვეთის წინაშე იმის თაობაზე, რომ სახლის კარ-ფანჯრებს დროულად და ხარისხიანად დაამზადებს. ასეთ შემთხვევაში თავდებობის ხელშეკრულების წერილობითი ფორმის დაცვა სავალდებულო არ არის.

მუხლი 893. თავდების ვალდებულების საფუძველი

თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა. გარიგებით, რომელსაც ძირითადი მოვალე დადებს თავდებობის აღების შემდეგ, თავდების ვალდებულება არ გაიზრდება და ამ გარიგებით წარმოშობილ ურთიერთობებზე არ გავრცელდება.

თავდების ძირითადი ვალდებულება წარმოიშობა მასა და მოვალის კრედიტორს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სწორედ ხელშეკრულება წარმოადგენს თავდებობასთან ძირითადი ვალდებულების სამართლებრივი კავშირის საშუალებას, ურომლისიხიდაც საერთოდ წარმოუდგენელია თავდებობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა. ამიტომაც, რომ კანონი სპეციალურად მიუთითებს თავდებობისა და ძირითადი ვალდებულების განუყოფელ კავშირზე. თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია ძირითადი ვალდებულების არსებობა. საბანკო გარანტიისაგან განსხვავებით თავდებობას ავტონომია არ გააჩნია. იგი ყოველთვის ძირითადი ვალდებულებითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, თავდებობა მოქმედებს მოვალის მხოლოდ იმ ვალდებულებებზე, რომელიც უკვე აისახა თავდებობის ხელშეკრულებაში. ამიტომ თუ ძირითადი ვალდებულების მოვალე რაიმე გარიგებას დადებს თავდებობის აღების შემდეგ, ასეთი გარიგებით წარმოშობილ ურთიერთობებზე თავდებობა არ გავრცელდება და შესაბამისად თავდების ვალდებულებაც არ გაიზრდება.

მუხლი 894. თავდების უარი კრედიტორის დაკმაყოფილებაზე

თავმდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.

მართალია, კრედიტორი უფლებამოსილია ძირითადი მოვალის მიერ თავისი სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივი შესრულების დროს, თავდებს დააკისროს შესაბამისი ვალდებულების შესრულება, მაგრამ კანონი ამ უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს. კრედიტორი ჯერ ძირითადი მოვალისაგან ყველანაირად უნდა ეცადოს მიიღოს შესრულება და მხოლოდ ამის შემდეგ დააყენოს თავდების პასუხისმგებლობის საკითხი. ამიტომ თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მიერ წაყენებულ მოთხოვნებზე მანამ, ვიდრე კრედიტორი ძირითადი

მოვალის მიმართ არ მიმართავს იძულებით აღსრულებას. აუცილებელია კრედიტორმა სასამართლოს მიმართოს მოვალისაგან ფულის იძულებითი გადახდევინების შესახებ და მხოლოდ მას შემდეგ, როცა იძულებითი აღსრულება ვერ მოხერხდება, მაგალითად, მოვალის გადახდისუუნარობის ან სხვა მიზეზის გამო, კრედიტორს შეუძლია ძირითადი მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს თავდებს. ასეთ შემთხვევაში თავდები ვალდებულია დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა.

მუხლი 895. თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობა

თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა.

ძირითადი ვალდებულების კრედიტორს უფლება აქვს კანონით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევებში თავდებს წაუყენოს გადახდის მოთხოვნა მოვალისაგან იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა თავდების ვალდებულების შინაარსი და ძირითადი მოვალის მდგომარეობა იძლევა ამის საფუძველს. თავდებობის ხელშეკრულებით თუ თავდები კისრულობს ვალდებულებას სოლიდარულად ან თანაბარმნიშვნელოვანი სახით მიიღოს მონაწილეობა ძირითადი ვალდებულების შესრულებაში, ეს ნიშნავს, რომ კრედიტორს უფლება აქვს ნებისმიერ სოლიდარულ მოვალეს — თავდებს ან ძირითად მოვალეს მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება. ასევე შეიძლება თავდები ძირითადი ვალდებულების შესრულებაში ჩაირთოს, ვთქვათ, სუბსიდიური ვალდებულების არსებობისას — მას დაეკისროს ვალის იმ ნაწილის გადახდა, რომელიც ვერ გადაიხადა ძირითადმა მოვალემ. ამ შემთხვევაში სუბსიდიური პასუხისმგებლობა სოლიდარულის თან-

აბარმნიშენელოვანი იქნება. მაგრამ თავდებს რომ წაეყენოს მოთხოვნა მარტო აღნიშნული საკმარისი არაა. აუცილებელია ის, რომ ძირითადად მოვალემ გადახდის ვადას გადააცილოს და გაფრთხილებას არავითარი შედეგი არ უნდა მოყვეს ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარა უნდა იყოს. ასეთ შემთხვევებში აზრი ეკარგება მოვალისაგან იძულებითი აღსრულების მცდელობას. სწორედ ამიტომ წარმოეშობა კრედიტორს უფლება ამ ეტაპის გავლის გარეშე წაუყენოს მოთხოვნა თავდებს.

მუხლი 896. რამდენიმე თავდების პასუხისმგებლობა ერთი და იმავე ვალდებულებისათვის

თუ ერთი და იგივე ვალდებულების თავდები რამდენიმე პირია, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, მაშინაც კი, თუ მათ თავდებობა ერთობლივად არ უკისრიათ.

ვალდებულების მოცულობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისი შესრულების უზრუნველყოფა რამდენიმე პირმა ერთობლივად იკისროს. ასეთ შემთხვევაში სახეზე იქნება სოლიდარული ვალდებულება და, ბუნებრივია, შესაბამისი პასუხისმგებლობა მათ სოლიდარულად დაეკისრებათ. იგივე მდგომარეობასთან გვექნება საქმე, როცა, მართალია, სახეზე რამდენიმე თავდებია, მაგრამ მათ ეს მოვალეობა ერთობლივად არ უკისრიათ. მათი ცალ-ცალკე ჩაბმა ძირითადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაში კრედიტორს უფლებას აძლევს თითოეულ მათგანს სრულად მოსთხოვოს თავდების მოვალეობის შესრულება.

მუხლი 897. პასუხისმგებლობა წინამორბედ თავდებთა მიერ ნაქისრი ვალდებულებებისათვის.

თავდები, რომელმაც კრედიტორის წინაშე ივალდებულა წინამორბედ თავდებთა მიერ ნაქისრი ვალდებულების შესრულება,

ისევე აგებს პასუხს მათთან ერთად, როგორც ჩვეულებრივ თავლები ძირითად მოვალესთან ერთად.

შესაძლებელია ძირითადი ვალდებულება არც იყოს შესრულებული, რომ მასში თავლების სახით ჩაებას ახალი პირი, რომელმაც თავის თავზე აიღოს წინამორბედ თავლებთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ასეთ შემთხვევაში ორ მომენტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: ჯერ ერთი, წინამორბედი თავლებები არ თავისუფლდებიან უკვე ნაკისრი ვალდებულებისაგან და მეორეც, ახალი თავლები ისევე აგებს პასუხს წინამორბედ თავლებებთან ერთად, როგორც ჩვეულებრივ – თავლები ძირითად მოვალესთან ერთად, ე.ი. მასზე ვრცელდება ყველა ის უფლება-მოვალეობა, რაც თავლებობის ხელშეკრულებითა და კანონითაა განსაზღვრული.

მუსლი 898. თავლების პასუხისმგებლობის შარბლები

1. თავლები ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს მხოლოდ თავლებობის დოკუმენტში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე.

2. თუ სხვაგვარი შეთანხმება არ არსებობს, თავლები პასუხს აგებს აღნიშნული ზღვრული თანხის ოდენობამდე:

ა. ძირითადი ვალის შესაბამისი თანხისათვის, კერძოდ, მაშინაც, როცა ძირითადი ვალი შეიცვალა ძირითადი მოვალის ბრალის ან გადახდის ვადის გადაცილების გამო. სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს ან ზიანის საერთო თანხისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების დამთავრების დროისათვის, თავლები პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როცა ეს საგანგებოდ იქნება შეთანხმებული;

ბ. ხელშეკრულების შეწყვეტისა და სასამართლო ხარჯებისათვის, რომლებიც უნდა ანაზღაურდეს ძირითადი მოვალის მიერ, თუკი თავლებს ჰქონდა შესაძლებლობა კრედიტორის დაკმაყოფილებით თავიდან აეცილებინა იგი;

გ. ძირითადი მოვალის მიერ ხელშეკრულების მიხედვით გადასახდელი პროცენტებისათვის, თუ ეს პირდაპირ იყო შეთანხმებული.

თავდებობის შინაარსში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავდების პასუხისმგებლობის ფარგლების ზუსტად განსაზღვრას. თავდებობის ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული იმ ზღვრული თანხის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას. შესაძლებელია თანხის ეს ოდენობა იყოს ძირითადი ვალდებულების ტოლფასოვანი. ამიტომ ხელშეკრულებაში თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება ხსნის ერთ მეტად მნიშვნელოვან სადაო საკითხს – რა თანხის ფარგლებში აგოს პასუხი თავდებმა. აღნიშნული თანხის ზევით, რა ოდენობითაც არ უნდა აღემატებოდეს მას მთლიანი ძირითადი ვალდებულება, თავდები არაა ვალდებული ასეთი სხვაობა დაფაროს.

თავდებობის ხელშეკრულებაში ზღვრულ თანხაზე მითითება სრულყოფილ წარმოდგენას არ ქმნის თავდების პასუხისმგებლობის ფარგლებზე. კანონი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას უნდა დადგეს თავდების პასუხისმგებლობა კონკრეტული სახის ვალდებულებებისათვის, რომლებიც უნდა შეესრულებინა და არ შეასრულა ძირითადმა მოვალემ. კერძოდ, თავდები პასუხს აგებს ხელშეკრულებაში აღნიშნული ზღვრული თანხის ფარგლებში მხოლოდ მაშინ, თუ მხარეებს შორის არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება და ასეთ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა შემოიფარგლება განსაზღვრული ჩარჩოებით.

თავდები პასუხს აგებს ძირითადი მოვალის არა ყოველგვარ არამართლზომიერ ქცევაზე, არამედ:

ა. ძირითადი ვალის შესაბამისი თანხისათვის. არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ შესაძლებელია ეს ვალი შეიცვალოს ძირითადი მოვალის ბრალით ანდა ვალის გადახდის გადაცილებით, რამაც გამოიწვია მასზე საურავის დარიცხვა. სხვა სახის ვალის გადახდა

თავდებს არ ეკისრება. რაც შეეხება სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს ან ზიანის საერთო თანხას, რომელიც ძირითადი ვალდებულების ამსახველი ხელშეკრულების დამთავრების დროისთვისაა გათვალისწინებული, თავდებს პასუხისმგებლობა მაშინ დაეკისრება, თუ ეს საგანგებოდ იყო შეთანხმებული. სხვა შემთხვევაში მათზე პასუხისმგებლობა ძირითად მოვალეს დარჩება.

ბ. ხელშეკრულების შეწყვეტისა და სასამართლო ხარჯებისათვის. აქ ის ხარჯები იგულისხმება, რომლებიც ძირითადი მოვალის მიერ უნდა ანაზღაურებულიყო და შესაძლებელი იყო მათი თავიდან აცდენა, თუკი თავდებს ჰქონდა კრედიტორის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. კერძოდ, თუ კრედიტორის მოთხოვნა თავდებმა არ დაკმაყოფილა იმის გამო, რომ ძირითადი მოვალისაგან იძულებითი ამოღების მცდელობას არ ჰქონია ადგილი და ამის შემდეგ კრედიტორმა სასამართლოს მიმართა, რამაც გამოიწვია სასამართლო ხარჯები. ასეთი ხარჯების არსებობა, რადგან თავდების სუბიექტური ნებითაა განპირობებული, ე.ი. რადგან მას შეეძლო აეცილებინა ასეთი ხარჯები, მაგრამ ეს არ გააკეთა, ამიტომ მათი ანაზღაურების პასუხისმგებლობაც სწორედ მას ეკისრება.

გ. ძირითადი მოვალის მიერ ნაკისრი პროცენტების გადახდისათვის. ძირითად ვალდებულებაში ფულადი თანხის ან თაუნის გადახდასთან ერთად შეიძლება გათვალისწინებული იყოს პროცენტის გადახდაც. ამ შემთხვევაში მოვალისათვის პროცენტის გადახდა ვალდებულების შემადგენელი ელემენტია. ამიტომ ასეთი ვალდებულება, ჩვეულებრივ, არ გადადის. მისი ვალდებულება ძირითადი თანხის დაბრუნების უზრუნველყოფაში გამოიხატება. ამიტომ თავდებზე უნდა გადავიდეს პროცენტის გადახდის ვალდებულებაც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ იყო შეთანხმებული. სხვა შემთხვევებში თავდების ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ მოვალის ძირითად ვალდებულებებზე და ისიც ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ფარგლებში.

მუსლი იყ. თავდების უფლება შესაზებელზე

1. თავდებს შეუძლია წამოაყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებლები. თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდული პასუხისმგებლობაზე.

2. თავდები არ კარგავს შესაგებლის უფლებას იმის გამო, რომ ძირითადმა მოვალემ უარი თქვა მასზე.

თავდებობა ფართო უფლებამოსილებას აკუთვნებს თავდებს. ეს უფლებამოსილებანი უმეტესად ძირითადი მოვალის ინტერესებიდან გამომდინარეობს. კერძოდ, კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენისას, თავდებს შეუძლია მის წინააღმდეგ ძირითადი მოვალის შესაგებელი წამოაყენოს და ეს შეიძლება მოხდეს დამოუკიდებლად. ამ პროცესში ძირითადი მოვალის ჩაუბმელად. არც იმას აქვს მნიშვნელობა, ეს უკანასკნელი წინააღმდეგია თუ არა შემხვედრი მოთხოვნის წაყენებაზე. ამ დროს ერთი მოთხოვნა კი აუცილებლად უნდა იქნეს დაცული – თავდებს უფლება აქვს წამოაყენოს მხოლოდ ის შესაგებლები, რომელთა წამოყენებაც ძირითად მოვალეს შეუძლია. თავდების აღნიშნული უფლება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი უფლებამოსილება სხვა სფეროებზეც ვრცელდება. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია ძირითადი მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრის შეზღუდული პასუხისმგებლობის მოთხოვნის საკითხი. კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე და ამის შესაბამისად თავისი პასუხისმგებლობის გაუქმებაზე. სამემკვიდრეო კანონმდებლობით მემკვიდრე მხოლოდ სამკვიდრო ქონების ფარგლებშია ვალდებული გადაიხადოს მამკვიდრებლის ვალი. თუ ძირითადი მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში სამკვიდრო ქონება უფრო ნაკლები აღმოჩნდება, ვიდრე კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულების დაფარვას ჭირდება, მათ შორის სხვაობის დაფარვის პასუხისმგებლობა თავდებზე უნდა გადავიდეს. ამგვარად, მემკვიდ-

რეობის დროს მოქმედი წესი არ მოქმედებს თავდებობისას და ამიტომაც არა აქვს უფლება თავდებს მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე და მოითხოვოს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისაგან მისი განთავისუფლება.

მუხლი 900. თავდების უარი კრედიტორის დაკმაყოფილებაზე

თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ძირითად მოვალეს უფლება აქვს სადავო განხალოს ის გარიგება, რომელიც საფუძვლად უდევს მის ვალდებულებას.

კრედიტორსა და მოვალეს შორის დადებული ძირითადი გარიგება შესაძლებელია სადაო განდეს სხვადასხვა საფუძვლით. მაგალითად, მოვალემ შეიძლება დააყენოს საკითხი იმის შესახებ, რომ გარიგება მოტყუებით ან იძულებითაა დადებული და, რომ აუცილებელია მისი გაბათილება. ამიტომ, ვიდრე ეს არასტაბილური მდგომარეობა არსებობს, თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე ძირითად მოვალეს უფლება აქვს სადაო განხალოს ის გარიგება, რომელიც საფუძვლად უდევს თავდების ვალდებულებას. ამით კანონი თავდების პასუხისმგებლობას უფრო მყარ საფუძველს უქმნის. როცა ძირითადი გარიგების სადაობის აღბათობა მოიხსნება, თავდებს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უფლება ესპობა.

მუხლი 901. თავდების პასუხისმგებლობის შემცირება

თუ კრედიტორი თავდების საზიანოდ ამცირებს საგირავნო უფლებებს ან უზრუნველყოფის სხვა საშუალებებსა და შეღავათებს, მაშინ თავდების პასუხისმგებლობა მცირდება ზემოაღნიშნული შემცირების შესაბამისი თანხით.

თავდების პასუხისმგებლობის შემცირებას შეიძლება საფუძვ-

ლად დაედოს კრედიტორის არამართლზომიერი მოქმედება, რაც ლოგიკურად დაკავშირებულია თავდებისათვის ზიანის მიყენებასთან. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება გამოიხატოს საგირავნო უფლების ან ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებების ან შეღავათების შემცირებაში. იგულისხმება, რომ თავდების გარდა ვალდებულება უზრუნველყოფილია გირაოთი, ბეთი ან სხვა საშუალებებით. მაგალითად, კრედიტორმა გასესხებული თანხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად მოვალისაგან გირაოდ მიიღო მოვალის ოროთახიანი ბინა, ამასთან მოვალეს თავისი ნათესავიც დაუდგა თავდებად. თუ კრედიტორმა დაგირავებულ ბინაში მოშვებული დატოვა ონკანი და ერთი ოთახი მნიშვნელოვნად დააზიანა, ეს იმას ნიშნავს, რომ კრედიტორმა მნიშვნელოვნად შეამცირა გირაოს ღირებულება, რომელიც ვალდებულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებად იყო მიჩნეული და ამით თავდებს მისცა საფუძველი, რომ მისი პასუხისმგებლობა შემცირებულიყო დაზიანებული ოთახის აღსადგენად აუცილებელი ხარჯების შესაბამისი თანხით.

მუხლი 902. ძირითადი მოვალის მიერ გადახდის ვალის გადაცილების შედეგები

1. თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას, კრედიტორმა უნდა აცნობოს ამის შესახებ თავდებს. თავდების მოთხოვნით კრედიტორმა ნებისმიერ დროს უნდა მიაწოდოს მას ცნობები ძირითადი ვალის მდგომარეობის შესახებ.

2. თუ კრედიტორი არ შეასრულებს ერთ-ერთ ამ მოქმედებას, მაშინ იგი კარგავს თავის მოთხოვნებს თავდების წინააღმდეგ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გამოიწვევდა შეუსრულებლობა ზიანს.

თავდებობის ერთ-ერთი აუცილებელი თავისებურებაა ის, რომ თავდები საქმის კურსში უნდა იმყოფებოდეს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ სრულდება ძირითადი ვალდებულება. კანონი გან-

საკუთრებულ ყურადღებას უთმობს ძირითადი მოვალის მიერ ვალის გადახდის ვადების დაცვის საკითხს და, ამასთან დაკავშირებით ითვალისწინებს კრედიტორის პასუხისმგებლობას. კრედიტორი ვალდებულია თავდებს აცნობოს ძირითადი მოვალის მიერ ვალის გადახდის გადაცილების შემთხვევა. დროულმა შეტყობინებამ შესაძლებელია თავდების მხრივ ძირითადი ვალდებულების შესრულების პროცესზე დადებითი გავლენა მოახდინოს. კრედიტორის მიერ ამგვარ შეტყობინებაზე უარის თქმა თავდების პასუხისმგებლობის შემცირების საფუძველი შეიძლება გახდეს. გარდა ამისა, კანონი კრედიტორის ვალდებულებას თავდების წინაშე უფრო ფართო პლანითაც წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ კრედიტორი ვალდებულია თავდების მოთხოვნის საფუძველზე, მას ნებისმიერ დროს მიაწოდოს ცნობები ძირითადი ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ. ამ მოვალეობის შეუსრულებლობასაც შეიძლება თავდების პასუხისმგებლობის შემცირება მოჰყვეს. განსახილველი მუხლის მეორე ნაწილი აკონკრეტებს იმას, თუ რაში უნდა გამოიხატოს თავდების პასუხისმგებლობის შემცირება. კერძოდ, თუ კრედიტორი თავდებს არ აცნობებს ძირითადი მოვალის მიერ ვალის გადახდის ვადის გადაცილებას ან, თავდების მოთხოვნის საფუძველზე, მას არ მიაწვდის ცნობებს ძირითადი ვალის მდგომარეობის შესახებ, მაშინ იგი დაკარგავს უფლებას თავდების წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნის იმ ნაწილზე, რა ოდენობითაც გამოიწვევდა ზიანს კრედიტორის აღნიშნულ მოვალეობათა შეუსრულებლობა. კანონის ეს დებულება სავსებით ლოგიკურია, რადგან კრედიტორის არამართლზომიერმა მოქმედებამ თუ თავდებს ზიანი მიაყენა, ბუნებრივია, პასუხიც მან უნდა აგოს. ამ შემთხვევაში, შესაბამისად უნდა განთავისუფლდეს თავდები კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. მაგალითად, თუ კრედიტორმა თავდებს არ შეატყობინა ძირითადი ვალის გადახდის ვადის გადაცილების შესახებ, გადაცილებას კი მოჰყვა საურავის დარიცხვა, თავდებს ასეთ შემთხვევაში უფლება აქვს უარი თქვას ვადაგადაცილებულ თანხაზე დარიცხული საურავის გადახდაზე.

**მუხლი 903. ხელშეკრულების შეწყვეტა უვადო
თავდებობის დროს**

1. თავდებობა უვადოა, თავდები ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადა.

2. ვადიანი თავდებობისას ხუთი წლის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს სამთვიანი ვადის დაცვით.

3. ცალმხრივი შეწყვეტის შემთხვევაში თავდები მოვალეა შესრულოს შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებანი.

თავდებობის ხელშეკრულება შეიძლება იყოს ვადიანიცა და უვადოც. მხარეები თვითონ წყვეტენ ამ საკითხს. ასევე მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული ხელშეკრულების შეწყვეტაც. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკითხი ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტის შესახებ. როცა ხელშეკრულება ვადიანია, ბუნებრივია, მისი შეწყვეტა ამ ვადის გასვლასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მაგრამ უვადო ხელშეკრულების შეწყვეტა თუ ძირითად მოვალეს ნებისმიერ დროს შეუძლია, თავდები ამ დროს ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადა. თავდებმა ჯერ უნდა მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა და ამ მომენტიდან სამი თვის ვადაში ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. სამთვიანი ვადის გასვლის მომენტში თავდებობის ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამთვიანი ვადის დაცვის აუცილებლობა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ვადიანი თავდებობის დროსაც. ასეთი გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ ვადიან ხელშეკრულებაში ხუთი წელი უკვე გასულია. ხელშეკრულების ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, რა დროსაც არ უნდა იქნეს მოთხოვნილი ხელშეკრულების შეწყვეტა, ეს მოთხოვნიდან სამი თვის განმავლობაში იქნება შესაძლებელი.

თავდებობის ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის დროს

თავდები მოვალეა შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომლებიც ნაკისრი ჰქონდა ხელშეკრულებით.

მუხლი 904. თავდებობის ვალდებულებისაგან განთავისუფლების საფუძვლები

1. თუ თავდები იკისრებს თავდებობას ძირითადი მოვალის დავალებით, ან თუ დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმართვის წესების შესაბამისად თავდებობის გამო მიენიჭება რწმუნებულის უფლებები ძირითადი მოვალის მიმართ, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს თავდებობისაგან განთავისუფლება, თუ:

ა. ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა;

ბ. თავდებობის დადგენის შემდეგ ძირითადი მოვალისაგან გადახდევინება არსებითად გაძნელდა საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის შეცვლის გამო;

გ. კრედიტორს თავდების წინააღმდეგ აქვს შესრულებაზე სააღსრულებო წარწერის მქონე დოკუმენტი.

2. თუ ძირითადი ვალდებულებების შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მოვალეს შეუძლია განთავისუფლების ნაცვლად მისცეს თავდებს უზრუნველყოფა.

კანონით გათვალისწინებულია თავდებობის არა მარტო შეწყვეტა, არამედ მისგან განთავისუფლების შესაძლებლობაც. თავდებობის წარმოშობის საფუძველს ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს. თავდებობის ვალდებულებისაგან განთავისუფლება შეიძლება მოხდეს არა მარტო მაშინ, როცა პირი თავდებობას კისრულობს ძირითადი მოვალის დავალებით, არამედ მაშინაც, როცა დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმართვის წესების შესაბამისად ხდება პირის თავდებად ცნობა და მას მიენიჭება რწმუნებულის უფლებები ძირითადი მოვალის მიმართ. ორივე შემთხვევაში პირს შეუძლია თავდე-

ბობის მოვალეობისაგან განთავისუფლება მოითხოვოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ და არა ყველა შემთხვევაში. კანონი კი სამ ასეთ საფუძველს იცნობს. ესენია:

1. ძირითადი ქონებრივი მდგომარეობის არსებითად გაუარესება. ამ დროს სახეზე უნდა არსებობდეს ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი სამართლებრივი დოკუმენტები, რაც თავდებობის არაპერსპექტიულობაზე მიუთითებს;

2. ძირითადი მოვალისაგან გადახდევინების არსებითად გაძნელება იმის გამო, რომ შეიცვალა მისი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი. გადახდევინების არსებითად გაძნელება ნიშნავს იმას, რომ თავდებობის დადგენის შემდეგ ძირითადი მოვალე თავის ვალდებულებას განსაზღვრული დროის მანძილზე ასრულებდა, მაგრამ შემდეგ იგი შეწყდა იმის გამო, რომ გაჭირდა მოვალის მოძებნა და ასეთი მდგომარეობა კვლავაც გრძელდება;

3. კრედიტორისათვის თავდებისაგან შესრულებაზე მოთხოვნის წაყენებისათვის აუცილებელი სააღსრულებო წარწერის არსებობა. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, თავდებობის შენარჩუნებას არავითარი აზრი არა აქვს და სააღსრულებო წარწერის მქონე დოკუმენტში მითითებულ მოვალეობათა იძულებითი აღსრულების შემდეგ პირი უნდა განთავისუფლდეს თავდებობის მოვალეობისაგან.

თავდებობის ვალდებულებისაგან განთავისუფლების საფუძველები შეიძლება წარმოიშვას არა მარტო მაშინ, როცა ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადა ამოიწურა, არამედ მაშინაც, როცა ასეთი ვადა ჯერ არ დამდგარა. უკანასკნელ შემთხვევაში ძირითად მოვალეს შეუძლია განთავისუფლების ნაცვლად თავდებს მისცეს ძირითადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა.

მუხლი 905. თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შედეგები

თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ. ძირითადი

მოვალის შესაგებლები, რომლებიც გამომდინარეობს მასა და თავდებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან, ხელუხლებელი რჩება.

ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივი შესრულებისას კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობა თავდებს ეკისრება. თავდების მიერ ძირითადი მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება საფუძვლად ედება მასა და მოვალეს შორის ახალ სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობას. კრედიტორის მოთხოვნის უფლება, რომელიც მას გააჩნდა ძირითადი მოვალის მიმართ, სრულყოფილად გადადის თავდებზე. ამ მომენტიდან თავდებს აქვს უფლება მოვალეს მოთხოვოს გადახდის ვალდებულების შესრულება იმ დოზით, რაც თავდებმა უკვე შეუსრულა კრედიტორს. ამასთან, თავდებს უფლება აქვს ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებების მიმართაც იგივე დამოკიდებულება ჰქონდეთ, რაც კრედიტორს გააჩნდა. აქედან გამომდინარე, თავდებზე შეიძლება გადავიდეს მაგალითად მოგირაუნის უფლებებიც, თუ გირაოთი იყო დამატებით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება. ძირითად მოვალეს ყოველთვის უნარჩუნდება იმ შესაგებელთა წაყენების უფლება, რომლებიც გამომდინარეობს მასა და თავდებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობებიდან. შესაგებლის წაყენება თავდების მიმართ შესაძლებელია თავდების მიერ კრედიტორის წინაშე ნაკისრი მოვალეობის როგორც შესრულებამდე ისე შესრულების შემდეგაც.

თავი ოცდამესამე

კონტოკორენტი

მუხლი 906. შინაარსი

1. კონტოკორენტის შეთანხმებით მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას, საქმიანი კავშირებიდან წარმოშობილი მოთხოვნები და გადახდები შეიტანონ ანაგარიშზე და ანგარიშის დახურვამდე მიიჩნიონ ხელშეუხებლად.

2. ანგარიშის სალდო ექვემდებარება გადახდას შეთანხმებულ ვადაში. თუ ანგარიშის დახურვისას ის მხარე, რომელსაც ეკუთვნის თანხის ნაშთი, არ მოითხოვს გადახდას, მაშინ იგი შეიტანება კონტოკორენტზე.

3. ანგარიშის დახურვით წარმოიშობა სალდოს მოთხოვნა, რომელიც შესრულების მიზნით იკავებს კონტოკორენტზე მოთავსებული მოთხოვნის ადგილს.

4. ანგარიშის დახურვა წარმოებს წელიწადში ერთხელ, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

კონტოკორენტი არის მხარეთა შორის ანგარიშსწორების სპეციფიკური სახე, რომელიც ემყარება ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის პრინციპს. ჩათვლების განხორციელების შემდეგ დარჩენილ სხვაობაზე კრედიტორს წარმოეშობა მოთხოვნის უფლება. კონტოკორენტის ხელშეკრულებით მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ხანგრძლივი საქმიანი კავშირებიდან წარმოშობილი მოთხოვნები და გადახდები შეიტანონ ერთიან ანგარიშზე და მის დახურვამდე მიიჩნიონ ხელშეუხებლად. კონტოკორენტის ანგარიში კი განსაზღვრული დროით მოქმედებს. მისი გასვლის შემდეგ იგი იხურება. კონტოკორენტის ხელშეკრულება ფორმდება იმ პირობებს შორის, რომელთაც ერთმანეთის მიმართ შეიძლება წარმოეშვათ სხვადასხვა სახის მოთხ-

ოვნები, თანაც მათ შორის საქმიან კავშირს აქვს არა ერთჯერადი, არამედ რამდენადმე ხანგრძლივი ხასიათი საანგარიშსწორებო ოპერაციათა გამარტივების მიზნით ურთიერთმოთხოვნათა დაგროვება და საბოლოო ანგარიშსწორება. ამიტომ კონტოკორენტის ანგარიშის დახურვამდე მასზე მხოლოდ მოთხოვნები შეიტანება და სხვა ოპერაციები არ წარმოებს.

კონტოკორენტის ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან აგრეთვე იმაზე, რომ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ ურთიერთმოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი სალდო გადახდილ უნდა იქნეს შეთანხმებულ ვადაში. ამით ფაქტობრივად სრულდება მხარეთა შორის ანგარიშსწორება. შესაძლებელია კონტოკორენტის ანგარიშის დახურვისას იმ მხარემ, რომელსაც ეკუთვნის ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის შედეგად მიღებული ნაშთი, უარი თქვას მის განაღდებაზე. ასეთ შემთხვევაში იწყება კონტოკორენტის ახალი ანგარიში და აღნიშნული ნაშთი შეიტანება ამ ანგარიშზე მომავალი შეთანხმებული პერიოდისათვის იგივე წესით ანგარიშის გასასწორებლად. ანგარიშის დახურვა აუცილებლად გულისხმობს სალდოს გამოყვანას, ეს თავის მხრივ სალდოს მოთხოვნის საფუძველი ხდება. სალდოს მოთხოვნა ფაქტობრივად იგივეა, რაც კონტოკორენტის ანგარიშზე ადრე მოთავსებული ნებისმიერი ხასიათის მოთხოვნა, რადგან სალდო თავისთავად გულისხმობს ანგარიშზე ადრე არსებული ყველა მოთხოვნის გაუქმებას. ამგვარად, სალდოს მოთხოვნა იკავებს უკვე განაღდებული მოთხოვნის ადგილს. კონტოკორენტის ანგარიშის მოქმედების ვადა კანონის მიერაა განსაზღვრული. მისი დახურვა ხდება წელიწადში ერთხელ. შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით ანგარიშის დახურვის სხვა ვადებიც იყოს დადგენილი.

მუხლი 907. კონტოკორენტის გაუქმება

ეჭვის არსებობისას კონტოკორენტი შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს და ანგარიში დაიხუროს.

კონტოკორენტის ხელშეკრულებით მხარეები საზღვრავენ იმას, თუ რა ვადით ითხოვენ ისინი საკრედიტო დაწესებულებაში კონტოკორენტის გახსნას. ეს შეიძლება იყოს სამწლიანი ან ხუთწლიანი პერიოდი. ამ ხნის განმავლობაში ყოველი წლის ბოლოს ან სხვა დადგენილ დროს უნდა მოხდეს სალდოს გამოყვანა და პარტნიორებს შორის პერიოდული ანგარიშსწორება. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეჭვის არსებობისას ნებისმიერ მხარეს არ შეეძლოს კონტოკორენტის ხელშეკრულების მოშლა. ეს საკვებით შესაძლებელია მხარეებმა განახორციელონ ნებისმიერ დროს. ამას კი აუცილებლად უნდა მოყვეს კონტოკორენტის გაუქმება და ანგარიშის დახურვა.

მუხლი 908. პროცენტები განხორციელებული გადახდებისათვის

გათვალისწინებული გადახდებისათვის გადახდილ უნდა იქნეს პროცენტები კანონით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის ოდენობით, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

კონტოკორენტის შეთანხმებით ანგარიშზე შეტანილ უნდა იქნეს არა მარტო მოთხოვნები, არამედ გადახდებიც. განხორციელებული გადახდებისათვის უნდა მოხდეს პროცენტების გადახდა. ამ დროს საკრედიტო დაწესებულება ახდენს კონტოკორენტის ანგარიშზე იმ თანხის მოთავსებას, რაც ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ გადაიხადა. გადახდილი თანხის ოდენობიდან გამოძინარე, მისი განსაზღვრული პროცენტი უნდა გადაიხადოს ხელშეკრულების მეორე მხარემ. ამ ვალდებულებას საფუძვლად უდევს წინასწარი შეთანხმება ანგარიშის დახურვამდე გადახდათა განხორციელების შესახებ. განხორციელებული გადახდებისათვის პროცენტების გადახდა უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის ოდენობით. შესაძლებელია კონტოკორენტის მხარეებმა გაითვალისწინონ პროცენტის სხვა ოდენობაც. ეს აუცილებლად უნდა აისახოს ხელშეკრულებაში.

*მუსლი 909. კონტოკორენტში შეტანილი მოთხოვნის
პიროვნული ან სანივთო უზრუნველყოფა*

1. თუ კონტოკორენტში შეტანილი მოთხოვნისათვის არსებობს პიროვნული ან სანივთო უზრუნველყოფა, მაშინ კრედიტორს ანგარიშის დახურვის შემდეგაც შეუძლია თავის სასარგებლოდ არსებული სალდოს თანხისათვის მოითხოვოს დაკმაყოფილება ამ უზრუნველყოფიდან.

2 ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი მოქმედებს მაშინაც, როცა მოთხოვნისათვის არსებობს სოლიდარული პასუხისმგებლობა

კონტოკორენტის ხელშეკრულებით შეიძლება მხარეებმა გაითვალისწინონ ანგარიშზე შეტანილი მოთხოვნის შესრულების როგორც პიროვნული (მოვალის გარანტიით, თავდებობა, საბანკო გარანტია) ისე სანივთო (გირავნობა, იპოთეკა, პირგასამტეხლო, ბე) საშუალებებით უზრუნველყოფა. თუ ხელშეკრულებით რომელიმე საშუალების გამოყენება გათვალისწინებული, ანგარიშის დახურვის შემდეგ სალდოს გამოყვანისას, კრედიტორს უფლება წარმოეშობა მოითხოვოს თავის სასარგებლოდ არსებული სალდოს თანხისათვის დაკმაყოფილების მიღება უზრუნველყოფის ამ საშუალებიდან. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა მოთხოვნისათვის არსებობს სოლიდარული პასუხისმგებლობა. მაგალითად, შესაძლებელია თავდებობით იყოს უზრუნველყოფილი კრედიტორის სასარგებლოდ არსებული სალდოს მოთხოვნა, თავდებობა კი უნდა ითვალისწინებდეს მოვალისა და თავდების სოლიდარულ პასუხისმგებლობას. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს უფლება აქვს თავდებისაგან მოითხოვოს სალდოს მოთხოვნის დაკმაყოფილება. იგივე შეიძლება ითქვას უზრუნველყოფის გამოყენების სხვა შემთხვევებზეც, თუკი სოლიდარული პასუხისმგებლობა გათვალისწინებული იქნება მათი რეალიზაციისას.

მუსლი 910. ყადაღის დადება

თუ შეთანხმების ერთ-ერთი მონაწილის კრედიტორი მიადწევს სალდოს თანხის აღწერას (ყადაღის დადებას), რომელიც ეკუთვნის მოვალეს კონტოკორენტიდან, მაშინ კრედიტორის მიმართ არ იქნება გათვალისწინებული ვალის ის ნაწილები, რომლებიც აღწერის (ყადაღის დადების) შემდეგ ახალი გარიგებებით წარმოიშვა. გარიგება, რომელიც უკვე განხორციელდა გარიგებამდე არსებული მოთხოვნის საფუძველზე, არ მიიჩნევა ახალ გარიგებად.

კანონის მიხედვით შესაძლებელია კონტოკორენტზე არსებული სალდოს თანხის დაყადაღება. როცა სალდოს მფლობელი მხარის კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე მოხდება ყადაღის დადება იმ მხარის ფულად სახსრებზე, რომელსაც კონტოკორენტზე გააჩნია ისინი, მაშინ მოვალესა და კრედიტორს შორის ურთიერთობისას კრედიტორის მიმართ არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ვალის ის ნაწილები, რომლებიც სალდოზე ყადაღის დადების შემდეგ წარმოიშვა მათ შორის დადებული ახალი გარიგების საფუძველზე. ასეთი დებულება განპირობებულია იმით, რომ სალდოზე ყადაღის დადება ემსახურება ადრინდელი გარიგებით მხარეთა შორის ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

ამ შემთხვევაში სალდოზე მოთხოვნის უფლების მქონე პირი მოვალის როლში გამოდის. ახალი გარიგება ახალ ურთიერთობებს წარმოშობს მათ შორის. ახალ გარიგებად კი არ მიიჩნევა ისეთი გარიგება, რომელიც უკვე განხორციელდა გარიგებამდე არსებული მოთხოვნის საფუძველზე. ახალ გარიგებებს უნდა მოყვეს ახალი საკონკორენტო შეთანხმებანი და ახალი სალდოს გამოყვანა კონტოკორენტის დახურვის შემდეგ.

თავი ოცდამესამე

ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულებანი

1. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდებიდან წარმოშობილი ვალდებულებანი

მუხლი 911. ცნება

1. თუ ვინმე გასცემს დოკუმენტს, რომლითაც ის დოკუმენტის მფლობელს გადახდას პირდება, მაშინ მფლობელს შეუძლია მოითხოვოს გადახდა დაპირების თანახმად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ამის უფლება არ ჰქონდა.

2. გაცემულ დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობა შეიძლება დამოკიდებული გახდეს სპეციალური ფორმის დაცვაზე, რომლის შესახებაც მიეთითება დოკუმენტში. ხელმოწერა შეიძლება შესრულდეს ტექნიკურად შესაძლებელი ნებისმიერი გზით.

ფასიანი ქაღალდი არის ისეთი დოკუმენტი, რომლის კანონიერი წარმდგენი უფლებამოსილია მოითხოვოს მასში გამოხატული ქონებრივი უფლება (ფულის ან ნივთის გადაცემა და სხვ.), ხოლო ქაღალდის გამცემი ვალდებულია უზრუნველყოს ამ უფლების განხორციელება.

ფასიან ქაღალდებს განსაზღვრული წესით შედგენილ წერილობით ვალდებულებებსაც უწოდებენ. ასეთი ქაღალდების წარმოშობა და განვითარება განპირობებულია ქონებრივი ბრუნვის მოთხოვნებით – რაც უფრო განვითარებულია ასეთი ბრუნვა, მით უფრო იგრძნობა ყოველგვარი მოძრავი და უძრავი ქონების მარტივი და თავისუფალი გადაცემის მოთხოვნილება. ფასიან ქაღალდში შერწყმულია ორი სხვადასხვა ელემენტი – ვალდებულებითი და სანივთო ხასიათისა. ერთი მხრივ, მასში ნათლად სჩანს შეპირება-ვალდებუ-

ლების აღება იმის თაობაზე, რომ შესრულდეს გარკვეული მოქმედება — გადაეცეს ფული ან ქონება და სხვ. მეორე მხრივ, ფასიანი ქაღალდის მფლობელობა დაკავშირებულია განსაზღვრული ნივთის მოთხოვნასთან და სხვისთვის ქაღალდის გადაცემა ნიშნავს მოთხოვნის უფლების დათმობას. ფასიანი ქაღალდებია ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა: ობლიგაცია, ჩეკი, თამასუქი, აქცია, კონოსამენტი, საბანკო შემნახველი წიგნაკი, ზედდებული, ვარატი და სხვა, ისინი კანონის საფუძველზე არიან აღიარებულნი ფასიან ქაღალდებად.

ფასიანი ქაღალდები სამოქალაქო სამართლის სხვა ობიექტებისაგან არსებითად იმით განსხვავდება, რომ მათში გამოხატული უფლების განხორციელება შეუძლებელია ფასიანი ქაღალდის წარდგენის გარეშე, მაშინ, როდესაც ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნა შეიძლება შესრულდეს ამა თუ იმ გარიგების დადების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე. არ შეიძლება ფასიანი ქაღალდის გათანაბრება ფულთან, მიუხედავად იმისა, რომ ფული გარეგნულად „ყველაზე უფრო ფასიანი“ ქაღალდია. მართალია, ფასიანი ქაღალდი ზოგჯერ შეიცავს მის საფუძველზე გადასაცემი ქონების ღირებულებას, მაგრამ არსებობს ისეთი ქაღალდებიც, რომლებიც არ გულისხმობს ფულად გადასახდელს — მაგალითად, კონოსამენტი, ზედდებული, ვარატი და სხვ. ფულთან მათი გათანაბრების შესაძლებლობა, რაც არასწორია, დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდის დუალისტურ ბუნებასთან.

ფასიანი ქაღალდები ძირითადად სამ ჯგუფად იყოფა. ესენია: საწარმდგენლო, საორდერო და პირადი ანუ სახელობითი ფასიანი ქაღალდები. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი ისეთი დოკუმენტია, რომელშიც მითითებული არ არის ის კონკრეტული პირი, რომელსაც გააჩნია მოთხოვნის უფლება. ამიტომ ასეთი უფლება წარმოეშობა ნებისმიერ პირს, ვინც წარადგენს ფასიან ქაღალდს. მოვალე ანუ ფასიან ქაღალდში გამოხატული მოთხოვნის აღმსრულებელი არაა ვალდებული არკვიოს თუ საიდან მოხვდა წარმდგენთან ფა-

სიანი ქალაღი. მან უნდა მიიღოს ფასიანი ქალაღი მოთხოვნის შესრულების სანაცვლდ. ასეთი ფასიანი ქალაღია, მაგალითად, სახელმწიფო მომგებიანი სესხის ობლიგაცია. საწარმდგენლო ფასიანი ქალაღდის სხვაზე გადაცემა არაა დაკავშირებული რაიმე ფორმალობებთან და ხდება ახალი მფლობელისათვის უბრალო ჩაბარებით, ამიტომ ისინი ხასიათდებიან მომეტებული ბრუნვაუნარიანობით. საწარმდგენლო ფასიან ქალაღდს შეიძლება ეწოდოს აგრეთვე „უსახელო“ ფასიანი ქალაღდიც, რადგან, ფართო გაგებით, საწარმდგენლოა ყველანაირი ფასიანი ქალაღდი და თუ არ იქნა წარდგენილი, მასში გამოხატული უფლება ვერასდროს ვერ განხორციელდება. გამონაკლის შემთხვევაში, ისიც მაშინ, როცა ეს კანონითაა გათვალისწინებული, ფასიანი ქალაღდის გადაცემა ან მასში გამოხატული მოთხოვნის რეალიზაცია შესაძლებელია ფასიანი ქალაღდის წარდგენის გარეშე – სპეციალურ რეესტრში ასეთ უფლებათა რეგისტრაციის გზით. ფასიან ქალაღდში გამოხატული უფლების ფიქსაცია შესაძლებელია კომპიუტერული ჩაწერის დახმარებით განხორციელდეს. საორდეროა ისეთი ფასიანი ქალაღდი, რომელიც გამოწერილია განსაზღვრულ პირზე, მაგრამ იმის მითითებით, რომ ქალაღდში გამოხატული მოთხოვნის უფლება აქვს არა მარტო მის პირველმფლობელს, არამედ ამ უკანასკნელის ბრძანების ანუ ორდერის საფუძველზე – ნებისმიერ სხვა პირს. რადგან, ასეთ შემთხვევაში, თავიდანვე ნაგულისხმებია მოთხოვნის სხვა პირისათვის გადაცემის შესაძლებლობა, გადასაცემი ბრძანების შედგენა არაა ფორმალურად გართულებული – საკმარისია გადასაცემი წარწერის ანუ ინდოსამენტის შესრულება (იგ. in dosso – უკანა მხარეს) თვით ფასიან ქალაღდზე. ინდოსამენტის გაცემა შეუძლია ქალაღდის ყოველ ახალ მფლობელს. ამიტომ საორდერო ფასიანი ქალაღდები ბრუნვაუნარიანობით უახლოვდება საწარმდგენლო ფასიან ქალაღდებს. გარდა ამისა, საორდერო ფასიან ქალაღდებს გარკვეული უპირატესობაც კი გააჩნიათ საწარმდგენლო ფასიან ქალაღდებთან შედარებით. საქმე ისაა, რომ საორდერო ქალაღდის

მიხედვით, მასში გამოხატული მოთხოვნის შესრულებაზე პასუხისმგებელია არა მარტო კონკრეტული მოვალე ანუ მოთხოვნის ამსრულებელი, არამედ, აუცილებლობის შემთხვევაში, მასში მითითებული ყველა ის პირი, რომელთაც ინდოსამენტის გზით ფასიანი ქაღალდი სხვისთვის აქვთ გადაცემული, იმ შემთხვევის გარდა, როცა ქაღალდის პირველმფლობელი ინდოსამენტივე იხსნის ასეთ ვალდებულებას. ასეთი წესი საორდერო ქაღალდში გამოხატული მოთხოვნის შესრულების მეტ გარანტიას წარმოადგენს. საორდერო ფასიანი ქაღალდის ტიპური სახეა გადასაპირებელი ანუ გადასაცემი თამასუქი.

პირადი ფასიანი ქაღალდი გამოიწერება განსაზღვრულ პირზე და მხოლოდ მას აქვს ქაღალდში გამოხატული მოთხოვნის უფლება. სხვისთვის ასეთი უფლების გადაცემა პრაქტიკულად შეუძლებელია ან მნიშვნელოვან სირთულეებთანაა დაკავშირებული. ზოგჯერ მოთხოვნის უფლების გადაცემის გაფორმებას სჯობს პირადი ფასიანი ქაღალდის მფლობელმა თვითონ მოახდინოს ამ უფლების რეალიზაცია და შედეგად მიღებული ფული ან ქონება გადასცეს სხვას. ამიტომ ითვლება პირადი ფასიანი ქაღალდი არაბრუნვაუნარიანად ან შეზღუდულ ბრუნვაუნარიანად. პირადი ანუ სახელობითი ფასიანი ქაღალდის ნიმუშს წარმოადგენს სახელობითი აქცია, აკრედიტივი, სახელობითი საანაბრო წიგნაკი და სხვა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფასიანი ქაღალდები შეიძლება დაიყოს ფულადი და სასაქონლო შინაარსის მიხედვით. თუ ფულადი ხასიათის ქაღალდებით ფულის მიღებაა შესაძლებელი (ჩეკი, თამასუქი და სხვ.), სასაქონლო ფასიანი ქაღალდები გულისხმობს განსაზღვრული ქონების ნატურად მიღების შესაძლებლობას. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება კონოსამენტი, ვარატი, გირავნობის ბილეთი და სხვ.

ისეთ შემთხვევაში, როცა ფასიანი ქაღალდი გამოხატავს არა მარტო ფულის ან ქონების მოთხოვნას, არამედ სხვა უფლებებსაც, ფასიანი ქაღალდის გაცემა ნიშნავს მასში გამოხატული ყველა

უფლების გადაცემას. მაგალითად, ჩვეულებრივი აქციის გადაცემა ნიშნავს არა მარტო მასში გამოხატული ღირებულების მიღების უფლებას, არამედ სააქციო საზოგადოების მართვაში მონაწილეობის მიღებისა და დივიდენდების მოთხოვნის უფლებას და სხვ.

სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული ფასიანი ქაღალდებისაგან განსხვავდება ლეგიტიმაციური ქაღალდები. მათ პირობითად შეიძლება ეწოდოთ ფასიანი, რადგან უმეტესობა გაიცემა განსაზღვრული საფასურის გადახდის საფუძველზე. ისინი გამოხატავენ განსაზღვრული მომსახურების გაწევის მოთხოვნის შესაძლებლობას და, თუ ეს შეუძლებელია, მაშინ – ქაღალდში გადახდილი თანხის დაბრუნებას. ლეგიტიმაციური ქაღალდებია მაგალითად, ლატარიის ბილეთი, თეატრში ან კინოში შესასვლელი ბილეთი, კონტრამარკები და სხვა. სამგზავრო ან სანახაობის ბილეთი იმის დამადასტურებელია მხოლოდ, რომ ამა თუ იმ ღონისძიებაში მონაწილეობის საფასური გადახდილია. მაგრამ ეს არ აძლევს ქაღალდის მფლობელს იმის უფლებას, რომ მოითხოვოს, ვთქვათ, კონცერტის აუცილებლად ჩატარება. თუ ღონისძიება არ ჩატარდა, მას უფლება აქვს მოითხოვოს ქაღალდში-ბილეთში გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. ლეგიტიმაციური ქაღალდისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ის, რომ მისი გამოყენება წინასწარ განსაზღვრული ღონისძიების გარდა, დაუშვებელია. სალეგიტიმაციო ქაღალდის გამოშვებისათვის არაა საჭირო მთავრობის ნებართვა.

საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდში მოცემულია ქაღალდის გამცემის შეპირება ქაღალდის მფლობელისადმი განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ. ქაღალდის მფლობელს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს დაპირებული თანხის გადახდა. ქაღალდის მფლობელს ზოგჯერ შეიძლება არ ჰქონდეს ქაღალდში გამოხატული მოთხოვნის უფლება. მაგალითად, თუ დაცული არ არის ფასიანი ქაღალდისათვის დაწესებული ფორმა, ქაღალდს არ გააჩნია განსაზღვრული რეკვიზიტები, ქაღალდის მფლობელი არ არის სამართალსუბიექტური და სხვ. მაშინ, ბუნებრივია, ქაღალდის მფლო-

ბელის მოთხოვნა უსაფუძვლოდ ჩაითვლება. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის გამცემი ვალდებულია შეასრულოს გადახდის ვალდებულება სრულად. არ შეიძლება მოთხოვნის შესრულებად ჩაითვალოს, მაგალითად, ფასიან ქაღალდში მითითებული ათასი ლარის ნაცვლად გადახდა მოხდეს ხუთასი ლარის ოდენობით.

საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის გამცემი თავის ნებას უნდა ადასტურებდეს გარკვევით. ამიტომ ასეთ დოკუმენტში სპეციალურად უნდა მიეთითოს იმ ფორმაზე, რომელიც ხელმოწერის ნამდვილობას დაადასტურებს. ხელმოწერა კი შეიძლება შესრულდეს ტექნიკურად შესაძლებელი ნებისმიერი გზით. სწორედ ამიტომაც საჭირო ხელმოწერის ნამდვილობის საკითხი დაკავშირებული იყოს თვით ფასიანი ქაღალდის შინაარსთან და ფორმასთან.

მუხლი 912. ემიტენტის შესაგებლები

დოკუმენტის გამომშვებს (ემიტენტს) შეუძლია ფასიანი ქაღალდის მფლობელს წარუდგინოს მხოლოდ ისეთი შესაგებლები, რომლებიც ეხება გაფორმების ნამდვილობას, თვით დოკუმენტს ან ემიტენტს აქვს უშუალოდ მფლობელის მიმართ.

ნორმატიული აქტები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებენ, ზუსტად განსაზღვრავენ ფასიან ქაღალდში მოცემული უფლების მოცულობას, აგრეთვე ფასიანი ქაღალდის თითოეული სახის აუცილებელ რეკვიზიტებსა და ფორმას. ფასიანი ქაღალდის გამომშვები ანუ ემიტენტი ვალდებულია აღნიშნული მოთხოვნები ზუსტად დაიცვას. ფასიანი ქაღალდის მფლობელი კი უფლებამოსილია მოითხოვოს ფასიანი ქაღალდის სამართლებრივად სრულყოფილი სახით გადაცემა. ამიტომ ფასიანი ქაღალდის გადაცემისა და რეალიზაციის პროცესში წარმოშობილი უფლება-მოვალეობები განსაზღვრულ ჩარჩოებშია მოქცეული. ემიტენტი უფლებამოსილია ფასიანი ქაღალდის მფლობელს წარუდგინოს ისეთი შესაძლებელი მოთხოვნები, რომლებიც ეხება

დოკუმენტის გაფორმების ნამდვილობას ან თვით დოკუმენტის შინა-
არსს. შესაძლებელია აგრეთვე ისეთი შესაგებლის წარდგენაც, რომელიც
უშუალოდ მფლობელის მიმართაა განკუთვნილი.

მუხლი 913. უფლებათა გადასვლის წესი

1. დოკუმენტში მოცემული უფლება გადადის მოძრავი ნივთის
გადაცემისათვის დადგენილი წესების მიხედვით. იგი შეიძლება გადაი-
ცეს ასევე მესამე პირთან დადებული ხელშეკრულებით.

2. მართლზომიერ მფლობელად ჩაითვლება პირი, რომელიც
შეიძენს რაიმე გზით დაკარგულ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევი-
სა, როცა იგი დოკუმენტის შეძენისას მოქმედებდა განზრახ ან
უხეში გაუფრთხილებლობით.

ფასიან ქალაქებში გამოხატულ უფლებათა გადასვლის წესი
განპირობებულია ფასიანი ქალაქის ამა თუ იმ სახის ბრუნვაუ-
ნარიანობის ხარისხით. ყველა შესაძლებელ შემთხვევაში კანონი
უფლებათა გადასვლის გამარტივებულ წესს ითვალისწინებს. საწარ-
მდგენლო ფასიანი ქალაქის შინაარსით განსაზღვრული უფლების
გადაცემა ხდება მოძრავი ნივთების გადაცემისათვის დადგენილი
წესით. ყველაზე რეალურად ეს წესი გამოიხატება ფასიანი ქალაქის
სხვა პირისათვის გადაცემა-ჩაბარებით. საწარმდგენლო ფასიანი ქა-
ლაქი შეიძლება გადაიცეს აგრეთვე მესამე პირთან დადებული
ხელშეკრულების საფუძველზე. ამ დროს ძირითადად იგულისხმება
ფასიანი ქალაქის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებუ-
ლი ისეთი ხელშეკრულება, რომლითაც გათვალისწინებულია განსაზ-
ღვრული ქონებისა და მათ შორის საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის
ამ უკანასკნელზე საკუთრებაში გადაცემა. საწარმდგენლო ფასიანი
ქალაქის შეუზღუდავი ბრუნვაუნარიანობის გამო დოკუმენტის
მფლობელის კეთილსინდისიერების საკითხი მაქსიმალურ ჭეშ-
მარიტებაზეა აყვანილი. ამიტომ მართლზომიერ მფლობელად ჩაითვ-
ლება ყველა ის პირი, რომელიც კანონიერად შეიძენს ასეთ ფასიან

ქალაქს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია დოკუმენტი დაეკარგა მის ადრინდელ მფლობელს. აქ არა აქვს მნიშვნელობა იმას, მას ფასიანი ქალაქი მოპარეს, წაართვეს თუ სხვა მისი ნების საწინააღმდეგო მოქმედებით გამოვიდა ეს დოკუმენტი მისი მფლობელობიდან. ამ ზოგადი წესიდან არსებობს ერთი გამონაკლისი — პირი არ შეიძლება მართლზომიერ მფლობელად ჩაითვალოს, თუ იგი საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის შეძენის დროს მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, ანუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მისი მფლობელობა უკანონო იქნებოდა, მაგრამ მაინც შეიძინა დოკუმენტი. ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია შესაგებელი მოთხოვნის წაყენება.

მუხლი 914. ემიტენტის უფლებები

1. ემიტენტს შეუძლია შეედავოს ნებისმიერ მფლობელს, რომ ფასიანი ქალაქი მას არ გაუცია. გარდა ამისა, მას შეუძლია წაუყენოს მფლობელს ნებისმიერი შესაგებელი, რომელიც დოკუმენტიდან გამომდინარეობს.

2. თუ ემიტენტი დოკუმენტის ხელმოსაწერად იყენებს ტექნიკურ საშუალებას, მას არ შეუძლია მფლობელთან თავი იმართლოს იმით, რომ არ ჰქონდა ამ საშუალების გამოყენების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა გაყალბების შესახებ, ან მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით.

3. თუ დოკუმენტი მფლობელს საკუთრებაში გადაეცა, ემიტენტს არ შეუძლია დაუპირისპიროს მას შესაძლებლები, რომლებიც გამომდინარეობენ ადრინდელ მფლობელთან მისი უშუალო ურთიერთობებიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემდგომი მფლობელი დოკუმენტის შეძენისას შეგნებულად მოქმედებდა ემიტენტის საზიანოდ.

4. თუ შესაგებელი არ გამომდინარეობს უშუალო ურთიერთობებიდან, იგი შეიძლება წარედგინოს მხოლოდ იმ ფლობელს, რომელ-

მაც ლოკუმენტზე საკუთრება მოიპოვა გასხვისების გზით და მისი შექმნისას მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

მოქმედი კანონმდებლობით ემიტენტი შეიძლება იყოს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უშვებს ფასიან ქაღალდებს. მათი რეალიზაციის პროცესში ემიტენტი ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს. რადგან შესაძლებელია ფასიანი ქაღალდების გამოშვების უფლება სხვადასხვა იურიდიულ პირებს ჰქონდეთ, ნებისმიერ ემიტენტს შეუძლია შეეცადოს ფასიანი ქაღალდის მფლობელს იმის თაობაზე, რომ ფასიანი ქაღალდი მას არ გაუცია და არც ვალდებულებას კისრულობს ამ ქაღალდში გამოხატული მოთხოვნის უფლების განხორციელებაზე. უფრო მეტიც, ემიტენტს უფლება აქვს ფასიანი ქაღალდის მფლობელს წაუყენოს ნებისმიერი შესაგებელი, რომელიც ფასიანი ქაღალდის შინაარსიდან გამომდინარეობს.

ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდის ხელმოსაწერად ტექნიკური საშუალებების გამოყენების შემთხვევაში მას არა აქვს უფლება თავი იმართლოს ფასიანი ქაღალდის მფლობელთან იმით, რომ არ ჰქონდა ამ სახის ტექნიკური საშუალებების გამოყენების უფლება და ამის საფუძველზე უნდა გაბათილდეს ფასიანი ქაღალდი. ამიტომ სადაო ფასიანი ქაღალდი ძალაში რჩება და მასში გამოხატული მოთხოვნის უფლება უნდა განხორციელდეს. აქედან გამონაკლისი შეიძლება მაშინ იქნეს დაშვებული, როცა ფასიანი ქაღალდის შემქმნმა იცოდა გაყალბების შესახებ ან იგი მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით. ასეთ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდი არ წარმოშობს მასში გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. ასევე არ შეუძლია ემიტენტს შესაგებელი დაუპირისპიროს იმ პირს, რომელსაც ფასიანი ქაღალდი გადაეცა საკუთრებაში, ხოლო შესაგებელი დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდის ადრინდელ მფლობელთან მის უშუალო ურთიერთობასთან. იგულისხმება, რომ ემიტენტმა ასეთი შესაგებელი უნდა წაუყენოს ფასიანი ქაღალდის ადრინდელ მფლობელს. ახალ მფლობელს მხოლოდ მაშინ შეიძლება გამონაკლისის

სახით წაყენოს ადრინდელ მფლობელთან ურთიერთობასთან დაკავშირებული შესაგებელი, თუ შემდგომი მფლობელი ფასიანი ქაღალდის შეძენისას შეგნებულად მოქმედებდა ემიტენტის საზიანოდ. ასეთ შემთხვევაში იგულისხმება შესაგებლის წასაყენებლად იურიდიული საფუძველი თვით ახალმა მფლობელმა შექმნა მისი არამართლზომიერი მოქმედებით. შესაძლებელია შესაგებელი არ გამომდინარეობდეს ფასიანი ქაღალდის ადრინდელ თუ შემდგომ მფლობელთან უშუალო ურთიერთობებიდან. ასეთ შემთხვევაში შესაგებლის საგანი უნდა იყოს თვით ფასიანი ქაღალდი. რადგან ფასიანი ქაღალდის მფლობელის კეთილსინდისიერების პრეზუმფცია აღიარა კანონმა, ამიტომ ფასიანი ქაღალდთან დაკავშირებული შესაგებელი შეიძლება მხოლოდ იმ მფლობელს წარედგინოს, რომელმაც ფასიანი ქაღალდი შეიძინა ადრინდელი მფლობელისაგან და შეძენისას იგი მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ამ დროს შესაგებლის წარდგენის საფუძველი ფასიანი ქაღალდის შემძენის არამართლზომიერი მოქმედება ხდება.

მუსლი 915. ემიტენტის მოვალეობა

1. ემიტენტი მოვალეა შეასრულოს თავისი ვალდებულება მხოლოდ მაშინ თუ მას გადასცემენ ფასიანი ქაღალდს.

2. მოვალე, რომელიც ასრულებს ვალდებულებებს დოკუმენტის მფლობელის წინაშე, თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან, თუ ის არ მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით და შესაძლებლობა აქვს დაამტკიცოს მფლობელის არაკეთილსინდისიერება.

3. მოვალე, რომელიც განთავისუფლდება თავისი ვალდებულებებისაგან დოკუმენტის მფლობელის წინაშე, იძენს საკუთრებას მისთვის ჩაბარებულ დოკუმენტზე.

ფასიანი ქაღალდში გამოხატული მოთხოვნის რეალიზაცია ხდება მისი წარდგენის საფუძველზე. გამონაკლისი შეიძლება განსახორ-

ციელებელ უფლებათა სპეციალურ ფიქსაციასთან იყოს დაკავშირებული. ამიტომ ემიტენტი მხოლოდ მაშინ არის მოვალე შეასრულოს თავისი ვალდებულება, თუ მას გადასცემენ ფასიან ქალაქს და მისი მფლობელი მოითხოვს დოკუმენტში აღნიშნული უფლების განხორციელებას.

ფასიან ქალაქში გამოხატული მოთხოვნის რეალიზაციის პროცესში თუ ემიტენტს შეექმნა შესაძლებლობა დაამტკიცოს ფასიანი ქალაქის მფლობელის არაკეთილსინდისიერება, მაშინ იგი განთავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი არ მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ემიტენტი, რომელიც აღნიშნულ საფუძველზე განთავისუფლდება ფასიანი ქალაქის მფლობელის წინაშე თავისი ვალდებულებების შესრულებისაგან, საკუთრების უფლებას იძენს მისთვის ჩაბარებულ ფასიან ქალაქზე.

მუხლი 916. საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის გადაფორმება

საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის გადაფორმება განსაზღვრული პირის სახელზე შეიძლება განხორციელოს მხოლოდ ემიტენტმა. ამასთან, ემიტენტი არ არის ვალდებული გადააფორმოს საწარმდგენლო (წარმომდგენზე) ფასიანი ქალაქი.

საწარმდგენლო ფასიან ქალაქში არ არის მითითებული კონკრეტული პირი, რომელსაც მის საფუძველზე წარმოეშობა მოთხოვნის უფლება. ასეთი უფლებით ისარგებლებს ნებისმიერი პირი, ვის მფლობელობაშიც შეიძლება აღმოჩნდეს საწარმდგენლო ფასიანი ქალაქი. ამასთან, გამორიცხული არ არის საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის გადაფორმება განსაზღვრული პირის სახელზე. ასეთი გადაფორმება შეუძლია მხოლოდ ემიტენტს და არა სხვა პირს ან ნებისმიერ მფლობელს. ფასიანი ქალაქის გადაფორმება მნიშვნელოვანი პროცესია. მასში არა მარტო ტექნიკური, არამედ

სამართლებრივი მომენტიც აირეკლება. ასეთ შემთხვევაში ხდება ფასიანი ქაღალდის სახეობის შეცვლა. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი გადაიქცევა პირად ანუ სახელობით ფასიან ქაღალდად. ამ უკანასკნელს კი განსხვავებული სტატუსი გააჩნია. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის გაფორმება განსაზღვრულ პირზე ემიტენტის უფლებაა და არა მოვალეობა. მაგალითად, ჩვეულებრივი (საწარმდგენლო) აქციის გამცემ საწარმოს შეუძლია გადააფორმოს იგი სახელობით აქციად. მაგრამ საწარმდგენლო აქციის მფლობელს უფლება არა აქვს მოსთხოვოს სააქციო საზოგადოებას აუცილებლად გადააფორმოს აქცია თავის სახელზე. ამიტომ უფრო ლოგიკურია ერთი სახის (უსახელო) აქციის გაყიდვა და მეორე სახის (სახელობითი) აქციის ყიდვა. ამიტომაც არ ავალდებულებს კანონი ემიტენტს შეასრულოს საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის გადაფორმების ოპერაცია.

მუხლი 917. მიმოქცევისათვის უვარგისი ფასიანი ქაღალდის გამოცვლა

თუ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი დაზიანების გამო აღარ არის ვარგისი მიმოქცევისათვის, მაშინ მფლობელს შეუძლია, თუ დოკუმენტის შინაარსისა და არსებითი განმასხვავებელი ნიშნების ამოცნობა ჯერ კიდევ შესაძლებელია, მოითხოვოს ახალი საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი დაზიანებული დოკუმენტის ჩაბარების სანაცვლოდ. ამასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გასწიოს მფლობელმა და თანხა გადაიხადოს წინასწარ.

ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი შეიძლება გაცედეს ან ისე დაზიანდეს, რომ მიმოქცევისათვის უვარგისი გახდეს. ასეთ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება მისი გამოცვლის საკითხი. თუ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი დაზიანების გამო მიმოქცევისათვის უვარგისი გახდა, მისმა მფლობელმა შეიძლება ემიტენტისაგან მოითხოვოს ახალი დოკუმენტი დაზიანებულის სანაცვლოდ, ხოლო

ეს უკანასკნელი კი ემიტენტს ჩააბაროს. ამისათვის აუცილებელია ფასიანი ქაღალდის შინაარსისა და არსებითი განმასხვავებელი ნიშნების ამოცნობის შესაძლებლობა არსებობდეს. ფასიანი ქაღალდის გამოცვლასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გასწიოს დაზიანებული დოკუმენტის მფლობელმა და თანაც წინასწარ. აღნიშნული პირობების არარსებობა მიმოქცევისათვის უვარგისი ფასიანი ქაღალდის გამოცვლისათვის უარის საფუძველია.

მუხლი 918. ფასიანი ქაღალდის გამოცხადება ქალაქაკარგულად

1. დაკარგული ან განადგურებული ფასიანი ქაღალდი შეიძლება სასამართლომ ძალადაკარგულად გამოაცხადოს, თუ დოკუმენტი სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

2. ემიტენტი ვალდებულია ადრინდელ მფლობელს მოთხოვნისამებრ მიაწოდოს ცნობები, რომელიც აუცილებელია სასამართლოში ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგულად გამოცხადების საქმის განხილვისა და გადახდის აკრძალვისათვის; ასევე ვალდებულია გასცეს შესაბამისი მოწმობა. მოწმობის გაცემის ხარჯებს წინასწარ იხდის ადრინდელი მფლობელი.

ფასიანი ქაღალდის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი აღდგენა. მაგრამ ამისათვის აუცილებელია ჯერ სასამართლომ ძალადაკარგულად გამოაცხადოს ასეთი ფასიანი ქაღალდი. ძალადაკარგულად ფასიანი ქაღალდის გამოცხადება სასამართლოს მიერ ხდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე. შესაძლებელია თვით ფასიანი ქაღალდი მისი აღდგენის რაიმე უფრო გამარტივებულ გზას ითვალისწინებდეს. მაშინ სასამართლო გზით მისი ძალადაკარგულად გამოცხადება აუცილებელი არ არის. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგულად გამოცხადება, როგორც წესი, სასამართლოს მიერ ხდება. ამიტომ ამ პროცესში ემიტენტს განსაზღვრული მოვალეობები ეკისრება. ისინი

დაკავშირებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ ძალადაკარგულად ფასიანი ქაღალდის გამოცხადებასთან. კერძოდ, ემიტენტმა ფასიანი ქაღალდის ადრინდელი მფლობელის მოთხოვნით მას უნდა მიაწოდოს ცნობები, რაც აუცილებელია სასამართლოში ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგულად გამოცხადების საქმის განხილვისათვის, აგრეთვე ასეთი ფასიანი ქაღალდით გადახდის აკრძალვის უზრუნველყოფისათვის. ემიტენტი ვალდებულია გასცეს მოწმობა იმის თაობაზე, რომ პირის მფლობელობაში ადრე არსებული ფასიანი ქაღალდი ძალადაკარგულად არის ცნობილი და მასზე ყოველგვარი გადახდები აკრძალულია. ასეთი მოწმობის გაცემის ხარჯები წინასწარ უნდა გადაიხადოს ფასიანი ქაღალდის ადრინდელმა მფლობელმა. დაკარგულ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის თაობაზე გამოწვევითი წარმოება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ფასიანი ქაღალდის ადრინდელმა მფლობელმა არ იცის თუ ვის მფლობელობაშია დაკარგული დოკუმენტი. იმ შემთხვევაში კი, როცა ფასიანი ქაღალდის შესაკუთრისათვის ცნობილია პირი, ვის უკანონო მფლობელობაშიც იმყოფება დოკუმენტი, მაგრამ იგი მაინც აბრუნებს მას, შესაკუთრეს შეუძლია სასამართლოს მეშვეობით სავინდიკაციო სარჩელის საფუძველზე დაიბრუნოს ფასიანი ქაღალდი.

მუხლი 919. ახალი საწარმდგენლო დოკუმენტის გაცემა

პირს, რომელმაც მიადწია საწარმდგენლო სავალო ვალდებულებების ძალადაკარგულად გამოცხადებას, დოკუმენტიდან გამომდინარე მოთხოვნის განხორციელების მიუხედავად, შეუძლია მოსთხოვოს ემიტენტს ძალადაკარგულის სანაცვლოდ ახალი საწარმდგენლო დოკუმენტის გაცემა. მანვე წინასწარ უნდა აანაზღაუროს გაცემის ხარჯები.

ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგულად გამოცხადება საფუძველად ედება სავალო ვალდებულებების გაუქმებას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დოკუმენტის ადრინდელ მფლობელს ავტო-

მატურად აღუდგება ძალადაკარგულ ფასიან ქალაქში ფიქსირებული მოთხოვნის უფლება. ამისათვის აუცილებელია ფასიანი ქალაქის ადრინდელმა მფლობელმა მიმართოს ემიტენტს ძალადაკარგული დოკუმენტის სანაცვლოდ ახალი საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის გაცემის თაობაზე. ემიტენტი ვალდებულია გასცეს ახალი ფასიანი ქალაქი. ეს დამოკიდებული არ იქნება ადრინდელი ფასიანი ქალაქის მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნის განხორციელებაზე. ოღონდ ახალი ფასიანი ქალაქის გაცემის ხარჯები წინასწარ უნდა აანაზღაუროს ადრინდელმა მფლობელმა.

მუსლი 920. მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

ფასიანი ქალაქებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ოცდაათ წელს დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დადგომიდან.

ფასიანი ქალაქის კანონიერ მფლობელს უფლება აქვს მოითხოვოს იმ ვალდებულების შესრულება, რაც დოკუმენტშია გამოხატული. შესრულების ვადა, ჩვეულებრივ, ფასიან ქალაქშივეა განსაზღვრული. ფასიან ქალაქში განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობა შეიძლება დოკუმენტის მფლობელისათვის ზიანის მიყენების მიზეზი გახდეს. იგივე ფაქტს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფასიანი ქალაქის გაყალბების შემთხვევაშიც. მსგავს შემთხვევაში ფასიანი ქალაქის მფლობელს უფლება აქვს ემიტენტისაგან მოითხოვოს არა მარტო დოკუმენტში გამოხატული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, არამედ ემიტენტის მხრივ არამართლზომიერი მოქმედებით მიღებული ზიანის ანაზღაურებაც. საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის მფლობელს შეუძლია ოცდაათი წლის განმავლობაში მოითხოვოს დოკუმენტში აღნიშნული ვალდებულების შესრულება. ხანდაზმულობის ოცდაათწლიანი ვადის ათვლა იწყება ფასიან ქალაქში მითითებული ვალდებულების შესრულების ვადის დადგომიდან. ხანდაზმულობის ოცდაათწლიანი ვადის გასვ-

ლის შემდეგ ფასიან ქალაქში აღნიშნული მოთხოვნა იძულებით არ განხორციელდება.

მუსლი 921. მცირე ღირებულების სავალო დოკუმენტის გაცემა

თუ ემიტენტმა გასცა მცირე ღირებულების სავალო ან სხვა მსგავსი დოკუმენტები, რომლებშიც კრედიტორი არ არის აღნიშნული, ხოლო საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ ემიტენტს სურს გადაუხადოს მფლობელს, მაშინ გამოიყენება 911-ე მუსლის პირველი ნაწილის, 913-915-ე და 920-ე მუხლების წესები.

ემიტენტს უფლება აქვს გასცეს სავალო დოკუმენტები ისე, რომ არ მიუთითოს კრედიტორის ვინაობა. ასეთი დოკუმენტები მცირე ღირებულებისა უნდა იყოს. მართალია, კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს ღირებულების ოდენობას, მაგრამ გულისხმობს არაკაპიტალური დანიშნულების, ძირითადად ყოფით ურთიერთობებში გავრცელებული ოდენობის თანხებს. ასეთი დოკუმენტის ემიტენტისათვის წარდგენა ამ უკანასკნელის დადებითი ნების გამოვლენის შემთხვევაში, შეიძლება, მასში მითითებული თანხის გადახდის საფუძველი გახდეს. ის ფაქტი, რომ სავალო დოკუმენტში განსაზღვრული კრედიტორი არ არის მითითებული, მას საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის სტატუსს უთანაბრებს და კანონმდებელი ამ დროს შესაძლებლად თვლის საწარმდგენლო ფასიანი ქალაქების ბრუნვიდან გამომდინარე, ვალდებულებათა მარეგულირებელი ნორმების ძირითადი დებულებების გამოყენებას. კერძოდ, ისეთი დებულებებისა, როგორიცაა: 1. თუ ვინმე გასცემს დოკუმენტს, რომლითაც გადახდაა შეპირებული, დოკუმენტის მფლობელს უფლება აქვს მოითხოვოს იგი; 2. დოკუმენტში მითითებული უფლება სხვა პირს გადაეცემა ამ დოკუმენტისვე გადაცემით. ახალი მფლობელის კეთილსინდისიერება პრეზუმირებულია; 3. ემიტენტი აღნიშნულ შემთხვევაში აღჭურვილია კანონით დადგენილი უფლება-მოვალეობებით.

II. საორდერო ფასიანი ქაღალდებიდან

წარმოშობილი ვალდებულება

მუხლი 922. ტიპი

1. სავალო დოკუმენტი, რომლითაც ემიტენტი დოკუმენტის წარდგენისას გადახდას ჰპირდება დასახელებულ პირს, შეიძლება გაიცეს საორდერო ფასიანი ქაღალდის სახით.

2. ხელმოწერა შეიძლება ტექნიკურად შესაძლებელი ნებისმიერი გზით.

საორდერო ფასიან ქაღალდში, საწარმდგენლოსაგან განსხვავებით, აღინიშნება მისი პირველი მფლობელი პირი, რომელსაც თავის მხრივ უფლება აქვს ორდერის საფუძველზე სხვას გადასცეს იგი. ემიტენტი ვალდებულია შეუსრულოს ფასიან ქაღალდში აღნიშნული მოთხოვნა მის პირველ მფლობელს ან სხვა პირს, რომლის მფლობელობაშიც კანონიერი გზით გადავიდა ფასიანი ქაღალდი. საორდერო ფასიან ქაღალდზე ხელმოწერა შესაძლებელია გაკეთდეს ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

მუხლი 923. უფლებათა გადაცემა. ინდოსამენტის სახეები

1. დოკუმენტში მოცემული უფლება შეიძლება გადაცემულ იქნეს ინდოსამენტით და დოკუმენტის გადაცემით.

2. ინდოსამენტი კეთდება დოკუმენტზე ან მის დანართზე. დაშვებულია ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

3. ინდოსამენტი არ საჭიროებს ინდოსატარის აღნიშვნას და შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ხელმოწერისაგან (ბლანკეტური ინდოსამენტი). ბლანკეტური ინდოსამენტი შეიძლება შეავსოს უფლებამოსილმა მფლობელმა თავისი ან სხვისი სახელით, გასცეს დოკუმენტი შეუვსებლად ანდა თავად მოახდინოს მისი შემდგომი ინდოსირება განსაზღვრულ პირზე.

საორდერო ფასიან ქალაქში გამოხატული მოთხოვნის უფლების გადაცემა არ ხდება მოძრავი ნივთების გადაცემისათვის დადგენილი წესებით. ამ დროს საჭიროა დოკუმენტის მფლობელი პირის მიერ თავისი ნების კატეგორიული ფორმით გამოხატვა კანონით დადგენილი სახით. დოკუმენტის მფლობელის ნება გამოიხატება მის ბრძანებაში, ორდერში, რომელსაც ინდოსამენტი ჰქვია. მარტო ინდოსამენტის გაკეთება არაა საკმარისი. საჭიროა ინდოსირებული დოკუმენტის გადაცემა სხვა ახალი მფლობელისათვის. ინდოსამენტი ანუ დოკუმენტის მფლობელის ნების გამომხატველი წარწერა კეთდება თვით დოკუმენტზე ან მის დანართზე. ამ დროს შესაძლებელია ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება. ინდოსამენტი წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რომლის მიხედვითაც ფასიან ქალაქში გამოხატული მისი მფლობელის ყველა უფლება გადადის იმ პირზე, რომლის მიმართაც აკეთებს იგი შესაბამის წარწერას. როგორც ყველა გარიგება, ინდოსამენტიც ხელმოწერილი უნდა იქნეს მისი გამცემის მიერ. თუ ფასიანი ქალაქის გადასაცემი წარწერა კეთდება იურიდიული პირის სახელით, მაშინ მას ხელი უნდა მოაწეროს იმ თანამდებობის პირმა, რომელიც იურიდიული პირის მიერაა უფლებამოსილი.

ინდოსამენტი შეიძლება იყოს სახელობითი და ბლანკეტური. სახელობითი ინდოსამენტის დროს გადასაცემ წარწერაში აუცილებლად უნდა მიეთითოს იმ პირის ვინაობის შესახებ, ვისზეც უნდა გადავიდეს საორდერო ფასიანი ქალაქი. ბლანკეტური ინდოსამენტი არ შეიცავს მითითებას იმ პირზე, რომლის მიმართ ან რომლის ბრძანებითაც უნდა განხორციელდეს მოთხოვნის შესრულება. მასში მხოლოდ ინდოსამენტის გამცემის ხელმოწერაა. ინდოსატარი მასში დოკუმენტის გადაცემის შემდეგ შეიტანება. ხელმოწერილი ბლანკეტური ინდოსამენტი შეიძლება შეავსოს ფასიანი ქალაქის ახალმა მფლობელმა თავისი ან სხვისი სახელით. შესაძლებელია იგი შეუვსებლადაც გაიცეს სხვა პირზე ანდა შეუვსებელი ინდოსამენტის მფლობელმა თავად მოახდინოს მისი შემდგომი

ინდოსირება განსაზღვრულ პირზე. ბლანკეტური ინდოსამენტის დროს დოკუმენტი იძენს საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის სახეს. ამიტომ მისი ყოველი მფლობელი ითვლება კეთილსინდისიერად. ჩვეულებრივ, ინდოსამენტი გულისხმობს სხვა პირისათვის ფასიან ქალაქში გამოხატული უფლებების გადაცემას. ამასთან ერთად შესაძლებელია ინდოსანტის გამცემმა ანუ ინდოსანტმა უფლებები კი არ გადასცეს სხვა პირს ანუ ინდოსატარს, არამედ ფასიანი ქალაქის გადაცემით და შესაბამისი წარწერით დაავალოს მას დოკუმენტში გამოხატული უფლების განხორციელება. ასეთ შემთხვევებში ინდოსატარი ინდოსანტის წარმომადგენლად გამოდის. ასეთი ე.წ. დავალებითი ინდოსამენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სათამასუქო ურთიერთობებში.

საორდერო ფასიან ქალაქში გამოხატული მოთხოვნის უფლების სხვა პირზე გადაცემა ანუ მოთხოვნის დათმობა (ცესია) ავალდებულებს დოკუმენტის გამცემს – ინდოსანტს პასუხი აგოს არა მარტო მოთხოვნის ნამდვილობაზე, არამედ მის განხორციელებაზეც.

მუხლი 924. ინდოსირებით შექმნილი დოკუმენტის გამოყენების წესი

თუ საორდერო სავალო დოკუმენტი შექმნილია ინდოსამენტის საფუძველზე, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 914-ე მუხლი.

საორდერო სავალო დოკუმენტი შეიძლება გაიცეს როგორც ემიტენტის, ისე იმ პირის მიერაც, ვინც ინდოსამენტის საფუძველზე მიიღო იგი. ასეთ შემთხვევაში ინდოსამენტის გამცემი თავისი უფლებებით უთანაბრდება ემიტენტს. ამიტომ კანონმა მსგავს შემთხვევებში შესაძლებლად ჩათვალა ემიტენტის უფლებების მარეგულირებელი ნორმის გამოყენება.

მუსლი 925. გადახდა თანმიმდევრული ინდოსამენტების არსებობისას

1. თანმიმდევრული ინდოსამენტების მეშვეობით დადასტურებული საორდერო ფასიანი ქაღალდის მფლობელს შეუძლია ხელმოწერილი დოკუმენტის ჩაბარების სანაცვლოდ მოითხოვოს გადახდა დაპირების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ამის უფლებამოსილება არა აქვს.

2. გადახდა არაუფლებამოსილი პირისათვის, რომელმაც თავისი უფლება დაადასტურა თანმიმდევრული ინდოსამენტის მეშვეობით, ათვისუფლებს მოვალეს, თუ იგი არ მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

3. მოვალე, რომელმაც შეასრულა თავისი მოვალეობა ინდოსატარის წინაშე, ზღემა მისთვის გადაცემული დოკუმენტის შესაკუთრე.

ინდოსამენტის გამცემი ყველა პირი ერთნაირადაა ვალდებული საორდერო ფასიანი ქაღალდის საბოლოო მფლობელის წინაშე. ისინი ფასიანი ქაღალდის გამცემთან – ემიტენტთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს დოკუმენტში გამოხატული ვალდებულებისათვის. ამიტომ დოკუმენტის კანონიერ მფლობელს უფლება აქვს მასში გამოხატული ვალდებულების შესრულება მოთხოვოს პირს, რომელმაც თავიდან გასცა ფასიანი ქაღალდი ან იმ პირებიდან რომელიმეს, რომელთაც მოახდინეს დოკუმენტის ინდოსირება ანდა – ყველას ერთად. პირი, რომელმაც დოკუმენტის მფლობელს შეუსრულა მასში გამოხატული ვალდებულება, სარგებლობს სხვა მოვალეებისადმი უკუმოთხოვნის უფლებით. არ შეიძლება ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ არ არსებობს დოკუმენტში გამოხატული ვალდებულების საფუძველები ან, რომ ასეთი ვალდებულება ბათილია. მაგალითად, თუ ფასიანი ქაღალდი გაცემულ იქნა წინასწარი გარიგების საფუძველზე, რომელიც შემდეგ გაბათილდა

ან არ შესრულდა, ეს გარემოება არ აძლევს უფლებას დოკუმენტის გამცემს უარი თქვას მასში გამოხატული ვალდებულების შესრულებაზე. ფასიანი ქაღალდით ვალდებულ პირს არც მაშინ აქვს მის შესრულებაზე უარის თქმის უფლება, როცა დოკუმენტი გაიცა ემისიის ან ფასიანი ქაღალდის განსაზღვრული სახის ბრუნვის წესების დარღვევით. ფასიანი ქაღალდის გამცემი მხოლოდ მაშინ განთავისუფლდება დოკუმენტში გამოხატული მოვალეობის შესრულებისაგან, თუ მისი მფლობელი არაკანონიერი მფლობელია.

თანმიმდევრული ინდოსამენტებით დადასტურებული ფასიანი ქაღალდის მფლობელი სარგებლობს ერთი მეტად მნიშვნელოვანი უფლებით – მას შეუძლია ხელმოწერილი დოკუმენტის ჩაბარების სანაცვლოდ მოითხოვოს მასში გამოხატული დაპირების შესაბამისი გადახდა. შესაძლებელია გადახდა განხორციელდეს არაუფლებამოსილი პირისათვისაც. თუ ასეთმა პირმა თავისი უფლება დაადასტურა თანმიმდევრული ინდოსამენტების მეშვეობით და მოვალე მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, გადახდა კანონიერად უნდა ჩათვალოს. მოვალე მხოლოდ მაშინ განთავისუფლდება გადახდისაგან, თუ იგი მართლზომიერად მოქმედებდა. თუ მოვალემ ჯეროვნად შეასრულა დოკუმენტის მფლობელის წინაშე მასში გამოხატული ვალდებულება, იგი ხდება მისთვის გასანადგებლად გადაცემული ფასიანი ქაღალდის მესაკუთრე. ამით დასტურდება ის, რომ ინდოსანტსა და ინდოსატარს შორის ფასიან ქაღალდთან დაკავშირებული ვალდებულება შეწყდა.

მუხლი 926. წერილობითი ბარანტირებული მოთხოვნები

თუ საორდერო ფასიან ქაღალდებში წერილობით არის გარანტირებული არა მარტო მცირე ღირებულების მოთხოვნები, შესაბამისად გამოიყენება საწარმდგენლო სავალო დოკუმენტის შემცველი დოკუმენტის გაცემისა და ძალადაკარგულად გამოცხადების წესები.

საორდერო ფასიან ქალაქებში შეიძლება გარანტირებული იყოს როგორც მცირე ღირებულების, ისე ჩვეულებრივი მოთხოვნები. ასეთ შემთხვევებში გარანტირებული მოთხოვნა აუცილებლად უნდა შესრულდეს. იგულისხმება, რომ კრედიტორი შეიძლება არც იყოს მითითებულ ასეთ დოკუმენტში, ამიტომ საორდერო ფასიანი ქალაქი ასეთ შემთხვევაში საწარმდგენლო დოკუმენტის სახეს იძენს. სავალო დოკუმენტის სხვადასხვა სახით არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მათგანის მეშვეობით მოთხოვნის გადაცემის პროცესში გამოყენებულ უნდა იქნეს საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქალაქების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და მასში გამოხატული უფლებების აღდგენის წესები. კანონის მიხედვით ასეთ დროს გამოიყენება საწარმდგენლო სავალო დოკუმენტის შემცველი ნებისმიერი დოკუმენტის შესაბამისად დადგენილი მათი გაცემისა და ძალადაკარგულად გამოცხადების წესები. აღნიშნული გარემოება ნათლად მიუთითებს საწარმდგენლო და საორდერო ფასიანი ქალაქების სტატუსებს შორის კიდევ ერთ სხვაობაზე.

მუხლი 927. მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

საორდერო სავალო დოკუმენტებიდან გამომდინარე მოთხოვნათა ხანდაზმულობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება საწარმდგენლო სავალო დოკუმენტების მიმართ მოქმედი წესები.

ქონებრივი მოთხოვნის ფასიანი ქალაქებისაგან განსხვავებით ფულადი მოთხოვნის ანუ სავალო დოკუმენტების ხანდაზმულობის ვადა უფრო ხანგრძლივია. ეს ძირითადად ფულადი ვალდებულების ხანგრძლივი ვადით შენარჩუნების შესაძლებლობასთანაა დაკავშირებული. დროის შედარებით მეტი მონაკვეთის გასვლა, ვალდებულების აღბათობას მტკიცების თვალსაზრისით ან მოთხოვნის აქტუალობის შეცვლის საბაბით, ვალდებულების შინაარსს არ ცვლის. ამიტომ სავალო დოკუმენტში მითითებული მოთხოვნის შესრულება შეიძლება საკმაო დროის გასვლის შემდეგაც დადგეს დღის

წესრიგში. საორდერო სავალო დოკუმენტებიდან გამომდინარე, მოთხოვნათა ხანდაზმულობის მიმართ გამოიყენება საწარმდგენლო სავალო დოკუმენტების მიმართ დადგენილი ვადები.

III. პირადი ფასიანი ქაღალდები

მუხლი 928. ცნება

1. განსაზღვრული პირის სახელზე შედგენილი დოკუმენტი შეიძლება გაიცეს იმ პირობით, რომ მოვალეს დაეკისრება გადახდა მხოლოდ ამ პირის დოკუმენტის ჩაბარების სანაცვლოდ.

2. თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დოკუმენტში მოცემული უფლება გადაიცემა ამ უფლებისათვის დადგენილი წესების მიხედვით.

3. თუ დოკუმენტი დაკარგული ან განადგურებულია, მაშინ იგი განსაკუთრებული წარმოების გზით ძალადაკარგულად გამოცხადდება, თუკი სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს წესი არ მოქმედებს მცირე ღირებულების მქონე დოკუმენტების დაკარგვისას.

პირადი ანუ სახელობითი ფასიანი ქაღალდი შედგენილი უნდა იქნეს განსაზღვრული პირის სახელზე. ასეთი დოკუმენტი გაიცემა იმ პირობით, რომ ემიტენტს დოკუმენტში მითითებული მოთხოვნის გადახდა დაეკისრება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ფასიანი ქაღალდის მფლობელი ამ ქაღალდს ჩააბარებს მოვალეს გადახდის სანაცვლოდ. ფასიანი ქაღალდის ემიტენტისათვის ჩაბარება ნიშნავს ამ უკანასკნელსა და დოკუმენტის მფლობელს შორის ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტას.

შესაძლებელია პირად ფასიანი ქაღალდში გამოხატული უფლების სხვა პირისათვის გადაცემა. ამისათვის თუ სპეციალური წესი არ არის დადგენილი, მაშინ გამოიყენება თვით დოკუმენტში მოცემული კონკრეტული უფლების გადაცემისათვის დამახასიათებელი წესი. ჩვეუ-

ლებრივ, პირადი ფასიანი ქალაქით გამოხატული უფლების სხვა პირისათვის გადაცემა ხდება ცესით – მოთხოვნის დათმობის გზით. ამ დროს ფასიანი ქალაქის ადრინდელ და ახალ მფლობელებს შორის უნდა დაიდოს გარიგება მოთხოვნის უფლების გადაცემის შესახებ. შესაძლებელია აგრეთვე მოთხოვნის უფლების სხვაზე გადაცემა გამარტივებული გზითაც: ძველი დოკუმენტის გაუქმებითა და ახალ მფლობელზე ახალი დოკუმენტის გაფორმებით. პირი, რომელმაც პირადი ფასიანი ქალაქით განსაზღვრული მოთხოვნის უფლება გადასცა სხვას, პასუხს აგებს მოთხოვნის ნამდვილობისათვის. საორდერო ქალაქის ფლობელისაგან განსხვავებით პირადი ფასიანი ქალაქის სხვაზე გადამცემი პასუხს არ აგებს გადაცემული მოთხოვნის უფლების შეუსრულებლობისათვის. უკანასკნელ შემთხვევაში მოთხოვნის შესრულებაზე ახალმა მფლობელმა უნდა იზრუნოს.

პირადი ფასიანი ქალაქის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, მის აღსადგენად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, დოკუმენტის გამცემისადმი მიმართვა. ამასთან აუცილებელია სასამართლოს მიერ განსაკუთრებული ანუ უდავო წარმოების წესით მნიშვნელოვანი ღირებულების ფასიანი ქალაქი ძალადაკარგულად გამოცხადდეს. დოკუმენტის გამცემმა შეიძლება სხვა წესით აღადგინოს ფასიანი ქალაქი. სასამართლო წესით დოკუმენტის ძალადაკარგულად გამოცხადების აუცილებლობა არ მოქმედებს მცირე ღირებულების მქონე დოკუმენტების დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში.

ფასიანი ქალაქის ნამდვილობის ფაქტის დადგენა სასამართლო წესით შესაძლებელია, როცა იგი დაკარგული ან განადგურებული კი არ არის, არამედ დაზიანებულია იმდენად, რომ საეჭვოს ხდის დოკუმენტის ნამდვილობას. (პირად საშემნახველო წიგნაკში სრულყოფილად არ არის შემორჩენილი ანაბრის ნაშთი, არ არის სრულად წარმოდგენილი დოკუმენტის ნომერი და სხვ.). ასეთი წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ თუ ნორმატიული აქტით სპეციალურადაა იგი გათვალისწინებული.

მუხლი 929. მითითება დაპირებულ გადახდაზე

თუ განსაზღვრულ სახელზე გამოწერილი დოკუმენტი შეიცავს მითითებას, რომ დაპირებული გადახდა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ წარმომდგენზე, მაშინ ნებისმიერი გარიგება მოვალესა და დოკუმენტის მფლობელს შორის, მათ შორის გადახდაც – ნამდვილია, თუკი მოვალე არ მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

პირადი ფასიანი ქაღალდი, მიუხედავად იმისა, რომ იგი შედგენილია განსაზღვრული პირის სახელზე, შეიძლება შეიცავდეს მითითებას იმის თაობაზე, რომ დოკუმენტში მითითებული მოთხოვნის გადახდა შესაძლებელია შესრულდეს ფასიანი ქაღალდის არამართო კანონიერ მფლობელზე, არამედ ნებისმიერ წარმომდგენზე. ამიტომ ფასიანი ქაღალდი თავისი შინაარსით მოიცავს როგორც სახელობით ისე საწარმდგენლო დოკუმენტის ელემენტებს. ამიტომ მოვალესა და დოკუმენტის მფლობელს შორის დადებული ნებისმიერი გარიგება, მათ შორის გადახდის თაობაზეც, ნამდვილია და დავას არ უნდა იწვევდეს. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა მოვალე მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, ამ დროს მოვალესა და დოკუმენტის მფლობელს შორის დადებული გარიგების ნამდვილობა სადაო გახდება.

ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)

მუხლი 930. ცნობა

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად.

ერთობლივი საქმიანობა, ანუ ამხანაგობა, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, ჯერ კიდევ რომის სამართლიდან არის ცნობილი. უძველესი ამხანაგობის ხელშეკრულებები თავდაპირველად ოჯახის წევრთა (ძირითადად ძმებისა და მამა-შვილების) მიერ ერთობლივად წარმოებულ საქმიანობას არგულობდა. ამ ურთიერთობამ სამართლებრივი განვითარების გარკვეული ეტაპები გაიარა და ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში თავისებური ასახვა ჰპოვა, თუმცა, ყოველთვის შეუცვლელი იყო ის ძირითადი თავისებურებები (ამხანაგობის მიზანი, მონაწილე სუბიექტები, ამხანაგობის საქმიანობის შედეგები, ამხანაგობა, როგორც სამართლის სუბიექტი და ა.შ.), რომლითაც ის მკვეთრად არის გამიჯნული სხვა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობისაგან.

ერთობლივი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებები აისახებოდნენ ამხანაგობის სხვადასხვა ფორმებში, კერძოდ: სავაჭრო ამხანაგობის, სააქციო საზოგადოებების, სრული ამხანაგობის, რომლებიც ცნობილი იყო რუსეთისა და შემდეგ საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობაში.

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების მონაწილეა ორი ან ორზე მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირი. იურიდიული პირი შეიძლება იყოს როგორც კომერციული, ისე არაკომერციული. ხელშეკრულება ერთობლივად შეიძლება დაიდოს

როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიერ. მიზნიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მონაწილე შეიძლება იყოს აგრეთვე სახელმწიფო. ამხანაგობის ხელშეკრულების ერთ-ერთ თავისებურებას სწორედ ის განაპირობებს, რომ მისი მონაწილე უნდა იყოს არანაკლებ ორი პირი, სადაც ღიდ როლს თამაშობს ამხანაგობის მონაწილეთა შორის პირადი დამოკიდებულება, განპირობებული ურთიერთნდობით, კარგი პროფესიული ცოდნითა და გამოცდილებით. თუმცა უფლება-მოვალეობათა განაწილების თვალსაზრისით მათ არ წარმოეშობათ დაპირისპირებული ინტერესები, როგორც კრედიტორსა და მოვალეს. ამდენად, ისინი არ შეიძლება იყვნენ ამხანაგობის ხელშეკრულების მხარეები (როგორც მოვალე და კრედიტორი).

მესამე პირებთან პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ შეიძლება გაუჩნდეთ გარკვეული უფლებები და მოვალეობები, ანუ ურთიერთსაპირისპირო ინტერესები და გახდნენ, როგორც მოვალეები და კრედიტორები. მიუხედავად ამისა, ამხანაგობის ხელშეკრულების მხარეებად, ამ ტერმინის ზოგადი მნიშვნელობით, ისინი მაინც ვერ ჩაითვლებიან. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეთა, როგორც მოვალეებისა და კრედიტორების უგულებელყოფას. ვინაიდან, ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და შესაბამისად საერთო მიზნის მიღწევის თვალსაზრისით ხელშეკრულების თითოეულ მონაწილეს გააჩნია გარკვეული უფლებები და აკისრიათ მოვალეობები, რომელთა შესრულების პროცესში ისინი ითვლებიან ურთიერთ მოვალეებად და კრედიტორებად.

ამდენად, ამხანაგობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების ორი მომენტი იკვეთება:

ა) სამართლებრივი ურთიერთობები – უშუალოდ ხელშეკრულების მონაწილეთა შორის, ე.ი. შიდა ურთიერთობები, რომლებიც იქმნება იმ გადანაწილებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე, რომელთა შესრულებას თითოეული მონაწილე კისრულობს საერთო მიზნის მისაღწევად.

ბ) ამხანაგობის წევრთა ურთიერთობები მესამე პირებთან, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების პირობების განხორციელებისას. ამ შემთხვევაში ამხანაგობა ყველა მონაწილის, ან წარმომადგენლის საშუალებით მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის როგორც მხარე, რომელსაც წარმოემოხა გარკვეული უფლებები ან (და) მოვალეობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამხანაგობის ხელშეკრულება წარმოადგენს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებას, თუმცა ორმხრივ ხელშეკრულებად ის არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ამ ცნების ჩვეულებრივი მნიშვნელობით. აქ არ არის ორი მხარე, რომელთა უფლებები და მოვალეობები გადანაწილებულია, როგორც კრედიტორსა და მოვალეს შორის. ამხანაგობის მონაწილეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და, შესაბამისად, ქმედებების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ისინი კანონითა და ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს.

ამხანაგობის მონაწილეთა შეთანხმება და ერთიანობის გამოვლენა ხდება საერთო მიზნის მისაღწევად. ხელშეკრულების ინტერესებიდან გამომდინარე, მის მონაწილეებს შორის შეიძლება მოხდეს უფლება-მოვალეობების გადანაწილება, მაგრამ ეს მოხდება არა როგორც დამოუკიდებელ პირთა შორის, რომელთაც ურთიერთსაპირისპირო ინტერესები და მოვალეობები გააჩნიათ, არამედ, როგორც სუბიექტებს შორის, რომელთა შორის უფლება-მოვალეობების გადანაწილება ხდება ამხანაგობის ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით, რაც ყველა მონაწილის ერთიან ინტერესს წარმოადგენს.

ამხანაგობის მნიშვნელობა და მისი ადგილი სამოქალაქო სამართალში ძირითადად განპირობებულია იმით, რომ იგი არეგულირებს მის მონაწილეთა ერთობლივ საქმიანობას. აღნიშნული ხელშეკრულება იღება მაშინ, როცა რაიმე შედეგის მიღწევა ერთი პირის მიერ შეუძლებელია. ამდენად, ერთობლივი საქმიანობა არ შეიძლება იყოს ხელშეკრულების მონაწილეთაგან ერთ-ერთის თვით-

მიზანი, არამედ იგი წარმოადგენს ყველა მონაწილის მიზანს, რომელიც საბოლოოდ ხელშეკრულების საგანში აისახება. ხელშეკრულების საგანს კი წარმოადგენს ის, რისკენაც მიმართულია მონაწილეთა ერთობლივი საქმიანობა, რომელიც შეიძლება აისახოს, როგორც მატერიალური ისე არამატერიალური სახით. მაგალითად, სახლის ან რაიმე ნაგებობის აშენება, სამშენებლო მასალის შექმნა, საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, წყლის ან ელექტრო სადენების გაყვანა, რაიმე სამსახურის გაწევა, სამუშაოს შესრულება, საერთო მეურნეობის შექმნა, ამხანაგობის წევრთა მიერ ქონების გაერთიანება მისი დაცვის, შენახვის ან განკარგვის მიზნით და ა.შ. აქედან გამომდინარე, ამხანაგობის მიზანი, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური თვალსაზრისით შეიძლება იყოს როგორც თითოეული მონაწილის, ისე მესამე პირთა ინტერესების უზრუნველყოფა.

ამხანაგობის მიზანი და მის მისაღწევად წარმოებული საქმიანობა არ უნდა იწვევდეს მესამე პირთა ინტერესების შელახვასა და უგულებელყოფას.

ამხანაგობის ხელშეკრულება არის კონსენსუალური, ე.ი. ხელშეკრულების არსებით (ხელშეკრულების საგნის, მონაწილეთა შენატანების და სხვა) პირობებზე შეთანხმების მომენტიდან იგი უკვე ძალაშია და მონაწილეები იწყებენ იმ მოქმედებების განხორციელებას, რაც აუცილებელია ამხანაგობის მიზნის მისაღწევად.

სასყიდლიანობის თვალსაზრისით ამხანაგობის ხელშეკრულება უსასყიდლოა. ხელშეკრულების მონაწილეები არ არიან კრედიტორები და მოვალეები ანუ მხარეები მისი ზოგადი გაგებით. აქედან გამომდინარე, მათ არ გააჩნიათ ურთიერთსაპირისპირო ინტერესები და შესაბამისად უფლებები და მოვალეობები. ამხანაგობის მონაწილეებს გააჩნიათ ერთიანი მიზანი, რისთვისაც ისინი ახორციელებენ ერთობლივ საქმიანობას, რომლის პროცესში მათ გააჩნიათ ურთიერთ შეთანხმებით განაწილებული (შიდა სახელშეკრულებო) უფლებები და მოვალეობები, რომელთა შესრულების შედეგად, ანუ მონაწი-

ლეთა მიერ წამოებული საქმიანობის სანაცვლოდ ხდება დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნულის გამო ხელშეკრულება შეიძლება პირობითად ჩაითვალოს სასყიდლიანად ანუ ანაზღაურებითი ხასიათის მქონედ. თუმცა, ეს არ ნიშნავს ხელშეკრულების სასყიდლიანობას მისი პირდაპირი მნიშვნელობით, ე.ი. როდესაც ერთი და იგივე ხელშეკრულებით ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას მოსდევს მეორე მხარის მიერ საპასუხო მოქმედების შესრულება და მხარეთა მიერ ურთიერთსარგებლის მიღება.

ამხანაგობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს განსაზღვრული ვადით, რაც შეიძლება აისახოს, როგორც კონკრეტული დროის მითითებით, მაგალითად 1, 2, 3 წელი, ისე შედეგის მიღწევით. მაგალითად, საცხოვრებელი სახლის აშენებით. ამხანაგობის მიზნიდან გამომდინარე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს აგრეთვე განუსაზღვრელი ვადით, რაც უმეტესად განპირობებულია საქმიანობის მრავალჯერადი ხასიათით. (მაგალითად, თუ პირები ამხანაგობას შექმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ერთობლივად წარმოების მიზნით).

მუხლი 931. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ფორმა

1. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობით ან ზეპირად
2. თუ ხელშეკრულება დადებულია წერილობით, მაშინ იგი უნდა შეიცავდეს;
 - ა. მონაწილეთა დასახელებასა და მისამართს;
 - ბ. მონაცემებს ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნის შესახებ;
 - გ. მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს;
 - დ. მართვის ორგანოთა სტრუქტურასა და ფუნქციებს;

ე. მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესსა და პირობებს;

ვ. ხელშეკრულებიდან გასვლის წესს;

ზ. საქმიანობის ხანგრძლივობას;

თ. ხელშეკრულების მოშლისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

ხელშეკრულების დადების დროს შეთანხმება არსებითი პირობების შესახებ უნდა გაკეთდეს როგორც თითოეულთან ცალ-ცალკე, ისე ყველასთან ერთად, ვინაიდან თითოეულთან დამოუკიდებლად გაკეთებული ოფერტი და შესაბამისად აქცეპტი არ გულისხმობს ყველას ნების გამოვლენას და უკვე ხელშეკრულების დადებას. ამხანაგობის ხელშეკრულების დადების შესახებ მონაწილეთა მიერ ერთობლივი ნების გამოვლენის განსაკუთრებულ ფორმას კანონი არ უთითებს. ამიტომ, იგი შეიძლება დაიდოს, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, ზოგადი წესების გამოყენებით.

ხელშეკრულების წერილობით ფორმას სავალდებულო სახე ექნება იმ შემთხვევაში, თუ შენატანი (თუნდაც ერთ-ერთი მონაწილის) წარმოდგენილია უძრავი ქონების სახით, რამეთუ ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება წარმოიშვას მისი რეალიზაციის აუცილებლობა და შესაბამისად წარმოიშვას შესაძებ პირთა ინტერესების დაცვის აუცილებლობა, ამდენად, აღნიშნული ფორმის დაცვის სავალდებულო მოთხოვნა ეფუძნება უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ უფლებათა რეგულირების ზოგად ნორმებს.

თუ ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, მისი შინაარსი უნდა მოიცავდეს შემდეგ პირობებს:

ა. მონაწილეთა დასახელებასა და მისამართს: თუ მონაწილე ფიზიკური პირია, მაშინ ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს მისი სახელი, პროფესია, საქმიანობა და საცხოვრებელი ადგილი, ხოლო, თუ იურიდიული პირია, მისი რეგისტრაციის მონაცემები;

ბ. მონაცემებს ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნის შესახებ. ე.ი. უნდა მიეთითოს, თუ რა მოქმედებები უნდა განხორ-

ციელდეს ამხანაგობის წევრთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად და ვის სასარგებლოდ იქნება იგი მიმართული, ანუ რა არის მიზანი. მაგალითად, ამხანაგობის ხელშეკრულებით უნდა აშენდეს საცხოვრებელი სახლი, რომელიც მიზნად ისახავს მონაწილეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას და სხვა;

გ. მონაწილეთა უფლებებსა და მოვალებებს; ანუ მონაწილეთა მიერ შენატანების შეტანას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას, კონტროლს, საქმეების მართვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას, წარმომადგენლობას, შემოსავლებიდან წილის მიღებისა და შესაბამისად მისი მოთხოვნის განხორციელებას, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, მესამე პირებთან პასუხისმგებლობასა და ა.შ.

დ. მართვის ორგანოთა სტრუქტურასა და ფუნქციებს, ანუ როგორი წესით განხორციელდება ამხანაგობის მართვა და ვინ შეასრულებს ამხანაგობის წარმომადგენლის ფუნქციას. ე.ი. ამხანაგობის ერთ-ერთი მონაწილე შეასრულებს წარმომადგენლის ფუნქციას თუ ყველა ერთად.

ე. მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესსა და პირობებს. ამდენად, მონაწილეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ამხანაგობის საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებისა და, შესაბამისად, ზიანის განაწილების განსხვავებულ წესსზე და პირობებზე, რომლის დროსაც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს თითოეული მონაწილის პირადი წვლილი, ეკონომიური მდგომარეობა და სხვა სუბიექტური მომენტები. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებული იქნება 935-ე და 937-ე მუხლის ზოგადი მოთხოვნები.

ვ. ხელშეკრულებიდან გასვლის წესს. ამხანაგობის მონაწილეებს უფლება აქვთ ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრონ ხელშეკრულებიდან ამა თუ იმ მონაწილის გასვლის წესი, წინასწარ შეთანხმდნენ იმის შესახებ, გამოიწვევს თუ არა ერთ-ერთი მონაწილის გასვლა ხელშეკრულების შეწყვეტას, თუ მაინც გაგრძელდება ერთობლივი საქმიანობა, როგორი სახით მიეცეს გამსვლელ მონაწი-

ილეს წილის კომპენსაცია და ა.შ. ე.ი. ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლით გათვალისწინებული ზოგადი წესებისაგან განსვავებული წესები.

ზ. საქმიანობის ხანგრძლივობას, ე.ი. უნდა მიეთითოს, თუ როგორი იქნება ხელშეკრულების მოქმედების ვადა. იქნება იგი განსაზღვრული (მაგალითად, 2,3,4 წელი), განუსაზღვრელი ვადით, თუ სიცოცხლის ხანგრძლივობით დადებული.

თ. ხელშეკრულების მოშლისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

მუხლი 932. შესატანის შეტანის ვალდებულება

1. მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შესატანის ოდენობა, თითოეული მონაწილე მოვალეა შეიტანოს იგი თანაბრად.

2. შესატანი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ქონებით, ასევე მომსახურების გაწევით.

3. თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესატანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას. მონაწილეთა საერთო საკუთრებას შეადგენს ისიც, რაც შეძენილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე, ანდა მიღებულია ანაზღაურების სახით საერთო ქონების განადგურების, დაზიანების ან ამოღების გამო.

ერთობლივი საქმიანობა (ამზანაგობა) იქმნება მონაწილეთა შენატანების საფუძველზე, შენატანები შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ე.ი. ფული, ნივთები – როგორც გვაროვნული, ისე ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული, სამუშაოს შესრულება, პროფესიული და შრომითი გამოცდილება, ანუ პირადი საქმიანობით მონაწილეობა და ა.შ.

შენატანები, როგორც მატერიალური ისე არამატერიალური, ექვემდებარება ფულად შეფასებას, რომელიც უნდა მოხდეს მონაწილეთა ურთიერთშეთანხმებით ან სპეციალისტთა შეფასებით. შენატანების შესაბამისად ხდება ხელშეკრულების მონაწილეთა უფლება-მოვალეობების წილობრივი მოცულობის განსაზღვრა.

წილობრივი მონაწილეობა, ანუ უფლება-მოვალეობების განაწილება, როგორც სარგებლობის მიღების, ისე ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით შეიძლება განისაზღვროს როგორც შენატანების მიხედვით ისე თანაბრად, მონაწილეთა ურთიერთშეთანხმებით.

შენატანი შეიძლება წარმოადგენდეს კონკრეტულ ნივთებს (ნივთს), რომლებიც ამხანაგობის მიზნის მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის დროს გამოყენებული იქნება მათი დანიშნულების შესაბამისად. ხოლო, ისეთი ნივთები, რომლებიც შეფასებული იქნება გარკვეული ღირებულებით, თუმცა უსარგებლო იქნება ამხანაგობის მიზნის მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის დროს, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გასხვისდეს და ამოღებული თანხა შესაბამისად იქნეს გამოყენებული, ანუ მოხდეს ასეთი ნივთების შეცვლა ფულადი ეკვივალენტით.

შენატანები წარმოადგენს ამხანაგობის საერთო საკუთრებას, თუ შენატანების ხასიათიდან და მხარეთა ურთიერთშეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მაგალითად, ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ქონება, რომლის შერევაც არ შეიძლება მოხდეს ამხანაგობის საერთო ქონებაში, ხდება არა ამხანაგობის საერთო საკუთრება, არამედ ხელშეკრულების მთელი დროის განმავლობაში იგი ამხანაგობას გადაეცემა სარგებლობის უფლებით, რომელიც, რა თქმა უნდა, შესაბამისად შეფასებით განისაზღვრება. ე.ი. შენატანად ითვლება არა ამ ქონების ღირებულება, არამედ მისი გამოყენების, სარგებლობის ღირებულება. თუმცა ამ ქონების ღირებულება თავისთავად სავალდებულო შეფასებას ექვემდებარება.

შენატანი, რომელიც წარმოადგენს გვარეობითი ნიშნით განსაზღვრულ ქონებას, ამხანაგობის საერთო საკუთრება ხდება. ამხ-

ანაგობის საერთო საკუთრებას შეადგენს აგრეთვე ქონება, რომლის შეძენაც ხდება ამხანაგობის საერთო მიზნების განხორციელებისათვის და რომელიც შეძენილია საერთო სახსრებით. ასეთი ქონება (ე.ი. შეძენილი ქონება) შესაბამისად ემატება ამხანაგობის თითოეული წევრის შენატანს (წილს).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შენატანები ამხანაგობას გადაეცემა საკუთრებისა და სარგებლობის უფლებით.

მუხლი 933. მესამე პირისათვის წილის გადაცემის დაუშვებლობა

1. წილი ქონების ან უფლების სახით არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივისადები მიზეზის არსებობისას.

2. ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეებს აქვთ მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

ხელშეკრულების მონაწილეს უფლება აქვს თავისი წილი, როგორც ქონების ისე უფლების სახით, მთლიანად, ან ნაწილობრივ გაასხვისოს, ანუ გადასცეს სხვას. გადაცემა შეიძლება მოხდეს კანონით დადგენილი სხვადასხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის სახით, როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდ. წილის მესამე პირზე გადაცემა უნდა მოხდეს ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი გადაცემა ბათილია. ხელშეკრულების მონაწილეებს უფლება აქვთ უარი განაცხადონ მესამე პირისათვის წილის გადაცემაზე. თუმცა ეს უარი უნდა იყოს პატივისადები, ანუ საფუძვლიანი და დასაბუთებული, რასაც განაპირობებს მიზეზების წინააღმდეგობრივი ხასიათი იმ პირობებთან, რამაც უზრუნველყო მონაწილეთა შეთანხმება.

აღნიშნული შეზღუდვა გამოწვეულია ხელშეკრულებათა იმ

თავისებურებებით, რაც მონაწილეთა ინტერესებში აისახება. ხელშეკრულებაში მონაწილეები ერთიანდებიან ურთიერთნდობის საფუძველზე, რაც ძირითადად განპირობებულია თითოეული მონაწილის პიროვნული თვისებებით, პროფესიული ცოდნითა და გამოცდილებით, ურთიერთკეთილგანწყობით, ინტერესთა ერთიანობით და ა.შ. ამდენად, ხელშეკრულების სხვა მონაწილეთათვის შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ ვინ იქნება მესამე პირი, რომელიც შეცვლის თავდაპირველ მონაწილეს. თანხმობა უნდა გაიცეს მხარეთა მიერ დადგენილი ფორმით. ე.ი. თუ ამხანაგობის ხელშეკრულება დადებულია წერილობით, მაშინ თანხმობაც უნდა გაიცეს იგივე ფორმით.

ხელშეკრულების მონაწილეს უფლება აქვს გაყიდოს თავისი წილი. იგი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს დანარჩენ მონაწილეებს, ვინაიდან მათ აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე მონაწილეების მიერ წილის შესყიდვა მოხდება იმავე პირობებით, როგორი პირობებითაც მოხდებოდა მისი გაყიდვა მესამე პირებზე. ამდენად, მათ უფლება არა აქვთ მოითხოვონ შესყიდვის რაიმე შეღავათიანი პირობები. ამავე დროს, წილის გაყიდვის პირობები უნდა იყოს რეალური, ე.ი. მკვეთრად არ უნდა აღემატებოდეს წილის ნამდვილ ღირებულებას.

უპირატესი შესყიდვის უფლებით თანაბრად სარგებლობს ხელშეკრულების ყველა სხვა მონაწილე. ამდენად, შესყიდვის სურვილი შეიძლება გამოთქვას ყველა მონაწილემ ერთად ან რამდენიმემ. ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ხელშეკრულების საერთო მიზანი და წილის სახე, ე.ი. თუ რა სახით უნდა მიიღოს მონაწილემ თავისი წილი, ფულადი, ნატურის, თუ რაიმე უფლების სახით. თუ შესაძლებელია წილის გაყოფა, დანაწევრება, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე ყველა მსურველი გასასხვისებელ წილს შეისყიდის ხელშეკრულებაში თავისივე წილის შესაბამისად, ე.ი. თანაბრად ან პროპორციულად. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ შერჩევა, თუ ხელშეკრულების მონაწილეთაგან ვინ

შეისყიდოს წილი, მოხდება წილის გამსხვიებლის ინტერესების მიხედვით. წილის მესამე პირზე გასხვიება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა მონაწილეები უარს იტყვიან მის შესყიდვაზე. ასეთ დროს მათ უფლება არა აქვთ უარი განაცხადონ წილის მესამე პირისათვის გადაცემაზე, გარდა პატივსაღები მიზეზებისა. ეს პატივსაღები მიზეზები გამოიყენება მხოლოდ კონკრეტული მესამე პირის მიმართ, ვისზედაც უნდა მოხდეს წილის გასხვიება და რომელიც შესაბამისად უნდა გახდეს ხელშეკრულების მონაწილე, და არა ზოგადად გასხვიებაზე.

უპირატესი შესყიდვის უფლება არ გამოიყენება, თუ მესამე პირისათვის წილის გადაცემა ხდება უსასყიდლოდ, ე.ი. მონაწილემ თავისი წილი უნდა გააჩუქოს, ან უნდა გაცვალოს. ასეთ შემთხვევაში სხვა მონაწილეთაგან უნდა გაიცეს თანხმობა მხოლოდ ზოგადი წესების დაცვით და მათ უფლება არა აქვთ მოითხოვონ ამ გასასხვიებელი წილის უპირატესად შექენა.

მული 934. საქმეების ერთობლივად გაკლობის კალდეულება

1. თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს და წარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ყოველი გარიგების დადებისას საჭიროა ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობა. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ხმათა უმრავლესობა, იგი განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო რაოდენობის მიხედვით და არა შესატანის ოდენობით.

2. თუ საქმეების მართვა ხელშეკრულებით დაკისრებული აქვს ერთობლივი საქმიანობის ერთ ან რამდენიმე მონაწილეს ისე, რომ თითოეულს უფლება აქვს იმოქმედოს დამოუკიდებლად, მაშინ თითოეულ მათგანს შეუძლია შეედავოს მეორეს გარიგების დადებისას.

ასეთი შედეგების შემთხვევაში გარიგება არ დაიდება.

3. თუ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძღოლა დაკისრებული აქვს ერთ-ერთ მონაწილეს, საეჭვოობისას ის წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია.

4. ერთობლივი საქმიანობის მონაწილეს შეიძლება ჩამოერთვას საქმეების მართვის უფლებამოსილება ხმათა უმრავლესობით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. ხელშეკრულების მონაწილეს უფლება აქვს უარი თქვას საქმეების მართვაში მონაწილეობაზე. ასეთ პირს შეუძლია გამგეობას ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია.

5. თუ ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხელმძღვანელი პირების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება დავალების წესების შესაბამისად.

ამხანაგობის ერთიანი მიზნის მისაღწევად წარმოებული ყველა საქმიანობის მართვა, რომელიც მესამე პირებთან ურთიერთობაშიც შეიძლება გამოვლინდეს, ყველა მონაწილის მიერ ხდება ერთობლივად. ე.ი. ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება და, შესაბამისად, მისი განხორციელება ხდება ყველას თანხმობით, თუ გადაწყვეტილების შესრულება გულისხმობს მესამე პირებთან ხელშეკრულების დადებას, მაშინ ამ ხელშეკრულებას ხელს აწერს ამხანაგობის ყველა წევრი, ანუ გადაწყვეტილებათა აღსრულება ხდება ყველა წევრის უშუალო მონაწილეობით.

ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გადაწყვეტილების მიღება ხმათა უმრავლესობით. ეს კი იმას გულისხმობს, რომ ამა თუ იმ საკითხის განხილვის დროს მიღებულ გადაწყვეტილებას მხარი უნდა დაუჭიროს ამხანაგობის საერთო მონაწილეთა უმრავლესობამ, მიუხედავად იმისა, თანაბარი წილის მფლო-

ბელები არინ თუ არა, ე.ი. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მხარდამჭერთა რიცხობრივ უპირატესობას.

მაგალითი:

ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილეა ხუთი პირი. ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ გარიგების დადებისას გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ხმათა უმრავლესობით. ამხანაგობის საქმიანობის განხორციელებისას საჭირო გახდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, რაზედაც თანხმობა გამოთქვა სამმა მონაწილემ, რომელთაგან ერთის წილი ამხანაგობაში შეადგენს – 10%-ს, მეორის – 15%-ს, მესამის 20%-ს, ხოლო ორმა მონაწილემ უარი განაცხადა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე, რომელთაგან ერთის წილი შეადგენს 30%-ს, მეორის – 25%-ს. გადაწყვეტილება, ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შესახებ მიღებულად ჩაითვლება, ვინაიდან, მას მხარი დაუჭირა ხუთიდან სამმა მონაწილემ.

ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების შესრულებისას მესამე პირებთან ურთიერთობაში საკმარისი იქნება გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა მონაწილეობა.

საქმეების ერთობლივად მართვის შემთხვევაში დაუშვებელია ერთი ან, თუნდაც რამდენიმე მონაწილის მიერ გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისად მისი განხორციელება იმ საკითხებზე, რაც ყველა მონაწილის მიერ ერთობლივ გადაწყვეტას და შესრულებას ითვალისწინებს. ხელშეკრულებით მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ საკითხები, რაზედაც გადაწყვეტილებების მიღება მოხდება ერთობლივად ყველა მონაწილის მიერ და საკითხები, რაზედაც გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი იქნება ხმათა უმრავლესობა.

საქმეების მართვა ხელშეკრულებით შეიძლება დაევალოს ერთ ან რამდენიმე პირს (მონაწილეს), რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი დამოუკიდებლად მოქმედებენ და ხელშეკრულების საერთო მიზნის მისაღწევად განსახორციელებელ საქმეებზე თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ მათ შესრულებას, გამოდიან მე-

სამე პირებთან ურთიერთობაში. ხელშეკრულებითვე შეიძლება გაიმ-
იჯნოს თითოეული მონაწილის მიერ განხორციელებული საქმიანო-
ბის სახე.

თუ ამა თუ იმ გარიგების დადებისას რომელიმე მათგანს აქვს
შედავების საფუძველი, შეუთანხმებლობის შემთხვევაში გარიგება
არ დაიდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამხანაგობის საქმეების მართვის
უფლებამოსილებაში იკვეთება ორი მომენტი:

პირველი – როცა მართვა ხდება ამხანაგობის ყველა მონაწი-
ლის მიერ, ანუ საქმეების განორციელებისას გადაწყვეტილების
მიღება ხდება კანონითა და (ან) ხელშეკრულებით დადგენილი
წესების შესაბამისად, ზოლო მათი აღსრულება, მესამე პირებთან
ურთიერთობაში მონაწილეობის მიღება და, საერთოდ, ამხანაგობის
წარმომადგენლობა ეკისრება ერთ ან რამდენიმე მონაწილეს, რომ-
ლებიც აღიჭურვებიან მხოლოდ წარმომადგენლობის და არა და-
მოუკიდებლად მართვის უფლებით. ისინი მოქმედებენ ამხანაგობის
სახელით, წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურე-
ბელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ამხანაგობის წარმო-
მადგენელთა გადაწყვეტილებით უნდა გაიცეს წერილობით.

წარმომადგენლობა შეიძლება დაევალოს ამა თუ იმ მონაწილეს
მულმივად, ან ერთი რომელიმე კონკრეტული მოქმედების განხორ-
ციელებისას.

მეორე – როცა ამხანაგობის საქმეების მართვა ერთიანი მიზნის
მიღწევის მთელ პროცესში დაეკისრება ერთ ან რამდენიმე პირს და
სხვები ამხანაგობის მართვაში მონაწილეობას არ იღებენ. აღნიშნუ-
ლი პირები დამოუკიდებლად მოქმედებენ ამხანაგობის სახელით.
ე.ი. თავად იღებენ გადაწყვეტილებებს და უშუალოდ განახორ-
ციელებენ ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე ყველა მო-
ქმედებას, გამოდიან მესამე პირებთან ურთიერთობაში და ა.შ.

თუ ამხანაგობის საქმეების მართვა ხელშეკრულებით დაკისრე-
ბული აქვს რომელიმე მონაწილეს, რომლის წარმომადგენლობა

ამხანაგობის მონაწილეთა შორის ამა თუ იმ საკითხზე გახდა სადავო, მაშინ, საეჭვოობისას ამ წარმომადგენლის მიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში განხორციელებული ყველა მოქმედება ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია, თუ არ იქნება ბათილობის სხვა საფუძველი.

თუ ხელშეკრულების რომელიმე მონაწილე უხეშად არღვევს ხელშეკრულების მონაწილეთა სახელშეკრულებო და კანონის ზოგადი ნორმებით გათვალისწინებულ მოვალეობებს, რაც ზიანს აყენებს ერთობლივი საქმიანობის ინტერესებს და საფრთხეს უქმნის ამხანაგობის მიერ დასახული ერთიანი მიზნის მიღწევას, ასეთ მონაწილეებს სხვების ხმათა უმრავლესობით შეიძლება ჩამოერთვათ ამხანაგობის საქმეების მართვაში მონაწილეობის უფლება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მას უარი უნდა ეთქვას ერთობლივი საქმიანობის საბოლოო შედეგებიდან მისი კუთვნილი წილის შესაბამისი სარგებლის მიღებაზე. სარგებლის მიღებისას გათვალისწინებულ იქნება აგრეთვე ის ზიანიც, რომელიც ამხანაგობას მიაღება მისი არამართლზომიერი მოქმედებით.

ხელშეკრულების ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს თავისი სურვილის მიხედვით უარი თქვას ამხანაგობის საქმეების მართვაში მონაწილეობაზე. გადაწყვეტილების მიღების საფუძველს მნიშვნელობა არა აქვს. თავის მხრივ ეს იქნება ცალმხრივი ნების გამოვლენა, რაც სასურველია დაფიქსირდეს წერილობით. აღნიშნული პირი არ მონაწილეობს, როგორც გადაწყვეტილებათა მიღებაში, ისე მათ აღსრულებაში და შესაბამისად მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუმცა ის მონაწილეობს ამხანაგობის ხელშეკრულების საქმიანობიდან წარმოშობილ საერთო ვალდებულებებში (მაგალითად, კრედიტორთა წინაშე) და საერთო შედეგებიდან გამომდინარე იღებს სარგებელს თავისი კუთვნილი წილის შესაბამისად.

ხელშეკრულების მონაწილეს, რომელიც უარს იტყვის ამხანაგობის საქმიანობის მართვაში მონაწილეობაზე, უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაციები აღნიშნულ საქმიანობაზე, რაც

მისი, როგორც ხელშეკრულების მონაწილის, ინტერესებთან არის დაკავშირებული. ამხანაგობის ხელმძღვანელობის, ანუ იმ პირების უფლება-მოვალეობები, რომლებიც მონაწილეობენ ამხანაგობის მართვაში და შესაბამისად ახორციელებენ წარმომადგენლის ფუნქციას (ე.ი. მოქმედებენ ამხანაგობის სახელით), განისაზღვრება ხელშეკრულებით. ამხანაგობის სპეციალური ნორმებითა და დავალების ხელშეკრულების ზოგადი წესებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სპეციალურ ნორმებს.

მუხლი 935. შემოსავლების განაწილების წესი

1. თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს შემოსავლები მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად.

2. თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოსთხოვოს ყოველ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

ამხანაგობა იქმნება სარგებლის მიღების, თითოეული მონაწილის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით.

საერთო სარგებელი, შემოსავალი, რომელიც მიღებულ იქნა ამხანაგობის საქმიანობის განხორციელების შედეგად, მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი შენატანების პროპორციულად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ ხელშეკრულებაში წილების, ანუ შენატანების შესახებ არ არის აღნიშნული, მაშინ სარგებლის განაწილება მოხდება თანაბრად.

შემოსავალი შეიძლება გამოიხატოს როგორც ფულადი სახით, ისე ნატურით. მაგალითად, ნაყოფის მიღება, საცხოვრებელი ბინით ან სათავსოს ფართით დაკმაყოფილება და ა.შ. ამასთან, ხელშეკრულების მიზანი შეიძლება იყოს უშუალოდ არა მონაწილეთა მოთხოვნების, არამედ მესამე პირთა ინტერესების დაკმაყოფილება. აღნიშნულ

შემთხვევაში შედეგების განაწილება შესაძლებელია პირების სასარგებლოდ მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად. მაგალითად, თუ ამხანაგობის ხელშეკრულების საგანი არის ქველმოქმედება, რის საფუძველზედაც უნდა მოხდეს პირთა დაკმაყოფილება საცხოვრებელი ბინით, მაშინ მონაწილეთა შენატანების საფუძველზე აშენებული საცხოვრებელი სახლიდან უბინაო პირებს, ანუ იმ პირებს, ვის სასარგებლოდაც აშენდა იგი, საცხოვრებელი ფართი გადაეცემათ ამხანაგობის მონაწილეთა შენატანების, ე.ი. წილის შესაბამისად, ან მათივე შეთანხმებით.

ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შედეგების განაწილების განსხვავებული წილი, მაგალითად, მხედველობაში იქნეს მიღებული ამა თუ იმ მონაწილის (შენატანის გარდა) უფრო აქტიური მონაწილეობა და უპირატესი დამსახურება ამხანაგობის საქმიანობის წარმოებისას, რაც გარკვეულ წილად გათვალისწინებული იქნება შედეგების, ანუ სარგებლის განაწილების დროს.

ამხანაგობის საქმიანობის დროს, თუ თითოეულ მონაწილეს ეკისრება რაიმე მოქმედების პირადად შესრულება, რაც პირდაპირ კავშირშია შედეგების მიღწევასთან, მაშინ მათ ეკისრებათ ამ დავალებების კეთილსინდისიერი შესრულება და ამავე დროს ურთიერთკონტროლი, მოვალეობათა შესრულებასთან და მის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციების მიღება, მითითებების მიცემა და ა.შ.

მუხლი 936. მონაწილეთა ურთიერთმოთხოვნების გადაცემის დაუშვებლობა მესამე პირისათვის

ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა ის მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ, რომლებიც გამომდინარეობს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან, არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.

ხელშეკრულების პირობების შესრულება, რომელიც უკავშირდება ამხანაგობის ერთიანი მიზნის მიღწევას, ერთობლივი საქმიანობისას თითოეული მონაწილის მიერ ნაკისრი კონკრეტული დავალებების

კეთილსინდისიერი შესრულება და შესაბამისად აღნიშნულზე კონტროლის განხორციელების უფლება, თავისთავად წარმოშობს მონაწილეთა შორის ურთიერთმოთხოვნებს. ამხანაგობის ხელშეკრულების თავისებურებებიდან გამომდინარე, რაც მონაწილეთა პიროვნულ მონაცემებთან არის დაკავშირებული, დაუშვებელია სხვა პირებს გადაეცეთ იმ მოთხოვნების უფლება, რაც ხელშეკრულების ერთ (ან რამდენიმე) მონაწილეს შეიძლება გაუჩნდეს სხვა მონაწილეების (ან მონაწილის) მიმართ. მაგალითად, ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულების, ხარვეზების აღმოფხვრის, სარგებლის მიღების, დავალების შესრულებასა და შედეგებზე ინფორმაციის მიღების მოთხოვნა და სხვა. აღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება იმ მოთხოვნებზე, რომელიც შეიძლება წარმოეშვას სხვა პირს (რწმუნებულს) დავალების ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 937. მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა

1. ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულების პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

2. ერთობლივი საქმიანობის მონაწილეები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ ამ საქმიანობის შედეგად მღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

ამხანაგობის ხელშეკრულების მიზნის მისაღწევად წარმოებული საქმიანობის შედეგად წარმოიშობა არა მხოლოდ სარგებელი, არამედ გარკვეული გასაველი და ზიანიც. გასაველი ეს არის ამხანაგობის საერთო საქმიანობის ნორმალური განხორციელების პროცესში წარმოშობილი ხარჯი. გასაველი ამხანაგობის საერთო შენატანისა-

გან განსხვავდება იმით, რომ გასავლის ზუსტი ოდენობისა და ნორმის განსაზღვრა წინასწარ, ე.ი. ხელშეკრულების დადების დროს შეუძლებელია. ზიანი კი წარმოიშობა ამხანაგობის ერთობლივი საქმიანობის არასწორი (არამართლზომიერი) წარმართვის შედეგად.

მონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს ზიანი, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს:

ა. მესამე პირებთან განხორციელებული საქმიანობიდან, რაც თავისთავად ამხანაგობის საქმიანობის შედეგებზეც ჰპოვებს ასახვას;

ბ. მონაწილეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებით, ან შეუსრულებლობით.

გასავლებისა და ზარალის დაფარვა წარმოებს ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო შენატანებისა და ამხანაგობის საერთო ქონების ანგარიშზე, თუ აღნიშნული არ იქნება საკმარისი, მაშინ დანაკლისი თანხების გადანაწილება მოხდება მონაწილეთა შორის, მათი პირადი ქონების ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, იკვეთება პასუხისმგებლობიდან წარმოშობილი ურთიერთობის შემდეგი მომენტები:

ა. ამხანაგობის მონაწილეთა პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე. მესამე პირების ანუ კრედიტორების წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებზე ამხანაგობა სოლიდარულად აგებს პასუხს. ე.ი. მესამე პირები უფლებამოსილნი არიან მოთხოვნები წაუყენონ ამხანაგობას, ანუ მის ყველა წევრს ერთად, ან რომელიმე ერთ-ერთ მონაწილეს და მათგან მოითხოვონ ვალდებულების სრულად შესრულება. რაც შეეხება თავად მონაწილეებს, კრედიტორების წინაშე ვალდებულებების შესრულებაში მონაწილეობენ წილობრივად ანუ თავიანთი შენატანების პროპორციულად. თუ წილები არ არის განსაზღვრული, მაშინ კრედიტორების წინაშე მათი პასუხისმგებლობის განაწილება მოხდება თანაბრად. ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ასეთი უფლება კრედიტორებს ექნებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გარიგებას დადებენ ამხანაგობის ყველა წევრთან ერთად ან წარმომადგენელთან, რომელიც ამხანაგობის

სახელით მოქმედებს ამხანაგობის წევრთა მიერ გაცემული (რწმუნების) დავალების ხელშეკრულების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მესამე პირების წინაშე ვალდებულებების შესრულებაზე და, შესაბამისად, ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზიანზე პასუხს აგებს არა ამხანაგობა, ე.ი. მისი ყველა მონაწილე სოლიდარულად, არამედ ის პირი, რომელმაც ამხანაგობის რწმუნების გარეშე პირადი მოსაზრებებითა და შეხედულებების შესაბამისად ინდივიდუალურად დადო გარიგება. ასეთი პირი პირადი ქონებით სრულად აგებს პასუხს მესამე პირების წინაშე იმ ვალდებულებებზე, რომელიც მის მიერ დადებული გარიგების საფუძველზე წარმოიშვა. მონაწილეს უფლება ექნება რეგრესის წესით ამხანაგობის სხვა მონაწილეებისაგან მოითხოვოს წილობრივი ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ მესამე პირებთან დადებული გარიგების დროს ის მოქმედებდა ამხანაგობის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე და ამ გარიგებით ამხანაგობას დადებითი შედეგი, ანუ სარგებელი მოუტანა.

ბ. ამხანაგობის იმ მონაწილის პასუხისმგებლობა ამხანაგობის სხვა მონაწილეთა წინაშე, რომლის არამართლზომიერი მოქმედებითაც დადგა არასასურველი შედეგი. თუ ამხანაგობის მონაწილე, რომელსაც დავალებული აქვს ამხანაგობის საქმეების მართვა, გადააჭარბებს თავის უფლებამოსილებას, მაშინ ამ უკანასკნელის მიერ მესამე პირებთან დადებული გარიგების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებზე ამხანაგობა პასუხს აგებს სოლიდარულად იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირმა არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა წარმომადგენლის მიერ უფლებამოსილების გადაჭარბების შესახებ. აღნიშნულის გამო, ამხანაგობის წინაშე პასუხისმგებლობა კი დაეკისრება იმ წარმომადგენელს, რომელმაც უფლებამოსილების გადაჭარბებით დადო გარიგება და, ამავე დროს, ვერ დაამტკიცებს, რომ იგი მოქმედებდა კეთილი განზრახვით, ამხანაგობის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამხანაგობის მიზნის მისაღწევად მის თითოეულ მონაწილეს,

გარდა შენატანისა, ხელშეკრულებით შეიძლება დაეკისროს კონკრეტული ვალდებულების შესრულება. თუ ამხანაგობის მონაწილე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას არ შეასრულებს ან არასათანადოდ შეასრულებს, მაშინ იგი სხვა წევრების წინაშე პასუხს აგებს არასასურველი შედეგების გამო. პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის მონაწილე ნაკისრ ვალდებულებას ვერ შეასრულებს თავისი ნაკლები გამოცდილების, არაკვალიფიციურობის და ა.შ. გამო, თუმცა იგი ამხანაგობის წევრად მიღებული იყო თავისი სპეციალობის, გამოცდილების, პირადი თვისებებისა და პროფესიის გათვალისწინებით. პასუხისმგებლობის ასეთი წესის გამართლება შეიძლება იმ მოსაზრებით, რომ ამხანაგობის მონაწილეთა მხრივ ვერ მოხდა ამ პირის ცოდნის, გამოცდილებისა და საერთოდ მისი შესაძლებლობების სათანადოდ შეფასება, ადგილი ჰქონდა მისადმი ზედმეტ ნდობას, ეს კი გამოიწვევს ამხანაგობის საერთო რისკს, ანუ მისი საქმიანობის შედეგებიდან წარმოშობილი ზიანის გადანაწილება მოხდება ყველა მონაწილეზე, მათი წილების პროპორციულად, ან თანაბრად, თუკი წილები არ არის ხელშეკრულებით განსაზღვრული.

მაგალითი:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ერთობლივი წარმოების მიზნით შექმნილ ამხანაგობაში შეყვანილ იქნა პირი მისი ცოდნისა და პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით, ე.ი. როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. ამხანაგობამ, რომელიც თავისი საქმიანობის დროს უმეტესად ითვალისწინებდა ამ პირის რჩევებსა და მითითებებს, ვერ მიიღო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები იმ მოცულობით, როგორც ეს ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ იყო გათვალისწინებული და შესაბამისად გაანგარიშებული. ასეთ შემთხვევაში ამხანაგობის არასასურველი შედეგები თანაბრად განაწილდება მის ყველა მონაწილეზე.

ამხანაგობის პასუხისმგებლობა არ დადგება მის საერთო სარგებლობაში არსებული ქონების შემთხვევითი დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში. თუ შემთხვევით დაზიანდა ან განადგურდა ქონება, რომელიც ამხანაგობას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით, მაშინ ასეთი ქონების დალუპვის რისკი ეკუთვნის იმ მონაწილეს, რომლის საკუთრებასაც შეადგენს იგი, ხოლო ამავე ქონების გამოყენებლობის შედეგად წარმოშობილი ზიანი კი ამხანაგობის მონაწილეთათვის საერთოა. ე.ი. დალუპული ქონების მესაკუთრე ვალდებულია შეცვალოს იგი ამავე ღირებულების სხვა ქონებით.

მაგალითი:

მაჭავარიანმა, გოგიტიძემ და ბენაშვილმა შექმნეს ამხანაგობა საწვავის ერთობლივად შეძენისა და ტრანსპორტირების მიზნით ბენაშვილის წილს შენატანის სახით წარმოადგენს მისივე ავტომანქანით მომსახურება, ე.ი. ბენაშვილის ავტომანქანა ამხანაგობას გადაეცა სარგებლობის უფლებით (ე.ი. საწვავის ტრანსპორტირებისათვის), ხოლო მასზე საკუთრების უფლება კვლავ ეკუთვნის ბენაშვილს, რომლის წილიც ამხანაგობაში განისაზღვრა ერთობლივი საქმიანობისათვის ავტომანქანით სარგებლობის უფლების ღირებულებით. თუ ავტომანქანა დაზიანდა და მისი გამოყენება ამხანაგობის მიერ შეუძლებელი გახდა, ავტომანქანის დაზიანების რისკი გადადის ბენაშვილზე, რომელიც არის მისი მესაკუთრე და არა ამხანაგობაზე. ამიტომ, ბენაშვილი ვალდებულია თავისი შენატანი შეცვალოს სხვა ავტომანქანით, ან არამატერიალური ქონებით, ან ფულით, რომელიც თავისი ღირებულებით იქნება ტოლფასი ავტომანქანით მომსახურების უფლების ღირებულებისა.

გ. მონაწილეთა შორის ურთიერთპასუხისმგებლობა. ამხანაგობის მონაწილეთა ურთიერთპასუხისმგებლობა შესაბამისად შეიძლება წარმოშვას როგორც კრედიტორების წინაშე წარმოშობილი ვალდებულებების, ისე შიდასახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შედეგებმა. მონაწილეთა შორის ურთიერთპასუხისმგებლობა გან-

ისაზღვრება წილობრივი მონაწილეობით, ანუ მათი წილების შესაბამისად. თუ წილები არ არის განსაზღვრული, მაშინ ყველა მონაწილეს შორის პასუხისმგებლობა, როგორც კრედიტორების წინაშე, ისე ამხანაგობის საერთო შედეგებზე ნაწილდება თანაბრად.

ამდენად, ამხანაგობის საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები, აგრეთვე გასავლები და ზიანი მონაწილეთა შორის ნაწილდება წილობრივად, ან, თუ წილები არ არის განსაზღვრული – თანაბრად. თუმცა, ამხანაგობის საქმიანობაში მიღებული მონაწილეობისა და გაწეული წვლილის გათვალისწინებით ამა თუ იმ მონაწილის მიმართ აღნიშნული პირობები შეიძლება სხვაგვარად გადაწყდეს.

ხელშეკრულების პირობა, რომელიც ითვალისწინებს, რომ ამხანაგობის ერთი ან რამდენიმე მონაწილე მიიღებს საერთო საქმიანობიდან მხოლოდ სარგებელს, ხოლო სხვა მონაწილე კი გაიზიარებს მხოლოდ ზარალს და პასუხს აგებს მხოლოდ საერთო საქმიანობიდან მიღებულ უარყოფით შედეგებზე, ბათილია.

ამხანაგობის ყველა წევრზე თანაბრად ან წილობრივად ნაწილდება როგორც შემოსავლები, ისე გასავლები და ზიანი.

ამხანაგობის თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია ყველა მონაწილის მიერ გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან. შესაბამისად, გაეცნოს წარმოებულ დოკუმენტაციას. ინფორმაცია შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.

ინფორმაციის მიღების უფლებას აქვს არა დამოუკიდებელი ღირებულება, არამედ ეს არის მნიშვნელოვანი გარანტია ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სხვა უფლების განხორციელებისა, ყველა მონაწილის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა. ამიტომაც, ნებისმიერი შეზღუდვა და უარი ინფორმაციის მიღების შესახებ დაუშვებელია. აღნიშნული შეზღუდვის შესახებ თვით მონაწილეთა შეთანხმებაც ბათილია.

ერთობლივი საქმიანობის მონაწილეები ვალდებული არიან არ გაახმაურონ ამ საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია. ამხანაგობის მონაწილენი ვალდებული არიან ეს შეზღუდვა დაიცვან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში დადგება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხი იმისდა მიუხედავად, მონაწილეთა მიერ იქნება თუ არა წინასწარ შეთანხმება.

მუხლი 938. უარი ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე

1. თუ ხელშეკრულება პირდაპირ არ განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის ვადას, ყოველ მონაწილეს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე. ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია ისეთ დროს ან ისეთ გარემოებაში, რომელიც საზიანო იქნება ერთობლივი საქმიანობისათვის.

2. თუ მონაწილეთა შეთანხმებით განსაზღვრულია ერთობლივი საქმიანობის ვადა, ხელშეკრულებიდან გასვლა დაიშვება მხოლოდ პატივსაღები მიზეზის არსებობისას.

3. ერთ-ერთი მონაწილის გასვლა იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთ-ერთი მონაწილის გასვლას ერთობლივი საქმიანობის შეუწყვეტლად. ასეთ შემთხვევაში გამსვლელი მონაწილის წილი ნაწილდება სხვა მონაწილეებს შორის. გამსვლელ მონაწილეს წილის კომპენსაცია მიეცემა ფულადი სახით. ამასთან, მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები. თუ გასვლის მომენტისათვის საერთო ქონება ველარ ფარავს საერთო ვალებს, გამსვლელი ვალდებულია დანარჩენ მონაწილეებს გადაუხადოს თავისი წილის შესაბამისი თანხა. გამსვლელის ვალდებულება გასვლის მომენტში არსებული კრედიტორების წინაშე უცვლელია.

4. ბათილია შეთანხმება, რომელიც აუქმებს ან ზღუდავს ხელშეკრულებიდან მონაწილის გასვლის უფლებას.

თუ ამხანაგობის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს მოქმედების ვადას, რაც ამა თუ იმ კონკრეტული შედეგის დადგომითაც შეიძლება გამოიხატოს, ამხანაგობის ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, მიზეზების მიუხედავად. არც ხელშეკრულების დადების დროს და არც შემდეგ, როდესაც პირი გამოთქვამს ამხანაგობიდან გასვლის სურვილს, მონაწილეებს არა აქვთ უფლება, დააწესონ შეზღუდვა აღნიშნული უფლების განხორციელების შესახებ. თუ ამხანაგობიდან მონაწილის გასვლა იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას, მაშინ გასვლა უნდა მოხდეს ისეთ დროს და ისეთ გარემოებაში, რომ ამით ამხანაგობის საქმიანობას და მის წევრთა ინტერესებს ზიანი არ მიადგეს. თუ წლის რომელ დროს არის უმჯობესი ხელშეკრულებიდან გასვლა, უნდა განისაზღვროს საქმიანობის თავისებურებებით და შედეგების გათვალისწინებით. ამა თუ იმ მონაწილის ამხანაგობიდან გასვლის დრო შეიძლება შეიზღუდოს აგრეთვე მესამე პირის ინტერესების გათვალისწინებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ მესამე პირსა და ამხანაგობას შორის წარმოებული ურთიერთობის სრულფასოვანი რეგულირება გარკვეულ წილად შეიძლება განპირობებული იყოს ხელშეკრულებიდან გასვლის მსურველი მონაწილის კონკრეტული საქმიანობით და მისი უშუალო მონაწილეობით, რაც უკავშირდება მის პიროვნულ თვისებებსა და პროფესიულ შესაძლებლობებს.

ხელშეკრულებიდან გასვლის მსურველმა პირმა აღნიშნულის შესახებ განცხადება უნდა გააკეთოს ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. თუ ასეთი დრო დათქმული არ არის, მაშინ განცხადება უნდა გაკეთდეს გასვლამდე 3 თვით ადრე.

ამხანაგობიდან საკუთარი ნებით გასვლა არ უნდა იყოს ამხანაგობის მიზნებისა და მის წევრთა ინტერესების საწინააღმდეგო ან მათთვის ზიანის მომტანი.

შედარებით მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული იმ ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც დადებულია განსაზღვრული ვადით, რაც შეიძლება გამოხატული იყოს როგორც კონკრეტული დროით ე.ი. 1,2,3 და ა.შ. წლით, ისე ამხანაგობის საქმიანობით კონკრეტული შედეგის მიღწევით (ამხანაგობის ხელშეკრულებით რაიმე ნაგებობის აშენება). ასეთი ხელშეკრულებიდან მონაწილის ვადამდე, ან კონკრეტული შედეგის დადგომამდე გასვლა უნდა მოხდეს მხოლოდ პატივისადები მიზეზების არსებობისას.

მაგალითი:

ამხანაგობის საქმიანობაში პირის მონაწილეობა განპირობებული იყო პირადი შრომით, რაც შეუძლებელი გახდა მისი ჯანმრთელობის ხანგრძლივი ან მუდმივი მოშლით, ან საცხოვრებელი ბინა, რომელსაც წილობრივად შეიძენდა ამხანაგობის ხელშეკრულებით, ანუ ერთობლივი სახსრებით აშენებული საცხოვრებელი სახლის საერთო ფართიდან, პირმა მიიღო მემკვიდრეობით, ჩუქებით ან ანდერძით, რის გამოც, მისთვის არანაირ აუცილებლობას აღარ წარმოადგენს ამხანაგობის საქმიანობაში მონაწილეობა. ამდენად, ის მოთხოვნები, რამაც განაპირობა ამხანაგობის ხელშეკრულებაში მისი აუცილებელი მონაწილეობა, დაკმაყოფილდა სხვა საშუალებებით.

პატივისადები მიზეზების გარეშე ამხანაგობიდან მონაწილის გასვლა დაუშვებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში გასვლა ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად და გამოიწვევს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც გამოიხატება ამხანაგობიდან მისი გასვლის ერთობლივი საქმიანობისათვის მიყენებული ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურებაში.

კონკრეტულ პირთა მონაწილეობას ამხანაგობის საქმიანობაში უმეტესად არსებითი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ, ზოგადი წესის თანახმად, ერთ-ერთი მონაწილის გასვლა იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას. თუმცა, მხარეთა როგორც თავდაპირველი, ისე შემდგომი შეთანხმებით, ამხანაგობიდან რომელიმე მონაწილის გასვლის

მიუხედავად, ამხანაგობის საერთო საქმიანობა შეიძლება მაინც გაგრძელდეს მიზნის მისაღწევად. ასეთ შემთხვევაში, გასული მონაწილის წილი და მისი შესაბამისი უფლება-მოვალეობები ნაწილდება სხვა მონაწილეებზე, მათივე წილების პროპორციულად, თუ მათ შორის სხვა შეთანხმება არ იქნება მიღწეული. გასვლის შედეგად პირი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან და იგი ვალდებულია შეასრულოს მისი წილის შესაბამისი ყველა ის მოვალეობა, რომელიც მას გააჩნია ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტში, ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე. ე.ი. ხელშეკრულებიდან გასვლისას მონაწილემ უნდა შეასრულოს გასვლის მომენტისათვის არსებული გარიგებების საფუძველზე წარმოშობილი კრედიტორთა და აგრეთვე ამხანაგობის სხვა მონაწილეთა საფუძვლიანი მოთხოვნები. ამდენად, ხელშეკრულებიდან მონაწილის გასვლას არ უნდა მოჰყვეს როგორც ამხანაგობის წევრთა, ისე მის კრედიტორთა ინტერესების შელახვა.

გარდა ამისა, მონაწილეს უფლება აქვს დააყენოს დანარჩენ მონაწილეთაგან იმ მოთხოვნების შესრულების საკითხი, რომელიც მას გააჩნია ასევე ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტში, მისი წილის შესაბამისად. გამსვლელ მონაწილეს წილის კომპენსაცია ფულადი სახით იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ მისი შენატანი ამხანაგობას გადაეცა საერთო საკუთრების უფლებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. თუ პირის შენატანი წარმოადგენდა ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ ქონებას და ამხანაგობას იგი ეკუთვნოდა მხოლოდ სარგებლობის უფლებით, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლისას ამ მონაწილეს თავისი წილი დაუბრუნდება იმავე სახით. თუ გასვლის მომენტისათვის ამხანაგობის ვალეები აღემატება მის საერთო ქონებას, მაშინ ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპიდან და თავისებურებიდან გამომდინარე, გამსვლელი წევრი ვალდებულია დანარჩენ მონაწილეებს გადაუხადოს თავისი წილის შესაბამისი თანხა.

**მუხლი 939. ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის
საფუძვლები**

1. ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებული ვადის გასვლა;
- ბ) მონაწილეთა გადაწყვეტილება;
- გ) ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგააკოტრებო საქმის წარმოების გახსნა;
- დ) ერთობლივი საქმიანობის მიზნების განხორციელების შეუძლებლობა.

2. თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებია აგრეთვე:

- ა) ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალება;
- ბ) ერთ-ერთი მონაწილის ქონებაზე საგააკოტრებო საქმის წარმოების გახსნა;
- გ) ხელშეკრულების მოშლა.

ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად, რასაც განაპირობებს მონაწილეთა პირადი ნდობის, ამხანაგობისა და მის წევრთა ფინანსური მდგომარეობის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის, ხელშეკრულების მიზნისა და ამოცანების შესრულების ფაქტორები.

ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია ვადის გასვლა. რაც, ზოგადად ვალდებულების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს.

ერთობლივი საქმიანობის ვადის გაგრძელება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ყველა მონაწილის თანხმობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. თუკი ერთი მონაწილე მაინც არ იქნება თანახმა, ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება. თუ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების მონაწილეები კვლავ აგრძელებენ დათქმულ საქმიანობას, პირობების შეუცვლელად, მაშინ ითვლება, რომ ხელშეკრულება გრძელდე-

ბა განუსაზღვრელი ვადით, თუ, რა თქმა უნდა, მხარეები არ შეთანხმდებიან ხელშეკრულების კონკრეტული ვადით გაგრძელებაზე.

ამხანაგობის ხელშეკრულების ვადა შეიძლება მოიაზრობოდეს მიზნის მიღწევით, შედეგის დადგომით. ამდენად, ხელშეკრულება შეწყდება კონკრეტული შედეგის დადგომით. მაგალითად, თუ ამხანაგობის ხელშეკრულების საგანი არის საცხოვრებელი სახლის აშენება, თითოეული მონაწილის საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების მიზნით, მაშინ ეს ხელშეკრულება შეწყდება მშენებლობის დასრულებით და მის მონაწილეთა შორის განაწილებით.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე მონაწილეთა გადაწყვეტილებით, აღნიშნული საფუძველი უმეტესად გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით და მიზნად ისახავს უმეტესად კონკრეტული სახის საქმიანობის მრავალჯერად განხორციელებას, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ერთობლივად წარმოება პირადი მოხმარების მიზნით.

ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტა მონაწილეთა ერთობლივი გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, როცა იგი განსაზღვრული ვადით არის დადებული. ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტის შესახებ მონაწილეთა მიერ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს მნიშვნელობა არა აქვს. ასეთი გადაწყვეტილება მონაწილეებმა შეიძლება მიიღონ, თუ ერთობლივმა საქმიანობამ აზრი დაკარგა და მისი გაგრძელება მათთვის არანაირ ინტერესს აღარ წარმოადგენს.

ერთობლივი საქმიანობა შეწყდება თუ ამხანაგობის ქონებაზე გაიხსნება საგააკოტრებო საქმის წარმოება, ამხანაგობის ქონებას წარმოადგენს მონაწილეთა შენატანები და შეძენილი ქონება, რომელიც შეემატა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებულ ქონებას. ამხანაგობის ქონებაზე საგააკოტრებო საქმის აღძვრა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამის საფუძველი. კერძოდ:

ა. გადახდისუუნარობა, როცა ამხანაგობა ამავე მიზეზით ვეღარ

ასრულებს კრედიტორთა წინაშე წარმოშობილ რეალურ ვალდებულებებს, რომელთა შესრულების დრო უკვე დამდგარია;

ბ. ზედავალიანება, რომლის დროსაც ამხანაგობის საერთო ქონების ღირებულება მკვეთრად ნაკლებია წარმოშობილ ვალდებულებებზე. საერთო ქონების შეფასება საგაკოტრებო საქმის აღძვრამდე ხდება რიგი კრიტერიუმებით. ამხანაგობის ქონების შეფასებისას ითვალისწინებენ აგრეთვე ამხანაგობის წევრთა პირად ქონებასაც, გამომდინარე მათი პასუხისმგებლობის პრინციპებიდან. რაც იმაში მდგომარეობს, რომ, თუ კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ამხანაგობის ქონება არ არის საკმარისი, მაშინ ხელშეკრულების მონაწილეები ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. შეფასების შედეგები უნდა ადასტურებდეს, რომ შეუძლებელია და გაუმართლებელი ამხანაგობის საქმიანობის შემდგომი გაგრძელება.

საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადების შეტანა ხდება სასამართლოში. განცხადება შეიძლება შეიტანოს როგორც ამხანაგობის წევრმა პირადად, ან წარმომადგენლის (უფლებამოსილი პირის) მეშვეობით, ისე რომელიმე კრედიტორმა ან კრედიტორებმა.

ამხანაგობის საქმიანობა შეწყდება სასამართლოს მიერ საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.

ერთობლივი საქმიანობა შეწყდება, თუ აშკარაა, რომ ვერ განხორციელდება ის მიზნები, რისთვისაც ეს ამხანაგობა შეიქმნა. აღნიშნული შეიძლება განაპირობოს სხვადასხვა გარემოებებმა, მაგალითად, მონაწილეთა ფიზიკურმა მდგომარეობამ, ჯანმრთელობის მოშლამ, საქმიანობის წარმართვისათვის საჭირო მასალაზე ფასების არსებითმა მომატებამ და შესაბამისად ხარჯების გაზრდამ, ან ამ მასალის არარსებობამ, ამხანაგობის ქონების დაზიანებამ, ან განადგურებამ; ამხანაგობის წინაშე კრედიტორთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობამ; აუცილებელი პირობების გაუარე-

სებად, რაც თავისთავად შეუძლებელს გახდის ამხანაგობის საქმიანობის გაგრძელებას.

ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალება, ან, თუ იგი იურიდიული პირია, მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია. ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის აღნიშნული საფუძვლის არსებობა განპირობებულია იმით, რომ ამხანაგობის შექმნა, ანუ ამხანაგობის ხელშეკრულების დადება ძირითადად ეფუძნება მის მონაწილეთა პიროვნულ მონაცემებს, პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას, აქედან გამომდინარე, მათი ურთიერთნდობის მომენტებს. თუმცა, ამხანაგობის მონაწილე პირის გარდაცვალება, ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია ყოველთვის არ არის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

ხელშეკრულება არ შეწყდება, თუ:

ა. ერთობლივი საქმიანობის სხვა მონაწილეთა შეთანხმებით მოხდება გარდაცვლილი მონაწილის შეცვლა მისი მემკვიდრის, ან, თუ მონაწილე იურიდიული პირია, მისი უფლებამონაცვლე პირის მიერ. თუ ეს უკანასკნელნი უარს იტყვიან ამხანაგობის ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე, ან ამხანაგობის მონაწილეები იტყვიან მათზე უარს, მაშინ ისინი მიიღებენ შესაბამისი წილის კომპენსაციას ხელშეკრულებითა და კანონით გათვალისწინებული წესის მიხედვით. ამდენად, ზოგადი წესებიდან გამომდინარე, მემკვიდრეებს მიეცემათ საკუთრების უფლება წილზე და არა ამხანაგობაში მონაწილეობის უფლება.

ბ) ერთობლივი საქმიანობის სხვა მონაწილეების შეთანხმებით მოხდება გარდაცვლილი, ლიკვიდირებული ან რეორგანიზებული პირის დარჩენილი წილის განაწილება მათივე წილების პროპორციულად, ან სხვა წესით და ამხანაგობის ხელშეკრულების საქმიანობა კვლავ გაგრძელდება დარჩენილ მონაწილეთა მიერ იმავე პირობებით.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე ამხანაგობის ხელშეკრულების გაგრძელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში,

თუ გარდაცვლილი, რეორგანიზებული, ან ლიკვიდირებული პირის მონაწილეობა განპირობებული არ იყო მისი პიროვნული, პროფესიული ან სხვა თავისებურებებიდან გამომდინარე და მის გარეშე კვლავ შესაძლებელი იქნება ერთობლივი საქმიანობის სრულყოფილი წარმართვა და შესაბამისად მიზნის მიღწევა. იგივე წესით მოხდება ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტა, ან გაგრძელება, თუ ამხანაგობის ხელშეკრულების რომელიმე მონაწილე პირი დადგენილი წესების შესაბამისად აღიარებული იქნება ქმედუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად. აგრეთვე, თუ ერთ-ერთი მონაწილის ქონებაზე მოხდა საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა.

ამხანაგობის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს აგრეთვე ხელშეკრულების მოშლით.

ამხანაგობის საქმიანობისას ამა თუ იმ მონაწილის მიერ ნაკისრი მოვალეობების შესრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს მის პირად თავისებებთან, პროფესიულ გამოცდილებასთან და ა.შ. თუ ასეთი მონაწილე სხვადასხვა გარემოებების გამო ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, რის გამოც შეუძლებელი ხდება ამხანაგობის საქმიანობის გაგრძელება, ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ხელშეკრულების მოშლა.

ხელშეკრულების მოშლით ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებათა გარკვეული ნაწილი შესრულებულია და უკვე მიღწეულია შესაბამისი შედეგები და მისი გადანაწილება მონაწილეებს შორის მოხდება ხელშეკრულებითა და კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

მაგალითი:

მილაშვილმა, ფეიქრიშვილმა და გენგაძემ ამხანაგობის ხელშეკრულებით იკისრეს, რომ პირადი საჭიროების მიზნით ერთობლივად შეიძინონ სამშენებლო მასალა, კერძოდ: 3000 ცალი აგური, რომელსაც ისინი ეტაპობრივად შეიძენდნენ შპს „მშენებლისგან“. 2000 ცალი აგურის შეძენის შემდეგ მათ უარი განაცხადეს 1000 ცალი

აგურის შექმნაზე. რის გამოც, ამხანაგობის ხელშეკრულება მოიშალა და ამ დროისათვის უკვე შექმნილი 2000 ცალი აგური განაწილდა მის მონაწილეებს შორის.

შედეგებიდან და ხელშეკრულების მოშლის გარემოებიდან გამომდინარე შეიძლება დადგეს აგეთვე პასუხისმგებლების საკითხიც.

მუხლი 940. ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის წესი

1. ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ყურ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები, შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა, ზოლო დარჩენილი ქონება განაწილდეს მონაწილეებს შორის მათი წილის შესაბამისად.

2. ქონების განაწილებისას უნდა დაიფაროს ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილი ვალები. თუ ქონება საკმარისი არ არის ვალების დასაფარავად, ხელშეკრულების მონაწილეები ვალდებული არიან გაისტუმრონ ვალები თავიანთი წილის შესაბამისად.

იმისდა მიხედვით, თუ რა არის ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძველი, შეწყვეტის პროცესუალური წესი სხვადასხვაა.

თუ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა, ამ შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულებითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესებისა, გამოიყენება (მოქმედებს) აგრეთვე საკოტრების შესახებ მოქმედი ზოგადი დებულებებიც.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეწყვეტის პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობები და, შესაბამისად, საბოლოო შედეგი შეწყვეტის საფუძველებისა და პროცესუალური წესის სხვადასხვაობის მიუხედავად ერთნაირია.

ხელშეკრულების შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ანუ შესრულდეს არა მხოლოდ ის ვალდებულებები, რომელთა შესრულების დროც უკვე დამდგარია, არამედ ის ვალდებულებები, რომელთა

შესრულების დრო ჯერ არ დამდგარა, მაგრამ შესრულებას მაინც ექვემდებარება. არსებული წესების მიხედვით უნდა შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა.

ამხანაგობის კუთვნილი საერთო ქონებიდან მოხდება ვალდებულების შესრულება ანუ კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, რის შემდეგაც დარჩენილი ქონება გადაეცემა მონაწილეებს მათი წილის პროპორციულად, თუ წილები მითითებული არ არის, მაშინ, დარჩენილი ქონება მათ შორის განაწილდება თანაბრად. თუმცა, მონაწილეთა შეთანხმებით შეიძლება გამოიკვეთოს რომელიმე მონაწილის უპირატესობა ამხანაგობის საქმიანობისას გაწეული დამსახურების გამო და შესაბამისად გათვალისწინებული იქნეს შედეგების განაწილების დროს.

დარჩენილი ქონების განაწილების დროს ამხანაგობის მონაწილეებს ნატურის სახით დაუბრუნდებათ მათივე შენატანი ქონება, თუკი ეს შესაძლებელია, ე.ი. თუ ქონება ისევ არსებობს თავისივე სახით.

ამდენად, ამხანაგობის შეწყვეტისას მონაწილეებს შორის ნაწილდება:

ა. ამხანაგობის დარჩენილი საერთო ქონება, რომელიც შეიქმნა თავდაპირველი შენატანებისა და საქმიანობისას შეძენილი ქონებით, რომელიც შენატანებს შეუერთდა და ამხანაგობის საკუთრებად იქცა;

ბ. მიღებული შედეგი, რომელიც წარმოადგენდა ამხანაგობის შექმნის მიზანს. შედეგი შეიძლება განკუთვნილი იყოს მესამე პირებისათვის (მაგალითად, ამხანაგობის შექმნა ქველმოქმედების მიზნით) და, შესაბამისად, შედეგის განაწილება მოხდება მესამე პირებზე. ხოლო, ამხანაგობის საერთო ქონებიდან დარჩენილი ქონება, ანუ ის ქონება, რომელიც შეადგენს მონაწილეთა შენატანებსა და საქმიანობის დროს შეძენილს, განაწილდება ამხანაგობის მონაწილეებს შორის.

თუ კრედიტორთა მოთხოვნების ანუ ვალების დასაფარავად საკმარისი არ აღმოჩნდება ამხანაგობის საერთო ქონება, მაშინ მონაწილეები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულ-

ლად, თუმცა შემდეგ ურთიერთშორის ანგარიშსწორება მოხდება მათივე წილების შესაბამისად. ამ შემთხვევაში იკვეთება ამხანაგობის ხელშეკრულების კიდევ ერთი და მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება, რაც აისახება მონაწილეთა პირად პასუხისმგებლობაში, ანუ, ვალების გასტუმრებისას, თუკი ამხანაგობის ქონება არ იქნება საკმარისი, ისინი პასუხს აგებენ პირადი ქონებით.

ამდენად, იკვეთება ამხანაგობის პასუხისმგებლობა ერთის მხრივ მესამე პირების ანუ ამხანაგობის კრედიტორების წინაშე და მეორეს მხრივ, მონაწილეთა ურთიერთპასუხისმგებლობა.

ე.ი. კრედიტორების წინაშე ვალდებულებების სოლიდარულად შესრულების შემდეგ, ეს შესრულება მათ შორის გადანაწილდება მათივე წილების შესაბამისად.

ამხანაგობის ვალები არ ვრცელდება იმ ქონებაზე, რომელიც ამხანაგობას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით. თუ, რა თქმა უნდა, არ დადგება პირადი პასუხისმგებლობის საკითხი.

გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრეების პასუხისმგებლობა როგორც კრედიტორების, ისე მონაწილეების წინაშე მოხდება მიღებული სამკვიდრო ქონების ფარგლებში.

თავი ოცდამეექვსე

სამისდღეშიო რჩენა

კუხლი 941. ცნება

პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება წარმოადგენს ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებას, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, რითაც იგი განსხვავდება ქონების საკუთრებაში გადაცემის სხვა ხელშეკრულებისაგან, მაგალითად, როგორცაა ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან, პირველ რიგში, განსხვავდება სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით. ასე, მაგალითად, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები – გამყიდველი და მყიდველი – შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირები, ისე იურიდიული პირები, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მხარეები – მარჩენალი და სარჩენი – შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

მეორე რიგში, მყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაყიდი ნივთზე წარმოეშობა საკუთრების უფლება და შეიძლება ნაყიდი ნივთი განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ, მაშინ როდესაც მარჩენალს, მართალია, სარჩენის ქონებაზე, რომელიც მას სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით გადაეცემა წარმოეშობა საკუთრების უფლება, მაგრამ გარკვეული შეზღუდვებით, რამეთუ სარჩენის სიცოცხლეში მას უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მესამე რიგში, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს აგრეთვე იმაში, რომ, მართალია, იგი არის სასყიდლიანი და მიზნად ისახავს მომავალში სარჩენის ქონების გადასვლას მარჩენალის საკუთრებაში განსაზღვრული შემხვედრი ანაზღაურების გადახდის გზით, მაგრამ იგი არსებითად არ მოიცავს ისეთ პირობას, როგორცაა ფასი და, განსხვავებით ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან, არ ხასიათდება გადასაცემი მატერიალური სიკეთის ეკვივალენტურობით. სარჩოს ოდენობა, რომელსაც სარჩენი ღებულობს მარჩენალისაგან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით, შეიძლება შეადგენდეს მარჩენალისათვის გადასაცემი ქონების ღირე-

ბულის უმნიშვნელო ნაწილს, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი შეიძლება მნიშვნელოვნად გადააჭარბოს კიდევაც ქონების ღირებულებას (ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება არის ვადიანი ხელშეკრულება, მაგრამ ვადა, როგორც წესი, კალენდარული თარიღით კი არ არის განსაზღვრული, არამედ სარჩენის მთელი სიცოცხლის ვადით, თუმცა კი ხელშეკრულებით შეიძლება სხვა რამეც იყოს გათვალისწინებული, ე.ი. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ განსაზღვრულ დროზე, რომლის განმავლობაშიც მარჩენალი კისრულობს სარჩოს გადახდას სარჩენისათვის). სამისდღეშიო რჩენისას შემხვედრი ანაზღაურების ოდენობა წინასწარ არაა ცნობილი და ამიტომაც არ შეიძლება, რომ განსაზღვრული იქნეს ხელშეკრულების დადებისას, განსხვავებით ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან, რომლის ერთ-ერთი არსებითი პირობაც არის გასაყიდი ნივთის ფასი, რომელიც წინასწარაა განსაზღვრული ხელშეკრულების დადებისას. გარდა ამისა, მარჩენალმა შეიძლება სარჩენის სასარგებლოდ განახორციელოს არაქონებრივი ხასიათის მოქმედებებიც, რაც არ ახასიათებს ნასყიდობის ხელშეკრულებას.

მეოთხე რიგში, განსხვავებით ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებიდან გამომდინარე რჩენის მოვალეობა ატარებს განგრძობად, ხანგრძლივ ხასიათს, იგი შეიძლება გაგრძელდეს წლობითაც კი, ამიტომაც ამ ხელშეკრულების ძირითადი შინაარსი განისაზღვრება არა განსაზღვრული ფასით ქონების გადაცემასთან დაკავშირებით წარმოშობილი უფლება-მოვალეობებით, არამედ სარჩოს გადახდასთან დაკავშირებით წარმოშობილი უფლება-მოვალეობებით. აქედან გამომდინარეობს სწორედ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების სხვა თავისებურებებიც, მაგალითად, მხარეთა ურთიერთობების მოწესრიგება მომავალში გარემოებების შეცვლასთან დაკავშირებით, მაგალითად, თუკი მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ანდა შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების გაგრძელებას. ამიტომაც კანონი ადგენს სამის-

დღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტის განსაკუთრებულ გარემოებებს, რომლებიც არ შეიძლება, რომ გამოყენებული იქნეს ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის მიმართ.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება განსხვავდება ქონების საკუთრებაში გადაცემის ისეთი სახის ხელშეკრულებისაგან, როგორცაა ჩუქება. როგორც ცნობილია, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით. მაშასადამე, ჩუქება არის უსასყიდლო ხელშეკრულება, მაშინ როდესაც სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება არის სასყიდლიანი ხელშეკრულება, რომელშიც ფასი გამოიხატება იმ სარჩოში, რომელიც მარჩენალმა უნდა გადაუხადოს სარჩენს მისგან მიღებული ქონების სანაცვლოდ.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადება შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა გარემოებით, ძირითადად იგი იდება იმ შემთხვევებში, როდესაც სარჩენი არის შრომისუნარიო ანდა განიცდის მატერიალურ გაჭირვებას და საჭიროებს მოვლას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. იგი დებს ხელშეკრულებას მარჩენალთან, რომელსაც ამ მოვლისა და დახმარების სანაცვლოდ გადასცემს თავის ქონებას. მაშასადამე, ხელშეკრულების საგანია ის ქონება, რომელიც არის სარჩენის საკუთრება (უძრავი თუ მოძრავი ნივთები) და რომელსაც იგი ხელშეკრულებით გადასცემს მარჩენალს. თავის მხრივ, მარჩენალმა სარჩენს ამ ქონების სანაცვლოდ უნდა უხადოს სარჩო, რომელიც შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით. ფულადი სარჩოს ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით, მაგალითად, ყოველ თვე 100 ლარი ანდა ყოველ კვირა 50 ლარი და ა.შ. რაც შეეხება ნატურალურ სარჩოს, იგი შეიძლება გამოიხატოს სარჩენის უზრუნველყოფაში ბინით, მოვლით, სხვა აუცილებელი დახმარებით (მაგალითად, წამლებით მომარაგება, ოპერაცია, მკურნალობა და ა.შ.). ნატურალური სარჩოს შემთხვევაში საჭიროა, რომ ხელშეკრულებაში დეტალურად იქნეს აღწერილი ყველა პირობა, მაგალითად, დღეში სამჯერადი კვება, მოვლა, სანატორიუმში დას-

ვენება და სხვა. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისათვის, როდესაც ხელშეკრულება ვადამდე წყდება სამოქალაქო კოდექსის 949-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების არსებობისას (უფრო დაწვრილებით იხილეთ აღნიშნული მუხლის კომენტარი).

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება არის ვადიანი, მაგრამ ვადა, როგორც წესი, კალენდარული თარიღით კი არ განისაზღვრება (მაგალითად, დაიდო 1998 წლის 10 მაისიდან 2001 წლის 10 მაისის ჩათვლით), არამედ როგორც წესი, სარჩენის მთელი სიცოცხლის ვადით, თუმცა ხელშეკრულებით შეიძლება სხვა რამეც იყოს გათვალისწინებული ანუ მარჩენალი და სარჩენი შეთახმდნენ კონკრეტულად განსაზღვრულ დროზე (მაგალითად, ერთი წელი, 6 თვე), რომლის განმავლობაშიც მარჩენალი კისრულობს ვალდებულებას უხადოს სარჩენს სარჩო.

რაც შეეხება საქართველოს სსრ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსს, მასში სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებას ეწოდებოდა გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულება. აღნიშნული კოდექსის 439-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებით გარდაცვალებამდე რჩენის შესახებ სახლის გასხვისების პირობით ერთი მხარე, ასაკის ან ჯანმრთელობის გამო არაშრომისუნარიანი პირი (განმსხვისებელი) გადასცემს მეორე მხარეს (შემძენს) საკუთრებად სახლს (ან მის ნაწილს), შემძენი კი ამის სამაგიეროდ კისრულობს გამსხვისებლის გარდაცვალებამდე მატერიალურ უზრუნველყოფას ნატურად ბინით, კვებით, მოვლითა და აუცილებელი დახმარებით.

მასასადამე, თუკი შევადარებთ 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 439-ე მუხლსა და 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის 941-ე მუხლებს, ვნახავთ უამრავ განსხვავებას;

1) ძველი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სარჩენი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ასაკის ან ჯანმრთელობის გამო არაშრომისუნარიანი პირი, მაშინ როდესაც ახალი სამოქალაქო კოდექსი ამ შეზღუდვებს სარჩენის მიმართ არ აწესებს ანუ სარჩენი შეიძლება

იყოს როგორც შრომისუუნარო, ისე შრომისუნარიანი პირი.

2) ძველი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ხელშეკრულების საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ უძრავი ქონება, კონკრეტულად კი სარჩენის საკუთრებაში არსებული სახლი ან მისი ნაწილი. ახალი კოდექსის თანახმად კი, ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს სარჩენის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთი.

3) ძველი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ხელშეკრულების ვადა განისაზღვრებოდა სარჩენის მთელი სიცოცხლით და ამიტომაც ერქვა მას გარდაცვალებამდე რჩენა, მაშინ როდესაც ახალი სამოქალაქო კოდექსი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს არა სარჩენის მთელი სიცოცხლის ვადით, არამედ განსაზღვრული ვადითაც, რომლის განმავლობაში მარჩენალი კისრულობს სარჩოს გადახდას სარჩენისათვის.

4) ძველი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სარჩო შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ნატურალური სახის და გამოიხატებოდა სარჩენის უზრუნველყოფაში ბინით, კვებით, მოვლითა და აუცილებელი დახმარებით. რაც შეეხება ახალ სამოქალაქო კოდექსს, იგი ითვალისწინებს, რომ სარჩო შეიძლება დადგინდეს როგორც ფულადი სახით, ისე ნატურით. (მიმანია, რომ ახალი სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმები სამისდღეშიო რჩენასთან დაკავშირებით, ბევრად უფრო პროგრესულია იმ ნორმებთან შედარებით, რომელსაც ძველი სამოქალაქო კოდექსი ადგენდა გარდაცვალებამდე რჩენასთან დაკავშირებით).

მუხლი 942. ხელშეკრულების შორმა

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს კანონის იმპერატიულ

მოთხოვნას სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით. სახელდობრ, ხელშეკრულება უნდა დაიდოს მხოლოდ და მხოლოდ წერილობითი ფორმით ანუ კანონი არ უშვებს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადებას ზეპირი ფორმით. კანონის ეს მოთხოვნა გამოძღინარეობს იმ სპეციფიკიდან, რომელიც ახასიათებს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხელშეკრულება ატარებს განგრძობად ხასიათს, ანუ მარჩენალს სარჩენის ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ და, შესაბამისად, დავის შემთხვევაში კანონი დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ წერილობით მტკიცებულებებს. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიერ დადგენილი მტკიცებულებათა დასაშვებობის პრინციპი, რომლის თანახმადაც, საქმის გარემოებები, რომლებიც შეიძლება დადგენილი იქნეს ერთი სახის მტკიცებულებით, არ შეიძლება დადგენილი იქნეს სხვა სახის მტკიცებულებით ე.ი. თუ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება დაიდება ზეპირად, საკმარისი არ იქნება დავის შემთხვევაში მისი დადების დასადასტურებლად მხოლოდ მოწმეთა ჩვენება.

იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულებით ზდება სარჩენის მიერ მარჩენალისათვის უძრავი ქონების გადაცემა, იგი უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. უძრავი ნივთის ცნება და სახეები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, აგრეთვე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

მუხლი 943. სარჩოს ოდენობა

სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით

როგორც აღვნიშნეთ, ხელშეკრულებით სარჩო შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვე-

ბით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით). სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულების მხარეებს შესაძლებლობას აძლევს თვითონ განსაზღვრონ სარჩოს ოდენობა. მაგალითად, ფულადი სარჩოს შემთხვევაში, მარჩენალი და სარჩენი შეიძლება შეთანხმდენ, რომ მარჩენალი გადაუხდის სარჩენს სარჩოს სახით ყოველთვიურად 200 ლარს ანდა ყოველკვირეულად 50 ლარს, ან ორ კვირაში ერთხელ 100 ლარს და ა.შ. მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ დამატებითი ხარჯებიც, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იქნეს სარჩენის ავადმყოფობით, ოპერაციის გაკეთებით და ა.შ., რომელიც გადახდილი უნდა იქნეს მარჩენალის მიერ.

თუ სარჩო განსაზღვრულია ნატურით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით), ასევე უნდა დეტალურად განისაზღვროს ხელშეკრულებით მისი ოდენობა, კანონის ამ მოთხოვნის დაცვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია, რამეთუ მასზეა დამოკიდებული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას მხარეთა უფლება-მოვალეობათა მოცულობა.

მუხლი 944. სარჩოს გადახდის ვადები

სარჩოს გადახდის ვადები დგინდება მისი ხასიათიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებით.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით მხარეთა შეთანხმებით. სარჩოს გადახდის ვადები ასევე დგინდება მხარეთა შეთანხმებით სარჩოს ხასიათიდან და მიზნებიდან გამომდინარე. ე.ი. როცა სარჩოს ხასიათზეა საუბარი, აქ იგულისხმება სწორედ სარჩოს სახე – ფულადია თუ ნატურალური. ფულადი სარჩოს გადახდის ვადები მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ყოველკვირეულად, ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად და ა.შ. რაც შეეხება ნატურალურ სარჩოს, იგი, როგორც წესი, განისაზღვრება ყოველდღიურად, მაგალითად, კვება, მოვლა, ბინა და ა.შ. სარჩოს გადახდის ვადის

დადგენაზე გავლენას ახდენს ასევე სარჩოს მიზანი ანუ რა მიზნისთვისაა სარჩო დადგენილი – მოსავლელად, სამკურნალოდ თუ სხვა აუცილებელი დახმარების გასაწევად და ა.შ.

მუხლი 945. გადაცემული ქონების მანსხვისების დაუშვებლობა

1. სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვიოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე. მარჩენალის ვალდებულების გამო გადახდევინების მიქცევა ამ ქონებაზე დაუშვებელია.

2. როცა სარჩენი მარჩენალს გადასცემს უძრავ ქონებას, მაშინ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მას აქვს გირავნობის უფლება ამ ქონებაზე.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით სარჩენი მარჩენალს ქონებას გადასცემს საკუთრებაში, მაგრამ მარჩენალის საკუთრების უფლება ამ ქონებაზე შეზღუდულია, რაც იმაში გამოიხატება, მარჩენალს სარჩენის სიცოცხლეში არა აქვს ამ ქონების გასხვისების, დაგირაუების ან სხვაგვარი დატვირთვის უფლება სარჩენის წერილობითი ნებართვის გარეშე. მაგალითად, ხელშეკრულებით სარჩენმა მარჩენალს საკუთრებაში გადასცა კომბაინი. მარჩენალმა გადაწყვიტა კომბაინის გადაცემა იჯარით, ანდა ბანკიდან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად მისი დაგირაუება. კანონი იმპერატიულად მიუთითებს, რომ ამისათვის მას აუცილებლად სჭირდება სარჩენის წერილობითი ნებართვა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ სპეციფიკურობას, რაც ახასიათებს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებას ანუ მარჩენალი სარჩენის მიერ მისთვის ხელშეკრულებით გადაცემული ქონების მესაკუთრე ხდება სარჩენის გარდაცვალების მომენტიდან ანდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული რჩენის დამთავრების მომენტიდან.

კანონი ასევე კრძალავს მარჩენალის ვალდებულების გამო

გადახდევინების მიქცევას სარჩენის მიერ მისთვის გადაცემულ ქონებაზე. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც მარჩენალს სასამართლომ დააკისრა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (განჩინებით) გარკვეული ფულადი თანხის გადახდა კრედიტორის სასარგებლოდ. მარჩენალს არ აღმოაჩნდა საკმარისი რაოდენობის ფულადი თანხა. კრედიტორმა მიმართა სასამართლოს სააღსრულებლო დოკუმენტის გაცემის მოთხოვნით, რათა აღძრულიყო სააღსრულებო წარმოება და სასამართლო აღმსრულებლის მეშვეობით მომხდარიყო მარჩენალის ქონების რეალიზაცია ფულადი ვალდებულების შესასრულებლად, თუ მარჩენალს არა აქვს ქონება, რომლის იძულებითი წესით რეალიზაციაც შეიძლება საქართველოს 1999 წლის 16 აპრილის კანონის სააღსრულებო წარმოებათა შესახებ თანახმად, არ შეიძლება რომ მისი ვალდებულების გამო რეალიზაცია გაუკეთდეს სარჩენის მიერ მისთვის გადაცემულ ქონებას სანამ სარჩენი ცოცხალია ანდა არ გასულა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მოქმედების ვადა. სწორედ ამში მდგომარეობს ქონებაზე გადახდევინების მიქცევის დაუშვებლობა. თუ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საგანი უძრავი ქონებაა, მაშინ, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სარჩენს აქვს გირავნობის უფლება ამ ქონებაზე.

მუხლი 946. შეიძლება სარჩოს გადახდის გამო

სამისდღეშიო სარჩოს გადახდა შეიძლება საცილო გახადონ სხვა პირებმა, რომელთაც ჰქონდათ კანონიერი უფლება მიეღოთ სარჩო მარჩენალისაგან, მაგრამ ვერ მიიღეს იმის გამო, რომ მარჩენალი იხდის სამისდღეშიო სარჩოს. ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ქონება უბრუნდება სარჩენს.

აღნიშნული მუხლი უფლებას ანიჭებს გარკვეული კატეგორიის პირებს, რომ მათ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საცილო გახადონ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება იმ საფუძველით, რომ გააჩნიათ მარჩენალისაგან სარჩოს მიღების მოთხოვნის

უფლება და ვერ ღებულობენ იმის გამო, რომ მარჩენალმა დადო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება და სარჩოს უხდის სარჩენს. ამ კატეგორიის პირებს მიეკუთვნებიან სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნში ჩამოთვლილი პირები; სახელდობრ, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. არასრულწლოვანი და შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით. თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას წყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში მიიღებს როგორც მშობლების ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა).

სრულწლოვანი შრომისუუნარიანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. თითოეული შვილის მონაწილეობას იმ შრომისუუნარო მშობლის რჩენაში, რომელიც დახმარებას საჭიროებს, განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიურად გადასახდელი მყარი თანხის სახით, მშობლებისა და შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ღები და ძმები, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი ღები ან/და ძმები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ და არ შეუძლიათ სარჩო მიიღონ მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათ იმ შრომისუუნარო სრულწლოვანი ღების ან/და ძმების მიმართ, რომლებიც

დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან.

შვილიშვილი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს, მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო პაპა და ბებია, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო თავისი შვილისაგან ან ერთმანეთისაგან.

პაპა და ბებია, რომელთაც საკმარისი სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილიშვილი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს თვისი მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათ იმ შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილიშვილის მიმართ, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია მიიღოს სარჩო თავისი მეუღლის, მშობლების ან შვილებისაგან.

მამინაცვალი და დედინაცვალი, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი ან/და შრომისუუნარო გერი, რომელსაც დახმარება ესაჭიროება, თუ იგი იმყოფება მათთან აღსაზრდელად ან სარჩენად და არა ჰყავს მშობლები ან არ შეუძლია მათგან მიიღოს თავისი სარჩენი სახსრები.

გერი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო მამინაცვალი ან/და დედინაცვალი, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ, თუ ისინი ადრე ზრდიდნენ ან არჩენდნენ მას.

პირი, რომელიც მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად აიყვანს ბავშვს მაგრამ შემდგომ უარს იტყვის მის აღზრდაზე და რჩენაზე, მოვალეა არჩინოს როგორც შრომისუუნარო სრულწლოვანი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, ისე არასრულწლოვანი აღსაზრდელი, თუ მათ არა ჰყავთ მშობლები ან არ შეუძლიათ მათგან სარჩოს მიღება.

პირი, რომელიც იმყოფებოდა მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად, მოვალეა მისცეს სარჩო თავის ფაქტობრივ აღმზრდელს, თუ იგი შრომისუუნაროა, საჭიროებს დახმარებას, მაგრამ მისი მიღება არ შეუძლია თავისი შვილების ან მეუღლისაგან.

ზემოთ აღნიშნულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ სამისდლეშო

რჩენის ხელშეკრულების გაუქმება, თუკი ვერ დებულობენ კანონით გათვალისწინებულ სარჩოს მარჩენალისაგან იმის გამო, რომ იგი ხელშეკრულებით სარჩოს უხდის სარჩენს. თუკი მოიშლება სამის-დღეშიო რჩენის ხელშეკრულება, მარჩენალისათვის გადაცემული ქონება დაუბრუნდება სარჩენს.

მუხლი 947. ნატურალური სარჩოს გადახდა

ნატურალური სარჩოს გადახდის ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ნატურალური სარჩოს შეცვლა ფულით.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი სახით ანდა ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცი-ლებელი დახმარებით). იმ შემთხვევაში, თუკი მხარეებმა ხელშეკ-რულებით გაითვალისწინეს ნატურალური სარჩო, მაგალითად, კვე-ბა, მოვლა, დასასვენებელ სახლში გაგზავნა და ა.შ., შესაძლებე-ლია შემდგომში მარჩენალსა და სარჩენს შორის ურთიერთშეთანხმე-ბით ნატურალური სარჩო შეიცვალოს ფულადი სახით.

მუხლი 948. გადაცემული ქონების შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი

მარჩენალისათვის გადაცემული ქონების შემთხვევითი დაღუპვა ან დაზიანება არ ანთავისუფლებს მას სარჩოს გადახდისაგან.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით მარჩენალი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს სარჩენს სარჩო, ხოლო სარჩენი კი გადასცემს მარჩენალს საკუთრებაში ქონებას. მარჩენალის მიერ სარ-ჩენისათვის სარჩოს გადახდა ხდება სარჩენის მთელი სიცოცხლის მანძილზე ანდა ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადაში. თუკი ვადის გასვლამდე დაიღუპება ის ქონება, რომელიც სარჩენმა გადასცა მარ-

ჩენალს ასეთ შემთხვევაში მარჩენალი არ თავისუფლდება სარჩოს გადახდის მოვალეობისაგან. აღნიშნულ შემთხვევაში ივარაუდება ქონების შემთხვევითი დაღუპვა ანდა დაზიანება ე.ი. როცა არც ერთ მხარეს არ მიუძღვის ბრალი ანუ სახეზეა „ფორს-მაჟორული“ გარემოებები, მაგალითად, მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი და ა.შ. თუ ქონების დაღუპვა ან დაზიანება მოხდა რომელიმე მხარის ბრალით, პასუხისმგებლობა ეკისრება ბრალეულ მხარეს.

მაგალითი:

1999 წლის 10 მაისს ა-მ კანონის მოთხოვნათა დაცვით დღო ბ-სთან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, რომლითაც ა გადასცემდა ბ-ს საკუთრებად საცხოვრებელ სახლს, ხოლო იგივე ბ (მარჩენალი) კი კისრულობდა ერჩინა ა (სარჩენი) სიცოცხლის ბოლომდე და უზრუნველყო იგი სათანადო კვებით, მოვლითა და სხვა აუცილებელი დახმარებით. 1999 წლის 5 სექტემბერს ბ რამდენიმე დღით სტუმრად გაემგზავრა ქალიშვილთან სხვა ქალაქში. უკან დაბრუნებისას ბ-მ აღმოაჩინა, რომ მეხის ჩამოვარდნის შედეგად გაჩენილმა ხანძარმა რამდენიმე სახლთან ერთად დაწვა მისი სახლიც, რომელიც გამოუსადეგარი აღმოჩნდა საცხოვრებლად. ბ-მ ანუ მარჩენალმა ამ ამბის შეტყობისთანავე უარი განუცხადა ა-ს ანუ სარჩენს სარჩოს გადახდაზე იმ საფუძველით, რომ სახლი ხანძრის შედეგად დაიწვა და გამოუსადეგარი გახდა საცხოვრებლად, ამიტომაც იგი უარს ამბობს სახლზეც და სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზეც. ა-მ ანუ სარჩენმა მიმართა სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა ბ-საგან ანუ მარჩენალისაგან სარჩოს გადახდა და ხელშეკრულების გაგრძელება. სასამართლო იხელმძღვანელა რა სამოქალაქო კოდექსის 948-ე მუხლით, ბ-ს ანუ მარჩენალს დააკისრა ა-ს ანუ სარჩენის სიცოცხლის ბოლომდე სარჩოს გადახდა, დაეყრდნო რა იმ გარემოებას, რომ სახლი დაიწვა არა სარჩენის ბრალით, არამედ დაუძლეველი ძალის ანუ მეხის მოქმედების შედეგად, რაც არ ანთავისუფლებს მარჩენალს სარჩოს გადახდის მოვალეობისაგან.

მუხლი 949. უარი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრუ- ლებაზე

1. როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას.

2. გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების შეწყვეტისას უბრუნდება სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები მარჩენალს არ აუნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

როგორც ცნობილია, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს სარჩენის მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობით ანდა განსაზღვრული ვადით. ამასთან ერთად, სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას აძლევს მხარეებს ანუ მარჩენალსა და სარჩენს, რომ დადგენილი საფუძვლების არსებობისას უარი განაცხადონ ცალმხრივად სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე. უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა არსებობს სხვა მიზეზები, რომლებიც უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მხარეთა შორის ურთიერთობების შემდგომ გაგრძელებას. კანონი კონკრეტულად არ ჩამოთვლის შემთხვევებს, როცა შეიძლება ჩაითვალოს, რომ მხარე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. ე.ი. ეს უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყველა გარემოებების გათვალისწინებით, მაგალითად, მოვალეობის შეუსრულებლობად შეიძლება ჩაითვალოს მარჩენალის მიერ სარჩენისათვის სარჩოს დროულად გადაუხდელობა და ა.შ. ეპიზოდური დარღვევები, რომლებიც შემთხვევითი ხასიათისაა, არსებით გავლენას არ ახდენენ მხარეთა ინტერესე-

ბზე, მათი აცილება მომავალში შესაძლებელია და ამიტომ მათ არ უნდა გამოიწვიონ ხელშეკრულების მოშლა. სწორედ ეს გამოდინარეობს კანონის მითითებიდან იმის შესახებ, რომ სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევა ისეთი უნდა იყოს, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდეს. რაც შეეხება სხვა არსებითი ხასიათის მიზეზებს, რომლებიც უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების გაგრძელებას, ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, მარჩენალის მატერიალური ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რის გამოც მას აღარ შეუძლია სარჩო იხადოს და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუკი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ვადაძღე შეწყდება, სარჩენს უკან დაუბრუნდება მარჩენალისათვის გადაცემული უძრავი ქონება (მაშასადამე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კანონი ითვალისწინებს მხოლოდ უძრავი ქონების დაბრუნებას, ხოლო მოძრავი ქონება რჩება მარჩენალს). რაც შეეხება ხელშეკრულების შეწყვეტაძღე გაწეულ ხარჯებს, იგი მარჩენალს არ აუნაზღაურდება, თუკი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, ხელშეკრულებაში შეიძლება იქნეს მითითებული, რომ, თუკი ხელშეკრულება ვადაძღე შეწყდება იმის გამო, რომ სარჩენმა მიაყენა მარჩენალს შეურაცხყოფა ანდა, გამოიჩინა აშკარა უმაღურობა, რაც აუტანელს ხდის მათ შორის ურთიერთობას და გამორიცხავს სახელშეკრულებო ურთიერთობათა შემდგომ გაგრძელებას, ასეთ შემთხვევაში მარჩენალს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტაძღე გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 950. მარჩენალის გარდაცვალების შემდეგები

1. მარჩენალის გარდაცვალებისას რჩენის ვალდებულება გადადის მის მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება.
2. მემკვიდრის მიერ ამ ვალდებულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს ქონება უბრუნდება სარჩენს. ამ დროს ხელშეკრულება შეწყდება.

აღნიშნული მუხლი შეეხება იმ გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც მარჩენალი სარჩენზე ადრე გარდაიცვლება, რამეთუ, როგორც წესი, ჯერ ხდება სარჩენის გარდაცვალება, ხოლო შემდეგ კი მისი ქონება გადადის მარჩენალის საკუთრებაში.

კანონი მიუთითებს, რომ, თუ მარჩენალი გარდაიცვლება სარჩენზე ადრე, მაშინ რჩენის მოვალეობა გადადის მარჩენალის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება.

მაგალითი:

2000 წლის 15 სექტემბერს პეტრე პეტრიაშვილმა დადო ივანე დიდებულისთან სამისდღეშო რჩენის ხელშეკრულება, რომლითაც პეტრე პეტრიაშვილი (სარჩენი) საკუთრებად გადასცემდა ივანე დიდებულის (მარჩენალს) საცხოვრებელ სახლს, ხოლო ივანე კი კისრულობდა ვალდებულებას გადაეხადა სარჩო პეტრესთვის სიცოცხლის ბოლომდე. 2000 წლის 30 ოქტომბერს ივანე დიდებულის მოულოდნელად გარდაიცვალა, ხოლო იმავე წლის 20 ნოემბერს კი გარდაიცვალა პეტრე პეტრიაშვილი. 2000 წლის 10 დეკემბერს სანოტარო ბიუროს სამკვიდრო მოწმობის მისაღებად საცხოვრებელ სახლზე განცხადებით მიმართეს მარჩენალის მეუღლემ და სარჩენის ძმამ. მარჩენალის მეუღლე ამტკიცებდა, რომ ქმრის გარდაცვალების შემდეგ იგი არჩენდა სარჩენს სიცოცხლის ბოლომდე და ამიტომაც იგი წარმოადგენს მემკვიდრეს საცხოვრებელ სახლზე. სარჩენის ძმა კი ამტკიცებდა, რომ მარჩენალის გარდაცვალების გამო სამისდღეშო რჩენის ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნა და ამიტომაც მხოლოდ იგი წარმოადგენს გარდაცვლილი სარჩენის საცხოვრებელ სახლზე კანონიერ მემკვიდრეს, რამეთუ გარდაცვლილ სარჩენს არ დარჩა არცერთი პირველი რიგის მემკვიდრე. ნოტარიუსმა უარი განაცხადა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე და განმცხადებლებს განუმარტა, რომ მიემართათ სასამართლოსათვის. სასამართლოში საქმის განხილვისას დამტკიცდა, რომ მარჩენალის გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლე აგრძელებდა სარჩენისათვის სარჩოს გადახდას და ამიტომ-

აც სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 950-ე მუხლის თანახმად, სადავო საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლება მიაკუთვნა გარდაცვლილი მარჩენალის – ივანე დიდებულიძის – მეუღლეს, ხოლო გარდაცვლილი სარჩენის – პეტრე პეტრიაშვილი – ძმას კი უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლოდ გამო, რომ თითქოსდა მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში წყდება სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება და რჩენის მოვალეობა არ გადადის მის მემკვიდრეებზე.

სამოქალაქო კოდექსის 950-ე მუხლის თანახმად, თუკი მარჩენალის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრეები უარს განაცხადებენ სარჩენის რჩენაზე, ასეთ შემთხვევაში სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება შეწყდება და მარჩენალისათვის გადაცემული ქონება უკან დაუბრუნდება სარჩენს.

თავი ოცდამეშვიდე

თამაშობა. სანაძლეო

მუხლი 951. ცნება

1. თამაშობა ან სანაძლეო მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობს. ეს წესი ვრცელდება სესხსა და ავანსზე, რომელიც განზრახ მიეცა თამაშის ან სანაძლეოსათვის, ასევე საბირჟო ან ამის მსგავს გარიგებებზე საქონლის ან საბირჟო ქაღალდების მიწოდების შესახებ, რომელსაც თამაშის ან სანაძლეოს ხასიათი აქვს.

2. თამაშის ან სანაძლეოს საფუძველზე განხორციელებული შესრულების უკან გამოთხოვა არ შეიძლება.

განსახილველ თავში მოცემული ინსტიტუტი ახალა ჩვენი სამოქალაქო კანონმდებლობისათვის. აღნიშნულ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება ადრე ძირითადად გულისხმობდა ლატარიის

ან ტოტალიზატორის ორგანიზაციას და ამკვიდრებდა ამ სფეროში სახელმწიფოს მონოპოლიას. ამჟამად ეს სფერო მნიშვნელოვნადაა გაზრდილი და მასში ფართოდ მონაწილეობს კერძო პირები.

თამაშობათა უმრავლესობა აზარტულია. ასეთად ითვლება ნებისმიერი თამაშობა, რომლის შედეგიც მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე და გულისხმობს მოგების მიღების შესაძლებლობას. აზარტული თამაშობები უმეტესად კაზინოებში ტარდება. კაზინო კი არის დაწესებულება, შენობა, სადაც ტარდება ბანქოსა და კამათლის თამაშები, თამაშები რულეტზე და მომგებიან სათამაშო ავტომატებზე. კაზინოს ფუნქციონირებისათვის ლიცენზიას იძლევა ფინანსთა სამინისტრო. სანაძლეოც განსაზღვრული მოგების მიღებას ისახავს მიზნად, მაგრამ აზარტულობის ნაკლები ხარისხითაა განპირობებული. თამაშობათა და სანაძლეოთა ორგანიზაციის მიმართ, ჯერ კიდევ ძველი რომიდან მოყოლებული, თითქმის ყველა საზოგადოებაში სახელმწიფოს მხრივ ნეგატიური დამოკიდებულება იყო გამოკვეთილი, რაც სხვადასხვა შეზღუდვებში გამოიხატებოდა. მაგალითად, ასეთი გზით მიღებული მოგება ბევრ ქვეყანაში განიხილებოდა როგორც ბათილი გარიგების საფუძველზე მიღებული ქონება. ზოგიერთ ქვეყანაში კი საერთოდ აკრძალული იყო აზარტულ თამაშობათა ორგანიზაცია. სხვადასხვა სახის შეზღუდვა არსებობს თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობებშიც (გერმანული, რუსული და სხვ.). არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსია ამ მხრივ გამონაკლისი. ამის დადასტურებაა კანონის კატეგორიული დებულება იმის შესახებ, რომ თამაშობა ან სანაძლეო მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობს. აქედან გამომდინარე, თუ სასესხო შეთანხმება მოხდა იმ მიზნით, რომ დაიფაროს თამაშობასთან ან სანაძლეოსთან დაკავშირებული ვალი, იგი იურიდიული ძალის მქონედ არ უნდა ჩაითვალოს. ამ დებულებაში ორი მომენტის განსხვავებაა აუცილებელი:

პირველი — თამაშის ან სანაძლეოს წაგების შედეგად წაგებული სათავის დადებული ფული, რომელიც პირობითად სესხად უნდა

ჩაითვალოს, შეიძლება გადახდილ იქნეს მხოლოდ ზნეობრივი ნორმების საფუძველზე. იურიდიულად ასეთი ვალი ბათილი იქნება და სასამართლო დაცვა მასზე არ გავრცელდება, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე თანახმა იყო ვალდებულების დადგენაზე. ის გარემოება, რომ ერთ-ერთმა მოთამაშემ არ იცოდა, რომ მეორეს არ ჰქონდა წაგებულის გადასახდელი ნაღდი ფული, არ შეიძლება საფუძველად დაედოს თამაშისას გაცემულ სავალო ვალდებულებას. არა აქვს მნიშვნელობა იმასაც, რომ ნებადართული იყო თუ არა თამაში, მაგალითად, ტოტალიზატორი, რის შედეგადაც მოხდა ვალის წარმოშობა.

მეორე – სესხის აღება წაგებული თანხის გადასახდელად ბათილად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, როცა რამდენიმე პირი თამაშობს ბანქოს, ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც წააგო იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე მას ჰქონდა, თამაშის გასაგრძელებლად სესხად თხოვს ფულს სხვა მოთამაშეს ან თუნდაც თამაშზე დამსწრე რომელიმე პირს. ასეთ შემთხვევაში გამსესხებელმა იცოდა, რისთვის სჭირდებოდა მსესხებელს ფული, ამიტომ მის მოთხოვნას მსესხებლის მიმართ არ ექნება იურიდიული ძალა. თუკი წაგებულმა ვალდებულება იკისრა, რომ ვალს გადაიხდიდა მეორე დღეს და ამის შემდეგ ფული ისესხა თავისი მეგობრისაგან, რომელმაც არ იცოდა თუ რისთვის სჭირდებოდა მას სესხი, ეს უკვე სამართლებრივდ უხარვეზო სესხის ხელშეკრულება იქნება და, ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში გამსესხებელს უდავოდ ექნება მოთხოვნის უფლება.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ კანონი ყურადღებას ამახვილებს იმ სესხზე, რომელიც პირს განზრახ მიეცა თამაშის ან სანაძლეოსათვის, ასევე საბირჟო ან მსგავს გარიგებებზე, რომელთაც თამაშის ან სანაძლეოს ხასიათი აქვს. ასეთი სესხი უნდა ჩაითვალოს ბათილად, თორემ თვით თამაშის პროცესში გადახდილი თანხა კანონიერად ითვლება და არ შეიძლება ამ თანხის უკან გამოთხოვა, რომელიც წაგებულმა გადაიხადა. ამას ადასტურებს განსახილველი მუხლის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც თამაშის ან სანაძლეოს საფუძველზე განხორციელებული შესრულების უკან გამოთხოვა

არ შეიძლება. ბუნებრივია აქ იგულისხმება ის ნაღდი ფული, რომელიც მოთამაშეს ჰქონდა თამაშის დროს და წაგების გამო გადაიხადა. რაც შეეხება იმ ფულს, რომელიც წაგებულ პირს განზრახ მიეცა თამაშის ან სანაძლეოსათვის და ეს ფული წაგებულმა მოთამაშემ გადაიხადა, მას იურიდიული საფუძველი ასეთი ფულის უკან გამოთხოვისა არ ესპობა. ამ დროს მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს ბათილი გარიგების შედეგად მიღებული ფულის გადახდა ანუ ბათილი ვალდებულების შესრულების იურიდიული ძალის უქონლობა.

მუხლი 952. ლატარია

ლატარიის ხელშეკრულება ან მსგავსი თამაშობანი წარმოშობენ ვალდებულებას, თუ ისინი (გათამაშება, წილისყრა, კენჭისყრა) სახელმწიფოს მიერაა ნებადართული.

განსახილველი ნორმა ამკვიდრებს ლატარიისა და მსგავსი თამაშობების ორგანიზაციის ლეგიტიმურ ხასიათს. ლატარია, ტოტალიზატორი და სხვა რისკის შემცველი თამაშობების მოწყობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი სახელმწიფოს მიერაა ნებადართული. ასეთი სარისკო ანუ ალეატორული გარიგებების შესრულების უფლება აქვს ფედერაციულ ან მუნიციპალურ ორგანოებს, აგრეთვე ნებისმიერ იმ პირს, რომელსაც გააჩნია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისაგან მიღებული ლიცენზია თამაშობათა ამა თუ ის სახის ორგანიზაციის თაობაზე. ალეატორული გარიგების მხარეებად გამოდიან ლიცენზიის მქონე ორგანიზაცია და ნებისმიერი სუბიექტი, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს თამაშობაში. ალეატორულ გარიგებათა მიმართ გამოიყენება ხელშეკრულებათა შესახებ ზოგადი დებულებანი. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა თვით კანონის შინაარსი. იგი ლატარეას ან სხვა თამაშობებს ხელშეკრულების ნაირსახეობად მიიჩნევს. ასეთი ხელშეკრულება, მისი ლეგიტიმურობიდან გამომდინარე, ბუნებრივია წარმოშობს ვალდებულებას.

პარი მემორე
კანონისმიერი ვალდებულებითი
ურთიერთობანი

თავი პირველი

საზიარო უფლებები

მუხლი 953. ცნება

თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

როდესაც რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის ესა თუ ის უფლება, მაშინ ეს უფლება საზიაროა. მაგალითად, თუ რამდენიმე პირმა ერთად შეიძინა ნივთი, მაშინ მათ წარმოეშობათ საზიარო უფლება ამ ნივთზე (საერთო საკუთრების უფლება), ანდა კანონით მემკვიდრეობისას მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს გაყოფამდე მემკვიდრეებს სამკვიდრო ქონებაზე საზიარო უფლება აქვთ.

საზიარო უფლებები კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს მიეკუთვნებიან იმდენად, რამდენადაც საზიარო უფლების მოწილეებს უფლებები და ვალდებულებები კანონიდან წარმოეშობათ და მათ შორის ურთიერთობები კანონით წესრიგდება.¹

წინამდებარე მუხლის თანახმად საზიარო უფლებების მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის საზიარო უფლებების შესახებ თავის წესები. ამასთანავე, აქვეა დათქმა, რომ კანონმა შესაძლებელია ამ თავისაგან განსხვავებული წესები გაითვალისწინოს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ნორმები საზიარო უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობე-

¹ იხ. ზურაბ ახვლედიანი. ვალდებულებითი სამართალი. გამომცემლობა "სამართალი", თბილისი, 1999, გვ.251-252

ბის მოსაწესრიგებლად. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად მიწის ნაკვეთი, შენობის ნაწილი და ის ნაგებობა-დანადგარები, რომლებიც არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას მრავალბინიან სახლებში ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაა, ე.ი. მრავალბინიან სახლებში ბინის მესაკუთრეებს აქვთ საზიარო უფლებები, თუმცა სამოქალაქო კოდექსის ეს ნორმები ადგენენ ამ საკუთრების რეგულირების ზოგიერთ განსხვავებულ წესს, ამიტომ მრავალბინიან სახლებში მესაკუთრეთა საზიარო უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობების რეგულირებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ 208-ე – 232-ე მუხლებით.

მუხლი 954. წილთა თანაბრობა

თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი.

საზიარო უფლებების დროს, როგორც წესი, თითოეულ მოწილეს თანაბარი წილი ეკუთვნის, თუმცა შესაძლებელია სხვა შემთხვევაც, როდესაც მოწილეების წილი თანაბარი არ არის. მაგალითად, ერთ მოწილეს ეკუთვნის საზიარო ნივთის ერთი მესამედი, მეორეს კი – ორი მესამედი. წილების ოდენობა ასეთ შემთხვევებში სპეციალურად უნდა იყოს დადგენილი.

მუხლი 955. უფლება ნაყოფზე

1. თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თავისი წილის თანაზომიერი ნაყოფის ნაწილი.

2. თითოეულ მოწილეს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას.

თითოეულ მოწილეს წილის თანაზომიერად ეკუთვნის ნაყოფის

წილიც. მაგალითად, თუ ერთ-ერთი მოწილის წილი შეადგენს ერთ მესამედს, ხოლო მეორესი – ორ მესამედს, მაშინ საზიარო ქონებიდან მიღებული შემოსავლის ერთი მესამედი ეკუთვნის პირველს, ხოლო ორი მესამედი – მეორეს.

საზიარო საგნით სარგებლობისას თითოეულმა მოწილემ ისე უნდა ისარგებლოს ამ საგნით, რომ ზიანი არ მიაღგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას.

მუხლი 956. საზიარო საგნის მართვა

1. საზიარო საგანს მოწილენი ერთობლივად მართავენ.

2. თითოეულ მოწილეს უფლება აქვს საგნის შენახვისათვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშეც.

საზიარო საგანს მოწილეები, როგორც წესი, ერთობლივად მართავენ, ხოლო რაც შეეხება საზიარო საგნის მოვლა-პატრონობისა და შენახვისათვის საჭირო ღონისძიებებს, მათი განხორციელება მოწილეს შეუძლია დამოუკიდებლად, სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშეც.

მუხლი 957. გადაწყვეტილების მიღება საზიარო საგნის მართვისას

1. ხმათა უმრავლესობით შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება საზიარო საგნის თავისებურებათა შესატყვისი მართვისა და სარგებლობის შესახებ. ხმათა უმრავლესობა გამოითვლება წილთა მიხედვით.

2. თითოეულ მოწილეს შეუძლია სამართლიანი შეხედულების მიხედვით მოითხოვოს ყველა მოწილის ინტერესის შესაბამისი მართვა და სარგებლობა, თუკი ეს შეთანხმებით ან უმრავლესობის გადაწყვეტილებით არ არის მოწესრიგებული.

3. ცალკეულ მოწილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება.

მოწილეებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საზიარო საგნის თავისებურებათა შესატყვისი მართვისა და სარგებლობის შესახებ. მაგალითად, როდესაც რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნით ავტომანქანა, მათ შეუძლიათ თითოეული მოწილისათვის დაადგინონ ამ ავტომანქანით სარგებლობის დღეები, ან მისი გამოყენების სხვაგვარი წესი. გადაწყვეტილება ასეთ შემთხვევაში მიიღება მოწილეთა ხმების უმრავლესობით. თითოეული მოწილის ხმა წილთა მიხედვით გამოითვლება (მაგალითად, თუ ერთ-ერთი მოწილის წილი შეადგენს ერთ მესამედს, მაშინ მას აქვს საერთო ხმების ერთი მესამედი).

თუ საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის შესახებ მოწილეები არ შეთანხმებულან, მაშინ თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს ყველა მოწილის ინტერესების შესაბამისი მართვა და სარგებლობა. ამასთანავე, არ დაიშვება წილზე ცალკეული მოწილის უფლების შემცირება სხვა მოწილეთა გადაწყვეტილებით. მოწილის წილი შეიძლება შემცირდეს მხოლოდ მისი თანხმობით.

მუხლი 958. საზიარო საგნის მართვის წესის გადასვლა უფლებამონაცვლეზე

თუ მოწილეებმა განსაზღვრეს საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, მაშინ ეს წესი გამოიყენება უფლებამონაცვლის მიმართაც.

საზიარო უფლება შესაძლებელია გადავიდეს სხვა პირზე, მაგალითად, მემკვიდრეზე, წილის შემძენზე და სხვ. ასეთ შემთხვევაში უფლებამონაცვლის მიმართაც გამოიყენება საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, რომელიც მოწილეებმა განსაზღვრეს.

მუხლი 959. საზიარო საგნის განკარგვის წესი

თითოეულ მოწილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი, ხოლო საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად. წილის გაყიდვის შემთხვევაში დანარჩენ მოწილეებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება.

სამოქალაქო კოდექსის წინამდებარე მუხლის თანახმად შესაძლებელია როგორც წილის, ისე მთლიანად საზიარო საგნის განკარგვა. საზიარო საგნის განკარგვისათვის საჭიროა ყველა მოწილის თანხმობა, ხოლო წილის განკარგვისას სხვა მოწილეთა თანხმობა საჭირო არ არის. წილის გამსხვისებელი შეზღუდულია მხოლოდ იმით, რომ სხვა მოწილეებს აქვთ გასასხვისებელი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

მუხლი 960. საზიარო საგნის მოვლის ხარჯები

თითოეული მოწილე სხვა მოწილეთა მიმართ ვალდებულია თავისი წილის თანაზომიერად იკისროს საზიარო საგანთან დაკავშირებული ხარჯები.

საზიარო საგნის მოვლა-პატრონობა და სარგებლობა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ხარჯებთან. ასეთ შემთხვევაში თითოეული მოწილე ვალდებულია თავისი წილის თანაზომიერად გაიღოს ხარჯები. მაგალითად, თუ ერთ-ერთი მოწილის წილი ერთი მესამედი, მაშინ მან უნდა გადაიხადოს მთლიანი ხარჯების ერთი მესამედი.

მუხლი 961. საზიარო უფლებების გაუქმება

1. თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება.

2. თუ შეთანხმებით გაუქმების მოთხოვნის უფლება გამორიცხ-

ულია სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით, მაშინ პატივისადები მიზეზის არსებობისას გაუქმება მაინც შეიძლება იქნეს მოთხოვილი.

3. ბათილია შეთანხმება, რომლითაც გაუქმების მოთხოვნის უფლება გამოირიცხება ან იზღუდება ამ წესების საწინააღმდეგოდ.

საზიარო უფლების გაუქმებისათვის საკმარისია ერთ-ერთი მოწილის მოთხოვნაც, თუმცა მოწილეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით (მაგალითად, ორი წლით) გამოირიცხოს საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის შესაძლებლობა. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ასეთი შეთანხმება მოქმედებს, მოწილეს შეუძლია პატივისადები მიზეზით მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება (მაგალითად, პატივისადებ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, თუ მოწილემ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი და ამის გამო არ შეუძლია ისარგებლოს საზიარო საგნით, ან მოწილეებს შორის ურთიერთობები იმდენად გამწვავდა, რომ შეუძლებელია საზიარო საგნის ერთობლივი მართვა და სხვ.). თუ მოწილეები საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლების გამოირიცხვის ან შეზღუდვის შესახებ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესების საწინააღმდეგოდ შეთანხმდნენ, მაშინ ასეთი შეთანხმება ბათილია. მაგალითად, ბათილია შეთანხმება იმის თაობაზე, რომ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება გამოირიცხოს პატივისადები მიზეზის არსებობის დროსაც.

მუხლი 962. შეთანხმება გაუქმების შესახებ

თუ მოწილეებს რაიმე ვადით გამოირიცხული აქვთ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება, მაშინ შეთანხმება ძალას კარგავს მოწილის გარდაცვალებით, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

შეთანხმება, რომლითაც მოწილეებმა რაიმე ვადით გამოირიცხეს საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება, ძალას კარგავს

მოწილის გარდაცვალების შემთხვევაში და შესაბამისად გარდაცვლილი მოწილის უფლებამონაცვლეს და ასევე სხვა მოწილეებს შეუძლიათ მოითხოვონ საზიარო უფლების გაუქმება. მაგრამ თუ მოწილეთა მიერ განსაზღვრული იყო, რომ მოწილეთა შეთანხმება საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლების რაიმე ვადით გამორიცხვის შესახებ ძალაში დარჩება მოწილის გარდაცვალების შემთხვევაშიც, მაშინ გარდაცვლილი მოწილის უფლებამონაცვლეს და ასევე სხვა მოწილეებს უფლება აქვთ მოითხოვონ საზიარო უფლების გაუქმება მხოლოდ პატივისადები მიზეზის არსებობისას.

მუხლი 963. საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას

საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მოწილეებს შორის ხდება კენჭისყრით.

საზიარო უფლების გაუქმებისას, საზიარო უფლება უნდა გაიყოს მოწილეთა შორის თითოეულის წილის შესაბამისად. საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფით ხდება მაშინ, თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე (მაგალითად, ნატურით შეიძლება გაიყოს ნედლეული, პროდუქცია და სხვ.). გაყოფა უნდა მოხდეს თითოეული წილის შესაბამისად. მაგრამ თუ მოწილეებს თანაბარი წილი აქვთ, მაშინ წილის განაწილება მოწილეებს შორის ხდება კენჭისყრით. მაგალითად, თუ საზიარო უფლება ეკუთვნის ოთხ მოწილეს და თითოეულის წილი შეადგენს ერთ მეოთხედს, მაშინ ნატურით გაყოფისას საგნის თუ რომელიმე მეოთხედი შეხვდება ამა თუ იმ მოწილეს, გადაწყდება კენჭისყრით.

*მუხლი 964. საზიარო უფლების გაუქმება საგნის
გაყიდვით*

1. თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია, მაშინ საზიარო უფლება გაუქმდება საზიარო საგნის, დაგირავებული ნივთის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვითა და ამონაგების განაწილებით. მიწის ნაკვეთის შემთხვევაში გამოიყენება აუქციონზე უძრავი ქონების იძულებით გაყიდვის წესები. თუ დაუშვებელია საზიარო საგნის გასხვისება მესამე პირზე, მაშინ საგანი აუქციონზე უნდა გაიყიდოს მოწილეებს შორის.

2. თუ საგანი არ გაიყიდება, მაშინ თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს განმეორებითი აუქციონი; ამასთან, მან უნდა გაიღოს ხარჯები, თუ განმეორებითი ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

საზიარო საგანი ყოველთვის არ არის გაყოფადი. არსებობს საგნები, რომელთა ნატურით გაყოფა მათი თვისებიდან გამომდინარე შეუძლებელია (მაგალითად, ნატურით არ გაიყოფა ავტომობილი და სხვ.) ან კიდევ მათი გაყოფა კანონით არ დაიშვება (მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში კანონით აკრძალულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაყოფა). ასეთ შემთხვევაში წინამდებარე მუხლის თანახმად უნდა გაიყოს საზიარო საგნის, დაგირავებული ნივთის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები. ბუნებრივია, საზიარო უფლება გაუქმდება ამ პროცედურების დასრულების შემდეგ. მიწის ნაკვეთის გასხვისებისას გამოყენებულ უნდა იქნეს აუქციონზე უძრავი ქონების იძულებით გაყიდვის შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული წესები. აუქციონზე უძრავი ქონების იძულებით გაყიდვის წესები დადგენილია “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” 1999 წლის 16 აპრილის საქართველოს კანონის მე-13 თავით.¹ ამასთანავე, თუ საზიარო საგნის გასხვისება მესამე პირებზე დაუშვებელია, მაშინ აუქციონის მონაწილეები შეიძლება იყვნენ მხოლოდ მოწილეები. წინამდებარე მუხლის მე-2 ნაწილით

¹ იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13 (20) 1999 წელი, მუხლი 50; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №48, 2000 წელი, მუხლი 136.

განსაზღვრულია განმეორებითი აუქციონის ჩატარებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი.

მუხლი 965. მოწილეების სოლიდარული პასუხისმგებლობა

1. თუ მოწილეები, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ ვალდებულებისათვის, რომელიც მათ მე-600 მუხლის თანახმად უნდა შეასრულონ თავიანთი წილების პროპორციულად, ან იკისრეს ასეთი ვალდებულების შესრულება, მაშინ თითოეულ მოწილეს შეუძლია საზიარო უფლების გაუქმებისას მოითხოვოს, რომ ვალი გადახდილ იქნეს საზიარო საგნიდან.

2. თუ ვალის გადახდის მიზნით აუცილებელია საზიარო საგნის გაყიდვა, ეს უნდა მოხდეს 964-ე მუხლის მიხედვით.

საზიარო უფლების გაუქმებისას თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს საზიარო საგანთან დაკავშირებული ვალის გადახდა საზიარო საგნიდან. საზიარო საგნიდან ვალის გადახდისას მოწილეები სოლიდარული მოვალეები არიან, რადგან ვალისათვის პასუხისმგებელია თითოეული და ყველა მოწილე. თუ საზიარო საგნის ნატურით გაყოფა შეუძლებელია, მაშინ ვალის გადახდის მიზნით საზიარო საგანი უნდა გაიყიდოს სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლით დადგენილი წესით და ამონაგები თანხიდან მოხდეს ვალის გასტუმრება.

მუხლი 966. თანამოწილეთა მიმართ არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება

თუ მოწილეს სხვა მოწილის მიმართ აქვს მოთხოვნა, რომელიც ემყარება საზიარო უფლებას, მაშინ ამ უფლების გაუქმებისას მას შეუძლია მოითხოვოს თავისი მოთხოვნის დაფარვა საზიარო ქონების იმ ნაწილიდან, რომელიც მოვალეს ერგება.

მოწილეებს შესაძლებელია ერთმანეთის მიმართ ჰქონდეთ

საზიარო უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნები, მაგალითად, საზიარო საგანთან დაკავშირებული ხარვეზის გადახდა, ზიანის ანაზღაურება და სხვ. ასეთ შემთხვევაში საზიარო უფლების გაუქმებისას მოწილეს შეუძლია თავისი მოთხოვნის დაფარვა უზრუნველყოს საზიარო ქონების იმ ნაწილიდან, რომელიც მოვალეს ერგება.

პუნქტის 967. მოწილეთა პასუხისმგებლობა საზიარო უფლების გაუქმებისას

თუ საზიარო უფლების გაუქმებისას საზიარო საგანი მიეკუთვნება ერთ-ერთ მოწილეს, მაშინ თითოეული დარჩენილი მოწილე თავისი წილის შესაბამისად აგებს პასუხს ისე, როგორც გამყიდველი-ნივთის ან უფლების ნაკლის გამო.

საზიარო უფლების გაუქმებისას შესაძლებელია საზიარო საგანი მოწილეთა ნებით ან სხვა საფუძველით (მაგალითად, იძულებითი აუქციონით) ერთ-ერთ მოწილეს მიეკუთვნოს, დანარჩენი მოწილეები კი მიიღებენ თავიანთი წილის შესაბამის კომპენსაციას. ასეთ შემთხვევაში თუ საზიარო საგანს ნაკლი აღმოაჩნდა, მაშინ ყველა დანარჩენ მოწილეს დაეკისრება პასუხისმგებლობა, რომელიც დადგენილია სამოქალაქო კოდექსით გამყიდველისათვის ნაკლის მქონე ნივთის ან უფლებრივად ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვის გამო.

პუნქტი 968. საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის ხანდაზმულობა

საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის განხორციელება არ შეიძლება შეზღუდული იყოს ხანდაზმულობის ვადებით, ე.ი. ამ უფლებაზე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობა არ ვრცელდება.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების
შესრულება

*მუსლი 969. დავალების გარეშე სხვისი საქმეების
შესრულება კეთილსინდისიერად*

ქპირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად. ⁷

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია. კლასიკურ რომის სამართალში იგი ცნობილი იყო negotiorum gestio-ს სახელწოდებით. ინსტიტუტის ფორმირება და ახალი დროის სამართლებრივ სისტემებში შემდგომი განვითარება განაპირობა სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებმა და ადამიანთა შორის ურთიერთდახმარების და სოლიდარობის იდეამ, რომელიც ამ ინსტიტუტის იდეოლოგიური საფუძველია.

საბჭოური სამოქალაქო კანონმდებლობა აღიარებდა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მხოლოდ კერძო შემთხვევებს – ნაპოვარის შენახვის ხარჯების ანაზღაურების და სოციალისტური ქონების გადარჩენისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებებს. სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტის ზოგადი ნორმები შევიდა „სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველებში“, რომლებიც 1990 წელს იქნა მიღებული და საქართველოში პრაქტიკულად არც ამოქმედებულა ⁸

მოცემული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი ისაა, რომ პირი (შემსრულებელი, gestor) ასრულებს სხვა პირის (მეპატრონე, dominus) საქმეებს ამ უკანასკნელის დავალების ან სხვაგვარი მითითების გარეშე, ნებაყოფლობით. ⁹

„საქმეების“ ქვეშ იგულისხმება შემსრულებლის მიერ როგორც ფაქტობრივი (მაგალითად, სხვისი სახლის შეკეთება), ისე იურიდიული აქტების განხორციელება (მეპატრონის ინტერესებისათვის გარიგების დადება).¹

1. დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე შესრულება“ გულისხმობს, რომ შემსრულებელი სხვის საქმეებს წარმართავს, სხვის ქონებრივ სფეროში ერევა ისე, რომ საამისოდ არც მოვალეობა აკისრია და არც უფლებამოსილება გააჩნია. ჩვეულებრივ პირობებში ასეთ პირს სხვისი საქმეების შესრულება არ უნდა ხელეწიფებოდეს, მაგრამ კანონი მსგავს ჩარევებს აღიარებს, თუ ისინი განხორციელდა განსაზღვრულ ვითარებებში, მეპატრონის ინტერესებისათვის და შემსრულებლის კეთილი ნებით. ²

რადგან „საქმეების შესრულების“ ქვეშ იგულისხმება როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული აქტების განხორციელება, ამგვარი აქტების შემსრულებელი პიროვნება განსაზღვრულ სამართლებრივ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს – ფაქტობრივი მოქმედებები შეიძლება ქმედუნარო პირმაც განახორციელოს. ამასთან, შემსრულებელი და მეპატრონე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას წარმომადგენლობის ინსტიტუტისაგან განასხვავებს ის, რომ წარმომადგენელი პრინციპალის თანხმობით და სახელით ასრულებს იურიდიულ მოქმედებებს, მაშინ როცა გესტორი მეპატრონის ინტერესებისათვის საკუთარი სახელით ახორციელებს როგორც ფაქტობრივ, ისე იურიდიულ აქტებს.

შემსრულებლის მდგომარეობა განსხვავდება დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული რწმუნებულის მდგომარეობისაგან, რადგან რწმუნებული მოქმედებს, თუმცა საკუთარი სახელით, მაგრამ მარწმუნებლის დავალებით მინიჭებული უფლებამოსილებით. შემსრულებლის მდგომარეობა რწმუნებულისას მხოლოდ მას შემდეგ დაემთხვევა, რაც მეპატრონე გაიგებს და მოიწონებს შემ-

სრულებლის დაწყებულ საქმეს. ისიც შესაძლებელია, რომ რწმუნებულის მოქმედებამ სხვისი საქმეების შესრულების ფორმა მიიღოს, თუ რწმუნებული გასცდება მანდატით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს.

შემსრულებლის მდგომარეობა განსხვავდება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კრედიტორის მდგომარეობისაგან, თუმცა მათი საბოლოო მიზნები მსგავსია. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების კრედიტორს სურს ხელშეკრულებიდან შეიძინოს საკუთარი უფლებები, მაშინ როცა გესტორი ასეთ მიზნებს არ ისახავს. შესაძლოა ისიც, რომ გესტორი ცდებოდეს მეპატრონის პიროვნების ვინაობაში. მოცემულ შემთხვევაში სახეზე მაინც სხვისი საქმეების შესრულება იქნება.

წდავლების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება თავისთავად შეიცავს წინააღმდეგობრივ მომენტს. ერთი მხრივ, საქმე გვაქვს გესტორის მიერ მეპატრონის უფლებების სფეროში თვითნებურ ჩარევასთან; მეორე მხრივ, ეს ჩარევა ხორციელდება მეპატრონის ინტერესებისათვის. კანონის მიზანია ზოგადი სოციალური ინტერესი დაიცვას ისე, რომ ხელი არ შეუშალოს გესტორის კეთილშობილ საქმიანობას; ამასთან, დაიცვას მეპატრონის პიროვნება და ქონება უცხო პირთა ზიანის მომტანი თვითნებობისაგან. ამ ამოცანების განსახორციელებლად კანონი ადგენს სავალდებულო მოთხოვნებს როგორც გესტორის, ისე მეპატრონისათვის. 7

კანონი უპირველეს მოთხოვნად მიიჩნევს – სხვისი საქმეების შემსრულებელი მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, ანუ ისე, როგორც მოცემულ საქმეს კარგი მეპატრონე ან მისი დავალებით სხვა პირი წარმართავდა.

მუხლი 970. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

1. თუ საქმეების შესრულება მიმართულია იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრება მეპატრონეს, შემსრულებ-

ბელი პასუხის აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

2. შემსრულებელს, რომელსაც ზიანი მიაღვა იმ საფრთხის თავიდან აცილებისას, რომელიც რეალურად ემუქრებოდა სხვა პირს ან ქონებას, ზოლო საფრთხის აცილება არ შეადგენდა შემსრულებლის სამართლებრივ მოვალეობას, უნდა აუნაზღაურდეს ზიანი იმ პირისაგან, რომელმაც შექმნა საფრთხე, ან იმ პირისაგან, რომლის სიკეთის გადარჩენასაც შემსრულებელი ცდილობდა.

1. მუპატრონის პიროვნების ან ქონებისათვის საფრთხის აცილება წარმოადგენს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების კერძო შემთხვევას. საფრთხის ქვეშ იგულისხმება არა მოჩვენებითი, არამედ რეალური, როგორც ამწუთიერი, ისე მოსალოდნელი საფრთხე, რომლის წყარო შესაძლოა იყოს როგორც ხდომილებები, ისე მოქმედებები. საფრთხე ხელყოფით უნდა ემუქრებოდეს მუპატრონის პიროვნულ ან ქონებრივ სიკეთეებს.

საფრთხის აცილების მიზნით შესრულებული მოქმედება, რომელიც მუპატრონის ან სხვა პირის ქონებრივ სფეროში ჩარევით გამოიხატება, მართლზომიერია. ასევე მართლზომიერია ზიანი, რომელიც მოცემულ ვითარებაში შეიძლება დადგეს. |

ამასთან, თუ საფრთხის აცილების საბაბით, შემსრულებელი განზრახ აყენებს ზიანს მუპატრონის ან სხვა პირის ქონებას, შემსრულებელს სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება დელიქტური ვალდებულებების წესებით. A

შემსრულებელი მიყენებული ზიანისათვის დელიქტური ვალდებულებების წესებით პასუხს აგებს აგრეთვე, თუ მისი მოქმედებით მუპატრონეს ან სხვა პირს ზიანი მიაღვა საფრთხის აცილების გაუმართლებელი ხერხების შერჩევის გამო. უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილად არ შეიძლება ჩაითვალოს ზიანის მომტანი ქმედება, როცა ზიანი შეადგენს საფრთხის აცილების გარდაუვალ ეპიზოდს ან შემსრულებლის მართლზომიერი რისკის შედეგს.

2. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება მოიცავს შემთხვევას, როცა სხვა პირის პიროვნების ან ქონების დაცვის მიზნით ზიანი ადგება თავად შემსრულებელს მისივე მოქმედებით. მოცემული შემთხვევა განსხვავდება უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში შესრულებული ქმედებისაგან იმით, რომ სხვისი საქმეების შესრულებისას სახეზეა შემსრულებლის და მეპატრონის და არა მეპატრონის და მესამე პირის მართლზომიერი ინტერესების კოლიზია (117-ე მუხლი). თუ უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში შემსრულებლის მოქმედებით მესაკუთრის შედარებით მეტად ღირებულ ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესს გარეშე პირის ნაკლებად ღირებული ქონება ეწირება, ამასთან გარეშე პირისათვის ზიანის მიყენება საფრთხის აცილების ერთადერთი საშუალებაა, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტი, საფრთხის აცილების ასეთ პირობებს არ ითვალისწინებს. უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში პირი შეიძლება მოქმედებდეს სამართლებრივი მოვალეობის შესრულების დროსაც. სხვისი საქმეების შესრულების დროს გესტორი სამართლებრივი მოვალეობის გარეშე მოქმედებს.

უკიდურესი აუცილებლობის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი შემზღუდველი ნორმების სანაცვლოდ, სხვისი საქმეების შემსრულებელი შებოჭილია კეთილსინდისიერების მორალურ-სამართლებრივი და ბრალეულობის პრინციპებით. შემსრულებლის ქონებრივ ან არაქონებრივ სფეროში დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება, თუ საფრთხე მისივე განზრახვით ან გაუფრთხილებლობით შეიქმნა ან საფრთხის აცილების საშუალებების შერჩევას ზიანი მისი განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით დადგა.

შემსრულებლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის სუბიექტია პირი, რომელმაც მეპატრონის პიროვნებას ან ქონებას საფრთხე შეუქმნა, თუ მისი მოქმედება უშუალო მიზეზობრივ კავშირშია საფრთხის შემქმნელ გარემოებასთან.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებით

შემსრულებლის ქონებრივ ან არაქონებრივ სფეროში დამდგარი ზიანისათვის, თუ საფრთხის შემქმნელი დელიქტი სახეზე არ არის, პასუხს აგებს პირი, ვისი სიკეთის გადარჩენასაც შემსრულებელი ცდილობდა.

საგულისხმოა, რომ შემსრულებლის ქონებრივ თუ არაქონებრივ სფეროში დამდგარი ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება გესტორის მოქმედების დადებითი შედეგის მიუხედავად, იმის მიუხედავად, შეძლო თუ არა გესტორმა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება.

მუხლი 971. მეპატრონისათვის შეტყობინების ვალდებულება

შემსრულებელი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე აცნობოს მეპატრონეს, რომ იკისრა საქმეთა შესრულება. შემსრულებელმა უნდა გააგრძელოს დაწყებული საქმეები, ვიდრე მეპატრონეს არ შეეძლება იმოქმედოს თვითონ.

კოდექსის მოცემული მუხლით გათვალისწინებული წესი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ვალდებულების ზოგადი მოთხოვნაა, რომელიც ყოველთვის ვერ გავრცელდება 970-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებზე, სადაც შემსრულებლის აქტები არაორდინარულ ვითარებებში ხორციელდება და შემსრულებელი, როგორც წესი, მოკლებულია შესაძლებლობას რეალური საფრთხის აცილების გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ აცნობოს მეპატრონეს. გესტორი ასევე თავისუფლდება შეტყობინების ვალდებულებისაგან, როცა იგი მეპატრონის საქმეებს მეპატრონის თანდასწრებით ასრულებს. სათანადო შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია დაწყებული საქმის თაობაზე აცნობოს მეპატრონეს. „შესაძლებლობის არსებობა“ გულისხმობს მეპატრონის პიროვნების დადგენის შესაძლებლობასაც, ვინაიდან, გესტორმა შესაძლოა არც იცოდეს, კონკრეტულად ვის საქმეებს ასრულებს.

კანონი მიუთითებს მეპატრონისათვის მისი საქმის დაწყების

თაობაზე შეტყობინების და არა დაწყებული საქმის მეპატრონის მიერ მოწონების შესახებ. თუ შემსრულებლის მოქმედება მეპატრონემ არ მოიწონა, შემსრულებლის მხრივ კი მსგავს შემთხვევაში საქმიანობის მორალურ-სამართლებრივი პრინციპები დაცული იყო, საქმიანობით დამდგარ შედეგებზე მეპატრონე პასუხის აგებს უსაფუძვლო გამდიდრების წესებით (976-991 მუხლები).

დაწყებული საქმის შესახებ მეპატრონისათვის შეტყობინებით არ ამოიწურება გესტორის მოვალეობათა სფერო. იგი ვალდებულია გააგრძელოს საქმის შესრულება, ვიდრე მეპატრონეს ან მის უფლებამონაცვლეს ან კანონიერ წარმომადგენელს თავად არ მიეცემა შესაძლებლობა გააგრძელოს გესტორის მიერ დაწყებული საქმის შესრულება. თუკი გესტორისთვის ცნობილი გახდება, რომ საქმის შემდგომი გაგრძელება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არახელსაყრელია მეპატრონისათვის, სხვისი საქმეების შესრულება უნდა შეწყდეს.

მუხლი 972. შემსრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა

შემსრულებელი ვალდებულია წარუდგინოს მეპატრონეს ანგარიში შესრულების შესახებ და გადასცეს მას ყველაფერი, რაც შესრულების შედეგად მიიღო.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას გესტორი მოქმედებს მეპატრონის ინტერესებისათვის. გესტორი ვალდებულია მეპატრონეს წარუდგინოს ანგარიში, სადაც აღრიცხული უნდა იყოს შესრულებული სამუშაო, გაწეული ხარჯები და ზარალი, რაც სამუშაოს შესრულებით დადგა. შემსრულებლის ეს ვალდებულება ანალოგიურია ყველა იმ პირის ვალდებულებისა, რომელიც სხვა პირის ინტერესებისათვის და ამ უკანასკნელის ხარჯზე ასრულებს ფაქტობრივ თუ სამართლებრივ მოქმედებებს (დავალება, შუამავლობა, საკუთრების მინდობა).

შემსრულებლის ანგარიში არის მეპატრონის მიერ იმ ხარჯების ანგარიშსწორების საფუძველი, რაც გესტორის საქმიანობით გაღებულ იქნა მეპატრონის ინტერესებისათვის. რაკი გესტორი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას მოქმედებს მხოლოდ მეპატრონის ინტერესებისათვის, მან არ შეიძლება ამ საქმიანობით მატერიალური სარგებელი მიიღოს, ამიტომაც იგი ვალდებულია ანგარიშთან ერთად გესტორს გადასცეს მოცემული საქმიანობით მიღებული ყოველგვარი შემოსავალი.

პუნქტი 973. გაცემული სარჯების ანაზღაურების უფლება

შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომელიც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება მიზნად არ ისახავს რომელიმე სხვა, ახალი სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების წარმოშობას. ამიტომ, სხვისი საქმეების შესრულების შედეგად სახეზეა გესტორის და მეპატრონის ანგარიშების გასწორება და არა მეპატრონის მხრივ რაიმე ახალი ვალდებულების წარმოშობა.

მეპატრონე გესტორს აუნაზღაურებს მხოლოდ იმ ხარჯებს, რომელთა გაღება შემსრულებლის მხრივ აუცილებლობით იყო გამოწვეული. შემსრულებლის მიერ გაღებული ხარჯი აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ თავისთავად, არამედ ოდენობის მხრივაც. ხარჯების ანაზღაურების უფლება გესტორს ეკარგება, თუ ის მცდარად ვარაუდობდა, რომ მისი გაღებით დაეხმარებოდა მეპატრონის საქმეს, თუმცა ობიექტურად ხარჯი ზედმეტი იყო. ხარჯების აუცილებლობის მტკიცების ტვირთი აწევს გესტორს.

*მუსლი 974. გაცემული ხარჯების ანაზღაურების
მოთხოვნის დაუშვებლობა*

1. შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი.

2. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მეპატრონის ნება ეწინააღმდეგება კანონის ნორმებს

1. თუ გესტორისათვის მეპატრონის ნება ცნობილი არ არის, იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დაწყებული საქმე სარგებლის მომცემი იქნება მეპატრონისათვის. ამასთან, შესრულებული საქმე მეპატრონისათვის სარგებლობის მომტანი უნდა იყოს ობიექტურად. საქმის სარგებლიანობა შეიძლება მდგომარეობდეს მეპატრონის ქონების გადარჩენაში განადგურების, დახარჯვის, დაზიანებისაგან, მეპატრონის არაქონებრივი ინტერესების არამართლზომიერი ხელყოფისაგან დაცვაში, შემსრულებლის მიერ მესამე პირთა წინაშე მეპატრონის ვალდებულებების შესრულებაში, ამ უკანასკნელისათვის დიდი ქონებრივი დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით. მეპატრონის სარგებელი უნდა იყოს საჩინო თუკი შემსრულებლის მიერ გაწეული ხარჯების მოცულება შეეფარდება იმ ზარალის სიდიდეს, რომელიც დაემუქრებოდა ან ემუქრებოდა მეპატრონეს შესაბამისი ზომების მიუღებლობის შემთხვევაში.

თუ შეტყობინების (971-ე) შემდეგ მეპატრონე მოწონებას გამოთქვამს გესტორის მიერ დაწყებული საქმის შესრულებაზე, სამართლებრივი ურთიერთობა გესტორსა და მეპატრონეს შორის იძენს უსიტყვო დავალების შინაარსს და იგი მოწესრიგდება დავალების ხელშეკრულების წესებით. მოცემული სამართლებრივი ურთიერთ-

ბის ნამდვილობისათვის წერილობითი ფორმა სავალდებულო არ არის.

თუ ვითარების მიხედვით, შემსრულებელი ჩათვლის, რომ მეპატრონეს სურვილი არ აქვს მოხდეს საქმეების შესრულება, დაცულ იქნას ქონება ან შესრულდეს მეპატრონის ვალდებულება მესამე პირის წინაშე, გესტორი ვალდებულია ხელი აიღოს დაწყებული საქმის შესრულებაზე. თუ გესტორი გააგრძელებს საქმის შესრულებას მეპატრონის ნების გაუთვალისწინებლად ან მის საწინააღმდეგოდ, იგი თვითონ განდება ვალდებული ანაზღაუროს საქმის შესრულებით გამოწვეული ზიანი. ამდენად, სხვისი საქმეების შესრულებისას გესტორმა უნდა გაითვალისწინოს მეპატრონის ნამდვილი ან მოსალოდნელი ნება და არ დაუპირისპირდეს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვისი საქმეების შესრულების სამართლებრივი ვალდებულება არ წარმოიშობა. თუ მეპატრონეს არ მოეწონა გესტორის მოქმედება, მაგრამ ამ უკანასკნელმა თავიდანვე საქმის შესრულება დაიწყო მოცემული ვალდებულებითი ურთიერთობისათვის წარმოშობისათვის საჭირო პირობებში, ამასთან შეასრულა საქმის წარმოებისათვის აუცილებელი პირობები, მეპატრონე ვალდებულია გესტორს აუნაზღაუროს გაწეული აუცილებელი ხარჯები და ზიანი, რომელიც ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მიაღდა. მეპატრონე თავისუფალია იმ მოქმედებებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, რომლებიც გესტორმა იმის შემდეგ შეასრულა, რაც გაიგო, რომ მეპატრონემ არ მოიწონა საქმის შესრულება ან მიიჩნია, რომ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მის ნებას.

2. მეპატრონის ნება, რომელიც მან გამოავლინა მისი ინტერესებისათვის საქმეების შესრულების წინააღმდეგ, ბათილია, თუ გესტორის მოქმედება მიმართული იყო მეპატრონის ქონების ან პიროვნული სიკეთეების გადასარჩენად. მეპატრონეს უშუალო ვალდებულება ეკისრება ანაზღაუროს ზიანი და ხარჯები, რომელიც გესტორს ამ მიზნით შესრულებული მოქმედებებით მიაღდა.

დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულებად ჩაითვლება გესტორის მოქმედება, თუკი მან პირს ხელი შეუშალა თვითმოქმედებაში, ამ უკანასკნელის წინააღმდეგობის მიუხედავად.

მუხლი 975. საკუთარი საქმის შესრულების ვარაუდი.

ამ თავის წესები არ გამოიყენება, თუ პირი სხვისი საქმის შესრულებისას ვარაუდობდა, რომ ეს მისი საქმე იყო.

სხვა პირის ინტერესებისათვის ფაქტობრივი და იურიდიული საქმიანობა შეადგენს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების აუცილებელ პირობას. შესაძლოა გესტორისათვის უცნობი იყოს პიროვნება, ვისი ინტერესებისთვისაც მოქმედებს, ეს ხელისშემშლელი გარემოება არ იქნება მისი მოქმედება სხვისი საქმის შესრულებად ჩაითვალოს. შემსრულებელი შესაძლოა განსაზღვრულ ეტაპზე მოქმედებდეს ანონიმურადაც.

თუ შემსრულებელი ვარაუდობდა, რომ იგი საკუთარი ინტერესებისთვის მოქმედებდა, შესრულებული მოქმედებით კი სხვა პირმა უშუალო სარგებელი მიიღო, მხარეების მიმართ გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების და არა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ვალდებულების წესები. (976-991 მუხლები).

უსაფუძვლო გამდიდრება

მუხლი 976. ვითომ-კრედიტორისაგან მოთხოვნის
საფუძვლები

1. პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ:

ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში;

ბ. ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ზანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

2. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ:

ა. შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს, ან

ბ. გავიდა ზანდაზმულობის ვადა, ან

გ. მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ მუხლის პირველი ნაწილის პირობები, ანდა

დ. მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალლო ხელშეკრულების შესრულებისას ეწინააღმდეგება ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას.

უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები ადრე მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით ამჟამად უფრო ფართოდ და არსებითად განახლებულად არის მოწესრიგებული. ეს ბუნებრივიცაა. საბაზრო მეურნეობის დამკვიდრებისა და განვითარების ამოცანებმა დღის წესრიგში დააყენა ქონებრივ ურთიერთობათა დეტალური სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობა. ამას-

თან, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არა მარტო ისეთი ურთიერთობები, რომლებშიც ერთი პირის მიერ მეორისათვის ქონების გადაცემის ნორმალური საფუძვლები არსებობს, არამედ ისეთებიც, როცა ფიზიკური ან იურიდიული პირის ხელში ქონება აღმოჩნდება უსაფუძვლოდ. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმალურად განვითარების შემთხვევაში იგი სხვის ხელში უნდა გადასულიყო. სწორედ ამიტომ, შესაძლებელია წარმოიშვას უსაფუძვლოდ შეძენილი ან დაზოგილი ქონების უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის ვალდებულება. ასეთ ვალდებულებაში ერთი მხარე კრედიტორია (დაზარალებული), მეორე კი – მოვალე (შემძენი).

კრედიტორად გამოდის პირი, რომლის ხარჯზეც სხვამ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიძინა ან დაზოგა ქონება. ხოლო მოვალე ის პირია, რომელმაც უსაფუძვლოდ შეიძინა ან დაზოგა ქონება და, შესაბამისად, გამდიდრდა. როგორც კრედიტორის, ისე მოვალის როლში შეიძლება გამოვიდეს სამოქალაქო სამართლის ნებისმიერი სუბიექტი. კრედიტორის მოთხოვნის უფლება არ არის დაფუძნებული მოვალის მიერ რომელიმე ხელშეკრულების დარღვევაზე. იგი შედარებით აბსტრაქტული ხასიათისაა. ამიტომ ძველი რომის სამოქალაქო სამართალში ცნობილ აბსტრაქტულ სარჩლებთან (*actio coditione*) მსგავსების გამო, უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებს ლიტერატურაში კონდიქციურ ვალდებულებებს უწოდებენ.

უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების უპირველესი ფუნქციაა კრედიტორის ადრინდელ ქონებრივ მდგომარეობაში აღდგენის სამართლებრივი უზრუნველყოფა. ამ მიზნის მიღწევა სავსებით შეესაბამება თანამედროვე პირობებში ქონებრივ ურთიერთობათა ნორმალური განვითარების მოთხოვნებს. კრედიტორის ქონებრივი ინტერესების უზრუნველყოფა მჭიდროდაა დაკავშირებული საკუთრების დაცვის პრობლემასთან. გარდა ამისა, კონდიქციურ ვალდებულებათა ფუნქციას წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და სამოქალაქო სამართ-

ლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესების დაცვა.

ქონების უსაფუძვლოდ შექმნა ნიშნავს შექმნის ქონების გაზრდას სხვა პირის ხარჯზე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე. უმეტესად, ქონების ასეთ გაზრდას ადგილი აქვს ბათილი გარიგების შესრულების, ვალდებულების ხელმეორედ შესრულების შემთხვევებში და სხვ. ქონების უსაფუძვლო დაზოგვას კი ადგილი აქვს მაშინ, როცა იმ პირის ქონება, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს ვალი, კი არ მცირდება, არამედ უცვლელი რჩება, რადგან ეს ვალი შეცდომით ან სხვა მიზეზით სხვამ გადაიხადა. ერთი პირის მიერ ქონების უსაფუძვლოდ შექმნა ან დაზოგვა მეორის ხარჯზე უმეტესად ორივესთვის ერთი და იგივე მიზეზის საფუძველზე ხდება. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს როგორც მოქმედება, ისე ხდომილება. ამასთან, სავსებით შესაძლებელია, რომ მსგავსი მოქმედება შეიძლება შეასრულოს როგორც დაზარალებულმა (მაგალითად, დამქირავებლის მიერ ბინის ქირის შეცდომით ზედმეტი ოდენობით გადახდა და სხვ.), ისე მოვალემ (მაგალითად, შეცდომით სხვისი ნივთით სარგებლობა და სხვ.). პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ქონების უსაფუძვლოდ შექმნის ან დაზოგვის მიზეზი მესამე პირთა მოქმედებაა (მაგალითად, გამომცემლობის მიერ შეცდომით ჰონორარის გადარიცხვა ავტორის მოგვარის ანგარიშზე და სხვ.) ხდომილება კი მსგავსი ვალდებულებების წარმოშობის საფუძველი იშვიათად ხდება. ამ დროს არც კრედიტორის და არც მოვალის ნება არ ფიგურირებს. მაგალითად, წყალდიდობის დროს შესაძლებელია ერთი პირის ხეტყის მასალა აირიოს მეორის მსგავს მასალაში.

ქონების შექმნის ან დაზოგვის მომენტში პირმა შეიძლება არც იცოდეს, რომ ნივთი ან სხვა მატერიალური ფასეულობა მას უსაფუძვლოდ გააჩნია. ასეთი შექმნა ან დაზოგვა შესაძლებელია კრედიტორის ან მოვალის მართლზომიერი მოქმედების შედეგიც იყოს. სწორედ ამიტომ, უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებაში არა აქვს მნიშვნელობა მოვალის ზარალს ან

მის არამართლზომიერ მოქმედებას. მაგრამ იმ მომენტიდან, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო, რომ ქონება უსაფუძვლოდ შეიძინა ან დაზოგა, აგრეთვე იმ მომენტიდან, როცა შეძენას ან დაზოგვას საფუძველი მოაკლდა, შეძენილი ან დაზოგილი ქონების შემდგომი ფლობა მოვალის მიერ არამართლზომიერი მოქმედების შესრულებად – სამართალდარღვევად უნდა ჩაითვალოს. ასეთ შემთხვევაში პირმა, რომელმაც დადგენილი საფუძვლის გარეშე შეიძინა ან დაზოგა ქონება, უნდა დაუბრუნოს იგი დაზარალებულს.

სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლში ყურადღებაა გამახვილებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით სხვისთვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნების საფუძვლებზე. მასში აღნიშნულია, რომ, თუ პირმა ვალდებულებების შესასრულებლად სხვას გადასცა რაიმე ქონება, შესაძლებელია მისი უკან გამოთხოვა, თუ ვალდებულება ფაქტობრივად არ არსებობს. ეს დასაშვებია მაშინ, როცა გარიგება გაბათილებულია და არარსებულად ითვლება ან არსებობდა, მაგრამ შემდგომში შეწყდა. მაგალითად, ქმედუნარო პირთან დადებული გარიგებით მისმა კონტრაქტმა მიიღო განსაზღვრული თანხა. გარიგების გაბათილება ადასტურებს იმას, რომ ვალდებულება მათ შორის არ წარმოშობილა. ამ დროს უნდა მოხდეს გადაცემული თანხის უკან დაბრუნება. იგივე მდგომარეობაა, როცა გაუქმდება ის კონკრეტული მიზეზი, რომლის გამოც ერთი პირი მეორეს უხდიდა განსაზღვრულ თანხას. მაგალითად, ნივთის დაკარგვის შემთხვევაში შემნახველი პატრონს უხდის ნივთის ღირებულებას. მაგრამ თუ ნივთი მოიძებნა და დაუბრუნდა პატრონს, იგი ვალდებულია შემნახველს დაუბრუნოს ნივთის ღირებულების ანგარიშში მიღებული თანხა. მსგავს შემთხვევებში კრედიტორს მოთხოვნის საფუძველი არ გააჩნია, იგი ფაქტობრივად არ არის კრედიტორი და სწორედ ამის გამო კანონმდებელი მას „ვითომ-კრედიტორს“ უწოდებს. ვითომ-კრედიტორი ვალდებულია დააბრუნოს აგრეთვე ვალდებულების შესრულების ანგარიშში მიღებული თანხა ან სხვა ქონება, თუ ვალდებულების საწინააღმდეგოდ

ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე მისგან კონტრაქტისათვის რაიმე მოთხოვნის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ფაქტობრივად არ არსებობს ვალდებულება ანუ შესაგებელმა გამორიცხა ვალდებულება. ვალდებულების შესასრულებლად გადაცემული ქონების გამოთხოვა არ შეიძლება, თუ ამისათვის სერიოზული საფუძველი არ არსებობს და შესრულება შეესაბამება სამოქალაქო სამართლის ძირითად პრინციპებს. ასეთი შემთხვევები პირდაპირაა მითითებული კანონში. მათ მიეკუთვნება: 1. ვალდებულების შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს (ალიმენტის გადახდა შვილის მიმართ მშობელმა გააგრძელა სრულწლოვანების შემდეგაც, თუმცა კანონით გადახდა მას არ ევალებოდა); 2. გავიდა ხანდაზმულობის ვადა და გადახდის შემდეგ გაიგო პირმა, რომ შეეძლო ვალდებულება არ შეესრულებინა; 3. ვალდებულების მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელმა შეგნებულად გადასცა ქონება და ანგარიში არ გაუწევია იმისათვის, არსებობდა თუ არა ის საფუძველები, რომლებიც მას გადაცემული ქონების უკან გამოთხოვის შესაძლებლობას მისცემდა; 4. ბათილი სავალო ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში, თუ მოთხოვნა გადაცემული ქონების უკან დაბრუნების თაობაზე ეწინააღმდეგება ბათილობის შესახებ სამართლებრივ ნორმათა დაცვით ფუნქციას. ზემოაღნიშნული შემთხვევები შედარებით იშვიათია და ძირითადად ქონების მიმღების კეთილსინდისიერებით არიან განპირობებული. მაგალითად, პირმა საკრედიტო დაწესებულებიდან გამოიტანა კრედიტი შვილისათვის ქორწილის გადასახდელად. კრედიტის ვადა განისაზღვრა ხუთი წლით. ქორწილის გადახდის შემდეგ გაირკვა, რომ ამ მიზნისათვის არ შეიძლებოდა კრედიტის გაცემა და საბანკო კრედიტის ხელშეკრულება გაბათილდა. ამ შემთხვევაში საბანკო კრედიტის მიმღებმა მიღებული თანხა უნდა დააბრუნოს, მაგრამ არა ერთდროულად და მოთხოვნისთანავე, არამედ ნაწილ-ნაწილ ხუთი წლის განმავლობაში,

რადგან მისი, როგორც კრედიტის მიმღების ინტერესები უფრო მეტადაა დაცული, ვიდრე საკრედიტო დაწესებულებისა.

მსგავს შემთხვევაში, ვალდებულების მიმღებზე, მართალია, ქონება გადადის საკმაო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მაგრამ მის მხრივ არაკეთილსინდისიერებას ადგილი არა აქვს, ამიტომ გამორიცხულია უკანდაბრუნების დაუყოვნებლივი მოთხოვნა.

მუხლი 977. გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის დაუშვებლობა

1. პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება, შეუძლია გადაცემულის გამოთხოვა, თუ მეორე პირის მოქმედება არ შეესაბამება მოსალოდნელ მიზანს.

2. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ:

ა. მიზნის მიღწევა თავიდანვე შეუძლებელი იყო და გადამცემმა ეს იცოდა, ან

ბ. გადამცემმა მიზნის მიღწევას არაკეთილსინდისიერად შეუშალა ხელი.

ქონების გამოთხოვა შეუძლებელია მაშინაც, როცა ერთმა პირმა იგი მეორეს გადასცა იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელს უნდა შეესრულებინა ან არ უნდა შეესრულებინა რაიმე მოქმედება – თუ თავიდანვე ჩანდა, რომ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო, და ქონების გადამცემმა ეს იცოდა ან ქონების გადამცემმა მიზნის მიღწევას თვითონვე არაკეთილსინდისიერად შეუშალა ხელი. მსგავსი შემთხვევები არაა დაკავშირებული რაიმე ვალდებულების შესრულების პირობებიდან გამომდინარე ქონების გადაცემასთან. გამონაკლის შემთხვევაში, როცა ქონება გადაცემულია რაიმე ქმედობის შესასრულებლად და მისი მიმღების მოქმედება ან უმოქმედობა არ შეესაბამება

მოსალოდნელ მიზანს, შესაძლებელია გადაცემული ქონების უკან გამოთხოვა. მიზნის მიუღწევლობა ასეთ შემთხვევაში უთანაბრდება ქონების მიღების უსაფუძვლობას. მაგალითად, ავტომანქანის მართვის უფლების მოწმობის მქონე შვილიშვილს მიაჩნდა ავადმყოფი პაპის ავტომანქანა მას დარჩებოდა და არა მის ბიძაშვილს, რომელსაც არ ჰქონდა მართვის მოწმობა. ამიტომ პაპის სიცოცხლეში იგი ხშირად არემონტებდა ავტომანქანას თავისი ხარჯით. პაპის გარდაცვალების შემდეგ ავტომანქანა ანდერძით მიიღო თავისმა ბიძაშვილმა. ასეთ შემთხვევაში უმემკვიდრეოდ დარჩენილ შვილიშვილს უფლება აქვს მოითხოვოს ავტომანქანაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 978. იძულების ან მუქარის საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნა

პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე.

სამოქალაქო კოდექსი კიდევ ერთ სპეციფიკურ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას, რომლის დროსაც ქონების მიღების მართლზომიერების ხარისხზეა დამოკიდებული კონდიქციური ვალდებულების წარმოშობა. ამ შემთხვევაშიც არ არის მხედველობაში ქონების გადაცემა ვალდებულების შესასრულებლად. თუ ქონება ერთმა პირმა მეორეს გადასცა იძულების ან მუქარის საფუძველზე, მას შეუძლია მოითხოვოს გადაცემული ქონების უკან დაბრუნება. ასეთი ვალდებულების საფუძველია ქონების მიმღების არამართლზომიერი ქცევა. მაგრამ თუ იძულებით ან მუქარით მიღებულ ქონებაზე მის მიმღებს უფლება გააჩნდა, მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ ქონება არამართლზომიერი გზითაა მიღებული, მისი უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია.

მუხლი 979. უკან დაბრუნების მოთხოვნის შარბლები

1. უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით.

2. თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ღირებულება განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით.

3. არ არსებობს ანაზღაურების მოვალეობა, თუ მიმღები საგნის მოხმარების, სხვისთვის გადაცემის, დაღუპვის, გაუარესების ან სხვა საფუძვლის გამო არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა.

4. თუ ორმხრივი ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების ბათილობის გამო უკან უნდა დააბრუნონ ის, რაც მათ ამ ხელშეკრულებით მიიღეს, მაგრამ ერთ-ერთ მხარეს არ შეუძლია დაბრუნება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების გამო, მაშინ მას არ ეკისრება უკან დაბრუნების მოვალეობა, თუ ეს გამომდინარეობს სამართლის იმ ნორმის არსიდან, რომლის საფუძველზედაც ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი.

5. შესრულების საგნის დაღუპვა ან გაფუჭება, რისთვისაც შემსრულებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულების ნამდვილობის დროს, ყოველთვის ათავისუფლებს მიმღებს ანაზღაურების მოვალეობისაგან.

კანონის მიხედვით უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება ყველაფერზე, რამაც ერთი პირის უსაფუძვლო გამდიდრება გამოიწვია მეორე პირის ხარჯზე. ეს შეიძლება იყოს შეძენილი ქონება,

ამ ქონებიდან მიღებული სარგებელი ან მასთან დაკავშირებული შემოსავალი. შესაძლებელია უსაფუძვლოდ მიღებული ფულის მოთხოვნაც. მოვალის მიერ კრედიტორის ქონების დაბრუნებისას ძირითადად იგულისხმება ფული და გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები. ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის გამოთხოვა კონდიქციურ ვალდებულებაში არ ხდება. ასეთი ნივთის დაბრუნება კანონით გათვალისწინებულია სავინდიკაციო სარჩელის საფუძველზე. უსაფუძვლო გამდიდრების დროს უნდა მოხდეს იმავე სახისა და იმავე ოდენობის ქონების დაბრუნება. ეს მოთხოვნა თვალნათლივია განსაკუთრებით მაშინ, როცა უსაფუძვლო შეძენის ან დაზოგვის საგანი ფულია. მსგავს შემთხვევებში კანონი უშვებს პირის მიერ უსაფუძვლოდ შეძენილ ან დაზოგილ ქონებაზე საკუთრების უფლების არსებობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩავთვლით, რომ ქონებაზე საკუთრების უფლება დარჩა დაზარალებულს, მაშინ კრედიტორსა და მოვალეს შორის წარმოიშობოდა სანივთო-სამართლებრივი და არა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობანი. თავისი შინაარსის მიხედვით კი ასეთი მოთხოვნა ვალდებულებით-სამართლებრივი ხასიათისაა.

კონდიქციური ვალდებულება დაზარალებულისათვის მარტო უსაფუძვლოდ მიღებული ქონების დაბრუნებას როდი გულისხმობს. კანონის შინაარსი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ პირი, რომელმაც ქონება უსაფუძვლოდ მიიღო, მოვალეა აგრეთვე დააბრუნოს ან აანაზღაუროს მთელი შემოსავალი, რაც მანამ ქონებით მოიპოვა ან უნდა მოეპოვებინა იმ დროიდან, როცა შეიტყო ან უნდა შეეტყო, რომ ქონება უსაფუძვლოდ ჰქონდა მიღებული. მაგალითად, პირმა შეცდომით მიიღო სხვისი გზავნილი და ფული თავის სახელზე შეიტანა ანაბრის სახით საკრედიტო დაწესებულებაში. მან უნდა დააბრუნოს არა მარტო ძირითადი თანხა, არამედ მასზე დარიცხული პროცენტებიც. დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება აგრეთვე ყველა იმ შემთხვევაზე, როცა მოვალემ მიიღო უსაფუძვლოდ მიღებული ქონების განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სა-

ნაცვლო ანაზღაურების სახით. თუ აღნიშნული ქონების ნატურად დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული ქონების მდგომარეობის გამო ან სხვა მიზეზით, უნდა ანაზღაურდეს მისი ის ღირებულება, რაც ამ ქონებას შეძენის მომენტში ჰქონდა. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ქონება შემძენის მიერ შემდეგში გასხვისებულ იქნა უფრო დაბალ ფასად ნამდვილ ღირებულებასთან შედარებით. ქონების დაბრუნების ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, როცა შემძენმა იგი სხვას გადასცა უსასყიდლოდ, რადგან მან გააჩუქა სხვისი ქონება და თავისი დაზოგა. უსაფუძვლოდ სხვისი ქონებით სარგებლობის ან სხვის ხარჯზე რაიმე მომსახურების მიღების შემთხვევაში დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს დაზოგილი ხარჯების ტოლფასოვანი თანხა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქონების მიმღებს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა თუ მიღებული საგნის მოხმარების, სხვისთვის გადაცემის, დაღუპვის, გაუარესების ან სხვა საფუძვლების გამო იგი არც მიღებული ქონებით და არც ამ ქონების ღირებულებით არ გამდიდრებულა. ასეთ შემთხვევებში ყურადღება მახვილდება არა იმაზე, თუ რა საფუძვლით ხდება პირზე ქონების გადაცემა, არამედ იმაზე, თუ რა ღარჩა მიმღებს, რა შეიძინა ან დაზოგა მან. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს ურთიერთობის საბოლოო შედეგის მიხედვით.

განსაზღვრული თავისებურება ახასიათებს გაბათილებული ორმხრივი ხელშეკრულების მხარეებს შორის ქონების გადაცემასთან და დაბრუნებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ხელშეკრულების გაბათილების შემთხვევაში დღის წესრიგში რესტიტუციის საკითხი დგება. ორმხრივი რესტიტუციის საფუძვლების არსებობისას მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ის, რაც მათ მიიღეს ხელშეკრულების საფუძველზე. მაგრამ, თუ ერთერთ მხარეს არ შეუძლია ქონების დაბრუნება მისი მდგომარეობის გამო (გაფუჭების გამო დაკარგა ღირებულება), მაშინ იგი ქონების უკან დაბრუნების ვალდებულებიდან განთავისუფლდება, თუ ეს გამო-

დინარეობს სამართლის იმ ნორმის არსიდან, რომლის საფუძველზეც ბათილად იქნა ცნობილი ხელშეკრულება.

ქონების მიმღები ასევე თავისუფლდება მიღებულის უკან დაბრუნების მოვალეობისაგან, თუ იმ ქონების დაღუპვა ან გაფუჭება ხელშეკრულების ნამდვილობისას იწვევს ქონების გადამცემის პასუხისმგებლობას. ასეთ შემთხვევაში გამოირიცხულია ქონების მიმღების არაკეთილსინდისიერება ან ბრალეულობა. ამიტომ, თუ ხელშეკრულება ბათილად იქნება აღიარებული, ქონების მიმღებზე რესტიტუციიდან გამომდინარე ვალდებულება არ გავრცელდება.

მუხლი 980. ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების წესი

1. თუ მიმღებმა გასწია ხარჯები ან მას წარმოეშვა ქონებრივი დანაკლისი იმასთან დაკავშირებით, რომ საგანი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნდა, მაშინ იგი მოვალეა დააბრუნოს საგანი ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების პირობით. ეს წესი არ გამოიყენება, როცა გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს სამუდამოდ შეძენილად.

2. ანაზღაურების მოვალეობანი 979-ე და 980-ე მუხლების მიხედვით უნდა შესრულდეს ერთდროულად. უკან დაბრუნების ხარჯები და რისკი ეკისრება შემსრულებელს.

კონდიქციური ვალდებულების განსაკუთრებული შემთხვევაა, როცა ქონების უსაფუძვლოდ მიმღებს იგი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნია და ამიტომ განსაზღვრული ხარჯები გასწია ამ ქონების გაუმჯობესებისათვის ან წარმოეშვა ქონებრივი დანაკლისი. მაგალითად, შეძენითი ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე პირმა ჩათვალა, რომ მის მფლობელობაში არსებულ ქონებას პატრონი არ გამოუჩნდება და მის მიმართ გასწია სხვადასხვა ხარჯი ან მისი ექსპლუატაციისათვის საჭირო გახდა სხვა ქონების შემცირება.

ქონების პატრონის გამოჩენის შემთხვევაში, მიმღები მოვალეა დააბრუნოს ქონება და უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული ხარჯებისა და მიღებული ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურება. ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მიმღებმა იგი ჩათვალოს სამუდამოდ შექენილად. მაგალითად, ნათხოვარი ნიეთი პატრონმა დიდი ხნის განმავლობაში რომ არ მოიკითხა, მიმღებმა ჩათვალა თავისად. ასეთ შემთხვევაში ქონებაზე გაწეული ხარჯები ან ქონებრივი დანაკლისი არ ანაზღაურდება.

გაწეული ხარჯებისა და ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურება, ისევე როგორც გადაცემული საგნის ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება აუცილებლად ერთდროულად უნდა მოხდეს. ის ხარჯები, რაც ქონების უკან დაბრუნებასთანაა დაკავშირებული, აგრეთვე ქონების დაზიანების ან დაღუპვის რისკი შემსრულებელზე გადადის.

მუხლი 981. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

1. თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა, ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან – 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 980 მუხლის, ასევე ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე.

2. თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძლოლის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს.

3. შესრულებისას გადაცემული საგნის დაღუპვის ან გაფუჭებისათვის მიმღები მოვალეა ანაზღაუროს ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. მიმღებს შეუძლია მოითხოვოს დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების წესების მიხედვით ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია შესრულების საგანთან დაკავშირებით. აუცილებლის გარდა, სხვა ხარჯები არ ანაზღაურდება.

4. ვადის გადაცილებისათვის მოვალის პასუხისმგებლობაზე ეს წესები არ ვრცელდება.

კონდიქციური ვალდებულების ძირითადი შინაარსი უსაფუძვლოდ მიღებული ქონების უკან დაბრუნებაა. ამით კრედიტორი უნდა აღდგეს პირვანდელ მდგომარეობაში. მაგრამ კრედიტორის მოთხოვნა შემოიფარგლება უსაფუძვლოდ მიღებული და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი შემოსავლის ოდენობით. მართალია, მსგავს შემთხვევაში სახეზეა კრედიტორისათვის ზიანის ანაზღაურება, მაგრამ იგი არსებითად განსხვავდება დელიქტური ვალდებულების მიხედვით ზიანის ანაზღაურების შინაარსისაგან. კონდიქციური ვალდებულება, როგორც წესი, წარმოიშობა თვით დაზარალებული პირის მართლზომიერი მოქმედების შედეგად. სწორედ მის მიერ დაშვებული შეცდომა ან უზუსტობა, რაც სრულებითაც არ ნიშნავს მისი მოქმედების არამართლზომიერებას, ხდება სხვა პირის მიერ ქონების უსაფუძვლოდ შექენის ან დაზოგვის საფუძველი. რაც შეეხება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას, მისი საფუძველი ყოველთვის ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედებაა. უმეტეს შემთხვევაში უსაფუძვლოდ შექენილი ან დაზოგილი ქონების დაბრუნების ვალდებულებაში მიმღები პირის ბრალი სახეზე არ არის. ამიტომ ასეთ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მსჯელობა არ უნდა იყოს. სულ სხვა მდგომარეობაა მაშინ, როცა სახეზეა ქონების მიმღების ბრალი – განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა. მაგალითად, თუ პირმა წინასწარ

იცის, რომ ფოსტალიონის მიერ მისთვის ჩაბარებული ფული მას არ ეკუთვნის, ამ ფულის მიღება უნდა ჩაითვალოს წინასწარ განზრახულ არამართლზომიერ მოქმედებად. ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა ვალდებულება ზიანის მიყენებისათვის და არა ქონების უსაფუძვლო შეძენის ან დაზოგვისათვის. ზემოაღნიშნული ედება საფუძვლად განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის ნორმას, რომლის მიხედვითაც ქონების უსაფუძვლოდ მიღებს ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ დაეკისრება, თუ ქონების მიღებისას იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო უცნობი იყო ქონების სამართლებრივი საფუძველი და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყო. იგივე შედეგი უნდა დადგეს მაშინაც, თუ კრედიტორის მოთხოვნა გადაცემულია სასამართლოსათვის. ამავე ნორმით დადგენილია, რომ მიმღებს პასუხისმგებლობა ეკისრება ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან მოთხოვნის სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან – კონდიქციური ვალდებულებისას უსაფუძვლოდ მიღებული ან დაზოგილი ქონების უკან დაბრუნების წესების შესაბამისად და არა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე წესებით. ამ შემთხვევაში კანონი ზიანის ანაზღაურების უფრო რბილ ფორმას ადგენს. დელიქტურ ვალდებულებაში პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს ხდება მიყენებული ზიანის მოცულობის დადგენა და მისი სრული ანაზღაურება. კონდიქციურ ვალდებულებაში მოთხოვნის, დაკმაყოფილება ხდება უსაფუძვლოდ შეძენილი ან დაზოგილი ქონების და არა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის ფარგლებში. უსაფუძვლოდ შეძენილი ან დაზოგილი ქონება შეიძლება გაცილებით ნაკლები იყოს, ვიდრე დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი. ამიტომ ამ ვალდებულებათა გამიჯვნას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის მოცულობა გაცილებით დიდია, ვიდრე ქონების უსაფუძვლოდ შეძენის ან დაზოგვისა.

კონდიქციურ ვალდებულებაში ზიანის ანაზღაურების სხვა შემთხვევაც შეიძლება იყოს გათვალისწინებული. ეს ისეთი

შემთხვევაა, როცა ქონების მიმღებს მისი ნორმალური სამეურნეო გაძღოლის შემთხვევაში შეეძლო მიეღო სარგებელი, მაგრამ ეს არ გააკეთა ბრალეული ქმედებით. ამ დროს მას დაეკისრება მიუღებელი სარგებელის გადახდა. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი კანონით დადგენილი წესით. ასეთი ვალდებულების საფუძველია კანონის მოთხოვნა, რომ უსაფუძვლოდ მიღებულ საგანთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი უნდა დაბრუნდეს. შესრულებისას საგნის გაფუჭების ან დაღუპვისათვის მიმღები პასუხს აგებს, თუ მას ამაში ბრალი მიუძღვის. დანარჩენ შემთხვევაში იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. თუ მიმღებმა უსაფუძვლოდ მიღებული ქონება არსებითად გააუმჯობესა, დაბრუნებისას მას შეუძლია მოითხოვოს დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების წესების მიხედვით იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან აუცილებლობიდან გამომდინარე გასწია. არააუცილებელი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არა აქვს.

მოვალის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილებისათვის პასუხისმგებლობაზე არ ვრცელდება დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების წესები.

მუხლი 982. სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები

1. პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დაზარალების, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი.

2. ბათილი განკარგვის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია ხელმყოფისაგან მოითხოვოს დაუყოვნებლივი ანაზღაურება.

განსახილველი ნორმა სიახლეს წარმოადგენს. მან კონდიქციურ

ვალდებულებათა სფეროში ჩართო სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობის კონკრეტული შემთხვევები და მიუთითა, რომ, აღნიშნულ საშუალებათა გამოყენებით თუ კრედიტორს მიაღდა ზიანი, იგი აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს, რადგან ამ დროს არ არსებობდა სამართლებრივი სიკეთის მფლობელის თანხმობა. იგულისხმება, რომ ნორმაში აღნიშნულმა სიკეთის ხელყოფის საშუალებების გამოყენების გამო უფლებამოსილმა პირმა მიიღო ქონებრივი ზიანი. ასეთ დროს სავსებით გამართლებულია შესაბამისი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. ისეთ შემთხვევაში კი, როცა რომელიმე საშუალების გამოყენებისას ადგილი არა აქვს ქონებრივ ზიანს, საკითხი სხვაგვარად უნდა გადაწყდეს. მაგალითად, თუ შემნახველმა მიბარებული ნივთით მისი მესაკუთრის ნებართვის გარეშე ისარგებლა და მართალია, ამ დროს ქონება არ დაზიანებულა და მესაკუთრის ინტერესი არ შელახულა, მაგრამ შემნახველმა თავისი სიკეთე დაზოგა სხვის ხარჯზე. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, პასუხი უნდა აგოს კონდიქციური ვალდებულების საფუძველზე უსაფუძვლოდ მიღებულის ან დაზოგილის ფარგლებში.

ქონებრივი ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს დელიქტური ვალდებულებების პრინციპების გამოყენების საფუძველზე. რაც შეეხება სხვისი ქონების უსაფუძვლოდ განკარგვის შემთხვევას, იგი აუცილებლად უნდა გაბათილდეს და უფლებამოსილ პირს დაუყოვნებლივ უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი.

მუსლი 983. შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ

თუ უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილ შესრულებას იღებს არაუფლებამოსილი პირი, მაშინ იგი მოვალეა მიღებული დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს.

უფლებამოსილ პირს გააჩნია მოთხოვნის უფლება იმ პირის მიმართ, რომელმაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო

ფული ან გვაროვნული ნივთი. არაუფლებამოსილი პირი ვალდებულია, ყველაფერი რაც უსაფუძვლოდ მიიღო, დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს. ამ შემთხვევაში კონდიქციური ვალდებულება ჰგავს სავინდიკაციო მოთხოვნისას წარმოშობილ ვალდებულებას. ორივე შემთხვევაში ქონების სხვისი უსაფუძვლო მფლობელობიდან გამოთხოვის საკითხი დგება. პირველ შემთხვევაში ფული ან გვაროვნული ნივთი შეიძლება არაუფლებამოსილი პირის საკუთრებაში მოხვდეს და ეს უკანასკნელი ვალდებული იქნება უდავო წესით დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული. ეს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაა. მეორე შემთხვევაში, ვინდიკაცია ეხება იმ ქონებას, რომელზეც არაუფლებამოსილ პირს საკუთრების უფლება არ წარმოშობია და ამის საფუძველზე ითხოვს ნამდვილი მესაკუთრე ქონების დაბრუნებას სხვისი უკანონო მფლობელობიდან. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნა შეიძლება სადაო იყოს და მას სანიუთო-სამართლებრივი ურთიერთობის სახე ჰქონდეს.

მუხლი 984. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

1. თუ ხელმყოფმა უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ იცოდა უფლებამოსილების ხარვეზი, იგი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ იმ დროისათვის, როდესაც ანაზღაურების მოთხოვნა სასამართლო წარმოებას გადაეცა, აღარ არსებობს გამდიდრების ნიშნები.

2. ხელმყოფი პირის მიერ გამოყენებული სიკეთის მიმართ გაწეული ხარჯები არ ამცირებს მისი გამდიდრების ოდენობას.

კანონი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას ისეთ შემთხვევაზე, როცა მიმღები შეიძლება ზიანის მიყენებისას პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდეს. ეს ის შემთხვევაა, როცა მის ქმედებაში არის ბრალეულობის ნიშნები უხეში გაუფრთხილებლობის სახით, რის საფუძველზეც მან ვერ გაიგო მიღების სამართლებრივი ხარვეზის

არსებობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, რადგან სასამართლოსათვის ანაზღაურების მოთხოვნის გადაცემის დროისათვის გამდიდრებას ფაქტობრივად ადგილი აღარ აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამდიდრების ფაქტის არსებობა დაედება საფუძვლად ხელმყოფის პასუხისმგებლობას. ამასთან, გამდიდრების ფაქტს აქვს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამიტომ მხედველობაში არ მიიღება ხელმყოფი პირის მიერ მიღებული სიკეთის მიმართ გაწეული ის ხარჯები, რომლებმაც შეიძლება გადაფაროს მიღებული გამდიდრების ოდენობა ან სულაც გადააჭარბოს მას. თუ ხელმყოფმა იცოდა თავისი უფლებამოსილების ხარვეზი, მაშინ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება გამორიცხულია.

პუნქტი 985. მოგების მოთხოვნის უფლება

1. თუ ხელმყოფმა განზრახ არ გაითვალისწინა სხვა პირის უფლებამოსილება, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს ის მოგება, რომელიც აღემატება ქონებრივ დანაკლისს.

2. ხელმყოფმა უნდა წარმოადგინოს ცნობები იმის თაობაზე, თუ რა მოგება მიიღო მან სხვისი ქონების გამოყენებით.

ქონებრივი ინტერესების ხელმყოფი პირის პასუხისმგებლობა უფრო ფართო სახეს ღებულობს მაშინ, როცა იგი განზრახ არ ითვალისწინებს სხვა პირის უფლებამოსილებას. ამ უკანასკნელს, მსგავს შემთხვევებში, შეუძლია მოითხოვოს ის მოგება, რომელიც ხელმყოფმა მიიღო და აღემატება ქონებრივ დანაკლისს. ხელმყოფის მიერ მიღებულ მოგებასა და უფლებამოსილი პირის ქონებრივ დანაკლისს შორის სხვაობის დასადგენად საჭიროა, სათანადო ცნობების წარდგენის საფუძველზე, ზუსტად განისაზღვროს იმ მოგების ოდენობა, რაც ხელმყოფმა მიიღო სხვისი ქონების გამოყენებით.

მუხლი 986. შეცდომით სხვისი ვალდებულების ბასტუმრება

პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალეებს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება.

სხვისი ვალის გადახდა კონდიქციური ვალდებულების საფუძველი ხდება იმის გამო, რომ უსაფუძვლოდ დაიზოგა სხვისი ქონება. იგულისხმება, რომ პირი შეგნებულად ან შეცდომით აკეთებს ამას. ორივე შემთხვევაში ვალი რეალურად არსებობს. მაგალითად, პირი შეგნებულად იხდის მივლინებაში მყოფი მეზობლის შუქის დავალიანების საფასურს. ან შეცდომით იხდის მეზობლის ფანჯრის მინის საფასურს, რადგან ჰგონია, რომ მისმა შვილმა ჩაამტკვრია იგი თამაშის დროს. ორივე შემთხვევაში ვალის გადამხდელს უფლება აქვს მოითხოვოს უსაფუძვლოდ დაზოგილის ან მიღებულის უკან დაბრუნება. პირველ შემთხვევაში მეზობელია ვალდებული დააბრუნოს დაზოგილი ქონება. მეორე შემთხვევაში კი ვალის გადამხდელმა პირმა მოთხოვნა უნდა წაუყენოს იმ ბავშვის მშობელს, რომელმაც სინამდვილეში ჩატეხა ფანჯრის მინა, რადგან უკანასკნელ შემთხვევაში მიმღები უსაფუძვლოდ გამდიდრებულად არ უნდა ჩათვალოს. შემდეგ გამოვლენილი ზიანის მიმყენებლის მშობელი კი ქონების უსაფუძვლოდ დაზოგავად ითვლება და ვალის გადამხდელისათვის შესაბამისი თანხის დაბრუნება მას უნდა დაეკისროს.

ვალის გადახდა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, როცა იგი ფაქტობრივად არ არსებობს. მაგალითად, მობილური ტელეფონით სარგებლობის საფასური თავისი ძმის ანგარიშზე გადაიხადა პირმა. მოგვიანებით, ტელეფონის მფლობელს სხვა თანხებთან ერთად ძმის მიერ გადახდილი თანხაც გადაახდევინეს. ამიტომ ტელეფონის მფლობელმა ამ შემთხვევაში არარსებული ვალი გადაიხადა, ამიტომ უფლებამოსილია მოითხოვოს უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

*მუხლი 987. შეცდომით ხარჯების გაწევა სხვა პირის
ქონებაზე*

1. პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა.

2. გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტიტ, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი, ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს.

3. მოთხოვნა გამორიცხულია, თუ:

ა. პირს, რომელსაც წაყენება მოთხოვნა, შეუძლია მოითხოვოს დანახარჯების ამოღება ან ამოიღებს მას, ან

ბ. პრეტენზიის წარმდგენმა პირმა ბრალეულად დააყოვნა შეტყობინება ხარჯების მოთხოვნის შესახებ, ანდა

გ. პირმა, რომელსაც წაყენება პრეტენზია, სადავო გახადა ხარჯები მათ განხორციელებამდე.

განსახილველი მუხლის ძირითადი დებულება ისაა, რომ სხვა პირის ქონებაზე გაწეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს. შინაარსში კი მოცემულია აღნიშნული ვალდებულების წარმოშობის საფუძველი და მისი გამომრიცხველი გარემოებები.

სხვა პირის ქონებაზე შეგნებულად ან შეცდომით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა. თუ გამდიდრების ფაქტი სახეზე არ არის, მაშინ ხარჯის გაწევა მარტო არ წარმოშობს კონდიქციურ ვალდებულებას. მაგალითად, ნათხოვარი აგარაკით სარგებლობის პერიოდში გაფუჭებული კიბის შეკეთებაზე გაწეული ხარჯის მოთხოვნის საფუძველი არ არსებობს, რადგან აგარაკის ღირებულება ამით არ გაზრდილა. გამდიდრების ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ მომენტიტისათვის, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი. ამ დროს უნდა გაირკვეს რა სახით იყო ნივთი

გადაცემული და რა სახით ბრუნდება. ასეთ შემთხვევაში რეალურად ჩანს გამდიდრების ხარისხი. გარდა ამისა, შესაძლებელია გამდიდრება გამოიხატოს დაბრუნებული ნივთიდან აღრინდელთან შედარებით მეტი სარგებლის მიღებაში, რადგან მნიშვნელოვნადაა გაზრდილი დაბრუნებული ნივთის ღირებულება. ორივე შემთხვევაში მოვალის გამდიდრების ფაქტია მთავარი და გაწეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს გამდიდრების ოდენობის შესაბამისად. კონდიქციურმა მოთხოვნამ არ უნდა გამოიწვიოს გამდიდრებული პირის ქონების იმაზე მეტად შემცირება, რითაც იგი გამდიდრდა.

კანონი ითვალისწინებს ისეთ კონკრეტულ გარემოებებს, რომელთა არსებობა გამორიცხავს სხვის ქონებაზე გაწეული ხარჯების მოთხოვნის შესაძლებლობას. კერძოდ, მოთხოვნის წაყენება გამორიცხულია თუ: პირს, რომელსაც წაეყენება მოთხოვნა თვითონ შეუძლია მოითხოვოს დანახარჯების ამოღება და ამოიღებს კიდევ; პრეტენზიის წარმდგენმა პირმა ბრალეულად არ წარადგინა დროულად გაწეული ხარჯების ანაზღაურების შეტყობინება; პირს, რომელსაც წაეყენება პრეტენზია გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ თავის დროზე თვითონ გახადა სადაოდ ასეთი ხარჯების გაწევის მიზანშეწონილობის საკითხი. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ხარჯების განხორციელებამდე იქცა სადაოდ ისინი.

სხვის ქონებაზე გაწეული ხარჯების მოთხოვნაზე უარისთქმის სხვა საფუძვლები კანონით არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 988. ვითომ-კრედიტორის მითითებით შესრულების შედეგები

1. პირს, რომელიც 976-ე მუხლის თანახმად რაიმეს გადასცემს მესამე პირს ვითომ-კრედიტორზე მითითებით, შეუძლია შესრულების გამოთხოვა ვითომ-კრედიტორისაგან ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე. თუ ვითომ-კრედიტორის მითითება ეჭვს არ იწვევს, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ მესამე პირის მიმართ იქნეს გამოყენებული.

2. პირს, რომელიც 976-ე მუხლის მიხედვით ახალ ვითომ-კრედიტორს რაიმეს გადასცემს მოთხოვნის წაყენების შემდეგ, შეუძლია თავდაპირველი ვითომ-კრედიტორისაგან მოითხოვოს დაბრუნება ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე. თუ თავდაპირველი ვითომ-კრედიტორის მითითება ეჭვს არ იწვევს, მაშინ უკუმოთხოვნა შეიძლება მხოლოდ ახალი ვითომ-კრედიტორის მიმართ.

3. ანაზღაურების მოვალეობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 979-ე და 980-ე მუხლები.

სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლისაგან განსხვავებით, სადაც ლაპარაკია ვითომ-კრედიტორისაგან უსაფუძვლოდ მიღებული სიკეთის მოთხოვნის საფუძვლების შესახებ, განსახილველი მუხლი ეხება ვითომ-კრედიტორის მითითებით შესრულების შედეგებს. უკანასკნელ შემთხვევაში კონდიქციური ხასიათის ურთიერთობა რამდენიმე პირს შორის წარმოიშობა. ვალდებულების მონაწილეებად გამოდიან: 1. ვითომ-კრედიტორი, რომლის დავალებითაც ან რომლის სახელითაც ხდება ქონების გაცემა; 2. პირი, რომელიც ასრულებს ვითომ-კრედიტორის სურვილიდან გამომდინარე დავალებას ქონების გადაცემასთან დაკავშირებით და 3. მესამე პირი, რომელმაც უსაფუძვლოდ მიიღო ან დაზოგა ქონება. ქონების გადაცემის უსაფუძვლობის შემთხვევაში გასარკვევია ვის უნდა დაეკისროს დაბრუნების ვალდებულება. შესაძლებელია სხვადასხვა ვარიანტის შესაძლებლობა. თუ ერთი პირი, ვითომ-კრედიტორზე მითითებით მეორე პირს გადაცემს რაიმე ქონებას, მას შეუძლია გადაცემულის მოთხოვნა წაუყენოს ვითომ-კრედიტორს. ამ შემთხვევაში ვითომ-კრედიტორის მითითებით ქონების სხვისთვის გადაცემა გათანაბრებულია ვითომ-კრედიტორისათვის გადაცემასთან. მაგრამ თუ ვითომ-კრედიტორის მითითება ეჭვს იწვევს – დოკუმენტის გაყალბების ან მისი მითითების არასწორად გაგების გამო, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა უნდა წაყენოს მხოლოდ მესამე პირს, რადგან ვითომ-კრედიტორის

ნამდვილი ნების გამოვლენის საფუძველზე არ მომხდარა ქონების გადაცემა.

დღის წესრიგში შეიძლება დადგეს სხვისთვის დამატებით გადაცემული ქონების გამოთხოვის საკითხიც. კანონის მიხედვით იმ პირს, რომელიც ახალ – ვითომ-კრედიტორს რაიმეს გადასცემს მოთხოვნის წაყენების შემდეგ, შეუძლია თავდაპირველი ვითომ-კრედიტორისაგან მოითხოვოს მისი დაბრუნება, რადგან ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა განპირობებულია მისი თავდაპირველი მითითების არამართლზომიერებით. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველი ვითომ-კრედიტორის მითითება ეჭვს იწვევს, მაშინ ახლად გადაცემული ქონების დაბრუნების შესახებ მოთხოვნის წაყენება შეიძლება მხოლოდ ახალი ვითომ-კრედიტორისათვის.

უსაფუძვლოდ მიღებული ქონების დაბრუნება უნდა მოხდეს სრულად, ნატურით ან შესაბამისი ღირებულებით, ხარჯებისა და ქონებრივი დანაკლისების მხედველობაში მიღებით.

მუხლი 989. მესამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული

1. თუ 976-ე და 988-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმღები, რომელიც მოვალეა დააბრუნოს მიღებული, უსასყიდლოდ გადაცემს მას მესამე პირს, მაშინ მესამე პირი ასევე მოვალეა დააბრუნოს მიღებული ისე თითქოს მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძველის გარეშე მიეღოს რაიმე, თუკი მიმღებისაგან დაკმაყოფილება შეუძლებელია.

2. ზიანის ანაზღაურების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 979-981-ე მუხლების მოთხოვნები.

ვითომ-კრედიტორისათვის ან მისი მითითებით სხვისთვის რაიმეს გადაცემისას კანონი ითვალისწინებს გადაცემულის უკან დაბრუნებას. ასეთ შემთხვევებში, თუ პირი, რომელიც მოვალეა დააბრუნოს

მიღებული, სხვას გადასცემს დასაბრუნებელ ქონებას, ეს უკანასკნელი იქნება პასუხისმგებელი კონდიქციური ვალდებულების საფუძველზე. ამისათვის აუცილებელია შემდეგ გარემოებათა თანდამთხვევა. 1. ვითომ-კრედიტორის, ან ვითომ-კრედიტორის მითითებით ქონების მიძღების მიერ დასაბრუნებელი ქონება სხვა პირზე გადაცემული უნდა იყოს უსასყიდლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი პირი ჩაითვლება კეთილსინდისიერ მფლობელად და მიღებულის უკან დაბრუნება არ დაეკისრება; 2. ქონების დაბრუნება ვითომ-კრედიტორისაგან ან ვითომ-კრედიტორის მითითებით მიძღებისაგან ნამდვილი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე ფაქტობრივად შეუძლებელია. ბუნებრივია, რადგან მიძღებისაგან ვერ ხერხდება მიღებულის დაბრუნება, ამიტომ ხდება მისი ჩანაცვლება იმ პირით, ვინც ვითომ-კრედიტორის ნებით განპირობებული გადაცემის საფუძველზე საბოლოოდ მიიღო დასაბრუნებელი ქონება.

აღნიშნული გარემოებების არსებობისას ქონების მიძღები ვალდებულია დააბრუნოს მიღებული ისე, თითქოს მას ნამდვილი კრედიტორისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიეღოს იგი, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილ კრედიტორსა და მას შორის იმყოფებიან ისეთი პირები, რომელთა მოქმედებამ განაპირობა ქონების საბოლოო მიძღების მიმართ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობა.

ზემოაღნიშნულ ურთიერთობებში ზიანის ანაზღაურების საკითხი უნდა გადაწყდეს ამავე თავში არსებული შესაბამისი ნორმების საფუძველზე.

მუხლი 990. არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ განკარგვის შედეგები

1. თუ არაუფლებამოსილი პირი რაიმე საგანს უსასყიდლოდ განკარგავს და ეს განკარგვა ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ, მაშინ ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი შედეგი მიიღო, მოვალეა მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს.

2. ბრალის არსებობის შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება ასევე 984-ე და 985-ე მუხლების მოთხოვნები.

არაუფლებამოსილი პირი შეიძლება ქონებას განკარგავდეს როგორც სასყიდლით ისე უსასყიდლოდ. სასყიდლით განკარგვისას მან უნდა დააბრუნოს მიღებული თანხების ის ნაწილი, რაც განკარგული ქონების ღირებულების ფარგლებშია. იმ შემთხვევაში თუ მიღებული თანხები აღემატება განკარგული ქონების ღირებულებას, მაშინ შესაძლებელია ნამეტი განმკარგველს დარჩეს. ბუნებრივია, ამ დროს იგულისხმება ნამეტი თანხის განმკარგველის პირადი წვლილისა და ძალისხმევითაა მიღებული. სხვა მდგომარეობაა, როცა არაუფლებამოსილი პირი უსასყიდლოდ განკარგავს ქონებას. ასეთი განკარგვა უფლებამოსილი პირის მიმართ ნამდვილად ითვლება. მაგალითად, პირმა სხვისი ქონება შეცდომით გააჩუქა და დასაჩუქრებულმა ამით მიიღო განსაზღვრული სარგებელი. გაჩუქების უფლებამოსილება რადგან მის შესაკუთრეს გააჩნდა, ამიტომ დასაჩუქრებულმა სწორედ მას უნდა დაუბრუნოს მიღებული ქონება. აქ არამართო უსაფუძვლოდ მიღებულ ქონებაზეა ლაპარაკი, არამედ იმ სარგებელზეც, რაც დასაჩუქრებულმა მიიღო. სასყიდლისაგან განსხვავებით უსასყიდლო განკარგვა სამართლებრივი დაცვის უფრო ნაკლები ხარისხით გამოირჩევა.

არაუფლებამოსილი პირის მიერ ბრალეული მოქმედებით სხვა პირის ინტერესების ხელყოფის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს ის მოგება, რაც აღემატება მის ქონებრივ დანაკლისს.

მუხლი 991. სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგები

პირი, რომელიც სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული.

კონდიქციური ვალდებულებებისადმი მიძღვნილ თავში ძირითადად ყურადღება მახვილდება ისეთ შემთხვევებზე, როცა შესაბამისი ვალდებულება წარმოიშობა რომელიღაც ვალდებულების შესრულების შედეგად. ამიტომაა ვალდებულების შესრულების მიმდებზე უმეტესად ლაპარაკი და მის მოვალეობაზე – დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული. გარდა აღნიშნულისა, ამავე თავში განხილულია აგრეთვე ისეთი შემთხვევებიც, როცა გამდიდრება მიძღვება კი არ ეხება და ვალდებულების შესრულებას ანგარიშში კი არ ითვლება, არამედ გამდიდრებას გულისხმობს ქონების უსაფუძვლო დაზოგვის სხვადასხვა საშუალებებით. ისინი შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც გამდიდრებულთან, ისე დაზარალებულთან ან საერთოდ, არავითარი კავშირი არ ჰქონდეთ მათთან.

კოდექსში ძირითადად შეცდომაზეა ყურადღება გამახვილებული. შეცდომის გარდა ქონების დაზოგვა და ამით უსაფუძვლო გამდიდრება სხვა საშუალებითაც შეიძლება. მაგალითად, ერთი პირის ცხენმა მეორის თივა შეჭამა, ან ერთის ნახირში გაერია მეორის საქონელი, ანდა თავისი საქონლის გასასაღებლად გამოიყენა სხვა პირის მიერ თავისი მიზნებისათვის დამზადებული რეკლამა. სამივე შემთხვევაში სახეზეა სხვის ხარჯზე საკუთარი ქონების დაზოგვა და ამის საფუძველზე უსაფუძვლო გამდიდრება. ასეთ შემთხვევაში უსაფუძვლოდ გამდიდრებული მოვალეა დაუბრუნოს ყველაფერი, რაც მან მიიღო სხვა პირის ხარჯზე. რადგან კონდიქციური ვალდებულების საფუძველი სხვისი ქონებრივი ინტერესების ხელყოფაა, ამიტომაც შესრულების კონდიქციისაგან განსხვავებით ხელყოფის კონდიქცია ნაკლებადაა დაკონკრეტებული. კანონი მისი გამოვლენის ყველა შემთხვევას კონდიქციური ვალდებულების წარმოშობის საფუძველად თვლის.

პირი მესამე დელიქტური ვალდებულებანი

თავი პირველი ზოგადი დებულებანი

მუხლი 992. ცნება

პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიიყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

„ზიანი“ სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.

ზიანი სამოქალაქო სამართალში შეიძლება წარმოიშვას, ერთი მხრივ, ერთ-ერთი მხარის ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, მეორე მხრივ კი, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ზიანის მიყენებამდე არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში. ზიანის წარმოქმნისას სუბიექტის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობისა და მისი ანაზღაურების ვალდებულების წარმოქმნის სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისად, სამოქალაქო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს „სახელშეკრულებო“ და „არასახელშეკრულებო“ ზიანს.

„სახელშეკრულებო“ ზიანი შეიძლება მიყენებული იქნეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების, კანონის ან ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობით. იმის გათვალისწინებით, რომ ზიანის მიყენებამდე მხარეები უკვე იმყოფებოდნენ განსაზღვრულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში, პასუხისმგებლობა ამ ურთიერთობის დარღვევით გამოწვეული ზიანისათვის განისაზღვრება შესაბამისად, ხელშეკრულების პირობებით ან იმ კანონით, რომელიც არეგულირებს მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

„არასახელშეკრულებოდ“ ითვლება ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეები არ იმყოფებოდნენ ველდებულებით ურთიერთობაში.

„არასახელშეკრულებო“ ზიანი წარმოიქმნება უშუალოდ სამართალდარღვევიდან (დელიქტი), ამიტომ მას დელიქტურ ვალდებულებას უწოდებენ. მას ხშირად უწოდებენ ასევე „სამართალდარღვევიდან წარმოშობილ ვალდებულებას“, „უნებართვო ქმედებისაგან წარმოშობილ ვალდებულებას“.

ამ ვალდებულების დასახელების სხვადასხვაობა არ ახდენს მის შინაარსზე გავლენას და განისაზღვრება იმით, თუ მისთვის დამახასიათებელი რა ნიშანია გამოყოფილი დასახელებაში: ქმედების შედეგი (ზიანიდან წარმოშობილი ვალდებულება), ქმედების ხასიათი (სამართალდარღვევიდან, დელიქტიდან, უნებართვო ქმედებიდან წარმოშობილი ვალდებულება) ან ქმედება, განხორციელებული არასახელშეკრულებო ვალდებულებიდან (არასახელშეკრულებო ვალდებულება). ამასთან, თითოეული დასახელებული ნიშანი თვისობრივად არ ასახავს ამ ვალდებულების არსს. ასე, მაგალითად, სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას ასევე წარმოიშვება ზიანი, ხოლო თავად შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება ასევე წარმოადგენს სამართალდარღვევას. ლეგალური დეფინიცია შესაბამისი ვალდებულებისა არის „დელიქტური ვალდებულებანი“. უნდა ითქვას ისიც, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნორმები, რომლებიც არეგულირებენ არასახელშეკრულებო ვალდებულებებს, ვრცელდება ასევე ცალკეულ ვალდებულებებზე, რომლებიც ხელშეკრულებიდან წარმოიშობა (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 527-ე მუხლმა დელიქტური ვალდებულებების მარეგულირებელ ნორმებს დაუმორჩილა ჩუქების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობა: იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებულს მიადგა ზიანი ნაჩუქარი ქონების ნაკლის გამო. თვით ზიანის მიყენების ფაქტი (კანონში მითითებული პირობების ერთობლიობით), სამართლის სპეციალური

ნორმების საფუძველზე წარმოშობს მხარეებს შორის (დაზარალებული და ზიანის მიმყენებელი) სამართლებრივ ურთიერთობას. დაზარალებული გვევლინება როგორც კრედიტორი (მას აქვს მოთხოვნის უფლება), ხოლო ზიანის მიმყენებელი – მოვალეა (ვალდებული პირი). კრედიტორი შეიძლება იყოს ყოველი ფიზიკური და იურიდიული პირი, მოვალე კი მხოლოდ დელიქტუნარიანი პირი, ე.ი. პირი, რომელიც პასუხს აგებს თავისი ქმედებისათვის. დელიქტის დროს, თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის მიმყენებლისაგან.

მართალია, 992-ე მუხლში მოქმედებით მიყენებულ ზიანზეა მითითებული, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ზიანი მხოლოდ აქტიური მოქმედებით შეიძლება მიეყენოს. ზიანი შეიძლება უმოქმედობითაც იყოს გამოწვეული. განსხვავებით მოქმედებისაგან, უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგოდ ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მოქმედების განხორციელება შედიოდა ზიანის მიმყენებლის ვალდებულებაში. უმოქმედობა გამოხატული არასათანადო აღზრდაში ან ზედამხედველობის განუხორციელებლობა მშობლების ან მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების მხრიდან საფუძველია მათთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებისა არასრულწლოვანი და სულით ავადმყოფის მიმართ მიყენებული ზიანისათვის.

ზიანი შეიძლება მიეყენოს პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან პირის ქონებას. სამართალდარღვევის მატერიალური (ეკონომიკური) შედეგი (ქონების შემცირება), რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა, სამოქალაქო სამართალში იწოდება ქონებრივ ზიანად.

სამოქალაქო სამართალში ქონებრივი ზიანი შეიძლება განისაზღვროს დაზარალებულის მატერიალური მდგომარეობით სამართალდარღვევამდე და მის შემდეგ. ქონებრივის გარდა, ზიანი შეიძლება

მორალურიც იყოს. მორალური ზიანის შინაარსია ადამიანის ფიზიკური ან სულიერი ტრავმა, რომელსაც ფულადი ეკვივალენტი არ მოეძებნება. მისი ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილი იქნას მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით (მორალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის მე-18, 413-ე და 1005-ე მუხლები). თუ მორალური ზიანი მიყენებულია ქონებრივ ზიანთან ერთად, მაშინ ორივე უნდა ანაზღაურდეს, ხოლო, თუ მხოლოდ მორალური ზიანია მიყენებული, მაშინ მისი ანაზღაურება მოხდება ქონებრივი ზიანის არ არსებობის მიუხედავად. წარმოშობის წყაროების მიხედვით, მატერიალური და მორალური ზიანი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სიკეთე, რომლის ვნებასაც ქონებრივი ზიანი მოჰყვა, შეიძლება ქონება არ იყოს, ამ ტერმინის იურიდიული გაგებით. შესაძლებელია, რომ მორალური სიკეთის ხელყოფამ გამოიწვიოს ქონებრივი ზიანი (მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად შრომისუნარიანობის დაქვეითება და შრომითი შემოსავლების შემცირება) ან პირიქით, მატერიალური სიკეთის ხელყოფას მორალური ზიანის დადგომა მოჰყვეს (მაგალითად, ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის დაზიანებით ან დაღუპვით გამოწვეული გულისტკივილი). შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც სახეზეა მორალური ზიანი, დამოუკიდებლად მატერიალური ზიანისაგან.

ამდენად, სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ზიანის ბუნება იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ რა ხასიათის იყო სიკეთე, რომელიც ხელყოფის ობიექტი (საგანი) გახდა, არამედ იმაზე, მოეპოვება თუ არა ზიანის შედეგს ბუნებრივი, ფულადი ეკვივალენტი.¹

პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდე-

¹ თ. ნინიძე "მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში". ჟურნალი "საბჭოთა სამართალი". 1978 წელი, გვ. 45.

გო მოქმედებით. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემადგენლობას („გენერალურ დელიქტს“). კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ზიანის მიმყენებელს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება ანაზღაუროს ზიანი „გენერალური დელიქტის“ არარსებობის შემთხვევაშიც, კერძოდ კი, მის მოქმედებაში ბრალის და მართლსაწინააღმდეგობის უქონლობის დროსაც.

თუ არ არსებობს ზიანი, მაშინ საერთოდ არ არსებობს დელიქტური ვალდებულება, რადგან, თუ ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება (მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედების შედეგად ზიანი არ ანაზღაურდება, რადგანაც ასეთი ქმედება ითვლება მართლზომიერად). სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს გამონაკლისს, როცა ზიანის ანაზღაურების საკითხი შეიძლება დადგეს მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანის არსებობის დროსაც – კერძოდ, უკიდურესი აუცილებლობით (იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ გარემოში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით და, თუ მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია (იხ. სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი) გამოწვეული ზიანის დროს. სისხლის სამართლის კანონისაგან განსხვავებით, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედებისათვის, სამოქალაქო კანონი, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურებას აკისრებს იმას, ვინც მოქმედებდა უკიდურესად აუცილებლობის მდგომარეობაში. საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტისას კანონი ითვალისწინებს იმას, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს ინტერესების დაცვა, რომელსაც საფრთხე ემუქრება, მიიღწევა იმ პირის ინტერესების შელახვის ხარჯზე, რომელსაც არ შეუქმნია საფრთხე.

ამიტომ, არ იქნებოდა სამართლიანი ასეთი პირისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წართმევა. ზოგჯერ პირი ზიანის მიყენებისას მოქმედებს არა თავის, არამედ სხვის ინტერესებში. ამიტომ, კანონით დადგენილია, რომ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყო ზიანი, მისი ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, რომლის ინტერესებისათვისაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ანაზღაურებისაგან, როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელიც (სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი). ზიანის მიყენების აუცილებლობა შეიძლება დადგეს ეპიდემიასთან ბრძოლის ან სხვა საგანგაშო პირობების არსებობისას. ყველა ამ შემთხვევაში საუბარია ზიანის მიყენების უფლებამოსილებაზე. ამასთან, ასეთი უფლებამოსილება ზიანის მიყენებაზე დაიშვება უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და განსხვავებით უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ზიანისათვის პასუხისმგებლობის საერთო რეჟიმისა, მთლიანად ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

არის კიდევ ერთი შემთხვევა, როცა ზიანის მიმყენებლის ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება და არ იწვევს მის პასუხისმგებლობას ზიანისათვის. საუბარია ზიანის მიყენებაზე დაზარალებულის თხოვნით ან მისი თანხმობით, იმ პირობით, თუ ზიანის მიმყენებლის ქმედება არ არღვევს საზოგადოების ზნეობრივ პრინციპებს (მაგალითად, მესაკუთრის თანხმობით სახლისათვის ცეცხლის წაქიდება არ შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერად, თუ ზიანის მიმყენებელმა იცოდა სახლის მესაკუთრის მიზნები სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შესახებ).

მაგალითად, დაიშვება ადამიანის ორგანოების ან ქსოვილების ტრანსპლანტაცია მისივე თანხმობით (იძულება არ დაიშვება). თუმცა, ეჭვს არ იწვევს, რომ ისეთი ორგანოების ამოღება, როგორცაა გული და ა.შ. გამოიწვევს დონორის სიკვდილს და არ შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერად, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურ-

რების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას. საქართველოში 2000 წლის 1 ივნისიდან მოქმედებს 2000 წლის 23 თებერვლის კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“. კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ქმედუნარიან პირს უფლება აქვს ნებაყოფლობით განაცხადოს თანხმობა ან უარი სიცოცხლეშივე ან სიკვდილის შემდეგ მისი ორგანოს აღებაზე. ამასთან, გადაწყვეტილება ფორმდება წერილობით და მას ადასტურებს სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი.

გადანერგვის მიზნით გარდაცვლილის ორგანოს აღება, როდესაც არ არსებობს სიცოცხლეში განცხადებული თანხმობა ან უარის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, შეიძლება, თუ:

ა) არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ორგანოს აღება არ ეწინააღმდეგება გარდაცვლილის რელიგიურ რწმენას, მის ეთიკურ პრინციპებს;

ბ) კანონში ჩამოთვლილ პირთაგან მოცემული რიგითობის მიხედვით უპირატესი უფლების მქონე პირი თანახმაა გარდაცვლილის ორგანოს აღებაზე.

გარდაცვლილის ორგანოს აღებაზე თანხმობის ან უარის განცხადების უფლება აქვთ შემდეგ ქმედუნარიან პირებს: ა) მეუღლეს; ბ) შვილს; გ) მშობელს; დ) შვილიშვილს, შვილიშვილისშვილს; ე) ძმას, დას; ვ) ძმისწულს; ზ) ბებიას, პაპას; თ) ბიძას, დეიდას, მამიდას; ი) ბიძაშვილს, დეიდაშვილს, მამიდაშვილს.

თანაბარი უფლების მქონე რამდენიმე ნათესავის არსებობისას, თუნდაც ერთის მიერ უარის განცხადების შემთხვევაში, გარდაცვლილის ორგანოს აღება დაუშვებელია. დასახელებულ პირებს ორგანოს აღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რიგით წინამავალი პირი (პირები) ცოცხალი არ არის ან მისგან გადაწყვეტილების მიღება გადანერგვისათვის დასაშვები დროის განმავლობაში შეუძლებელია.

ამასთანავე „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 10 დეკემბრის (ძალაშია 1997 წლის 31 დეკემბრიდან)

კანონის 151-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო პერსონალს, აგრეთვე ნებისმიერ პირს, ეკრძალება ევთანაზიის განხორციელება ან ამ უკანასკნელში მონაწილეობის მიღება. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის „3“ პუნქტით „ევთანაზია“ განმარტებულია, როგორც ავადმყოფისათვის მისივე თხოვნით დახმარების გაწევა სიცოცხლის შესაწყვეტად. ე.ი. ავადმყოფის სიკვდილის დაჩქარება მისივე თხოვნით ნებისმიერი ქმედებით ან საშუალებით, მათ შორის ხელოვნური საშუალებების გამოთვა, რომელიც უნარჩუნებს პირს სიცოცხლეს, აკრძალულია, არა მხოლოდ სამედიცინო პერსონალის, არამედ ასევე ნებისმიერი პირის მხრიდანაც. ასეთი ქმედება ჩაითვლება კანონსაწინააღმდეგოდ. საქართველოს სისხლის სამართლის 1999 წლის 22 ივლისის კოდექსის 110-ე მუხლით მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან განთავისუფლების მიზნით ისჯება. გარდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა ევთანაზიის განმახორციელებელს დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაც. მაგალითად, სარჩოს მიცემა იმ პირებისათვის, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალეობდა. ამასთან, ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურებაც, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი.

ზიანის მიყენებისას პასუხისმგებლობის შემდეგ საფუძველს წარმოადგენს ბრალის არსებობა.²

თუ ზიანის წარმოშობა, მართალსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზობრივი კავშირის არსებობა მართალსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის ატარებს ობიექტურ ხასიათს. ზიანის მიმყენებლის ბრალი ასახავს პირის მიმართებას ჩადენილ მართალსაწინააღმდეგო ქმედებას.

² იხ. დაწერილობით: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ. 370-371.

ინააღმდეგო ქმედებასთან, ე.ი. ატარებს სუბიექტურ ხასიათს.

სწორედ ქმედების სუბიექტური შეფასება განსაზღვრავს ბრალის ფორმებს: განზრახვას და გაუფრთხილებლობას. არც ძველად მოქმედი და არც დღეს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ბრალის თითოეული ფორმის შინაარსს. ამ შემთხვევაში, შესაძლებლობა გვეძლევა ვისარგებლოთ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული განსაზღვრებით:

– განზრახვია ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით.

– ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

– ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას (სსკ-ის მე-9 მუხლი).³

გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში. სამოქალაქო კოდექსი არც გაუფრთხილებლობის დეფინიციას იძლევა. გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში იყოფა უხემ და მარტივ (უბრალო) გაუფრთხილებლობად. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. მარტივი გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს შედარებით დაბალი დონით.⁴

³ იქვე, გვ 382-384.

⁴ იქვე, გვ 384-386.

განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიყენებული ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას. კანონი ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებსაც.

სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს მისთვის დამახასიათებელი ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი. ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ არ დაამტკიცებს მისი ბრალის არარსებობის ფაქტს. ამის შესაბამისადვე ხდება მტკიცების ტვირთის განაწილება დაზარალებულსა და ზიანის მიმყენებელს შორის: დაზარალებული, მიმართავს რა სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ვალდებულია დაამტკიცოს მისთვის ზიანის არსებობის ფაქტი, ასევე მიზეზობრივი კავშირის არსებობა ზიანის მიმყენებლის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ზიანის მიმყენებელმა, თავის მხრივ უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობის და ბრალის არარსებობა.

ზიანის ანაზღაურების მოვალეობა შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულმა ან ადმინისტრაციულმა გადაცდომამ, თუ მათ ვინმესათვის ზიანის მიყენება მოჰყვა. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც დგება, როცა ჩადენილია დანაშაული და მაშინაც, როცა ქმედება დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს. ამიტომ, სისხლის სამართლის საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანა ყოველთვის არ არის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი. თუ ზიანი მიყენებულია ისეთი ქმედებით, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მაშინ შეიძლება ადგილი ექნეს სანქციათა კუმულაციას – დამნაშავეს ერთდროულად დაეკისრება სისხლის სამართლის და სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ბრალის ფორმასა და ხარისხს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულის ბრალმა ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას ან გაზრდას. მხედველობაში მიიღება დაზარალებულის განზრახვა

ან გაუფრთხილებლობა. ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხი შერეული ბრალის წესებით უნდა გადაწყდეს.

დაზარალებულის განზრახვა, მიმართული ზიანის წარმოშობისაკენ გამორიცხავს ზიანის მიმყენებლის ვალდებულებას ანაზღაუროს ზიანი. უხეში გაუფრთხილებლობისას ზიანის ოდენობა უნდა შემცირდეს ან შეიძლება დაზარალებულს უარი ეთქვას ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე.

უხეში გაუფრთხილებლობის ცნება, მიუხედავად მისი არა მარტო დელიქტურ, არამედ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფარგლებში გამოყენებისა, სამოქალაქო კანონმდებლობაში გახსნილი არ არის. არ შეიძლება მისი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დადგენილი გაუფრთხილებლობის (თვითიმედოვნება ან დაუდევრობა) რომელიმე ფორმასთან გაიგივებაც. იურიდიულ ლიტერატურაში იყო და არის მცდელობები განისაზღვროს ზუსტი ნიშნები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ „უხეში გაუფრთხილებლობის“ ცნების შინაარსი.

ჩვენი აზრით, შედარებით მისაღებია ის კრიტერიუმი, რომელიც გამოყენებულია რომის სამართალში: „გაუგებრობა იმისა, რაც ყველას ესმის“. ყველას ესმის, რომ არ შეიძლება ქუჩის გადაჭრა, როცა არსებობს მიწისქვეშა გადასასვლელი და ა.შ. ამ მოთხოვნების დარღვევა, ცხადია, იქნება უხეში გაუფრთხილებლობა. ამასთან, ბუნებრივია, რომ დაზარალებულის მიერ ჩადენილი გაუფრთხილებლობისას გათვალისწინებული უნდა იქნას კონკრეტული გარემოებები. მაგალითად, უხეში გაუფრთხილებლობაა დაზარალებულის არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა, რომელმაც ხელი შეუწყო ზიანის დადგომას ან მის გაზრდას.

ასე მაგალითად, ს-მ შეიტანა სასამართლოში სარჩელი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. დადგინდა, რომ მოსარჩელე ს-ს დაეჯახა მანქანა, რომელიც ეკუთვნოდა მოპასუხეს. მძღოლის ბრალი, რომელიც დაეჯახა მოსარჩელეს, დადგინდა სასამართლოს განაჩენით. ზიანის ანაზღაურების

ოღენობის განსაზღვრისას სასამართლომ გამოიყენა შერეული ბრალის პასუხისმგებლობის პრინციპი, მიუთითა რა იმაზე, რომ ავარიის დროს ს-ი იყო არაფხიზელ მდგომარეობაში და ღამით მიდიოდა სავალ გზაზე. ზემდგომმა სასამართლომ შეცვალა აღნიშნული გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ ავარია იყო შედეგი ავტომობილის მძღოლის მიერ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევისა. სასამართლომ ცნო, რომ ს-ს ყოფნა არაფხიზელ მდგომარეობაში არ შეიძლება შეფასდეს უხეშ გაუფრთხილებლობად, რადგანაც მისმა ქმედებამ არ შეუწყო ხელი ზიანის დადგომას ან გაზრდას.

არსებობს ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც ზიანი სრულად უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა. იმ პირობა, რომელიც ვალდებულება აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი). აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს ნატურით. კერძოდ, განადგურებული ნივთის სანაცვლოდ დაზარალებულს უნდა გადაეცეს იმავე გვარისა და ხარისხის ნივთი, ან ზიანის მიმყენებლის მიერ აღდგენილი უნდა იქნას დაზიანებული ნივთი და ა.შ. თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, დაზარალებულს მიეცემა ფულადი ანაზღაურება.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, ამას სამოქალაქო კოდექსი ძირითადად პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევას უკავშირებს. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს გადასაწყვეტია. მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია უნდა განხორციელდეს „გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“. რა თქმა უნდა, ფულადი ანაზღაურება მორალური ზიანის ეკვივალენტი არ არის, მაგრამ ფულადი თანხის გადახდევინე-

ბას მორალურად დაზარალებულის სასარგებლოდ მაინც განსაზღვრული დაკმაყოფილების მნიშვნელობა აქვს.

ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს სავალდებულო პირობას დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის და გამოიხატება იმაში, რომ: ა) პირველი უსწრებს მეორეს დროში; ბ) პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო პირდაპირი (და არა ირიბი) და გარდაუვალი (არა შემთხვევითი) შედეგი ზიანის მიმყენებლის მოქმედებისა (უმოქმედობისა).

მაგალითად, 3-მ სარჩელი აღძრა საგზაო-სარემონტო დაწესებულების, ავტოსატრანსპორტო დაწესებულებისა და შპს „ფრენის“ წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მას მაიდაგა შპს. „ფრენის“ კუთვნილი ავტომანქანის ავტოსატრანსპორტო დაწესებულების კუთვნილ ავტობუსთან შეჯახების შედეგად, რომელშიც იგი იმყოფებოდა. სასამართლომ მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა დააკისრა საგზაო-სატრანსპორტო დაწესებულებას იმ მოტივით, რომ სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებმა, რომლებიც ერთმანეთს დაეჯახნენ, არ ჩაიდინეს არანაირი დარღვევა, და შეჯახება მოხდა გზის არასათანადო მდგომარეობის გამო, რომელიც ავტოსატრანსპორტო დაწესებულების მიერ ჩატარებული რემონტის შედეგად აღმოჩნდა მსგავს მდგომარეობაში. შემდგომში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ შეცვლილ იქნა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი პირდაპირ კავშირში იყო სატრანსპორტო საშუალებების მომხდარ შეჯახებასთან, რომელთა მფლობელებიც ვალდებულნი არიან ზიანი ანაზღაურონ.

მუხლი 999. ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების შედეგები

1. პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლად ავრცელებს ან ახმაურებს სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტან ფაქტებს, ვალდებულია აანაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი, თუ ეს ფაქტები ამკარად არასწორია.

2. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა ისეთი გამონათქვამებისას, რომლებიც ემსახურება კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას.

საკომენტარო მუხლი ეხება ზიანის მომტანი ფაქტების გავრცელების ან გახმაურების შემთხვევებს. კერძოდ, თუ სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გავრცელებამ ან გახმაურებამ გამოიწვია ზიანი, პირი ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედების გამო დამღვარი ზიანი. ამასთან, სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გამხმაურებელი ან გამავრცელებელი უნდა მოქმედებდეს განზრახ ან გაუფრთხილებლად. გარდა ამისა, სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტები უნდა იყოს ამკარად არასწორი, რათა წარმოშობილი ზიანისათვის ზიანის მომყენებელს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისროს.

გათვალისწინებულია ისეთი ვალდებულება, როცა გამონათქვამების გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება. კერძოდ, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა ისეთი გამონათქვამებისას, რომლებიც ემსახურება კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას.

*მუხლი 994. არასრულწლოვანის პასუხისმგებლობა მი-
ყენებული ზიანისათვის*

1. ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ აგებს პასუხს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა.

2. მშობლები ან ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მეთვა-
ლყურებაზე ვალდებული სხვა პირები მოვალენი არიან აანაზღაუ-
რონ ზიანი, რომელიც ამ პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით
მიაყენა სხვას. მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როცა მეთვა-
ლყურებაზე ვალდებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან
აცილება.

3. ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი, პირი
პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა
იმ შემთხვევებისა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავი-
სი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ
პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული
ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებით პასუხისმგებლობა ეკისრე-
ბათ მის წარმომადგენლებსაც.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაე-
კისროს მხოლოდ ქმედუნარიან ფიზიკურ პირს, რომელსაც თავისი
მოქმედებით შეუძლია შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო
უფლებები, იკისროს სამოქალაქო მოვალეობების შესრულება და
პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედების შედეგებისათვის. კანონით
დადგენილია, რომ პირი ქმედუნარიანობას იძენს 18 წლის (სრულ-
წლოვანების) მიღწევის მომენტიდან. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებ-
ში პირი იძენს ქმედუნარიანობას სრულწლოვანების მიღწევამდეც.
ეს შემთხვევებია: დაქორწინება და ემანსიპაცია.

სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით, შვიდ წლამდე
ასაკის არასრულწლოვანი ქმედუნაროა, ხოლო 7-18 წლამდე არას-
რულწლოვანი – შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე. არასრულწ-

ლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხს კანონი განსხვავებულად წყვეტს იმის მიხედვით, თუ რა ასაკის მქონე პირის მიერაა ზიანი მიყენებული: ათი წლის ასაკს მიუღწეველი, თუ ათიდან თვრამეტ წლამდე ასაკის მქონე პირის მიერ.

ათი წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანი პასუხს არ აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ათ წლამდე ასაკის არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს არავენ არ აგებს. ასეთი პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას კანონი მშობლებს ან მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს აკისრებს. მშობლების გარდა მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები შეიძლება იყვნენ მეურვე (მზრუნველი, თუ ბავშვი შვიდ წელზე მეტი ასაკისაა), აღმზრდელითი, სასწავლო, სამკურნალო დაწესებულებები, საბავშვო სახლები და სხვა ანალოგური დაწესებულებები, რომლებიც ვალდებულნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ბავშვებს. მშობლები და მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები ზიანისათვის დამოუკიდებლად აგებენ პასუხს და არა სხვისი ბრალისათვის, მაგრამ მხოლოდ იმ ზიანისათვის, რომელიც ათი წლის ასაკის მიუღწეველმა პირმა მართლსაწინააღმდეგო ზარალი მიაყენა სხვას. ამასთან, მშობლების და მეურვის (მზრუნველის) პასუხისმგებლობის პირობები უფრო ფართოა, ვიდრე მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირებისა. მშობლის და მეურვის (მზრუნველის) ბრალი გამოიხატება როგორც იმაში, რომ მათ ზედამხედველობის გარეშე დატოვეს ბავშვი ზიანის მიყენების მომენტში, ასევე შვილების (სამეურვეო პირების) ცუდად აღზრდაში, რასაც მოჰყვა ბავშვის ისეთი ქცევა, რომელმაც ზიანი მიაყენა სხვას. მიუხედავად იმისა, მშობლები ერთად ცხოვრობენ თუ არა, არასრულწლოვანებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე მშობელს, რადგანაც როგორც ერთი, ისე მეორე ატარებს ვალდებულებას მათი ბავშვის მიმართ. მშობლები პასუხს აგებენ თანაბარი წილობრივი მონაწილეობის პრინციპით. თუმცა, მშობელი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისა-

გან, თუ მეორე მშობლის ბრალით იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას მიეღო მონაწილეობა ბავშვის აღზრდაში. მშობელი, რომელსაც მშობლის უფლება ჩამოერთვა, აღარ მონაწილეობს შვილის აღზრდაში. ამიტომ მას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ბავშვის მიერ ზიანის მიყენებისათვის. მეთვალყურეობაზე სხვა პირების ბრალი კი გამოიხატება ზიანის მიყენების მომენტში ბავშვისათვის ზედამხედველობის გაწვევის მიუღწევლობაში, (მიზანშეწონილი იქნება ზოგიერთი დაწესებულების, მაგალითად საბავშვო სახლის, რომელშიც ბავშვი იზრდება, პასუხისმგებლობის პირობები გაუთანაბრდეს მშობლის ან მეურვის პასუხისმგებლობის პირობებს). შესაძლოა თანა-პასუხისმგებლობა კანონიერი წარმომადგენლებისა და იმ პირებისა, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას ბავშვზე, რა თქმა უნდა, თუ დამტკიცდება, რომ ზიანის მიყენებას ადგილი ჰქონდა როგორც კანონიერი წარმომადგენლის ბრალით, ისე იმ პირთა ბრალით, რომლებიც ახორციელებდნენ ზედამხედველობას მასზე. ამ შემთხვევაში, ზიანი ანაზღაურდება წილობრივი პასუხისმგებლობის პრინციპით თითოეულის ბრალის გათვალისწინებით. ასე, მაგალითად, ერთ საქმეზე დადგინდა, რომ მოწაფეებმა ს-მ და ნ-მ კლასში ორგანიზება გაუკეთეს თამაშს: საკლასო დაფაზე ისროდნენ ფანქარზე გაკეთებულ ნემსებს. ნ-ს მიერ ნასროლი ერთ-ერთი ნემსი მოხვდა იმავე კლასის მოსწავლე მ-ს თვალში, რამაც გამოიწვია თვალის დაკარგვა და დაზარალებულის ხანგრძლივი მკურნალობა. მ-ს მამამ მიმართა სასამართლოს სარჩელით ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომელიც დახარჯა შვილის მკურნალობაზე. დააკისრა რა პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე როგორც სკოლას, ისე ნ-ს მშობლებს სასამართლომ მის გადაწყვეტილებას შემდეგი სახის მოტივირება მისცა: კლასის ხელმძღვანელმა არ განახორციელა სათანადო მეთვალყურეობა სკოლაში მოსწავლეთა ქცევაზე, ხოლო მშობლებმა ცუდად აღზარდეს მათი შვილი. აღნიშნულ პირთა პასუხისმგებლობა, ეს არის პასუხისმგებლობა საკუთარი ბრალისათვის. ამიტომ, მათი ვალდებულება ზიანის ანაზღაუ-

რებაზე, რომელიც არასრულწლოვანმა ჩაიდინა, არ წყდება არასრულწლოვანის მიერ ქმედუნარიანობის დადგომასთან ერთად. ამავე საფუძველთვე ისინი მოკლებულნი არიან რეგრესიული მოთხოვნის უფლებას არასრულწლოვანისადმი, რომელმაც მიაყენა ზიანი ქმედუნარიანობის მიღწევის შემდეგ.

მშობლების ან მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირების პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ მათ არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება (მაგალითად, მძიმე ავადმყოფობის გამო და სხვ.).

სხვა საწყისებზეა აგებული პასუხისმგებლობა ათიდან თერამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის. ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. ამასთან, კანონი ითვალისწინებს არასრულწლოვანის ქონებრივ მდგომარეობას და ადგენს, რომ თუ მას არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებითი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც (მშობლებს, მზრუნველებს). მაშასადამე, ათიდან თერამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანებისათვის დადგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობა. კანონიერი წარმომადგენელი პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე მხოლოდ ზიანის იმ ნაწილში, რომლის ანაზღაურებაც არასრულწლოვანს არ შეუძლია თავისი ქონებით ან შემოსავლით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანონიერი წარმომადგენლების დამატებითი (სუბსიდიური) პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის მთლიანად (როცა არასრულწლოვანს საერთოდ არ შეუძლია ზიანის ანაზღაურება) ან ნაწილის (როცა არასრულწლოვანის ქონება ან შემოსავალი არ არის საკმარისი ანაზღაურებისათვის) ანაზღაურებაში.

არასრულწლოვანი და მისი წარმომადგენლები არ არიან სავალდებულო მოვალეები. დაზარალებულს არ შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს დაზარალებულის წარმომადგენელს, თვით დაზარალებულის გვერდის ავლით.

დამატებითი პასუხისმგებლობა შეწყდება ზიანის მიმყენებლის

სრულწლოვანების ასაკის მიღწევიდან, ასევე მაშინ, თუ არასრულწლოვანს სრულწლოვანების ასაკამდე გაუჩნდა ქონება, რომელიც საკმარისია ზიანის ასანაზღაურებლად.

იბადება კითხვა: თუ არასრულწლოვანი 18 წლამდე დაქორწინდება ან ემანსიპაციის წესით გახდა ქმედუნარიანი, ხდება თუ არა იგი დამოუკიდებელი და მის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელი ერთადერთი სუბიექტი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის მე-3 პუნქტი ყურადღებას ამახვილებს ასაკზე. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა პირი ქმედუნარიანი გახდა 18 წლის ასაკამდე დაქორწინების გამო, იგი სრულად აგებს პასუხს მის მიერ მიყენებული ზიანისათვის. კანონიერ წარმომადგენლებს სუბსიდიური პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ. რაც შეეხება 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ემანსიპაციის შემთხვევებს, უნდა ითქვას, რომ 16 წლიდან ემანსიპირებული პირი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის სფეროს ურთიერთობებში, შესაბამისად, ამ სფეროსათვის ჩვეულებრივი ურთიერთობის ფარგლებში მიყენებული ზიანისათვის იგი თავად აგებს პასუხს. კანონიერი წარმომადგენლის სუბსიდიური პასუხისმგებლობის პრინციპი არც ამ შემთხვევაში გამოიყენება.

ამ შემთხვევაშიც მშობლების დამატებითი პასუხისმგებლობა წარმოადგენს დამატებით პასუხისმგებლობას საკუთარი ბრალის გამო. ამიტომ, ისინი მოკლებულნი არიან უფლებას მოითხოვონ რეგრესის წესით თანხის ანაზღაურება ზიანის უშუალო მიმყენებლისაგან.

ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს არ აგებს ზიანის მიყენებისათვის, თუ ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო მოქმედების მნიშვნელობა გაეგო.

*მუხლი 995. სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანის
ანაზღაურება*

1. თუ ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფი პირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენებს ზიანს სხვა პირს, მას არ ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

2. თუ პირს ეკისრება მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეუძლებელი იყო ამ ზიანის თავიდან აცილება.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრება ჭკუასუსტ ან სულით ავადმყოფ პირს, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენა ზიანი სხვა პირს. ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო პირის მიჩნევა ქმედუნაროდ მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. არც ერთი სხვა სახელმწიფო ორგანო არ არის უფლებამოსილი ცნოს პირი ქმედუნაროდ, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისთავად ავადმყოფობის ფაქტი, თუნდაც სამედიცინო დაწესებულების მიერ დადასტურებული, არ არის საკმარისი პირის მიჩნევისათვის ქმედუნაროდ. კანონი არ მოითხოვს, რომ ასეთი პირი ზიანის მიყენების მომენტისათვის სასამართლოს მიერ ცნობილი იყოს ქმედუნაროდ. შეიძლება ზიანის მიყენების მომენტისათვის პირი არ იყოს ცნობილი ქმედუნაროდ, მაგრამ საკმარისია იმ ფაქტის არსებობა, რომ პირი ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფია.

ჭკუასუსტის ან სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ პირმა, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე. მეთვალყურეობაზე ვალდებული პირი შეიძლება იყოს მეურვე (თუ ზიანის მიმყენებელი სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ იყო ცნობილი და დანიშნული ყავდა მეურვე), მშობელი (თუ მეურვე დანიშნული არ იყო, მაგრამ ზიანის მიმყენებელი არასრულწლოვანია), დაწესებულება, რომელსაც ევალებოდა მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე.

მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების ბრალი გამოიხატება ჭკუასუსტზე ან სულით ავადმყოფზე ზედამხედველობის განხორციელების ვალდებულების უგულებელყოფაში. მათი ვალდებულება ზიანის ანაზღაურებისა არ წყდება ზიანის მიმყენებლის ქმედუნარიანად გახდომის ან უბრალოდ განკურნების, ასევე პირის მიერ ზიანის ასანაზღაურებლად სახსრების მოპოვების შემთხვევებშიც კი. შესაბამისად, მათ არა აქვთ რეგრესის უფლება ამ უკანასკნელთა მიმართ. ამასთან, თუ სულით ავადმყოფზე ან ჭკუასუსტზე ზედამხედველობას ახორციელებს ორგანიზაცია (უფრო ხშირად ასეთად გამოდის სამკურნალო დაწესებულებები, რომლებშიც მოთავსებულია სულით ავადმყოფი), იგი პასუხისმგებელია მისი მუშაკების ისეთ ბრალეულ ქმედებაზე, რომელიც ჩადენილი იყო მათი შრომითი (სამსახურებრივი) ვალდებულების შესრულებისას. უნდა ითქვას, რომ მეთვალყურეობაზე ვალდებული პირი ვალდებულია აანაზღაუროს სამეთვალყურეო პირის მიერ მიყენებული ზიანი იმ შემთხვევაშიც, როცა სამეთვალყურეო პირს საკმაო სახსრები გააჩნია.

პირი, რომელსაც ეკისრება მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე, არ არის ვალდებული აანაზღაუროს ზიანი იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელი იყო ამ ზიანის თავიდან აცილება.

სრულწლოვანი პირი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველი, შეზღუდულ ქმედუნარიანად ითვლება და თავის ქმედუნარიანობაში უთანაბრდება არასრულწლოვანს. ამიტომ ასეთი პირის მიერ სხვა პირისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, უნდა გამოვიყენოთ ის წესები, რომლებიც მოქმედებენ ათიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში.

მუხლი 996. დროებითი სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირი პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისათვის. თუ პირმა

თვითონ ჩაიყენა თავი ასეთ მდგომარეობაში ალკოჰოლური სასმელის ან მსგავსი საშუალებების გამოყენებით, იგი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბრალის გარეშე აღმოჩნდა ამ მდგომარეობაში.

კანონის მიერ სპეციალურად რეგულირებულ ერთ-ერთ საკითხს მიეკუთვნება დროებითი სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულ შემთხვევაში, ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობა არ ეკისრება ზიანის მიმყენებელს, რომელიც თუმცა ქმედუნარიანია, მაგრამ ზიანის მიყენების მომენტში იმყოფებოდა ისეთ მდგომარეობაში, რომ არ შეეძლო გაეგო თავისი ქმედების მნიშვნელობა და გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი შედეგი. იმის მიხედვით, თუ რამ გამოიწვია პირის ასეთი მდგომარეობა, წყდება მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხი. თუ პირმა თვითონ ჩაიყენა თავი ასეთ მდგომარეობაში ალკოჰოლური სასმელის, ნარკოტიკული ნივთიერებების ან მსგავსი საშუალებების გამოყენებით, იგი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის ზოგადი საფუძვლებით. ამდენად, პირის მიერ ზიანის მიყენება, როცა იგი იმყოფებოდა ისეთ მდგომარეობაში, რომ არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედებების მნიშვნელობა, არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

არც თუ ისე იშვიათად მოქალაქეებს არ შეუძლიათ უხელმძღვანელონ საკუთარ მოქმედებებს ფსიქიკური ავადმყოფობის გამო. აღნიშნული სახის მოქალაქეთა მიმართ არ დგება საკითხი მათი ქმედუნაროდ აღიარების და მათთვის მეურვის დანიშვნის თაობაზე, რომელიც განახორციელებდა მეთვალყურეობას და იკისრებდა პასუხისმგებლობას ასეთი პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის. დაზარალებულთა ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა ასეთი პირების მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაკისრებოდათ ფსიქიკურად გაუწონასწორებელი პირის მეუღლეს, მშობლებს ანდა სრულწლოვან შვილებს,

რომლებმაც იცოდნენ პირის ფსიქიკური მოშლილობის შესახებ და არ დააყენეს საკითხი მისი ქმედუნაროდ აღიარების თაობაზე.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა პირმა თვითონ ჩაიყენა თავი ღროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში ალკოჰოლური სასმელების ან სხვა მსგავსი ნივთიერებების გამოყენებით, მაგრამ საკუთარი ბრალის გარეშე. ასეთ შემთხვევაში ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობა გამორიცხულია (მაგალითად, თუ ასეთი მდგომარეობა გამოიწვია ექიმის მიერ დანიშნული წამლის მიღებამ და ა.შ.).

მუხლი 997. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში სას მიყენებელი ზიანის ანაზღაურება

პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.

კანონი ზიანის ანაზღაურებას აკისრებს პირს, რომლის მუშაკიც თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანს მიაყენებს მესამე პირს. მესამე პირია ნებისმიერი სხვა პირი. მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ეს პირი სამუშაოს მიმცემის მუშაკს თუ არა, რომელსაც მიადგა ზიანი სამუშაოს მიმცემის მუშაკის გამო. პირი, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანი, შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი (სამუშაოს მიმცემი).

მუშაკის მიერ მისი შრომითი (სამსახურებრივი) ვალდებულების შესრულებაში გაგებული უნდა იქნას სამუშაოს შესრულება, რომელიც გამომდინარეობს როგორც შრომითი ხელშეკრულებიდან, ისე შრომითი ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ განხორციელებული ქმედებიდანაც, თუ იგი სამუშაოს მიმცემის (იურიდიული ან

ფიზიკური პირის) მიერ იქნა დავალებული „სამუშაოს პროცესთან“ დაკავშირებული საწარმოო ან სხვა საჭიროების გამო. „მუშაკად“ მიიჩნევა არა მხოლოდ ის პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე, არამედ ისიც, რომელიც ასრულებს სამუშაოს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს იმ პირობის არსებობისას, თუ ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა ან უნდა ემოქმედა შესაბამისი იურიდიული ან ფიზიკური პირის დავალების (მითითების) საფუძველზე ანდა მისი მეთვალყურეობის (კონტროლის) ქვეშ. იურიდიულ პირებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კორპორაციულად ჩამოყალიბებულ ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ თავის საქმიანობას წევრების საშუალებით, მათთან ყოველგვარი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე. ამ შემთხვევაში, იგულისხმება კომანდითური საზოგადოებები, კოოპერატივები და ა.შ.

რამდენადაც იურიდიული პირის საქმიანობა წარმოადგენს მისი წევრების საქმიანობას, მისი პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ წევრის (მუშაკის) მოქმედებაში არის სამოქალაქო სამართალდარღვევის ყველა ელემენტი, რაც აუცილებელია დელიქტური ვალდებულების წარმოშობისათვის: მიზეზობრივი კავშირი, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

მუშაკის მიერ შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას შესაძებ პირისათვის ზიანის მიყენებისათვის სამუშაოს მიმცემი – ფიზიკური ან იურიდიული პირი პასუხს აგებს თავისი, და არა სხვისი ბრალისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში, მუშაკის მოქმედება შეფასებული უნდა იქნას, როგორც თვით სამუშაოს მიმცემის მოქმედება. ამასთან, სამუშაოს მიმცემი პასუხს არ აგებს, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე. სამუშაოს მიმცემის ბრალი მოიცავს არა მხოლოდ მისი ორგანოების, არამედ ნებისმიერი მისი მუშაკის ბრალეულ ქმედებას, იმ პირობით, თუ ეს ბრალეული ქმედება ჩადენილია შრომითი (სამსახურებრივი) ვალდებულების

შესრულების გამო. ე.ი. მოცემულ ნორმაში საუბარია ორ გარემოებაზე, რომლებიც ქმნიან მისი გამოყენების პირობას: პირველი მათგანი ეხება ქმედების სუბიექტს (სამუშაოს მიმცემის მუშაკი), მეორე – ქმედების ხასიათს (მისი შრომითი, სამსახურებრივი ვალდებულების შესრულება).

ჯერ კიდევ 1949 წელს ს. ნ. ბრატუსმა წამოაყენა კონცეფცია იურიდიული პირის პასუხისმგებლობისა მისი მუშაკების ქმედების გამო, როგორც საკუთარი ქმედება და საკუთარი ბრალი.⁵

დავის წარმოშობის შემთხვევაში, მოპასუხედ მოცემულ შემთხვევაში, გამოვა პასუხისმგებელი პირი, ხოლო ზიანის უშუალო მიყენებელი – მუშაკი ჩართული იქნება საქმეში, როგორც მესამე პირი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ორგანიზაციის მუშაკის მიერ ორგანიზაციის შენობაში, მის ტერიტორიაზე ან სამუშაოს სხვა ადგილას სამუშაო საათებში ჩადენილი ქმედება არის ისეთი ქმედება, რომელიც შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას არის განხორციელებული, მიუხედავად იმისა, რომ ზიანის მიყენების მომენტში მუშაკი არც კი იყო უშუალოდ სამუშაოთი დაკავებული, რომლის შესასრულებლადაც იგი იყო შენობაში ან ორგანიზაციის ტერიტორიაზე. თუმცაღა, ორგანიზაცია არ არის მოკლებული უფლებას ამტკიცოს, რომ, მიუხედავად მისი მუშაკის შენობაში ან მის ტერიტორიაზე ყოფნის ფაქტისა სამუშაო საათებში, მუშაკმა ზიანი მიაყენა ისეთი ქმედებით, რომელიც მის შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის (განზრახ მიაყენა ზიანი სხვა პირს აფექტის მდგომარეობაში) შესრულებასთან არანაირად არ იყო დაკავშირებული.

1997-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაზარალებული უფლებამოსილი არაა უშუალოდ მუშაკისადმი წარადგინოს მოთხოვნა მის

Братусь. С.Н. Некоторые вопросы учения о субъектах права (журн. Советское государство и право, 1949, №11, с 78)

მიერ განცდილი ზიანის ანაზღაურების თაობაზე. თავისი მოთხოვნა დაზარალებულს შეუძლია წაუყენოს შესაბამის ორგანიზაციას, რომელიც მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში უფლებამოსილია თავის მხრივ მუშაკს რეგრესის წესით მოსთხოვოს მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მუშაკის მიერ მიყენებული ზიანისათვის, თუნდაც სამუშაოს მიმცემის ბრალით, მაგრამ არა შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას პასუხისმგებელია თავად მუშაკი და არა სამუშაოს მიმცემი.

მუხლი 998. სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის

1. თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები.

2. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით.

ზიანი შეიძლება იყოს როგორც ერთი, ისე ერთობლივად მოქმედი ორი ან რამდენიმე მოქმედების შედეგი. ზიანი, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია ერთობლივად მოქმედ ზიანის მიმყენებელთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან, ითვლება ერთობლივად მიყენებულ ზიანად. არ არის სავალდებულო, რომ ზიანის მიმყენებლები მოქმედებდნენ ერთდროულად. ამასთან, არც ის არის სავალდებულო, რომ ზიანის მიმყენებლები მოქმედებდნენ შეთანხმების საფუძველზე და თითუღმა მათგანმა იცოდეს სხვა პირის მოქმედების შესახებ.

ზიანი წარმოიშობა მიმყენებელთა როგორც გაუფრთხილებელი, ისე განზრახვი მოქმედების შედეგად.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც კანონით არ არის აუცილებელი ბრალის არსებობა ერთი პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის დადგომისათვის, იგი არ არის აუცილებელი

აგრეთვე იმ პირისათვის, რომელიც მონაწილეობდა სხვა პირებთან ერთად ზიანის დადგომაში. ამდენად, შეიძლება ისეთი შემთხვევის არსებობა, როცა ზიანის დადგომაში მონაწილე ერთ-ერთ პირს საერთოდ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ იგი მოქმედებდა ბრალის გარეშე, როდესაც ზიანის დადგომაში მონაწილე სხვა პირები სრულად აგებენ პასუხს მიყენებული ზიანისათვის ბრალეული მოქმედების საფუძველზე. სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის შეიძლება დადგეს ბრალის არარსებობის შემთხვევაშიც. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის მაგალითია საკაერო ზომალდების შეჯახება, რომლის დროსაც მგზავრებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება იმ გადამზიდველს, რომელთანაც მგზავრები გადაზიდვის ხელშეკრულებით იყვნენ დაკავშირებულნი.

თუ ზიანის მიყენებაში რამდენიმე პირი მონაწილეობს, მაშინ ისინი დაზარალებულის წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. პირთა მიერ ერთობლივად მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სოლიდარული ხასიათი იმით აიხსნება, რომ მათ მიერ განხორციელებული ზიანის მომტანი ქმედებანი განუყოფელია. „ერთობლივად ზიანის მიყენებაში“ იგულისხმება ორი ან რამდენიმე პირის ქმედება, რომელსაც გააჩნია მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგთან.

ერთობლივად მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა პირს, ვინც მონაწილეობდა ზიანის დადგომაში. დაზარალებულს შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს ნებისმიერი ზიანის მიმყენებლისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ. ზიანის მიმყენებელს, რომელმაც მთლიანად აუნაზღაურა დაზარალებულს ზიანი, გააჩნია რეგრესული მოთხოვნის უფლება დანარჩენი ზიანის მიმყენებლის მიმართ, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურებაში. რეგრესული მოთხოვნის უფლების საფუძველზე, ზიანის მიმყენებელს, რომელმაც სრულად აუნაზღაურა ზიანი დაზარალებულს, უფლება აქვს თითოეული ზიანის

მიმყენებლისაგან მოითხოვოს დაზარალებულისათვის გადახდილი ანაზღაურება წილთა თანაფარდობის საფუძველზე. ზიანის მიმყენებელზე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება ყოველთვის არ ხორციელდება წილთა თანაფარდობის პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაშია მისაღები თითოეული ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი. მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმის გარემოებათა მიხედვით შეუძლებელია განისაზღვროს ზიანის მიმყენებელთა ბრალის ხარისხი ანდა თითოეულის ბრალი თანაბარია, პასუხისმგებლობა დგება წილთა თანაფარდობის მიხედვით.

რამდენიმე არასრულწლოვანის მიერ ერთობლივად ზიანის მიყენების შემთხვევაში, რომლებიც სხვადასხვა მშობლების შვილები არიან, მშობელთა ან მზრუნველთა პასუხისმგებლობას დაზარალებულის წინაშე ექნება წილობრივი ხასიათი.

იმ შემთხვევებში, თუ ზიანი მიყენებულ იქნა მშობლისა და არასრულწლოვანი შვილის მიერ ერთობლივად, გარემოებათა ობიექტური შეფასების საფუძველზე ადგილი ექნება სოლიდარული და სუბსიდიური პასუხისმგებლობის ფორმათა კუმულაციას.

კანონი, ზიანის უშუალოდ მიმყენებელთან ერთად ითვალისწინებს იმ პირის პასუხისმგებლობასაც, ვინც ზიანის უშუალოდ მიმყენებელი დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით.

მუხლი 999. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დაზარალებული ზიანის ანაზღაურება

1. მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისას გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახინჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოსობილი ზიანი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა:

ა) ზიანდება გადასაზიდი ტვირთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მგზავრს ეს ტვირთი თან მიაქვს;

ბ) ზიანდება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ შესანახად მიღებული ნივთი;

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი წარმოიშვა საავიაციო ტრანსპორტის ექსპლოატაციის დროს.

4. თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი. ამასთან მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან.

სატრანსპორტო საშუალების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ პასუხისმგებლობა ზიანისათვის ყოველთვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც კანონიერი საფუძვლებით ფლობს სატრანსპორტო საშუალებას (მესაკუთრე, დამქირავებელი და სხვ.). თავის მხრივ, პირი, რომელმაც ზიანი აუნაზღაურა დაზარალებულს, უფლებამოსილია ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე წაუყენოს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებ-

ის შესახებ გამჭირავებელს, თუ ზიანის წარმოშობაში მას მიუძღვის ბრალი (მაგალითად, დამჭირავებლისათვის ავტომანქანის გადაცემა გაუმართავ მდგომარეობაში). სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩაითვლება ფიზიკური პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან შრომის ურთიერთობის საფუძველზე (მძღოლები, მემანქანეები, მფრინავეები და სხვ.). ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა დროს მიაყენა ზიანი – სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, თუ სატრანსპორტო საშუალების თვითნებურად, თავისი პირადი მიზნებისათვის გამოყენებისას. კანონით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, თუ ზიანი მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციას. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ზიანი მიყენებული უნდა იქნას სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის დროს.

კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს არ დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. კერძოდ, როცა:

ა) ზიანდება გადასაზიდი ტვირთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მგზავრს ტვირთი თან მიჰქვს (ტვირთის დაზიანების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხი წყდება გადაზიდვის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებით);

ბ) ზიანდება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ შესანახად მიღებული ტვირთი (სატრანსპორტო საშუალების მფლობელმა შეიძლება ტვირთი შესანახად მიიღოს სხვადასხვა საფუძვლით. მაგალითად, თუ ტვირთის დანიშნულების ადგილზე მისვლის შემდეგ წარმოიშვა ტვირთის გადაცემის ხელშემშლელი გარემოებები, გადამზიდველს შეუძლია სასწრაფოდ გადმოტვირთოს ტვირთი, რის შემდეგაც უნდა შეინახოს იგი უფლებამოსილი პირისათვის. როცა სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შესანახად იღებს ტვირთს, წარმოიშობა მიბარების ურთიერთობა, რაც მიბარების ხელშეკრულების წესებით უნდა მოწესრიგდეს).

გ) ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი წარმოიშვა საავიაციო ტრანსპორტის ექსპლოატაციის დროს. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი მაშინაც, როცა ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის. იგი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება მხოლოდ მაშინ, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით. უფრო ზშირად დაუძლეველ ძალად გვევლინება სტიქიური უბედურებანი (მაგალითად, წყალდიდობა, მიწისძვრა და ა.შ.). დაუძლეველ ძალად შეიძლება მოგვევლინოს სხვა ობიექტური ფაქტორებიც. საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა მოცემული მოვლენა დაუძლეველ ძალას, წყდება ადგილისა და დროის კონკრეტული პირობის გათვალისწინებით. ერთ გარემოებაში ერთი მოვლენა შეიძლება დაუძლეველ ძალად ჩაითვალოს, ხოლო სხვა შემთხვევაში არა.

მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისას ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის წესს გააჩნია გამონაკლისიც. იგი ეხება ზიანის მიყენების შემთხვევებს მომეტებული საფრთხის წყაროთა ურთიერთმოქმედებისას (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებების შეჯახებისას). ასეთ სიტუაციაში აუცილებელია განისაზღვროს, თუ ვის მიაღდა ზიანი. თუ დაზარალებულის სახით გამოდის მესამე პირები (ფეხით მოსიარულენი, მგზავრები და ა.შ.), პასუხისმგებლობა ეკისრება შეჯახებული სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს სოლიდარული პასუხისმგებლობის წესით, მიუხედავად იმისა, თუ ვისი ბრალით მოხდა შეჯახება.

მაგალითად, სატვირთო ავტომანქანის, რომელიც ეკუთვნოდა ა-ს, და კ-ს კუთვნილი მსუბუქი ავტომანქანის შეჯახებისას, დაიღუპა მგზავრი. ძიებით დადგინდა, რომ შეჯახება მოხდა კ-ს ბრალით. ერთ-ერთი დაღუპულის მგზავრის მეუღლემ წარადგინა სარჩელი ა-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მარჩენალის დაღუპვასთან დაკავშირებით, რადგანაც მისი დაღუპული ქმრის კმაყოფაზე იყო ორი მცირეწლოვანი ბავშვი. საქმეში მონაწილეობის მისაღე-

ბად, როგორც მეორე მოპასუხე, იყო ჩართული დაღუპული კ-ს მეუღლე, რომელმაც, როგორც მემკვიდრემ, პასუხი უნდა აგოს დაღუპული ქმრის ვალებზე მასზე გადაცემული მემკვიდრეობის ფარგლებში.

ა. არ დაეთანხმა წაყენებულ მოთხოვნებს, მიუთითა რა იმაზე, რომ მისი, როგორც მძღოლის, ბრალი შეჯახებაში და შესაბამისად, ზიანის მიყენებაში არ იყო. სასამართლომ, მიუხედავად ა-ს მოსაზრებისა, ზიანის ანაზღაურება დააკისრა როგორც დაღუპული კ-ს მეუღლეს, ისე ა-ს სოლიდარული წესით.

თუკი შეჯახების შედეგად ზიანი მიადგა თავად სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, პასუხისმგებლობა დაეკისრება ზიანის ბრალეულ მიმყენებელს. შემთხვევითი შეჯახებისას, ე.ი. თუ არავინ არ არის დამნაშავე, თითოეული თავად იქნება ასეთი შეჯახების შედეგის მატარებელი, (არც ერთ მფლობელს არ აქვს უფლება მეორის ხარჯზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა). კოდექსი არაფერს ამბობს დაზარალებულის ბრალით დამდგარი ზიანის გამო მიმყენებლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებაზე, მაგრამ საპაერო კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, თუ გადამყვან-გადამზიდველი დაამტკიცებს, რომ მგზავრის გარდაცვალება ან ჯანმრთელობის სხვადასხვაგვარი მოშლა გამოწვეულია თვით დაზარალებულის მიზეზით, იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

სატრანსპორტო საშუალების ფაქტობრივი მფლობელობა შეიძლება განაზორციელოს პირმა, რომელსაც ამისათვის არა აქვს სათანადო სამართლებრივი საფუძველი (არაკანონიერი მფლობელი). მაგალითად, როცა პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე (სატრანსპორტო საშუალება გამოვიდა მისი მფლობელობიდან სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით — სატრანსპორტო საშუალების გატაცებით და სხვა) პირი, რომელიც სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, ვალდებულია მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კანონმდე-

ბლობის პასუხისმგებლობის სუბიექტის განსაზღვრა ეფუძნება იურიდიულ და არა ფიზიკურ მფლობელს.

მუხლი 1000. პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხის შემთხვევაში

1. თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ ნაგებობაში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერჯისაგან, ანდა ხანძარსაში ან აფეთქებასაში, შხამიანი ანდა მომწამვლელი ნივთიერებისაგან, მაშინ ამ ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, თუკი ამ საფრთხის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება ან ნივთის დაზიანება, აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. იგივე პასუხისმგებლობა გამოიყენება ხანძარსაში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერების მფლობელების მიმართ, როცა ამ ნივთიერებებიდან მომეტებული საფრთხე გამომდინარეობს.

2. თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან ან ნივთებიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე სხვაგვარი საფუძველით, ვიდრე ამ მუხლის პირველ ნაწილშია აღნიშნული, ნაგებობის ან ნივთის მფლობელი ვალდებულია ანაზღაუროს ანაზღაუროს საფრთხის განხორციელების შედეგად წარმოშობილი ზიანი.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი გამოწვეულია ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი მოწყობილობების დაზიანებით.

4. რადიაციული ნივთიერების გამოყენებით გამოწვეული ზიანი უნდა ანაზღაუროს მისმა გამომყენებელმა.

აღსანიშნავია, რომ როგორც კანონმდებლობაში, ისე იურიდიულ ლიტერატურაში მოიხსენიება „მომეტებული საფრთხის წყარო“, რომელშიც იგულისხმება ისეთი ობიექტების გამოყენება, რომლებიც თანამედროვე ტექნიკის განვითარების ამ ეტაპზე სრულად არ ექვემდებარება კონტროლს, მისი მახასიათებელი თვისებებიდან გამომდინარე. კერძოდ, ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე, რომელსაც ქმნის ამ ნაგებობაში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერჯია, ხანძარსაშიში ან ფეთქებადსაშიში, შხამიანი ანდა მომწამვლელი ნივთიერებები. თუ ნაგებობიდან გამომდინარე საფრთხის პრაქტიკულად განხორციელებას მოჰყვება ადამიანის სიკვდილი, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება, ანდა ნივთის დაზიანება, ნაგებობის მფლობელი ვალდებულია აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. იგივე პასუხისმგებლობა ეკისრება ხანძარსაშიში ან ფეთქებადსაშიში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერებების მფლობელსაც, როცა ამ ნივთიერებებიდან მომეტებული საფრთხე მომდინარეობს.

კანონი მიუთითებს მომეტებულ საფრთხეზე, რომელიც გამომდინარეობს ნაგებობიდან ან ნივთიდან. საფრთხე მომეტებულად უნდა ჩაითვალოს, თუ ის ქმნის ზიანის მიყენების მომეტებულ ალბათობას იმის გამო, რომ შეუძლებელია მასზე ადამიანის მხრივ სრული კონტროლის განხორციელება.

შესაძლებელია მომეტებული საფრთხე სხვაგვარი საფუძვლებიდანაც გამომდინარეობდეს, ვიდრე ზემოთ იყო ჩამოთვლილი. ასეთ შემთხვევაში ნაგებობის და ნივთის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს საფრთხის განხორციელების შედეგად წარმოშობილი ზიანი. თავისი არსით ქმედება, რომელიც დაკავშირებულია მომეტებულ საფრთხესთან, ზოგადი წესის თანახმად, დაშვებულია, მართლზომიერია; არამართლზომიერია მხოლოდ ამ საქმიანობის განხორციელების მომენტში მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი. ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისთვის პასუხისმგებლობის წესის თავისებუ-

რება იმაში მდგომარეობს, რომ მისი დაკისრებისათვის საკმარისია სამი პირობა: ა) ზიანის დადგომა; ბ) ზიანის მიმყენებლის მართლ-საწინააღმდეგო ქმედება; გ) მიზეზობრივი კავშირის არსებობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

ნაგებობიდან და ნივთიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დადგება ბრალის გარეშეც. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამოიხატება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი გამოწვეულია ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი წყაროების დაზიანებით.

მომეტებული საფრთხის წყაროს პრაქტიკული განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეკისრება იმ ნაგებობის მფლობელს, რომელშიც მოთავსებულია მომეტებული საფრთხის გამომწვევი ნივთიერებანი. ნაგებობის მფლობელი შეიძლება არც იყოს ზიანის უშუალო მიმყენებელი. აღსანიშნავია, რომ მომეტებული საფრთხის წყაროს შემცველი ნაგებობის ფლობა უნდა ხორციელდებოდეს კანონის საფუძველზე; ასეთი შეიძლება იყოს: საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები. კანონიერ მფლობელებს წარმოადგენენ აგრეთვე ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ფლობენ ნაგებობას ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე (ქირაუნობა, იჯარა, შენახვა, გადაზიდვა და სხვ.). თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი ობიექტის გადაცემა ყოველთვის არ გულისხმობს ზიანის მიყენებისას პასუხისმგებლობის გადასვლასაც. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია ზოგადი პრინციპის გამოყენება: პასუხისმგებლობის სუბიექტის განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, თუ ვისი სახელით იქნა განხორციელებული ესა თუ ის ქმედება.

რადიაციული ნივთიერებების გამოყენებით გამოწვეული ზიანი უნდა აანაზღაუროს მისმა გამომყენებელმა.

მუხლი 1001. ხანძრის ჩაქრობის დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება

ხანძრის ჩაქრობის, მეზობელ ბინებსა და ნაგებობებზე მისი გავრცელების თავიდან აცილების დროს სხვა პირებისათვის მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ პირმა, რომელსაც ბრალი მიუძღვის ხანძრის გაჩენაში.

ხანძრის ჩაქრობის დროს განხორციელებული ქმედება, რომელიც მიმართულია მეზობელი ბინებისა და ნაგებობებზე ხანძრის გავრცელების თავიდან აცილებისაკენ, როგორც წესი, დაკავშირებულია ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონებისათვის ზიანის მიყენებასთან.

ანაზღაურებას ექვემდებარება იმ პირისათვის მიყენებული ზიანი, რომელსაც ხანძრის გაჩენაში ბრალეული პირის მოქმედებით მიადგა ზიანი. აღნიშნული პირი წარმოადგენს მოთხოვნის უფლების სუბიექტს. ზიანის ანაზღაურება ეკისრება არა იმ პირს, ვინც ახორციელებდა ხანძრის ჩაქრობის ანდა მისი გავრცელების თავიდან აცილების პროცედურას, არამედ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის ხანძრის გაჩენაში. ვალდებულების სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი. მაგალითად, დაწესებულების მუშაკის ბრალით წარმოშობილი ხანძრისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება დაწესებულებას იმ შემთხვევაში, თუ მუშაკი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას.

პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს აგრეთვე დაზარალებულ პირსაც, ვისაც მიადგა ზიანი, როგორც ხანძრის ჩაქრობის, ისე გავრცელების თავიდან აცილების დროსაც, თუ მას მიუძღვის ბრალი ხანძრის გაჩენაში. ამ შემთხვევაში აუცილებელია სახეზე იყოს განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა. თუ პირი ბრალის გარეშე მოქმედებდა, მაშინ მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება.

**მუხლი 1002. ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან
წინასწარ განთავისუფლების დაუშვებლობა**

999-ე და მე-1000 მუხლებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ იგი ეხება პირისათვის მიყენებულ ზიანს, არ შეიძლება წინასწარ გამოირიცხოს ან შეიზღუდოს. იგივე წესი გამოიყენება ნივთისათვის მიყენებული ზიანის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ან პასუხისმგებლობის შეზღუდვა შეთანხმებული იყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საჯარო-სამართლებრივ ფონდს ან საწარმოს შორის. ამის საწინააღმდეგო შეთანხმებები და დებულებები ბათილია.

სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის შედეგად და ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისას, როცა საქმე ეხება პირისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, არ შეიძლება წინასწარ გამოირიცხოს ან შეიზღუდოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (მაგალითად, არ დაიშვება ნაგებობის მფლობელი შეუთანხმდეს მეზობლად მცხოვრებ პირებს იმის შესახებ, რომ, თუ საფრთხეს პრაქტიკული განხორციელება მოჰყვა, იგი პასუხს არ აგებს მათთვის მიყენებული ზიანისათვის). აღნიშნული წესი მოქმედებს ნივთიერებისათვის მიყენებული ზიანის დროსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში დაუშვებელია გამონაკლისი. დაუშვებელია პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ან პასუხისმგებლობის შეზღუდვის თაობაზე შეთანხმება ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საჯარო-სამართლებრივ ფონდს ან საწარმოს შორის.

**მუხლი 1003. ცხოველების მიერ მიყენებული ზიანის
ანაზღაურება**

ცხოველის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. ამასთან, არა აქვს მნიშ-

ვნელობა, ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო, თუ გაქცეული. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გამოიყენება, როცა ცხოველის მფლობელმა მიიღო აუცილებელი ზომები მესამე პირთა დასაცავად.

კანონი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ცხოველის მფლობელს იმ ზიანისათვის, რომელიც მისმა ცხოველმა მიაყენა სხვას. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო თუ გაქცეული. ცხოველის მფლობელი მხოლოდ იმ შემთხვევაში განთავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ მან მიიღო აუცილებელი ზომები მესამე პირის დასაცავად.

პასუხისმგებლობა ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისათვის ეკისრება ცხოველის მფლობელს, ეს იმას ნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს არამესაკუთრესაც, თუ ზიანის მიყენების მომენტიანათვის ცხოველი მის მფლობელობაში იყო (მაგალითად, თუ მესაკუთრემ ცხოველი მიაბარა სხვა პირს).

სამართლებრივი რეგულირების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანთა საქმიანობა. ზიანის მიყენება მატერიალური ობიექტის მიერ, რომლებიც ფლობენ მომეტებულ საფრთხეს, მათი სარგებლობის საქმიანობის ფარგლებს გარეთ სამართლებრივ რეგულირებას არ ექვემდებარება. მხოლოდ საქმიანობის პოზიციიდან შეიძლება აიხსნას ის, რომ სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს გარეული ცხოველების მესაკუთრეს არ აგებს პასუხს იმ ზიანისათვის, რომელიც დგება იმ ცხოველების მიერ, რომლებიც ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში იმყოფებიან. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო არ ახორციელებს საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრული ობიექტის გამოყენებასთან. მხოლოდ გარეული ცხოველების შენახვა მათი ჩვენების მიზნით და ა.შ. წარმოადგენს ისეთ საქმიანობას, რომელიც ქმნის მომეტებულ საფრთხეს ირგვლივ მყოფთათვის.

*მუხლი 1004. შენობის ჩამოქცევით გამოწვეული ზიანის
ანაზღაურება*

1. შენობის მესაკუთრე ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად წარმოიშვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი არ არის გამოწვეული შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით.

2. თუ ზიანი მიყენებულია შენობიდან საგნის გადაგდებით, გადავარდნით ან გადაღვრით, პასუხს აგებს პირი, რომელსაც დაკავებული აქვს სადგომი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან დაზარალებულის ბრალით.

შენობის მესაკუთრე ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად წარმოიშვა (მაგალითად, თუ შენობის აივანი ჩამოინგრა და ქუჩაში მიმავალი პირი დაზიანდა, შენობის მესაკუთრემ ზიანი უნდა აანაზღაუროს). სახლის მესაკუთრე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ შენობის ჩამოქცევა ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევა არ იყო გამოწვეული შენობის არასათანადო მოვლით, ან შენობის ნაკლით. მაშასადამე, თუ მესაკუთრე შენობას სათანადოდ უვლიდა, მაგრამ მაინც ჩამოიქცა, ან მისი ცალკეული ნაწილები ჩამოინგრა, ან თუ შენობას აქვს ნაკლი (მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ოდესღაც სახლის აშენების დროს არ გაითვალისწინეს სახლისათვის სათანადო სიღრმის საძირკველი), მაშინ მესაკუთრე ზიანისთვის პასუხს არ აგებს.

შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მხოლოდ შენობის მესაკუთრეს. ამიტომ, პასუხს არ აგებს დამქირავებელი ან

სხვა პირი, რომელიც კანონიერი საფუძვლით იყენებს შენობას.

პასუხისმგებლობა აკრეთვე დადგენილია შენობიდან საგნის გადაგდებით, გადაკრძალვით ან გადაღვრით გამოწვეული ზიანისათვის (მაგალითად, პირმა მეორე სართულიდან გადააგდო მისთვის გამოუსადეგარი ნივთი, რამაც გამწვლეული დააზიანა).

შენობიდან საგნის გადაგდებით, გადავარდნით ან გადაღვრით გამოწვეული ზიანისათვის პასუხს აგებს პირი, რომელსაც დაკავებული აქვს სადგომი. ასეთი პირი შეიძლება იყოს დამქირავებელი და სხვა.

მუხლი 1005. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებულ ზიანისათვის

1. თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

2. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი.

3. რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდადების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით აღმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ზიანის მიყენებისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის. „სახელმწიფო ორგანოს“ ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების ის ორგანოები, რომლებიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციაში: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

სახელმწიფო მოსამსახურედ ითვლება პირი, რომელიც მუდმივი, დროებითი ან სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებს ხელისუფლების წარმომადგენლის ფუნქციებს.

აღსანიშნავია, რომ „სხვა პირებში“, რომელთა მიმართ განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა, იგულისხმება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

დადგენილია, რომ, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ზიანი უნდა გამოიწვიოს სახელმწიფო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევამ. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძველს სწორედ ასეთი დარღვევა წარმოადგენს. თუ ადგილი არა აქვს სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევას, მაშინ სახელმწიფო მოსამსახურე ზიანის მიყენებისათვის საერთო საფუძველებით აგებს პასუხს. თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს სამსახურებრივ მოვალეობას, მაშინ იგი სახელმწიფოსთან ერთად აგებს პასუხს.

პირი, რომლის მიმართ სახელმწიფო მოსამსახურე არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას, უნდა შეეცადოს ზიანის თავიდან აცილებას. თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზით თავიდან აეცილებინა ზიანი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა.

ზიანისათვის პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოების და სასამართლოს თანამდებობის პირთა მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კანონი მიუთითებს აღნიშნულ პირთა პასუხისმგებლობის ოთხ საფუძველზე:

ა. უკანონო მსჯავრდება;

ბ. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უკანონოდ გადაცემა;

გ. აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენება;

დ. პატიმრობის სახით აღმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრება.

პირს, რომელსაც ჩამოთვლილიდან რომელიმე საფუძველით მიეყენა ზიანი, შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (ზიანი შეიძლება გამოიხატოს ხელფასსა და სხვა შემოსავალში, რაც პირმა დაკარგა აღნიშნული თანამდებობის დაკარგვის გამო, პირის უკანონო მოქმედების გამო გაწეულ სასამართლოს ხარჯებში, თანხაში, რომელიც დაზარალებულმა გადაიხადა იურიდიული დახმარებისათვის და სხვა).

ზიანი სახელმწიფომ უნდა აანაზღაუროს. ამასთან, მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. აღნიშნული ეხება ამ პირთა მატერიალურ პასუხისმგებლობას.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ზიანის ანაზღაუ-

რების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს პირის მარეაბილიტირებელი გარემოებები (გამამართლებელი განაჩენი, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო და სხვ.). ამიტომ, რომ კანონი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას აძლევს მხოლოდ რეაბილიტირებულ პირს. თუ არ არსებობს მარეაბილიტირებელი გარემოება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშვება (მაგალითად, ზიანის ანაზღაურებას ვერ მოითხოვს პირი, თუ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა ამნისტიის აქტის საფუძველზე).⁶

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლში ერთმნიშვნელოვნად არის ნათქვამი, რომ ადამიანის თავისუფლების აღკვეთის, უკანონოდ დაკავების ან დაპატიმრებისას პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი ეყრდნობა რა კონსტიტუციის მე-18 მუხლს, გულისხმობს კომპენსაციის მიღების უფლებას, როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის მიყენებისათვის, რადგანაც პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დარღვევას ყოველთვის თან სდევს, როგორც წესი, მძიმე ხარისხის რეალური განცდები და ფიზიკური ტანჯვა. აქედან გამომდინარე, მორალური ზიანის კონსტიტუციულმა გაგებამ სხვა ასახვა უნდა პოვოს სამოქალაქო კოდექსში.⁷

კანონმდებლობის ანალიზი გვარწმუნებს, რომ პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი პატივისა და ღირსების, აგრეთვე საქმიანი რეპუტაციის დაცვა უნდა მოხდეს ზიანის მიმყენებლის არა მარტო ბრალეული მოქმედებით, ასევე ბრალის მიუხედავად, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ არის უფლებამოსილი აღკვეთოს სხვა პირთა თავისუფლება, ან იმ პირის მიერ, რომელსაც აღნიშნული უფლებამოსილება კანონით დადგენილ პირობათა დაცვით მინიჭებული აქვს, მაგრამ უხეშად არღვევს ამ უფლებას.

⁶ ზ. ახელედიანი ვალდებულებით სამართალი, თბ, 1999, გვ 275

⁷ შ. ჩიკაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ, 1998, გვ. 137.

თავისუფლების აღკვეთას ყოველთვის მოსდევს მორალური ზიანი, თუკი ადამიანი აცნობიერებს, რომ მას წაართვეს თავისუფლება, მაგრამ მორალური ზიანი ანაზღაურებას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემთხვევაში.

ვინაიდან თავისუფლების უკანონო აღკვეთა ხანგრძლივი დროით იწვევს ადამიანის თავისუფლების შელახვას, მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობა უნდა გაიზარდოს იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ როდესაც თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების, სასამართლო და პროკურატურის უკანონო ქმედებების შედეგს, მხედველობაშია მისაღები სხვა გარემოებაც. პირველ ყოვლისა, ეს იქნება დაზარალებულის ინდივიდუალური თავისებურებები. თუ თავისუფლების არაკანონიერი აღკვეთა შეეხო პიროვნებას, რომელსაც არა ერთხელ აქვს მოხდილი კანონიერი სასჯელი უკვე ნახსენები სახით, ლოგიკური იქნება იმის ვარაუდი, რომ პატიმრობის გარემოსა და შესაბამის კონტინგენტთან გარდუვალი კონტაქტის შედეგად მიყენებული ზნეობრივი ტანჯვა ნაკლები იქნება იმ პიროვნების განცდებთან შედარებით, ვისაც პირველად აღეკვეთა თავისუფლება. ამ გარემოებამ გავლენა უნდა იქონიოს მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობაზე.

თავისუფლების ხელყოფის შემთხვევებს შეიძლება მივაკუთვნოთ მოსარჩელის სქესობრივი თავისუფლების ხელყოფაც. იგი შეიძლება გამოვლინდეს ქალის გაუპატიურებაში, ქალზე ძალდატანებაში სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით, იძულებით მამათმავლობაში. მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას, გათვალისწინებული უნდა იქნას რიგი მაკვალიფიცირებელი გარემოებები, მაგალითად: მოკვლით დამუქრება ან სხეულის მძიმე დაზიანებათა მიყენება გაუპატიურების პროცესში, არასრულწლოვანი ან მცირეწლოვანი გოგონას ჯგუფურ გაუპატიურებაში და ა.შ.

გაუპატიურების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას ანგარიშგასაწევია დაზა-

რალეზულის ინდივიდუალური თავისებურებანი, ცხადია, რომ პროფესიონალი მეძავი გაცილებით ნაკლები სიმწვავეთ განიცდის მომხდარს, ვიდრე ზნეობრივი ცხოვრების წესის მქონე ქალი.

პიროვნების თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებათა დარღვევა დღეს ჩვენი ცხოვრების არც თუ იშვიათი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ, მათი დაცვა საკანონმდებლო თვალსაზრისით მსჯელობის საგანი გახდა არა მხოლოდ მეცნიერებისათვის, არამედ პრაქტიკოსი იურისტებისთვისაც. მის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პიროვნების თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ უფლებათა დაცვა გახდა არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთ-ერთი პრინციპი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას (მუხლი 165-ე), რომლის თანახმადაც ქონებრივი ზიანი პირს სრული მოცულობით უნაზღაურდება, თუ დადგინდა, რომ მისი დაკავება ან დაპატიმრება უკანონო ან დაუსაბუთებელი იყო. ზიანი ანაზღაურდება, თუ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი ან საქმე შეწყდა იმ მოტივით, რომ არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა ან ქმედება, რის გამოც აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე ან პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

თუ დაავადება გამოიწვია საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევამ, სახელმწიფო ვალდებულია პირს აუნაზღაუროს მიყენებული ქონებრივი ზიანი, რაც გამოიხატა მკურნალობის ხარჯების გაღებით. რაც შეეხება, ასეთ დროს მორალური ზიანის ანაზღაურებას, მას ადგილი აქვს პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით ბოდიშის მოხდის გზით, აგრეთვე ფულადი კომპენსაციით.

რეაბილიტირებულ პირს უბრუნდება სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში

შეტანილი ნივთები ან სხვა ქონება, ხოლო თუ მოხდა აღნიშნული ქონების განადგურება, მათი ფულადი კომპენსაცია. მათ აგრეთვე აუნაზღაურდებათ სისხლის სამართალწარმოების პროცესში გაღებული ხარჯები (მაგალითად, პონორარი გაღებული დამცველისათვის და სხვადასხვა პროცესუალური მოქმედებებისათვის).

საგულისხმოა, რომ იმ პირის გარდაცვალებისას, რომელსაც ზიანი მიაღვა, ზიანის ანაზღაურების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე.

დასაბრუნებელი ფულისა და ნივთების ღირებულების ინდექსაცია ხდება გადახდის დღეს არსებული საშუალო-საბაზრო ფასებით, ინფლაციის გათვალისწინებით.

რაც შეეხება უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების შესაბამისად, ასეთი პირების შელახული არაქონებრივი უფლების აღდგენას, კერძოდ, პუბლიკაცია, სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაციის ყველა შემთხვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ გამოცემაში. მოსამართლე, პროკურორი ან გამომძიებელი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის შესახებ, ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს ამის თაობაზე საწარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და შრომით კოლექტივს, სადაც მუშაობდა ან სწავლობდა რეაბილიტირებულნი.

თუ ცნობები დაკავების, დაპატიმრების, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების, თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, სხვა იძულებითი მოქმედების, ბრალდების შინაარსისა და გამამტყუნებელი განაჩენის შესახებ გაავრცელეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ისინი ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ ინფორმაცია რეაბილიტაციისა თუ სათანადო საპროცესო მოქმედების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის შესახებ. ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება რეაბილიტაციის შესახებ, რეაბილიტირებულს

აძლევს მისი უდანაშაულობის დამადასტურებელ დოკუმენტს. თუ რომელიმე საპროცესო მოქმედების შედეგად პირს ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი მიაღდა, ამ ზიანის ანაზღაურების გარდა, სამართალწარმოების შესაბამისი ორგანო დაზარალებულს წერილობით უხდის ბოდიშს.

სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება საქმის შედეგის მიუხედავად ზიანი, რომელიც პირს მიაღდა უკანონო ან დაუსაბუთებლად დაკავების, დაპატიმრების, ანდა სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტირებისათვის მოთავსების შედეგად, აგრეთვე თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, ამოღების, ქონებაზე ყადაღის დადების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, შემოწმების, სამართალწარმოების ორგანოების სხვა უკანონო ან დაუსაბუთებელი ქმედებათა შედეგად, რომლებმაც ბრალდებულსა თუ სხვა პირს ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი მიაყენა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლით, რეაბილიტაციის დროს სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას ყველა გადასახდელი გადაიხდევინება, ამ ორგანოების თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. გადასახდელი არ ინიშნება, თუ უდანაშაულო პირისათვის მსჯავრის დადება და მის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენება გამოწვეული იყო წინასწარგანზრახულად ცრუ აღიარებით (თვითგათქმით), რომელიც მიღებულია რაიმე იძულების გარეშე. როგორც ჩანს, სისხლის სამართალში მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი წყდება იმავე პრინციპზე დაყრდნობით, როგორც სამოქალაქო სამართალში. სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას ბრალის მიუხედავად.

უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული ქონე-

ბრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება უზრუნველყოფილია. კერძოდ, უნდა ანაზღაურდეს ხელფასი, ან სხვა შემოსავალი, რომელიც სარეაბილიტაციო პირს მოაკლდა, მათ შორის, ანაცდენი სარგებელი; პენსია, დახმარება – თუ მათი გადახდა შეჩერებული იყო; ფული, ფულადი ანაბარები და მათი პროცენტები, ობლიგაციები და მათი წილხვედრი მოგება, სხვა ფასიანი ქაღალდები და მათზე მიღებული შემოსავალი; სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე გადახდევინებული ჯარიმები და სასამართლო ხარჯები.

მუხლი 1006. ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალებისას

1. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო.

2. სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი.

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებმაც დაზარალებულის გარდაცვალებით დაკარგეს მარჩენალი. ზიანის მომენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენა დაზარალებულს ევალებოდა. აღნიშნულ პირთა ჩამონათვალი მოცემულია სამოქალაქო კოდექსში და ასეთუბად მიიჩნევიან: დაზარალებულის არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე არასრულწლოვანი და შრომისუნარო პირები, რომლებიც გარდაცვალების მომენტისათვის იმყოფებოდნენ გარდაცვლილი პირის კმაყოფაზე ანდა ჰქონდათ მისგან სარჩოს მიღების უფლება; ბავშვი, რომელიც დაიბადა დაზარალებულის გარდაცვალების შემდგომ; ერთ-

ერთი მშობელი, მეუღლე ან ოჯახის სხვა წევრი, რომელიც არ მუშაობს და დაკავებულია საოჯახო მეურნეობით, გარდაცვლილის შვილიშვილები, და-ძმები, რომლებსაც არ მიუღწევიათ სრულწლოვანების ასაკს, ანდა მიაღწიეს აღნიშნულ ასაკს, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მოვლას.

პირები, რომლებიც გარდაცვლილის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ, მაგრამ გარდაცვალების მომენტში შრომისუნარიანები იყვნენ, იძენენ ზიანის ანაზღაურების უფლებას, თუ დაზარალებულის გარდაცვალებიდან 5 წლის განმავლობაში გახდნენ შრომისუნარონი.

შრომისუნაროდ მიიჩნევა I, II და III ჯგუფის ინვალიდი და აგრეთვე საპენსიო ასაკს მიღწეული პირი: ქალი – 60 წლის და მამაკაცი – 65 წლის.

ზიანის ოდენობა განისაზღვრება გარდაცვლილის ხელფასის (შემოსავლის) იმ წილის ოდენობით, რომელსაც პირი იღებდა ან უფლება ჰქონდა მიეღო სარჩოს სახით მარჩენალის სიცოცხლეში.

ზიანის მიმყენებელმა სარჩოს მიცემის ვალდებულება უნდა შეასრულოს მანამდე, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. მაგალითად: არასრულწლოვანისათვის – მის მიერ 18 წლის ასაკის მიღწევამდე; პენსიონრებს – მუდმივად, სიცოცხლის ბოლომდე; ინვალიდებს – ინვალიდობის ვადამდე; პირებს, რომლებიც უვლიან გარდაცვლილის ბავშვებს, შვილიშვილებს ან და-ძმებს – მოვლა-პატრონობის დამთავრებამდე და ა.შ.

თუ ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი რომელიმე პირი არ იმყოფება დაზარალებულის კმაყოფაზე, მაგრამ სისტემატურად იღებდა მკაცრად განსაზღვრულ ფულად თანხას ან უფლება ჰქონდა მიეღო ასეთი თანხა, ასეთ პირს დაზარალებულის გარდაცვალების შემდგომაც მიეცემა ასეთი თანხა, ხოლო, თუ თანხა არ იყო ზუსტად განსაზღვრული, იგი დადგინდება გარდაცვლილისა და იმ პირის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ვისაც უფლება აქვს მოითხოვოს.

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მიყენებული

ზიანის ანაზღაურება წარმოებს, როგორც წესი, ყოველთვიურად. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, პატივისადები მიზეზების არსებობისას, ზიანის მიმყენებლის შესაძლებლობების და მდგომარეობის გათვალისწინებით, დაზარალებულის თხოვნით, სასამართლო უფლებამოსილია დააკისროს ზიანის მიმყენებელს ერთჯერადი ანაზღაურება, მაგრამ არა უმეტეს სამი წლის შემდეგ, ანუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ქონებრივი ზიანის კომპენსაციასთან ერთად, დაზარალებული უფლებამოსილია მოითხოვოს აგრეთვე მორალური ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული უფლების არსებობა არ არის დამოკიდებული ქონებრივი ზიანის მიყენებაზე. მაგალითადად, მორალური ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას, რომელიც წარმოიშვა უახლოესი ადამიანის გარდაცვალების საფუძველზე (მეუღლე ან, მშობელი ან შვილი). ანაზღაურებას ექვემდებარება აგრეთვე იმ პირთა მორალური ზიანი, რომლებიც არ შედიან იმ პირთა რიცხვში, რომლებსაც გააჩნიათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მარჩენალის დაკარგვის გამო.

მუხლი 1007. სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერო საფუძველებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

დადგენილია სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ზიანი შეი-

ძლება იყოს ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზის შედეგი და სხვ.

ქონებრივ ზიანთან დაკავშირებული პიროვნების ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი შეიძლება მიაღდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს: თავად დაზარალებულს, დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში – იმ შრომისუნარო პირებს, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებიან და ა.შ. ყველა მათგანი წარმოადგენს უფლების სუბიექტს.

ვალდებულ სუბიექტს წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულება, რომელშიც მკურნალობის პერიოდში პირის ჯანმრთელობას მიაღდა ზიანი.

სამედიცინო დაწესებულებას ეკისრება პასუხისმგებლობა პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს არასახელშეკრულებო (დელიქტური) ვალდებულების წარმოშობის ოთხი ზოგადი პირობა: ზიანი, ქმედების (უმოქმედობის) არამართლზომიერება, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი.

სამედიცინო დაწესებულების ბრალი, რაც გამოიხატა არამართლზომიერ და ბრალეულ მოქმედებაში (უმოქმედობაში) შეიძლება დადგინდეს შემდეგი მტკიცებულებების საფუძველზე: პროფესიული დაავადების შესახებ სამედიცინო დასკვნა, ავადმყოფის „ისტორიის“ შექმნა არასწორი დიაგნოზის საფუძველზე, პაციენტისადმი არასათანადო ყურადღება, რამაც პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია და ა.შ.

საკომენტარო მუხლიდან თავისთავად გამომდინარეობს დებულება იმის თაობაზე, რომ სამედიცინო დაწესებულების მუშაკის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში დგება პასუხისმგებლობის საკითხი და იგი ეკისრება სამედიცინო დაწესებულებას. სამედიცინო დაწესებულებას შეუძლია რეგრესის წესით მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება პირს, ვისი ბრალითაც მიაღდა ზიანი ამა თუ იმ პირის

ჯანმრთელობას. აღნიშნულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ბრალის ხარისხი, ზიანის სიმძიმე და სხვა გარემოებანი.

ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. მაგალითად: სამედიცინო დაწესებულების მუშაკის მიერ მძიმე ქირურგიული ოპერაციის ჩატარებისას, რომელიც განხორციელდა, პაციენტის წინასწარი თანხმობის საფუძველზე. პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა არ დაეკისრება სამედიცინო დაწესებულებას, თუ იგი მოქმედებდა მასზე დაკისრებული მოვალეობის შერულების ფარგლებში და არ არსებობს ბრალი.

მუხლი 1008. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი. ამ ვადის დაწყებას კანონი უკავშირებს – მომენტს, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა იწყება იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

შენიშნულობა

ტექ. რედაქტორი რ. ჭანტურია
კორექტორი ი. ნაეროზაშვილი

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 27
საბეჭდი ქალაქი №1 60X84, 1/16
ბეჭდვა ოფსეტური
შეკვეთა № 161

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „სამართალი“,
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45

სტამბა შპს გაზეთი „საქართველოს მაცნე“
გრ. რობაქიძის ქ. №7^ა

67.99(2Γ)0
343. (479.22)
ს 323